ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია

დიანა ბოგიშვილი
ირინა ოსეფაშვილი
ელენე გავაშელიშვილი
ნინო გუგუშვილი

ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია

ავტორები:
დიანა ბოგიშვილი
ირინა ოსეფაშვილი
ელენე გავაშელიშვილი
ნინო გუგუშვილი

თბილისი
2016

კვლევა ჩატარდა პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის“ მხარდაჭერით. პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის“ მიზანია სამხრეთ კავკასიაში სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების მხარდაჭერა სხვადასხვა აქტივობების და ღონისძიებების მეშვეობით, როგორებიცაა: კვლევითი პროექტების დაფინანსება, ტრენინგების ჩატარება, სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი გრანტების გაცემა. პროგრამა ხელს უწყობს ნიჭიერი მკვლევარების ახალი თაობის წარმომადგენლებს და მათ საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ინტეგრაციას.

პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიურ ქსელს“ კოორდინაციას უწევს და ახორციელებს შვეიცარიის ფრიბურგის უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტერფაკულტეტური ინსტიტუტი. პროგრამას აფინანსებს „გებერტ რიუფის ფონდი“, რომელიც დაფუძნებულია ბაზელში.

რედაქტორი: ავთანდილ ბესელია

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2016

გამომცემლობა „ნეკერი“, 2016

ISBN: 978-9941-457-59-3

სარჩევი

შესავალი 5

1. თეორიული მიმოხილვა 8
1.1.თანამედროვე მსოფლიო პროცესები:
ევროპეიზაცია, მოდერნიზაცია, გლობალიზაცია 8
1.2.ერის კონცეფცია და ნაციონალიზმი 25
1.3.იდენტობის კონცეფციები და ეროვნული იდენტობა 56

2. კვლევის მეთოდი 64

3. კვლევის შედეგები 70
3.1.ქართული ეროვნული იდენტობის გამოხატვის ფორმები . . . 70
3.1.1.ქართული ეროვნული იდენტობის მარკერები 75
3.1.2.ეროვნული სიამაყე და ეროვნული სირცხვილი 115
3.1.3.მოქალაქეობა და მასთან დაკავშირებული
ვალდებულებები 144
3.1.4.რელიგიის მნიშვნელობა ქართული
ეროვნული იდენტობისთვის 152
3.2.თანამედროვე ქართველი საზოგადოება 200
3.2.1.საზოგადოებრივი და
სახელმწიფო ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა. . . . 200
3.2.2.თანამედროვე მსოფლიო პროცესების
მნიშვნელობა ქართული ეროვნული იდენტობისთვის. . . 231
3.2.3.საერთაშორისო საფრთხეები ქართველი
საზოგადოებისთვის 248
3.3.დიქოტომია „ჩვენ“ და „სხვა“ – კონფლიქტი და
ინტეგრაცია თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში 265
3.3.1. ეთნო-კულტურული „სხვა“ 271
3.3.2. „ჩვენ“ ჯგუფის შიგნით, ღირებულებათა
სისტემის საფუძველზე განსაზღვრული „სხვა“. 319

4. შემაჯამებელი დასკვნა 353

5. ბიბლიოგრაფია 360

6. დანართი 370

შესავალი

ეროვნული (ნაციონალური) იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის კატეგორია, უკვე დიდი ხანია საგანგებო ყურადღებისა და კვლევის საგანია, განსაკუთრებით, დასავლეთის ქვეყნებსა და ასევე აღმოსავლეთ ევროპაში. საქართველოში ადგილობრივი აკადემიური წრეები და პოლიტიკური ელიტა უკვე წლებია მსჯელობს ქართული ეროვნული იდენტობის შესახებ, თუმცა, სახალხო დისკურსის დონეზე და ქართული თანამედროვეობის კონტექსტში, ეროვნული იდენტობის ემპირიული კვლევა ჯერ არ განხორციელებულა. ამ მხრივ წინამდებარე კვლევა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია ქართულ რეალობაში, მით უფრო, რომ ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და საზოგადოების ძირითადი ღირებულებების კვლევისას გამოყენებულია ISSP-ის (International Social Survey Programme – საერთაშორისო სოციალური გამოკითხვის პროგრამა) 2013 წლის „ეროვნული იდენტობის“ შესახებ მოსახლეობის რეპრეზენტატული კვლევის მონაცემები, ასევე ინტერვიუები ქართველ მოსახლეობასთან და საზოგადოებრივი აზრის შემქმენელებთან.

ამგვარად, ჩვენი კვლევის საგანია ქართული ეროვნული იდენტობის მარკერების განსაზღვრა, ასევე იმის ჩვენება, თუ რა ღირებულებების გარშემო ერთიანდება ქართველი საზოგადოება და რომელი განმასხვავებელი ფაქტორები იწვევს წინააღმდეგობას. ჩვენი კვლევის საბოლოო მიზანი კი არის, ქართული ეროვნული იდენტობის ძირითადი ასპექტების საფუძველზე, თანამედროვე ქართველი საზოგადოების სახის წარმოჩენა.

ქართული ეროვნული იდენტობის გარკვეული თავისებურებები მჭიდროდ არის დაკავშირებული გასული საუკუნეების ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებთან. ქართული ნაციონალიზმი მე-19 საუკუნეში წარმოიშვა, იმ პირობებში, როცა ქართული სახელმწიფოებრიობა გაუქმებული იყო რუსეთის იმპერატორის მიერ და მაშინდელი საქართველო, ორი გუბერნიის სახით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართული ნაციონალიზმი და ეროვნული იდენტობა ეთნო-კულტურულ ფაქტორებს დაეფუძნა. მე-20 საუკუნის დასაწყისში (1918-1921 წწ.), დამოუკიდებლობის ხანმოკლე, სამწლიანი პერიოდის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად, ქართული სახელმწიფოებრიობა, რეალურად, ისევ გაუქმე-

ბული იყო 1991 წლამდე. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდშიც ქართულ ნაციონალიზმს განვითარებისთვის სამოქალაქო-პოლიტიკური ასპარეზი, ფაქტობრივად, არ ჰქონდა და ამიტომაც ისევ ეთნიკური და კულტურული ფაქტორები დარჩა ქართული იდენტობის განმსაზღვრელ მახასიათებლებად (ზედანია, 2010).

ქართული ეროვნული იდენტობისა და ძირითადი ღირებულებების შესახებ საუბრისას, მნიშვნელოვანია უახლესი წარსულის გათვალისწინებაც. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია 1991 წლის 9 აპრილს მიიღო. იქამდე, 1980-იანი წლების დასასრულს, სსრკ-ს რღვევის პროცესში, განსაკუთრებული ძალა გამოავლინა მანამდე დათრგუნულმა „ეროვნულმა გრძნობამ“, რომელმაც კონკრეტული პოლიტიკური შინაარსი შეიძინა – ეროვნული თავისუფლება. იმ პერიოდში სწორედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იქცა საზოგადოების უპირველეს მოთხოვნად, რაც არაერთხელ დადასტურდა (1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, 1991 წლის 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი). იმ კრიტიკულ წლებში საზოგადოების გამაერთიანებელი ღირებულება სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. ნებისმიერი ეროვნების, ეთნოსის თუ რელიგიის წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს, „ჩვენიანად“ განიხილებოდა, ხოლო დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი – „მტრებად“. მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშალა და საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, გაეროს წევრი გახდა (1992), თანდათან საზოგადოება დადგა „ეროვნების“, ეროვნული იდენტობის ახლებური გააზრების აუცილებლობის წინაშე. საერთაშორისო დონეზე ეთნო-კულტურული ქართველისთვის აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ მისი ეროვნული იდენტობა არის ქართული და არა რუსული ან საბჭოთა (როგორც ეს იყო სსრკ-ს დროს), საქართველოს დამოუკიდებლობაც უკვე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია და არა ცხარე დისკუსიის ან ბრძოლის საგანი (როგორც ეს იყო კრიტიკულ, გარდამავალ პერიოდში). დღეს საზოგადოება დგას გარკვეული არჩევანის წინაშე – რამდენად შეავსებს თუ შეცვლის ის ეროვნული იდენტობის ეთნო-კულტურულ მოდელს სამოქალაქო-პოლიტიკური ღირებულებებით და რამდენად იძლევა დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური თუ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეალობა იმის საშუალებას, რომ გადარჩენის ღირებულებები თვითგამოხატვის ღირებულებებმა ჩაანაცვლოს? წინამდებარე კვლევის ზოგადი მიზანი სწორედ ამ

შინაარსის კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა და სხვადასხვა საკითხის განხილვა, საბოლოოდ, ამ კონტექსტს უკავშირდება.

პუბლიკაციის ძირითადი ნაწილი მოიცავს სამ თავს და შემაჯამებელ დასკვნას. პირველი თავი (თეორიული მომოხილვა) სამი ნაწილისგან შედგება და აქ თავმოყრილია რამდენიმე თემა, რომლებიც ერთგვარ თეორიულ საფუძველს ქმნის საქართველოში ეროვნული იდენტობის კვლევისთვის. პირველ ნაწილში (მოდერნიზაცია, გლობალიზაცია, ევროპეიზაცია) წარმოჩენილია ის ზოგადი ტენდენციები, რომლებიც დღეს აქტუალურია მოდერნიზაციის, გლობალიზაციისა და, განსაკუთრებით, ევროპეიზაციის პროცესთან დაკავშირებით. თეორიული მიმოხილვის მეორე ნაწილი (ერი და ნაციონალიზმი) ეთმობა ერისა და ნაციონალიზმის შესახებ არსებულ თეორიებს, ამ თემატიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს, ტერმინს და მათ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რაც მჭიდროდ ებმის ეროვნული იდენტობის კონტექსტს და აქტიურად გამოიყენება ამ სფეროში. მესამე ნაწილის (იდენტობის კონცეფციები და ეროვნული იდენტობა) მიზანია იდენტობის შესახებ არსებული კონცეფციების მიმოხილვა და ამ კონტექსტში ეროვნული იდენტობის მიმართებების განსაზღვრა.

პუბლიკაციის მეორე თავში (მეთოდოლოგია) აღწერილია, თუ როგორ მოხდა მონაცემთა შეგროვება და გაანალიზება. კვლევა სამ ეტაპად განხორციელდა: რაოდენობრივი მონაცემების მეორადი ანალიზი (დესკრიპტული, ფაქტორული და სხვ.) ასევე ფოკუს ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები და მათი თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

პუბლიკაციის, ყველაზე ვრცელი, მესამე თავი კვლევის შედეგების განხილვას ეთმობა და ის სამ ძირითად ნაწილად იყოფა: 1) ქართული ეროვნული იდენტობის გამოხატვის ფორმები, 2) თანამედროვე ქართველი საზოგადოება და 3) დიქოტომია „ჩვენ“ და „სხვა“ – კონფლიქტი და ინტეგრაცია თანამედროვე ქართველ საზოგადოებაში.

1. თეორიული მიმოხილვა

1.1. თანამედროვე მსოფლიო პროცესები: ევროპეიზაცია, მოდერნიზაცია, გლობალიზაცია

2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით, საქართველომ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. თავისი გადაწყვეტილებით, საქართველო უკვე ჩაერთო ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესში. წინამდებარე თეორიული ნაწილის მიზანია ვაჩვენოთ მსოფლიოში, უპირველესად კი, ევროპაში მიმდინარე აქტუალური პროცესები და მათი მნიშვნელობა ეროვნული იდენტობისთვის.

თავდაპირველად, საჭიროა განისაზღვროს – რა არის ევროპა? ამ ცნებაში იგულისხმება ევროკავშირი და მისი შემადგენელი სახელმწიფოები, თუ ევროპა უნდა გავიგოთ როგორც გარკვეული ერთიანი გეოგრაფიული და პოლიტიკური სივრცე? ზოგიერთი თანამედროვე თეორეტიკოსისთვის, მაგალითად, ულრიხ ბეკისა და ედგარ გრანდესთვის (Beck, Grande, 2004), ევროპა, როგორც ასეთი, არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ევროპეიზაცია, რომელიც მდგრადი განვითარების ინსტიტუციურ პროცესად არის გაგებული. ბეკის თანახმად, ევროპა შეიძლება განვიხილოთ, არა როგორც რაღაც ფიქსირებული და კონსერვირებული მოცემულობა, არამედ როგორც შემდეგ ცვლადთა ერთობლიობა: ეროვნული ინტერესები, ეროვნული მიკუთვნებულობა, შიდა და გარე ურთიერთობები, სახელმწიფოებრიობა, იდენტობა (Beck, Grande 2004). ავტორები აღნიშნულ ცვლადებს იყენებენ ასევე ევროპეიზაციის დასახასიათებლად. მათთვის ევროპეიზაციის თანამედროვე ინსტიტუციური პროცესის შედეგს წარმოადგენს ევროკავშირი, რომელიც ნაციონალური სახელმწიფოს განვითარებასა და ქვეყნებს შორის შიდა და გარე გარდაქმნებზეა ორიენტირებული.

ევროკავშირი და ევროპა, აღნიშნულ ავტორთა განმარტებით, ნაციონალურ საზოგადოებათა ერთობლიობას წარმოადგენს. ევროკავშირის წევრ ნაციონალურ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესების განხილვისას ბეკი ყურადღებას ამახვილებს თანამედროვეობაზე –

მოდერნზე. ის განასხვავებს მოდერნის ორ სახეს. ბეკის განმარტებით, პირველი მოდერნი, რომელიც მე-18 საუკუნიდან იღებს სათავეს, ორინტირდება „ან-ან“ პრინციპზე, რომლის თანახმად, არსებობენ ან ჩვენ ან სხვები, ან ბუნება ან საზოგადოება, ან ორგანიზაცია ან ბაზარი, ან ომი ან მშვიდობა, ან მრავალი ნაციონალური სახელმწიფო ან ერთი ევროპული საზოგადოება. თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე კი, ბეკი განასხვავებს მოდერნის მეორე სახეს, რომელსაც იგი „რეფლექსიურ მოდერნს“ უწოდებს და უკავშირებს მოდერნიზაციის პროცესის ახლებურ გააზრებას, რომელიც ორიენტირდება „როგორც-ასევე“ პრინციპზე და გულისხმობს: როგორც ჩვენ, ასევე სხვებს, როგორც ომს, ასევე მშვიდობას, როგორც ევროპეიზაციას, ასევე ნაციონალურ სახელმწიფოებს. ევროპისა და ევროპული საზოგადოების განსაზღვრისთვის ულრიხ ბეკი რამდენიმე მახასიათებელს იყენებს: ევროპული საზოგადოება, როგორც ნაციონალურ საზოგადოებათა ჰორიზონტალური ერთობლიობა; ევროპული საზოგადოება, როგორც ქვეყნებს შორის მობილობა; ევროპული საზოგადოება, როგორც მრავლობითი მოდერნულობების ცივილიზაცია; ევროპული საზოგადოება, როგორც ტრანსნაციონალური ცნობიერების სივრცე; ევროპული საზოგადოება, როგორც მეტა-ძალაუფლების თამაში; ევროპული საზოგადოება, როგორც რეგიონული მსოფლიორისკის საზოგადოება და ევროპული საზოგადოება, როგორც ტრანსნაციონალური უთანასწორობის დინამიკა. მოდერნიზაციის ცნებას ბეკი ცივილიზაციის ცნებას უკავშირებს (Beck, Grande, 2004) და ეთანხმება ჯერარდ დელანტის, იმ თვალსაზრისით, რომ სოციალურ მეცნიერებებში ეს ცნება (ცივილიზაცია) „რენესანს“ განიცდის (Delanty, 1998).

ცივილიზაციის ცნებას მოდერნიზაციის ცნებასთან აერთიანებენ ასევე ისეთი ავტორები, როგორებიცაა: ბენჟამინ ნელსონი, სამუელ აიზენშტადტი და ნორბერტ ელიასი. აიზენშტადტის თანახმად, მოდერნიზაციის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ საქმე გვაქვს არა სხვადასხვა საზოგადოების კონვერგენციასთან, არამედ თანამედროვეობის (მოდერნის) სხვადასხვა ინსტიტუციურ მოცემულობასთან: ეკონომიკა, პოლიტიკა, განათლება და ოჯახი, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებაში, სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირად განვითარდა. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, დღევანდელი ემპირიული რეალობა არის ის, რომ მრავლობითი მოდერნული საზოგადოებები გვაქვს. მოდერნი, აიზენშტადტის თანახმად, არის „თავისთავადი ცივილიზაცია

სპეციფიკური ინსტიტუციური და კულტურული მახასიათებლებით“ (Eisenstadt, 2000). ეს არის დასავლეთში წარმოშობილი ცივილიზაცია (მოდერნიზაცია), რომელიც განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მთელს მსოფლიოში გავრცელდა. აიზენშტადტისთვის მოდერნიზაციის დასავლური პროექტი არ არის უნიკალური. მისი აზრით, სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვანაირია მოდერნიზაციასთან დაკავშირებული განხორციელებისა და ორგანიზების გზები, რაც თავის მხრივ მრავალფეროვან ინსტიტუციურ და იდეოლოგიურ პარადიგმებს ქმნის. ამ შემთხვევაში მოდერნულობის ისტორია განიხილება, როგორც სხვადასხვა კულტურული პროგრამის განუწყვეტელი აგება და რღვევა, რომელიც თითოეული საზოგადოების შიგნით სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური თუ ინტელექტუალური აქტორის, ასევე სოციალური მოძრაობების მონაწილეობით ხდება (Eisenstadt, 2000).

აიზენშტადტი გამოყოფს მოდერნულობის კულტურულ და პოლიტიკურ პროგრამებს. მოდერნულობის კულტურული ასპექტი ადამიანის მიერ ავტონომიის მოპოვებას და ტრადიციული კულტურული და პოლიტიკური ავტორიტეტისგან გათავისუფლებას გულისხმობს, რაც, ერთი მხრივ, ე.წ. „შეგნებული ინდივიდის“ (conscious human agency) გააქტიურებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიზნებისა და ინტერესების ლეგიტიმურად აღიარებაში გამოიხატება. რაც შეეხება, მოდერნულობის პოლიტიკურ სფეროს, აქ სამი ცენტრალური ასპექტი გამოიყოფა: მცირდება ცენტრსა და პერიფერიას შორის სხვაობა და შესაბამისად რეკონსტრუირდება მათი ურთიერთობები; საზოგადოების სხვადასხვა სექტორი საკუთარი მოთხოვნების პოლიტიზებას ახდენს და წინ წამოიწევს ადამიანის ემანსიპაციასთან დაკავშირებული ისეთი თემები, როგორიცაა: თანასწორობა, თავისუფლება, სამართლიანობა, ავტონომია, სოლიდარობა და იდენტობა (Eisenstadt, 2000).

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც აიზენშტადტი მოდერნულობის საკვანძო თემად მიიჩნევს, არის საზოგადოების „უფრო მოდერნულ“ და „უფრო ტრადიციულ“ სექტორებს შორის კონფრონტაცია. აიზენშტადტი აფიქსირებს ასევე დაპირისპირებას განმანათლებლობის პერიოდში, კონკრეტულ დროსა და ადგილას ჩამოყალიბებულ მოდერნულობასა და სხვადასხვა საზოგადოების კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით შექმნილ მოდერნულობებს შორის. მაგალითად, ამერიკული მოდერნულობა სწორედ ევროპულ მოდერნულობასთან დაპირისპირებულ დისკურსში ჩამოყალიბდა, ისევე

როგორც მოდერნულობა დანარჩენ მსოფლიოში. აიზენშტადტის განმარტებით, დასავლეთიდან მოდერნულობა ჯერ აზიურ საზოგადოებებში, შემდეგ ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს აფრიკაში გავრცელდა. ყველა ამ საზოგადოებაში, სწორედ დასავლური მოდერნულობის ძირითადი სიმბოლოებისა და ინსტიტუტების მიხედვით ჩამოყალიბდა ტერიტორიული სახელმწიფოსა და შემდგომ ერი-სახელმწიფოს მოდელი. თუმცა, მეორე მხრივ, თავად მოდერნულობის სიმბოლოები და ინსტიტუტები ტრანსფორმირდა ადგილობრივი საზოგადოებების გავლენით, რომლებსაც დასავლეთის მიმართ მეტ-ნაკლებად ამბივალენტური დამოკიდებულებები ჰქონდათ (Eisenstadt, 2000).

აიზენშტადტი მოდერნული სახელმწიფოების ინსტიტუციური, სიმბოლური და იდეოლოგიური სახის ცვლილებებს გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაციასაც უკავშირებს. მისი აზრით, სოციალურმა პრობლემებმა საერთაშორისო სახე მიიღო და, შესაბამისად, შესუსტდა სახელმწიფოს კონტროლი ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბერკეტებზე, შეიზღუდა ასევე მისი მონოპოლია ძალის გამოყენებაზე. რაც შეეხება კულტურის განზომილებას, აიზენშტადტის თანახმად, მედიის გავლენით, დასავლურმა, განსაკუთრებით, ამერიკულმა მიდგომამ დაიკავა წამყვანი ადგილი. შესაბამისად, ერი-სახელმწიფოს მნიშვნელობა, როგორც მოდერნულობისა და კოლექტიური იდენტობის ცენტრის, თანდათან მცირდება და, სხვადასხვა სოციალური მოძრაობის გავლენით, ახალი სახის კოლექტიური იდენტობები ვითარდება. ამ კონტექტსში აიზენშტადი სამი სახის მოძრაობას გამოყოფს: ა) ე.წ. „მულტიკულტურულ“ და „პოსტმოდერნულ“ მოძრაობებს (მაგ. ქალთა და ეკოლოგიურ მოძრაობებს), რომლებიც სახელმწიფოს რეკონსტრუქციის ნაცვლად, გლობალურ პრობლემებზეა ორიენტირებული და ავტონომიურ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროს ქმნის; ბ) ფუნდამენტალისტურ რელიგიურ მოძრაობებს და გ) ეთნიკურ მოძრაობებს (ძირითადად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აფრიკასა და იუგოსლავიაში). ეს ახალი სახის კოლექტიური იდენტობები ხშირად საკუთარი საზოგადოებების ცენტრში ან საერთაშორისო არენაზე იკავებენ ადგილს და ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ. შესაბამისად, აიზენშტადტის თანახმად, გლობალიზაციამ არა მოდერნულობის დასასრული, არამედ მისი კულტურული პროგრამების რეინტერპრეტაცია და მრავლობითი მოდერნულობების გაჩენა გამოიწვია (Eisenstadt, 2000).

გლობალიზაციის მკვლევარი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი იან ნადერვეენ პიტერსი (Pieterse, 2009), მრავლობითი მოდერნულობების არსებობას ემხრობა და 21-ე საუკუნის მულტიპოლარულობაზე საუბრობს, რომელიც ერთი მხრივ ამერიკული ჰეგემონიის შესუსტებას და მეორე მხრივ ახალი საზოგადოებების გაჩენასთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, ახალი საზოგადოებები ვეღარ თავსდება „განვითარებადი საზოგადოებების“ ჭრილში, რადგან საერთაშორისო დონეზე უკვე საკმაოდ ძლიერ აქტორებს წარმოადგენენ ისეთი ქვეყნებიც, როგორებიცაა: ბრაზილია, მექსიკა და ინდონეზია. პიტერსი „ერთი მოდერნულობის“ თეორიას დასავლეთზე და ევროპაზე კონცენტრირებულობაში ადანაშაულებს და ის მხოლოდ დროით განზომილებას ცნობს, მაგალითად, ადრეული, და გვიანი პოსტმოდერნულობის სახით, გეოგრაფიულ განზომილებას კი „მეტად მოდერნული ცენტრი“ – „ნაკლებად მოდერნული პერიფერიის“ სქემით განიხილავს. ამის საპირისპიროდ, პიტერსს „ჰიბრიდული მოდერნულობების“ ცნება შემოაქვს და მიიჩნევს, რომ იდეალური მოდერნულობის აბსტრაქტული ტიპისგან განსხვავებით, რეალურად არსებული მოდერნულობები შერეული, რთული ფორმებია და თავიანთ თავში კონკრეტული საზოგადოებისთვის სპეციფიკური პრემოდერნული ელემენტების ინკორპორაციასაც ახდენენ (Pieterse, 2009).

მოდერნულობას მრავლობითი მოდერნულობების ჭრილში განიხილავს ბრიტანელი სოციოლოგი ჯერარდ დელანტიც (Delanty, 2012). იგი მიიჩნევს, რომ არათუ ერთ მოდერნულობაზე, არამედ ერთ ევროპულ მოდერნულობაზეც კი არ შეიძლება საუბარი. დელანტი ევროპას ექვს ისტორიულ რეგიონად ჰყოფს (ჩრდილო-დასავლეთი; ხმელთაშუა; ცენტრალური; აღმოსავლეთ-ცენტრალური; სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი) იმის საფუძველზე, რომ თითოეულმა რეგიონმა განსხვავებული ისტორიული გზა გაიარა მოდერნულობამდე და, მეორე მხრივ, უფრო ფართო ურთიერთდაკავშირებულ ცივილიზაციურ საფუძვლებს ეყრდნობა, როგორიცაა: ბერძნულ-რომაული, დასავლურ-ქრისტიანული, ბიზანტიურ-რუსული და ოტომანურ-ისლამური ცივილიზაციები. მისი აზრით, მოდერნულობამ ძირეულად შეცვალა მთლიანად ევროპის მორალური და პოლიტიკური განზომილება. დელანტი მიიჩნევს, რომ, მაგალითად, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება ზოგადად ევროპული მოდერნულობის ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტად მივიჩნიოთ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული კონკრეტული ისტორიული კონტექტსების გათვალის-

წინებით, ევროპის სხვადასხვა ნაწილში მოდერნულობის ინტერპრეტაცია განსხვავებულად წარიმართა და, შესაბამისად, განსხვავებულად მოხდა მისი კრისტალიზაციაც. ამავე დროს, ევროპული მოდერნულობა არც გარესამყაროსგან იზოლირებულად ჩამოყალიბებულა და არც თავად მისი განხილვა შეიძლება მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი რეგიონის მაგალითზე. ეს ყველაფერი კი მოდერნულობის გაგებას ნაკლებად ევროცენტრულს ხდის (Delanty, 2012).

დელანტის თვალსაზრისით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ ევროპული პროექტის სამ კონკურენტულ მოდელზე – საუბარია განსხვავებულ ხედვათა დაპირისპირებაზე, თუ რა არის ევროპა და საით მიდის იგი? ეს სამი მოდელია: 1) ევროპა, როგორც ტრანსნაციონალური ზესახელმწიფოებრივი ერთობა, 2) ევროპა, როგორც უფლებებზე დაფუძნებული, პოსტნაციონალური პოლიტიკური ერთობა და 3) ევროპა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ევროპულ ტრადიციებში განსხეულებულ „ხალხობის“ ან ეროვნულობის ძირეულ ღირებულებებს (Delanty, 2008).

დელანტი განმარტავს, რომ მეორე და მესამე მოდელი გაჩნდა, როგორც პირველი მოდელის ალტერნატივა. ჯერჯერობით დომინირებს ხედვა ევროპის შესახებ, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ევროკავშირის ოფიციალური იდეოლოგია, რომელიც, უპირველესად, ეფუძნება სახელმწიფოს პოლიტიკურ დონეს. ევროპის ამ დომინანტურ დისკურსში ევროპა არის ის, რაც იქმნება ერი-სახელმწიფოს ტრანსნაციონალიზაციის შედეგად პოსტ-სუვერენული ზესახელმწიფოებრივი ერთობის მიერ და მისი მთავარი ლეგიტიმაცია უკავშირდება იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებმაც გლობალიზაციის ეპოქაში შეზღუდეს ერი-სახელმწიფო; ანუ ევროკავშირს შეუძლია მისი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკების ინტეგრაცია და სამაგიეროდ მათი დაცვა უფრო გლობალური სირთულეებისგან. დელანტი მიიჩნევს, რომ ეს არის, ტექნოკრატული თუ არა, ძირითადად, ფუნქციური ლეგიტიმაცია და სანამ ის ეფექტიანობის ხარჯზე არსებობს, ხალხი მას მხარს უჭერს, მაგრამ როცა სხვა პრობლემები წამოიწევს წინა პლანზე, ის დაკარგავს ლეგიტიმაციის საფუძველს (Delanty, 2008). ევროპის მეორე მოდელს დელანტი მემარცხენე ხედვას უწოდებს, რომელიც ევროპას განიხილავს მმართველობის სამოქალაქო კონცეფციის პოზიციიდან, როგორც უფლებებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ ერთობას. ევროპული პროექტი ამჟღავნებს გარკვეულ ნიშნებს პოსტნაციონალური დემოკრატიისა, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალურ და რესპუბლი-

კურ-კონსტიტუციური წესრიგის უფლებებს (Habermas 1998, 2001). ეს მოდელი ევროპის სამოქალაქო კონცეფციას წარმოაჩენს როგორც იდეალს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ევროპეიზაციას, როგორც ეროვნული სახელმწიფოს ტრანსნაციონალიზაციას ზენაციონალური სახელმწიფოს მიმართულებით (Delanty, 2008). დელანტის შეფასებით, მესამე მოდელს უფრო მეტად უჭერს მხარს ამომრჩევლი. უფლებების ნაცვლად, ის ეფუძნება „ხალხობის“ (ეროვნულობის) ძირეულ ღირებულებებს, რომლებიც ზოგადად, განსხეულებულია ეროვნულ ტრადიციებში, მაგრამ ისინი შეიძლება განსხეულდეს ასევე ევროპული პოლიტიკური მემკვიდრეობის იდეაში. ამ თვალსაზრისით (რომელიც ხშირად გამოიხატება ანტი-ევროპულ სენტიმენტებში), ევროპულმა პროექტმა დაკარგა უნარი დაუკავშირდეს „ხალხობის“ (ეროვნულობის) ძირეულ ღირებულებებს, რომლებიც მოიცავს უფლებებსაც, მაგრამ მოიცავს ასევე ღირებულებათა უფრო ფართო სფეროს, როგორიცაა სოლიდარობა და სოციალური სამართლიანობა (Delanty, 2008). ეს ხედვა ხშირად იღებს ნაციონალისტურ და პოპულისტურ ფორმას და ევროპეიზაციისადმი თავდაცვით პოზიციას, თუმცა შეუძლია დაიჩემოს, რომ წარმოადგენს ევროპული პოლიტიკური მემკვიდრეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტრადიციას. დელანტის დასკვნით, ზემოგანხილული სამი მოდელი (რომლებიც, შესაბამისად, ყურადღებას ამახვილებენ: ეფექტიანობაზე, უფლებებსა და ღირებულებებზე) ხშირად ერთმანეთს გადაფარავს ხოლმე (Delanty, 2008).

თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგი და ნაციონალიზმის მკვლევარი როჯერს ბრუბეიკერი ნაწილობრივ იზიარებს მოდერნიზაციის კლასიკური თეორიების წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკას, რომ ისინი დასავლეთზეა კონცენტრირებული და არ ითვალისწინებენ ინსტიტუციური პარადიგმების მრავალფეროვნებას პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურ თუ სხვა სფეროში, სათანადოდ არ აფასებენ ეთნიკურობის მნიშვნელობას, ყურადღების მიღმა ტოვებენ საჯარო რელიგიის როლს, სამოქალაქო ნაციონალიზმზე ორიენტირდებიან და აზვიადებენ სახელმწიფოს მნიშვნელობას სოციალურ ურთიერთობათა მოდელების ჩამოყალიბებაში. თუმცა, ბრუბეიკერი მიიჩნევს, რომ კრიტიკა გადაჭარბებულია და ყველაფრის მიუხედავად, სინამდვილეში მაინც გაცილებით დამაჯერებელი არგუმენტები არსებობს ერთი მოდერნულობის, ვიდრე მრავლობითი მოდერნულობის სასარგებლოდ (Brubaker, 2011).

ბრუბეიკერის განმარტებით, მრავლობითი მოდერნულობის თეორიები წამოჭრის ორ ძირითად საკითხს: ა) თანამედროვე საზოგა-

დოებები გადაიკვეთება ერთი ინსტიტუციური მოდელის/ერთი კულ-ტურულ-პოლიტიკური პროგრამის გარშემო, თუ ინსტიტუციური მო-დელები და კულტურულ-პოლიტიკური პროგრამები პრინციპულად სხვადასხვაა? ბ) შეიძლება არსებობდეს მოდერნულობის სხვადასხვა ხარისხი (უფრო მოდერნული და ნაკლებად მოდერნული), თუ არ-სებობს ხარისხობრივად თანაბარი, მაგრამ განსხვავებული მოდერ-ნულობები? ერთი მოდერნულობის თვალსაზრისის დასასაბუთებლად ბრუბაკერი ორი სახის არგუმენტს იყენებს: ლოგიკურს და სოციო-ლოგიურს. ლოგიკური არგუმენტი გულისხმობს იმას, რომ სხვა-დასხვა ინსტიტუციური მოდელებისა და კულტურულ-პოლიტიკური პროგრამის დასახასიათებლად, რომელსაც მრავლობითი მოდერნუ-ლობის თეორიტიკოსები ეყრდნობიან, აუცილებელია რაღაც საერთო კრიტერიუმის არსებობა. ხოლო თუ არსებობს საერთო კრიტერიუმი, შესაბამისად არსებობს მოდერნულობის საერთო გაგებაც, თუნდაც აბსტრაქტული, ბაზისური სახით (Brubaker, 2011).

ბრუბეიკერის მიერ აიზენშტადის კრიტიკაც სწორედ ამ პარადო-ქსს ეფუძნება: აიზენშტადი თვითონვე ერთი მოდერნულობის ცნე-ბას იყენებს იმისთვის, რომ სხვადასხვა მოდერნულობის არსებობა დაასაბუთოს (Brubaker, 2011). მეორე მხრივ, ბრუბეიკერი სოციოლო-გიურ არგუმენტებს ეყრდნობა, რომ „ერთი მოდერნულობის“ თეო-რიის უპირატესობა დაასაბუთოს ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის ასახსნელად. მისი აზრით, ერთი მოდერნულობის ცნება სწორედ იმ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესე-ბის გლობალურ ხასიათზე აკეთებს აქცენტს, რომლებმაც თავის მხ-რივ ნაციონალიზმი და „პოლიტიზებული ეთნიკურობა“ წარმოშვა და სოციალური სამყაროს დაყოფის ძირითად პრინციპებად აქცია. ამა-სთან, ერთი მოდერნულობის თეორია გარკვეული ორგანიზაციული და პოლიტიკურ-კულტურული მოდელების არსებობას და შემდეგ კონკრეტულ ლოკალურ კონტექსტებში მათ დიფუზიას გულისხმობს, რასაც შედეგად მოსდევს მრავალფეროვანი ნაციონალიზმებისა და „პოლიტიზებული ეთნიკურობების“ ჩამოყალიბება, თუმცა არა იმ მარტივი ტელეოლოგიური ფორმით, როგორც მოდერნიზმის კლასი-კოსი თეორიტიკოსები მიიჩნევდნენ. შესაბამისად, ბრუბეიკერის აზ-რით, „მრავლობითი მოდერნულობის“ თეორიები მიმზიდველად გა-მოიყურება მხოლოდ მოძველებულ, ვიწრო და ევროცენტრულ „ერთი მოდერნულობის“ თეორიების მიმართ, თუმცა, როგორც კი მოდერ-ნულობას უფრო კომპლექსურად განვიხილავთ, „მრავლობითი მო-

დერნულობის“ თეორიების მნიშვნელობა იკარგება (Brubaker, 2011).

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ევროპეიზაციის და, ზოგადად, გლობალიზაციის წინსვლა განსაკუთრებით დაჩქარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991), როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს საშუალება მიეცათ ჩართულიყვნენ ერთიანი ევროპული სტრუქტურების შექმნის პროცესში. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა ილუზია, რომ „ისტორია დასრულდა“, რომ საბაზრო ეკონომიკა და დასავლური დემოკრატია, ანუ მოდერნიზაციის დასავლური მოდელი არის ადამიანური ცივილიზაციის საბოლოო ეტაპი და არცთუ შორეულ მომავალში ის წარმატებით გავრცელდება მსოფლიოს უდიდეს ნაწილში (ფუკუიამა, 1999). მოგვინებით, ასეთი სწორხაზოვანი მიდგომა შეიცვალა და დამკვიდრდა ზემოხსენებული „რეფლექსიური მოდერნიზმი“ (მოდერნი). ენტონი გიდენსის კონცეფციაში „რეფლექსიური მოდერნიზმი“ გაგებულია, როგორც თანამედროვე ინსტიტუციების მუდმივი გადააზრება, გადაფასება და შესაბამისი ტრანსფორმაცია. თანამედროვე ცხოვრების რეფლექსიურობა დაკავშირებულია იმასთან, რომ სოციალური პრაქტიკა მუდმივად მოწმდება და იცვლება ახალი ინფორმაციული ნაკადის გათვალისწინებით (Гидденс Э., 1999). როგორც უკვე აღინიშნა, ულრიხ ბეკის თანახმად, თანამედროვე საზოგადოება არის „რისკის საზოგადოება“, რომელიც იძულებულია თავისი ქმედებები მუდმივად შეუფარდოს მოსალოდნელი რისკის ხარისხს. შესაბამისად, ევროპულმა და არაევროპულმა სახელმწიფოებმა და საზოგადოებებმა ამგვარი „აწონ-დაწონვის“ საფუძველზე თავად უნდა შეიმუშაონ მიდგომები გლობალური ეკონომიკური პროცესების მიმართ (Beck, 2007).

ულრიხ ბეკი სტატიაში „კოსმოპოლიტური საზოგადოება და მისი მტრები“, თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობას აღწერს როგორც „კოსმოპოლიტიზაციას“ (Beck, 2005). ამ ტერმინით ის აღნიშნავს გლობალიზაციის ახალ ფორმას, რომელიც ეროვნული საზოგადოების ფარგლებში ვითარდება და ყოველდღიური ცნობიერებისა და იდენტობის ტრანსფორმაციას იწვევს. ბეკის თვალსაზრისით, კოსმოპოლიტური პერსპექტივის საფუძველს ქმნის „დიალოგური წარმოსახვა“, ხოლო ეროვნული პერსპექტივის საფუძველს – მონოლოგური. „დიალოგურ წარმოსახვას“ ბეკი განმარტავს, როგორც ცხოვრების სხვადასხვა წესის თანაარსებობას ერთი ინდივიდის გამოცდილებაში. ეს გულისხმობს სხვადასხვა კულტურის გამოვლინებისა და მოცემულობის შედარებას, კრიტიკას, გაგებას, გადააზრებას, ანუ „სხვის

ინტერნალიზაციას“ (უცხოს გათავისებას). ამ კონტექსტში ბეკი იხსენებს ნიცშეს ტერმინს – „შედარების ეპოქა“ და, მისი განმარტებით, აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ თანამედროვე პირობებში ინდივიდი თავისუფალია აირჩიოს კონკურენტული ტრადიციებიდან და მემკვიდრეობებიდან რომელიმე მათგანი, არამედ ისიც, რომ, მსოფლიო მასშტაბით, სხვადასხვა კულტურის ურთიერთშეღწევა ხდება, რაც იწვევს ამ კულტურათა იდეების ცალ-ცალკე თუ მრავალგვარ კომბინაციაში განხილვას, შედარებას, შეხამებასა თუ დაპირისპირებას ყველგან და დაუსრულებლად. ამგვარად, ბეკის თვალსაზრისით, კოსმოპოლიტური პერსპექტივა, დიალოგური წარმოსახვა ნიშნავს ცხოვრების ალტერნატიული წესების ურთიერთშეთავსებას, „უცხოს სიუცხოვის“ მიღებას. ეროვნული პერსპექტივა კი, რომელიც მონოლოგურ წარმოსახვას ეფუძნება, გულისხმობს „უცხოს სიუცხოვის“ არმიღებას. კოსმოპოლიტური საზოგადოების მთავარ მტრებად ბეკი ასახელებს: ნაციონალიზმს, გლობალიზმს და დემოკრატიულ ავტორიტარიზმს (Beck, 2005).

ჯერარდ დელანტი 2008 წელს აღნიშნავდა, რომ „უკანასკნელ წლებში“ უმთავრესი გამოწვევა ევროპისთვის დაკავშირებული იყო სოციალურ საკითხებთან და კოლექტიურ იდენტობებთან და საუბრობდა „ევროპული სოლიდარობის კრიზისზე“ (Delanty, 2008). დელანტის თვალსაზრისით, ევროპული პოლიტიკური ერთობის გამოჩენასთან ერთად, რომელმაც შეასუსტა ეროვნული სუვერენიტეტი და, პარალელურად, გლობალური ძალებიც არყევენ ეროვნულ სახელმწიფოს, ევროპა და მიგრაცია ურთიერთდაკავშირებულნი აღმოჩდნენ, როგორც არასტაბილურობის წყაროები. შფოთვა ევროპისა და მიგრაციის შესახებ ებმის შიშს ცივილიზაციათა შეჯახებისა და სოციალური უსაფრთხოების შესახებ. სხვების (უცხოების) მიმართ შიში და შფოთვა მომავლის გამო აღმოცენდნენ, როგორც პოტენციური სოციალური ძალები თანამედროვე საზოგადოებაში. შედეგი კი არის ევროპული სოლიდარობის კრიზისი, კოლექტიური მიზნის კრიზისთან (უფრო ფართო კრიზისთან) ერთად (Delanty, 2008).

დელანტი იზიარებს შეხედულებას, რომლის თანახმად ამ საუკუნის დამახასიათებელი შტრიხი არის ფართოდ გავრცელებული შფოთვა. ეს არის ეგზისტენციალური მდგომარეობა, უპირველესად, ფსიქოლოგიური, თუმცა მას აქვს ასევე უფრო ფართო სოციალური და პოლიტიკური ასპექტები თანამედროვე საზოგადოებისთვის. ის წარმოიშვა დაუცველობის დონის ამაღლების ფონზე, რისკისა და

გაურკვევლობის იმ სიჭარბესთან ერთად, რომელსაც გზა გაუხსნა გლობალიზაციამ. 11 სექტემბერი იქცა „სახიფათო დროის“ სიმბოლოდ და შფოთვის სული გასცდა ტერორისტული თავდასხმების რეალობას (Delanty, 2008).

დელანტი განმარტავს, რომ საჭიროა შფოთვასა და შიშს შორის განსხვავების დაფიქსირება, თუმცა ეს განსხვავება ვერ იქნება ძალიან მკვეთრი, რადგან შფოთვა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შიშის ერთ-ერთი ფორმა. შიშს იწვევს მკაფიო საფრთხე, ხოლო შფოთვას – გაურკვეველი ვითარება. შფოთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილებაა ცოდნის ნაკლებობა იმ საფრთხის შესახებ, რომელიც გამოიხატა (Delanty, 2008). ბაუმანი (Bauman, 2006) შფოთვას ახასიათებს, როგორც „თხევადი შიშის“ მდგომარეობას, რომელიც წარმოიშობა სოციალური „თხევადობის“ ვითარებაში, როცა სოციალური ინსტიტუტების და არსებითი იდენტობების მყარი საძირკველი იშლება ინდივიდუალიზებული სიტუაციებისა და არასაიმედოობის სიჭარბეში. დელანტის თანახმად, არსებობს აშკარა განსხვავება შფოთვას, როგორც ინდივიდის მიერ განცდილ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და შფოთვას, როგორც სოციალურ-კულტურულ მდგომარეობას შორის, რომელიც სოციალური პრობლემების გამოხატულებაა (Delanty, 2008).

დელანტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელ ევროპაში სუსტდება კლასი და ერი, როგორც სოლიდარობის საძირკვლები, ხოლო ამის შედეგად წარმოქმნილი შფოთვა იოლად გადადის ქსენოფობიასა და რასიზმში (Delanty, 2008). მისი დაკვირვებით, დღევანდელ ევროპაში რასიზმისთვის დამახასიათებელი თვისება არის აქცენტის გადატანა სოციალურ და კულტურულ საკითხებზე, მაგალითად, სამუშაო ადგილების დაცვაზე, კეთილდღეობასთან დაკავშირებულ შეღავათებზე, კულტურულ განსხვავებებსა ან შეუთავსებლობებზე. პოლიტიკურ დისკურსში ეს არის ქსენოფობიის ნორმალიზაცია, ხოლო სახალხო დონეზე „სხვად (უცხოდ) დანახვის, აღქმის“ პროცესი. 2005 წლის სექტემბერში, მუსლიმთა წინასწარმეტყველ მუჰამედის შეურაცხმყოფელი კარიკატურების გამოქვეყნება დანიურ და ნორვეგიულ გაზეთებში სწორედ ქსენოფობიის ნორმალიზაციის აღნიშნული ტენდენციის დადასტურებაა. ეს არ იყო გამონაკლისი, ეს კარიკატურები ევროპის სხვა ქვეყნებშიც დაიბეჭდა. ასეთი ქმედების გამამართელებელ არგუმენტად კი მოიშველიეს ისეთი ლიბერალური ღირებულება, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება (Delanty, 2008).

დელანტის თანახმად, მრავალ ევროპულ ქვეყანას, რომელიც ზო-

გადად ასოცირდება პროგრესულ მულტიკულტურალიზმთან, ახლა კითხვები გაუჩნდა ამ მიმართულებით. დიდ ბრიტანეთში ეს აისახა ახალ წუხილში ბრიტანული ღირებულებების გამო. მსგავსი ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ასევე ნიდერლანდებში. ეს ცვლილება წარმოიშვა არა როგორც ლიბერალური ღირებულებების უარყოფა, არამედ პირიქით, როგორც მათი დაცვის მცდელობა მულტიკულტურალიზმისა და ტრანსნაციონალიზმისგან მომდინარე საფრთხეებისგან. მულტიკულტურალიზმი სულ უფრო ხშირად არის წარმოჩენილი როგორც ინტეგრაციის ძირგამომთხრელი მოვლენა. ზემოხსენებული შფოთვები დაკავშირებულია იმ შიშთან, რომ ევროპული ეროვნული იდენტობები შესაძლოა ვერ გაუმკლავდნენ უფრო ძლიერ და თავდაჯერებულ მიგრანტულ ან ეთნიკურ იდენტობებს. ულტრამემარჯვენეების აღზევება მთელ ევროპაში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არის შედეგი სოციალური შიშებისა. ეს უკავშირდება განზოგადებულ შფოთვას, რომელიც გამოიხატა სხვებისადმი შიშში. იმიგრანტები არიან დაუფარავი სამიზნეები იმ პარტიებისთვის, რომლებმაც მოახერხეს იმიგრანტების მიმართ შიშის შეთავსება დასაქმებისა და კეთილდღეობის მხრივ არსებულ შფოთვებთან (Delanty, 2008).

დელანტის დაკვირვებით, იზრდება საშუალო ფენის (კლასის) პოლიტიკური უკმაყოფილება, ვინაიდან მისი სოციალური მდგომარეობა არამყარია და მის წარმომადგენლებს აქვთ შეგრძნება, რომ უქვეითდებათ სტატუსი და ანაზღაურება. თანამედროვე ეკონომიკამ მოიტანა დიდი საფრთხეები საშუალო ფენისთვის, რომელსაც პროფესიული თანამდებობა და მიღწევები განათლების მხრივ აღარ აძლევს გარანტიას სათანადო სტატუსისა და ანაზღაურების მისაღებად ან შესანარჩუნებლად. დელანტის განმარტებით, საშუალო ფენაში მომძლავრებული შფოთვა, გამოწვეული იმით, რომ სამუშაო იმედგაცრუების წყაროდ გადაიქცა. დამსახურებაზე დაფუძნებული ჯილდო, ანაზღაურება აღარ არის მომავლის საიმედო მეგზური. წარმატება ლატარიად იქცა და საიმედო, გარკვეული არაფერია. დაღმასვლის შესაძლებლობა მუდმივად რეალურია. ეს არის ვითარება, რომელშიც კომპეტენტურობისა და სოლიდარობის კლასზე დაფუძნებულ ფორმებს ძირს უთხრის კოლექტიური გამოცდილების მზარდი ფრაგმენტაცია. საშუალო ფენა, აღმასვლის მობილურობის მხრივ, ღრმა კრიზისს განიცდის, უსაფრთხოების დეფიციტიც, უპირველესად, საშუალო ფენას ამძიმებს. საშუალო ფენა იქცა რევანშისტად, ის უარყოფს ინკლუზიაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ

პროგრამებს, რომლებიც მომგებიანი აღარ არის არც მისთვის და არც მუშათა კლასისთვის. მოკლედ, საშუალო ფენა მხარს უჭერდა ინკლუზიურ პოლიტიკას მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც ის იყო მოგების მთავარი მიმღები (Delanty, 2008). საფრანგეთში ისლამის უარყოფითი იმიჯი და საშუალო ფენაში პოპულარული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ფრანგ მუსლიმთა გეტოები არის ისლამისტი მებრძოლების ბუდე – ეს მომენტები იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი მუსლიმი ახალგაზრდების პოლიტიზაციისთვის, რომ ისინი აჯანყებულიყვნენ მათი სოციალური და კულტურული მარგინალიზაციის წინააღმდეგ. დელანტის აზრით, ასეთი აჯანყებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიმპტომური ნიშანი სოციალური უკმარისობისა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ახალი ტიპის სიღარიბე და სოციალური მარგინალიზაცია განვითარდა. შესაძლოა გადაჭარბება იყოს იმის თქმა, რომ ტრადიციული კონფლიქტი კლასებს შორის ჩანაცვლდა კონფლიქტით მიგრანტებსა და მოქალაქეებს შორის, მაგრამ გარკვეული ჭეშმარიტება ამ სიტყვებში ნამდვილად არის, რამდენადაც ეს ეხება სადღეისოდ ყველაზე აშკარა გახლეჩას, ჩატეხილ ხიდს საზოგადოებაში (Delanty, 2008). აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის ზრდა აიხსნება უფრო მეტად სამუშაოს, ოჯახის, სტატუსის ტრანსფორმაციით, ვიდრე ულტრამემარჯვენეებისადმი სიმპათიით. შფოთვა მომავლის გამო – ეს არის საკვანძო მამოძრავებელი ამ შემთხვევაში. ევროპული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის კულტურული კრიზისი, ფართო გაგებით, არის სოლიდარობის და ერთიანობის კრიზისი. ევროპეიზაციისა და გლობალიზაციის მიერ იდენტობის არსებითი საყრდენების: კლასისა და ერის ფუძის მორყევამ სათავე დაუდო შფოთვასა და საფრთხის განცდას (Delanty, 2008). დელანტის თანახმად, 2008 წლისთვის ევროპეიზაციის პროექტი უკვე თავდაცვით მდგომარეობაში, ხოლო მულტიკულტურალიზმი – კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. ევროსკეპტიციზმი არ შემოიფარგლება ერი-სახელმწიფოს დამცველი პატარა უმცირესობით, არამედ მას ფართო რეზონანსი აქვს სხვადასხვა სახელმწიფოს მოსახლეობაში. მრავალ ქვეყანაში უკვე მიმდინარეობს კოლექტიური იდენტობის რე-ნაციონალიზაცია, თუმცა, დელანტის აზრით, ამ პროცესის გაზვიადებაც არ არის საჭირო. ევროკავშირმა ვერ მიაღწია წარმატებას კოლექტიური ევროპული იდენტობის ჩამოყალიბების მიმართულებით, რაც ნებისმიერ შემთხვევაში არის ალტერნატივა ეროვნული იდენტობისა და საუკეთესო,

რასაც შეიძლება მან მიაღწიოს, არის ეროვნულ იდენტობასთან თავსებადი იდენტობის შექმნა, რომელიც ხშირ შემთხვევაში იმავე ეროვნული იდენტობისგან მომდინარეობს. არსებობს საგრძნობი წინააღმდეგობა ევროპეიზაციის პროცესის გაღრმავებისადმი და იზრდება ევროპეიზაციის ასოცირება გლობალიზაციასთან. ამ ვითარებაში მულტიკულტურალიზმი პირველი დანაკარგია (Delanty, 2008).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული გაგებით გამართლდა დელანტის პროგნოზი, რომელიც მან ჯერ კიდევ 1995 წელს გამოთქვა: „არსებობს მრავალი „ევროპა“ და ის, რომელმაც დღეს დომინირება მოიპოვა არის ექსკლუზიური და არა ინკლუზიური. ევროპის იდეის დომინანტური გაგება არის ერი-სახელმწიფოების ევროპა. ამგვარად, ევროპა არის არა ალტერნატივა ნაციონალიზმისა, არამედ დადასტურება ერი-სახელმწიფოს ჰეგემონიისა. თუ ევროპის იდეა არ იქნება დაკავშირებული მულტიკულტურალიზმთან და პოსტნაციონალურ მოქალაქეობასთან, მაშინ ის, როგორც პოლიტიკური ცნება, ყველაზე მეტად სკეპტიციზმთან იქნება ასოცირებული“ (Delanty, 1995).

დელანტის დასკვნით, ამჟამინდელი კრიზისიდან გამოსავალი გაურკვეველია. შესაძლოა ერთ-ერთ სავარაუდო რჩევა იყოს კოლექტიური მიზნის გრძნობის აღდგენა, რომელიც იკარგება. ასეთ ვითარებაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ევროპულმა პროექტმა უდიდესი ყურადღება დაუთმოს სოციალურ სამართლიანობას და სოციალური სოლიდარობის ინკლუზიურ ფორმებს (Delanty, 2008).

როგორც უკვე ითქვა, დელანტის აღნიშნული შეფასებები 2008 წელს გამოქვეყნდა. იმავე წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები, მათ შორის, ევროინტეგრაცია შენელდა. ამ ფონზე გამოიკვეთა ინტეგრაციის (ან, მოცემული ფორმით ინტეგრაციის) მოწინააღმდეგე ძალების გააქტიურება, რასაც ადასტურებდა ევროპაში გამართული სხვადასხვა დონის არჩევნებში ევროსკეპტიკოსების მზარდი მაჩვენებლები და ასევე შესაბამისი კვლევების შედეგები. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რომელიც, „ბი-ბი-სის“ დაკვეთით, ბრიტანულ ჟურნალ „ეკონომისტის“ „სადაზვერვო ჯგუფმა“ (The Economist Intelligence Unit, EIU) 2015 წელს ჩაატარა, ევროპა უკვე „პოლიტიკური მიწისძვრის“ წინაშე იდგა. კვლევაში საუბარი იყო ევროპის „დემოკრატიის კრიზისზე“, ელიტისა და ამომრჩევლის ურთიერთდაშორებაზე და იმიგრაციასთან დაკავშირებულ პრო-

ბლემებზე[1]. საბოლოოდ, ეს ტენდენცია სრულიად აშკარა გახდა 2016 წლის 23 ივნისის ბრიტანეთის რეფერენდუმით და მისი შედეგებით – ბრიტანეთის მოსახლეობის 51,9%-მა მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან მათი ქვეყნის გასვლას[2].

ელიტისა და ამომრჩევლის ურთიერთდაშორებასა და იმიგრაციის პრობლემის აქტუალობაზე ყურადღებას ამახვილებენ შეერთებულ შტატებშიც, სადაც პოლიტიკური ელიტის მიმართ უკმაყოფილება უპრეცედენტოდ გაზრდილია. ცნობილი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი (2001-2006 წწ), აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის უფროსი (ანუ ფინანსთა მინისტრი) ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, ლორენს სამერსი, პირდაპირ პარალელს ავლებს ევროპულ და ამერიკულ რეალობას შორის. სამერსის თანახმად, აშკარაა, რომ ამომრჩეველი ამბოხებულია იმ შედარებით ღია ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ნორმად იქცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამჟამად უმთავრესი კითხვა ასეთია: როგორი უნდა იყოს საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი პრინციპები? სამერსის აზრით, ახალი მიდგომის საწყისად უნდა იქცეს იდეა, რომლის თანახმად, მთავრობის ძირითადი პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს მოქალაქეების მაქსიმალური კეთილდღეობა და არა ზრუნვა გლობალური სიკეთის რაღაც აბსტრაქტულ კონცეფციაზე. ხალხს ასევე სურს გრძნობდეს, რომ ის ქმნის იმ საზოგადოების კონტურებს, რომელშიც ცხოვრობს. სამერსი მიიჩნევს, რომ ახლა საჭიროა „პასუხისმგებლიანი ნაციონალიზმი“[3]. ამ ტერმინით ის აღნიშნავს მიდგომას, რომლისთვისაც გასაგებია, რომ ქვეყნები მოელიან მათი მოქალაქეების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვას, როგორც უპირატეს მიზანს და, მეორე მხრივ, ისიც ესმის, რომ მისი შესაძლებლობა, რაიმე ზიანი მიაყენოს მოქალაქის ინტერესებს რომელიმე სხვა სფეროში, შემოფარგლულია. სამერსის თვალსაზრისით, საერთაშორისო შეთანხმებები უნდა განვსაჯოთ არა იმის მიხედვით, თუ რამდენად ჰარმონიზებულია ის, ან თუ რამდენი ბარიერია დაძლეული მისი მიღების პროცესში, არამედ იმის მიხედვით, რამდენად უზრუნველყოფს ის მოქალაქეების უფლებამოსილებას. ამავდროულად, სამერსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი

1 http://www.bbc.com/news/world-europe-30864088

2 http://www.bbc.com/news/politics/eu_referendum/results

3 http://www.brettonwoods.org/publication/lawrence-h-summers-voters-deserve-responsible-nationalism-not-reflex-globalism

მიდგომა არ ნიშნავს საერთაშორისო თანამშრომლობის შეზღუდვას. სამერსის დასკვნით, „რეფლექსიურმა ინტერნაციონალიზმმა“ გზა უნდა დაუთმოს „პასუხისმგებლიან ნაციონალიზმს“, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გველოდება უფრო დამთრგუნველი რეფერენდუმები და პოპულისტური დემაგოგიების ბრძოლა უმაღლესი პოსტებისთვის.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია დელანტის მოსაზრება, რომელიც მან 2008 წელს დააფიქსირა: „ნაციონალიზმი სახეცვლილი ფორმით დაბრუნდა. ეს ნაკლებადაა სახელმწიფოების პროექტი, ის უფრო ულტრამემარჯვენე პარტიებთან ასოცირდება“ (Delanty, 2008). თუმცა, დელანტისვე დაკვირვებით, გარკვეულწილად, ევროპული სახელმწიფოებიც მონაწილეობენ ამ პროცესში, რადგან „საემიგრაციო კანონები ევროპული იდენტობის ღერძია“ (Delanty, 1995). დელანტი განმარტავს, რომ თანამედროვე სახელმწიფოების კონსტიტუციები მკაფიოდ არ მიჯნავენ მოქალაქეობას და ეროვნებას. ვიდრე მოქალაქეობა დაკავშირებული იქნება ეროვნებასთან, შენარჩუნდება თვალსაზრისი, რომლის თანახმად, მოქალაქეობის კანონები არსებობს იმისათვის, რათა დაიცვან ერთობა და სიმყარე დომინანტური კულტურისა უცხო კულტურებისგან. მოქალაქეობა არ უნდა იყოს საშუალება, რომლითაც ევროპა განსაზღვრავს თავის იდენტობას, როგორც თეთრი ბურჟუას ნაციონალიზმს. მასობრივი იმიგრაციის საფრთხის პირობებში, ეროვნულ იდენტობასა და მოქალაქეობას შორის კავშირი სულ უფრო ძლიერდება. იმის ნაცვლად, რომ მოქალაქეობა იყოს უმცირესობების, დევნილების, ეთნიკური უმცირესობების, თავშესაფრის მაძიებელთა, უსახელმწიფო პირთა დამცავი საშუალება, იგი იქცა გარეშეთაგან (უცხოელთაგან) უმრავლესობის დაცვის საშუალებად. დელანტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოქალაქეობა დაყვანილ იქნა ეროვნულობამდე და ამ მოდელში არ არსებობს მკაფიო განსხვავება მოქალაქეობასა და ეროვნულ პატრიოტიზმს შორის: მოქალაქე ტრანსფორმირდა პატრიოტად. მოქალაქეობის ძირითადი კრიტერიუმი უმეტესად არის ეროვნება, რომელსაც მოქალაქეობის თავდაპირველ, რევოლუციურ კონცეფციაში მეორეხარისხოვანი, შემთხვევითი დატვირთვა ჰქონდა. დელანტის აზრით, სახელმწიფოს წევრობა არ ნიშნავს ეროვნული ერთობის წევრობას. პოსტეროვნული მოქალაქეობა არის ალტერნატივა შემზღუდავი ეროვნების ცნებისა. პოსტეროვნული მოქალაქეობის არსი არის ის, რომ ის არ განისაზღვრება არც დაბადებით და არც ეროვნებით, არამედ იქ ცხოვრებით, რეზიდენტობით. ეროვნებისგან განსხვავებით, მო-

ქალაქეობა არ უნდა „ჩაიზარდოს“ სახელმწიფოს ეროვნულ კულტურაში. მოქალაქეობა ინტერნაციონალურია და კულტურისა და ეროვნების პარტიკულარისტული ქედმაღლობის მიღმა დგას. ამგვარად, არსებითი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეობასა და ეროვნებას შორის კავშირის გაწყვეტას, როგორც ინტელექტუალურად, ასევე კონსტიტუციურად. ტრადიციული პოლიტიკური იდენტობების რღვევის შედეგად არის საჭიროება ალტერნატიული კოლექტიური იდენტობისა, ამის მისაღწევად აუცილებელია ჩამოვაშოროთ ევროპის ეთნო-კულტურული იდეა მოქალაქეობას. ეს განცალკევება ეფუძნება განსხვავებას უნივერსალიზებად ნორმებსა და კულტურულ ღირებულებებს შორის, რომლებიც რელატივისტურია. მოქალაქეობა ნორმატიული კონცეპტია, ხოლო ევროპა – კულტურული იდეა (Delanty, 1995).

როგორც ვხედავთ, მოდერნიიზაციის, ევროპეიზაციის, გლობალიზაციის პროცესები, რომლებიც, უპირველესად, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან ასოცირდება, მჭიდროდ უკავშირდება ასევე კულტურულ ფაქტორებს, ღირებულებებს და ისეთ ცნებებს, როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული სახელმწიფო, ეროვნება, მოქალაქეობა, ნაციონალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ერი და ა. შ. ეს ცნებები კი უშუალო მიმართებაშია ჩვენი კვლევის ძირითად თემასთან – ეროვნულ იდენტობასთან. აქედან გამომდინარე, საჭიროა უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ მათ განმარტებებსა და შინაარსს. დავიწყოთ ერის კონცეფციით, რადგან ამ კონტექსტში საკვანძო მნიშვნელობა სწორედ მას ენიჭება.

1.2. ერის კონცეფცია და ნაციონალიზმი

ეროვნული იდენტობის შესახებ საუბრისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ცნებებს, როგორიცაა ერი და ნაციონალიზმი და მათთან დაკავშირებულ თეორიებს.

ერი

სამეცნიერო ლიტერატურაში შესაძლებელია მოიძებნოს ერის (ინგ. the Nation) ცნების ათეულობით განმარტება, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ითვლება უნივერსალურად, საყოველთაოდ აღიარებულად. უფრო მეტიც, დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ, გარკვეული ანალიზის საფუძველზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ „ერის 'მეცნიერული განსაზღვრების' შექმნა შეუძლებელია“ (Seton-Watson, 1977), რადგან იმდენად განსხვავებულ პირობებს, ფაქტორებსა თუ კონტექსტებს მოიცავს სხვადასხვა ერის ჩამოყალიბება-არსებობის პროცესი, რომ ამ ყველაფრის ერთ განსაზღვრებაში თავმოყრის მცდელობა უპერსპექტივოა.

დღესდღეობით, სამეცნიერო ლიტერატურაში ერის ცნების გამოყენებისას, ჩვეულებრივ, განასხვავებენ მის ორ გაგებას, ორ მნიშვნელობას: ზოგადს (პოლიტიკურს) და ეთნიკურს (ეთნოკულტურულს). ერის ზოგადი (პოლიტიკური) განმარტება ერს, უწინარესად, უკავშირებს სახელმწიფოს და გულისხმობს ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობას, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა. აქედან გამომდინარე, ამ კონცეფციის თანახმად, ეროვნება და მოქალაქეობა ერთმანეთს ემთხვევა და ეროვნული ნიშნავს სახელმწიფოებრივს, მთელ სახელმწიფოში მოქმედს (მაგალითად, ეროვნული ინტერესი, ეროვნული მთავრობა, ეროვნული ვალუტა და ა.შ.). ერის ეთნიკური (ეთნოკულტურული) განმარტება კი ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს მოქალაქეობას და ეროვნებას, რადგან ერს უკავშირებს, უწინარესად, ეთნიკურ და კულტურულ ფაქტორებს და არა სახელმწიფოს. ეს კონცეფცია ერს „ეთნოსის არსებობის ფორმად, მის გარკვეულ სოციალურ ორგანიზაციად“ განიხილავს (დავითაშვილი, 2003). ერის აღნიშნული ორი განმარტების აღრევა რომ არ მოხდეს, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა ტერმინით „ერი“ აღინიშნოს ამ ცნების ზოგადი (პოლიტიკური) მნიშვნელობა, ხოლო მეორე – ეთნიკური (ეთნოკულტურული) მნიშვნე-

ლობისთვის დამკვიდრდეს ახალი ტერმინი „ეთნოერი“ („ეთნონაცია“) (დავითაშვილი, 2003).

ზოგადად, ამგვარი გამიჯვნა ნამდვილად აქტუალურია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ში და ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ძირითად ნაწილში, „ეროვნება“ იმთავითვე გულისხმობს „მოქალაქეობას“, ანუ სახელმწიფოს წევრობას; და „ერი“ და „სახელმწიფო“ ხშირად ურთიერთჩანაცვლებადია. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კი, პირიქით, „ერი“ და „ეროვნება“ თავდაპირველად ასოცირდება „არა სახელმწიფოსთან, არამედ ეთნო-კულტურულ ერთობასთან, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოებრიობისა და მოქალაქეობისგან და ხშირად კვეთს კიდეც მათ საზღვრებს“ (Brubaker, 2002).

ცნობილია მიზეზიც, თუ რას ემყარება ასეთი განსხვავებული მიდგომა: აშშ და ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ერები (უპირველესად, ინგლისელი და ფრანგი ერები) ერად ჩამოყალიბდნენ მას შემდეგ, რაც ეს სახელმწიფოები შეიქმნა, ხოლო ცენტრალური ევროპის ერები (უპირველესად, გერმანელი ერი) ჯერ ეთნოკულტურულ ერთობებად ჩამოყალიბდნენ და შემდეგ შექმნეს თავიანთი სახელმწიფოები. ამ განსხვავების საფუძველზე, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ფრიდრიხ მაინეკემ ერები დაყო „სახელმწიფო-ერებად“ (Staatsnation) და „კულტურ-ერებად“ (Kulturnation) (Brubaker, 1999).

ერის შესახებ არსებულ შეხედულებებს სამ ძირითად თეორიულ მიმდინარეობად აჯგუფებენ: პრიმორდიალიზმი, მოდერნიზმი და ეთნოსიმბოლიზმი. ამათგან ყველაზე მეტი მიმდევარი მოდერნიზმს ჰყავს, ყველაზე ნაკლები – პრიმორდიალიზმს.

პრიმორდიალიზმი არსებით განსხვავებას ვერ ხედავს ერსა და ეთნოსს შორის. ეს მიმდინარეობა, ფაქტობრივად, ერთმანეთთან აიგივებს ეროვნულ თვითშეგნებას ეთნიკურ თვითშეგნებასთან, ხოლო ერს „ეთნიკური იდენტობის პოლიტიკურ გამოხატულებად“ მიიჩნევს. შესაბამისად, ერები უძველესი დროიდან არსებობენ და ეროვნება ადამიანისთვის იმთავითვე, ბუნებრივად მოცემული ფენომენია (დავითაშვილი, 2003).

მოდერნიზმი მკვეთრად მიჯნავს ერს ეთნოსისაგან და ერის წარმოშობას უშუალოდ უკავშირებს ახალ ეპოქას და ამ დროიდან განვითარებულ, მოდერნიზაციის კონკრეტულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ

და სოციალურ-კულტურულ პროცესს. აქედან გამომდინარე, მოდერ-ნიზმის თანახმად, ერების არსებობაზე საუბარი მხოლოდ საფრან-გეთის რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან შეიძლება. ეს პერიოდი კი გულისხმობს კაპიტალიზმის, ინდუსტრიალიზაციის, სეკულარი-ზაციის, ურბანიზაციის, თანამედროვე სახელმწიფო სისტემის წარ-მოშობა-განვითარების პროცესს, რაც მოიცავს საერთო ეროვნული ბაზრისა და შესაბამისი კომუნიკაციების, საყოველთაო საარჩევნო უფლების, პრესის, ერთიანი სალიტერატურო ენისა და განათლების სისტემის ჩამოყალიბებას. მოდერნისტთა თვალსაზრისით, სწორედ ეს პროცესი ქმნის პირობებს იმისათვის, რომ გარკვეული ერთო-ბა (ზოგ შემთხვევაში ეთნოკულტურული ერთობა) იქცეს ერად. ეს კი, უპირველესად, გულისხმობს მის წევრებს შორის ახალი, ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ფორმირებას (ანდერ-სონი, 2003; გელნერი, 2003).

მოდერნისტთა შორის განსაკუთრებით გამოყოფენ ერნესტ გელ-ნერის კონსტრუქტივისტულ და ბენედიქტ ანდერსონის რედუქციო-ნისტულ მიდგომებს (ორივე ავტორის ძირითადი ნაშრომები: „ერები და ნაციონალიზმი“ და „წარმოსახვითი საზოგადოებანი“ ერთსა და იმავე დროს – 1983 წელს გამოიცა).

აღნიშნულ ნაშრომში („ერები და ნაციონალიზმი“) გელნერი გან-მარტავს, რომ „არსობრივად, ერები, ისევე როგორც სახელმწიფოე-ბი, შემთხვევითობაა და არა უნივერსალური აუცილებლობა. არც ერები და არც სახელმწიფოები არ არსებობდნენ ყოველთვის, ყველა გარემოში. უფრო მეტიც, ისინი არ არიან ერთი და იგივე შემთხ-ვევითობები“ (გელნერი, 2003). გელნერი კაცობრიობის ისტორიაში სამ „ფუნდამენტურ ეტაპს“ გამოყოფს: პრეაგრარული, აგრარული და ინდუსტრიული და აღნიშნავს, რომ ერების წარმოშობა მეორე, აგრარული ეტაპიდან მესამე, ინდუსტრიულ ეტაპზე გადასვლის დროს მოხდა. გელნერის განმარტებით, ინდუსტრიული საზოგადოება არის პირველი საზოგადოება, რომელმაც პროგრესის, განუწყვეტელი გაუმჯობესების კონცეფცია და იდეალი გამოიგონა (გელნერი, 2003). წინამორბედი საზოგადოებებისგან განსხვავებით, ინდუსტრიულ სა-ზოგადოებაში, ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარე, ირღვევა სოციალურ ფენებს შორის საზღვრები და ინდივიდებს საშუალება ეძლევათ იმოძრაონ ერთი სოციალური ფენიდან მეორეში. გელნერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინდუსტრიული საზოგადოება „მობილუ-რია, იმიტომ რომ, ის ეგალიტარულია; ის ეგალიტარულია, იმიტომ

რომ, ის მობილურია. უფრო მეტიც: ის უნდა იყოს მობილური უნდა თუ არა, რადგან ეს მისი არნახული და ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდის სურვილის განხორციელების პირობაა". გელნერის აზრით, სწორედ თანასწორობისკენ, მობილობისკენ, სისტემატიზაციისკენ, სტანდარტიზაციისკენ, ჰომოგენურობისკენ მიმართულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და სოციალურ-კულტურულმა პროცესებმა განაპირობეს ახალ ეპოქაში ერების ჩამოყალიბება (გელნერი, 2003).

ზოგადად, ბენედიქტ ანდერსონის (ანდერსონი, 2003) პოზიციაც მსგავსია. თუმცა, პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორების ნაცვლად, ის ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-კულტურულ საკითხებზე. ანდერსონის კონცეფციის თანახმად, ერის ჩამოყალიბება ეროვნული ცნობიერების საფუძველზე ხდება, ხოლო ამ უკანასკნელის წარმოქმნაში გადამწყვეტი როლი „ბეჭდვითმა" ენამ შეასრულა. ანდერსონის განმარტებით, განსხვავებული დიალექტების შერწყმისა და სალიტერატურო ენებად ჩამოყალიბების პროცესში უდიდესი როლი შეასრულა კაპიტალიზმმა, რომელმაც შექმნა „მექანიკურად რეპროდუცირებული საგამომცემლო ენები" (ანდერსონი, 2003). სწორედ „ბეჭდვითმა" ენებმა ჩაუყარეს საფუძველი ეროვნული შეგნების განვითარებას, რადგან „ბეჭდური პროდუქციის გზით დაკავშირებულმა ახალმა მკითხველმა თაობამ შექმნა წარმოსახვითი ეროვნული საზოგადოების ემბრიონი" (ანდერსონი, 2003). აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ახალ დროში, სახელმწიფო მმართველობის წარმოებაც სწორედ საგამომცემლო ენებს დაეფუძნა და ამასთანავე, დასტამბული წიგნის მუდმივი ფორმიდან გამომდინარე, კაპიტალისტურმა საგამომცემლო საქმემ ენას სტაბილური და, ფაქტობრივად, მარადიული თვისება შესძინა (ანდერსონი, 2003). ანდერსონის დასკვნით, „კაპიტალიზმისა და ბეჭდვითი ტექნოლოგიის შერწყმამ, კაცობრიობის ენათა მრავალფეროვნებასთან ერთად, ხელი შეუწყო წარმოსახვითი საზოგადოების ახალი ფორმის გაჩენას, რომელმაც თავისი საბაზისო მორფოლოგიით საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ერის წარმოშობას" (ანდერსონი, 2003).

ანდერსონი მიიჩნევს, რომ ერის წარმოშობის შესახებ საუბრისას, „ბეჭდვითი" ენის ფაქტორთან ერთად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ისიც, რომ დასავლეთ ევროპაში მე-18 საუკუნე გვევლინება არა მხოლოდ ნაციონალიზმის ეპოქის დასაწყისად, არამედ „რელიგიური აზროვნების მზის ჩასვენების მომასწავებლადაც" (ანდერსონი, 2003). რელიგიის გავლენის შესუსტების კვალდაკვალ „მნიშვნელოვ-

ნად იცვლებოდა სამყაროს აღქმა“ (ანდერსონი, 2003) და ამ კონტექსტში, ანდერსონის აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა დროისა და მონარქიის მიმართ დამოკიდებულების ცვლილება. შუა საუკუნეების ქრისტიანული აზროვნებით, ისტორია არ წარმოადგენდა მიზეზთა და შედეგთა დაუსრულებელ ჯაჭვს ან აწმყოსა და წარსულის რადიკალურ განცალკევებას და ეს შუასაუკუნეობრივი „ერთდროულობა“ ახალ ეპოქაში შეცვალა „ერთფეროვანი, ცარიელი დროის“ იდეამ, სადაც „ერთდროულობა ახსნილია როგორც გადამკვეთი, თანმხვედრი დრო, ხოლო დროის საზომად მიჩნეულია საათი და კალენდარი“ (ანდერსონი, 2003). გარდა ამისა, შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი იყო საზოგადოების მმართველებისადმი დაქვემდებარებულობის, მათ ქვეშევრდომად ყოფნის აღიარება სრულიად ბუნებრივ მოვლენად – „მონარქები, რომლებიც ნებისმიერი სულიერისგან გამორჩეულის პრივილეგიით სარგებლობდნენ, კოსმოლოგიური (ღვთაებრივი) ნიშნით მართავდნენ ხალხს და ქვეყანას“ (ანდერსონი, 2003). ამგვარი მიმართება ახალ ეპოქაში შეიცვალა – რელიგიისა და მონარქიის გავლენის დაღმასვლის პარალელურად დამკვიდრდა ერი, როგორც ლოიალობის ახალი ობიექტი, როგორც პოლიტიკური ლეგიტიმაციის ახალი საფუძველი, როგორც ახალი უმაღლესი ღირებულება.

ანდერსონი აღნიშნავს, რომ „ერის წარმოსახვის“ შესაძლებლობაც კი ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობეს, რადგან შუასაუკუნეობრივმა წარმოდგენებმა სწორედ ახალ ეპოქაში „დაკარგეს თავიანთი აქსიომატური გავლენა ადამიანის გონებაზე“ (ანდერსონი, 2003). ანდერსონის განმარტებით, ერი არის „წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება და ის წარმოისახება როგორც მისთვის თანმხლები საზღვრებით, ასევე სუვერენულობით. ის წარმოსახვითია, რადგან ყველაზე პატარა ერის წევრებიც კი ვერასოდეს გაიცნობენ ამ ერის წევრთა უმრავლესობას, ვერ შეხვდებიან და ვერაფერს გაიგებენ მათ შესახებ; და მაინც, ყოველი მათგანის გონებაში შექმნილია მათი ერთობის ხატი. ფაქტობრივად, წარმოსახვითია ყველა ის საზოგადოება, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე პირველყოფილი სოფლის ახლო ურთიერთკავშირში მყოფი მოსახლეობა (ისიც კი შესაძლოა წარმოსახვითი იყოს)“ (ანდერსონი, 2003).

ეთნოსიმბოლიზმი თითქოს ცდილობს შუალედური პოზიცია დაიკავოს პრიმორდიალიზმსა და მოდერნიზმს შორის და გააწონასწოროს

მათი „უკიდურესობები“. ერთი მხრივ, ეთნოსიმბოლიზმი იზიარებს მოდერნისტთა პრინციპულ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ერების წარმოშობა ახალი ეპოქის შედეგია და ამ მხრივ უარყოფს პრიმორდიალისტების მტკიცებას ერების შუა საუკუნეებსა თუ უფრო ადრეულ ეპოქებში არსებობის შესახებ; მეორე მხრივ, ეთნოსიმბოლიზმი აღიარებს ერების ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში ეთნოსებისა თუ ეთნოკულტურული ერთობების დიდ მნიშვნელობას, რითიც ემიჯნება მოდერნიზმს და პრიმორდიალიზმისკენ, უფრო ზუსტად, პრიმორდიალიზმის ნაკლებად რადიკალური მიმდინარეობის – პერენიალიზმისკენ იხრება. ეთნოსიმბოლისტები არ უარყოფენ პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენას ერის ფორმირების პროცესზე, თუმცა, მათი ყურადღება ძირითადად კონცენტრირებულია კულტურულ-ისტორიულ ფაქტორებზე (Smith, 2009).

ეთნოსიმბოლიზმის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად ითვლება ენტონი სმითი, რომელიც მკაფიოდ აფიქსირებს, რომ „ერებს მოდენისტებიც და ეთნოსიმბოლისტებიც განიხილავენ როგორც ისტორიულ ერთობებს, რომლებიც ჩაისახნენ კონკრეტულ ისტორიულ და გეო-კულტურულ კონტექსტებში“ (Smith, 2009). თუმცა, სმითის დაკვირვებით, მოდერნისტები, როცა ერების წარმოშობის შესახებ საუბრობენ, „უმეტესად, ეთნიკურობის მარგინალიზაციას ახდენენ“, ხოლო ეთნოსიმბოლისტებისთვის ეთნიკური კავშირები თამაშობს „უპირატეს როლს ერების ფორმირებაში და არაერთ შემთხვევაში ერები ჩამოყალიბდნენ მათი წინამორბედი ეთნიკური ერთობების, ან ეთნოსების საფუძველზე. მაგრამ არა ყველა შემთხვევაში. არ არსებობს ერთი ერთზე თანხვედრა ერსა და მის წინამორბედ ეთნოსს შორის“ (Smith, 2009). სმითის განმარტებით, როცა ერების ფორმირება ეთნიკურ ერთობებს ემყარება, სწორედ ამ ეთნოსების „სიმბოლოების, მეხსიერებების, ტრადიციებისა და მითების“ საფუძველზე ხდება ერების და მათი „ახალი ეროვნული სახელმწიფოების საჯარო კულტურის, სიმბოლური კოდებისა და სისტემების, მრავალი კანონისა თუ ჩვეულების ჩამოყალიბება“ (Smith, 2009).

ეთნოსიმბოლისტების თვალსაზრისით, მართალია, ერები შეიძლება ნაწილობრივ „შექმნილ-გამოჭედილ იქნეს პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ“, მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ისინი საჭიროებენ „ეთნო-კულტურულ საფუძველს სოლიდარული ერთობის შესაქმნელად, უმთავრესად, იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული იდენტობის გრძნობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სუბიე-

ქტური განზომილებები“ (Smith, 2009). სმითი აღნიშნავს, რომ ერის ან ეთნოსის სხვადასხვა ასპექტის ანალიზის დროს, გარკვეული მიზეზების გამო, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება სწორედ კულტურულ ელემენტებს: სიმბოლოებს, მითებს, მეხსიერებებს, ღირებულებებს, ტრადიციებს. სმითი იქვე აკონკრეტებს, თუ რა მიზეზები განაპირობებს მის მიერ კულტურული ელემენტების მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილებას. მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ კულტურულ ელემენტთა სხვადასხვა კომბინაცია თამაშობდა და ახლაც თამაშობს სასიცოცხლო როლს სოციალური სტრუქტურებისა და კულტურების ფორმირებაში, ერთობის შიგნით სხვადასხვა სექტორისა და ინსტიტუციის ურთიერთმიმართების განსაზღვრასა და ლეგიტიმაციაში. მეორე, იგივე კულტურული ელემენტები უზრუნველყოფენ თითოეულ ერთობას განსხვავებული სიმბოლოების რეპერტუარით, ენის, რელიგიის, ჩვეულებებისა და ინსტიტუციების თვალსაზრისით, რაც ეხმარება მათ გაემიჯნონ სხვა ანალოგიურ ერთობებს, როგორც ამ ერთობების წევრების შიდა პოზიციიდან, ასევე გარეშეთა პოზიციიდან, ანუ ეს ელემენტები უფრო მკაფიოს ხდიან სოციალურ საზღვრებს, რომლებიც „ჩვენ“ გვყოფს „სხვებისგან“. დაბოლოს, საზიარო ღირებულებები, მეხსიერებები და ტრადიციები ეხმარება ერთობებს შეინარჩუნონ უწყვეტობის გრძნობა წინა თაობებთან. ისეთი კოლექტიური სიმბოლოები, როგორიცაა დროშა, ჰიმნი ან ეროვნული დღესასწაულები „ძალზე მნიშვნელოვანია საჯარო კულტურის თვალსაზრისით, რომელიც ხელს უწყობს ერთობის გამაერთიანებელი კავშირებისა და ეროვნული იდენტობის გრძნობის შექმნასა და შენარჩუნებას“ (Smith, 2009).

ეთნოსიმბოლიზმისთვის ერთ-ერთი პრინციპული საკითხია ის, თუ როგორ განასხვავებს ეს მიმდინარეობა ერს ეთნოსისაგან. სმითი ერს განიხილავს, როგორც „სახელის მქონე, თვითგანმსაზღვრელ ერთობას, რომლის წევრები კულტივირებას უწევენ საზიარო სიმბოლოებს, მითებს, მეხსიერებებს, ღირებულებებსა და ტრადიციებს, მკვიდრობენ და დაკავშირებული არიან ისტორიულ ტერიტორიასთან ან სამშობლოსთან, ქმნიან და ავრცელებენ გარკვეულ საჯარო კულტურას და იცავენ საზიარო ჩვეულებებსა და სტანდარტიზებულ კანონებს“ (Smith, 2009). ეთნოსს („ეთნის“) კი სმითი უწოდებს „სახელის მქონე, თვითგანმსაზღვრელ ერთობას, რომლის წევრებს აქვთ: მითი საერთო წინაპრის შესახებ, საზიარო მეხსიერებები, საერთო კულტურის ერთი ან მეტი ელემენტი, ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ელე-

მენტის ჩათვლით, და სოლიდარობის გარკვეული დონე, სულ მცირე ზედა ფენებში“(Smith, 2009). სმითი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეთნოსის განმარტებისგან განსხვავებით, ერის მისეულ დეფინიციაში ყურადღება გამახვილებულია სამართლებრივ, ტერიტორიულ და პოლიტიკურ (ფართო გაგებით) განზომილებებზე. ეს მოიცავს შემდეგ ასპექტებს: დასახლებული ტერიტორია, საჯარო კულტურა და სტანდარტიზებული ჩვეულებები და კანონები – რაც ეთნოსსაც შეიძლება ჰქონდეს ერთად ან ცალკე რომელიმე მათგანი, მაგრამ ეთნოსისთვის ამის საჭიროება არ არსებობს (Smith, 2009).

ერის თანამედროვე განმარტებების მიმოხილვისას ცალკე უნდა შევეხოთ როჯერს ბრუბეიკერის კონცეფციას. ბრუბეიკერი გამოყოფს ეროვნების „შემეცნებით განზომილებას“ და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეთნიკურობა, ერი და რასა არსებობს „ჩვენს აღქმაში, წარმოსახვაში, ინტერპრეტაციაში, კატეგორიზაციაში, იდენტიფიკაციაში (და მათი მეშვეობით). ეს არის ისეთი რამ, რაც არსებობს არა სამყაროში, არამედ სამყაროს შესახებ ჩვენს პერსპექტივაში“ (Brubaker, 2002).

ბრუბეიკერი ერის (ანალოგიურად, ეთნიკურობისა და რასის) შესახებ საუბრისას აუცილებლად მიიჩნევს „ჯგუფიზმისგან“ (groupism) გათავისუფლებას. მისი განმარტებით, „ჯგუფიზმი“ არის „ტენდენცია, რომ განვიხილოთ განცალკევებული, მკვეთრად განსხვავებული, შინაგანად ჰომოგენური და გარეგნულად შემოფარგლული ჯგუფები, როგორც სოციალური ცხოვრების ბაზისური შემადგენელი ნაწილები, სოციალური კონფლიქტების მთავარი პროტაგონისტები და სოციალური ანალიზის ფუნდამენტური ერთეულები“ (Brubaker, 2002). ბრუბეიკერი დასძენს, რომ „ჯგუფიზმში“ ის გულისხმობს აბრსტაქტულის კონკრეტულად ქცევის ტენდენციას, რომელიც „ეთნიკურ ჯგუფებს, ერებსა და რასებს ეპყრობა როგორც ცხად/რეალურ ორგანიზმებს, რომელთაც შეიძლება მიეწეროს ინტერესები და ქმედებები“ (Brubaker, 2002).

ბრუბეიკერის თანახმად, პრინციპულად მნიშვნელოვანია „ჯგუფისა“ და „კატეგორიის“ ცნებათა ერთმანეთისგან გამიჯვნა, რადგან ხშირად გაუგებრობას იწვევს სწორედ ის, რომ ჯგუფებსა და კატეგორიებს შორის ზღვარი არ არის გავლებული. ბრუბეიკერის განმარტებით, თუ ტერმინით „ჯგუფი“ აღვნიშნავთ „ერთობლივად მოურთიერთე, ერთობლივად ამოცნობად, ერთობლივად ორიენტირებულ, ეფექტიანი კომუნიკაციის მქონე, შეზღუდულ ერთობას, რომელსაც

აქვს სოლიდარობის, კორპორატიული იდენტობის გრძნობა და ურთიერთშეთანხმებული ქმედებების უნარი, ცხადი უნდა იყოს, რომ კატეგორია არ არის ჯგუფი (Brubaker, 2002). აქედან გამომდინარე, ბრუბეიკერი გვირჩევს მკაფიოდ განვასხვავოთ ერთი მხრივ, მაგალითად, „უნგრელი“ ან „უნგრული“, როგორც კატეგორია და, მეორე მხრივ, „უნგრელები“, როგორც ჯგუფი და ყურადღება გავამახვლოთ კატეგორიაზე (Brubaker, 2002).

თავის კონცეფციას ბრუბეიკერი წარმოაჩენს „ეთნოკონფლიქტების“ პრობლემატიკის ფონზე და მათ „ეთნიზირებულ“ ან „ეთნიკურობის ჩარჩოში ჩასმულ“ (ethnically framed) კონფლიქტებს უწოდებს (Brubaker, 2002). მისი აზრით, ეს არის „პოლიტიზებული ეთნიკურობის“ გამოხატულება და, მართალია, ასეთი კონფლიქტების მამოძრავებელ ძალებად ხშირად სწორედ ეთნიკურ ჯგუფებს მიიჩნევენ, სინამდვილეში, ეთნიკური კონფლიქტების და მით უმეტეს ეთნიკური ძალადობის ძირითადი პროტაგონისტები არა ეთნიკური ჯგუფები, არამედ სხვადასხვა სახის ორგანიზაციები არიან. ბრუბეიკერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაუმართლებელია ცალკეული ორგანიზაციების გაიგივება მთელ ეთნიკურ ჯგუფთან, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები ხშირად საუბრობენ და მოქმედებენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სახელით, მაგრამ ანალიტიკოსების მოვალეობაა ამ ორის ერთმანეთისგან გამიჯვნა (Brubaker, 2002).

ბრუბეიკერის კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა „ჯგუფურობა“ (groupness). ის განმარტავს, რომ ერის (ეთნიკურობის, რასის) კვლევისას „მთავარ ანალიტიკურ კატეგორიად“ უნდა ავიღოთ არა „ჯგუფი“, როგორც სუბსტანცია/საგანი/ორგანიზმი, არამედ „ჯგუფურობა“, როგორც „კონტექსტზე დამოკიდებული კონცეპტუალური ცვლადი“ (Brubaker, 2002). ბრუბეიკერის თვალსაზრისით, ერის (ეთნიკურობის) შესახებ საუბრისას, უპირველესად, ჯგუფი კი არ უნდა „დავინახოთ“, არამედ „ჯგუფურობა“, როგორც ცვალებადი რამ, რაც საშუალებას მოგვცემს (პოტენციურად) ავხსნათ ერთობის წევრთა შორის „კოლექტიური სოლიდარობის გრძნობის“ გაძლიერების, ერთიანობის განცდის კულმინაციური ფაზები. ამგვარი მიდგომის საფუძველზე „ჯგუფურობა“ შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მოვლენა, ანუ ისეთი რამ, რაც ხდება, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება არც მოხდეს. „ჯგუფურობის“ მაღალი ხარისხი (რაც ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი), არ არის მუდმივი, სტაბილური მოცემულობა და მისი „კრისტალიზაცია“ შესაძლოა არ განხორციელდეს, „ჯგუ-

ფისქმნადობის“ პროცესისთვის ხელსაყრელი პირობებისა და დაინტერესებული ძალების მონდომების მიუხედავად (Brubaker, 2002).

ამგვარად, „ჯგუფის“ ცნებიდან „ჯგუფურობაზე“ აქცენტის გადატანით ერი წარმოგვიდგება როგორც გარკვეული დინამიკური პროცესი, რომელიც ერთობის წევრთა „ჯგუფურობის“ „ცვალებად ინტენსივობას“ ასახავს და კონკრეტულ პერიოდებში, კონკრეტული ფაქტორების ზემოქმედებით, „ჯგუფურობის“ დონის გაზრდის შედეგად, ერთიან ჯგუფად იქცევა (მაგრამ ეს არ არის მუდმივი ჯგუფი და ეს არ არის ამ პროცესის გარდაუვალი შედეგი). ამ კონტექსტში ბრუბეიკერი იმოწმებს პიერ ბურდიეს ცნობილ ნაშრომს „ენა და სიმბოლური ძალა“ (Bourdieu P. Language and Symbolic Power, 1991) და განმარტავს, რომ „თუ ჩვენ განვიხილავთ ჯგუფურობას, როგორც ცვლადს და ჯგუფებს განვასხვავებთ კატეგორიებისგან, მაშინ ჯგუფისქმნადობა შეგვიძლია მოვიაზროთ როგორც სოციალური, კულტურული და პოლიტიკური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კატეგორიების ჯგუფებად ტრანსფორმაციას ან ჯგუფურობის დონის გაზრდას“ (Brubaker, 2002).

ზემოხსენებული მიმდინარეობების ამ ზედაპირული მიმოხილვის საფუძველზე ალბათ შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ მოდერნისტები ერს განიხილავენ ადამიანთა ისეთ ერთობად, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ეროვნული ცნობიერებით, მეტ-ნაკლებად სტანდარტიზებული და ჰომოგენიზებული კულტურით (უპირველესად, „ბეჭდვითი“ ენით). მოდერნისტების თანახმად, ადამიანთა ერთობას მაშინ შეიძლება ეწოდოს ერი, როცა ამგვარი კავშირი მოიცავს მის წევრთა უმრავლესობას და ასეთი ტიპის ერთობის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა მხოლოდ „მოდერნიზაციის“ – ინდუსტრიული კაპიტალიზმისა და თანამედროვე სახელმწიფო სისტემის წარმოშობა-განვითარების პროცესში.

ასეთი მიდგომა უცხოა პრიმორდიალიზმისთვის, რომელიც არაარსებითად მიიჩნევს იმის გარკვევას, ეროვნული ცნობიერება ერთობის უმრავლესობას აქვს თუ მხოლოდ ელიტას ან შედარებით უფრო ფართო ჯგუფს. პრიმორდიალისტებისთვის მთავარია ეთნიკური კავშირები და მათი უწყვეტობა, ანუ მოცემული ერთობის უწყვეტი ეთნიკური კავშირი წინა თაობებთან.

ეთნოსიმბოლისტები, ამ მხრივ, იზიარებენ მოდერნისტთა პოზიციას, თუმცა, ყურადღებას ამახვილებენ ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის ჩამოყალიბებისთვის მანამდე არსებული ეთნოკულტურული „მასალის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ეროვნული

ცნობიერების წარმოშობა და მისი გავრცელების მასშტაბი უშუალოდ უკავშირდება ნაციონალიზმის საკვანძო საკითხებს.

ნაციონალიზმი

დღეისათვის ნაციონალიზმის შესახებ დაწერილია უამრავი ნაშრომი, სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე გამოყოფენ ნაციონალიზმის რამდენიმე ტიპს, შექმნილია შესაბამისი კლასიფიკაციები (დავითაშვილი, 2003). თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ფენომენი სრულად არის შესწავლილი და ძირითადი გაურკვევლობები უკვე ამოწურულია. ნაციონალიზმთან დაკავშირებული კვლევები, როჯერს ბრუბეიკერის შეფასებით, ხასიათდება „ღრმა ამბივალენტობითა და ქრონიკული ორაზროვნებით. ერთი მხრივ, ნაციონალიზმი ასოცირდება მილიტარიზმთან, ომთან, ირაციონალიზმთან, შოვინიზმთან, შეუწყნარებლობასთან, ჰომოგენიზაციასთან, იძულებით ასიმილაციასთან, ავტორიტარიზმთან, შეზღუდულობასთან, ქსენოფობიასთან, ეთნოცენტრიზმთან, ეთნიკურ წმენდასთან, გენოციდთანაც კი; ის მოიხსენიეს, როგორც „მეოცე საუკუნის სრული პოლიტიკური სირცხვილი“. მეორე მხრივ, ეროვნება და ნაციონალიზმი დაკავშირებულია დემოკრატიასთან, თვითგამორკვევასთან, პოლიტიკურ ლეგიტიმურობასთან, სოციალურ ინტეგრაციასთან, სამოქალაქო რელიგიასთან, სოლიდარობასთან, ღირსებასთან, იდენტობასთან, კულტურულ გადარჩენასთან, მოქალაქეობასთან, პარტიოტიზმთან და სხვათა მმართველობისგან გათავისუფლებასთან“ (Brubaker,1999). ბრუბეიკერი განმარტავს, რომ ამგვარი ამბივალენტობა, უპირატესად, გაურკვევლობას ეფუძნება, რადგან, ის, თუ როგორ აფასებს ხალხი ნაციონალიზმს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ესმით მათ ეს ფენომენი (Brubaker,1999).

მაიკლ ჰეჩტერის აზრით, მართალია ნაციონალიზმი ხშირად ხელოვნების, ინტელექტუალური და პოლიტიკური შთაგონების წყაროა, ის ზოგჯერ სამოქალაქო ომისა და ძალადობის ყველაზე შეუწყნარებელი საბაბიც ხდება (ჰეჩტერი, 2007).

მე-19 საუკუნეში ნაციონალიზმი, ძირითადად, განთავისუფლებისა და მოდერნიზაციის იდეოლოგიად მიიჩნეოდა, მაგრამ, მოგვიანებით, „ორი მსოფლიო ომის შოკმა და ჰოლოკოსტის საშინელებამ“ (Smith, 2009) ნაციონალიზმისადმი დამოკიდებულება შეცვალა. ბენედიქტ ანდერსონი 1983 წელს გამოქვეყნებულ თავის ცნობილ წიგნში („წარმოსახვითი საზოგადოებები“) აღნიშნავდა: „თანამედროვე ეპოქაში ჩვეულ მოვლენად იქცა პროგრესული კოსმოპოლიტი ინტე-

ლიგენციის ახირება (განსაკუთრებით ევროპაში), რაც გამოიხატება იმაში, რომ ნაციონალიზმს თითქმის პათოლოგიურ ხასიათს ანიჭებენ, მისი მიზეზების ახსნას კი სხვებისადმი შიშისა და სიძულვილის საფუძველზე ცდილობენ და რასიზმთან აიგივებენ“ (ანდერსონი, 2003). ანდერსონისთვის ნაციონალიზმი ასეთი ერთმნიშვნელოვანი მოვლენა არ იყო და ამ იდეოლოგიის განვითარების პერსპექტივასაც ხანგრძლივ პერიოდს უკავშირებდა. იგი მიიჩნევდა, რომ „ნაციონალიზმის ხანის დასასრული, რასაც აქამდე დაბეჯითებით წინასწარმეტყველებდნენ“ ახლო მომავალში მოსალოდნელი არ იყო, რადგან დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში „ეროვნულობა საყოველთაო კანონიერ ღირებულებად იქცა“ (ანდერსონი, 2003).

მეოცე საუკუნის დასასრულს, როცა „კლასთა პოლიტიკა კულისებისკენ ინაცვლებს“, მაიკლ ჰეჩტერის შეფასებით, სწორედ „ეთნიკურობის პოლიტიკა“ იწყებს გამოსვლას წინა პლანზე (ჰეჩტერი, 2007). ჰეჩტერის თანახმად, ეთნიკურობა მძლავრად იკიდებს ფეხს ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოპულარული კულტურა და მსოფლიო პოლიტიკა, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ „ჰოლივუდის ვარსკვლავები ოდესღაც მალავდნენ თავის ეთნიკურ წარმომავლობას და ანგლოსაქსურ სახელებს ირქმევდნენ. ახლა ეთნიკურად გამორჩეული სახელები მოდაშია... პოპულარულმა კულტურამ მაგალითი ფართო პოლიტიკური მიმდინარეობებიდან აიღო. ნაციონალიზმი და მისი უახლოესი ბიძაშვილი, ეთნიკურობა, ამჟამად ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალებია მსოფლიოში“ (ჰეჩტერი, 2007). ამგვარი რეალობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ნაციონალიზმისადმი ინტერესი გაიზარდა, მის შესახებ უკვე დაწერილია უამრავი სტატია „წიგნების მთელი მთები“, მაგრამ მიუხედავად ამისა, „მაინც ძალიან ცოტა ვიცით ზოგადად ნაციონალიზმის შესახებ“ (ჰეჩტერი, 2007).

ნაციონალიზმის განმარტებისა და არსის გასარკვევად ჩვენ ზემოხსენებულ სამ ძირითად თეორიულ მიმდინარეობას (პრიმორდიალიზმი, მოდერნიზმი და ეთნოსიმბოლიზმი) უნდა დავუბრუნდეთ და მოკლედ მიმოვიხილოთ მათი წარმომადგენლების საკვანძო პოზიციები ნაციონალიზმთან დაკავშირებით.

პრიმორდიალიზმის თანახმად, ნაციონალიზმი კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, რადგან ის ერის იდეოლოგიაა, ერები კი უძველესი დროიდან არსებობენ (დავითაშვილი, 2009).

მოდერნიზმი ნაციონალიზმს განიხილავს იმ იდეოლოგიად და იმ პოლიტიკურ მოძრაობად, რომელიც მოდერნიზაციის პროცესში წარმოიშვა და რომელსაც ეფუძნება „ერის მშენებლობა“. ნაციონალიზმის შესახებ მოდერნიზმის ზოგადი მიდგომის დახასიათებისას განმარტავენ, რომ მოდერნისტთა შეფასებით: ორივე (ნაციონალიზმი და ერი) არის პროდუქტი „მოდერნიზაციის“, ანუ საზოგადოებათა გლობალური მოძრაობისა „მოდერნულობის“ მდგომარეობისკენ (Smith, 2009). ერნესტ გელნერის თანახმად, „ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეროვნული ერთობა ურთიერთთანხვედრილი უნდა იყოს. ნაციონალიზმი, როგორც განწყობა, ან როგორც მოძრაობა, ყველაზე უკეთ ამ პრინციპის მიხედვით შეიძლება განისაზღროს“ (გელნერი, 2003). გელნერი აღნიშნავს, რომ ნაციონალისტური განწყობა არის, ან ამ პრინციპის დარღვევით გამოწვეული უკმაყოფილების, ან ამ პრინციპის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი კმაყოფილების გრძნობა, ანუ ნაციონალისტური მოძრაობა არის ის, რასაც განწყობის ეს ტიპი წარმოშობს. გელნერის დასკვნით, „ნაციონალიზმი არის პოლიტიკური ლეგიტიმურობის თეორია, რომელიც მოითხოვს, რომ ეთნიკური საზღვრები პოლიტიკურს არ კვეთდეს“ (გელნერი, 2003). როგორც ვხედავთ, გელნერი ნაციონალიზმს, როგორც იდეოლოგიას და როგორც მოძრაობას, უწინარესად, პოლიტიკის სფეროს მიაკუთვნებს. ამასთანავე, მისი აზრით, ამ სფეროში ნაციონალიზმის ადგილი და მიზანი, უპირველესად, ერისა და თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას უკავშირდება. გელნერი აღნიშნავს, რომ „ერებს მხოლოდ ნაციონალიზმი წარმოშობს და არა პირიქით“ (გელნერი, 2003). რაც შეეხება ერისა და სახელმწიფოს ურთიერთთანხვედრას, გელნერის განმარტებით, „ნაციონალიზმი თვლის, რომ ისინი (სახელმწიფო და ერი) ერთმანეთს უნდა ეკუთვნოდნენ, რომ ერთი მეორეს გარეშე არასრულყოფილია და ტრაგედიას წარმოშობს. მაგრამ, სანამ ერთმანეთისთვის განკუთვნილები გახდებოდნენ, ისინი უნდა წარმოშობილიყვნენ; ეს წარმოშობა კი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და შემთხვევითი იყო“ (გელნერი, 2003).

გელნერის მსგავსად, ნაციონალიზმს, უპირველესად, პოლიტიკურ სიბრტყეზე განიხილავს არაერთი მკვლევარი. მაგალითად, ჯონ ბრიუილის (Breuilly) აზრით, ნაციონალიზმი ყველაზე უკეთ გასაგებია, როგორც „პოლიტიკური ქცევის ზედმიწევნით შესაფერისი ფორმა თანამედროვე სახელმწიფოსა და თანამედროვე სახელმწიფო სისტე-

მის კონტექსტში... ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკა, ხოლო პოლიტიკა – ძალაუფლება. თანამედროვე მსოფლიოში ძალაუფლება პრინციპულად სწორედ სახელმწიფოს კონტროლს უკავშირდება“ (Breuilly, 1993).

ნაციონალიზმს უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს ბენედიქტ ანდერსონი. მისი აზრით, ნაციონალიზმის კვლევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე, არამედ ასევე „ნაციონალიზმის კულტურულ ფესვებზე“ (ანდერსონი, 2003). ანდერსონის განმარტებით, ნაციონალიზმი გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც „შეგნებულ პოლიტიკურ იდეოლოგიებთან გაიგივებული მოვლენა, არამედ როგორც ფართო კულტურულ სისტემებთან გათანაბრებული, რომლებიც წინ უსწრებდნენ მას და მის წარმოშობასაც მისცეს დასაბამი“ (ანდერსონი, 2003). ზემოთ უკვე ითქვა, რომ ანდერსონი ერს „წარმოსახვით პოლიტიკურ საზოგადოებას“ უწოდებს, მეორე მხრივ, მისი აზრით, ერი ყოველთვის მოიაზრება როგორც „ჰორიზონტალური ამხანაგობა, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ძმობა, რომელიც ამ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მილიონობით ადამიანს მოუწოდებს არა იმდენად სხვების განადგურებისკენ, რამდენადაც თავის გაწირვისკენ“ (ანდერსონი, 2003). სწორედ ამ და ფართო კულტურულ კონტექსტს უკავშირებს ანდერსონი იმ უმთავრეს კითხვას, რომელსაც ნაციონალიზმი წამოჭრის: „როგორ ხდება, რომ უახლესი ისტორიის (არაუმეტეს ორი საუკუნის) უკვე „შეთელილი“ წარმოსახვები (shrunken imaginings) წარმოშობს თავგანწირვის ასეთ კოლოსალურ რაოდენობას? მჯერა, რომ პასუხი ამ კითხვაზე ნაციონალიზმის კულტურულ ფესვებში უნდა ვეძებოთ“ (Anderson, 2006). ანდერსონის მიერ ფართო კულტურულ კონტექსტში დანახული და შესწავლილი ნაციონალიზმის განმარტება მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „ნაციონალიზმი არის სეკულარიზაციის, ადამიანური მრავალფეროვნების, კაპიტალიზმისა და ბეჭდვითი ტექნოლოგიის განვითარების ნაზავის შედეგი“ (თევზაძე, 2009).

„ნაციონალიზმის კულტურულ ფესვებს“ კიდევ უფრო ღრმად იკვლევს ლეა გრინფელდი, რომელიც თავისივე შეფასებით, „ერნესტ გელნერის კვალს გაჰყვა“, თუმცა გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, „ფუნდამენტურ დონეზე“ განსხვავებული პოზიცია აქვს (Greenfeld, 2005).

გრინფელდი აღნიშნავს, რომ გელნერი, ისევე როგორც სხვა სოციოლოგ-სტრუქტურალისტები და მატერიალისტები ფილოსო-

ფიაში, საზოგადოებასა და ისტორიას განიხილავდნენ ესენციურად, – ბიოლოგიური ევოლუციის გაგრძელებად, ხოლო ის (გრინფელდი) თავის მსჯელობაში „ემპირიულ განზოგადებას“ ეფუძნება. გრინფელდის თვალსაზრისით, კაცობრიობა თავისებური რეალობაა, რომელიც ცხოველთა სხვა სახეობებისგან განსხვავდება იმით, რომ თავის ცხოვრების წესს თაობიდან თაობას გადასცემს არა გენეტიკურად, ანუ მატერიალურად, არამედ სიმბოლური გზით, ანუ არამატერიალურად. ეს განსაკუთრებულობა გარდაუვლად მჟღავნდება როგორც ადამიანური საზოგადოების სპეციფიკაში, ასევე ადამიანის ისტორიის თავისებურებებში, რადგან ადამიანის ისტორია, სხვა სახეობების განვითარებისგან განსხვავებით, კულტურით წესრიგდება და მხოლოდ ამის შემდეგ ბიოლოგიური ევოლუციით. გრინფელდის დასკვნით, სწორედ აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა, – ისტორიული და სოციალური პროცესების შესწავლისას, ყურადღება გამახვილდეს კულტურაზე და კულტურული (სიმბოლური) ფაქტორები განხილულ იქნენ, ერთდროულად, როგორც ამხსნელი, ასევე ასახსნელი მოვლენები (Greenfeld, 2005). გრინფელდის ამგვარი მიდგომა განაპირობებს მის მცდელობას, ახსნას, თუ როგორ ესმის მას ზოგადად კულტურა და შემდეგ განმარტოს, რა კავშირს ხედავს ნაციონალიზმსა და თანამედროვე კულტურას შორის.

გრინფელდის თანახმად, „ყველაზე ზოგად დონეზე, კულტურა – ეს არის ცხოვრებისა და ადამიანური თანამშრომლობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმების გადაცემის პროცესი თაობებს შორის და დისტანციაზე... ადამიანი – ერთადერთი ბიოლოგიური სახეობაა, რომლის არსებობის გაგრძელება დამოკიდებულია ტრადიციის სიმბოლოების გზით გადაცემაზე“ (Greenfeld, 2005). თუმცა, გრინფელდი კულტურის ამ ზოგადი განმარტებით არ კმაყოფილდება, რადგან, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ „კულტურა ქმნის ადამიანის ცნობიერებას“ (Greenfeld, 2005). გრინფელდი განმარტავს, რომ ცნობიერება სიმბოლური და მენტალური პროცესია, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული კულტურასთან, რადგან „ცნობიერება ინდივიდუალიზებული კულტურული პროცესია, ან ტვინის ფარგლებში მოქცეული კულტურა... ეს უნიკალური ადამიანური მენტალური პროცესები მოიცავს: იდენტობას, ნებას და სიმბოლურ წარმოსახვას. სიმბოლური წარმოსახვა – ადამიანის ცნობიერების ძირითადი უნარია, რომელსაც ეფუძნება ცნობიერების ყველა ფუნქცია და თვით ცნობიერების ჩამოყალიბება (მთლიანად

– კულტურული პროცესი). სიმბოლური წარმოსახვა ტვინში ახალი ინფორმაციის შექმნის უნარია... ყველაზე განსხვავებული სიმბოლური სისტემა, რომელიც კულტურული რეალობის გულისგულს წარმოადგენს, არის ენა. მაგრამ რადგანაც ჩვენ თვითონ სიმბოლური ქმნილებები ვართ, აქედან გამომდინარე, ჩვენს გარშემო ყველაფერი სიმბოლოდ იქცევა“ (Greenfeld, 2005).

გრინფელდი მიიჩნევს, რომ თანამდროვე კულტურა პრინციპულად განსხვავდება მანამდე არსებული კულტურებისგან და განსხვავების არსი სწორედ ნაციონალიზმის ძირითად პრინციპებს უკავშირდება. მისი თვალსაზრისით, „ნაციონალიზმი არის თანამედროვეობის კულტურა. ეს არის სპეციფიკური თანამედროვე ცნობიერება, სიმბოლური სქემა თანამედროვე რეალობისა და იმ მეთოდისა, რომლის მეშვეობითაც ვხედავთ და, შესაბამისად, ვაგებთ სამყაროს ჩვენს გარშემო“ (Greenfeld, 2005). ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს იმ პოზიციიდან, რომ ტერმინ „ერის“ ნაციონალისტურმა (ანუ თანამედროვე) გაგებამ საფუძველი ჩაუყარა თანასწორთა საზოგადოებას (Greenfeld, 2005). გრინფელდი ნაციონალიზმს განიხილავს, როგორც, ზოგადად, რეალობის ახლებურ ხედვას (Greenfeld, 2005), რომელიც წარმოიშვა მე-16 საუკუნის ინგლისში და რომელმაც შემდგომ პერიოდში ძირეულად შეცვალა ევროპული ცნობიერება და მთლიანად ევროპული სინამდვილე. იგი ნაციონალიზმს უწოდებს „საზოგადოებრივი ცნობიერების უნიკალურ ფორმას, რეალობის შემეცნებითი და მორალური ორგანიზაციის მეთოდს“ (Greenfeld, 2003), გრინფელდის ღრმა რწმენით, სწორედ ნაციონალიზმია „თანამედროვე საზოგადოების მორალური წესრიგის საძირკველი, მისი ღირებულებების წყარო, მისი დამახასიათებელი იდენტობის (ეროვნული) ფუძე და საყრდენი თანამედროვე საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის“ (Greenfeld, 2003).

გრინფელდის თანახმად, ნაციონალიზმი არის „ფუნდამენტურად სეკულარული და ჰუმანისტური ცნობიერება, რომელიც ემყარება სახალხო სუვერენიტეტისა და თანასწორობის პრინციპებს“ (Greenfeld, 2005). გრინფელდის განმარტებით, როცა ის ნაციონალიზმს აიგივებს „თანამედროვეობის კულტურასთან“, ეს ნიშნავს, რომ ნაციონალიზმი ქმნის „კულტურულ საფუძველს თანამედროვე სოციალური სტრუქტურის, ეკონომიკის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, განათლების, ხელოვნების, მეცნიერებისა და ოჯახური ურთიერთობებისთვის“ (Greenfeld, 2005).

საყურადღებოა, რომ გრინფელდი ნაციონალიზმს, ანუ „კოლე-

ქტიური ცნობიერების ახალ ფორმას“ მიიჩნევს „თანამედროვე ეკონომიკის წარმოშობის საკვანძო ფაქტორად“, „კაპიტალიზმის სულის“, „ეკონომიკური ზრდის“ წყაროდ (Greenfeld, 2003). გრინფელდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფო – „ჩვენი ეპოქის მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტი – ასევე ნაციონალიზმის პროდუქტია“ (Greenfeld, 2005). ეგალიტარულ პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების ნაციონალისტური ნიმუში, გრინფელდის თანახმად, „გულისხმობს სოციალური სტრატიფიკაციის ღია და მოძრავ (fluid) სისტემას, ანუ კლასობრივ სისტემას, რომელიც ხასიათდება სოციალური მობილურობით“ და ასეთ საზოგადოებაში „ინდივიდი ისტორიის აგენტად იქცევა, მისი სოციალური პოზიცია და სტატუსი სიმდიდრესა და განათლებას, ანუ ისეთ სიკეთეებს ემყარება, რომელთა შეძენა შესაძლებელია“ (Greenfeld, 2005). აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმის კულტურულ კონტექსტში ადამიანის სტატუსი დაბადებით აღარ განისაზღვრება და ამიტომ ვერანაირი სოციალური მდგომარეობა ველარ იქნება მის იდენტობასთან გათანაბრებული. თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდისგან ელიან, რომ ის თვითონ იქნება თავისი ბედის შემოქმედი. ის თვითონ შექმნის თავის თავს, რაც რეალურად გულისხმობს ასევე ინდივიდის მიერ თავის გარშემო შესაბამისი გარემოს შექმნასაც; მაგრამ იმისათვის, რომ მან ეს შეძლოს ჯერ „თავისი თავი უნდა იპოვოს“. გრინფელდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვითგანსაზღვრა, ანუ თვითიდენტიფიკაცია „არჩევანისა და პასუხისმგებლობის საკითხი ხდება; იმ დროს, როცა ინდივიდი უკვე აღარ არის უბრალოდ სწავლების და გარედან მიწოდებული სიმბოლური ინფორმაციის დამახსოვრების პროდუქტი, იდენტობის აგება იქცევა ამოცანად შემოქმედებითი სიმბოლური წარმოსახვისთვის – გონებრივი უნარისთვის, რომელიც თავის ყველა რუტინულ გამოვლინებაში იდენტობაზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმი ქმნის ადამიანების ახალ თაობებს, ის ცვლის თვით მეთოდს, რომლითაც ყალიბდება და ფუნქციონირებს ცნობიერება. ნაციონალიზმი ინდივიდის ცნობიერებისგან მოითხოვს მთელი იმ სამუშაოს შესრულებას, რომელსაც სხვა კულტურები თავის თავზე იღებდნენ“ (Greenfeld, 2005).

გრინფელდის აზრით, ნაციონალიზმი და დემოკრატია ურთიერთგადაჯაჭვული ცნებებია, რადგან სუვერენიტეტის ხალხში განთავსება და საზოგადოების სხვადასხვა ფენის ფუნდამენტური თანასწორობის აღიარება, რაც თანამედროვე ეროვნული იდეის არსს წარმოადგენს,

ამავე დროს არის დემოკრატიის უმთავრესი დებულებები. გრინფრლ-დის თანახმად, „დემოკრატია ნაციონალობის გრძნობასთან ერთად დაიბადა. ეს ორი არსობრივად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ამ კავშირის გარეშე რომელიმე მათგანის სრულად გაგება შეუძლე-ბელია. თავდაპირველად, ნაციონალიზმი განვითარდა როგორც დე-მოკრატია... მაგრამ მას შემდეგ, რაც ნაციონალიზმი სხვადასხვა მი-მართულებით გაიშალა და ერის იდეაში სუვერენიტეტიდან აქცენტი გადავიდა ხალხის უნიკალურობაზე, თავდაპირველი ეკვივალენტობა ნაციონალიზმსა და დემოკრატიულ პრინციპებს შორის დაიკარგა“ (Greenfeld, 1992).

ეთნოსიმბოლიზმის მიმართება ნაციონალიზმისადმი, ძირითადად, მოდერნიზმის მსგავსია, თუმცა, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვა-ნი განსხვავებაც, რაც, ისევ და ისევ ეთნიკური ფაქტორისადმი და-მოკიდებულებას უკავშირდება. როგორც ენტონი სმითი შენიშნავს, ეთნიკური ფენომენების ყველგან ყოფნა იმპერატიულად მოითხოვს ეთნოსიმბოლიზმისგან, რომ ისინი განათავსოს „ერებისა და ნა-ციონალიზმის ისტორიის სოციოლოგიის ცენტრში“. სმიტის აზრით, წარსულსა და აწმყოში ეთნიკურ ელემენტებთან ყველა მიმართების უგულებელყოფა ერისა და ნაციონალიზმის შინაარსის ახსნას კიდევ უფრო, უსასრულოდ გაართულებს (Smith, 2009).

სმითი ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, მოდერნიზაციის და, მეორე მხრივ, ნაციონალიზმის მომძლავრებისა და ერის ჩამოყა-ლიბების პროცესების მჭიდრო ურთიერთკავშირზე და დაასკვნის, რომ „ერის მშენებლობა“ იყო განუყოფელი პროცესი სოციალური და პოლიტიკური მოდენიზაციისა და ნაციონალიზმი იყო „იდეო-ლოგია დინამიკური კოლექტიური ძალისხმევისა და თავგანწირვისა ერისთვის“ (Smith, 2009). ამავე დროს, სმითი ხაზგასმით აღნიშნავს მოდერნიზმისა და ეთნოსიმბოლიზმის განსხვავებულ მიდგომას ნა-ციონალიზმისა და ნაციონალისტების როლისადმი. მისი აზრით, მრა-ვალი მოდერნისტისთვის ნაციონალისტები არიან „ერის მშენებლები“ და ერები, ზოგადად, მათი „ქმნილებებია“, ხოლო ეთნოსიმბოლიზ-მის თანახმად, მართალია, ნაციონალისტების როლი ერის შექმნაში მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ პროცესში მათი ფუნქცია მაინც „უფრო ზომიერად და შეზღუდულად“ უნდა შეფასდეს. როგორც ენტონი სმითი განმარტავს: ნაციონალისტების ამოცანაა ხელახლა აღმოაჩი-ნონ, ამოარჩიონ და გაიაზრონ მოცემული ერთობის წარსული, ახ-

ლებურად წარმოადგინონ ამ ერთობის არსებული მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, ნაციონალიზმი გვევლინება „პოლიტიკური არქეოლოგიის“ ფორმად, ხოლო ნაციონალისტები პოლიტიკურ არქეოლოგებად, რომლებიც ცდილობენ ერთობას სათანადო ადგილი მოუძებნონ დროით და სივრცით კონტექსტებში (Smith, 2009).

ენტონი სმითის თვალსაზრისით, ნაციონალიზმი უფრო მეტია, ვიდრე პოლიტიკური იდეოლოგია. მრავალთათვის ის კულტურის სპეციფიკური სახე და სეკულარული რელიგიის ფორმაა. ნაციონალისტთა მიზნები იმდენად არის კულტურული, რამდენადაც პოლიტიკური (Smith, 2009).

მოდერნისტების მსგავსად, სმითი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმი შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც „რელიგიის სეკულარული და პოლიტიკური ფორმა“. იგი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი, რასაკვირველია, განსხვავდება და უპირისპირდება ტრადიციულ რელიგიებს, თუმცა ისინი შეიძლება თანაარსებობდნენ ან ერთმანეთის მოკავშირეებიც კი იყვნენ. ეს არის „ამქვეყნიური“ რელიგია, „ხალხის რელიგია“, ხოლო მისი მსახურების ობიექტი არის ერის „წმინდა ერთობა“, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს გარდაცვლილებს, ცოცხლებსა და ჯერ არდაბადებულებს. სმიტის თვალსაზრისით, რელიგიის სეკულარულ და პოლიტიკურ ფორმად წარმოდგენილი ნაციონალიზმი „ახალი და მოდერნულია“ იმ მხრივ, რომ ის აღაზევებს „ხალხს და მოქალაქეებს, როგორც თაყვანისცემის მთავარ ობიექტებს და მათთან აკავშირებს წინაპრების მიწას, წმინდანებისა და გმირების საძვალეებს“ (Smith, 2009). ამავე დროს, ნაციოანლიზმი იყენებს ტრადიციული რელიგიის მოტივებს, რწმენებსა და რიტუალებს არა მხოლოდ ფორმის, არამედ გარკვეული შინაარსის გამოც, მაგალითად, შეიძლება დასახელდეს მითები ეთნიკური ბედისწერის, სამშობლოს სიწმინდისა და მეთაურის მესიანისტური როლის შესახებ (Smith, 2009).

სმითი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმი არ არის, უბრალოდ, „საზიარო გრძნობა ან ცნობიერება“, ის არც „ერის აღზევებასთან“ უნდა გავაიგივოთ. სმითის აზრით, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ნაციონალიზმი არის ასევე „აქტიური მოძრაობა, რომელიც შთაგონებულია ერის იდეოლოგიითა და სიმბოლიზმით“, ხოლო ამ იდეოლოგიურ მოძრაობას რამდენიმე ასპექტი აქვს, რომელთაგან, უპირველესად, უნდა დასახელდეს „ფუძე დოქტრინა“, რომელიც თავს უყრის თეორიულ შეხედულებებს კაცობრიობისა და პოლიტიკის შესახებ

და ქმნის შესაბამის პოზიციებს შემდგომი ქმედებებისთვის. სმითის თანახმად, ნაციონალიზმის ეს „ფუძე დოქტრინა“ ექვს დებულებას ემყარება:

1. კაცობრიობა დაყოფილია ერებად და თითოეულ მათგანს თავისი ხასიათი, ისტორია და ბედისწერა აქვს;
2. ერი არის პოლიტიკური ძალაუფლების ერთადერთი წყარო;
3. ერისადმი ერთგულება უპირატესია სხვა სახის ერთგულებასთან შედარებით;
4. იმისათვის, რომ იყოს თავისუფალი, ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს ერს;
5. ერები ითხოვენ მაქსიმალურ ავტონომიას და თვითგამოხატვას;
6. გლობალური მშვიდობა და სამართლიანობა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი ერების პლურალიზმის საფუძველზე“ (Smith, 2009).

მოდერნისტებისგან განსხვავებით, სმითი დარწმუნებულია, რომ „ნაციონალიზმი არის დოქტრინა ერის და არა სახელმწიფოს შესახებ“, თუმცა, იქვე დასძენს, რომ, რეალურად, თავისუფალი ერი ხშირად საჭიროებს საკუთარ სახელმწიფოს, თავდაცვისა და თავისი კულტურის გასავითარებლად (Smith, 2009).

სხვადასხვა ტიპის ნაციონალიზმის არსებობის მიუხედავად, სმითის აზრით, ამ ნაირსახეობებს აერთიანებს რამდენიმე საკვანძო თემა, რომლებშიც აისახება ნაციონალისტთა უმთავრესი შინაგანი მისწრაფებები, რწმენები და მიზნები. სმითი ასახელებს რვა ასეთ თემას: 1. **ავტონომია** (იგულისხმება ეროვნული ერთობის წევრთა მისწრაფება, იცხოვრონ მათი საკუთარი კანონებისა და რითმის შესაბამისად, ყოველგვარი გარე ჩარევისგან დამოუკიდებლად); 2. **ერთიანობა**, (მისწრაფება ტერიტორიული მთლიანობისა და შეუზღუდავი მობილურობისკენ, ასევე სოციალური სოლიდარობისკენ); 3. **იდენტობა**, **ანუ გამორჩეულობა** (წევრთა მიერ ეროვნული ერთობის „თანდაყოლილი“ ინდივიდუალობის აღორძინება და მისი ხელშესახებად, ვიზუალურად განსახიერება რიტუალური და მხატვრული ფორმით); 4. **აუთენტურობა** (იგულისხმება ერთობის ცალკეული წევრების მიერ ერის „ჭეშმარიტი ბუნების“ ხელახლა აღმოჩენა და იმის გრძნობა, რომ ეს არის ეროვნული ერთობა თავისი უნიკალური წარ-

მომავლობით, ისტორიითა და კულტურით); 5. **სამშობლო** (ერთობის წევრების მიკუთვნებულობის, ხსოვნისა და მიბმულობის გრძნობა წინაპართა ან ისტორიული ტერიტორიის მიმართ, რომელიც განიხილება, როგორც უნიკალურად მათი კუთვნილი მიწა); 6. **ღირსება** (წევრების რწმენა, რომ მათი ერთობის პრესტიჟი და სტატუსი უნდა მიესადაგებოდეს მის ჭეშმარიტ „შინაგან, ღირებულებას"); 7. **განგრძობადობა** (წევრების რწმენა, რომ ისინი წინაპრებთან და სამშობლოს ადრეულ კულტურებთან დაკავშირებული არიან მეტ-ნაკლებად უწყვეტი ჯაჭვით); 8. **ბედისწერა** (იგულისხმება წევრთა რწმენა, რომ ეროვნულ ერთობას აქვს წინსვლის განსაკუთრებული გზა, წინასწარ განსაზღვრული და, ჩვეულებრივ, დიდებული) (Smith, 2009).

სამეცნიერო ლიტერატურაში (როგორც უცხოურში, ასევე ქართულში) გამოთქმულია უამრავი დადებითი და უარყოფითი შეფასება ზემოხსენებულ თეორიულ მიმდინარეობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მათი განხილვა შორს წაგვიყვანს. შემოვიფარგლებით მხოლოდ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ცალკეული შეხედულებების მოკლე მიმოხილვით. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ „ეთნოსიმბოლიზმი სხვა თეორიებზე უკეთ ხსნის ზოგიერთ არსებით საკითხს; ეთნოსიმბოლიზმი გასაგებს ხდის, თუ რატომ და როგორ ახერხებს ნაციონალიზმი მოიპოვოს ხალხის მასობრივი მხარდაჭერა" (დავითაშვილი, 2003). არსებობს კრიტიკული მიდგომებიც. კერძოდ, გელნერის, ანდერსონისა და სმითის თეორიების შესახებ შენიშნავენ, რომ სამივე თეორიას აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი – ვერც ერთი ეს თეორია ვერ ხსნის, რატომ კლავენ ადამიანები ერთმანეთს ერისა და ეროვნული იდეის გამო (თევზაძე, 2009).

გამოთქმულია მოსაზრება ეთნოსიმბოლიზმისა და „მასების ფსიქოლოგიის" კავშირის შესახებაც. ამ თვალსაზრისის თანახმად, მე-19 საუკუნის დასარულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში „მასების აღშფოთებისა და აჯანყებების" ასახსნელად აუცილებელი გახდა ხალხში რაღაც საერთოსა და ირაციონალურის დაშვება, რომელიც რაღაცნაირად გადაეცემა თაობიდან თაობას და განაპირობებს ხალხთა მასების ერთიანი ორგანიზმივით ქცევას. აქედან გამომდინარე, საბოლოოდ, დაუშვეს ხალხში, ერში, ანუ ერთიან „ორგანიზმში", როგორც ფსიქიკურის (ცნობიერის), ასევე – არაცნობიერის არსებობა. განმარტავენ, რომ სმითის თეორია, რომელიც „ეროვნულობისა და ერის გაგების ფესვებს სოლიდარობაში ხედავს, ამ, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში გამოგონილი, ახსნით რეცეპტზეა დამყარებული.

სოლიდარობა არის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სახელი იმისთვის, რასაც ფროიდი და იუნგი მასების ფსიქოლოგიას უწოდებდნენ. უფრო ზუსტად რომ განვმარტოთ – სოლიდარობის დაშვება ერის და ეროვნული ცნობიერების საფუძვლად, ნიშნავს, რომ ყოველ ჩვენგანში არის რაღაც, რაც ამ სოლიდარობას განაპირობებს და რაც გვაიძულებს ადამიანებს ერთობებისკენ მივისწრაფოდეთ. სოლიდარობა მნიშვნელოვანი სოციალური კონსტრუქტია, მაგრამ ის მთლიანად ინტელიგიბელური წარმონაქმნია და ცნობიერ გადაწყვეტილებებს ეფუძნება. ის, რაც ცნობიერი გადაწყვეტილებაა, ვერ იქნება მასობრივი აჯანყებებისა და თავის გაწირვის საფუძველი“ (თევზაძე, 2009).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ნაციონალიზმის სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია არსებობს. მათგან ყველაზე გავრცელებულ მოდელად ითვლება ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-50-იანი წლებიდან ჰანს კონის მიერ დამკვიდრებული დაყოფა „დასავლურ“ (უპირველესად, ბრიტანულ, ფრანგულ, ამერიკულ) და „არადასავლურ“ (უპირველესად, გერმანულ) ნაციონალიზმად (Kohn, 1955). მოგვიანებით, „დასავლური ნაციონალიზმის“ მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, გამოიყენება ტერმინი „სამოქალაქო ნაციონალიზმი“, ხოლო „არადასავლურის“ ან „აღმოსავლურის“ ნაცვლად – „ეთნიკური ნაციონალიზმი“. როგორც განმარტავენ, ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმი, ორივე, არის შედეგი „სოციალური კატეგორიზაციის და სოციალური შედარების პროცესებისა და წინაპირობა რწმენების კომპლექსური სისტემის განვითარებისთვის. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეროვნული იდენტობა შეიძლება განვიხილოთ როგორც წინაპირობა ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალისტური მიდგომებისთვის“ (Keil, 2006). ხშირად, ნაციონალიზმის ამ ორ ნაირსახეობას შორის განსხვავების ხაზგასასმელად, „სამოქალაქო ნაციონალიზმს“ უკავშირებენ „პატრიოტიზმს“, ხოლო „ეთნიკურ ნაციონალიზმს“ – საკუთრივ „ნაციონალიზმს“ (Keil, 2006).

ასეთი დიფერენციაცია ემყარება თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ეთნიკური ნაციონალიზმი (ნაციონალიზმი) არის რწმენებისა და გრძნობების სისტემა, რომელიც ერს განსაზღვრავს, როგორც ჰომოგენურ ეთნიკურ ერთობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია იმიგრანტების განდევნის, მათი არშეშვების ტენდენცია. სამოქალაქო ნაციონალიზმი (პატრიოტიზმი) კი არის რწმენებისა და გრძნობების სისტემა, რომლისთვისაც ერი არის ერთობა, რომელიც ემყარება

ისეთ დემოკრატიულ პრინციპებს, როგორიცაა კულტურული ტოლერანტობა და თანასწორობა (Keil, 2006).

ჩამოყალიბებულია „სამოქალაქო“ და „ეთნიკური“ ნაციონალიზმის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც გარკვეული კვლევების შედეგებს ემყარება. სილვია კაილი (2006) თავის სადისერტაციო ნაშრომში **„სამოქალაქო“ ნაციონალიზმს** შემდეგნაირად აჯამებს:

1. ერთან, მის ფუნდამენტურ პრინციპებთან და ინსტიტუტებთან დაკავშირებულობის პოზიტიური გრძნობა (Figueiredo/Elkins 2003; Viroli 1995);

2. კრიტიკული ცნობიერებიდან გამომდინარე, სამოქალაქო ნაციონალისტებს აქვთ მიდრეკილება გააუმჯობესონ საზოგადოება დემოკრატიული ღირებულებების თვალსაზრისით (Adorno et.al. 1950; Staub et.al. 1999);

3. ძირითადი ღირებულებებია: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ინდივიდუალიზმი. ეს ღირებულებები მოიცავენ სამოქალაქო უფლებების დაცვას და კულტურული მრავალფეროვნების მიღებას (Habermas 1990; Staub 1997; Sternberger 1990);

4. საზოგადოებისთვის მისაღებია ეთნიკური მრავალფეროვნება;

5. სხვა ერები და ეროვნული უმცირესობები მიჩნეული არიან თანასწორებად (Adorno et.al. 1950; Viroli 1995).

კაილის შეჯამებით, სამოქალაქო ნაციონალიზმის საპირისპიროდ, **ეთნიკური ნაციონალიზმი** ხასიათდება:

1. ერის იდეალიზაციით, რაც გულისხმობს ისტორიის იდეალიზაციასაც (Adorno et.al. 1950; Kosterman/Feshbach 1989; Tajfel 1969);

2. ეთნიკური ნაციონალიზმი დაკავშირებულია ეროვნული უპირატესობისა და დომინანტობის რწმენასთან (Adorno et.al. 1950; de Figueiredo/Elkins 2003; Kosterman/Feshbach 1989; Schatz/Staub 1997);

3. ინდივიდის თვითკონცეფციაში ეროვნული სიყვარულისადმი გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებით (Adorno et.al. 1950);

4. ყურადღების საგანგებო გამახვილებით სოციალური შედარების პროცესებზე იმ ჯგუფებთან, რომლებიც არ განიხილებიან

ერის ნაწილად (Mummendey/Simon 1997; Schatz et.al. 1999); იმ პიროვნებებისთვის, რომლებსაც ეთნიკური ნაციონალიზმისკენ აქვთ მიდრეკილება, დამახასიათებელია თავიანთი ეროვნული ჯგუფის განსაზღვრა, როგორც კულტურულად ჰომოგენურისა და უნიკალურის (Blank/Schmidt 2003; Viroli 1995).

ნაციონალიზმის შედარებით განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს ლეა გრინფელდი, თუმცა ტერმინები „სამოქალაქო“ და „ეთნიკური“ აქაც ფიგურირებს. გრინფელდის კლასიფიკაციაში უფრო მკაფიოდ ჩანს ნაციონალიზმისა და დემოკრატიის ურთიერთმიმართების მნიშვნელობა. ნაციონალიზმს გრინფელდი განიხილავს როგორც „საზოგადოებრივი ცნობიერებისა და კოლექტიური სოლიდარობის ფორმას“ (Greenfeld, 2003) და აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ეროვნული ცნობიერება იმთავითვე დემოკრატიულია, რადგან ეგალიტარიზმი მისი „სოციალური ორგანიზაციის სასიცოცხლო პრინციპია“, ხოლო სახალხო სუვერენიტეტი – მისი „სასიცოცხლო პოლიტიკური პრინციპი“, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ პრინციპების ინტერპრეტაცია შესაძლებელია რადიკალურად განსხვავებული მიმართულებით. გრინფელდის თვალსაზრისით, „ინტერპრეტაციის მიმართულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვხედავთ ერს, როგორც შედგენილ ერთობას, თუ როგორც მთლიანს და ასევე, თუ როგორია ერის წევრობის, ანუ ეროვნების კრიტერიუმი: სამოქალაქო თუ ეთნიკური“ (Greenfeld, 2003).

სწორედ ამ განსხვავებული ინტერპრეტაციების შედეგად, გრინფელდის შეფასებით, პრაქტიკულად, ნაციონალიზმის (და შესაბამისად, ერებისა და ეროვნული იდენტობების) სამი ტიპი გამოიყოფა:

(1) ინდივიდუალისტურ-სამოქალაქო: ინდივიდუალისტურ-სამოქალაქო ტიპის ნაციონალიზმს გრინფელდი „ნაციონალიზმის თავდაპირველ ტიპს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ, მართალია, ყველა ნაციონალიზმი გულისხმობს დემოკრატიას, მაგრამ ინდივიდუალისტურ-სამოქალაქო ნაციონალიზმი ინდივიდუალისტურ, ანუ ლიბერალურ დემოკრატიას გულისხმობს“. ამ ტიპის ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელია ერის ცნების შედგენილი დეფინიცია: საზოგადოების, როგორც თავისუფალ და თანასწორ ინდივიდთა ასოციაციის იდეას ებმის ეროვნების სამოქალაქო კონცეფცია. ვინაიდან ერის წევრები თავისუფალი

ინდივიდები არიან, შესაბამისად, ერიც განიხილება, როგორც სუვერენული ერთობა, რომელიც ასახავს მისი წევრების თვისებებს. ინდივიდუალისტურ-სამოქალაქო ერის ნება მისი წევრების უმრავლესობის ნებაა. სამოქალაქო ეროვნება უტოლდება მოქალაქეობას, რაც არსებითად გულისხმობს გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებზე შეგნებულ თანხმობას. ამ შემთხვევაში ერის წევრობა დამოკიდებულია ინდივიდის ნებაზე, იყოს ამ ერთობის წევრი და ინდივიდმა ეროვნება, რელიგიის მსგავსად, შეიძლება როგორც მიიღოს, ასევე დაკარგოს“ (Greenfeld, 2003);

(2) კოლექტივისტურ-ეთნიკური: ნაციონალიზმის ყველაზე გავრცელებული ტიპი, გრინფელდის განმარტებით, არის კოლექტივისტურ-ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც აერთიანებს ერის, როგორც მთლიანის დეფინიციას მოქალაქეობის ეთნიკურ კონცეფციასთან. ამ კონცეფციის თანახმად კი, ეროვნება არის მემკვიდრეობითი, გენეტიკური, ხასიათთან დაკავშირებული, რაც სისხლით გადადის და არ არის დამოკიდებული ინდივიდის ნებაზე. ეროვნებას ინდივიდი ვერ შეიძენს, თუ არ დაიბადა ამ ეროვნების ადამიანად და ვერც დაკარგავს მას, თუ დაიბადა ამ ეროვნებით. ეროვნების ასეთი „კვაზიბიოლოგიური იდეა“ ხელს უწყობს ადამიანის ინდივიდის განხილვას, როგორც ერის, ანუ იდეალური დიდი ორგანიზმის ბიოლოგიურ წევრად ან უჯრედად და, აქედან გამომდინარე, ზღუდავს მის ინდივიდუალურ თავისუფლებას. ამ კონტექსტში ერის თავისუფლება და სუვერენიტეტი, უპირველესად, ითვალისწინებს დამოუკიდებლობას გარე ძალისგან (Greenfeld, 2003);

(3) კოლექტივისტურ-სამოქალაქო: მესამე, კოლექტივისტურ-სამოქალაქო ტიპის ნაციონალიზმს გრინფელდი „შემეცნებითი თვალსაზრისით, პრობლემურს“ უწოდებს, რადგან, მისი აზრით, ინდივიდუალისტურ-სამოქალაქო და კოლექტივისტურ-ეთნიკური ნაციონალიზმების შემადგენელი ელემენტები ერთმანეთს აძლიერებენ, ხოლო კოლექტივისტურ-სამოქალაქო ტიპის შემთხვევაში იქმნება „ამბივალენტური, ორმაგი ხედვა“. გრინფელდის განმარტებით, კოლექტივისტურ-სამოქალაქო ტიპის ნაციონალიზმი ერს განიხილავს როგორც კოლექტიურ ინდივიდს, რომელსაც თავისი საკუთარი ნება, მოთხოვნილებე-

ბი და ინტერესები აქვს, რომლებსაც უპირატესობა ენიჭებათ ერის წევრების მოთხოვნილებებს, ნებასა და ინტერესებთან შედარებით. ამასთანავე, ერის ნება, მოთხოვნილებები და ინტერესები უნდა შეაფასოს არა უმრავლესობამ, არამედ სპეციფიკურად გამორჩეულმა ელიტამ. გრინფელდის თანახმად, თანამედროვე დიქტატურები სწორედ კოლექტივისტურ-სამოქალაქო ნაციონალიზმს მიეკუთვნებიან და დემოკრატია, ასეთ შემთხვევებში, არის სოციალისტური, ანუ სახალხო დემოკრატია (Greenfeld, 2003).

ნაციონალიზმის სამი ტიპის გამოყოფისა და მათი დახასიათების შემდეგ, გრინფელდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ინდივიდების გამოცდილება შეიძლება დრამატულად განსხვავდებოდეს ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ, სამოქალაქო და ეთნიკურ ერებში“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი, საკვანძო მნიშვნელობის თვალსაზრისით, მათი გამოცდილებები მსგავსია: „ნაციონალიზმის ინკლუზიური ბუნება და მისი ძირეული პრინციპები ერის წევრების ფუნდამენტური თანასწორობისა და სახალხო სუვერენიტეტის შესახებ (თუმცა, სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული და განხორციელებული) ეროვნული იდენტობის მქონე ხალხს აძლევს ღირსების ისეთ გრძნობას, როგორიც უცნობი იყო ადამიანების უმრავლესობისთვის წინა პერიოდებში. სწორედ ამ ღირსების გრძნობას ეფუძნება ეროვნული პატრიოტიზმი და თავდადება ეროვნული საქმისთვის, რაც ხშირად გარე დამკვირვებელს თვალში ხვდება, როგორც ირაციონალური რამ“ (Greenfeld, 2003).

გრინფელდის ამგვარი განმარტება და ეროვნული ღირსების წარმოჩენა ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორად, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი პასუხი ბენედიქტ ანდერსონის ზემოხსენებულ კითხვაზე („როგორ ხდება, რომ უახლესი ისტორიის, არაუმეტეს ორი საუკუნის, უკვე „შეთელილი“ წარმოსახვები (shrunken imaginings) წარმოშობს თავგანწირვის ასეთ კოლოსალურ რაოდენობას?“) (ანდერსონი, 2006).

ნაციონალიზმის დიქოტომია, ანუ მისი დაყოფა „სამოქალაქო“ და „ეთნიკურ“ ნაციონალიზმად (რაც სათავეს ჰანს კონის ნაშრომებიდან იღებს), არაერთი ავტორის მიერ იქნა გაკრიტიკებული. ისინი, ჩვეულებრივ, აფიქსირებენ, რომ გაუმართლებელია ნაციონალიზმის სხვადასხვა სახე მივაწეროთ ცალკეულ გეოგრაფიულ ზონებს, რადგან არადასავლურ სამყაროში შეგვიძლია ვნახოთ როგორც ისტორიული,

ასევე თანამედროვე მაგალითები დასავლური ნაციონალიზმისა (სამოქალაქო და პოლიტიკური), ხოლო დასავლურ სამყაროში კი არადასავლური ნაციონალიზმისა (ეთნიკურობა და კულტურა) (Jaskułowski, 2010). სხვა ავტორების (Kymlicka 2001; Kloskowska 1996) აზრით, კონის მიერ ჩამოყალიბებული გამიჯვნა „მცდარად ასკვნის, რომ წმინდა სახის სამოქალაქო ნაციონალიზმი ჩამოშორებულია ყოველგვარ კულტურულ ორიენტირებს“ (Jaskułowski, 2010).

ნაციონალიზმის დიქოტომიის კრიტიკისას ფუნდამენტურ პრობლემებს წამოჭრის როჯერს ბრუბეიკერი, რომელიც განმარტავს, რომ „სამოქალაქო“ და „ეთნიკური“, ორივე ეს ტერმინი „უაღრესად ორაზროვანია“, შესაბამისად, ამ ორი ტიპის ნაციონალიზმს შორის განსხვავების დადგენა პრობლემატურია, როგორც ანალიტიკური, ასევე ნორმატიული თვალსაზრისით (Брубейкер, 2012). ბრუბეიკერის თანახმად, „სამოქალაქო“ და „ეთნიკური“ ნაციონალიზმის შედარებისას პირველი ყოველთვის „სანაქებო“ ტერმინია, ხოლო მეორე – „სალანძღავი“, რადგან „სამოქალაქო“ ნაციონალიზმს ახასიათებენ როგორც ლიბერალურს, ვოლუნტარისტულს, უნივერსალისტიურსა და ინკლუზიურს, „ეთნიკურს“ კი როგორც არალიბერალურს, ასკრიპტულს, პარტიკულარისტულსა და ექსკლუზიურს (Брубейкер, 2012). ამ დიქოტომიას, ბრუბეიკერის დაკვირვებით, სხვადასხვა ქვეყნისა და იდეოლოგიის პოლიტიკოსები ხშირად სათავისოდ იყენებენ, რომ გამიჯნონ „თავიანთი, კარგი, ლეგიტიმური, სამოქალაქო ნაციონალიზმი სხვების ცუდი, არალეგიტიმური, ეთნიკური ნაციონალიზმისგან“ (Брубейкер, 2012). აღნიშნული ორი ტერმინის „ორაზროვნება“, ბრუბეიკერის აზრით, ცხადი გახდება, თუ ვიკითხავთ: როგორ მიესადაგება, რა ადგილი აქვს კულტურას სქემაში „სამოქალაქო-ეთნიკური“? (Брубейкер, 2012). კულტურისა და ტერმინ „ეთნიკურის“ ურთიერთმიმართების განხილვისას ბრუბეიკერი შენიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ეთნიკური ნაციონალიზმი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც წარმოშობაზე და, საბოლოოდ, ბიოლოგიაზე დამყარებული რამ. ეთნიკურობის ამგვარად შემოსაზღვრული გაგებიდან გამომდინარე, ნაციონალისტური რიტორიკა, რომელიც საერთო კულტურაზე ამახვილებს ყურადღებას და არა საერთო წარმომავლობაზე, კოდირებულ უნდა იქნეს, როგორც სამოქალაქო ნაციონალიზმის ტიპი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში „სამოქალაქო ნაციონალიზმის კატეგორია ხდება მეტისმეტად მრავალგვაროვანი და ამიტომ უსარგებლო, ხოლო ეთნიკური ნაციონალიზმის კატეგორია

– უკიდურესად შეზღუდულად წარმოდგენილი“ (Брубейкер, 2012). ასეთ სურათს ვიღებთ, თუ „ეთნიკურობას“ მხოლოდ წარმომავლობის ფაქტორით შემოვსაზღვრავთ; თუმცა, არსებობს მეორე გზაც – „ეთნიკურობას“ შეიძლება უფრო „ფართო გაგება“ მივანიჭოთ და განვიხილოთ, როგორც „ეთნოკულტურული“, მაგრამ ამ შემთხვევაში საპირისპირო პრობლემას ვაწყდებით: უკლებლივ ყველა სახის ნაციონალიზმი კოდირებული იქნება როგორც ეთნიკური (Брубейкер, 2012). ბრუბეიკერი განმარტავს, რომ ტერმინ „ეთნიკურობის“ მსგავსად, „სამოქალაქოც“ „ბუნდოვანი კატეგორიაა“. ერთი შეხედვით, ბუნდოვანების თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ სამოქალაქო ნაციონალიზმს განვიხილავთ, მკვეთრ ჩარჩოებში, როგორც ნაციონალობის აკულტურულ, აისტორიულ, უნივერსალისტურ, ვოლუნტარისტულ და რაციონალისტურ გაგებას. ამ შემთხვევაში „ერი“ წარმოგვიდგება როგორც კულტურულად არადიფერენცირებული ინდივიდების ნებაყოფლობითი გაერთიანება, ხოლო ერისადმი მიკუთვნებულობა მოცემულობის ნაცვლად არჩევით ხასიათს იძენს. თუმცა, სამოქალაქო ნაციონალიზმის ამგვარი ინტერპრეტაცია „სახიფათოა იმ მხრივ, რომ შეიძლება არარსებულ ფენომენს გულისხმობდეს. ნაციონალობის ასეთ მოდელს რეალური შესატყვისი არასოდეს აქვს და მხოლოდ კონცეპტუალური იდეალური ტიპის სახით არსებობს. თვით საფრანგეთისა და აშშ-ს შემთხვევებში, რომლებსაც ყველაზე ხშირად იმოწმებენ სამოქალაქო ნაციონალიზმის პარადიგმულ მაგალითებად, გადამწყვეტი კულტურული კომპონენტი არსებობს, ან ჰობსბაუმის სიტყვებით რომ ითქვას, არსებობს ცალკე ხალხად ყოფნის მკაფიო თვითშეგნება“ (Брубейкер, 2012).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბრუბეიკერი გვთავაზობს ლოგიკურ დასკვნას, რომლის თანახმად, ანალიტიკური თვალსაზრისით, ნაციონალიზმის დიქოტომია და მისი გამოყენების ეფექტიანობა სკეპტიკურად უნდა შეფასდეს. ბრუბეიკერი განმარტავს, რომ ეთნიკურობის „ვიწრო“ გაგება მკვეთრად ზღუდავს ეთნიკური ნაციონალიზმის სფეროს, რის შედეგადაც, დანარჩენის პრინციპით, სამოქალაქო კატეგორია წარმოჩნდება როგორც მეტისმეტად დიდი, მრავალგვაროვანი და ამიტომ უსარგებლო. საპირისპიროდ, სამოქალაქოს „ვიწრო“ გაგება მკვეთრად ზღუდავს სამოქალაქო ნაციონალიზმის სფეროს და, დანარჩენის პრინციპით, ეთნიკურ კატეგორიას წარმოაჩენს მეტისმეტად დიდად, მრავალგვაროვნად და, შესაბამისად, უსარგებლოდ. თუ შევაერთებთ სამოქალაქო და ეთნიკური ნაციონა-

ლიზმის შეზღუდულ გაგებებს, მივიღებთ თითოეულის მცირერიცხოვან მაგალითებს და შუაში დიდ სივრცეს, რომელიც არც ერთს არ მიეკუთვნება. ასეთ შემთხვევაში კი განსხვავებას სამოქალაქოსა და ეთნიკურს შორის ვერ განვიხილავთ, როგორც ნაციონალიზმის გამოვლინებების ან ტიპების კლასიფიკაციის ამომწურავ მეთოდს. მეორე მხრივ, თუ შევაერთებთ სამოქალაქო ნაციონალიზმის „ფართო" გეგებას ეთნიკური ნაციონალიზმის „ფართო" გაგებასთან, მივიღებთ დიდ შუა სივრცეს, რომლის კლასიფიცირებაც შეიძლება, როგორც „სამოქალაქოდ", ასევე „ეთნიკურად" და ამ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სამოქალაქოსა და ეთნიკურს შორის განსხვავების გააზრება, როგორც ურთიერთგამომრიცხავის. ბრუბეიკერის თანახმად, „პრობლემა ის კი არ არის, რომ რთული გასაგებია, თუ როგორ უნდა მოხდეს, საბოლოოდ, რომელიმე კონკრეტული მაგალითის კლასიფიკაცია, არამედ, პრობლემა ის არის, რომ ტერმინების „სამოქალაქო" და „ეთნიკური" ღრმა ბუნდოვანება, კერძოდ, კულტურის გაურკვეველი ადგილი „სამოქალაქო-ეთნიკურის" სქემაში, საკამათოს ხდის თვით ამ განსხვავების სარგებლიანობას" (Брубейкер, 2012). ამგვარი დასკვნის მართებულობის საილუსტრაციოდ ავტორი წამოჭრის ასეთ საკითხს: „როგორ უნდა კლასიფიცირდეს პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფო ან პროვინციის დონეზე კონკრეტული ენის დაწინაურებას ემსახურება?". ბრუბეიკერი, შესაბამისი ფაქტობრივი არგუმენტების საფუძველზე, დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ასეთი პოლიტიკა შეიძლება კლასიფიცირდეს ორივენაირად, ანუ ჩაითვალოს როგორც „სამოქალაქო", ასევე „ეთნიკური" ნაციონალიზმის გამოვლინებად (Брубейкер, 2012). ნაციონალიზმის დიქოტომიის კრიტიკას ბრუბეიკერი კიდევ უფრო აღრმავებს, როცა აღნიშნავს, რომ ამ კლასიფიკაციის („სამოქალაქო"-„ეთნიკური") გამოყენების შედეგიანობა მინიმალურია არა მხოლოდ ანალიტიკური, არამედ ნორმატიული თვალსაზრისითაც. მაგალითისთვის, ის ამ კონტექსტში განიხილავს ინკლუზიურობისა და ექსკლუზიურობის თემას. ბრუბეიკერის შეფასებით, არსებითად, ნაციონალიზმის ყველა ფორმა და ყველა ინტერპრეტაცია ერთდროულად ინკლუზიურიც არის და ექსკლუზიურიც. განსხვავება ემყარება არა ინკლუზიურობისა და ექსკლუზიურობის ფაქტს, ან თუნდაც მათ ხარისხს, არამედ ექსკლუზიურობისა და ინკლუზიურობის საფუძველსა და კრიტერიუმებს (Брубейкер, 2012).

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ერისა და ეროვნების სამო-

ქალაქო კონცეფცია ეფუძნება მოქალაქეობას, რომელიც ინკლუზიურია იმ მხრივ, რომ ყველა მოქალაქეს მოიცავს, მიუხედავად მათი გარკვეული განსაკუთრებულობებისა, მათ შორის, ეთნიკური წარმომავლობისა. ბრუბეიკერის თანახმად, სამოქალაქო ნაციონალიზმი ამ თვალსაზრისით ინკლუზიურია, მაგრამ თვით მოქალაქეობას, მისი ბუნებიდან გამომდინარე, აქვს არა მხოლოდ ინკლუზიური, არამედ ექსკლუზიური სტატუსი. გლობალური მასშტაბით, „მოქალაქეობა არის მძლავრი ინსტრუმენტი სოციალური ჩაკეტილობისთვის", რადგან ის იცავს აყვავებულ და მშვიდობიან სახელმწიფოებს იმ უდიდესი უმრავლესობისგან, რომელიც, რომ არა საზღვრები და ექსკლუზიური მოქალაქეობა, მოისურვებდა თავი დაეღწია ომებისგან, შიმშილისგან, უმუშევრობისგან ან გადაწყვეტდა შეეცვალა თავისი საცხოვრებელი ადგილი იმ იმედით, რომ შვილებს უკეთესი შესაძლებლობებით უზრუნველყოფდა (Брубейкер, 2012). ამ საკითხთან დაკავშირებით, მსგავს პოზიციას აფიქსირებს ჯერარდ დელანტიც: „მოქალაქეობა იქცა ეროვნების სინონიმად და ნაციონალისტური ქსენოფობიის ლეგიტიმაციის საშუალებად" (Delanty, 1995).

ბრუბეიკერი ხაზგასმით აღიშნავს, რომ მოქალაქეობის მიღება ყველგან შეზღუდულია და მართალია ეთნიკური წარმომავლობა არ არის შემზღუდავი ფაქტორი, მიუხედავად ამისა, „ექსკლუზიის ეს სამოქალაქო მეთოდი ძალიან ეფექტიანია" (Брубейкер, 2012), უფრო მეტიც, გლობალური თვალსაზრისით, „სასიცოცხლო შესაძლებლობების შექმნისა და მასშტაბური, მორალურად განურჩეველი უთანასწორობის შენარჩუნების მხრივ, ის ალბათ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სავარაუდო ეთნიკურობაზე დაფუძნებული ნებისმიერი ექსკლუზია. მაგრამ აღნიშნული მეთოდი, როგორც წესი, შეუმჩნეველი რჩება, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს თავისთავად ასეც უნდა იყოს". ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ბრუბეიკერი აღნიშნავს, რომ მოქალაქეობაზე დაფუძნებული ეროვნების გაგება ვერ ჩაითვლება უფრო ინკლუზიურად, ვიდრე ის ფორმები, რომლებიც აქცენტს აკეთებენ საერთო კულტურაზე ან საერთო წარმოშობაზე (Брубейкер, 2012).

ბრუბეიკერის საბოლოო დასკვნით, „ნაციონალიზმი არ ექვემდებარება მკვეთრ დაყოფას ტიპებად, მკაფიოდ შემოხაზული ემპირიული და მორალური პროფილებით. ცხადია, ანალიტიკური და ნორმატიული კვლევების დროს განსხვავებები გარდაუვალია, მაგრამ მნიშვნელოვან შედეგს არ უნდა ველოდოთ რომელიმე განსხვავების-

გან. სამოქალაქოსა და ეთნიკურს შორის განსხვავება გადატვირთულია და მას ზედმეტად დიდ სამუშაოს აკისრებენ (Брубейкер, 2012) ნაციონალიზმის დიქოტომიის ნაცვლად, ბრუბეიკერი გვთავაზობს ერთგვარ ალტერნატივას. მისი თვალსაზრისით, ვინაიდან სახელმწიფო უნდა მივიჩნიოთ „კარდინალური ათვლის წერტილად“, და არა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია გამოიყოს ორი ტიპის ნაციონალიზმი: „სახელმწიფოთი შემოფარგლული“ (state-framed), რომელიც ავტორისვე შენიშვნით მაინეკეს „სახელმწიფო-ერის“ ეკვივალენტურია და მეორე – „კონტრსახელმწიფოებრივი“ (counter-state), რომელიც მაინეკეს „კულტურ-ერზე“ უფრო ფართო კონცეფციაა (Брубейкер, 2012).

ერისა და ნაციონალიზმის შესახებ არსებული თეორიების ამ მოკლე მიმოხილვის მიზანი, ცხადია, ვერ იქნებოდა ამომწურავი თეორიული ბაზისის შექმნა ქართული ეროვნული იდენტობის კვლევისთვის. ზემოაღნიშნული მიმდინარეობებისა და კონცეფციების განხილვით, შევეცადეთ ასე თუ ისე სრულად დაგვენახა ერისა და ნაციონალიზმის ის „ტერიტორია“, რომელიც დღევანდელი გადმოსახედიდან ჩანს; შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის ზოგადი, თანამედროვე ტენდენციები და ორიენტირები, რომლებიც ამ სფეროში არსებობს. ამგვარი, მეტ-ნაკლებად მყარი თეორიული საფუძველი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვლევის შემდგომი ეტაპების მიმართულებათა განსაზღვრის პროცესში.

1.3. იდენტობის კონცეფციები და ეროვნული იდენტობა

წინამდებარე თეორიული ნაწილის მიზანია, იდენტობის შესახებ არსებული კონცეფციების მიმოხილვა და ამ კონტექსტში ეროვნული იდენტობის მიმართებების განსაზღვრა.

უპირველესად, უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, „იდენტობის“ ცნების მკაფიოდ განმარტება იოლი არ არის. როჯერს ბრუბეიკერის აზრით, ტერმინი „იდენტობა“ უაღრესად (ანალიტიკური გაგებისთვის კი – უიმედოდ) ბუნდოვანია. მისი აზრით, „იდენტობას“ მრავალმნიშვნელობიანი, წინააღმდეგობრივი დატვირთვაც კი აქვს და აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: „გვჭირდება კი ასეთი გადატვირთული, ღრმად ორაზროვანი ტერმინი?“. ამ კითხვას ბრუბეიკერი იქვე პასუხობს: „დიდი უპირატესობით იმარჯვებენ ის მეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენ ის გვჭირდება“ (Brubaker, 2000).

ლია გრინფელდის აზრით, ტერმინი „იდენტობა“, მისი სემიოტიკური გაგებით, ეხება „სიმბოლურ თვითგანსაზღვრას“. ერთი მხრივ, ეს არის ადამიანის მდგომარეობის სურათი მის სოციალურ-კულტურულ „სივრცეში“ და, მეორე მხრივ, იდენტობა არის ასევე თვით ამ სოციალურ-კულტურული ნიადაგის სურათიც. აქედან გამომდინარე, გრინფელდის თანახმად, „ადამიანის იდენტობა წარმოადგენს ინდივიდუალიზებულ მიკროკოსმოსს იმ კულტურისა, რომელშიც ეს ადამიანი არის ჩაფლული“. გრინფელდი მიიჩნევს, რომ იდენტობა, პირდაპირი მნიშვნელობით, ადამიანის ძირითადი მენტალური პროცესია, რადგან ის არის შუალედური რგოლი ინდივიდის ტვინის ბუნებრივ, ბიოლოგიურ უნარებსა (როგორიცაა, მაგალითად, მეხსიერება, ადაპტაცია) და ინდივიდის, როგორც პიროვნების ფუნქციონირებას შორის. გრინფელდის განმარტებით, „იდენტობა ცნობიერების ცენტრალური „ორგანოა“, ხოლო ცნობიერება – კულტურის ყველაზე პატარა მოქმედი ერთეული“. შესაბამისად, გრინფელდის დასკვნით, იდენტობა ნამდვილად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ადამიანის გონების ჯანსაღი ფუნქციონირების არსებითი ელემენტი – მომხდარ მოვლენებზე ემოციური რეაგირების, მათი გააზრებისა და შესაბამისი სოციალური ქცევის უნარი (Greenfeld, 2005).

სოციოლოგ მაქს ჰალერისთვის იდენტობა არის „ინდივიდის მიერ სოციალურად კონსტრუირებული განსაზღვრულობა“, რომელიც ყოველთვის „მოცემულ კულტურულ ნიმუშს და ინტერაქციის წესებს“ უკავშირდება (Haller, 1996).

ენტონი გიდენსი ყურადღებას ამახვილებს იდენტობის სახეცვლილებაზე მოდერნულ საზოგადოებაში. მისი აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანების მიერ იდენტობის ფორმირების პროცესი დაუსრულებელია, რადგან ინდივიდის თვითრეფლექსიის პროცესი, ფაქტობრივად, განუწყვეტლივ მიმდინარეობს, რასაც უკავშირდება მის მიერ გადაწყვეტილებების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს და ვინ უნდა რომ იყოს. ამგვარად, გიდენსისთვის იდენტობა „თხევადი“ და „ცვალებადია“ (Buckingham, 2008).

ინდივიდუალურ და კოლექტიურ იდენტობებს შორის ყველზე დიდ განსხვავებად რიჩარდ ჯენკინსს მიაჩნია ის, რომ ინდივიდუალური იდენტობა, ძირითადად, კონცენტრირებულია „განსხვავებებზე“, ხოლო კოლექტიური იდენტობა – „მსგავსებათა“ წარმოჩენაზე. ჯენკინსის განმარტებით, მსგავსება და განსხვავება ყოველთვის თვალსაზრისის, გარკვეული ხედვის ფუნქციებია, რადგან „ჩვენი“ მსგავსება გულისხმობს „მათ“ განსხვავებას, და პირიქით, „მათი“ მსგავსება არის „ჩვენი“ განსხვავება. ამგვარად, მსგავსება და განსხვავება ასახავს ერთი მეორეს მთელი „საზიარო საზღვრის“ გასწვრივ და სწორედ საზღვართან აღმოვაჩენთ ვინ ვართ ჩვენ, იმის მეშვეობით, რომ ვიგებთ – ვინ არ ვართ (Jenkins, 1996). სოციალური იდენტობა ყოველთვის უკავშირდება ერთი ინდივიდის ან ჯგუფის გამიჯვნას სხვა ინდივიდისგან ან ჯგუფისგან. სოციალური იდენტობის განსაზღვრა მსგავსებისა და განსხვავების საფუძველზე ხდება და ის შედარების შესაძლებლობას იძლევა (Bornemann/Wakenhut, 1999). რიჩარდ ჯენკინსი განმარტავს, რომ სოციალური იდენტობა არის ჩვენეული გაგება – ვინ ვართ ჩვენ და ვინ არიან სხვა ადამიანები და, მეორე მხრივ, სხვა ადამიანების გაგება, ვინ არიან თვითონ ისინი და ვინ არიან სხვები (მათ შორის ვიგულისხმებით ჩვენც) (Jenkins 1996). ამგვარად, სოციალური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს ერთ – „ჩვენ“ ჯგუფთან იდენტიფიკაცია, რომელიც „სხვათა“ ან „უცხოთა“ ჯგუფს გაემიჯნება. „ჩვენ“ ჯგუფთან იდენტიფიკაცია განისაზღვრება მიკუთვნებულობის ხარისხით, თუ რამდენად ახლოს გრძნობენ ინდივიდები თავს ამა თუ იმ ჯგუფთან (Cohrs, 2005).

ემოციური სისტემის ამერიკელი მკვლევარი თომას შეფი სოციალური იდენტობის კონტექსტში საუბრობს მიკუთვნებულობის მოთხოვნილებასა და მასთან დაკავშირებულ ისეთ ძლიერ ემოციებზე, როგორებიცაა: სირცხვილი და სიამაყე (Scheff, 1994).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალურ იდენტობათა ერთობ-

ლიობა განსხვავდება კოლექტიური იდენტობისგან, რადგან ეს უკანასკნელი, ძირითადად, დეკლარაციების, მანიფესტებისა და პროგრამების საფუძველზე განისაზღვრება. აქვე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხდება ინდივიდის მიერ „თვით-“ და „სხვათა“ აღქმა, ანუ ის თავის თავს, უპირველესად, ხედავს როგორც ინდივიდს, თუ როგორც ჯგუფის წევრს. საიმონისა და მამენდეის აზრით, თუ ინდივიდის მიერ „თვით-“ და „სხვათა“ აღქმაში ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა დომინირებს, მაშინ სუსტდება ცალკეული ინდივიდისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა მნიშვნელობა და ძლიერდება მისი ჯგუფისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების წინ წამოწევა. ამასთანავე, უფრო მკვეთრდ გამოიყოფა სხვა ჯგუფისაგან მისი ჯგუფის განმასხვავებელი მახასიათებლები (Simon; Mummendey, 1997).

ჰენრი ტაიფელისა და ჯონ ტერნერის სოციალური იდენტობის თეორიის თანახმად, ინდივიდუალური იდენტობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალური გარემოს ფონზე და სოციალური იდენტობა არის „შემეცნებითი მექანიზმი“, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჯგუფური ქმედება. როცა ადამიანი თავის თავს აღიქვამს, რომელიმე ჯგუფის წევრად, ეს ჯგუფი მისთვის არის შიდა ჯგუფი (ingroup), ხოლო სხვა დანარჩენი ჯგუფები – გარე ჯგუფები (outgroup). აქედან გამომდინარე, ამ კონტექსტში, ყალიბდება მენტალიტეტი: შიდა ჯგუფი – გარე ჯგუფი, ანუ „ჩვენ“ და „სხვები“. ტაიფელი და ტერნერი გამოყოფენ სამ პროცესს, რომლებიც განაპირობებენ ასეთი მენტალიტეტის ფორმირებას: სოციალური კატეგორიზაცია, სოციალური იდენტიფიკაცია და სოციალური შედარება. მათი თვალსაზრისით, ადამიანებისთვის დამახასიათებელია სოციალური კატეგორიზაცია, რაც გულისხმობს ადამიანის მიერ თავისი თავისა და გარშემომყოფების მიკუთვნებას სხვადასხვა სოციალური კატეგორიისადმი, მაგალითად, ასაკობრივი, რელიგიური, რასობრივი, პოლიტიკური კატეგორიებისადმი. სოციალურ კატეგორიზაციას ორი ფუნქცია აქვა: ის ინდივიდს საშუალებას აძლევს წარმოსახვის დონეზე მოაწესრიგოს, სეგმენტებად დაყოს სოციალური გარემო და მეორე – სოციალური კატეგორიზაციის მეშვეობით ადამიანი თავის ადგილს პოულობს, თავის „მე“-ს განსაზღვრავს სოციალურ გარემოში. სოციალური იდენტობის თეორიაში „მე“ კონცეფცია შედგება პირადი და სოციალური იდენტობებისგან. ეს უკანასკნელი გულისხმობს მიკუთვნებულობას ან ერთიანობას ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფთან. შესაბამისად, სოციალური იდენტიფიკაცია, გარკვეულწილად, გვეხ-

მარება ვუპასუხოთ კითხვას: „ვინ ვარ მე?“ (Tajfel, Turner, 1986).

ტაიფელი და ტერნერი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ადამიანის მიერ თავისი თავისა თუ და სხვა ადამიანის განსაზღვრა რომელიმე კატეგორიის მიხედვით შეფარდებითია და, უპირველესად, შედარებას ეფუძნება. მაგალითად, კატეგორია „ახალგაზრდა“ აზრს იძენს მხოლოდ კატეგორია „მოხუცთან“ მიმართებაში. სოციალური იდენტიფიკაცია, ნიშნავს ამა თუ იმ ჯგუფის იდენტობის მიღებას, ჯგუფთან ერთიანობის აღქმას და ინდივიდის მიერ ჯგუფში უკვე დამკვიდრებული ნორმების გათვალისწინებას, ასევე ჯგუფის წარმატებისა თუ წარუმატებლობის მეტ-ნაკლებ თანაგანცდას. სოციალური იდენტიფიკაციის გამაძლიერებელ ფაქტორებად ასახელებენ ჯგუფის ღირებულებების გამორჩეულობა-განსხვავებულობას და პრესტიჟულობას. სოციალური იდენტობის თეორიის თანახმად, ადამიანს მიდრეკილება აქვს იდენტიფიკაცია თავის მსგავს ჯგუფთან მოახდინოს, იმ ადამიანთა ერთობასთან, რომლებიც მისი მსგავსია და მათთან კარგად გრძნობს თავს (Tajfel, Turner, 1986).

რომელიმე ჯგუფში კატეგორიზაციისა და მასთან იდენტიფიკაციის შემდეგ, ადამიანს ახასიათებს შეადაროს თავისი შიდა ჯგუფი გარე ჯგუფს (სხვა ჯგუფებს) და ამ პროცესში, თვითშეფასების ამაღლებისკენ სწრაფვის გამო, უპირატესობა მიანიჭოს შიდა ჯგუფს, ყურადღება გაამახვილოს გარე ჯგუფთან განსხვავებებზე და ნაკლებად შეამჩნიოს განსხვავებები შიდა ჯგუფის წევრთა შორის, დაიმახსოვროს დადებითი ინფორმაცია შიდა ჯგუფის შესახებ და, პირიქით, ნეგატიური – გარე ჯგუფთან დაკავშირებით (Tajfel, Turner, 1986).

ჰაინც ბონფადელის თანახმად, კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი პროცესებისა და ცვლილებების გათვალისწინება. ამ მხრივ, მისი აზრით, უნდა გამოვყოთ თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი რამდენიმე პროცესი, კერძოდ, გამარტივებული მობილობა, შეცვლილი საგანმანათლებლო სისტემა, პროფესიული სამყარო, გაფართოებული შრომის ბაზარი, სახეცვლილი გენდერული ურთიერთობები, ოჯახის ფორმები და დეტრადიციონალიზაციის ზოგადი ტენდენციები. თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე ამგვარი ცვლილებები მოითხოვს იდენტობის მნიშვნელობის ახლებურად განსაზღვრას. თუ ადრე რელიგია იყო იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, დღეს მისი მნიშვნელობა შესუსტებულია და სახელმწიფოს – ერს (ნაციას) ენიჭება სოციალური იდენტიფიკაციის ფუნქცია. ბონფადელის განმარ-

ტებით ამ კონტექსტში ყველაზე ხშირად დასმული კითხვაა, თუ როგორ ხდება, რომ მზარდი გლობალიზაციის ეპოქაში, მაშინ როდესაც ნაციონალური საზღვრების მნიშვნელობა მცირდება, სახელმწიფო და ეროვნული იდენტობა სოციალური იდენტიფიკაციის ძირითად მარკერად რჩება? (Bonfadelli, 2008).

ეროვნული იდენტობა სწორედ სოციალური იდენტობის ერთ-ერთი ფორმაა. მისი საკვანძო ობიექტი არის ერი. ეს არის კოლექტიური იდენტობა, რომელიც რომელიმე ეროვნული ჯგუფის წევრობას უკავშირდება, ანუ ინდივიდს აქვს ეროვნული ცნობიერება და თავისი თავის იდენტიფიკაციას ახდენს ერთან. ტერმინი „ეროვნული იდენტობა“ ასახავს უპირატესად პოზიტიურ და სუბიექტურად მნიშვნელოვან ემოციურ კავშირს ერთან. ანდერსონის (2003) თანახმად, ეროვნული იდენტობა, როგორც ზოგადი კონცეფცია, ძირითადად, ფსიქოლოგიურ კონცეფციად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული იდენტობის განსაზღვრისას ენტონი სმითი აღნიშნავს, რომ ეს ცნება „ფუნდამენტურად მრავალგანზომილებიანია“ (Smith, 1992). სმითი საუბრობს „ეროვნული იდენტობის პოპულარული კონცეფციის“ შესახებ, რომელიც, მისი სიტყვებით, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ეროვნული იდენტობა არის „განგრძობადი რეპროდუქცია და რეინტერპრეტაცია ღირებულებების, სიმბოლოების, მეხსიერებების, მითებისა და ტრადიციების იმ სისტემისა, რომელიც ქმნის ერის გამორჩეულ მემკვიდრეობას და ინდივიდების იდენტიფიკაცია ამ მემკვიდრეობასთან და მის კულტურულ ელემენტებთან“. სმითის თანახმად, ამ განმარტებაში, და შესაბამისად, ეროვნული იდენტობის ზოგად კონცეფციაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურული ფაქტორების მნიშვნელობას (Smith, 2009).

ეროვნული იდენტობის უმთავრეს ფუნქციად მიიჩნევენ „მისი მატარებელი სუბიექტების ჰეგემონიზაციას, ნაციონალური ნიშნით გაერთიანებას, ნაციის შიგნით კონფლიქტების მეორე პლანზე გადატანას“ (ზედანია, 2009).

ნაციონალური იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის კატეგორია, უკვე დიდი ხანია ყურადღების და კვლევის საგანია. გარკვეულწილად, მას შეიძლება კოლექტიური იდენტობის „პროტოტიპიც“ ვუწოდოთ. სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებულ კვლევებში, სხვადასხვაგვარ კონტექსტში, ეროვნული იდენტობა განიხილება რეგიონულ, ეთნიკურ და კულტურულ კოლექტიურ იდენტობებთან კავშირში. ანდრეას რეკვიტცი იდენტობათა ასე მრავალფეროვანი

ნიშნებით დაყოფას ზემოდერნული საზოგადოების შეცვლილი პოლიტიკურ-კულტურული რეალობით ხსნის. რეკვიტცი განმარტავს, რომ კოლექტიური იდენტობის შესახებ დებატები მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მე-20 საუკუნეში ემიგრაციული, პოსტ-კოლონიური და ფემინისტური მოძრაობები გააქტიურდა. მისი თქმით, კოლექტიური იდენტობების შესახებ მსჯელობა სწორედ იმ ნაციონალურ სახელმწიფოებში ძლიერდება, სადაც სხვადასხვა წარმომავლობის კულტურები მრავლობს (Reckwitz, 2001).

ეროვნული იდენტობის ზოგადი კონცეფციისა და სხვადასხვა პირობებში მისი ჩამოყალიბების შესწავლის თვალსაზრისით, განარჩევენ ორ ძირითად თეორიულ მიმდინარეობას: ესენციალიზმს და კონსტრუქტივიზმს. ზემოთ, ერის კონცეფციებისა და ნაციონალიზმის განხილვისას, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მოდერნიზმისა და ეთნოსიმბოლიზმის შესახებ. არსებითად, კონსტრუქტივიზმი ეროვნული იდენტობის კონტექსტში გადმოტანილი მოდერნიზმია და სწორედ მას ეფუძნება, ხოლო ესენციალიზმი – ეთნოსიმბოლიზმს.

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის ფორმა, მჭიდროდ ებმის ერის კატეგორიას. როგორ ხდება ამ კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბება და როგორ უკავშირდება ეს პროცესი ერის წარმოშობას? ამ კითხვაზე მოდერნიზმის (კონსტრუქტივიზმის) პასუხი შეიძლება დაახლოებით ასე ჩამოყალიბდეს: თანამედროვე წარმოდგენით, ერს ორი შემადგენელი აქვს – თავად ერის ცნება, იდეის კონსტრუქცია და ადამიანების ერთობლიობა, რომელიც საკუთარ თავს ამ ერის ნაწილად მიიჩნევს. ისტორიულად, ერის, როგორც იდეოლოგიის წარმოშობა წინ უსწრებს ერის, როგორც იდენტობის წარმოშობას. ანუ იმისათვის, რომ რაღაც იდეოლოგია იდენტობა გახდეს, ის უნდა დამუშავებული იყოს, როგორც იდეოლოგია. ამ კონტექსტში განმარტავენ, რომ „ეროვნული და ეთნიკური იდენტობების დადგენასა და დიდი ჯგუფების მიერ მის გაზიარებას რთული სისტემები – როგორც ინსტიტუციური, ასევე ტექნოლოგიური – სჭირდება. ანდერსონმა და გელნერმა ამ სისტემების ორი მოდუსი აღწერეს: განათლების სისტემა და მასმედია. მხოლოდ ამ ორის საშუალებით არის შესაძლებელი ეროვნული და ეთნიკური იდეოლოგია იდენტობად იქცეს – ანუ, მოსახლეობის დიდი მოცულობისთვის თვითგანსაზღვრის და თვითდადგენის, ასევე, საკუთარი თავის და საკუთარი ერთობის სხვებისგან განსხვავების საშუალებად და ინსტრუმენტად“ (თევზაძე, 2009).

ესენციალისტური პერსპექტივის თანახმად, ერის, როგორც კოლექტიური ერთობის წარმოშობის პროცესში, ხდება ისეთი კულტურული ნიშნების წინა პლანზე წამოწევა როგორებიცაა: ენა და ისტორია პოლიტიკურ და კულტურულ აქტორებს, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში, შეუძლიათ ითამაშონ ერთგვარი შუამავლის როლი კონკრეტულ კულტურულ მემკვიდრეობასა და მათ თანამედროვე რეალობას შორის; თუმცა, მათი სამოქმედო სივრცე შეზღუდულია სწორედ ამ კულტურული მემკვიდრეობით. ესენციალისტური მიდგომით, იგულისხმება, რომ ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესისთვის უკვე არსებობს ისეთი კულტურული „პრიმიტიული ერთობა“, როგორიც არის ეთნიკური ბირთვი და ნაციონალისტი მოღვაწეების ამოცანაა ხელახლა „აღმოაჩინონ“ და გარდაქმნან ეს კულტურული მოცემულობა პოლიტიკური განზომილებისთვის გამოსადეგ იდენტობად (Mickler, 2005).

როგორც ლარს ერიკ კედერმანი აღნიშნავს, ესენციალიზმის თანახმად, ნაციონალური კოლექტიური იდენტობისთვის დამახასიათებელია განგრძობადობა (continuity), კონსტრუქტივისტების აზრით კი ეროვნული იდენტობა შესაძლებელ-შემთხვევითია (contingent) (Cedermann, 2001).

ესენციალისტებისგან განსხვავებით, კონსტრუქტივისტები, ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკური პროცესების მნიშვნელობაზე და მიიჩნევენ, რომ ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული როლი ენიჭებათ პოლიტიკურ აქტორებსა და ელიტას (Cedermann, 2001). ამ მხრივ, კონსტრუქტივიზმის ფარგლებში, კედერმანი ორ ლოგიკას, ორ მიმართულებას გამოყოფს: „შედეგის ლოგიკას“, ანუ შედეგის გამოთვლაზე და, შესაბამისად, ანალიზზე დაფუძნებულ ინსტრუმენტულ/რაციონალურ ლოგიკას („logic of consequence“) და „სათანადოობაზე“, ანუ წესების დაცვაზე დამყარებულ ლოგიკას („logic of appropriateness“). კედერმანის თანახმად, ეროვნული იდენტობის ფორმირებისთვის „ინსტრუმენტალ-კონსტრუქტივისტები“ კულტურას, არა საწყის წერტილად, არამედ უფრო ამ პროცესის თანამდევ, „გვერდით ეფექტად“ მიიჩნევენ და ძირითადი აქცენტი პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე გადააქვთ. კონსტრუქტივისტების მეორე ჯგუფი კი, ამ „ინსტრუმენტულ ლოგიკას“ ავსებს ინსტიტუციური ფაქტორით, რითაც განამტკიცებს კავშირს კულტურასა და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას შორის (Cedermann, 2001). ამ ჯგუფის წარმომადგენელთა აზრით, გაუმართლე-

ბელია ნაციონალური იდენტობის წარმოშობის დისკურსის მხოლოდ პოლიტიკურ მანიპულაციებსა ან სახელწიფოს წარმოშობაზე დაყვანა და აქ აუცილებელია დამოუკიდებელი კულტურული განზომილების მნიშვნელობის აღიარება, რადგან ნაციონალისტური დისკურსის განვითარება და გავრცელება კულტურის სფეროში არ იყო უშუალოდ განსაზღვრული სახელმწიფოს მშენებლობის პროექტებით (Calhoun, 1997).

მოკლედ თუ შევაჯამებთ ამ ქვეთავში თავმოყრილ თეორიულ ინფორმაციას, ალბათ შეიძლება ითქვას, რომ ის გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, ზოგადად, იდენტობის კონცეფციებისა და, კონკრეტულად, ეროვნული იდენტობის შესახებ.

2. კვლევის მეთოდი

წინამდებარე კვლევა რამდენიმე სტადიად განხორციელდა. კვლევისთვის მნიშვნელოვანი ლიტერატურის განხილვის შემდეგ განხორციელდა ემპირიული მონაცემების შეგროვება-დამუშავება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში №1 გთავაზობთ ემპირიული კვლევის სრულ გეგმას:

სტადიები:	**მონაცემები:**	**ანალიზის მეთოდი:**
I სტადია რაოდენობრივი მონაცემების მეორადი ანალიზი	ISSP-ის გამოკითხვა „ეროვნული იდენტობა“, მე-3 ტალღა, საქართველო 2013 შესახებ	დესკრიპტული (აღწერითი) ანალიზი ფაქტორული ანალიზი საშუალოთა შედარება (t-Test) რეგრესული ანალიზი
II სტადია თვისებრივი კვლევა	ფოკუს ჯგუფები ქართველ მოსახლეობასთან	თვისებრივი კონტენტ-ანალიზი
III სტადია თვისებრივი კვლევა	სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებთან: პოლიტიკოსებთან, მედიის, განათლების, რელიგიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან	თვისებრივი კონტენტ-ანალიზი

ცხრილი №1: ემპირიული კვლევის გეგმა

I სტადია

ემპირიული კვლევის პირველ ეტაპზე დაიგეგმა რაოდენობრივ მონაცემთა მეორადი ანალიზი და დამუშავებულ იქნა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარებული ISSP-ის (International Social

Survey Programme) 2013 წლის „ეროვნული იდენტობის“ შესახებ მოსახლეობის რეპრეზენტატული კვლევის მონაცემები. აღნიშნული კვლევა იძლევა ინფორმაციას ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ერთობასთან სიახლოვე, ჭეშმარიტი ქართველი და ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ღირებულებები, საკუთარი ქვეყნისა და ეროვნული ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულება, ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების შეფასება, დამოკიდებულება ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და იმიგრანტების მიმართ. 2013 წლის „ეროვნული იდენტობის“ კვლევის ფარგლებში საქართველოში 1498 ადამიანი გამოიკითხა. შერჩევის ბაზად გამოყენებულ იქნა 2002 წლის საყოველთაო აღწერის დროს ჩამოყალიბებული სააღწერო უბნების სია. კვლევის რესპონდენტთა 45.4% მამაკაცია, ხოლო 54.6% – ქალი. გამოკითხულთაგან 21.6 პროცენტი 18 წლიდან 30 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება, 23.2% – 31-დან 45 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას, 18.2% – 46-დან 55 წლამდე კატეგორიას, ხოლო 37% – 56 წლის და უფრო ზედა ასაკობრივ კატეგორიას.

გამოკითხულთა უმრავლესობა (87.6%) ეთნიკურად ქართველია, 6.4% – აზერბაიჯანელი, 3.6% – სომეხი, ხოლო – 2.4 % – სხვა. რაც შეეხება რელიგიურ მიკუთვნებულობას, 83% თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, 11% – მუსლიმია, 4.2% სხვა რელიგიის წარმომადგენელი, ხოლო 1.5% არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებს.

რესპონდენტთა 25.4%-ს საშუალო სკოლის 11/12 წლიანი განათლება აქვს მიღებული, 29.9%-ს – პროფესიული განათლება, ხოლო 27.3%-ს – ბაკალავრის/5 წლიანი დიპლომი. შედარებით მცირეა იმ მონაწილეთა რაოდენობა, ვისაც აქვს: მაგისტრის (3.9%) და მაგისტრზე მაღალი ხარისხი (1.4%), ასევე სკოლის 8-9 წლიანი განათლება (8.6%) ან საერთოდ არ აქვს სკოლის განათლება (3.2%).

მონაწილეთა 28.5% ანაზღაურებად სამსახურში მუშაობს (დასაქმებულია, თვითდასაქმებულია ან ოჯახურ ბიზნესშია ჩართული). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებულ რესპონდენტთა 59.4% საჯარო სექტორში მუშაობს, ხოლო 40.6% – კერძოში. ამავე დროს, გამოკითხულთა 41.3% დაუსაქმებელია და ეძებს სამსახურს, 3.7% სწავლობს (მოსწავლე ან სტუდენტია), 24.1% პენსიონერია, ხოლო 2.5% – სხვა.

მონაწილეების უმეტესობა (71.3%) თავის თავს საშუალო ფენას მიაკუთვნებს, 17.6% – ქვედა სოციალურ ფენას, 8.6% – ზედა სოციალურ ფენას და მხოლოდ 2.5% – უმაღლესს.

ISSP-ის 2013 წლის „ეროვნული იდენტობის“ შესახებ კვლევის მონაცემების ანალიზი ჩატარდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით: დესკრიპტული (აღწერითი) ანალიზი, ფაქტორული ანალიზი, ჯგუფებს შორის საშუალოების შედარება და რეგრესული ანალიზი. აღწერითი კვლევის მეთოდის საშუალებით გამოვლინდა გარკვეული საზოგადოებრივი ტენდენციები და განწყობილებები. ფაქტორული ანალიზით მოხერხდა ცვლადების თემატურად გაერთიანება და მათ შორის სტრუქტურული ურთიერთკავშირის დადგენა. საშუალოთა შედარების საფუძველზე დადგინდა, განსხვავდება თუ არა ჯგუფების (სქესის, ასაკის, განათლების დონის გათვალისწინებით) პასუხთა საშუალო მაჩვენებლები. რეგრესული ანალიზით განისაზღვრა საპროგნოზო ცვლადის ვარიაციის სტატისტიკური მაჩვენებელი და ასევე დადგინდა, კონკრეტულად, რა სახის კანონზომიერი დამოკიდებულება არსებობს ცვლადებს შორის, ხოლო ცვლადებს შორის სტატისტიკური დამოკიდებულების ანალიზითა და ინტერპრეტაციით, შესაძლებელი გახდა მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულების გაგება (დურგლიშვილი, 2006).

II სტადია

რაოდენობრივი მონაცემების ახსნისა და უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მოსახლეობასთან ჩატარდა 8 ფოკუს ჯგუფი. სულ გვყავდა 64 მონაწილე [32 ქალი და 32 კაცი; თითოეულ ჯგუფში 8 მონაწილე] შერჩევა განხორციელდა ასაკის (18-24; 25-30; 31-45; 46-55; 55+), სქესის (ქალი/მამაკაცი), დასაქმების (დასაქმებული/დაუსაქმებელი) და საცხოვრებელი ადგილის (თბილისი: ცენტრი/გარეუბანი) გათვალისწინებით. პირველ და მესამე ფოკუს ჯგუფში მონაწილეები შეირჩნენ მხოლოდ სტუდენტის სტატუსის, ასაკისა და სქესის მიხედვით. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დეტალური გეგმა:

ფოკუს ჯგუფი N1	**ფოკუს ჯგუფი N2**
თარიღი: 21. 03. 2015	თარიღი: 21. 03. 2015
დრო: 12 საათი	დრო: 16 საათი
მონაწილეთა რაოდენობა: 8 მონაწილე [4 ქალი და 4 კაცი]	მონაწილეთა რაოდენობა: 8 მონაწილე [4 ქალი და 4 კაცი]
ასაკობრივი ჯგუფი: 18-24 წელი	ასაკობრივი ჯგუფი: 31-45 წელი

დასაქმების სტატუსი: ყველა მონაწილე იყო ბაკალავრიატის სტუდენტი	დასაქმების სტატუსი: 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დაუსაქმებელი და 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დასაქმებული
აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორი: მაქსიმალურად ჰეტეროგენული ჯგუფი – სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები	დასახლების ტიპი: ყველა მონაწილე იყო თბილისის გარეუბნის მაცხოვრებელი

ფოკუს ჯგუფი N3	**ფოკუს ჯგუფი N4**
თარიღი: 22. 03. 2015	თარიღი: 22. 03. 2015
დრო: 12 საათი	დრო: 16 საათი
მონაწილეთა რაოდენობა: 8 მონაწილე [4 ქალი და 4 კაცი]	მონაწილეთა რაოდენობა: 8 მონაწილე [4 ქალი და 4 კაცი]
ასაკობრივი ჯგუფი: 25-30 წელი	ასაკობრივი ჯგუფი: 31-45 წელი
დასაქმების სტატუსი: ყველა მონაწილე იყო მაგისტრატურის სტუდენტი	დასაქმების სტატუსი: 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დაუსაქმებელი და 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დასაქმებული
აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორი: მაქსიმალურად ჰეტეროგენული ჯგუფი – სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები	დასახლების ტიპი: ყველა მონაწილე იყო თბილისის ცენტრის მაცხოვრებელი

ფოკუს ჯგუფი N5	**ფოკუს ჯგუფი N6**
თარიღი: 28. 03. 2015	თარიღი: 28. 03. 2015
დრო: 12 საათი	დრო: 16 საათი
მონაწილეთა რაოდენობა: 8 მონაწილე [4 ქალი და 4 კაცი]	მონაწილეთა რაოდენობა: 8 მონაწილე [4 ქალი და 4 კაცი]
ასაკობრივი ჯგუფი: 46-55 წელი	ასაკობრივი ჯგუფი: 46-55 წელი
დასახლების ტიპი: ყველა მონაწილე იყო თბილისის გარეუბნის მაცხოვრებელი	დასახლების ტიპი: ყველა მონაწილე იყო თბილისის ცენტრის მაცხოვრებელი
დასაქმების სტატუსი: 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დაუსაქმებელი და 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დასაქმებული	დასაქმების სტატუსი: 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დაუსაქმებელი და 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დასაქმებული

ფოკუს ჯგუფი N7	**ფოკუს ჯგუფი N8**
თარიღი: 29. 03. 2015	თარიღი: 29. 03. 2015
დრო: 12 საათი	დრო: 16 საათი
მონაწილეთა რაოდენობა: 8 მონაწილე [4 ქალი და 4 კაცი]	მონაწილეთა რაოდენობა: 8 მონაწილე [4 ქალი და 4 კაცი]
ასაკობრივი ჯგუფი: 56+ წელი	ასაკობრივი ჯგუფი: 56+ წელი

დასახლების ტიპი: ყველა მონაწილე იყო თბილისის გარეუბნის მაცხოვრებელი	დასახლების ტიპი: ყველა მონაწილე იყო თბილისის ცენტრის მაცხოვრებელი
დასაქმების სტატუსი: 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დაუსაქმებელი და 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დასაქმებული	დასაქმების სტატუსი: 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დაუსაქმებელი და 4 მონაწილე (2 ქალი და 2 კაცი) იყო დასაქმებული
<u>მინიშნება:</u> თუ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული ინდივიდი პენსიონერია ის ავტომატურად ჯდება კრიტერიუმში – „დაუსაქმებელი“.	<u>მინიშნება:</u> თუ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული ინდივიდი პენსიონერია ის ავტომატურად ჯდება კრიტერიუმში – „დაუსაქმებელი“.

ცხრილი № 2

საკვლევი თემის დაწვრილებით შესწავლისა და რაოდენობრივი მონაცემების დესკრიპტული ანალიზის საფუძველზე, ფოკუს ჯგუფებისთვის გაიწერა სადისკუსიო გეგმა. სადისკუსიოდ შეირჩა შემდეგი თემები: ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი და გამყოფი ღირებულებები, ღირებულებათა კონფლიქტი თაობათა შორის, ქართველი ერის სიამაყე და სირცხვილი, ეროვნების/ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაცია, სამოქალაქო ვალდებულებები, ქართველი ერის სიახლოვე სხვა ერებთან, არსებული საერთაშორისო საფრთხეები ქართველი საზოგადოებისთვის, ქართველი ერის დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობის მიმართ, ეთნიკური უმცირესობების პრობლემები და სახელმწიფოს როლი ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით, ასევე, ქართველების დამოკიდებულება ემიგრაცია/იმიგრაციისადმი. განხორციელდა თითოეული ფოკუს ჯგუფის საუბარის აუდიოჩაწერა (მათი კონფიდენციალობის უზრუნველყოფით), რის შესახებაც რესპონდენტები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული და მიღებულ იქნა შესაბამისი თანხმობა. საბოლოოდ, მომზადდა თითოეული საუბრის ტრანსკრიპტი და ისინი დამუშავდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდით.

III სტადია

კვლევის პირველ და მეორე ეტაპზე მიღებული შედეგების განსამტკიცებლად და ასახსნელად, კვლევის მესამე სტადიაზე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან და ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებულ სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი ელიტის წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებთან (პოლიტიკოსები, მედიის, ეკლესიის, განათლების სისტემისა და არა-

სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები), რომლებსაც გარკვეული გავლენა აქვთ მოსახლეობაზე, მათი ღირებულებების ჩამოყალიბებისა თუ ცვლილების თვალსაზრისით. უნდა ითქვას, რომ კვლევის ეს ეტაპი ყველაზე რთული აღმოჩნდა, რადგან კვლევაში მონაწილეობისთვის არაერთი უარი მივიღეთ პოტენციური რესპონდენტებისგან. განსაკუთრებით გართულდა ეკლესიის წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსების დათანხმება ინტერვიუებზე. სულ ჩატარდა 26 სიღრმისეული ინტერვიუ, აქედან 12 ინტერვიუ ექსპერტებთან; 6 – პოლიტიკოსებთან; 3 – მედიაწარმომადგენლებთან, 1 ინტერვიუ ეკლესიის წარმომადგენელთან, 2 – განათლების სფეროს და 2 – არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტები შეირჩა მათი საქმიანობის სფეროსა და განხილული თემების საფუძველზე.

3. კვლევის შედეგები

3.1. ქართული ეროვნული იდენტობის გამოხატვის ფორმები

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტთა შეფასებით, დღევანდელ ქართულ ნაციონალიზმში შეიძლება გამოიყოს ორი მიმართულება: ერთი – პროგრესული, დასავლეთზე ორიენტირებული და მეორე – შეზღუდული, ეთნიკურობასა და კონკრეტულ აღმსარებლობამდე დაყვანილი ხედვა, ამასთან, ორივე გავლენას ახდენს ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე.

გამოკითხულ ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ საქართველოში, ხშირად, ეროვნების კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან გაიგივება ხდება, კერძოდ, ეთნიკურ ქართველებთან, ხოლო ეთნიკური ქართველის – მართლმადიდებელთან, მართლმადიდებლობასთან. ექსპერტეთა განმარტებით, მაშინ როდესაც საქართველოს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური კურსი დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზეა ორიენტირებული, ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი სამოქალაქო კომპონენტი უნდა იყოს, რომლის თანახმად, ქართული ეროვნული იდენტობა შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ ქართული ეთნიკური წარმომავლობისა და არა მხოლოდ მართლმადიდებელ ადამიანს:

> *„ჩვენი მენტალიტეტით იდენტობა ისევ ეთნიკურია, მაგრამ ეს უკვე საკმარისი აღარ არის, თუ ჩვენ უნდა ვიყოთ ჭეშმარიტი სახელმწიფო და ერი, ჩვენ უნდა ვიყოთ არა ეთნიკური ერთობა, არამედ მოქალაქეთა ერთობა ანუ სახელმწიფო ერი, სადაც ყველა მოქალაქე ერთი ერის წარმომადგენელია, მიუხედავად იმისა, ეთნიკურად ვინ არის. ასეთი იდენტობა ჯერ საქართველოში ჩამოყალიბებული არ არის და ალბათ დიდი ხანი არ იქნება (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბების სირთულეს ექსპერტები სწორედ ქართული ეროვნული იდენტობის სპეციფიკაში ხედავენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ქართველებისთვის ქართული ნაციონალური

იდენტობა უფრო მჭიდროდ უკავშირდება კულტურას, ვიდრე სახელმწიფოს. ქართული კულტურული იდენტობის ძირითად მახასიათებლებად, როგორც ფოკუს ჯგუფებში, ასევე ექსპერტთაგან, დასახელდა: ენა, ისტორია, რელიგია და ტრადიციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა შეფასებით, დღეს საქართველოში, გარკვეულწილად, კულტურული იდენტობის დამახინჯება ხდება – კულტურულ იდენტობას ეძლევა ეთნიკურობის ინტერპრეტაცია, მაშინ როდესაც კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება სოციალიზაციის საკმაოდ რთულ მექანიზმებს გულისხმობს. სოციალიზაციის პროცესი კი, ექსპერტთა განმარტებით, თავისთავად უკავშირდება ერთიანი ისტორიული მეხსიერების არსებობას.

გამოკითხულ ექსპერტთა თანახმად, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს ის მოვლენები, რომლებსაც ადამიანები მტკივნეულად ან სიამაყით იხსენებენ მათი საერთო კოლექტიური მეხსიერების მეშვეობით. ნაციონალური იდენტობის ფორმირება განვითარების გარკვეულ პროცესთან არის დაკავშირებული, რომელსაც თავისთავად ერთგვარი სიახლეები მოაქვს. ასეთ სიახლეებად, ექსპერტთა მიერ, დასავლეთიდან შემომავალი დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებები დასახელდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ განვითარების ეს პროცესი საქართველოში გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდება, რადგან, მათივე თქმით, ქართველებისთვის ქართული კულტურა გადარჩენაზე ორიენტირებული კულტურაა და სიახლეების მიმართ მოსახლეობას შიშის განცდა უჩნდება, – რომ არ „გადაშენდეს“, არ „გადაგვარდეს“ ის, რაც ისტორიულად უკვე შექმნილი და დამკვიდრებულია. ექსპერტთა აზრით, სწორედ განსხვავებულისადმი ამგვარი შიში აფერხებს ჩვენს ქვეყანაში განვითარების პროცესს, რომელიც სამოქალაქო იდენტობის მქონე ქართველი ერის ფორმირებას შეუწყობს ხელს.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული როგორც ექსპერტები, ასევე ფოკუს ჯგუფების რესპონდენტები, ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე გავლენის მოხდენის თვალსზარისით, ძირითად აქტორებად ყველაზე ხშირად ასახელებენ: პოლიტიკური ელიტას, ეკლესიას, მედიას, საგანმანათლებლო სისტემასა და არასამთავრობო ორგანიზაციების. ექსპერტთა აზრით, აღნიშნულ აქტორთა ხედვა, გარვეულწილად, ურთიერთსაპირისპიროა, რადგან, მაგალითად, პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური დისკურსი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც თავისთავად გავლე-

ნას ახდენს საზოგადოებაზეც. ამ კონტექსტში არაერთი ექსპერტის მიერ აღინიშნა ასევე ეკლესიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაპირისპირების საკითხიც:

> *„ეკლესია რჩება იმ ნაციონალიზმის საფუძველზე, რომლისთვისაც ქართველი არის მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველი. ამიტომ ეს ხელს უშლის არათუ სამოქალაქო ერის ჩამოყალიბებას, არამედ თვით ეთნიკური ქართველი ერის ჩამოყალიბებასაც იმიტომ, რომ როდესაც მღვდელი ამბობს, რომ თქვენ მართლაც გგონიათ, რომ მუსლიმი ქართველი ქართველია, აქ საუბარი ამაზე ძალიან ძნელია. ჩემი აზრით, ცალსახად, ეკლესია ხელშემშლელი ფაქტორია და ეს გასაგებიც არის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ერთ-ერთი ექსპერტი ქართველ საზოგადოებაში დისკურსის შემქმნელად ინტელიგენციასაც ასახელებს და ამ საზოგადოებრივ ფენაში, უპირველესად, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს მოიაზრებს (ცნობილი მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, რეჟისორები და ა.შ.). აღნიშნულ აქტორთა სამოქალაქო თვითშეგნებისა და განათლების დონეს ის უარყოფითად აფასებს და აღნიშნავს, რომ *„ერთადერთი ხსნა სამოქალაქო ერის ჩამოყალიბებისათვის, ეს არის სამოქალაქო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი და ახალგაზრდობის ნაწილი, ასევე სტუდენტობა* (*სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი*). ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოდგენა ნაციონალიზმის შესახებ ყველაზე უკეთ მიესადაგება, დასავლური გაგებით, ლიბერალურ ნაციონალიზმს, რომლის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორი და თავისუფალია და ყველას აქვს სამოქალაქო უფლებები. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, საქართველოში დღეს ეკლესიას ჰყავს მოწინააღმდეგე სწორედ ამგვარი ლიბერალური ჯგუფების სახით, რომლებიც აქტიურად იცავენ სხვადასხვა უმცირესობათა უფლებებს.

ქართული ეროვნული იდენტობის ქვაკუთხედად, გამოკითხულ პოლიტიკოსთა ნაწილის აზრით, უნდა ჩაითვალოს ერთმანეთზე მორგებული და ერთმანეთში შეზრდილი ეთნიკური და სამოქალაქო ფაქტორები. პოლიტიკოსების უმრავლესობა, ნაციონალური იდენტობის ეთნიკურ ასპექტს სამშობლოს სიყვარულს, ენას, სარწმუნოებას, ტრადიციებსა და საერთო ისტორიას უკავშირებს, ხოლო ნაციონალური იდენტობის სამოქალაქო ასპექტს – კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობას, სამართალს, ადამიანის უფლებებსა და

საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. ერთ-ერთი გამოკითხული პოლიტიკოსი ხაზგასმით მიჯნავს ერთმანეთისგან ერსა და ეთნოსს:

> *„ნაციონალური იდენტობა არის ამ სახელმწიფოს მოქალაქეების ერთად დგომა მომავლის ამოცანების წინაშე, ეს არის მთავარი. ვინც ერთად ხედავს თავის თავს განსაცდელში და მომავლისკენ, ის არის ერთი ნაცია. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ეთნიკურ წარმომავლობას აქვს რა თქმა უნდა, გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობის იგი არ არის, ნაცია და ეთნოსი სხვადასხვა ტერმინია (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

როგორც უკვე ითქვა, გამოკითხულ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილისთვის, ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ეთნიკური და სამოქალაქო მარკერები, მნიშვნელოვანწილად, ერთმანეთს გადაფარავს. პოლიტიკოსთა უმრავლესობის აზრით, ქართულ ეროვნულ იდენტობას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ეროვნულ იდენტობას, სწორედ რომ საკუთარი ქვეყნის ისტორია, მისი წარსული და თვითმყოფადობა ქმნის: „*ჩვენი ეროვნული იდენტობა არის აი ის ღირებულებები, ფასეულობები, რომელზეც აგებულია ჩვენი თვითმყოფადობა, იგივე ენა, მამული, სარწმუნოება, რომელიც ჩვენ ძალიან დავიდარაბის შემდგომ მაინც შევძელით, რომ შეგვენარჩუნებინა*“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი). იგივე პოლიტიკოსები ეროვნული იდენტობის მარკერებად ასახელებენ შემწყნარებლობას (ტოლერანტობას) და კაცთმოყვარეობას. ამავე დროს, ისინი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რელიგიას, შენარჩუნებულ ისტორიულ წეს-ჩვეულებებს, ქვეყნის სუვერენიტეტსა და თავისუფლებას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991) განხორციელებული იმ რეფორმებიდან ან საკანონმდებლო ცვლილებებიდან, რომლებიც ეროვნულ იდენტობას ან ნაციონალიზმს უკავშირდება, გამოკითხულ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილის აზრით, საზოგადოებაში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ეროვნების (ეთნიკური გაგებით) გრაფის ამოღებამ და ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამ გამოიწვია. ერთ-ერთი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ქართველებს შორის, გარკვეულწილად, არსებობს ერთსულოვნება დასავლურ, ევროპულ ორიენტაციასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული, რომ ამ მიმართულებით წინსვლისთვის სათანადო ნაბიჯების გადადგმაა საჭირო:

„ლიბერალურ კანონებს ვაღწევდით არა იმიტომ, რომ შინაგანი მოთხოვნილება იყო, არამედ იმიტომ, რომ იყო მოთხოვნილება ჩვენი პარტნიორების, დასავლეთში თუ გინდათ, ამავდროულად არის ზოგადი თანხმობა ქართველი ხალხისა, რომ დასავლეთში გვინდა, აქ ქართველები გულწრფელები არიან, მაგრამ ეს დასავლეთი რომ რაღაც ღირს და ფულია გადასახდელი, უფასოდ უნდათ, ურიგოდ უნდათ...ფულია გადასახდელი, დროა დასახარჯი, მაგრამ აქ არის პრობლემა, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველას ეს არ ეხება (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

ერთ-ერთი პოლიტიკოსი, მოსახლეობაში ამგვარი განწყობის არსებობას ტრადიციული ქართული ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს უკავშირებს:

„ანტიდისკრიმინაციული კანონი', რომლის დიდი თაყვანისმცემელიც არ ვარ, მაგრამ მანაც სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია ასევე, იმის გამო, რომ თუ ამ კანონს მივიღებდით, წაგვლეკავდნენ რაღაც LGBT თემის წარმომადგენლები და ჩვენი შვილები ან ლესბოსელები გაიზრდებიან, ან გეები" (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

მეორე პოლიტიკოსი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას „სხვათა" მიმართ საზოგადოებაში არსებული ტოლერანტული დამოკიდებულების გამოხატულებად მიიჩნევს და განმარტავს, რომ აღნიშნული კანონით განისაზღვრა ანდტიდისკრიმინაციული დამოკიდებულება არა მხოლოდ სექსუალური უმცირესობებისადმი, არამედ ნებისმიერი ტიპის უმცირესობისადმი. მისი თქმით, ამ კანონის მიღება ადასტურებს, რომ *„ჩვენ მართლა ვართ ევროპელები, ჩვენ მართლა შეიძლება რაღაცამ ემოციურად მოგვიაროს თავში, მაგრამ ჩვენ ამაზე არ დავეფუძნებით არასდროს და ტაბურეტკებით არ გადავეკიდებით ხალხს ქუჩაში განსხვავებული აზრის და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო"* (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი). გამოკითხულ პოლიტიკოსთა უმრავლესობის აზრით, ქართველი ხალხის ნაწილში, გარკვეულწილად, საზოგადოებრივ ელიტაშიც, არსებობს წინააღმდეგობრივი აღქმა და ხედვა აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით, რადგან ამ საკითხისადმი ღირებულებითი დამოკიდებულება განსხვავებულია.

ექსპერტთა და პოლიტიკოსთა მიერ ეროვნული იდენტობა, ძირითადად, განისაზღვრა არა როგორც უკვე ჩამოყალიბებული კატეგორია, არამედ როგორც პროცესი, რომელიც დროის ფაქტორთ-

ან ერთად უკავშირდება ასევე მიმდინარე მოვლენებს და იმ აქტორებსაც, რომლებიც ამ მოვლენებსა თუ დისკურსებს ქმნიან. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური იდენტობის სახე დროის შესაბამისად იცვლება, ის ექვემდებარება დროის გავლენას, ანუ ცვალებადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული გარემოს ზემოქმედებას. ამ ფაქტის კონკრეტული გამოხატულებაა ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი მარკერების (მახასიათებლების) და მათი გავლენის ცვლილება. აღნიშნული მარკერები განსხვავებულია მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენლისთვის, რადგან მათი სოციალიზაციის პროცესი სწორედ რომ დროის მიხედვით იცვლება, შესაბამისად, იცვლება ნაციონალური იდენტობის ის კონსტრუქტები, რომლებმაც ადამიანებში ნაციონალური იდენტობის ამა თუ იმ სახით ჩამოყალიბება განაპირობეს.

3.1.1. ქართული ეროვნული იდენტობის მარკერები

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის „პროტოტიპი“, განსაზღვრულია გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ხარისხით (Kecmanovic, 1996). თეორეტიკოსები (De Cillia 1999; Hobsbawm 2005; Staub 1997) მიიჩნევენ, რომ ეროვნული იდენტობის განცდის ხარისხი და ხასიათი დროის მიხედვით იცვლება და ამ პროცესს საზოგადოებისთვის აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს. ეროვნული იდენტობის კვლევისას ლეგიტიმურად ჩნდება ასეთი კითხვები: რა ქმნის ნაციონალურ იდენტობას? რა ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ ჩვენ ჩვენს თავს ქართველებად აღვიქვამთ? ჰაიდერისა და შმიდტის აზრით, ეს არის ემოციები ეროვნული იდენტობის გარკვეული ასპექტების მიმართ, რომლებიც მთელ ერს, როგორც მთლიანობას აერთიანებს. ამგვარ ასპექტებად ჰაიდერი და შმიდტი გამოყოფენ: ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას და ერთობასთან სიახლოვის განცდას (Heyder; Schmidt, 2001). ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ ასპექტებად სახელდება ასევე: ენა, რელიგია და ეროვნული სიმბოლოები, მაგალითად, დროშა, ჰიმნი, ეროვნული გმირები, მითები და სხვა (Poole, 1999).

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტთა შეფასებით, ქართველების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ძვირფასია „ქართველობა“, მაგრამ, მათივე თქმით, არც ისე იოლია საუბარი იმის შესა-

ხებ, თუ როგორ ესმით ამ ადამიანებს „ქართველობა“, ანუ სირთულე გამოიხატება „ქართველობის“ ძირითადი ფორმულის განსაზღვრაში. ამ პრობლემის გადასაჭრელად ექსპერტები „კარგი ქართველის“ მახასიათებლებს ორ ჯგუფად ჰყოფენ: პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა: ეთნიკურად ქართველი, მართლმადიდებელი, ჰეტეროსექსუალი, ტრადიციების დამცველი (მაგალითად, სუფრის კულტურის მიმდევარი, ჩოხოსანი და ა.შ.), ხოლო მეორე ჯგუფში აერთიანებენ: კანონმორჩილ მოქალაქეს და „სხვების“ მიმართ შემწყნარებელს. ამ კონტექსტში, ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჩვენი საზოგადოება ეროვნულ უმრავლესობა-უმცირესობად (ქართველებად და არაქართველებად) არის გაყოფილი, რაც ართულებს ისეთი საერთო ხედვის ჩამოყალიბებას, რომელიც ქართული ეროვნული იდენტობის განსასაზღვრად გამოდგებოდა. ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზია სამოქალაქო ცნობიერების ნაკლებობა. ისინი განმარტავენ, რომ გარკვეული მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულება განსხვავებულია ეთნიკურად ქართველ და არაქართველი მოსახლეობაში; ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული საერთო სახელმწიფოებრივი იდეა, რომელსაც დაემყარებოდა ერის კონსოლიდაცია. ექსპერტთა თანახმად, ყველაზე დიდ პრობლემად უნდა ჩაითვალოს მოსახლეობის უმრავლესობის, ანუ ეთნიკურად ქართველების პოზიცია, რომლის თანახმად, „კარგი ქართველობა“ მართლმადიდებლობას უკავშირდება. ექსპერტთა შეფასებით, მოსახლეობის ამგვარ განწყობილებას განაპირობებს სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების დაბალი დონე და მათდამი ნდობის ნაკლებობა:

> *„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეკლესია აღმოჩნდა ის ინსტიტუტი, რომელმაც თავისი მორალური ავტორიტეტი ძალიან გააძლიერა და პლუს ამას, მას (ეკლესიას) არ დასჭიდა გარკვეული პასუხისმგებლობების თავის თავზე აღება. სინამდვილეში ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი, რატომაც ბევრი ინსტიტუტის ავტორიტეტი დასცა, იყო ის, რომ ის ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტი თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა. ეკლესია კი, პრინციპში, იყო ის ინსტიტუტი, რომელმაც ძალიან ბევრი რამე აიღო თავის თავზე, რომელიც შეიძლება არც იყო მის განსაზღვრულობაში შემავალი, მაგრამ ასეა თუ ისე სწორედ ამან გამოიწვია ის რომ ეკლესია გახდა ერთ-ერთი ის ინსტიტუტი, რომელმაც იდენტობის ასეთი მარტივი განსაზ-*

ღვრება შესთავაზა ბევრ ქართველს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ექსპერტთა აზრით, „ქართველობის“ ზემოხსენებული მახასიათებლების პირველი ჯგუფის (ანუ ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მახასიათებლების) მიხედვით განსაზღვრა გარკვეული საფრთხის შემცველია, რადგან საზოგადოების გახლეჩა/დაყოფას აძლიერებს. ამ შემთხვევაში ერთ მხარეს ექცევიან ეთნიკურად ქართველები და ამავდროულად მართლმადიდებლები და მეორე მხარეს – „სხვები“, ანუ ეთნიკურად არაქართველები და არამართლმადიდებლები. შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნით, თუ „ქართველობის“ ამ ფორმულას გამოვიყენებთ, „სხვები“ ქართული ეროვნული იდენტობის მიღმა რჩებიან. მაგრამ თუ დავეყრდნობით „ქართველობის“ მახასიათებლების მეორე ჯგუფს, ანუ სამოქალაქო მახასიათებლებს და ეროვნული იდენტობის კონსტრუქციაში უარს ვიტყვით ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით „სხვების“ გამოყოფაზე, მაშინ საზოგადოების გახლეჩის ნაცვლად, მის გამთლიანებას შევუწყობთ ხელს. ამგვარად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო ცნობიერებაზე დაფუძნებული „ქართველობა“ და ნაციონალური იდენტობა ქვეყნის გამაერთიანებელი ხედვაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ნაწილის აზრით, ქართველობის განცდის ხარისხი და ქართველობის ტრადიციული გაგება დღეს ტრანსფორმაციას განიცდის. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმ განსხვავებაზე, რომელიც, მათი დაკვირვებით, არსებობს თაობათა შორის ქართველობის აღქმის თვალსაზრისით. ამგვარი განსხვავება თავისთავად სოციალიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული და იმ ღირებულებათა სისტემასთან, რომელიც ამა თუ იმ თაობას გააჩნია.

ჭეშმარიტი ქართველი და ქართველობის განცდის ხარისხი

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2013 წელს ISSP-ის „ეროვნული იდენტობის“ შესახებ ჩატარებული რეპრეზენტატული გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებს უნდა განესაზღვრათ თავიანთი დამოკიდებულება იმ ღირებულებებისადმი, რომლებიც „ჭეშმარიტი ქართველის“ ძირითად მახასიათებლებად განიხილება. მონაცემთა თანახმად, გამოკითხულთათვის ძალიან მნიშვნელოვანია: თავს გრძნობდე ქართველად (80,5%), შეგეძლოს ქართულად საუბარი

(77,9%), გყავდეს ქართველი წინაპრები (67,5%); მეოთხე და მეხუთე „ადგილზეა“: იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი (65,4%) და პატივს სცემდე საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და კანონებს (59,3%); პროცენტული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, დანარჩენი სამი მახასიათებელი ასე დალაგდა: გქონდეს საქართველოს მოქალაქეობა (56,8%), ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში გქონდეს გატარებული (54,7%) და დაბადებული იყო საქართველოში (49,9%).

დიაგრამა №1 : ჭეშმარიტი ქართველის განმსაზღვრელი ღირებულებები (ზოგადი მაჩვენებლები %)



№1 დიაგრამაზე წარმოდგენილი პროცენტული მაჩვენებლები ასახავს გამოკითხულ რესპონდენტთა მიერ შემოხაზულ პასუხებს („ძალიან მნიშვნელოვანი“). როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, იმისათვის, რომ ადამიანი „ჭეშმარიტ ქართველად“ იქნეს აღქმული, ყველაზე მნიშვნელოვანია ქართველად გრძნობდეს თავს (80,5%), შემდეგ სახელდება ქართული ენის ცოდნა და გყავდეს ქართველი წინაპრები. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ნაკლები ღირებულება ენიჭება საქართველოში დაბადების ფაქტორს (49,9 %).

სქესისა და ასაკის მიხედვით რესპონდენტების პასუხებს შორის განსხვავება არ გამოვლინდა. ორივე სქესის წარმომადგენელთათვის ყველა ასაკობრივ ჯგუფში სამი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია: თავს გრძნობდე ქართველად, შეგეძლოს ქართულად საუბარი და გყავდეს ქართველი წინაპრები (იხ. დიაგრამა №2 და №3).

დიაგრამა №2 და №3: ჭეშმარიტი ქართველის განმსაზღვრელი ღირებულებები სქესის და ასაკის მიხედვით მიხედვით





ქართული ეროვნული იდენტობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების განსაზღვრის მიზნით, ზემოგანხილული „ჭეშმარიტი ქართველის“ განმსაზღვრელი ღირებულებები გავაანალიზეთ ფაქტორული ანალიზით, რის შედეგადაც მოხერხდა ცვლადებს შორის სტრუქტურული ურთიერთკავშირის დადგენა. ფაქტორული ანალიზის თანახმად, „ჭეშმარიტი ქართველის“ განმსაზღვრელი ინდიკატორები ორ ფაქტორად დაიყო (ცხრილი №3): პირველ ფაქტორს **„ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობა“** შეიძლება ეწოდოს. მასში გაერთიანდა: ქართველად გრძნობდე თავს, გყავდეს ქართველი წინაპრები, იცოდე ქართული ენა და იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი. მეორე ფაქტორს **„სამოქალაქო-პოლიტიკური ეროვნული იდენტობა“** შეიძლება ეწოდოს. მასში გაერთიანდა: საქართველოში დაბადება, საქართველოს მოქალაქეობა, საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობა.

საშუალო შეფასებების მიხედვით, „სამოქალაქო-პოლიტიკური ეროვნული იდენტობის“ ფაქტორს ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქ-

ტორს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ არც ერთ ფაქტორში არ გაერთიანებულა და არც ცალკე ფაქტორის სახით გამოიყო საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კანონების მიმართ პატივისცემის ინდიკატორი. ეს შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული სახელმწიფო ინსტიტუტები ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ ასოცირებული არც ერთ ეროვნულ იდენტობასთან (არც ეთნო-კულტურულ და არც სამოქალაქო იდენტობასთან).

ცხრილი №3: ეთნო-კულტურული და სამოქალაქო-პოლიტიკური ეროვნული იდენტობა

Rotated Component Matrix[a]

ზოგი ადამიანის აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჭეშმარიტი (ნაღდი) ქართველი იყო. სხვები თვლიან, რომ არც ისე მნიშვნელოვანია. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ მოცემული თითოეული საკითხი?	ფაქტორი		1-ძალიან მნიშვნელოვანია; 5 საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი
	1	2	
დაბადებული იყო საქართველოში	.061	.818	1.95
გქონდეს საქართველოს მოქალაქეობა	.222	.808	1.67
ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში გქონდეს გატარებული	.258	.745	1.67
შეგეძლოს ქართულად საუბარი	.655	.377	1.30
იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი	.609	.295	1.65
პატივს სცემდე საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და კანონებს	.490	.334	1.55
თავს გრძნობდე ქართველად	.847	.013	1.24
გყავდეს ქართველი წინაპრები	.710	.076	1.51

ფაქტორი *„ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობა“* არ არის დამოკიდებული სქესსა (p=.083) და ასაკზე (p=.811), ანუ „ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობის“ განმსაზღვრელი ღირებულებების (ქართველად გრძნობდე თავს, იცოდე ქართული ენა, გყავდეს ქართველი წინაპრები და იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი) მნიშვნელობა ასაკისა და სქესის მიხედვით არ განსხვავდება და ამგვარი შედეგები დესკრიპტულმა ანალიზმაც დაადასტურა. ფაქტორი „ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობა“ დამოკიდებულია განათლების

დონეზე (p=.000). „ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობის“ განმსაზღვრელი ღირებულებებისადმი მიმღებლობა არ იკვეთება საშუალო განათლების (-0,10) და მასზე დაბალი განათლების მქონე პირთა შორის (-0,18; -0,62). სამაგიეროდ, განათლების დონის მატებასთან ერთად იზრდება „ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობის“ განმსაზღვრელი ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება (0,08; 0,13; 0,14).

ფაქტორი *„სამოქალაქო-პოლიტიკური ეროვნული იდენტობა“* არ არის დამოკიდებული სქესზე (p=.404), სუსტ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ასაკობრივ კატეგორიაზე (p=.028) და მკვეთრი დამოკიდებულება ფიქსირდება განათლების დონესა (p=.000) და დასაქმების სფეროზე (p=.000).

ძირითადი მიგნებები:

- რესპონდენტთა აზრით, იმისთვის, რომ „ჭეშმარიტი ქართველი“ იყო, უპირველესად, აუცილებელია თავს გრძნობდე ქართველად, ასევე შეგეძლოს ქართულად საუბარი, გყავდეს ქართველი წინაპრები, პატივს სცემდე საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტებს და კანონებს და გქონდეს საქართველოს მოქალაქეობა;
- იმისთვის, რომ იყო „ჭეშმარიტი ქართველი“ რესპონდენტთაგან ყველაზე ნაკლებ ღირებულებად დასახელდა: ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში გქონდეს გატარებული და დაბადებული იყო საქართველოში;
- როგორც ქალების, ასევე მამკაცების მიერ, ყველა ასაკობრივ ჯგუფში, „ჭეშმარიტი ქართველის“ განსასაზღვრად გამოიყო სამი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი: თავს გრძნობდე ქართველად, შეგეძლოს ქართულად საუბარი და გყავდეს ქართველი წინაპრები;
- ქართული ეროვნული იდენტობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ორ ფაქტორად დაჯგუფდა: ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობა და სამოქალაქო-პოლიტიკური ეროვნული იდენტობა;
- ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობა აერთიანებს ისეთ ნიშან-თვისებებს, როგორიცაა: გყავდეს ქართველი წინაპრები,

თავს გრძნობდე ქართველად, შეგეძლოს ქართულად საუბარი და იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი;

- სამოქალაქო-პოლიტიკური ეროვნული იდენტობა აერთიანებს შემდეგ ნიშან-თვისებებს: დაბადებული იყო საქართველოში, გქონდეს საქართველოს მოქალაქეობა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში გქონდეს გატარებული;
- როგორც მამაკაცებისთვის ასევე ქალებისთვის, ასაკის მიუხედავად, სამოქალაქო-პოლიტიკურ ეროვნულ იდენტობასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია „ქართველობის" ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობა;
- სამოქალაქო-პოლიტიკური ეროვნული იდენტობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისადმი დამოკიდებულება არ განსხვავდება სქესის მიხედვით, თუმცა მცირედი განსხვავება ფიქსირდება ასაკის მიხედვით, კერძოდ, საქართველოს მოქალაქეობა, როგორც „ჭეშმარიტი ქართველის" მახასიათებელი, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფროსი ასაკის მოქალაქეთათვის;

ქართველი ერის გამაერთიანებელი და გამყოფი ღირებულებები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტებს ვთხოვეთ ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი და გამყოფი ღირებულებების დასახელება. აღნიშნული კითხვის მიზანი იყო, ქართული ეროვნული იდენტობისთვის იმ ასპექტების განსაზღვრა, რომელებიც ღირებულებების თვალსაზრისით, საზოგადოების წევრებს შორის, ერთი მხრივ, ინტეგრაციას და თანხმობას განაპირობებს და, მეორეს მხრივ, შესაძლოა კონფლიქტი გამოიწვიოს. ექსპერტთაგან საზოგადოების ძირითად გამაერთიანებელ ღირებულებებად ისეთი სამოქალაქო ღირებულებები დასახელდა, როგორიცაა: კანონის უზენაესობა, თანასწორუფლებიანობა, თავისუფლება – სიტყვის, რელიგიის, გამოხატვის, პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლება და ტოლერანტობა, ანუ სხვათა, განსხვავებულთა მიმართ შემწყნარებლობა. ერთ-ერთი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს ქართველების „ტრადიციულობაზე" და ქართველთა ტრადიციულ ღირებულებებს ის დღეს ჩვენს ქვეყანაში შემოსულ ახალ ლიბერალურ ღირებულებებს უპირისპირებს. მისი განმარტებით, ჩვენს საზოგადოებაში არ-

სებობს ქართული პატრიოტული ღირებულებების „ჩარჩო“ და ამგვარ „ჩარჩოში“ ვერ თავსდება ის ადამიანი, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებს იზიარებს, რაც გარკვეული სახის ღირებულებით კონფლიქტს წარმოშობს საზოგადოებაში.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამაერთიანებელ ღირებულებად ექსპერტთა მიერ ქართული ენის ცოდნა დასახელდა. მათი აზრით, საერთო ენაზე კომუნიკაციაა აახლოებს ერთმანეთთან სხვადასხვა ჯგუფს, განსაკუთრებით კი, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფებს. ექსპერტთა ნაწილი საქართველოს „გარდამავალი საზოგადოების“ სტატუსს ანიჭებს და, ამ თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანაში განსხვავებული ღირებულებების მქონე ჯგუფების თანაარსებობაზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნულ ექსპერტთა აზრით, ამგვარი ვითარება ქართული ნაციონალური იდენტობის, საერთო ღირებულებათა ჩარჩოს შექმნისთვის სირთულეს წარმოადგენს.

ექსპერტთა თანახმად, ყველაფერი, რაც ქართულ ტრადიციულ წარმოდგენებს ეწინააღმდეგება, სავარაუდოდ, მიუღებელი იქნება ქართველი საზოგადოებისთვის; აქ, მაგალითად, მათ მიერ დასახელდა ერთნაირი სქესის ადამიანთა შორის ურთიერთობის და მისი ინსტიტუციონალიზაციის პრობლემები. ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, ღირებულებათა გაერთიანება ჩვენი საზოგადოებისთვის რთული ამოცანაა, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ განვითარების გარდამავალ ფაზაში ვიმყოფებით და დემოკრატიული სისტემის მოდელი ჩვენს სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. ამ პროცესის დასრულებისთვის კი, მისი თქმით, რამდენიმე თაობის ცვლილებაა საჭირო. ექსპერტებმა ქართველი საზოგადოების გაერთიანებისთვის ასევე მნიშვნელოვან წინაპირობად დაასახელეს ქვეყნის დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ეკონომიკური სტაბილურობა:

> *„(...) მოკლედ, გამაერთიანებელი იდეა საკმაოდ პრობლემურია, მაგრამ ეს გამაერთიანებელი და რაღაც ცენტრალური ღირებულება, რომლის ირგვლივაც ყველა შეიძლება გაერთანდეს და სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს, დღევანდელი სიტუაციიდან თუ გამოვალთ, მაინც მგონია, რომ ეკონომიკური საკითხები უფრო მნიშვნელოვანია, ისეთი კონცეპტი, რომ ამ ეკონომიკური პრობლემის დაძლევაში გარკვეულ პერსპექტივას გააჩენდა ხალხში, ალბათ ეს იდეა იქნებოდა მთავარი, თუმცა ამის შემდეგ უკვე სხვა პრობლემები შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ დღეს, მოცემულ ეტაპზე ეს*

მგონია მაინც მთავარი საკითხი, რომ იყოს უზრუნველყოფილი ეკონომიკური ცხოვრების პირობები და ეკონომიკა იყოს წინა პლანზე" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ერთ-ერთი ექსპერტის განმარტებით, სწორედ ეკონომიკური სიდუხჭირე განაპირობებს ქართველი ხალხის განსაკუთრებულ ნდობას ეკლესიისადმი, რადგან ეკლესიამ დღეს თავის თავზე აიღო „ხალხის დამამშვიდებლის" ფუნქცია და ის თავის გარშემო აერთიანებს იმ ადამიანებს, რომელთაც ეკონომიკურად უჭირთ და ასეთები კი ძალიან ბევრია ჩვენს საზოგადოებაში. ექსპერტეთა მიერ საზოგადოების გამაერთიანებელ ფაქტორად მტრის ხატიც დასახელდა – საერთო მტრის არსებობამ შეიძლება სხვადასხვა ჯგუფი გააერთიანოს. ერთ-ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ასეთ მტრად ქართველ მოსახლეობაში შესაძლოა დასავლეთი აღიქმებოდეს, როგორც ახალი, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების შემომტანი ჩვენს ქვეყანაში და, მეორე მხრივ, ქართველების ნაწილის მიერ მტრად აღიქმება ასევე რუსეთი, როგორც ოკუპანტი, რომელსაც დაკავებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%. ექსპერტთა აზრით, მოსახლეობის გაერთიანება ქვეყანაში მომხდარმა განსაკუთრებით ტრაგიკულმა ან სასიხარულო მოვლენამაც შეიძლება გამოიწვიოს. ასეთ მოვლენებად დასახელდა, მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილი, 2015 წლის 13 ივნისი, 1981 წელს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" მიერ ევროპის თასის აღება. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ქართველ საზოგადოებაში ნაკლებად არის ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი აზროვნება, რომლის თანახმად, უმთავრესი ღირებულება არის საკუთარი სახელმწიფოთი სიამაყე. სწორედ ამიტომ, მათი შეფასებით, დღეს საქართველოს მოსახლეობისთვის სამოქალაქო ღირებულებები მეორეხარისხოვანია და მათთვის მნიშვნელოვან გამაერთიანებელ ღირებულებებად ისტორიული მოვლენები, მიღწევები, ძეგლები და ტრადიციები რჩება, რაც, ძირითადად, ეთნო-კულტურულ სფეროს მიეკუთვნება.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში მნიშვნელოვანი ტენდენციები გამომჟღავნდა ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი და გამყოფი ღირებულებების დახასიათებისას.

18-30 წლის ასაკის, ორივე სქესის რესპონდენტების მიერ ძირითად გამაერთიანებელ ფაქტორად რელიგია და ისტორია დასახელდა. თუმცა, მათი აზრით, ეს ორი ღირებულება ხშირად გაუაზრებლად, გაუცნობიერებლად და ინერციით ინარჩუნებს არსებობას. ასევე დასახელდა სამშობლოსადმი სიყვარული, ტრადიციები და ოჯახი:

„(...) რელიგია ერთადერთია, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერი ერთიანდება, მაგრამ მართალია, რომ ბევრს არ აქვს გაცნობიერებული საერთოდ ის, რომ რელიგიას როგორ უნდა მიჰყვეს და მისდიოს. უბრალოდ იცის, რომ წავიდეს ეკლესიაში და მეტი არაფერი“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18–30).

„(...) ტრადიციად და ბრმად მივყვებით ეკლესიასაც, ყოველგვარი რწმენის გარეშე. ის რაც გვაქვს, იმაზეც ვერ ვიტყვით, რომ რწმენაა (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18–30).

ახალგაზრდა რესპონდენტთა შეფასებით, დღეს საქართველოში ღირებულებათა კონფლიქტი იკვეთება ეკლესიასა და საზოგადოებას შორის. ერთ-ერთი ახალგაზრდა რესპონდენტის აზრით, სარწმუნოება არის ერთ-ერთი ის მთავარი ღირებულება, რომლის გარშემოც საზოგადოება უნდა გაერთიანდეს, მაგრამ დღევანდელ რეალობაში მას ღირებულებათა კონფლიქტიც უკავშირდება, როდესაც საზოგადოება ორად: მორწმუნეებად და არამორმუნეებად იყოფა.

გამყოფ ღირებულებებზე საუბრისას, ფოკუს ჯგუფის ახალგაზრდა მონაწილეებმა შემდეგი ფაქტორები გამოყვეს: გენდერული თანასწორობა, სხვადასხვა სახის უმცირესობების მიუღებლობა და განსხვავებულობისადმი შეუწყნარებლობა:

„(...) ქართველები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან პატარა განსხვავებულობის გამო, გვარის განსხვავებულობის გამოც, წარმომავლობის განსხვავებულობის გამოც და ამ ადამიანებისთვის განსაკუთრებით რთული იქნება განსხვავებული რელიგიის მიღება, განსხვავებული შეხედულებების მიღება, ყველაფერი მოდის ოდითგან. ერთმანეთში, ერთობა გვაკლია, ერთს აზრს ვერ ვაღწევთ“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18–30).

ახალგაზრდა რესპონდენტთა შეფასებით, ქართველ საზოგადოებაში, სამოქალაქო-პოლიტიკური ღირებულებები სათანადოდ არ არის განსაზღვრული. ამ გარემოებას ისინი იმით ხსნიან, რომ ქართველმა ერმა ჯერ არ იცის, თუ რა მიმართულებით სურს განვითარება. რესპონდენტთა აზრით, ქართველმა ხალხმა არ იცის, თუ რას გულისხმობს ევროპეიზაციის პროცესი და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო-ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მნიშვნელობა. მათი აზრით, დღეს ადამიანები მატერიალური გაჭირვებიდან გამომდინარე ერთიანდებიან პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, თუნდაც არჩევნებში მონაწილეობა და ვინმესთვის ხმის

მიცემა ხდება იმის მოლოდინით, რომ ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლით მათი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ამგვარი მიდგომის საფუძველზე, ახალგაზრდა რესპონდენტები ქართველი მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერებას კრიტიკულად აფასებენ:

> *„(...) ერთი ეს ფაქტორია, მეორე არის ის, რომ პოლიტიკური ღირებულებები გამახსენდა, ამ შემთხვევაშიც ქართველი ერი არ არის ჩამოყალიბებული, რა უნდა, რა მიმართულებით უნდა წასვლა, ამბობენ, რომ ევროპა, მაგრამ ევროპეიზაცია რა არის არ იციან და ზედაპირულად რაღაც ფრაზებს გაიძახიან, გაგონილებს ალბათ. ამ შემთხვევაშიც დიდი პოლარიზაცია არის, ჩემი აზრით, და ეკონომიკას რაც შეეხება, ამ საკითხშიც ქართველი ერი ალბათ მხოლოდ იმაში ერთიანდება, რომ უნდა იყოს პასიურად და მას უნდა აძლევდნენ სახელმწიფო ფულად ბენეფიციებს, სარგებელს და პასიურად იყვნენ ამაში, ალბათ ასე (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18-30).*

საშუალო ასაკის (31-45) რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ თანამედროვე პროცესებზე და საუბრობენ დასავლეთიდან შემომავალ ღირებულებებზე. ისინი ევროპული ღირებულებებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ და მათ შემოდინებაში საფრთხეს ხედავენ. რესპონდენტები ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე ამახვილებენ ყურადღებას და აღნიშნავენ რომ ხალხს დემოკრატიის მნიშვნელობაც ნაკლებად ესმის. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, მათი აზრით, მოსახლეობის გახლეჩას უწყობს ხელს, მაშინ როდესაც ერი ისეთი ღირებულებების გარშემო უნდა ერთიანდებოდეს, როგორიცაა: ენა, მამული და სარწმუნოება. დღეს კი, ეკონომიკური გაჭირვების ფონზე, ეს ღირებულებები გაუფასურებულია. რესპონდენტთაგან საზოგადოების გამხლეჩ ერთ-ერთ ფაქტორად დასახელდა ასევე მედია.

უფროსი ასაკის (46-55) რესპონდენტებში ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელ ღირებულებებად გამოიყო: სამშობლოს სიყვარული, ქართველების ერთმანეთისადმი სიყვარული და რელიგია. ისინიც საზოგადოების გამყოფად ერთმანეთისადმი შურს, ადამიანთა ფინანსურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ასახელებენ:

> *„ურთიერთობაში ქართველებს გვიყვარს ერთმანეთი, გაერთაინება და ბრძოლა შეგვიძლია ერთიანი აზრისთვის. მაგრამ წინ მოდის ფინანსური პრობლემები. როდესაც ადამიანს საარსებო მინიმუმი არ აქვს სხვა რაღაცაზე ვეღარ ფიქრობს და გა-*

დართულია მის მოპოვებაზე. მაინც სიყვარული გვაერთიანებს და გვყოფს, გვაშორებს ეკონომიკური პრობლემები“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).

ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა აზრით, პოლიტიკაც იმ სფეროს მიეკუთვნება, რომელიც ადამიანების დაპირისპირებას უწყობს ხელს:

„(...) გვყოფს პოლიტიკა, სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, ზოგი ვის მხარესაა, ზოგი ვის მხარეს. ამ შემთხვევაში პოზიციას და ოპოზიციას ვგულისხმობ, ეს ძალიან დიდი მინუსია პოლიტიკაში ერთამენთის ჭამა“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).

უფროსი ასაკის რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ხალხმა კარგად რომ იცხოვროს, ეროვნული მთავრობა უნდა მოვიდეს ქვეყნის სათავეში. მათი დამოკიდებულება დასავლური ღირებულებებისადმი კრიტიკულია და უმთავრეს ღირებულებებად საკუთარი კულტურის, ტრადიციების, სარწმუნოებისა და ტერიტორიის დაცვა დასახელდა. მათი აზრით, ქართველი მოსახლეობა ჯერ მზად არ არის გლობალური სიახლეებისთვის. ამ მხრივ რესპონდენტებმა მედიას მანიპულატორის როლი მიანიჭეს და გლობალიზაციისადმი კეთილგანწყობის გამო ტელეარხები გააკრიტიკეს. მათი შეფასებით, მედიიდან მოწოდებული ინფორმაცია ეროვნულ ღირებულებებს უპირისპირდება, რაც ახალი თაობის განვითარებისთვის საშიშროებას ქმნის და „ქართველობის მოსპობას“ ნიშნავს:

„როგორც სახელმწიფოა შეუმდგარი, ასევეა საზოგადოებაც, რაც არ უნდა აქტიური იყო კომუნიკაციები ანტის გიქადაგებენ და მომავალი თაობა კიდევ როგორი იქნება კაცმა არ იცის. ეს ქართველობის მოსპობაა“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).

აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დაასახელა მოქალაქეობა საზოგადოების ძირითად გამაერთიანებელ ფაქტორად. მისი აზრით, რწმენა და ტრადიცია არ არის საზოგადოებისთვის საკმარისი გამაერთიანებელი ღირებულება და მხოლოდ მოქალაქეებისთვის დაწერილი კანონმდებლობა არის ერთიანობის საწინდარი, რომელიც ადამიანებისთვის დროთა განმავლობაში „ტრადიციად“ იქცევა. მისმა ამგვარმა მოსაზრებამ რესპონდენტთა უმრავლესობის წინააღმდეგობა გამოიწვია:

„ჩვენ გვაერთიანებს საქართველოს მოქალაქეობა, ჩვენ თუ აქცენტს ტრადიციებზე და სარწმუნოებაზე გავაკეთებთ,

მაშინ სხვები ამის მიღმა დაგვრჩებიან, ისინი ვინც საქართველოში ცხოვრობენ. მე ვცხოვრობ ქართულ სახელმწიფოში, აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური წარმომავლობის ადამიანები, თუ ვაშენებთ ერთიან სახელწიფოს უნდა გვაერთიანებდეს მოქალაქეობა. ჩვენ ერთიანი საზოგადოება გვინდა, თუ ჩვენით შევქმნათ ჩვენი საზოგადოება, თუ კი, შევქმნათ, ვინ გიშლით? მაგალითად, შეიმუშავეს კანონ-პროექტი, თქვენ ვისზე დაწერდით კანონს, მოქალაქეზე თუ ქართველზე?" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 45–55)

55 წლის და ზემოთ ასაკის რესპონტენტებშიც გამოიკვეთა ტრადიციული ღირებულებების დაკარგვის შიში. მათი აზრით, ტელევიზიამ და საზღვრების გახსნამ ახალი ღირებულებების შემოდინება და ახალგაზრდებში მათი დანერგვა გააძლიერა. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები ქართველი საზოგადოების ძირითად გამაერთიანებელ ღირებულებად უმეტესად სამშობლოსადმი და ყოველივე ქართულისადმი სიყვარულს ასახელებენ. ასევე ოჯახი დასახელდა ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად, რომელიც, მათი აზრით, ყველა ქართველისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ამ ჯგუფის რესპონდენტების უმრავლესობა კრიტიკულად არის განწყობილი ახალი თაობის მიმართ, რადგან ახალგაზრდებისთვის გაუფასურებულია ის ღირებულებები, რომლებიც ტრადიციულად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ამას ისინი, სწორედ რომ განვითარებას და საზღვრების გახსნას უკავშირებენ:

„(...) ადრე სულ სხვა იყო, ჩვენს ახალგაზრდობაში, დღევანდელ დღეს რატომღაც არ ვიცი, ალბათ ცხოვრებამ მოიტანა, განვითარებამ მოიტანა, საზღვრების გასხნამ მოიტანა, მაგრამ რაც დადებითია ის რომ ავიღოთ, კარგი იქნება და ეს უარყოფითები დავივიწყოთ. ჩვენი წინაპრები სხვანაირად გვასწავლიდნენ, მშობლები სხვანაირად გვასწავლიდნენ" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 55+).

უნდა აღინიშნოს, რომ უფროსი ასაკის რესპონდენტები ხშირად საუბრობენ ევროპიდან შემომავალ ღირებულებებზე, რომლებიც ქართულ ეროვნულ ღირებულებებს საფრთხეს უქმნის და საზოგადოების გაყოფას იწვევს. მათი აზრით, უნდა მოხდეს ისეთი ღირებულებების გადმოღება-გაზიარება, რომლებიც ქართულ ეროვნულთან ახლოსაა. ასეთ ღირებულებებს ისინი „კარგ" ღირებულებებს უწოდებენ.

„(...) მიდის ე.წ. ჩამოყალიბება არამართებლივი, არამართალი ღირებულებების. გვეუბნებიან, რომ ჩვენ ევროპისკენ უნდა

მივისწრაფოდეთ, რას ვიღებთ იქედან? კარგი ავიღოთ, აგერ ბატონმა ბრძანა, ევროპასაც აქვს დადებითი, რა თქმა უნდა, კარგი ავიღოთ, მაგრამ როდესაც ჩვენ გვაიძულებენ, რომ ბოდიში და გეი პარადები ჩავატაროთ, ეს ცოტა ქართულ მენტალიტეტს ვერ იღებს" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 55+).

რესპონდენტების მოსაზრებით, გამაერთიანებელ ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე ისეთი ღირებულებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საერთო საფრთხის წინაშე, საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლებს ესაჭიროებათ. ასეთ ღირებულებებად დასახელდა: ტრადიციულობა, ტოლერანტობა, რელიგია, სამშობლოს სიყვარული და ზნეობრიობა. ამ ღირებულებათა ჩამოყალიბება-განვითარების საფუძველს კი უფროსი ასაკის რესპონდენტები კარგ განათლებაში ხედავენ.

უფროსი თაობის რესპონტენტებში, ძირითადად, საქართველოს დღევანდელი სიტუაციით უკმაყოფილება გამომჟღავნდა. მათთვის, ზოგადად, რთული აღმოჩნდა ისეთი ღირებულებების დასახელება, რომელებიც ქვეყანას დღეს გაერთიანებამდე მიიყვანს. უმთავრესად, აღინიშნა ისეთი ღირებულებები, რომლებიც უნდა აერთიანებდეს ქვეყანას და არა ისეთები, რომლებიც აერთიანებს. ამგვარი ვითარება, მათი აზრით, ქვეყნის მძიმე ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების თანახმად, საზოგადოება უნდა გაერთიანდეს ეთნო-კულტურული ღირებულებების გარშემო, როგორებიცაა, მაგალითად, ქართველების ერთმანეთისადმი სიყვარული, რელიგია, ოჯახი; თუმცა, ქვეყანაში არსებული ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური სიტუაცია ამ ღირებულებათა გაუფასურებას იწვევს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ქართული მედიის სამ სხვადასხვა წარმომადგენელს დავუსვით კითხვა, თუ რომელ ღირებულებებს გამოყოფდნენ ისინი ქართველი ერის დასახასიათებელად და, მათი აზრით, რა წვლილი შეაქვს მედიას ქართველი საზოგადოების ღირებულებების ჩამოყალიბებისა თუ ტრანსფორმაციის პროცესში. გამოკითხული მედიაწარმომადგენლები ქართულ ღირებულებებს ორ ფაქტორად აჯგუფებენ. მათი განსაზღვრებით, არსებობს „კარგი" და „ცუდი" ღირებულებები, რომელებიც ქართველ ერს ახასიათებს. „კარგ" ღირებულებებად დასახელდა, მაგალითად, ქართული სტუმართმოყვარეობა და შემწყნარებლობა. ასევე დასახელდა ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა: თავისუფლების სიყვარული და თავისუფლებისთვის ბრძოლა, მეგობრებისა და ნათესავებისადმი კე-

თილგანწყობა. ერთ-ერთი მედიაწარმომადგენლის მიერ დადებით ღირებულებად შეფასდა ასევე ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მხარდაჭერა მოსახლეობის უმრავლესობის მიერ. მედიაწამომადგენლები კრიტიკულად განიხილავენ სოლიდარობის ფაქტორს ქართველებში:

> *„(...) სოლიდარობა რაღაც გარკვეულ თანასწორობას, არა შემწყნარებლობას, არამედ უფრო გაზიარებას, თანადგომას გულისხმობს, ასე რომ ვთაქვათ და ეს უფრო მეტი თუ გვექნება, ეს კარგი იქნებოდა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიაწარმომადგენელი)*

ერთ-ერთი მედიაწარმომადგენლის თქმით, ღირებულებები სწრაფად არ იცვლება და ამისთვის საკმაოდ დიდი დრო არის საჭირო. სხვა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მედიამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული პროცესის განვითარებას. მისი აზრით:

> *„ტელევიზია ვერ იქნება საგანმანათლებო ცენტრი, აქ ლექციას ვერ ჩაატარებ. ყველაზე მნიშვნელოვანი არის იმდენი ინფორმაციის მიწოდება, რამდენი ინფორმაციაც გამოიწვევს მომხმარებელში სურვილს, რომ უფრო მეტი გაიგოს იმ მოვლენის შესახებ, რომელიც შენ მას მიაწოდე“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიაწარმომადგენელი)*

ერთ-ერთი მედიაწარმომადგენელი სწორედ მიმდინარე აქტუალური პროცესების არსებობით ხსნის ამა თუ იმ მედიაარხის ტენდენციურობას. მისი განმარტებით, მედიის ტენდენციურობა გამოიხატება იმაში, თუ განვითარების რა მიმართულებას ემხრობა ესა თუ ის არხი. ზოგისთვის ეს არის ევრო-ატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა და ზოგისთვის ე.წ. ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნება. თუმცა, მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ დღეს ქართველ მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს პოლიტიკური მოვლენები, მისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური საკითხების განხილვა, რაც მის პირად მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ქართველი ერის დახასიათებისას, ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში ეკონომიკური და უსაფრთხოების ფაქტორი განსაზღვრავს მოსახლეობის ღირებულებათა სისტემას. ქართველებისთვის დამახასიათებელ მთავარ ღირებულებებად მან დაასახელა: სამართალი, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო და ეთნიკური ნაციონალიზმი და ასევე რელიგიურობა და ტრადიციებისადმი „ლაციცი“:

„მე მგონი, ზოგადად მოსახლეობის ღირებულებათა ცვლილებაზე გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, ეკონომიკური მდგომარეობა, მეორეს მხრივ უსაფრთხოების მოთხოვნილება“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი)

„ქართულ“ ღირებულებათა შორის, პოლიტიკოსთაგან დასახელდა ასევე: თავისუფლება, ტოლერანტობა, განვითარებისკენ და ევროპისკენ სწრაფვა. ერთ-ერთი პოლიტიკოსი უარყოფითად აფასებს აქტუალურ პოლიტიკურ დისკურსს ღირებულებათა ჩამოყალიბებისა და ცვლილებების შესახებ. მისი შეფასებით, დღევანდელი პოლიტიკური დისკურსი არის „სიძულვილის ენით გამსჭვალული და მდაბიო“ და ასეთი პოლიტიკური დაპირისპირებები, გარკვეულწილად, გავლენას ახდენს მოსახლეობის ფართო ფენების განწყობილებაზეც. ერთ-ერთი პოლიტიკოსის თქმით, არაპოლიტიკური პროცესებიც გავლენას ახდენს საზოგადოებაში ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს მრევლში ეკლესიის გავლენით, თაობათა შორის დაპირისპირებები, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, მედიის დამოუკიდებლობის საკითხი და სხვა. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ თუ ქართველთა გამაერთიანებელ და გამყოფ ღირებულებებზე ვსაუბრობთ, ნებისმიერი მათგანი შეიძლება იყოს როგორც გამაერთიანებელი, ასევე გამყოფიც – გააჩნია, ვის აერთიანებს და ვის ჰყოფს:

„მაგალითად, რელიგია აერთიანებს რაღაც ჯგუფს და ცალკე ტოვებს სხვას, მოქალაქეების რაღაც ნაწილს არ მიიჩნევს ქართველებად მხოლოდ რელიგიური მიკუთვნებულობის გამო. ან პირიქით, არ ითვალისწინებს და ამით აერთიანებს, მაგალითად, ქართველების ნაწილი თვლის, რომ ლაზებიც ქართველები არიან, მიუხედავად იმისა, რომ არ არიან ქრისტიანები. შეიძლება ითქვას, რომ ენა როგორც ღირებულება არსებობს. ენობრივად გამაერთიანებელია ამ ენის სტანდარტიზაცია (....) წარსულზე ორიენტირება გამაერთიანებელია, იმიტომ, რომ საერთო წარსული გვაქვს და ეს აერთიენებს. გამაერთიანებელი არის წარმოდგენა. ნებისმიერი ღირებულება გამაერთიანებელია, თუ ის გაზიარებულია. „ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სფეროს წარმომადგენელი)

აღნიშნულ რესპონდენტს მიაჩნია, რომ ჩვენს საზოგადოებაში აღინიშნება ყველაზე მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი ღირებულების – სამოქალაქო ღირებულების ნაკლებობა. მისი განმარტებით,

სამოქალაქო ღირებულება გულისხმობს წარმოდგენას, რომ ჩვენ ერთად ვაშენებთ ჩვენს მომავალს, მიუხედავად განსხვავებული წარმომავლობისა თუ ინტერესებისა. მისი თქმით:

> *„მრავალფეროვნება, როგორც ღირებულება რომ ყოფილიყო მნიშვნელოვანი, მაშინ ეს იქნებოდა გამაერთიანებლი. ჩვენ ერთიანები ვართ, იმის მიუხედავად, რომ ვართ მრავალფეროვანები. ანუ ეს ღირებულება არ არის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სფეროს წარმომადგენელი)..*

ღირებულებათა კონფლიქტი თაობათა შორის და დროის ფაქტორის გავლენა ღირებულებათა ცვლილებაზე

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ქართული ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა ღირებულებათა ცვლილება ბოლო 25 წლის განმავლობაში და ამ მხრივ არსებული განსხვავება თაობებს შორის. მნიშვნელოვანი იყო იმის წარმოჩენა, თუ როგორ აღიქმება ახლანდელი ღირებულებები სხვადასხვა ასაკის ადამიანების მიერ და, ამავდროულად, როგორ აფასებენ ისინი ღირებულებათა ცვლილებას მათ და წინა/მომდევნო თაობას შორის. კითხვაზე, რამდენად შეიცვალა ღირებულებათა სისტემა თაობებს შორის აღნიშნულ პერიოდში, ახალგაზრდა რესპონდენტების (18-30), როგორც ქალების, ასევე მამაკაცების აზრით, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. მათი შეფასებით, ძველი თაობა უფრო კოლექტივისტურია და ახალი უფრო ინდივიდუალისტური:

> *„...ვფიქრობ ძველ თაობაში, ძველი არა, ჩემი მშობლების თაობაში ასე ვთქვათ, უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რას იტყვის ხალხი, საზოგადოების დამოკიდებულება როგორია, თუნდაც შენს პირად ცხოვრებას შეეხებოდეს, ძალიან იყო ეს ზეგავლენა. დღეს ასე ვფიქრობ, ძალიან არ შემცირდა და ამას რა გააქრობს, მაგრამ აი ჩემს თაობაში ვფიქრობ ეს ნაკლებად არის“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–30).*

ახალგაზრდა რესპონდენტთა თანახმად, ევროპეიზაციის პროცესმა ახალი დისკურსი შემოიტანა საზოგადოებაში, რომლის გავლენით ამაღლდა განათლების მნიშვნელობა, ქალის როლი საზოგადოებაში, ასევე გაიზარდა პოლიტიკაში ჩართულ ქალთა რაოდენობა. ახალგაზრდების შეფასებით, ამგვარი დისკურსი მათთვის უფრო მისაღებია, ვიდრე უფროსი თაობისთვის, რომლისთვისაც ოჯახი და ტრა-

დიცია ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთანავე, მათი აზრით, უფროსი თაობა უფრო სტერეოტიპულია, როდესაც საუბარი ეხება ქალისა და მამაკაცის ადგილს საზოგადოებაში. ახალგაზრდა რესპონდენტებმა თაობებს შორის ინფორმირებულობის სხვადასხვა დონეზეც გაამახვილეს ყურადღება. მათი აზრით, ძირითადად, სწორედ ინფორმირებულობის სხვადასხვა ხარისხი განაპირობებს თაობათა შორის ღირებულებათა კონფლიქტს.

> *„ ...რაც განასხვევებს ეგ არის, რომ მაინც ინფორმაციის შემოდინებამ, ინფორმაციის წყარომ, როგორიც არის ინტერნეტი და სხვადასხვა ტიპის ლიტერატურა...მაგრამ პრობლემას ქმნის ისიც, რომ ხალხს არ აქვს შესაძლებლობა, რომ ეს ლიტერატურა შეიძინოს გინდ ელექტრონული სახით და გინდ მატერიალური სახით" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18-30).*

ახალგაზრდების დაკვირვებით, დღეს ქართველი საზოგადოება ტრანსფორმაციის პროცესშია, რაც ღირებულებათა გადაფასების პროცესსაც გულისხმობს. ისინი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდი ხანი არ არის გასული და საბჭოურმა „ჩაკეტილობამ" თავისი კვალი დააჩნია იმ თაობას, მის ღირებულებებს, რადგან, რაც უფრო „ჩაკეტილია" საზოგადოება, მით უფრო „ტრადიციულია" იგი და რაც უფრო „ღიაა" – მით უფრო „ცივილიზებული". საზოგადოების „ჩაკეტილობა-ღიაობის" საკითხს ახალგაზრდა რესპონდენტები ისევ ინფორმირებულობის დონეს უკავშირებენ, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს.

საშუალო ასაკის რესპონდენტებმა (31-45) კრიტიკულად შეაფასეს ღირებულებათა ცვლილების პროცესი, რომელიც ძირითადად ევროპულ-დასავლურ გავლენას განიცდის. მათი აზრით, ადამიანები ადრე უფრო ტრადიციაზე ორიენტირებული იყვნენ (იგულისმება უფროსი თაობის მიმართ პატივისცემა და მათი აზრისთვის ანგარიშის გაწევა გადაწყვეტილების მიღებისას). დღეს კი, ახალი თაობა თავისუფლებასთან ასოცირდება და ამ თავისუფლებას, მათი აზრით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს. თუმცა, რესპონდენტების ეს ჯგუფი მიიჩნევს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ინფორმაციის მართებულად აღქმა, გაგება და ახალგაზრდებისთვის მიწოდება, რათა არ მოხდეს ქართული ტრადიციული ღირებულებების გაუფასურება, რადგან, მათი თქმით, დღეს ძირითადად მედია ახდენს გავლენას ღირებულებათა ჩამოყალიბებაზე:

„ქცევის კულტურა, ურთიერთობის კულტურა, მე არ გამოვდივარ კომუნისტური ჩარჩოებიდან, ელემენტარულად ბავშვები თავისუფლებას სხვა რაკურსით უყურებენ (...) ისე მივესალმები ცივილაზიაცის. ინტერნეტით მიღებულ ინფორმაციას გაგება სჭირდება, ბავშვს უნდა დაეხმარო მის სწორად გაგებაში(...) ბევრი რამის გადაფასება მოხდა. განათლება და სწორად მიწოდებაა მთავარი, რომ ეს უკულტურობაში, ქცევის ნორმების დარღვევაში არ გადაიზარდოს. (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31- 40).

უფროსი თაობა (45-55 და 55+), ზოგადად, კეთილგანწყოფილია ღირებულებების ცვლილებების მიმართ. თუმცა, ფიქრობს, რომ ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებაც საჭიროა. მათი აზრით, ქართველებს სხვა ერი არ უნდა მართავდეს. დასავლეთისადმი ისინი კრიტიკულად არიან განწყობილი და ფიქრობენ, რომ განვითარებული ქვეყნიდან შემომავალი სიახლეები უარყოფითად მოქმედებს ახალ თაობაზე. უფროსი თაობის რესპონდენტები ყურადრებას ამახვილებენ ასევე განათლების პრობლემაზე და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში სწავლა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, დღეს კი, მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, უმაღლესი განათლების მიღება მრავალთათვის ოცნებად იქცა:

„ჩვენ ტრადიციული ქვეყანა ვართ, ამას ვერ დავივიწყებთ. ამ თაობას რაღა შეგვცლის, მაგრამ ბავშვი გადართავს ტელევიზორს და ნახავს, რისთვის მინდა არხი „მარაო“? ტელევიზია გაჯერებულია იაფფასიანი რაღაცეებით. ეს თაობა ამას ჩვეულებრივად მიიღებს. რაც შეეხება უცხოეთს, იქ უკვე არის ტრადიცია, ოჯახს პატივს სცემენ, ჩვენ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი გვაქვს, რაღაცეები გადმოვიღეთ, რაღაცეები არასწორად გავიგეთ, ვებღაუჭებით რაღაცეებს, რაც ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში აღარ არის“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 45–55).

მეორე მხრივ, უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის ღირებულებათა ტრანსფორმაცია განვითარების თანმდევი გარდაუვალი პროცესია და არსებობს ძველი, დრომოჭმული ტრადიციები, რომლებიც უნდა შეიცვალოს. თუმცა, გარკვეული ფასეულობების შენარჩუნება აუცილებელია, როგორიცაა, მაგალითად, დიდი ოჯახის ტრადიცია.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები ღირებულებათა ცვლილებას მუდმივი გარდაქმნის პროცესს უწოდებენ, რომლის დინამიკა, ხან პოზიტიურია, ხან ნეგატიურია, ხოლო

მთავარი ცვლილება, რომელიც ამ პროცესს მოაქვს არის განსხვავებულისადმი საზოგადოების თანდათანობითი მიჩვევა და იმის გააზრება, რომ განსხვავება ჩვეულებრივი, ნორმალური რამაა:

> *„მთავარი ცვლილება ალბათ მაინც ის არის, რომ ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიკუთვნებულობა, სხვადასხვა მოსაზრება, სხვადასხვა შეხედულება, სხვადასხვა რწმენა, გამოხატვის სხვადასხვა ფორმა, ყველაფერი ამის, რაც ჩამოთვალეთ და ეს ნელ–ნელა ხდება ნორმალური მოვლენა. ნელა, მაგრამ მაინც (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტთა ნაწილი, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მიმდინარე ღირებულებათა ტრანსფორმაციას, ახალი ეროვნული იდენტობის შექმნის მცდელობას უკავშირებს, რომელიც ძირითადად სამოქალაქო ღირებულებებს ეფუძნება და რომლის მთავარი მახასიათებელი მოქალაქეობაა და არა ეთნიკური და რელიგიური ღირებულებები. სამოქალაქო ღირებულებების მაგალითებად ექსპერტებმა პიროვნების რაციონალური არჩევანი, პოლიტიკური აქტიურობა, სუვერენიტეტი, თავისუფლება და ადამიანის უფლებები დაასახელეს. ექსპერტთა აზრით, დასახელებული ღირებულებების აქტუალიზაცია ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესებს უკავშირდება, ხოლო მათთან ჩვენი საზოგადოების კონტაქტს თანამედროვე მედიასაშუალებები უზრუნველყოფენ (ინტერნეტი, სოციალური ქსელები, ტელევიზია და სხვა). ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მსგავსად, ექსპერტებმაც არაერთხელ გაამახვილეს ყურადღება მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხზე და ამ მხრივ საზოგადოების ფენებს შორის არსებულ განსხვავებაზე.

ექსპერტთა აზრით, მსოფლიო პროცესების შესახებ ინფორმირებულობა, თუ მათში მონაწილეობა, უმთავრესად, ურბანული ელიტის პრივილეგიაა, მოსახლეობისა გარკვეული ნაწილი კი ლამის საინფორმაციო ვაკუუმშია მოქცეული, რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რადგან გლობალური სიახლეების შემოსვლა სწორედ ამ ადამიანებში იწვევს ძლიერ წინაარმდეგობას, რომელიც, თავის მხრივ, უცხოსადმი, განსხვავებულისადმი შიშს ეფუძნება. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ხდება საზოგადოების გაყოფა ნაკლებად ინფორმირებულ და მეტად ინფორმირებულ ჯგუფებად და ეს, მნიშვნელოვანწილად, უკავშირდება ინფორმაციისადმი

ხელმისაწვდომობის მხრივ არსებულ უთანასწორობას. ექსპერტთა აზრით, საზოგადოების ამგვარი დაყოფა ღირებულებათა კონფლიქტს იწვევს, ანუ ადამიანთა ნაწილისთვის რთულია არსებული ღირებულებების ახალ კონტექსტში გააზრება და იმის გაცნობიერება, რომ მსოფლიოში მხოლოდ ერთი ჰორიზონტი არ არსებობს, რომ გლობალური ჰორიზონტი სხვადასხვა იდენტობების მქონე ადამიანებს გულისხმობს.

ერთობებთან სიახლოვის განცდა

რაოდენობრივი მონაცემები

2013 წლის ISSP-ის რაოდენობრივ მონაცემთა თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა ყველაზე ძლიერ სიახლოვეს საქართველოსადმი (სამშობლოსადმი), შემდეგ მშობლიურ ქალაქსა და რაიონთან განიცდის. ამ ჩამონათვალში ყველაზე ნაკლები სიახლოვე რესპონტენთაგან ევროპის მიმართ დაფიქსირდა. კითხვაზე, მიიჩნევენ თუ არა ისინი თავს მსოფლიო მოქალაქედ?, რესპონდენტთა მხოლოდ 5,9%-მა უპასუხა დადებითად, 85,2%-მა კი – უარყოფითად. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა №4 გვიჩვენებს რესპონდენტთა მიერ გაცემულ სავარაუდო პასუხთა სიხშირეს, საშუალო მაჩვენებლების მიხედვით:

დიაგრამა № 4.: ერთობასთან სიახლოვე



გამოკითხულ რესპონდენტეთა პასუხები სქესისა და ასაკის მიხედვით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. ორივე შემთხვევაში, ძირითადად, მსგავსი ტენდენციები ვლინდება. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა №5 და დიაგრამა №6 გვიჩვენებს მონაცემებს პასუხისთვის – „ძალიან ახლოს“.

დიაგრამა № 5.: ერთობასთან სიახლოვე სქესის მიხედვით



დიაგრამა № 6.: ერთობასთან სიახლოვე ასაკის მიხედვით



ჩატარებული ფაქტორული ანალიზის საფუძველზე ერთობასთან სიახლოვის განცდის განმსაზღვრელი მაჩვენებლები ორ ფაქტორად გაიყო: პირველს **„მშობლიურ (ეროვნულ) ერთობასთან სიახლოვე“** შეიძლება ეწოდოს. მასში მშობლიურ ქალაქთან, რაიონთან, საქართველოსთან მიკუთვნებულობა გაერთიანდა. მეორეს – **„ევროპის ერთობასთან სიახლოვე“** და მასში მხოლოდ ევროპასთან სიახლოვე მოხვდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ მშობლიურ (ეროვნულ) ერთობასთან სიახლოვე და ევროპასთან სიახლოვე ერთმანეთისგან გამიჯნულია და ევროპასთან სიახლოვე საკმაოდ სუსტად არის გამოხატული. ამ დასკვნას საშუალო მაჩვენებლების შედარება აძლიერებს. (იხ. ცხრილი №4)

ცხრილი №4: ერთობასთან სიახლოვე

რამდენად ახლოს გრძნობთ თავს...	ფაქტორი		1-ძალიან ახლოს; 5- საერთოს არ ვგრძნობ სიახლოვეს
	1	2	
თქვენს ქალაქთან	.860	.043	1.58
თქვენს რაიონთან	.825	-.048	1.78
საქართველოსთან	.759	.181	1.46
ევროპასთან	.061	.990	3.21

ფაქტორი **„მშობლიურ (ეროვნულ) ერთობასთან სიახლოვე“** დამოკიდებულია სქესსა (p=.000) და ასაკზე (p=.001). სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან და ქალებთან შედარებით, ყველაზე მეტად უფროსი თაობის ადამიანები და მამაკაცები გრძნობენ სიახლოვეს მშობლიურ (ეროვნულ) ერთობასთან.

„ევროპის ერთობასთან სიახლოვის“ ფაქტორიც არ არის დამოკიდებული სქესზე (p=.417). თუმცა, ის დამოკიდებულია ასაკზე (p=.000), განათლების ხარისხსა (p=.000) და დასაქმების ტიპზე (p=.000).

მონაცემთა საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზე (student t-test) გამოვლინდა, რომ ევროპასთან სიახლოვე ყველაზე მეტად 18-24 (0.40) და 25-34 (0.16) ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტებში გვხვდება, ხოლო ყველაზე ნაკლებად – 55+ (-0.14) ასაკობრივ ჯგუფში. რაც შეეხება 35-54 წლის ასაკობრივ ჯგუფებს – აქ ასეთი ტენდენცია არ იკვეთება.

საყურადღებოა, განათლების დონის მაჩვენებლის გავლენა ევროპასთან სიახლოვის ფაქტორზე. მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშუალო ან საშუალოზე დაბალი განათლების მქონე ადამიანების ჯგუფში ევროპის მიმართ სიახლოვის მაჩვენებელი (- .11), საკმაოდ ჩამორჩება უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების ჯგუფთა მაჩვენებელს (0.45). შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტის განათლების დონის მატებასთან ერთად, ევროპასთან სიახლოვის განცდაც იზრდება.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა ასევე დასაქმების ტიპის/სამსახურებრივი სტატუსის გავლენა ევროპასთან სიახლოვის ფაქტორზე. გაირკვა, რომ ევროპასთან სიახლოვეს, ძირითადად, სტუდენტები (-0.75), სტაჟიორები (-0.73), სამხედროები (-1.00) და ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ადამიანები (-0.09) გრძნობენ. ევროპასთან

სიახლოვის უფრო დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქრონიკულად ავადმყოფ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (-0.11), პენსიონერთა (-0.16) და დიასახლისების (-0.28) პოპულაციაში.

იმის გასარკვევად, თუ რა განსაზღვრავს დამოკიდებული (რეზულტატური) ცვლადის – „ევროპის ერთობასთან სიახლოვის“ ფაქტორს, შევეცადეთ აგვეხსნა, თუ სხვა რომელ ფაქტორს შეიძლება ჰქონოდა გავლენა მის შედეგებზე. დამოუკიდებელი (განმაპირობებელი) ცვლადების საფუძველზე, რეგრესული ანალიზის მეთოდით, აიხსნა დამოკიდებული ცვლადის 36.9%, ხოლო რეზულტატური ვარიაციის 13.6% (იხ. ცხრილი № 5).

ცხრილი №5

Model	R	R Square
1	.369[a]	.136

რეგრესიულ ანალიზში ჩართული 15 ფაქტორიდან (იხ. ცხრილი № 6) რეზულტატურ ცვლადზე არსებით გავლენას ხუთი ფაქტორი ახდენს, ამასთან მათი ზემოქმედება თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანია: ზიანის ფაქტორი (რომელშიც ორი ცვლადი გაერთიანდა: „დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში“ და „საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთვრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ“) წარმოდგენილია 13.7%-ით, ხოლო დანარჩენი ოთხი ფაქტორის ზეგავლენა, რეალურად, ერთნაირია: სოლიდარობის ფაქტორი (მასში გაერთიანდა შემდეგი ცვლადები: „ეცადო გაუგო იმ ადამიანებს, ვისაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ“, „აირჩიო პროდუქტები პოლიტიკური, ეთიკური ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოტივაციით, მაშინაც კი, როცა ისინი შედარებით ძვირი ღირს“, „დაეხმარო საქართველოში შენზე გაჭირვებულ ადამიანებს“ და „დაეხმარო მსოფლიოში შენზე გაჭირვებულ ადამიანებს“) – 10.7%, ინფორმირებულობა პოლიტიკისა და ხელისუფლების შესახებ (ამ ფაქტორში გაერთიანდა ისეთი ცვალდები, როგორიცაა: „ვფიქრობ, საკმაოდ კარგად ვერკვევი, თუ რა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემები დგას საქართველოს წინაშე“ და „ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ჩემზე უკეთესად არის ინფორმირებული პოლიტიკისა და ხელისუფლების შესახებ“) – 10.5%, ხელისუფლების

დამოკიდებულება მოსახლეობის მიმართ (შედგება შემდეგი ცვლადებისგან: „ჩემნაირ ადამიანებს ხელისუფლების ქმედებებზე არავინ ეკითხება აზრს“ და „არა მგონია, ხელისუფლებას ადარდებდეს ჩემნაირი ადამიანების აზრი“) – 10.7% და საკუთარი ქვეყნისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ფაქტორი (აერთიანებს სამ ცვლადს: „დღესდღეობით საქართველოს რეალობაში არსებობს რიგი საკითხები, რომელთა გამოც მრცხვენია საქართველოსი“, „ხშირად ისე ვერ ვამაყობ საქართველოთი, როგორც ვისურვებდი“ და „მსოფლიო უკეთესი იქნებოდა, ქართველები საქართველოს ნაკლოვანებებს რომ აღიარებდნენ“) – 10.6%.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალი წონით წარმოდგენილი „ზიანის ფაქტორი“ უარყოფით გავლენას ახდენს რეზულტატურ ცვლადზე. ასევე უარყოფითად მოქმედებს რეზულტატურ ცვლადზე შემდეგი ფაქტორები: „ინფორმირებულობა პოლიტიკისა და ხელისუფლების მიმართ“ და „ხელისუფლების დამოკიდებულება მოსახლეობის (იხ. Standardized Coefficients, Beta).

მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან რეზულტატურ ცვლადზე დადებითი გავლენით გამოირჩევა ორი ფაქტორი: სოლიდარობის ფაქტორი და საკუთარი ქვეყნისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ფაქტორი.

ცხრილი № 6

Coefficients[a]				
Model		Standardized Coefficients	Sig.	წილი დისპერსიის ახსნაში
		Beta		
	(Constant)		1.000	
	„პოლიტიკური და არაპოლიტიკური ჯგუფებისა და ასოციაციების წევრობა“	-.071	.005	5.3%
	„ზიანის ფაქტორი“	-.114	.000	13.7%
	„სოლიდარობის ფაქტორი“	.101	.000	10.7%
	„ინფორმირებულობა პოლიტიკისა და ხელისუფლების შესახებ“ (ინვერსიული)	-.099	.000	10.5%
	„ხელისუფლების დამოკიდებულება მოსახლეობის მიმართ“ (ინვერსიული)	-.101	.000	10.7%
	„საკუთარი ქვეყნისადმი კრიტიკული დამოკიდებულება“	.100	.000	10.6%
	„სარგებლის ფაქტორი“ (ინვერსიული)	.071	.006	5.3%
	“საკუთარი ქვეყნის უპირატესობა“ (ინვერსიული)	-.063	.013	4.2%
	„კულტურული სისტემებით (ინსტიტუტებით) სიამაყე (ინვერსიული)	.064	.011	4.3%
	„ლეგალური ემიგრანტებისადმი დამოკიდებულება“ (ინვერსიული)	-.069	.007	5.0%
	„ლეგალური იმიგრანტებისადმი კეთილგანწყობა“ (ინვერსიული)	.058	.020	3.5%
	„დამოკიდებულება უმცირესობათა კონკრეტული ჯგუფების მიმართ“	-.062	.012	4.1%
	„ეთნო-კულტურული ეროვნული იდენტობის ფაქტორი“ (ინვერსიული)	.069	.009	5.0%
	„შეზღუდვების ფაქტორი“ (ინვერსიული)	-.062	.026	4.1%
	„პროტესტის გამოხატვის უფლება“	-.052	.040	2.9%
a. Dependent Variable: „ევროპის ფაქტორი“ (ინვერსიული)				100.0%

ძირითადი მიგნებები:

- გამოკითხულთა უმრავლესობა, ყველაზე ძლიერ სიახლოვეს საქართველოსთან (სამშობლოსთან), შემდეგ მშობლიურ ქალაქსა და რაიონთან განიცდის. ამ ჩამონათვალში მეოთხე, უკანასკნელი იყო ევროპა და ყველაზე ნაკლები სიახლოვე, გამოკითხულთაგან, ევროპის მიმართ დაფიქსირდა;

- სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან და ქალებთან შედარებით, ყველაზე მეტად უფროსი თაობის ადამიანები და მამაკაცები გრძნობენ სიახლოვეს საკუთარ ეროვნულ ერთობასთან (საქართველო, მშობლიური რაიონი და სოფელი);
- ევროპის მიმართ სიახლოვე, ძირითადად, ახალგაზრდა (18-34) რესპონდენტებთან გამოვლინდა. საშუალო (35-54) ასაკის ჯგუფში ტენდენცია არ იკვეთება;
- ევროპასთან სიახლოვეს, ძირითადად, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, დასაქმებულები და სტუდენტები გრძნობენ;
- ევროპასთან სიახლოვეს განსაზღვრავს ასევე პოლიტიკის შესახებ ინფორმირებულობის დონე, შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო ნაკლებია გამოკითხულთა ჯგუფის ინფორმირებულობა პოლიტიკის შესახებ, მით უფრო ნაკლებ სიახლოვეს გრძნობს ის ევროპასთან;
- საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური ეკონომიკური კომპანიების მიმართ მოსახლეობის კრიტიკული დამოკიდებულება განსაზღვრავს ევროპასთან ნაკლები სიახლოვის განცდას;
- რაც უფრო მაღალია მოსახლეობაში სოლიდარობის განცდა, მით მეტია ევროპასთან სიახლოვე;
- რაც უფრო კრიტიკულად არის ქართველი მოსახლეობა მშობლიური ქვეყნისადმი განწყობილი, მით უფრო ძლიერია ევროპასთან სიახლოვის განცდა.

თვისებრივი მონაცემები:

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში საშუალება მოგვეცა რესპონდენტები თვისებრივი კვლევის მეთოდით გამოგვეკითხა და გაგვერკვია მათი აზრი იმის შესახებ, თუ ვისთან გრძნობენ ქართველები ყველაზე ახლოს თავს და რატომ. რესპონდენტებისთვის დასმული კითხვა ორ განზომილებად დაიყო: თავდაპირველად, რესპონდენტებს დამკვირვებლის პოზიციიდან უნდა შეეფასებინათ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან (ევროპა, რუსეთი და კავკასია) ვისთან გრძნობენ ქართველები ყველაზე ახლოს თავს და რატომ, შემდეგ კი უნდა განესაზღვრათ ის ერთობა, რომელთანაც ისინი თვითონ ახდენენ იდენტიფიკაციას.

ევროპა:

18-30 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების მოსაზრებით, მათი თაობის წარმომადგენლები სიახლოვეს ევროპასთან და ზოგადად დასავლურ სამყაროსთან გრძნობენ. რესპონდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველო ევროპასთან უფრო ახლოს არის, ამ სიახლოვის მთავარ საფუძვლად ღირებულებების მსგავსებას მიიჩნევენ. მათი აზრით, ქართველები თანამედროვე ევროპული აზროვნების ხალხია, მათი დასავლეთისკენ ლტოლვა თავისუფლების სურვილით არის განპირობებული. ევროპასთან თვითიდენტიფიკაციის მიზეზად სახელდება ისეთი საერთო ღირებულებები, როგორიცაა: თავისუფლება და ტოლერანტობა:

> *„ქართული აზროვნება ევროპული ტიპის აზროვნებაა, რომელიც დაფუძნებულია ჰუმანიზმზე და ტოლერანტობაზე, განსხვავებით რუსული აზროვნებისაგან“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18–30)*

31-45 ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების ნაწილი ევროპას ახასიათებს, როგორც სავსებით მისაღებ სივრცეს. თუმცა, მათივე თქმით, საქართველოსა და ევროპას შორის არსებული სივრცითი დაშორება გავლენას ახდენს იმაზე, რომ ისინი ევროპასთან სიახლოვეს ნაკლებად გრძნობენ და ასევე ნაკლებად იზიარებენ ევროპულ ღირებულებებს. რესპონდენტთა აღნიშნული ნაწილი არ გამორიცხავს, რომ მომავალში საქართველო დაუახლოვდეს ევროპას. რესპონდენტების მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ახალი თაობა უფრო ახლოს არის ევროპასთან. თუმცა, მათი აზრით, ეს სიახლოვე ღირებულებების მსგავსებას კი არ უკავშირდება, არამედ ეს უფრო პრაგმატულ-პრაქტიკული მიზეზებით აიხსნება. ითქვა, რომ ევროპა ახალი თაობის ინტერესის ცენტრშია, რადგან განათლების მისაღებად სწორედ ევროპაში მიემგზავრებიან:

> *„ახალ თაობას ევროპა აწყობს, 16–17 წლის ბავშვებს. ინგლისურს სწავლობენ და იქით ისწრაფვიან.“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).*

46-55 ასაკობრივ ჯგუფში ნიშანდობლივია ამერიკის ფაქტორის წინ წამოწევა. ევროპაზე საუბრისას რესპონდენტთა ნაწილმა ჩვენ მიერ შეთავაზებულ ვარიანტებს ამერიკა დაუმატა. რესპონდენტთა ნაწილისთვის ამერიკა, კულტურული თვალსაზრისით, საფრთხის შემცველია, ნაწილი კი მას მოიაზრებს სახელმწიფოდ, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია საქართველოს დახმარება:

„მე ამერიკელებს ვთხოვდი, ქართველობა არ წაგვართვან, ეს გრაფა დაგვიტოვონ და მიგვიმატონ შტატად. ახლა წარმატებული ქვეყნები რომლებიც არის, ამერიკის და ინგლისის ფრთებქვეშ განვითარდნენ. ვინც რუსეთის ფრთებქვეშ განვითარდა კი ვიცით ვინც არის." (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55)

31-45 ასაკობრივი ჯგუფის მსგავსად, 46-55 ასაკის რესპონდენტებშიც იკვეთება ტენდენცია, რომლის თანახმადაც, ევროპა კარგია, მაგრამ შორსაა, მას არ ვუნდივართ, რომ საქართველოს ევროპამდე ძალიან ბევრი უკლია. რესპონდენტები, მართალია, ევროპასთან შედარებით ნაკლებ სიახლოვეს გრძნობენ, მაგრამ მათი ნაწილი ევროპის მიმართულებით მეტ პერსპექტივას ხედავს, მაგალითად, განათლების მიღებისა და უკეთესი ტექნოლოგიების ათვისების თვალსაზრისით.

46-55 ასაკის რესპონდენტები ევროპაში, ერთი მხრივ, შვილების სამომავლო პერსპექტივას ხედავენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ პერსპექტივას მუდამ თან ერთვის ეროვნულობისა და ქართული კულტურის დაკარგვის შიში. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ის შვილებს ყოველთვის აფრთხილებს: *„მთლად მათნაირი არ გახდეთო"* (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46-55 წ.), რაც, გარკვეულწილად, ასახავს რესპონდენტთა შფოთვას, რომელიც მათი შვილების მიერ ქართული ღირებულებების დაკარგვისა და „სხვებთან" ასიმილაციის საფრთხეს უკავშირდება.

56+ ასაკობრივ ჯგუფში, ევროპის მიმართ, რამდენიმე ძირითადი ტენდენცია გამოიკვეთა: რესპონდენტების ნაწილის აზრით, ქართველები უფრო ახლოს თავს ევროპასთან გრძნობენ. არგუმენტებში ძირითადად ღირებულებების მსგავსება და კულტურული სიახლოვე დასახელდა:

„ევროპელები, ლიბერალები არიან და ამიტომ ჩვენც ლიბერალები ვართ. ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით." (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56 +)

„ევროპელებთან იმიტომ, რომ უფრო კარგად ვიცნობთ თუნდაც კულტურით. შეიძლება სომხების და აზერბაიჯანელების კულტურასაც ისე არ ვიცნობდეთ, როგორც ევროპულ კულტურას, იქაურ მწერლობას და საერთოდაც უფრო მიმზიდველია" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+).

ასევე დასახელდა ევროპის, როგორც უსაფრთხოების გარანტის როლი. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, *„განვითარებულ, ძლიერ ქვეყნებთან მეგობრობას სიმშვიდე და თავდაცვის გარანტიებიც მოსდევს"*. (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+) ამ ასაკობრივი ჯგუფის რე-

სპონდენტებიც მიიჩნევენ, რომ ახალი თაობისთვის ევროპა უფრო მისაღებია, ვიდრე რუსეთი და კავკასია. ის რესპონდენტები, რომლებიც ევროპასთან ნაკლებ საერთოს პოულობენ, მიიჩნევენ, რომ ეს სივრცე ჩვენთვის ნაკლებ ახლობელი და ნაცნობია. ევროპისგან ბევრი კარგი რამის გადმოღება შეიძლება, მაგრამ *„ისინი ახლა იცნობენ საქართველოს. საუკუნეები უნდა გავიდეს, ჩვენ რომ ევროპელები გავხდეთ“* (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).

რუსეთი

რუსეთთან დაკავშირებით, 18-30 ასაკობრივ ჯგუფში, ერთ-ერთი რესპონდენტი მნიშვნელოვან გამყოფ პერიოდად მიიჩნევს 2008 წლის აგვისტოს ომს. მისი აზრით, მანამდე ქართველები უფრო ახლოს რუსეთთან გრძნობდნენ თავს, ახლა კი ევროკავშირთან და დასავლეთთან უფრო დაახლოვდნენ. ამ შემთხვევაში ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიული მთლიანობის საკითხს. საქართველოსთვის ვეღარ იქნება ახლოს რუსეთი, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია.

ზოგიერთ რესპონდენტს დასაშვებად მიაჩნია, რომ ვინმეს, უბრალოდ, რუსული ლიტერატურა ან რუსული ფილმები მოსწონდეს. რესპონდენტთა აზრით, რუსეთთან ერთადერთი მისაღები ურთიერთობის ფორმა დიპლომატიური ურთიერთობებია და არა პოლიტიკური იდენტიფიკაცია.

ცალკეული რესპონდენტები ფიქრობენ, რომ რუსეთთან სიახლოვეს მრავალი ქართველისთვის რელიგიური ფაქტორი, ერთმორწმუნეობა განაპირობებს. *„რელიგია მაინც გვაახლოვებს“* (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18-30), *„რუსებთან რწმენა გვაახლოვებს“*, *პირადად მე შინაურად უფრო რუსეთს ვხედავ, ჩემი ბიძაშვილები და ბიძები რუსეთში არიან, ჩემს ახლობლებად უფრო მათ მივიჩნევ.“* (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18-30)

31-45 ასაკობრივ ჯგუფში რუსეთთან დაკავშირებით მოსაზრებები არაერთგვაროვანია. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, რუსეთი დამპყრობელია, ნაწილი კი ფიქრობს, რომ საქართველოს რუსეთთან ისტორია და სარწმუნოება აკავშირებს, და დაპყრობის ნაცვლად მფარველობაზე აკეთებს აქცენტს:

> *„უფრო ახლოს მართლმადიდებლურ რუსეთთან და უკრაინასთან ვართ. ეს ხალხი ჩვენს შინაგან პრინციპებთან უფრო*

ახლოს არიან. ევროპა სულ სხვა განზომილებაა, რუსეთი და საქართველო უფრო ერთი შეხედულების ხალხი ვართ. იუმორით, საუბრით, ნიუანსებში ჩახედვა ქართველებს და რუსებს გვახასიათებს. სომხებთან და აზერბაიჯანელებთან იმდენი საერთო არ გვაქვს, ვიდრე რუსებთან. კავკასია კი გვაერთიანებს, მაგრამ ისინი არ არიან ჩვენთან ისე ახლოს, ამიტომ ამ მხრივ უფრო რუსეთისკენ ვიხრები. ევროპელებს ბევრი კარგი აქვთ, შეიძლება ხალხიც კარგია, მაგრამ კულტურით განსხვავდება" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).

რესპონდენტები რუსეთთან სიახლოვეს 70-წლიანი თანაცხოვრებით ხსნიან, რესპონდენტთა ნაწილისთვის კი ეს სიახლოვე საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. მათ არ მოსწონთ ახალგაზრდებში გაჩენილი აგრესია რუსეთის მიმართ: *„ჩემი მეგობრის ბავშვებს რუსულის მიმართ აგრესია აქვთ. დედას უნდა ბავშვი რუსულში მოამზადოს და ბავში არ თანხმდება."* (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31-45) გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართველი ახალგაზრდების რუსეთისადმი ნეგატიური დამოკიდებულება დეზინფორმაციის ბრალია. ერთ-ერთი რესპონდენტი ამას რუსეთში ჩასული ქართველების უხეშ ქცევას უკავშირებს:

„რუსეთში სულ დავდიოდი, მოჭიდავე ვარ და დიდი საახლობლო მყავს იქ, არასწორი ინფორმაცია აქვთ, ქართველებს „ზვერებს" გვეძახიან. არც იცოდნენ, რომ მართლმადიდებლები ვართ. აქაც ეგეთი ინფორმაცია აქვთ, რომ რუსი აგრესიულია და რუსებს ქართველები არ მოსწონთ" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).

46-55 ასაკობრივი ჯგუფის დისკუსიაში იკვეთება რუსეთისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება, რომელიც ე.წ. „ორი რუსეთის იდეა"-ს გვთავაზობს. პირველი „საბჭოთა რუსეთია", რომელიც მაშინდელ პერიოდში საქართველოს მეგობარი იყო და მეორე „ახლანდელი რუსეთი", რომელიც ოკუპანტია. ამ ტიპის დამოკიდებულების მქონე რესპონდენტები აცნობიერებენ, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი მიითვისა და ჩვენი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს, თუმცა მათი განმარტებით, რუსეთი ძლიერი იმპერიაა, რომლისაც მთელ მსოფლიოს ეშინია, ის არის ჩვენი მეზობელი, რომელიც მუდამ ახლოს იქნება, შესაბამისად, მისი გადამტერება არაგონივრულია:

„(...) ევროპა კარგია, მაგრამ შორია. (...) ისევ ახლო მეზობელთან უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა, რუსეთი სამუდამო მე-

ზობელია. (...) ამიტომ, ცოტა უნდა მოვეფეროთ, პოლიტიკურად მივუდგეთ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55).

რუსეთთან სიახლოვის ამხსნელ ფაქტორად დასახელდა ასევე ეკონომიკური ასპექტიც:

„დიდი სიმდიდრე აქვს და გასაღების დიდი ბაზარია“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–50).

46-55 ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტთა ნაწილის აზრით, რუსეთთან ქართველებს არ აქვთ საერთო ღირებულებები, მაგალითად, რუსებთან ნაკლებადაა უფროსის, მეზობლის პატივისცემა, ნათესაობის ინსტიტუტი. რამდენიმე რესპონდენტის მიერ გამოითქვა კრიტიკული მოსაზრებები რუსეთთან სარწმუნოებრივ თანხვედრასთან დაკავშირებითაც. ერთ-ერთი რესპონდენტი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავად რუსების რელიგიურობას:

„გარდა მართლმადიდებლობისა არაფერი გვაქვს საერთო და მართლმადიდებელი რუსი მე ჯერ არ მინახავს. წმინდანები და საეკლესიო მოღვაწეები ჰყავთ, იქ რწმენა და ეკლესიური ცხოვრება არ არის მასიური“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55).

56+ ასაკობრივ ჯგუფშიც ჩანს რუსეთის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება:

„თუ ერზე ვლაპარაკობთ სხვაა და თუ მთავრობაზე სხვა, როგორც ერი ყველაზე ახლო ურთიერთობას რუსეთთან ვპოულობთ. ამდენი საუკუნე ერთად ვცხოვრობდით და ბევრი გვაქვს საერთო. (...) მე რუსი ერის და ხალხის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, მთავრობები მიდიან და მოდიან, ხალხი რჩება.“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+)

უფროსი ასაკის რესპონდენტებიც აკრიტიკებენ „ახლანდელ“ რუსეთს. როგორც ერთ-ერთი რესპონდეტი ამბობს, სიამოვნებით „იმეზობლებდა“ „ცივილიზებულ რუსეთთანაც“, თუმცა მისივე აზრით, ეს „ცივილიზებული რუსეთი“ ჯერჯერობით არ არსებობს.

აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში იგრძნობა, რომ რუსეთი რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ახლობელი იყო. დადებითად იხსენებენ კომუნისტების დროს; საუბრობენ შერეულ ქორწინებებსა და ქართულ-რუსულ ოჯახებზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, რუსეთის დღევანდელი ქცევა მათთვის მიუღებელია:

„მე თვითონ ბებია რუსი მყავდა, მაგრამ ყველაფერი იმის შემდეგ, რაც მოხდა ბებიაჩემიც გადაირეოდა ახლა, ცოცხა-

ლი რომ ყოფილიყო, იმდენად საქართველოს პატრიოტი იყო და სამი შვილი ჰყავდა და სამივე ქართულ სკოლაში მიაბარა“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+).

კავკასია

18-30 ასაკის რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, კავკასიასთან მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა გვაკავშირებს, აზროვნება კი სრულიად განსხვავებულია. მიუხედავად განსხვავებებისა, რესპონდენტთა აზრით, საერთოს აღმოჩენაც არის შესაძლებელი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კავკასიელებთან საერთო ღირებულებები გაგვაჩნია. იდენტიფიკაცია გამოწვეულია მსგავსი ტრადიციებით და მათდამი დამოკიდებულებით. რესპონდენტების აზრით, კავკასიის სხვა ხალხებთან იდენტიფიკაცია სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მომგებიანია. გამოიკვეთა პოლიტიკური ფაქტორიც, რომლის თანახმად, მაგალითად, ქართველები და სომხები ერთმანეთს განსხვავებულმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ დაგვაშორა, რადგან სომხები უფრო პრორუსული ორიენტაციის არიან. ამ მხრივ, მათი აზრით, აზერბაიჯანელები უფრო ახლოს არიან ქართველებთან. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სომხები ყველაფერს იბრალებენ და სწორედ ამით აიხსნება ქართველების მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება.

31-45 ასაკის რესპონდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ კავკასიელებთან ოდითგანვე გვაქვს ურთიერთობის გამოცდილება და სწორედ ამიტომ, ღირებულებების თვალსაზრისით, ქართველები უფრო ახლოს კავკასიელებთან ვართ:

> *„ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები, შუაში ვართ გაჩხერილები, მაგრამ ჩვენ, ჩვენი შინაგანი კულტურა გვაქვს და სავარაუდოდ კავკასიელები ვართ. იმიტომ არა, რომ ან სომხებს ვგავართ ან აზერბაიჯანელებს, უბრალოდ ჩვენში არის ნარევი ევროპული და აზიური კულტურების, ასევე ჩვენ ჩვენი კულტურა გვაქვს დამოუკიდებლად, რაც უცხოა ყველასთვის“. (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31–45)*

46-55 ასაკის რესპონდენტები კავკასიაზე საუბრისას ხშირად ერებს შორის კლასიფიკაციას ახდენენ. ორმა მონაწილემ, ქართველებთან ახლოს მყოფ ერებს შორის, ხაზგასმით დაასახელა ჩრდილოკა-

ვკასიელები, ხოლო მათგან განსაკუთრებით გამოჰყო ძირძველი, აბორიგენი ჩრდილოკავკასიელები: ჩეჩნები და ინგუშები. კავკასიასთან სიახლოვის განმაპირობებლად სხვადასხვა ფაქტორი დასახელდა:

- საერთო გეოგრაფიული მდებარეობა.
- კავკასიელებთან ურთიერთობის გამოცდილება.
- საერთო ღირებულებები – უფროსის, მეზობლის პატივისცემა, ნათესაობის ინსტიტუტი.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს დროს, როცა კავკასიის ცენტრად საქართველო მოიაზრებოდა. იგი მიიჩნევს, რომ ახლა საქართველოს ეს ფუნქცია დაკარგული აქვს, კავკასიასთან ურთიერთობა ძალიან უჭირს და მომავალშიც გაუჭირდება. ასევე დაფიქსირდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ძლიერი საქართველო ძლიერ კავკასიას ნიშნავს. საქართველო თუ მიმზიდველი გახდება, აფხაზეთის, ცხინვალის და ჩრდილო კავკასიის პრობლემაც მოგვარდება.

56+ ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების მოსაზრებები ორად გაიყო: რესპონდენტების დიდი ნაწილის მოსაზრებით გეოგრაფიული და კულტურული სიახლოვე, „იბერიული ტომის“ წევრობა სწორედ ის თვისებებია, რომელიც ქართველებს კავკასიელებთან გვაახლოებს: „*გინდა ევროპელები გაგვხადონ, დაგვიძახონ, გინდა რუსები, მაინც კავკასიელები ვართ სისხლით*“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+).

> *„სხვა ეროვნების ხალხია, მაგრამ როგორც ოჯახის წევრები ისე ვართ ერთმანეთთან, ტრადიციებითაც ახლოს ვართ, ახლოს ვართ ამ ხალხთან (...) მე ერევანში მომიწია ცხოვრება და ის ხალხი ქართველებს ჰგავს ტრადიციებით, სტუმარ-მასპინძლობით. აქაც ამხელა რაიონი გვაქვს – ავლაბარი, მაგრამ ცუდად ვართ? (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+.)*

რესპონდენტების მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ შეიძლება კავკასიასთან უნდა გვქონდეს სიახლოვე, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის. იმ რესპონდენტების მისამართით, რომლებიც ქართველების კავკასიელებთან სიახლოვეზე საუბრობენ, ერთ-ერთი რესპონდენტი ირონიული რეპლიკით გამოდის: „იმიტომაა სომხები და აზერბაიჯანელები რომ გვიყვარს ძალიან“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+).

რესპონდენტთა პირადი სიახლოვის განცდა:

რაც შეეხება პასუხს კითხვაზე: *თქვენ რომელ მათგანთან (ევროპა, რუსეთი, კავკასია) გრძნობთ სიახლოვეს?*

18-30 ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში, რესპონდენტების უმრავლესობა თავს დასავლეთთან და დასავლურ ღირებულებებთან აიგივებს. ერთ-ერთ რესპონდენტს გაუჭირდა პასუხის გაცემა, რადგან ფიქრობს, რომ სხვადასხვა მახასიათებლით სხვადასხვა სივრცესთან ვახდენთ იდენტიფიკაციას, მაგრამ რუსეთს, როგორც უფრო „შინაურს“ მოიხსენიებს. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თვითიდენტიფიკაციას არც ერთ ჩამოთვლილ ვარიანტთან არ ახდენს და ისინი მხოლოდ და მხოლოდ ქართველად მოიაზრებენ თავიანთ თავს.

31-45 ასაკის რესპონდენტებს შორის, ძირითადად, რუსები და კავკასიელები დასახელდა, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ საქართველო ყველას სამხედრო ბაზებისთვის აინტერესებს, ხოლო ქართველები სასწორზე დგანან და იმას ენდობიან, ვინც ხელს გამოუწვდის.

რუსეთთან დაკავშირებით არგუმენტია ის, რომ ეს უფრო ნაცნობი სივრცეა, მასთან ურთიერთობა წარსულშიც ჰქონიათ. მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს რელიგიის თანხვედრაც. ერთ-ერთი რესპონდენტი პირად სიახლოვეზე საუბრისას აქცენტს რუსეთის მფარველობასა და მის ერთმორწმუნეობაზე აკეთებს:

> *„მე თავს, რა თქმა უნდა, ყველაზე ახლოს რუსეთთან ვგრძნობ. იმიტომ რომ ძალიან კარგად ვიცი ენა, ჩემმა შვილებმა, სხვებისგან განსხვავებით, ძალიან კარგად იციან რუსული (...) ერთი სარწმუნოება გვაქვს. ოდითგანვე ერთად მოვდივართ. ნებით, ძალით, თუ უნებლიეთ მფარველობის ქვეშ ვართ, როგორც პატარა ერი, რომელზეც არის ნადირობა ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო.“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31–45 წ.)*

აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონისთვის (ქალი, 31-45) რუსეთი უფრო მტერია, ვიდრე ახლობელი. ამ შემთხვევაში მნიშვნლოვანია ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. რაც შეეხება კავკასიას, მის მიმართ გამოყენებულია სიტყვები: წინაპარი, მეზობელი, თუმცა აღსანიშნავია, რომ კავკასიასთან ახლოს ის რესპონდენტები მიიჩნევენ თავს, რომლებიც ერთგვარ ნეიტრალიტეტს ემხრობიან, არც რუსეთი ხიბლავთ და არც ევროპა. ისინი კითხვაზე პასუხად „კავკასიის“ დაფიქსირებით თითქოს ემიჯნებიან დანარჩენ ორ ვარიანტს და ისევ ლოკალურ განზომილებაში რჩებიან:

„მე ვარ აზიატი და დავრჩები აზიატად, კავკასიელად“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).

46-55 ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების უმრავლესობა სიახლოვეს კავკასიელებთან და რუსებთან უფრო გრძნობს, რაც მათთან ურთიერთობის გამოცდილებით აიხსნება. რესპონდენტები, რომლებიც ევროპას ასახელებენ, ამას მომავალი თაობის მიერ არჩეული კურსით ხსნიან. ერთ-ერთი რესპონდენტი ამერიკისკენ იხრება, ამერიკას განიხილავს ძლიერ სახელმწიფოდ, რომლის მფარველობასაც სიამოვნებით დათანხმდებოდა. სხვა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ყველასთან საჭიროა ურთიერთობა, მაგრამ ევროპასა და ამერიკას მაინც სკეპტიკურად უყურებს.

56+ ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების დიდი ნაწილი თვითიდენტიფიკაციას კავკასიასთან ახდენს. ამ შემთხვევაში მთავარი არგუმენტია მენტალიტეტითა და ტრადიციებით მსგავსება. ერთ-ერთი რესპონდენტის ნახევრად იუმორისტული პასუხი ალბათ კარგად ასახავს საბჭოთა კავშირში ნაცხოვრები ქართველის პრიორიტეტებს: „*მე ყველაზე ახლოს კავკასიელებთან ვარ და რუს ქალებთან*“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).

ამ ასაკობრივი ჯგუფიდან რესპონდენტების შედარებით მცირე ნაწილი ირჩევს ევროპას. მათი არჩევანი კულტურული მსგავსებითა და უსაფრთხოების გარანტიით არის განპირობებული.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კითხვაზე: „ვისთან გრძნობენ ქართველები ყველაზე ახლოს თავს? პირადად თქვენ?“, რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით, სიახლოვის მთავარი განმსაზღვრელი ასაკობრივი ფაქტორია. ყველა ასაკობრივ ჯგუფში დომინანტურია მოსაზრება, რომლის თანახმად, ახალგაზრდებს ევროპა ურჩევნიათ. ჯგუფებს შორის გამოვლინდა განსხვავება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ჩაითვალოს ევროპასთან ახალი თაობის წარმომადგენელთა სიახლოვის მიზეზად. 18-30 ასაკის რესპონდენტები ფიქრობენ, რომ მათი თაობის ევროპული ორიენტაციის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებების თანხვედრაა. სხვა ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტები (31-45, 46-55, 56+) ახალგაზრდების ევროპასთან სიახლოვის მიზეზად, ღირებულებების მსგავსების ნაცვლად, პრაგმატულ მიდგომას ხედავენ, მათი აზრით, ახალ თაობას აწყობს ევროპელები, განათლების მისაღებად ისინი ევროპაში მიედინებიან.

ახალგაზრდების აზრით, უფროსი თაობა, „*ბაბუების თაობა*“, რო-

მელიც საბჭოთა კავშირში დაიბადა და იმ სახელმწიფოში დიდხანს იცხოვრა, სიახლოვეს გრძნობს რუსეთის მიმართ, რის მიზეზადაც წარსულისადმი ნოსტალგია, რუსეთისადმი ერთგვარი „მიჯაჭვულობა“ და რელიგიური ერთმორწმუნეობა დასახელდა. რაც შეეხება პირადად მათი სიახლოვის განცდას, 18-30 ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტების უმრავლესობას ასეთი გრძნობა ევროპის მიმართ აქვს.

ასაკობრივ ფაქტორზე დამყარებულ კატეგორიზაციაში ძალიან მნიშვნელოვანია 31-45 ასაკის რესპონდენტთა როლი. მათი უმრავლესობა, სხვა ასაკობრივი ჯგუფების მსგავსად, უკიდურესი პოლუსების გამოყენებით მსჯელობს, სადაც ერთ პოლუსს ახალგაზრდები (ანუ მათზე უმცროსი თაობა) განასახიერებს, ხოლო მეორე პოლუსს – უფროსი თაობა (ანუ მათი წინა თაობა, რომელსაც ხშირად „ბებია-ბაბუების თაობად“ მოიხსენიებენ). ამ მსჯელობაში თავისუფალია სწორედ 31-45 ასაკობრივი ნიშა, რადგან ამ ჯგუფის რესპონდენტებს თითქოს უფროსი და უმცროსი თაობის დახასიათება უფრო უადვილდებათ, ვიდრე თავიანთი ხედვის შესახებ საუბარი. ეს ტენდენცია შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ეს არის გარდამავალი, ურთულესი ეპოქის, თვითგადარჩენაზე ორიენტირებული თაობა, რომლის წარმომადგენელთა უმრავლესობას სტუდენტონის პერიოდი 1990-იან წლებში აქვს გავლილი. აღნიშნული წლები კი დღესაც, უპირველესად, არეულობასთან, ომთან, სახელმწიფო სისტემის მოშლასთან, კრიმინალების აღზევებასა და უკიდურეს გაჭირვებასთან ასოცირდება.

31-45 და 46-55 ასაკის რესპონდენტების პასუხებში, 18-30 ასაკობრივი ჯგუფისგან განსხვავებით, ევროპა არ არის ყურადღებისა და მიზიდულობის ცენტრში. ამ ჯგუფის უმრავლესობის საუბარში იკვეთება, რომ ევროპა მათთვის აქტუალური თვალსაწიერის მიღმაა. ისინი ევროპას ხშირად ახასიათებენ, როგორც „შორს“ არსებულ სივრცეს, რომელსაც საქართველო არაფერში სჭირდება. მათი აზრით, ქართველები უფრო ახლოს კავკასიელებთან და რუსებთან არიან, რის მიზეზადაც ძირითადად დასახელდა კავკასიელებთან და რუსებთან ურთიერთობის ისტორიულად ხანგრძლივი გამოცდილება. რუსეთის შემთხვევაში, დამატებითი არგუმენტების სახით აღინიშნა ასევე ეკონომიკური ინტერესები და სარწმუნოებრივი თანხვედრა.

46-55 ასაკობრივ ჯგუფში განსაკუთრებით ვრცლადაა განხილული რუსეთის საკითხი. ერთი მხრივ, რესპონდენტების ნაწილი რუსეთზე ერთგვარი ნოსტალგიით საუბრობს, ხოლო მეორე მხრივ, რესპონდენტთა სხვა ჯგუფი რუსეთს აშკარა მტრად მიიჩნევს. გან-

საკუთრებით საყურადღებოა „შუალედური“ განწყობილების რესპონდენტები, რომლებსაც რუსეთის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ, თან სიახლოვეს გრძნობენ და თან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ვერ პატიობენ. ეს რესპონდენტები აცნობიერებენ, რომ რუსეთი დამპყრობელია, თუმცა, მიუხედავად ამისა, აღინიშნავენ, რომ ის საქართველოს მეზობელია, თანაც ძალიან ძლიერი და მდიდარი და დიდ ეკონომიკურ ბაზარს გვთავაზობს, ამიტომაც მის მიმართ უმჯობესია ისევ „მოფერების პოლიტიკის“ გამოყენება.

რაც შეეხება 56+ ასაკობრივ კატეგორიას, რესპონდენტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ქართველები თავს ყველაზე ახლოს კავკასიელებთან გრძნობენ. ამის მიზეზად სახელდება: სისხლით ნათესაობა, ასევე მენტალიტეტისა და ტრადიციების მსგავსება. თუმცა, არიან რესპონდენტები, რომლებიც ევროპას უფრო ახლობლად მიიჩნევენ. ამ ასაკობრივ ჯგუფში რუსეთი, ძირითადად, განიხილება, როგორც ერთ დროს ახლობელი, მაგრამ ამჟამად მიუღებელი ქვეყანა. საინტერესოა, რომ მხოლოდ 56+ ასაკობრივ კატეგორიაში განმეორდა ახალგაზრდების ჯგუფში დაფიქსირებული მოსაზრება ევროპასთან ღირებულებების მსგავსებისა და კულტურული სიახლოვის შესახებ. ევროპასთან სიახლოვეს, აღნიშნული ასაკის რესპონდენტები, ღირებულებათა და კულტურულ მსგავსებასთან ერთად, ხშირად უმცროსი თაობის არჩევანს უკავშირებენ, ან შვილების მეშვეობით თვითონ არიან ევროპაში ნამყოფი, რის შემდეგაც დასავლური კულტურითა და ცხოვრების სტილით მოხიბლულნი დარჩნენ.

შედეგებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები არჩევანს, ძირითადად, იმ სივრცეზე აკეთებდნენ, რომელთანაც აქვთ, ან ჰქონიათ პირადი კავშირი. უფროსები ირჩევენ რუსეთს, ან კავკასიას, რადგან ითვალისწინებენ მეგობრულ და ნათესაურ კავშირებს. მსჯელობისას შეიმჩნევა მათი ერთგვარი დეზორიენტაციაც, რადგან ისინი ხვდებიან, რომ ევროპასთან არც ისე ახლოს არიან; მეორე მხრივ, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია თითქოს არ აძლევთ უფლებას, რომ ოკუპანტ ქვეყანასთან სიახლოვე იგრძნონ და დააფიქსირონ. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ მკაფიო ორიენტირი დაკარგეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდებს ყველაზე უფრო მჭიდრო ბმა აქვთ ევროპასთან, რადგან ისინი მეტად არიან საერთაშორისო დონეზე სოციალიზებული (Nanz, 2010).

ძირითადი მიგნებები:

ევროპა:

- რესპონდენტთა აზრით, ქართველების დასავლეთისკენ ლტოლვა თავისუფლების სურვილით არის განპირობებული;
- რესპონდენტთაგან ევროპასთან თვითიდენტიფიკაციის მიზეზად დასახელდა ისეთი საერთო ღირებულებები, როგორიცაა: თვისუფლება და ტოლერანტობა;
- რესპონდენტები, რომლებიც ნაკლებ სიახლოვეს გრძნობენ ევროპასთან, მიზეზად საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, კერძოდ, ევროპასთან დიდი მანძილით დაშორებას ასახელებენ;
- რესპონდენტებისთვის ევროპასთან სიახლოვე მნიშვნელოვანია ასევე პრაგმატული თვალსაზრისითაც. რესპონდენტთა აზრით, ევროპა ახალი თაობის ინტერესის ცენტრშია, რადგან განათლების მისაღებად ისინი ძირითადად ევროპაში მიემგზავრებიან. ასევე დასახელდა ევროპის, როგორც უსაფრთხოების გარანტის როლი;
- რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ევროპა გარკვეული ტიპის საფრთხესაც წარმოადგენს საქართველოსთვის. დასავლეთიდან შემოსული ლიბერალური ღირებულებები მათში საფრთხის განცდას იწვევს, რადგან შიშობენ, რომ ქართველებმა თავიანთი ეროვნული თავისებურებები, კულტურა და ღირებულებები არ დაკარგონ; გამოიკვეთა ასევე საპირისპირო მოსაზრებაც, რომ კულტურული სიახლოვისა და ღირებულებების მსგავსების საფუძველზე ქართველები უფრო ახლოს ევროპელებთან არიან.

რუსეთი:

- რუსეთთან დაკავშირებით მოსაზრებები არაერთგვაროვანია. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, რუსეთი დამპყრობელია, ნაწილი კი ფიქრობს, რომ საქართველოს რუსეთთან საუკუნოვანი ისტორია და მართლმადიდებლური სარწმუნოება აკავშირებს;
- გამოკითხულ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობა უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა ქართველებისთვის. რუსეთს რესპონდენტთა დიდი ნაწილი ოკუპანტის სტატუსით მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ბოლო წლების მოვლენებმა რუსეთისადმი დამოკიდებულება უარყოფითისკენ შეცვალა;

- რესპონდენტთა მოსაზრებით, რუსეთთან ურთიერთობის ერთადერთ მისაღებ ფორმად დიპლომატიურ-ეკონომიკური კავშირები უნდა ჩაითვალოს და არა დამპყრობელთან პოლიტიკური იდენტიფიკაცია;
- რესპონდენტების ნაწილი, რუსეთთან სიახლოვეს საბჭოთა პერიოდით, 70-წლიანი თანაცხოვრებით ხსნის, გამოკითხულთა მეორე ნაწილისთვის კი ამგვარი დამოკიდებულება საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა;

კავკასია:

- კავკასიასთან სიახლოვის განმაპირობებელ ფაქტორებად დასახელდა: სისხლით ნათესაობა, საერთო გეოგრაფიული მდებარეობა (განედი და კლიმატი), კავკასიელებთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და საერთო ღირებულებები (მაგალითად, უფროსის, მეზობლის პატივისცემა, ნათესაობის ინსტიტუტი).

3.1.2. ეროვნული სიამაყე და ეროვნული სირცხვილი

ეროვნული იდენტობა ხშირად ეროვნული სიამაყისა და სირცხვილის კონტექსტში განიხილება (Westle 1999). იგულისხმება, რომ ნაციონალურ სიამაყეს ადამიანი განიცდის იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერისადმი გარკვეული იდენტიფიკაცია, რაც ეროვნული სიამაყის კონკრეტულ განზომილებათა არსებობას უკავშირდება. ამგვარი განზომილებები, ძირითადად, მოიცავს პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, სოციალურ სფეროებს, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე კოლექტიური ერთობისთვის, მაგალითად, სპორტული წარმატებებით სიამაყე, დემოკრატიული იდეალებითა და მიღწევებით სიამაყე და სხვა (Cohrs et al. 2004).

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქართველი ექსპერტები ქართული ეროვნული სიამაყის კონცეფციას ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლად მიიჩნევენ, რადგან, მათი აზრით, ქართული ისტორიული მეხსიერება, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ „დაულაგებელია“. ამავდროულად, ცალკეული მნიშვნელოვანი მოვლენების შეფასებისას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ექსპერტთა თვალსაზრისით, ეროვნულ დონეზე, ქართველი სირცხვილად მიიჩნევს იმას, რაც ქართულ ნაციონალურ სახეს, ქართულ კულტურულ ნორმებს არ შეეფერება. თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქართველი – ეს წარმოდგენა ქართველებს სოციალიზაციის პროცესში უყალიბდებათ. ექსპერტთა აზრით, ამგვარი კულტურული ნორმების გათავისება და ჩამოყალიბება ხდება სკოლიდან, ოჯახიდან, ქრესტომათიიდან, ისტორიიდან და სოციალიზაციის სხვა აგენტების ჩარევით. ექსპერტთაგან კულტურული ნორმის მაგალითებად დასახელდა ასეთი წარმოდგენები: „ქართველები მუდამ დიდი სახელმწიფოების მსხვერპლნი ვიყავით“, ან „ქართველები საკუთარ იდენტობას ყოველთვის ეკლესიის მეშვეობით იცავდნენ“.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, თუ რა იწვევს ეროვნული სიამაყისა და სირცხვილის განცდას ქართველ საზოგადოებაში.

რაოდენობრივი მონაცემები

ეროვნული სიამაყისა და სირცხვილის კონტექსტში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის 2013 წლის ISSP-ის „ეროვნული იდენტობის“ შესახებ ჩატარებული კვლევის მონაცემთა გამოყენებით, 1-დან (სრულიად ვეთანხმები) 5-მდე (საერთოდ არ ვეთანხმები) სკალაზე გაზომილ იქნა მოსახლეობის მხარდაჭერა მშობლიური ქვეყნის – საქართველოსადმი. ამ სკალის თანახმად, მოსახლეობის 83,1 პროცენტს საქართველოს მოქალაქეობა ურჩევნია სხვა ქვეყნის მოქალაქეობას. საქართველოს სახელმწიფოებრივ ნაკლოვანებათა მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულება/არდამოკიდებულებაში განსხვავება, ფაქტობრივად, არ აღინიშნება: რესპონდენტთა 41,8 პროცენტისთვის, დღესდღეობით, საქართველოს რეალობაში არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა გამოც მათ საქართველოსი რცხვენიათ, ხოლო რესპოდენტთა 41,1 პროცენტი ასე არ ფიქრობს. გამოკითხულთა 52,9 პროცენტი, განსხვავებით 33,9 პროცენტისგან, არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს საკუთარ ქვეყანას

მაშინაც კი, როდესაც ის მცდარი გზით მიდის. რესპონდენტთა 92,7 პროცენტისთვის ეროვნული სიამაყის საგანია საქართველოს წარმატებები საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე.

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა №7 ასახავს რესპონდენტთა მიერ გაერთიანებულ დადებით (სრულიად ვეთანხმები და ვეთანხმები) სავარაუდო პასუხთა სიხშირეს პროცენტული მაჩვენებლებით:

დიაგრამა №7 : ქართული ეროვნული სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულება



კვლევის მონაცემთა თანახმად, ქართველ საზოგადოებაში ეთნოცენტრიზმის ცალსახა გამოვლინებები არ ფიქსირდება. კვლევის მონაწილეთა 37,8 პროცენტისთვის მსოფლიო უკეთესი იქნებოდა სხვა ერების წარმომადგენლები ქართველების მსგავსი რომ იყვნენ, თუმცა ამ მაჩვენებლისგან დიდად არ განსხვავდება იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც ამ იდეას არ იზიარებს (35,1%).

ტენდენციები სქესისა და ასაკის მიხედვით:

უმრავლესობა (თითოეული ასაკობრივი ჯგუფიდან) „აბსოლუტურად ეთანხმება“ ან „ეთანხმება“ ფრაზას – „საქართველოს მოქალაქეობა მირჩევნია ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეობას“. შესაბამისად, ამ მხრივ ჯგუფებს შორის განსხვავება არ ფიქსირდება. რაც შეეხება კითხვას – „არსებობს თუ არა საქართველოს რეალობაში რიგი საკითხები, რომელთა გამოც საქართველოსი მრცხვენია“ – 18-30 წლამდე ასაკის რესპონდენტების 52%-ის პასუხი დადებითია. 31-45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში პასუხები მეტად პოლარიზებულია, 42,9% ეთანხმება, ხოლო 42% არ ეთანხმება. 46-55 წლამდე რესპონდენტებში ტენდენცია იცვლება და უმრავლესობა – 61% არ ეთანხმება, რომ არსებობს

საკითხები, რომლის გამოც საქართველოსი რცხვენია. რაც შეეხება 56+ ასაკობრივ ჯგუფს, აქაც პოლარიზაცია ვლინდება, – 45 % ეთანხმება, რომ რცხვენია გარკვეული საკითხების გამო, ხოლო 43,5 პროცენტი – არ ეთანხმება. 18-30 წლამდე და 31-45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ მსოფლიო უკეთესი იქნებოდა, თუკი სხვა ერები ქართველების მსგავსნი იქნებოდნენ. ვითარება იცვლება 46-55 წლისა და 56+ ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც უმრავლესობა ეთანხმება ამ დებულებას. რესპონდენტების უმრავლესობა, ასაკის მიუხედავად, მიიჩნევს, რომ საქართველო უკეთესი ქვეყანაა, ვიდრე სხვა დანარჩენი ქვეყნები. რესპონდენტების უმრავლესობა, ასევე ასაკის მიუხედავად, ფიქრობს, რომ თუ ქვეყანა მცდარ გზას ადგას, მას მხარი არ უნდა დაუჭირო. ანალოგიურად, ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლთა უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ „ისე ვერ ამაყობს საქართველოთი, როგორც ისურვებდა“. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, განურჩევლად ასაკისა, ძალიან ამაყია, როდესაც მისი ქვეყანა წარმატებას აღწევს საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში. და ბოლოს, დიდი უმრავლესობა, ასაკის მიუხედავად, ძალიან ამაყობს, რომ საქართველოს მოქალაქეა. ეს მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 72,5 % -დან 77 %-მდე მერყეობს.

რაც შეეხება ჩამოთვლილ კითხვებზე რესპონდენტთა პასუხებს შორის განსხვავებას სქესის მიხედვით, აქაც, ისევე როგორც ასაკის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლინდა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეროვნული სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ერთგვაროვანია და მოქალაქეები, ასაკის მიუხედავად, ერთნაირად ამაყობენ საქართველოს მოქალაქეობით. თუმცა, ისე ვერ ამაყობენ სამშობლოთი, როგორც ისურვებდნენ. საერთო და გამაერთიანებელ ფაქტორად შეიძლება გამოვყოთ ასევე ის ფაქტი, რომ სპორტულ ტურნირებში წარმატებით ასპარეზობა ყველა ასაკის და ორივე სქესის რესპონდენტების უმრავლესობისთვის საამაყო და მნიშვნელოვანია.

ფაქტორული ანალიზის მიხედვით, ქართული ეროვნული სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი ცვლადები სამ ფაქტორად დაჯგუფდა (ცხრილი № 7): პირველ ფაქტორს შეიძლება „**საკუთარი ქვეყნის უპირატესობა**“ ეწოდოს. ამ ფაქტორში გაერთიანდა შემდეგი ცვლადები: „მსოფლიო გაცილებით უკეთესი იქნებოდა, სხვა ქვეყნების მოსახლეობა ქართველების მსგავსი რომ იყოს“, „სა-

ქართველო უკეთესი ქვეყანაა, ვიდრე სხვა ქვეყნების უმრავლესობა“ და „ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს საკუთარ ქვეყანას მაშინაც კი, როდესაც ის არასწორი გზით მიდის“ (აღსანიშნავია, რომ საშუალო შეფასებების მიხედვით, ამ უკანასკნელმა ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო);

ფაქტორი „*საკუთარი ქვეყნის უპირატესობა*“ არ არის დამოკიდებული სქესზე (p=.727), სუსტად არის დამოკიდებული ასაკზე (p=.019) და მკვეთრად არის დამოკიდებული განათლების დონესა (p=.000) და დასაქმების ტიპზე (p=.000). ასაკის მიხედვით ჯგუფებს შორის საშუალოთა შედარების საფუძველზე გაირკვა, რომ საკუთარი ქვეყნის უპირატესობას, ძირითადად, უფროსი ასაკის – 55 წელს ზემოთ რესპონდენტები აღიარებენ (0,11; 0,19). საშუალო ასაკის (25-54) რესპონდენტებში ტენდენცია არ იკვეთება. ხოლო ახალგაზრდა (18-24) რესპონდეტების დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის უპირატესობისადმი უარყოფითია (-0,56). განათლების დონის მატებასთან ერთად მცირდება საკუთარი ქვეყნის უპირატესობის განცდა. ძირითადად, საშუალო და უფრო დაბალი განათლების მქონე ჯგუფები აღიარებენ საკუთარი ქვეყნის უპირატესობას (0,30; 0,20; 015; 0,04). განათლების მაღალი დონის ჯგუფების დამოკიდებულება კი ამგვარი უპირატესობისადმი უარყოფითია (-0,20; -0,49; -0,30).

მეორე ფაქტორს შესაძლებელია „**საკუთარი ქვეყნისადმი კრიტიკული დამოკიდებულება**“ დაერქვას. მასში გაერთიანდა: გარკვეულ შემთხვევაში საქართველოს გამო სირცხვილის, ხშირად სამშობლოთი სიამაყის საფუძვლის არარსებობისა და საკუთარი ქვეყნის ნაკლოვანებათა არაღიარების პარამეტრები.

ფაქტორი „*საკუთარი ქვეყნისადმი კრიტიკული დამოკიდებულება*“ არ არის დამოკიდებული სქესსა (p=.589) და ასაკზე (p=.076). თუმცა დამოკიდებულია განათლების დონესა (p=.03) და დასაქმების ტიპზე (p=.01). საკუთარი ქვეყნისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ძირითადად უმაღლესი განათლების მქონეთა ჯგუფში დომინირებს (0,07; 0,13; 0,28).

მესამე ფაქტორს „**საკუთარი ქვეყნით სიამაყე**“ შეიძლება ეწოდოს. მასში ორი ცვლადი გაერთიანდა: „საქართველოს მოქალაქეობა მირჩევნია ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეობას“ და საერთაშორისო სპორტულ ტურნირებში წარმატებით სიამაყე. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლებით სწორედ ეს ცვლადებია წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ *საკუთარი ქვეყნით სიამაყე*

და საკუთარი ქვეყნის უპირატესობა, თანამედროვე ქართველთა ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს.

მესამე ფაქტორი – „*საკუთარი ქვეყნით სიამაყე*“ – არ არის დამოკიდებული სქესზე (p=.120). ის დამოკიდებულია ასაკსა (p=.000) და დასაქმების ტიპზე (p=.000). საკუთარი ქვეყნით სიამაყე უფრო მეტად ახასიათებთ 55 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტებს (r= 0.17), ხოლო ნაკლებად – 18-24 (-0.32) და 35-44 (-0.13) ასაკობრივ ჯგუფებს. დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ტენდენცია არ იკვეთება.

ცხრილი №7 : ქართული ეროვნული სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულება (ფაქტორები)

Rotated Component Matrix[a]

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?	**ფაქტორი**			**საშუალოები:** 1-სრულიად ვეთანხმები; 5 სრულიად არ ვეთანხმები
	1	2	3	
საქართველოს მოქალაქეობა მირჩევნია სხვა ქვეყნის მოქალაქეობას	.225	-.064	.699	1.62
დღესდღეობით საქართველოს რეალობაში არსებობს რიგი საკითხები, რომელთა გამოც საქართველოსი მრცხვენია	-.141	.650	-.159	3.06
მსოფლიო გაცილებით უკეთესი იქნებოდა, სხვა ქვეყნის მოსახლეობა ქართველების მსგავსი რომ იყოს	.679	-.063	.225	2.87
მთლიანობაში, საქართველო უკეთესი ქვეყანაა, ვიდრე სხვა ქვეყნების უმრავლესობა	.675	-.149	.348	2.22
ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს საკუთარ ქვეყანას მაშინაც კი, როდესაც ის არასწორი გზით მიდის	.734	.042	-.160	3.22
მეამაყება ქართველობა, როდესაც ჩემი ქვეყანა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე წარმატებით გამოდის	-.019	.094	.786	1.25
ხშირად ისე ვერ ვამაყობ საქართველოთი, როგორც ვისურვებდი	-.182	.704	.107	2.21
მსოფლიო უკეთესი იქნებოდა, ქართველები საქართველოს ნაკლოვანებებს რომ აღიარებდნენ	.205	.647	.066	2.39

2013 წლის ISSP-ის „ეროვნული იდენტობის“ შესახებ კვლევაში რესპონდენტებს 1-დან (ძალიან ვამაყობ) 4-მდე (საერთოდ არ ვამაყობ) სკალაზე ასევე უნდა განესაზღვრათ, თუ რამდენად ამაყობენ ისინი საქართველოთი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: როგორ მუშაობს დემოკრატია საქართველოში, საქართველოს პოლიტიკური გავლენა მსოფლიოში, მისი ეკონომიკური მიღწევები, მისი სოციალური უსაფრთხოების სისტემა, საქართველოს შეიარაღებული ძალები, მისი სამეცნიერო-ტექნიკური და სპორტული მიღწევებით. ასევე, საქართველოს მიღწევები ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში, საქართველოს ისტორია და ქართველ საზოგადოებაში არსებული ყველა ჯგუფის მიმართ სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა.

გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა (90,4%) ამაყობს საქართველოს ისტორიით. ყველაზე ხშირად დასახელებულ საკითხთა შორის მეორე და მესამე „ადგილი“ დაიკავეს მიღწევებმა ხელოვნება-კულტურის სფეროში (74,7%) და სპორტში (74,4%). საქართველოს მოსახლეობა შედარებით ნაკლებად ამაყობს ქვეყნის ეკონომიკური მიღწევებით (71,9%). გამოკითხულთა 65,8% კი აცხადებს, რომ არ ამაყობს საქართველოში დემოკრატიული სისტემის მუშაობით. თითქმის ორჯერ ნაკლებია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც კმაყოფილია საქართველოში დემოკრატიის ხარისხით – 27,8%-ს. დემოკრატიის შეფასების კონტექსტში ასევე საინტერესოა, თუ რამდენად სამართლიანი და თანასწორი დამოკიდებულებაა საქართველოში სხვადასხვა სოციალური ჯგუფისადმი. გამოკითხულთა 41% ფიქრობს, რომ ამ მხრივ საამაყო მდგომარეობაა, ხოლო 49,4 % ასეთ პოზიციას არ იზიარებს.

საქართველოს შეიარაღებული ძალებით სიამაყის მაჩვენებელი მაღალია – 72.9%. ყველაზე არასახარბიელო შეფასება ეკონომიკისა (22.1%) და სოციალური დაცვის (33.4%) სფეროს ერგო. ასევე, მხოლოდ 26.9 პროცენტისთვის არის საამაყო საქართველოს პოლიტიკური გავლენა მსოფლიოში. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა №8 გვიჩვენებს საქართველოს საამაყო სფეროებს:

დიაგრამა №8 : საქართველოს საამაყო სფეროები (%)



დიაგრამა №9 კი ასახავს რესპონდენტთა სავარაუდო პასუხების სიხშირეს, საშუალო მაჩვენებლების მიხედვით:

დიაგრამა № 9 : საქართველოს საამაყო სფეროები (საშუალო მაჩვენებლები: 1-ძალიან ვამაყობ; 2-საკმაოდ ვამაყობ; 3-არც ისე ვამაყობ; 4- საერთოდ არ ვამაყობ)



როგორც დიაგრამა №9 გვიჩვენებს, შეფასების უმაღლესი ქულა (ძალიან ვამაყობ და საკმაოდ ვამაყობ) ეროვნულმა ისტორიამ, ეროვნულმა სპორტმა, თავდაცვის სისტემამ და ეროვნულმა კულტურამ დაიმსახურა. სკალაზე ყველაზე დაბალი შეფასებები (არც ისე ვამაყობ და საერთოდ არ ვამაყობ) კი დემოკრატიას, ეროვნულ ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებს ხვდა წილად.

ასაკისა და სქესის მიხედვით საქართველოს საამაყო სფეროების ცვლადები ასე დალაგდა:

საქართველოს ეკონომიკური მიღწევები – გამოკითხულთა უმრავლესობის პასუხი ერთმნიშვნელოვანია როგორც სქესის, ასევე ასაკის მიხედვით, მოსახლეობა არ ამაყობს საქართველოს ეკონომიკური მიღწევებით.

დიაგრამა № 10 და №11 : საქართველოს საამაყო სფეროები სქესის და ასაკის მიხედვით (%)





საქართველოს ისტორია, თავდაცვა, კულტურა და სპორტი – საქართველოს ისტორიის, მეცნიერება/ტექნიკის, თავდაცვის, ხელოვნების, ლიტერატურისა და სპორტისადმი დამოკიდებულების მხრივაც, ასაკის ან/და სქესის მიხედვით განსხვავება არ აღინიშნება.

დიაგრამა № 12 და №13 : საქართველოს საამაყო სფეროები სქესის და ასაკის მიხედვით (%)



	მეცნიერება/ ტექნიკა	სპორტი	ხელოვნება/ ლიტერატურა	თავდაცვა	ისტორია
18-30	43,1	79	79,2	79,7	97,4
31-45	42	72,6	77,6	73,5	92,6
46-55	49	75,8	71,9	78,1	94,9
56-100	50,4	81	81,6	77,2	97,3

18-30 31-45 46-55 56-100



	მეცნიერება/ტექნიკა	სპორტი	ხელოვნება/ლიტერატურა	თავდაცვა	ისტორია
ქალი	48,1	77	79,4	75	96,3
კაცი	44,7	78,2	80,1	78,9	95,5

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სისტემა – ამ სისტემის მიმართ სიამაყის მაჩვენებელი, ისტორია-თავდაცვა-კულტურა-სპორტისადმი დამოკიდებულების (სიამაყის) მაჩვენებელთან შედარებით, შესამჩნევად მცირეა. ასაკისა და სქესის მიხედვით აქ განსხვავება არ ფიქსირდება.

დიაგრამა № 14 და №15 : საქართველოს საამაყო სფეროები სქესის და ასაკის მიხედვით (%)



	დემოკრატია	საერთაშორისო ურთიერთობები	იუსტიცია	სოციალური უსაფრთხოება
18-30	29,6	30,4	48,5	39,8
31-45	24,7	24,7	41,6	31,4
46-55	33,3	28,8	49,8	36,1
56-100	29,9	29,3	44,7	35,3



	დემოკრატია	საერთაშორისო ურთიერთობები	იუსტიცია	სოციალური უსაფრთხოება
ქალი	28,7	27,3	47	33,8
კაცი	31,1	30,7	44,9	36,6

ჩატარებული ფაქტორული ანალიზის საფუძველზე საქართველოს საამაყო სფეროები სამ ფაქტორად დაიყო (იხ. ცხრილი №6):

ცხრილი № 8 : საქართველოს საამაყო სფეროები

Rotated Component Matrix[a]

რამდენად ამაყობთ საქართველოთი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში?	ფაქტორი			საშუალოები
	1	2	3	1-ძალიან ვამაყობ; 4- საერთოდ არ ვამაყობ
იმით, თუ როგორ მუშაობს დემოკრატია	.689	.055	.058	2.84
საქართველოს პოლიტიკური გავლენით მსოფლიოში	.720	.095	.149	2.93
საქართველოს ეკონომიკური მიღწევებით	.777	.162	-.022	3.01
მისი სოციალური უსაფრთხოების სისტემით	.691	.185	.010	2.79
მისი სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევებით	.479	.608	-.037	2.57
მისი სპორტული მიღწევებით	.142	.828	.142	1.92
მისი მიღწევებით ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში	.023	.833	.245	1.87
საქართველოს შეიარაღებული ძალებით	.380	.235	.488	1.87
მისი ისტორიით	-.090	.160	.858	1.28
მის მიერ საზოგადოებაში არსებული ყველა ჯგუფის სამართლიანი და თანასწორი მოპყრობით	.521	.037	.423	2.54

პირველ ფაქტორს „**სოციალურ-პოლიტიკური სფეროებით სიამაყე**“ ვუწოდოთ: დემოკრატიასთან, ეკონომიკის განვითარებასთან, სოციალური უსაფრთხოების სისტემასა და თანასწორობასთან დაკავშირებული პროცესები ერთიან ფაქტორად აღიქმება; დემოგრაფიულ მონაცემთა (ასაკი, სქესი, განათლების დონე, დასაქმების ტიპი) საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზეც (student t-test), ამ ფაქტორისთვის ტენდენციები არ ფიქსირდება, ანუ ჯგუფებს შორის განსხვავება შეიძლება ითქვას, რომ არ აღინიშნება.

მეორე ფაქტორს, პირობითად, შეიძლება „**კულტურით სიამყე**“ დაერქვას და მასში სამეცნიერო-ტექნიკური, ხელოვნების, ლიტერატურისა და სპორტის სფეროების მიღწევებით კმაყოფილება გაერთიანდა (ჩამოთვლილთაგან ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებლით სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებია წარმოდგენილი). დემოგრაფიული მონაცემების მხრივ, ამ ფაქტორისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ასაკის (p=.014) და დაქმების ტიპის (p=.001) ცვლადები. თუმცა, ტენდენციები მკვეთრად არ არის გამოხატული. კულტურ-

ით სიამაყე სუსტადაა გამოხატული იმ პირთა ჯგუფში, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ ანაზღაურებადი სამუშაო (-0.16); სამაგიეროდ, ამგვარი სიამაყე ძლიერია ანაზღაურებადი სამუშაოს მქონე რესპონდენტებთან (0.10). ორივე შემთხვევაში ტენდენცია სუსტად არის გამოხატული. კულტურით სიამაყე უფრო მეტად ახასიათებთ მოსწავლე/სტუდენტებს (0.19), ინტერნებს (0.31), პენსიონრებსა (0.13) და სამხედროებს, ან საზოგადოებრივი მომსახურების თანამშრომლებს (0.54). კულტურის სფეროში მიღწეული წარმატებებით ნაკლებად ამაყობენ უმუშევრები და დიასახლისები, ასევე სახლის საქმეებით დაკავებული პირები (-0.15).

ცალკე, მესამე ფატორად გამოიყო „**ისტორიით სიამაყე**“, რომელსაც მხოლოდ ერთი ცვლადი – საქართველოს ისტორიით სიამაყე მიეკუთვნა. დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ჯგუფებში საშუალო მაჩვენებლებს შორის განსხვავება სტატისტიკურად უმნიშვნელოა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისტორიით სიამაყე გამოკითხულთა ყველა ჯგუფისთვის ერთნაირად დამახასიათებელია. შეიძლება ითქვას, რომ ქართველებს თავიანთი ქვეყნის ისტორიით სიამაყის განცდა აერთიანებთ.

საინტერესოა, რომ „შეიარაღებული ძალებით“ სიამაყე არც რომელიმე ფაქტორში მოხვდა და არც ცალკე ფაქტორის სახით გამოიყო. სავარაუდოდ, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობას შეიარაღებული ძალებისადმი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება აქვს.

ძირითადი მიგნებები:

- მშობლიური ქვეყნის უპირატესობის, მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებისა და საკუთრი ქვეყნით სიამაყის თვალსაზრისით, რესპონდენტთა პოზიციებს შორის, სქესის მიხედვით, განსხვავება არ ფიქსირდება;
- საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს საქართველოს მოქალაქეობა ურჩევნია ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეობას;
- გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ხშირად ისე ვერ ამაყობს საქართველოთი, როგორც ისურვებდა;
- გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს თავის ქვეყანას მაშინაც კი, როდესაც ის მცდარი გზით მიდის;

- საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის საამაყოა საქართველოს წარმატებები საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე;
- საკუთარი ქვეყნის უპირატესობას, ძირითადად, უფროსი ასაკის რესპონდენტები აღიარებენ. საშუალო ასაკის რესპონდენტების დამოკიდებულებაში ტენდენცია არ იკვეთება, ხოლო ახალგაზრდა რესპონდენტები საკუთრი ქვეყნის უპირატესობას ნაკლებად აღიარებენ;
- რესპონდენტთა განათლების დონის მატებასთან ერთად მცირდება მშობლიური ქვეყნის უპირატესობის განცდა;
- თავისი ქვეყნისადმი კრიტიკული დამოკიდებულება დამახასიათებელია უმაღლესი განათლების მქონეთა ჯგუფებისთვის;
- მშობლიური ქვეყნით სიამაყე, ძირითადად, უფროსი ასაკის რესპონდენტთა შორის იკვეთება; უფრო მეტად პენსიონერთა ჯგუფებში და ნაკლებად – მოსწავლე/სტუდენტებში.
- გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ყველაზე მეტად ამაყობს საქართველოს ისტორიით, ასევე მიღწევებით კულტურის სფეროსა და სპორტში;
- საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად ამაყობს ქვეყნის ეკონომიკური მიღწევებით და სოციალური დაცვის სისტემით;
- მოსახლეობის დიდი ნაწილი აცხადებს, რომ არ ამაყობს საქართველოში დემოკრატიული სისტემის მუშაობით;
- გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მესამედისთვის არის საამაყო საქართველოს პოლიტიკური გავლენა მსოფლიოში;
- საქართველოს შეიარაღებული ძალებით სიამაყის მაჩვენებელი დიდია;
- საქართველოს ეკონომიკური სისტემით სიამაყის მაჩვენებელი ერთნაირად მცირეა, როგორც სქესის, ასევე ასაკის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში;
- საქართველოს ისტორიის, თავდაცვის, კულტურისა და სპორტისადმი დამოკიდებულების მხრივ ასაკის ან/და სქესის მიხედვით განსხვავება არ აღინიშნება;

- საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სისტემით სიამაყის მაჩვენებელი, კულტურით სიამაყის მაჩვენებელთან შედარებით, შესამჩნევად მცირეა. ასაკის ან/და სქესის მიხედვით განსხვავება არ აღინიშნება.

თვისებრივი მონაცემები:

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ქართველ მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ ისეთი მოვლენები, რომელთა გამოც განსაკუთრებული სიამაყე/სირცხვილი იგრძნეს, რომ ქართველები არიან. ფოკუს ჯგუფებში, პასუხების მიხედვით, გამოვლენილი ზოგადი სურათი ასეთია: 18-30 ასაკობრივ ჯგუფში მეტად შეიმჩნევა სამოქალაქო ნაციონალიზმის ნიშნები, ყველა სხვა ასაკობრივ ჯგუფში ერთგვაროვანი ვითარებაა და პასუხებში უფრო ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის მახასიათებლები სჭარბობს. თუმცა, დეტალური ანალიზისას მაინც ჩანს გარკვეული სხვაობები 31-45, 46-55 და 56+ ასაკობრივ ჯგუფებს შორის. სქესის, დასაქმებულობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსხვავება არ გამოვლინდა. ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია დასახელებული მოვლენების შესაბამისად გაანალიზდა.

რითი ამაყობენ ქართველები?

„ეროვნული გამოფხიზლება“

ახალგაზრდები (18-30) სიამაყის კატეგორიას მიაკუთვნებენ ისეთ მოვლენებს, რომლებმაც „ეროვნული გამოფხიზლება“ გამოიწვია. ეს მოვლენები თავის მხრივ ერთიანობის გრძნობის გაჩენას, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ ბრძოლას და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას უკავშირდება. დასახელდა: 1989 წლის 9 აპრილი, 2008 წლის აგვისტოს ომი (რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ) და რუსული ოკუპაციის მიმართ საზოგადოების გაერთიანება, 2012 წლის სექტემბრის საპროტესტო აქციები პატიმართა წამებასთან დაკავშირებით, 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“. მიუხედავად იმ ტრაგიკულობისა, რომელიც ჩამოთვლილი მოვლენების უმრავლესობას უკავშირდება, რესპონდენტების სიამაყეს იწვევს ის, რომ ადამიანებმა შეძლეს გაერთიანება და საერთო იდეისთვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი

თავისუფლებისთვის ბრძოლა. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი 9 აპრილის შესახებ ამბობს:

> *„ძალიან მტკივნეულია, იქ ბევრი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ რთულ მომენტში იყო ერთიანობა, რაც ძალიან საამაყოა“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18-30).*

31-45 და 46-55 ასაკობრივი ჯგუფის რესპოდენტთა მიერ სიამაყის კატეგორიაში მსგავსი მოვლენები არ დასახელებულა. 56+ ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტები ამაყობენ „ეროვნული გამოფხიზლების“ გამომწვევი მოვლენებით: 1989 წლის 9 აპრილი და შემდგომი დღეები, როცა არეულობის მიუხედავად, კრიმინალური შემთხვევები არ მომხდარა; 1991 წლის 9 აპრილი – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა; 1978 წლის დემონსტრაცია ქართული ენის დაცვის მოთხოვნით. ყველა დასახელებული თარიღი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლას და მიღწეულ შედეგს უკავშირდება. რესპონდენტები ამაყობენ იმით, რომ მათ ერთი იდეის გარშემო შეძლეს გაერთიანება და ამ ერთიანობამ შედეგი გამოიღო. მათ სიამაყეს აძლიერებს ისიც, რომ ისინი დასახელებული პროცესების თანამონაწილენი იყვნენ.

ქართველობა

18-30 ასაკობრივ ჯგუფში ყურადღება გამახვილდა ქართველობის ისეთ მახასიათებელზე, როგორიცაა შიდასოციალური ინტეგრაცია. ერთ-ერთმა რესპონდენტმა სიამაყე იგრძნო, როდესაც მასთან იტალიიდან ჩამოსულ სტუმარს ქართველებმა ძალიან გულთბილად უმასპინძლეს. მისი აზრით იტალიელი კულტურული მემკვიდრეობით კი არა, ურთიერთობებით მოიხიბლა, რომელიც ამ ქვეყანაში ნახა.

ყველა სხვა ასაკობრივ ჯგუფში უფრო ხშირად გვხვდება ეთნოკულტურული ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი ეროვნული უპირატესობისა და დომინანტობის რწმენა. (Adorno et.al. 1950; de Figueiredo/Elkins 2003; Kosterman/Feshbach 1989; Schatz/Staub 1997). 31-45 ასაკობრივი ჯგუფის ზოგიერთი რესპონდენტისთვის საკუთარი ეთნიკურობა იმთავითვე სიამყისა და გამორჩეულობის შეგრძნებას იწვევს. მათი საუბრისას ვხვდებით პასაჟებს, სადაც ჩანს, რომ ქართველი სხვაზე გამორჩეულია თავისი მოხერხებულობით და გმირული ხასიათით:

> *„ქართველი სადაც არ უნდა იყოს უკან დასაბრუნებელ გზას ყოველთვის იპოვნის. ქართველი ყოველთვის სხვანაირად*

იქცევა, როგორი გაჭირვებულიც არ უნდა იყოს (...)" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31-45);

„ქართველობა იმიტომ მეამაყება, რომ მოწოდებით ყველა გმირები ვართ, რაღაცისთვის დაუფიქრებლად შეგვიძლია თავის გაწირვა" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31-45).

46-55 ასაკობრივ ჯგუფში ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ მას სულ ეამაყება ქართველობა, საკუთარ თავს ახასიათებს, როგორც საშინელ ნაციონალისტს და ჟორდანიას მიმდევარს: „*ჯერ საქართველო და მერე ყველაფერი დანარჩენი*" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46-55 წ.). ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს ეთნო-კულტურული ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშანი: ინდივიდის თვითკონცეფციაში ეროვნული სიყვარულისადმი გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება (Adorno et.al. 1950). სამშობლოს სიყვარული 56+ ასაკობრივ ჯგუფშიც ქართველობის აუცილებელ კრიტერიუმად არის მიჩნეული: ერთ-ერთი რესპონდენტისთვის ქართველობა ნიშნავს, რომ ქართველია, მშობლები და სამშობლო უყვარს, ტრადიციებით ამაყობს.

56+ ასაკობრივ ჯგუფშიც ჩანს ეროვნული უპირატესობისა და დომინანტობის რწმენა. რესპონდენტებს ქართველობის განცდა გამორჩეულობისა და სხვაზე აღმატებულობის შეგრძნებას სძენს. ერთ-ერთ რესპონდენტს *ტკბილად* აგონდება წარსული, როდესაც სადაც არ უნდა გასულიყო (იგულისხმება იმდროინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები), როგორც კი ახსენებდა, რომ ქართველი იყო, პატივისცემით ეპყრობოდნენ. მისი აზრით, ქართველი ერთგვარი „ეტალონი" იყო. ასევე სხვა რესპონდენტიც აღნიშნავს, რომ მსოფლიო ქართველების ნიჭიერებით და გამორჩეულობით არის დაინტერესებული:

„(...) მე მგონია, რომ ეს არის პატარა ინკუბატორი, მე მგონი მიხვდა მსოფლიო, რომ ამ ერში ამდენი ღირებულებები დევს (...) ამიტომ მე მგონია (...) უნდათ პატარა ინკუბატორივით ჩეკონ და ჩეკონ ეს ჭკვიანი ბავშვები და მოახმარონ მსოფლიოს თავისი ჭკუით და გონებით" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).

56+ ასაკობრივ ჯგუფში გამოიკვეთა ქართველი მამაკაცის თვითრეალიზაციისთვის აუცილებელი კატეგორიები: გამრავლება და დასაქმება. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, განსაკუთრებული სიამაყე მაშინ იგრძნო, როცა შვილიშვილები შეეძინა და მაღალშემოსავლიანი სამსახური ჰქონდა. საინტერესოა, რომ, მისი აზრით, სწორედ ამ დროს შეიგრძნო ქართველობა. მისთვის ქართვე-

ლი კაცის სახე არის დასაქმებული, რეალიზებული და დაოჯახებული ადამიანი, შვილებით და შვილიშვილებით გარშემორტყმული.

აღმსარებლობა

31-46 ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტები სიამაყის კატეგორიაში ათავსებენ ტაძარში ლოცვას; პატრიარქის წირვაზე დასწრებას. ისინი ქართველობას და მართლმადიდებლობას ერთმანეთს უკავშირებენ, რაც თავის მხრივ ერთ-ერთ რესპონდენტს სიამაყის საფუძველს აძლევს: „როდესაც ქართველი ხარ და მართლმადიდებელი ამაყი უნდა იყო.“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31-45) რესპონდენტის ციტატაში ჩანს, რომ იგი ქართველებს მოიაზრებს ჰომოგენურ ჯგუფად, რომლებიც შეუძლებელია სხვა აღმსარებლობის მიმდევრები იყვნენ. ნაციონალიზმის მკვლევართა დაკვირვებით, იმ პიროვნებებისთვის, რომლებსაც ეთნიკური ნაციონალიზმისკენ აქვთ მიდრეკილება, დამახასიათებელია თავიანთი ეროვნული ჯგუფის განსაზღვრა, როგორც კულტურულად ჰომოგენურისა და უნიკალურის (Blank/Schmidt 2003; Viroli 1995).

ასევე სიამაყის კატეგორიაში დასახელდა მართლმადიდებელი წინაპრების გმირობის ისტორიული მაგალითი:

> *„ძალიან ამაყი ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ მეტეხის ხიდთან 10 000 მოწამემ ხატს ფეხი არ დაადგა და ამის გამო მათ თავები მოჰკვეთეს და მტკვარში გადაყარეს“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).*

ამ შემთხვევაში ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის ორი მახასიათებელი: ისტორია და რელიგია ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული.

ისტორია

18-30 ასაკობრივ ჯგუფში სიამაყის კატეგორიაში არ გაუმახვილებიათ ყურადღება ისტორიაზე. მხოლოდ სირცხვილის კატეგორიაში მოხვდა ისტორიაში ასახული ღალატის ფაქტები, რაც ისტორიის კრიტიკულად დანახვის ერთადერთი შემთხვევა იყო.

31-45 ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ქართველებს ძალიან დიდი ისტორია აქვთ, როგორც სარწმუნოებრივი, ისე კულტურისა და ხელოვნების თვალსაზრისით. ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც ისტორიაზე ამახვილებს ყურადღებას, ჯერ ქართ-

ველ მეფეებსა და მათ მოგებულ ბრძოლებს იხსენებს, შემდეგ კი საამაყო პიროვნებათა შორის სტალინსაც ასახელებს. სტალინით სიამაყის საფუძველი მისი ქართული წარმომავლობა და მსოფლიო გავლენაა:

> *„მახსენდება ქართველი მეფეები, მათი მოგებული ბრძოლები, მაქვს სიამაყის გრნობა. მიხარია, რომ ქართველი ვარ, რადგან ვიცი რომ ასეთის ბრძოლების მოგება შეძლო ამ პატარა ერმა და ასეთი წინააღმდეგობა გაუწია მთელ სამყაროს. ასევე სამამულო ომის გამო, სტალინი, რომ ქართველი იყო ეს საამაყოა, ჩერჩილი, რუზველტი, დე გოლი ყველა გიჟდებოდა და ყველამ იცოდა, რომ ქართველი იყო“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45)*

კულტურული ფასეულობები

ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს კულტურულ ფასეულობებს. ახალგაზრდების შემთხვევაში ჩამონათვალში მოხვდა: ხელოვნება და ფოლკლორი; ქართველების კულტურული მემკვიდრეობა, ანუ „ის, რაც ჩვენი ერის სიძველეს გვახსენებს“; ქართული დამწერლობა; ქართული სამზარეულო. აღსანიშნავია, რომ 18-30 ასაკობრივ კატეგორიაში რესპონდენტები ცდილობდნენ წარმოედგინათ არგუმენტები, თუ რატომ ამაყობენ ნახსენები კულტურული ფასეულობებით. მაგალითად, ქართული ანბანის შემთხვევაში არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ ძალიან ცოტა ერს აქვს დამწერლობა, ყველა უცხოელი აღნიშნავს, რომ ძალიან ლამაზია. 31-45 ასაკობრივ ჯგუფში დასახელდა შემდეგი კულტურული ფასეულობები: ქართული ცეკვა; სუხიშვილების ანსამბლი; სიმღერა; ხელოვნება; ბალეტი; ქართული ლიტერატურა; მხატვრობა; 46-55 ასაკობრივ ჯგუფში გამოიყო: სუხიშვილების კონცერტი კიევში; ქართველი მოცეკვავეები იაპონიაში. 56+ ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტებმა დაასახელეს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმატება უცხოეთში.

საამაყო ქართველები

ფოკუს ჯგუფებში რესპონდენტებმა ისაუბრეს მათთვის საამაყო ქართველების შესახებ. დასახელდა: სახელოვანი წინაპრები, დავით ყიფიანი (ფეხბურთელი), პაატა ბურჭულაძე (ხელოვანი და ქველმოქმედი), მამა ილია კარტოზია (სასულიერო პირი, რომელმაც 2014 წელს,

ადრიატიკის ზღვაში, თავისი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა უცხოელი ქალბატონი და ბავშვი); ქართველების მიღწევები უცხოეთში.

სპორტული მიღწევები

სპორტისა და პოლიტიკის ერთმანეთთან დაკავშირების ტენდენცია გამოვლინდა როგორც 18-30, ასევე 45-55 ასაკობრივ კატეგორიაში. ერთ-ერთი ახალგაზრდის თქმით, მან სიამაყისგან იტირა, როდესაც აგვისტოს ომის პერიოდში პეკინში ცირეკიძემ ოქროს მედალი მოიპოვა (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18-30 წ.). 46-55 ასაკობრივ ჯგუფში, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მან განსაკუთრებული სიამაყე იგძნო 1981 წელს თბილისის „დინამოს“ მიერ ფეხბურთში თასების მფლობელთა თასის მოპოვების დროს. მისი აღწერით, ამ დროს: „სამყარო გაწვა საქართველოს წინაშე და ამ სამყაროში რუსები იყვნენ გათხლეშილები“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46-55).

პოლიტიკა

46-55 ასაკობრივ კატეგორიაში ჩანს პოლიტიკური ფაქტორიც. ერთ-ერთი რესპონდენტი ამაყობს იმით, რომ 2012 წლის არჩევნების დროს ხალხმა შეძლო მთავრობის შეცვლა და მასაც მიუძღვის წვლილი ამ პროცესში. ისეთ სამოქალაქო აქტივობაში თანამონაწილეობით სიამაყე, როგორიც არჩევნებია, სამოქალაქო ნაციონალიზმის გამოხატულებაა.

რისი რცხვენიათ ქართველებს?

კითხვაზე: თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ რომელიმე მოვლენა ან სიტუაცია, როცა განსაკუთრებული სირცხვილი იგრძენით იმის გამო, რომ ქართველი ხართ? უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არასდროს უგრძვნიათ სირცხვილი ქართველობის გამო. ერთ-ერთმა ახალგაზრდა რესპონდენტმაც დასძინა, რომ ბევრჯერ არ მოსწონებია რაღაც, თუმცა ამას სირცხვილის გრძნობას ვერ დაარქმევს. ძირითადად, 18-30 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები უფრო კრიტიკულები არიან ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას.

ახალგაზრდებისთვის სამარცხვინოა ქართველების კონფორმულობა და სიზარმაცე. რამდენიმე რესპონდენტი სწორედ ამ „უძრაობას“

უკავშირებს სხვა დანარჩენ პრობლემებს. ასევე სამარცხვინო მახასიათებლებს შორის ნახსენები იქნა აგრესიულობა და ირაციონალურობა. განსაკუთრებით ნიშნადობლივია ის, რომ აღნიშნული თვისებები არც ერთ სხვა ასაკობრივ კატეგორიაში არ დასახელებულა.

სექსუალური უმცირესობების საკითხი

18-30 ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტთა უმრავლესობა სირცხვილის კატეგორიაში უპირობოდ ათავსებს 2012 წლის 17 მაისს[4] განვითარებულ მოვლენებს, რითაც ავლენს სამოქალაქო მიდგომას აღნიშნული საკითხის მიმართ. მათთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა სამოქალაქო უფლებების დაცვა და 17 მაისის მოვლენებს განიხილავენ, როგორც შეუწყნარებლობასა და აგრესიას უმცირესობების მიმართ. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ კონტრ-აქციის მონაწილეები, ისევე როგორც კონტრ-აქციის მოთავე სასულიერო პირები, ძალიან არაჰუმანურად მოიქცნენ. ერთ-ერთი რესპონდენტი იმასაც ამბობს, რომ თავად იყო აქციის მონაწილე და მის სიცოცხლეს კინაღამ საფრთხე დაემუქრა (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18-30). ახალგაზრდების პასუხებში ჩანს გარკვეული გაღიზიანება სასულიერო პირების ქცევით, რადგან მიუღებლად მიიჩნევენ ეკლესიის წარმომადგენლების მიერ ძალადობისა და აგრესიის გამოვლენას.

31-45 ასაკობრივ ჯფუფში რესპონდენტები 2012 წლის 17 მაისს სირცხვილის კატეგორიაში ათავსებენ, მაგრამ ახალგაზრდებისგან განსხვავებით, მათთვის სამარცხვინოა არა აქციის დარბევის ფაქტი, არამედ, პირიქით, ის, რომ საქართველოში გეი აღლუმის ჩატარებას აპირებდნენ. 31-45 ასაკობრივ კატეგორიაში არც ერთ რესპონდენტს არ გაუკრიტიკებია კონტრ-აქციის წევრების, ან სასულიერო პირების ქმედება და არ გამოუხატავს პროტესტი უმცირესობათა უფლებების დარღვევის გამო. ამ ჯგუფის რესპონდენტები სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ აქციის ჩატარების სურვილსაც კი ნაციონალური ღირებულებების შელახვად აღიქვამენ.

46-55 წლის ასაკობრივ კატეგორიაშიც გვხვდება სექსუალურ უმცირესობათა საკითხი. რესპონდენტების აზრით, ასეთი ადამიანების

4 2012 წლის 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული აქცია გადაიზარდა დაპირისპირებაში აქციის მონაწილეებსა და კონტრ-აქციის წევრებს – მართლმადიდებელ მრევლს შორის. დაპირისპირება სასულიერო პირებისა და მათი მრევლის მიერ ჰომოფობიის წინააღმდეგ შეკრებილი მცირერიცხოვანი დემონსტრანტების დარბევით დასრულდა.

არსებობა სამარცხვინოა. ერთ-ერთი რესპონდენტი სირცხვილის კატეგორიას მიაკუთვნებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოქალაქემ სქესი შეიცვალა.

სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა საკითხს 56+ ასაკობრივ კატეგორიაშიც შეეხნენ. ერთ-ერთ რესპონდენტს ყველაზე მეტად მაშინ შერცხვა და *„განადგურდა მორალურად“*, როცა „გეი პარადი“ ჩაატარეს. ამ დროს, ის გრძნობდა, რომ *„კაცი აღარ იყო, უნდოდა იარაღი აეღო და დაეხოცა ხალხი“* (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).

2008 წლის აგვისტოს ომი

18-30 ასაკობრივ კატეგორიაში აგვისტოს ომი[5] არა მხოლოდ სიამაყეს, არამედ სირცხვილსაც იწვევს: რესპონდენტებს რცხვენიათ სამოქალაქო სოლიდარობის ნაკლებობის, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილების მიმართ მოსახლეობის ნაწილის გულგრილ და ზოგჯერ ნეგატიურ დამოკიდებულებაშიც კი გამოვლინდა. ასევე მიიჩნევენ, რომ არაადეკვატური იყო ომის მიმდინარეობის დროს ქალაქის ცენტრში ჩატარებული კონცერტი. ახალგაზრდების აზრით, ომის პერიოდში მრავალმა პატრიოტიზმის, სამოქალაქო სიმამაცის ნაკლებობა გამოავლინა: *„დაიცალა ქალაქი, არავინ დარჩა, ყველა წავიდა. რომ გეკითხათ, ყველას უყვარდა სამშობლო, ზოგი თურქეთში იყო და ზოგი აზერბაიჯანში“* (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18-30). აღნიშნული პასუხებიდან ჩანს, რომ რესპონდენტები საგანგებო სიტუაციებში სიმამაცის, ადეკვატურობისა და სოლიდარობის ვალდებულებას არ აკისრებენ მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკოსს ან მთავრობას.

სამოქალაქო სიმამაცის ნაკლებობა 45-55 ასაკობრივ ჯგუფშიც დასახელდა, როგორც სამარცხვინო მოვლენა, თუმცა, არა იმ გაგებით, როგორც ამას ახალგაზრდები აღნიშნავდნენ. უფროსი თაობის ერთ-ერთ რესპონდენტს სამარცხვინოდ მიაჩნია ომის დროს მთავარსარდალის – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „დამალვა“. თუ ახალგაზრდა რესპონდენტი სამოქალაქო სიმამაცის ნაკლებობას მთელი საზოგადოების პრობლემად მიიჩნევს, უფროსი თაობის წარმომადგენელი ამას მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ფიგურას მიაწერს. 56+ ასა-

5 იგულისხმება 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია.

კობრივი ჯგუფის რესპონდენტებისთვის სამარცხვინოა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს *„ქართველებმა ერთი საათიც კი არ იომეს.“* აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებისგან განსხვავებით, არც ერთი რესპონდენტი არ საუბრობს თანამოქალაქეების სიმამაცეზე და თავგანწირვაზე.

ეთნიკურად ქართველი ინდივიდების მიერ ჩადენილი სამარცხვინო ქმედებები

სირცხვილის კატეგორიას მიეკუთვნება ეთნიკურად ქართველი ინდივიდების მიერ ჩადენილი სამარცხვინო ქმედებები. 18-30 ასაკობრივ ჯგუფში ასეთ მოვლენებად დასახელდა: ქართველების კრიმინალური ქცევა უცხოეთში, აფხაზი თანატოლებისგან მოსმენილი ისტორიები იმის შესახებ, თუ რა ზიანი მიაყენეს მათ ქართველებმა; ქართველი მასწავლებლის არაკორექტული რეპლიკა ეთნიკურად სომეხი ადამიანების შესახებ. აქვე იქნა დასახელებული ასევე ისტორიაში აღბეჭდილი ღალატის ფაქტები. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი ეთნიკური უმცირესობების თანასწორად მიჩნევა 18-30 ასაკობრივ ჯგუფში არაერთხელ გამოვლინდა, ხოლო სხვა ასაკობრივი ჯგუფებიდან მხოლოდ 31-46 ასაკობრივ ჯგუფში გამახვილდა ამ საკითხზე ყურადღება. რაც შეეხება საქართველოს ისტორიაში აღწერილი მოვლენებისადმი კრიტიკულ მიდგომას და ზოგ შემთხვევაში უარყოფითი მხარის დანახვას, 18-30 ასაკობრივი ჯგუფის გარდა, ასეთი რამ არც ერთ სხვა ასაკობრივ კატეგორიაში არ გვხვდება.

31-45 ასაკობრივ კატეგორიაში დასახელდა ქართველი „სექსმუშაკი“ ქალები თურქეთში, რომლებიც „ქართველი ქალის“ სახელს არცხვენენ; ქართველი მამაკაცების ქურდობა საზღვარგარეთ; ნარკომანია, როგორც მასობრივი სენი. რამდენიმე რესპონდენტმა დასძინა, რომ უცხოეთში ქართველების ჩადენილი ცუდი საქციელი არ სიამოვნებთ, თუმცა ამაში არაფერს განსაკუთრებულს არ ხედავენ და მხოლოდ ქართველებისთვის დამახასიათებელ „სირცხვილად“ არ მიიჩნევენ.

უცხოეთში ქურდობისთვის დაკავებული ქართველები 46-55 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა ჩამონათვალშიც მოხვდა. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ იმდენჯერ შერცხვა, რამდენჯერაც *„ცანცარა ქართველმა ხალხმა“* რამე ცუდი ჩაიდინა, თუმცა იგი

ასეთ მოვლენებს არ მოიაზრებს ზოგადად ქართველი ერის ნაკლოვანებად. ამ ასაკობრივ ჯგუფშიც სირცხვილად მიიჩნევენ ნარკომანიას. 56+ ასაკობრივ ჯგუფში ერთ-ერთი რესპონდენტი განსაკუთრებით აკრიტიკებს ქართველების ქცევას:

> *„საქართველოში რომ მოდიხარ, ტრანზიტით თუ მოდიხარ, თურქეთამდე სანამ ჩადიხარ, ადამიანად გრძნობ თავს. საქართველოში რომ მოდიხარ და სტამბოლის თვითმფრინავში ქართულ სიტუაციაში რომ ჯდები, უკვე სახლში ხარ: ყაყანი, ლანძღვა, იქეთ არყის ამოღება, სტიუარდესებთან ჩხუბი და ა.შ.“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+).*

შიდა დაპირისპირებები

18-30 ასაკობრივ ჯგუფში სირცხვილის კატეგორიაში მოხვდა 2007 წლის 7 ნოემბერი (როდესაც რუსთაველის გამზირზე პოლიციის მიერ დარბეულ იქნა ოპოზიციის მრავალდღიანი საპროტესტო აქცია): „სამარცხვინოა ის, რომ ქართველის წინააღმდეგ ქართველი გამოდიოდა ხელკეტებით“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18-30). 7 ნოემბერი 46-55 ასაკობრივ ჯგუფშიც სამარცხვინო მოვლენებს შორის გვხვდება, თუმცა, პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ ადამიანს ეკისრება. ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით ეს იყო „სააკაშვილის მიერ ხალხის დარბევა“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46-55). 56+ ასაკობრივ ჯგუფში 7 ნოემბერი აღქმულია, როგორც ფართომასშტაბიანი მიტინგის დროს ხალხის „ხოცვა-ჟლეტა“.

46-55 ასაკობრივ კატეგორიაში სამარცხვინოდ მიიჩნევენ სამოქალაქო ომს (1991-1992) და ბანაკებად დაყოფილ საქართველოს მოსახლეობას.

მენტალიტეტი და ტრადიციები

18-30 ასაკობრივ ჯგუფში სირცხვილის კატეგორიაში დასახელდა ახალი თაობის წარმომადგენლებში არსებული „ძველბიჭური“ შეხედულებები. ერთ-ერთი რესპონდენტისთვის ასეთი მენტალიტეტის ადამიანების რიცხვის ზრდა 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ განხორციელებულ ამნისტიას უკავშირდება.

ერთადერთი კომენტარი, რომელიც 18-30 ასაკობრივ ჯგუფში ეკლესიის ავტორიტეტის არსებობაზე მიგვანიშნებს, „კაზანტიპის

ფესტივალს“[6] ეხება. ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ეს ფესტივალი არ შეესაბამება ქართულ მენტალიტეტს. ამ მოსაზრების გასამყარებლად დასახელებულია სასულიერო პირების ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნული ფესტივალის მიმართ:

> *„კაზანტიპი იყო სირცხვილი, ძალიან სამწუხაროა, რომ ანაკლიაში მოხდა ამ აღვირახსნილობის და გარყვნილების პროპაგანდა. არც უნდა ყოფილიყო საერთოდ, რატომ მაინც-დამაიანც საქართველოში? ამის გამო ძალიან დიდი წინააღმ-დეგობა იყო, სასულიერო პირების მხრიდანაც. ჩვენთვის მი-უღებელი იყო, არც იყო საჭირო. ერთადერთი გამართლება იყო ინვესტიციების მოზიდვა და ავშენდით და ავყვავდით. ხალხმა სესხები აიღო და სახლები გაარემონტა სპეციალურად იმ ადამიანებისთვის, ეგონათ, რომ აყვავდებოდნენ და აშენ-დებოდნენ, მაგრამ ყველაფერი დაინგრა და დაიმსხვრა და კი-დევ კარგი“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18-30).*

31-45 ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების უკმაყოფილების მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდა ბიჭები საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოხუცებს ადგილს არ უთმობენ. ეს განიხილება, როგორც ახალი თაობისთვის დამახასიათებელი მოვლენა, რომელიც უფროსებისადმი უპატივცემულობასა და, ზოგადად, ტრადიციების დავიწყებას გამოხატავს.

56+ ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები აკრიტიკებენ ტელეგადაცემებში ნეგატიურ ფაქტებზე ყურადღების გამახვილებას, ასევე „უზნეობისა და ანტიქართული ღირებულებების პროპაგანდას“. ეს ყველაფერი ისევ და ისევ იმ საფრთხედ აღიქმება, რომელიც ქართული ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების გაუფასურებას იწვევს.

პოლიტიკით უკმაყოფილება

სირცხვილის კატეგორიაში მოხვდა პოლიტიკური ფაქტორი: 31-45 ასაკობრივ ჯგუფში ეს გამოიხატება ტერიტორიების ოკუპაციის თემის წინ წამოწევით: სოხუმის დაცემა და 2008 წლის ომი. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიების ოკუპაცია ხელისუფლებით უკმაყოფილე-

6 ყოველწლიური ელექტრონული საცეკვაო მუსიკის ფესტივალი, რომელიც 1992 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, ზაფხულობით, უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე იმართებოდა. თუმცა, რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ, გადაწყდა, რომ 2014 წელს ფესტივალი საქართველოში, ანაკლიაში გაიმართებოდა.

ბაზეა გადაჯაჭვული და აქ არ არის საუბარი სამოქალაქო სიმამაცის ნაკლებობაზე. რესპონდენტები სირცხვილს განიცდიან როგორც ახლანდელი, ასევე წინა ხელისუფლების გამო. ერთ-ერთი მათგანი მიიჩნევს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის წლები სამარცხვინო იყო და მთელი ამ 9 წლის (2003-2012) განმავლობაში სირცხვილს განიცდიდა, იმის გამო, რომ ქართველია (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31-45).

46-55 და 56+ ასაკობრივ ჯგუფებში პოლიტიკური ფაქტორი უკავშირდება მცდარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ერთ-ერთი რესპონდენტი დიდ შეცდომად მიიჩნევს იმას, რომ „*ერმა ზვიად გამსახურდია გააგდო*“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46-55). სხვა რესპონდენტისთვის სამარცხვინოა ედუარდ შევარდნაძის დახვედრის ფაქტი. მისი შეფასებით, ამ დროს: „*შევარდნაძემ დაგვაჩოქა რუსთაველზე*“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).

სამოქალაქო ცნობიერების ნაკლებობა

18-30 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებისთვის სამარცხვინოა სისუფთავის დაცვის პრობლემა, რომელსაც სამოქალაქო ცნობიერების ნაკლებობის გამოხატულებად მიიჩნევენ. საუბარია პოლიეთილენის პარკებით დაბინძურებულ გარემოზე, ნაგვის ქუჩაში დაყრაზე და ა.შ. 46-55 ასაკობრივ კატეგორიაშიც იკვეთება უკმაყოფილება სამოქალაქო ცნობიერების ნაკლებობის გამო: „შუქნიშნებს არავინ უყურებს, ნაგავს გარეთ ყრიან“.

ეკონომიკური გაჭირვება

31-45 ასაკობრივ ჯგუფში სირცხვილის კატეგორიაში გამოიკვეთა ეკონომიკური ფაქტორი: ნაგვის ბუნკერთან მომრავლებული ადამიანები; სპორტსმენები, რომლებიც დაფინანსების უკმარისობის გამო არსებულ რესურსს ვერ იყენებენ.

56+ ასაკობროვ კატეგორიაში ეკონომიკური მდგომარეობა უკავშირდება ტრადიციების გარკვეული ცვლილების აუცილებლობას. ერთ-ერთ რესპონდენტს, დღევანდელი ეკონომიკური გაჭირვების ფონზე, შეუსაბამოდ მიაჩნია ისეთი ტრადიციები, როგორიცაა, მაგალითად, 300-კაციანი ქელეხი.

საბოლოოდ, ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია, შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: ქართველობასთან დაკავშირებული ეროვნული სიამაყისა და სირცხვილის კვლევისას გაირკვა, რომ ამ მხრივ რესპონდენტების ასაკი მნიშვნელოვანი ცვლადია. გამოთქმული შეხედულებების მიხედვით რესპონდენტები იყოფიან ორ ძირითად კატეგორიად: 18-30 და 31-56+ ასაკობრივ ჯგუფებად).

სიამაყის კატეგორია, ძირითადად, ისეთ მოვლენებს მოიცავს, რომელთაც ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში აქვთ წვლილი შეტანილი, მოვლენები, რომლებშიც ჩანს ქართველების ნიჭიერება, ძლიერება, გამორჩეულობა. სირცხვილის კატეგორია კი, უპირველესად, იმ ფაქტებს უკავშირდება, რომლებიც ქართველების ქურდულ, დანაშაულებრივ ქმედებებს, ასევე კონფორმიზმს, სამოქალაქო გულგრილობასა და ერთმანეთის გაუტანლობას ასახავს.

ახალგაზრდები როგორც სიამაყეზე, ასევე სირცხვილზე მსჯელობისას გაცილებით ხშირად იყენებენ სამოქალაქო ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელ კატეგორიებს. სიამაყის კატეგორიაში 18-30 ასაკობრივ ჯგუფში წამყვანი ადგილი დაიკავა მოვლენებმა, რომლებმაც „ეროვნული გამოფხიზლება“ გამოიწვია. დასახელდა: 1989 წლის 9 აპრილი[7], 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“[8], 2008 წლის აგვისტოს ომის (საქართველოს მიმართ რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის) დროს გამოჩენილი სამოქალაქო სიმამაცე და რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ საზოგადოების ერთიანობა[9]. იმ ტრაგიკული შინაარსის მიუხედავად, რომელიც ჩამოთვლილი მოვლენების უმრავლესობას აქვს, რესპონდენტებში სიამაყეს იწვევს ის, რომ ადამიანებმა შეძლეს გაერთიანება და საერთო იდეისთვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისთვის ბრძოლა. საინტერესოა, რომ 31-45 და 46-55 ასაკობრივ ჯგუფში არ დასახელებულა „ეროვნული გამოფხიზლების“ კატეგორია. 56+ ასაკის რესპონდენტებმა სიამაყის სფეროში მოაქციეს „ეროვნული გამოფხიზლების“ კატეგორია.

---

7 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიამ თბილისში დაარბია მშვიდობიანი აქცია, რომლის მოთხოვნა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. დარბევის შედეგად დაიღუპა 21 ადამიანი, ხოლო ასობით ადამიანი მოიწამლა და დაშავდა.

8 2003 წლის ნოემბერში მიმდინარეობდა მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები, რაც გამოწვეული იყო საპარლამენტო არჩევნების გაყალბებით და ეს პროცესი დასრულდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომით. საბოლოოდ ამ მოვლენებს „ვარდების რევოლუცია“ ეწოდა.

9 იგულისხმება 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია.

ახალგაზრდების გარდა (18-30), ყველა სხვა ასაკობრივ ჯგუფში გვხვდება ეთნიკური ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი ეროვნული უპირატესობისა და დომინანტობის რწმენა (Adorno et.al. 1950; de Figueiredo/Elkins 2003; Kosterman/Feshbach 1989; Schatz/Staub 1997). უფროსი თაობის რესპონდენტებში თავიანთი ეთნო-კულტურული კუთვნილება იმთავითვე სიამყისა და გამორჩეულობის შეგრძნებას იწვევს. ისინი ქართველების გამორჩეულობას აკავშირებენ რელიგიასა და ისტორიასთანაც. მათი აზრით, თავისთავად საამაყოა თუ ადამიანი ეთნიკურად ქართველია და ამავდროულად აღმსარებლობით მართლმადიდებელი. ისტორია, რომელიც ქართველი მეფეების მიერ მოგებულ ბრძოლებზე მოგვითხრობს (სადაც ხშირ შემთხვევაში ქართველების არმია გაცილებით მცირეა მოწინააღმდეგის არმიასთან შედარებით), კიდევ უფრო ამყარებს რესპონდენტების ეროვნული გამორჩეულობის შეგრძნებას. ნიშანდობლივია, რომ 31-56+ ასაკობრივი ჯგუფებისთვის საამაყო კატეგორიები: სარწმუნოება და ისტორია უდავოდ ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის სფეროდ არის მიჩნეული. რაც შეეხება ეროვნულ ხელოვნება-კულტურას, ის უნივერსალური კატეგორია აღმოჩნდა, რადგან ყველა აკობრივი ჯგუფის სიამაყის ჩამონათვალში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია. ერთადერთი განსხვავება, რაც ამ მხრივ შეიჩნევა არის ის, რომ ახალგაზრდები კულტურული ფასეულობების ჩამოთვლისას უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ არგუმენტებზე.

უფროსი ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფებში გვხვდებიან რესპონდენტები, რომლებსაც არასდროს შერცხვენიათ ქართველობის გამო. ახალგაზრდები უფრო კრიტიკულნი არიან თანამემამულეთა სამარცხვინო ქმედებების დასახელებისას. 18-30 ასაკობრივ კატეგორიაში რესპონდენტთა დიდი ნაწილი სამარცხვინო ფაქტების განხილვისას პასუხისმგებლობას აკისრებს არა კონკრეტულ პირებს (მაგალითად პოლიტიკოსებს), არამედ აქცენტი გადააქვთ სამოქალაქო პასუხიმგებლობის ნაკლებობაზე. უფროსი თაობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მუდმივად ხელისუფლებას ან ცალკეულ პირებს ეკისრებათ და არავინ საუბრობს პირად პასუხისმგებლობაზე.

ერთ-ერთი მკვეთრი სხვაობა, რომელიც კვლევის შედეგებმა გამოავლინა, არის ის, რომ უფროსი თაობისგან განსხვავებით, ახალგაზრდები სიამაყის კატეგორიაში არ ახსენებენ საქართველოს შორეულ ისტორიას და კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავენ სასულიერო პირების მიმართ. ეს ალბათ იმითაც აიხსნება, რომ

ახალგაზრდების მსჯელობა გაცილებით უფრო მეტად არის ორიენტირებული აწმყოზე, ვიდრე უფროსი თაობის საუბარი, რომელიც, ჩვეულებრივ, შორეულ წარსულზე და ერის იმდროინდელ სიდიადეზეა კონცენტრირებული. ყველაზე უფრო თვალსაჩინო სხვაობა ასაკობრივ ჯგუფებს შორის გვხვდება სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი 17 მაისის[10] მოვლენების შეფასებისას. 18-30 ასაკობრივ ჯგუფში სირცხვილის მიზეზად დასახელდა 17 მაისს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დევნა, ხოლო 31+ ასაკობრივ ჯგუფებში ამ თემაზე გამოთქმული ყველა მოსაზრება საპირისპირო შინაარსის იყო.

ძირითადი მიგნებები:

ამგვარად, აღნიშნული თვისებრივი კვლევის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- ქართველი მოსახლეობის სიამაყის სფერო უფრო მეტად ეთნოკულტურული ნაციონალიზმის მახასიათებლებს აერთიანებს (კულტურა, სპორტი, ისტორია, რელიგია);
- სიამაყის კატეგორია, ძირითადად, ისეთ მოვლენებს მოიცავს, რომლებსაც ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი და სადაც ჩანს ქართველების ნიჭიერება, ძლიერება, გამორჩეულობა;
- სირცხვილის სფეროში შედარებით მეტია სამოქალაქო ნაციონალიზმის კატეგორიები (პოლიტიკით უკმაყოფილება, ეკონომიკური გაჭირვება, წუხილი სამოქალაქო ცნობიერების ნაკლებობის გამო);
- სირცხვილის კატეგორიაში ისეთი მოვლენები ფიგურირებს, რომლებიც ქართველების დანაშაულებრივ ქმედებებს, კონფორმიზმს, სამოქალაქო გულგრილობასა და ერთმანეთის გაუტანლობას ასახავს.

10 2012 წლის 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული აქცია გადაიზარდა დაპირისპირებაში აქციის მონაწილეებსა და კონტრ-აქციის წევრებს – მართლმადიდებელ მრევლს შორის. დაპირისპირება სასულიერო პირებისა და მათი მრევლის მიერ ჰომოფობიის წინააღმდეგ შეკრებილი მცირერიცხოვანი დემონსტრანტების დარბევით დასრულდა.

3.1.3. მოქალაქეობა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები

უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში შევეცადეთ დაგვედგინა, თუ როგორ აისახება ქართველ საზოგადოებაში ეროვნული იდენტობის ის ფორმები, რომელთაც გამოყოფენ ნაციონალიზმის თეორეტიკოსები და ასევე ჩვენ მიერ გამოკითხული ექსპერტები და საზოგადოებრივი ელიტის წარმომადგენლები. წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ იმ მონაცემებს, რომლებიც ქართველი ერის ეროვნული იდენტობის სამოქალაქო ცნობიერების ასპექტს უკავშირდება.

თვისებრივი მონაცემები:

ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებს ვთხოვეთ განესაზღვრათ, თუ როგორ ესმით მათ მოქალაქეობა და რა სახის ვალდებულებებს მოიცავს მათთვის მოქალაქეობა. საყურადღებოა, რომ 18-30 წლის ახალგაზრდებში ერთხმად დაფიქსირდა მოქალაქეობის ბმა სახელმწიფოში მიმდინარე ყველა სახის სამოქალაქო თუ პოლიტიკურ პროცესში ჩართულობასთან. 18-30 წლის ასაკის რესპონდენტებისთვის მოქალაქეობა, უმთავრესად, გულისხმობს შემდეგ ვალდებულებებს: კანონის ფარგლებში მოქცევა, სამოქალაქო აქტივობა, გარემოს, ქუჩების სისუფთავეზე ზრუნვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა:

> *„შენი საზოგადოების, შენი ბუნების, შენი ქვეყნის ზოგადად სიცოცხლისუნარიანობის და ჰარმონიზაციის საზრდელად საჭირო არის შენი ჩაბმა იმ ყველა პროცესში, რომელსაც სრულყოფილი და განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბება ჰქვია“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18–30).*

ახალგაზრდა რესპონდენტებისთვის სახელმწიფოს მოქალაქეობა პასუხისმგებლობაა, რომელიც მათ ავალდებულებს, უპირველესად, კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული თავიანთი უფლება-მოვალეობები.

31-45 წლის რესპონდენტებისთვის მოქალაქეობა გულისხმობს კონკრეტული წესების/როლების და მოვალეობების აღიარებას და მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მიერ ყურადღება გამახვილდა ასევე ისეთ მოვალეობებზე, როგორიცაა: ეროვნული ღირებულებების დაცვა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. აღნიშნული ასაკის

რესპონდენტებისთვის მოქალაქეობრივი ვალდებულებები შემდეგ ფაქტორებს მოიცავს: საქართველოს სიყვარული, გადასახადების გადახდა, შრომის შინაგანაწესის დაცვა, კონსტიტუციის დაცვა და სავალდებულო სამხედრო სამსახური:

> *„უნდა გქონდეს სამსახური. ვალდებულება ბევრია, თუნდაც საგადასახადო კოდექსები, დაზღვევა. როდესაც ქვეყანა ცივილიზებულია და ადამიანები დასაქმებულები არიან, ამას ითავისებენ. მე ვერ ვითავისებ, იმიტომ რომ სახლში ვზივარ, არ ვმუშაობ. ერთი ვიცი, უნდა მიყვარდეს ერი, ბერი და სამშობლო. ვალდებულებებია ასევე ერთმანეთის სიყვარული, გატანა, ერთმანეთს შურის თვალით არ უნდა უყურებდნენ ადამიანები. როდესაც მუშაობ, გადასახადებსაც იხდი და ამით სახელმწიფოს ეხმარები „ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31-45).*

ფოკუს ჯგუფის საშუალო ასაკის (31-45) მონაწილეებისთვის დადებით ფაქტად აღიქმება ის, რომ ბავშვები სახელმწიფოს კონსტიტუციას სკოლიდანვე სწავლობენ, რაც ხელს უწყობს მათ მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების დროულად გაცნობიერებას. თუმცა, როგორც ამბობენ, თავად ნაკლებად იცნობენ კონსტიტუციას მასში ცვლილებების ხშირად შეტანის გამო:

> *„სკოლაში ისწავლება სპეციალურ საგნად, რაც ჩვენს დროს არ იყო. ბავშვმა იცის თავისი უფლებები, შენი უფლებების დაცვა ხომ უნდა შეგეძლოს? მე ვთვლი, რომ ელემენტარულ დონეზე ყველამ უნდა იცოდეს, რომ დაიცვას თავი, თუნდაც არასწორი ბრალდებებისგან“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31-45).*

46-54 წლის ასაკის რესპონდენტებისთვის სამოქალაქო ვალდებულებები დაკავშირებულია „ქართველობასთან“. ერთ-ერთი რესპონდენტი თავის სამოქალაქო პასუხისმგებლობას სახელმწიფოს ტერიტორიის დაცვის ვალდებულებასაც უკავშირებს:

> *„ვარ ქართველი სისხლით ხორცამდე, ვალდებული ვარ ქვეყნის და ოჯახის წინაშე, თითოეული ქართველის წინაშე, რომ დავიცვა თითოეული მტკაველი მიწა“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46-55).*

56+ ასაკის რესპონდენტებისთვის საქართველოს მოქალაქეობა არის ვალდებულება, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე იღებს ადამიანი და, მათი აზრით, ეს ვალდებულება, ძირითადად, კანონმორჩილებასთან არის დაკავშირებული: „მოქალაქე უნდა ემორჩილებოდეს კონსტიტუციას“, „კანონი ყველასთვის უნდა იყოს უზენაესი“, „კა-

ნონი უნდა კანონობდეს“, ეს ის ფრაზებია, რომელსაც თითოეული რესპონდენტი იზიარებს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებიდან ჩანს, რომ რესპონდენტებისთვის მოქალაქეობა, უპირველესად, ნიშნავს სახელმწიფოში არსებული კანონებისადმი, წესებისადმი მორჩილებას, კონკრეტული „როლების“ პირნათლად შესრულებას და ფინანსურ თანამონაწილეობას სახელმწიფოებრივ დონეზე (ანუ გადასახადების გადახდას).

ძირითადი მიგნებები:

- რესპონდენტთა აზრით, მოქალაქეობა გულისხმობს სახელმწიფოში მიმდინარე სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას;
- მოქალაქის ძირითად ვალდებულებებად რესპონდენტებმა დაასახელეს: კონსტიტუციის, კანონის ფარგლებში მოქცევა, სამოქალაქო აქტივობა, გარემოს სისუფთავეზე ზრუნვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ეროვნული ღირებულებებისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნება, საქართველოს სიყვარული, გადასახადების გადახდა და სავალდებულო სამხედრო სამსახური.

რაოდენობრივი მონაცემები:

მოქალაქეობის თემასთან დაკავშირებით, განვიხილავთ ასევე რაოდენობრივ მონაცემებსაც. 2014 წელს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარდა „მოქალაქეობის“ შესახებ ISSP-ის კვლევა, რომლის ფარგლებშიც რესპონდენტებს ეთხოვათ, წინასწარ ჩამოყალიბებული დებულებების საფუძველზე განესაზღვრათ, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ კარგი მოქალაქე იყო (1-დან 7-მდე სკალაზე, სადაც 1 შეესაბამება პასუხს „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, ხოლო 7 – „ძალიან მნიშვნელოვანია“). ქვემოთ მოცემული დიაგრამა №16 ასახავს რესპონდენტთა მოსაზრებებს ასაკობრივ ჭრილში. დიაგრამებში წარმოდგენილია თითოეული დებულებისადმი რესპონდენტთა პასუხების საშუალო მაჩვენებელი სკალაზე 1-დან („საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“) 7-მდე („ძალიან მნიშვნელოვანია“). დესკრიპტულ მონაცემთა თანახმად, პასუხთა საშუალო მონაცემები

ასაკის მიხედვით არ განსხვავდება და საშუალო მაჩვენებლი 3-დან 4-მდე მერყეობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩამოთვლილი დებულებებისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულება ასაკის მიხედვით ერთგვაროვანი და საშუალოდ მნიშვნელოვანია.

დიაგრამა №16 სამოქალაქო ვალდებულებები (საშუალო მაჩვენებლები ასაკის მიხედვით: 1-ძალიან ვამაყობ; 2-საკმაოდ ვამაყობ; 3-არც ისე ვამაყობ; 4- საერთოდ არ ვამაყობ)





წინამდებარე კვლევის ფარგლებში აღნიშნული რაოდენობრივი მონაცემები ასევე გავაანალიზეთ ფაქტორული ანალიზით და შევეცადეთ გაგვეზომა ურთიერთდამოკიდებულება იმ ცვლადებს შორის, რომელებიც სამოქალაქო ვალდებულებას განსაზღვრავს. ფაქტორული ანალიზით ასევე გამოვავლინეთ სტრუქტურული კავშირურთიერთობები სამოქალაქო ვალდებულების განმსაზღვრელ ცვლადებს შორის და გამოვყავით ისეთი ცვლადები, რომლებიც ყველაზე მჭიდროდ ებმის ერთმანეთს. აღნიშნული მეთოდით, საბოლოოდ გამოიყო სამოქალაქო ვალდებულების განმსაზღვრელი ფაქტორები,

რომლებიც მახასიათებელ ცვლადთა თემატური დაჯგუფებით მივიღეთ. ფაქტორული ანალიზის შედეგად (იხ. ცხრილი №9), სამოქალაქო მოვალეობების ნაწილში გამოიყო სამი თემატური ფაქტორი: სოლიდარობა, პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეობა და კანონის უზენაესობა.

პირველ *სოლიდარობის ფაქტორში* გაერთიანდა ისეთი ცვლადები, როგორიცაა: „ეცადო გაუგო იმ ადამიანებს, ვისაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ", „აირჩიო პროდუქტები პოლიტიკური, ეთიკური და გარემოს დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როცა ისინი შედარებით ძვირი ღირს", „დაეხმარო საქართველოში შენზე გაჭირვებულ ადამიანებს" და „დაეხმარო მსოფლიოში შენზე გაჭირვებულ ადამიანებს". აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიგნით სოლიდარობის მაჩვენებელი აღემატება გლობალური სოლიდარობის მაჩვენებელს. სოლიდარობის მაჩვენებლებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილია პროდუქტების არჩევა პოლიტიკური, ეთიკური და გარემოს დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.

სოლიდარობის ფაქტორი არ არის დამოკიდებული სქესზე (p=0.47), თუმცა დამოკიდებულია ასაკზე (p=0.00) და განათლების დონეზე (p=0.00). მონაცემთა საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზე (student t-test) გამოვლინდა, რომ სოლიდარობა ყველაზე მეტად დამახასიათებელია 25-34 ასაკობრივი ჯგუფისთვის (0.26) და ნაკლებად მისაღებია 65+ ასაკის რესპონდენტებისთვის (-0.15). სხვა ჯგუფების მიმართ ფაქტორის მნიშვნელობა არ არის გამოკვეთილი (საშუალოდან გადახრა ძალიან მცირეა). განათლების დონის მიხედვით გამოიკვეთა ტენდენცია, რომ უმაღლესი განათლების (0.25) მქონე რესპონდენტები მეტად სოლიდარულები არიან, ვიდრე საშუალო განათლების (0.07)

მეორე ფაქტორში, რომელსაც *„პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეობის ფაქტორი"* შეიძლება ეწოდოს, გაერთიანდა შემდეგი ცვლადები: „ყოველთვის მიიღო არჩევნებში მონაწილეობა", „თვალყური ადევნო მთავრობის ქმედებებს" და „აქტიურად იყო ჩართული სოციალურ და პოლიტიკურ ასოციაციებში". აღსანიშნავია, რომ ცვლადთა საშუალოებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (p=.000). ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი – 6.25 არჩევნებში მონაწილეობამ მიიღო; მთავრობის ქმედებებისადმი თვა-

ლყურის დევნება საშუალოდ 5.58 ქულით შეფასდა, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით – 4.21 სოციალურ და პოლიტიკურ ასოციაციებში ჩართულობა.

პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეობის ფაქტორი დამოკიდებულია სქესზე (p=0.000), ასაკსა (p=0.000) და განათლების ხარისხზე (p=0.04). საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზე (student t-test) გამოვლინდა, რომ პოლიტიკურად აქტიური უფრო მამაკაცები (0.07) არიან, ვიდრე ქალები (-0.06). არჩევნებში მონაწილეობა, მთავრობის ქმედებების თვალყურის დევნება და სოციალურ-პოლიტიკურ ასოციაციებში ჩართულობა, ძირითადად, უფროსი ასაკის 55+ რესპონდენტებისთვის არის მნიშვნელოვანი (0.18), ვიდრე 18-44 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებისთვის (-0.20; -0.21; -0.13). 45-54 ასაკობრივი ჯგუფი შეიძლება განვიხილოთ როგორც გარდამავალი ჯგუფი, ტენდენცია უარყოფითისკენ არის გადახრილი, მაგრამ მკვეთრად არ არის გამოხატული (-0.08). განათლების დონის მიხედვით შეინიშნება უკუპროპორციული დამოკიდებულება. აღნიშნული ფაქტორი დამახასიათებელია საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებისთვის და მიუღებელია უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებისთვის.

მესამე ფაქტორში, რომელსაც „*კანონის უზენაესობის ფაქტორი*“ შეიძლება ეწოდოს, ორი ცვლადი გაერთიანდა და თითოეულმა ძალიან მაღალი შეფასება მიიღო: „არასდროს აარიდო თავი გადასახადებს“ – 6.62 და „ყოველთვის დაემორჩილო კანონებსა და რეგულაციებს“ – 6.53.

კანონის უზენაესობის ფაქტორი დამოკიდებულია სქესსა (p=0.012) და ასაკზე (p=0.000). გადასახადების გადახდა და კანონებისა და რეგულაციების მიმართ მორჩილება უფრო მნიშვნელოვანია ქალებისთვის (0.06) და უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის (0.14), ვიდრე მამაკაცებისთვის (-0.07) და ახალგაზრდებისთვის (-0.14).

ცხრილი № 9 სამოქალაქო ვალდებულებების ფაქტორები

	ფაქტორი			**საშუალოები** 1-საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი; 7 – ძალიან მნიშვნელოვანია
	1	2	3	
ყოველთვის მიიღო არჩევნებში მონაწილეობა	-.065	.584	.479	6.25
არასდროს აარიდო თავი გადასახადებს	.261	.060	.758	6.62
ყოველთვის დაემორჩილო კანონებსა და რეგულაციებს	.115	.168	.764	6.53
თვალყური ადევნო მთავრობის ქმედებებს	.118	.745	.281	5.58
აქტიურად იყო ჩართული სოციალურ და პოლიტიკურ ასოციაციებში	.334	.765	-.086	4.21
ეცადო გაუგო იმ ადამიანებს, ვისაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ	.514	.260	.171	5.86
აირჩიო პროდუქტები პოლიტიკური, ეთიკური და გარემოს დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როცა ისინი შედარებით ძვირი ღირს	.545	.333	.004	4.80
დაეხმარო საქართველოში შენზე გაჭირვებულ ადამიანებს	.750	-.064	.292	6.57
დაეხმარო მსოფლიოში შენზე გაჭირვებულ ადამიანებს.	.807	.080	.062	5.50

ძირითადი მიგნებები:

- გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობის დამოკიდებულება სამოქალაქო ვალდებულებებისადმი ასაკისა და სქესის მიუხედავად ერთგვაროვანი და საშუალოდ მნიშვნელოვანია;
- სამოქალაქო მოვალეობებისა და ვალდებულებების ნაწილში გამოიყო სამი თემატური ფაქტორი: სოლიდარობა, პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეობა და კანონის უზენაესობა;
- მოქალაქეობის სოლიდარობის ფაქტორში გაერთიანდა შემდეგი ცვლადები: „ეცადო გაუგო იმ ადამიანებს, ვისაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ“, „აირჩიო პროდუქტები პოლიტიკუ-

რი, ეთიკური და გარემოს დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როცა ისინი შედარებით ძვირი ღირს“, „დაეხმარო საქართველოში შენზე გაჭირვებულ ადამიანებს“ და „დაეხმარო მსოფლიოში შენზე გაჭირვებულ ადამიანებს“.

- მოქალაქეობის სოლიდარობის ფაქტორი დამახასიათებელია, როგორც კაცებისთვის, ასევე ქალებისთვის;
- სოლიდარობის ფაქტორი უფრო მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდებისთვის, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის;
- უმაღლესი განათლების მქონე პირები უფრო სოლიდარულები არიან, ვიდრე საშუალო განათლების რესპონდენტები;

➢ მოქალაქეობის პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეობის ფაქტორის მახასიათებლებია: „ყოველთვის მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, თვალყური ადევნო მთავრობის ქმედებებს“ და „აქტიურად იყო ჩართული სოციალურ და პოლიტიკურ ასოციაციებში“.

- პოლიტიკურად აქტიურები უფრო მამაკაცები არიან, ვიდრე ქალები;
- არჩევნებში მონაწილეობა, მთავრობის ქმედებების თვალყურის დევნება და სოციალურ და პოლიტიკურ ასოციაციებში ჩართულობა, ძირითადად, უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის არის მნიშვნელოვანი;
- განათლების დონის მიხედვით შეინიშნება უკუპროპორციული დამოკიდებულება. აღნიშნული ფაქტორი დამახასიათებელია საშუალო განათლების რესპონდენტებისთვის და მიუღებელია უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის;

➢ მოქალაქეობის კანონის უზენაესობის ფაქტორის მახასიათებლებია: „არასდროს აარიდო თავი გადასახადებს“ და „ყოველთვის დაემორჩილო კანონებსა და რეგულაციებს“.

- გადასახადების გადახდა და კანონებისა და რეგულაციების მიმართ მორჩილება უფრო ქალებისთვის არის მნიშვნელოვანი, ვიდრე მამაკაცებისთვის;
- კანონის უზენაესობასა და მისდამი მორჩიელბას უფროსი ასაკის მოქალაქეები უფრო მეტად აღიარებენ, ვიდრე ახალგაზრდები.

3.1.4. რელიგიის მნიშვნელობა ქართული ეროვნული იდენტობისთვის

წინა ქვეთავში განხილვისას ვნახეთ, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებისა და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში ჩართული აქტორების წარმომადგენელებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან გამომდინარე, ქართულ ეროვნულ იდენტობაში კულტურული განზომილება ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო განზომილება. კულტურული განზომილების განმსაზღვრელ ელემენტებად დასახელდა: ენა, რელიგია, ისტორია და ტრადიციები.

თეორიულ ნაწილში უკვე აღინიშნა, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმისთვის მნიშვნელოვანია ერის პოლიტიკური გაგება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან და მოქალაქეობას აიგივებს ეროვნებასთან. ეთნიკური (ეთნო-კულტურული) ნაციონალიზმი კი ერთმანეთისგან მიჯნავს მოქალაქეობას და ეროვნებას, რადგან ერს, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკურ და კულტურულ ფაქტორებთან აკავშირებს. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები და პოლიტიკოსები ნაციონალიზმის ამგვარ კლასიფიკაციას აქტიურად იყენებენ. თუმცა, ზემოთ ითქვა ასევე ნაციონალიზმის დიქოტომიის ანალიტიკურ-ნორმატიული პრობლემურობის შესახებაც და შეძლებისდაგვარად შევეცდებით, როგორც ბრუბეიკერი ამბობს, „ზედმეტად დიდი სამუშაო“ არ დავაკისროთ ამ დაყოფას.

ეთნოსიმბოლიზმის თანახმად, თანამედროვე ერების ჩამოყალიბების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრემოდერნული კავშირები, მათ შორის, რელიგია. ენტონი სმითის აზრით, ნაციონალიზმი არა მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ საფუძვლებზე დგას (სმითი, 2004). სმითი მიიჩნევს, რომ ნაციონალისტები ხშირად იყენებენ წარსულს აწმყოს რეკონსტრუქციისთვის, რისთვისაც შერჩევითი მეხსიერების მეთოდის მიმართავენ, რათა აარჩიონ, თუ კონკრეტულად რომელ თქმულებას დააფუძნონ თავიანთი ხედვა (Smith, 1987). ქართული ეროვნული იდენტობის საკითხზე მომუშავე თეორეტიკოსების, თეოდორ ჰანფისა და გია ნოდიას აზრით, იმ მოვლენებიდან, რომლებსაც ქართველები საკუთარ გამორჩეულობას უკავშირებენ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია 377 წელს ქართლის სამეფოს მიერ ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარება (Hanf, Nodia, 2000). ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები და

ფოკუს ჯგუფების შედეგებიც გვიჩვენებს, რომ საქართველოს ქრისტიანულ ქვეყნად მოაზრება ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლია.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების აზრით, ქართული კულტურული იდენტობა ეთნიკურ ფაქტორთან არის გადაჯაჭვული, რელიგია კი თავის მხრივ ლეგიტიმაციას სწორედ ნაციონალური იდენტობის ეთნიკური ინტერპრეტაციისგან იღებს. გამოკითხულ ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმის ამ უკანასკნელი ელემენტების ერთობა ქართული ეროვნული იდენტობის არაპროგნოზირებად ხასიათზე მეტყველებს, რადგან ისეთ უნივერსალურ რელიგიას, როგორიც ქრისტიანობაა არ უნდა სჭირდებოდეს გაცილებით უფრო ლოკალური ელემენტის – ეთნიკურობის მხრიდან ლეგალიზაცია. ექსპერტთა მოსაზრების საპირისპიროდ, ნაციონალიზმის მკვლევარი ნეოფიტოს ლოიძიდესი შესაძლებლად მიიჩნევს ნაციონალიზმისა და რელიგიის ურთიერთკავშირს. ლოიძიდესის თანახმად, თეორეტიკოსების აზრით, ნაციონალიზმის მრავალწახნაგოვანი ხასიათი სრულიად შესაძლებელს ხდის ნაციონალიზმის ადაპტაციას ფილოსოფიური თვალსაზრისით მასთან თითქოს შეუთავსებელ იდეოლოგიებთან, მათ შორის, რელიგიასთან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ნაციონალიზმი და რელიგია, ერთმანეთის საჭიროებიდან გამომდინარე, ურთიერთკომპრომისზე თანხმდებიან (Loizides, 2009). მიროსლავ ჰროხი მიიჩნევს, რომ ეთნიკური იდენტობა მაშინ უფრო ძლიერია, როდესაც მას მხარს უჭერენ საეკლესიო ინსტიტუტები (Hroch, 1998). ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები ეთნიკურ მახასიათებელთან გაერთიანებულ მართლმადიდებლობას განიხილავენ, როგორც „შეზღუდულ' ნაციონალურ იდენტობას. გამოკითხული ექსპერტების აზრით, 'შეზღუდული' ნაციონალური იდენტობა ნეგატიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებაზე და რელიგიური მახასიათებლის წინა პლანზე წამოწევით ხელს უშლის ეთნიკურობის გარშემო შეკავშირებული ქართველი ერის ფორმირებასაც.

რელიგიის მნიშვნელობის ცვლილება ისტორიულ ჭრილში

აღნიშნული ქვეთავი მიზნად ისახავს წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული სირღმისეული ინტერვიუების საფუძველზე ერთგვარი კონტურის მოხაზვას, რომელიც ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში რელიგიის მნიშვნელობის ცვლილებას ასახავს.

გამოკითხული ექსპერტებიდან უკლებლივ ყველა ემხრობა ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიას, რომელიც ნაციონალიზმს ახალი დროის კუთვნილებად მიიჩნევს. ისინი განმარტავენ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში თუ ეთნიკურად ქართველი სხვა აღმსარებლობას მიიღებდა, ის აღარ მიიჩნეოდა ჭეშმარიტ ქართველად: გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასულ ქართველს „სომეხს“ უწოდებდნენ, კათოლიკურზე – „ფრანგს“, ხოლო ისლამის აღიარების შემთხვევაში – „თათარს“. შესაბამისად, ქართველად იწოდებოდა ყველა, ვინც ქართული ეკლესიის მრევლში იყო:

> *„არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ეთნიკურად, სისხლით, წარმოშობით ვინ იყო. თუ იყო ქართული ეკლესიის მრევლი და ამ ეკლესიის ენა ქართული იყო, შესაბამისად ეს პიროვნებაც ქართველად ითვლებოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა ოსი იყო, აფხაზი, ყივჩაღი ანდაც სომეხი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

ჩვენ მიერ სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების აზრით, ეროვნული იდენტობის შექმნის პირველი მცდელობები XIX საუკუნის მეორე ნახევარს, კერძოდ ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულთა“ მოღვაწეობას უკავშირდება. ამ დროს საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრიობა 1801 წელს გააუქმა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 1811 წლიდან ჩამორთმეული აქვს ავტოკეფალია, ის რუსეთის ეკლესიის სინოდს ექვემდებარება და იმპერიის მიერ რუსიფიკაციის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად აღიქმება (Chitanava, 2015).

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, ილიას კარგად აქვს გაცნობიერებული იმდროინდელ რთულ ვითარებაში საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, განსაკუთრებით კი, ეროვნული ერთიანობის სისუსტე, შესაბამისად, მისი კონცეფცია გამაერთიანებელი ღირებულების ფუნქციის მქონე საზიარო ისტორიას, საზიარო მეხსიერებას ეყრდნობა. ექსპერტების აზრით, ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ეროვნული იდენტობა რელიგიურ მრავალფეროვნებაზეა მორგებული, რადგან ილიას ხედვაში ქართველი შეიძლება არც იყოს მართლმადიდებელი, რის ნათელ ასახვადაც ექსპერტებს მიაჩნიათ მისი პოლიტიკა ახლაშემოერთებული აჭარის მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ. ფილოსოფოს გიგა ზედანიას აზრით, სეკულარული მიდგომის გარეშე შეუძლებელი

იქნებოდა ლინგვისტურად და რელიგიურად უკიდურესად მრავალ-ფეროვანი მოსახლეობის კულტურული ინტეგრაცია (Zedania, 2009).

ზედანიას აზრით, ქართულ ეროვნულ იდენტობაზე საბჭოთა პერიოდმა გარკვეული გავლენა მოახდინა. პარადოქსულობის მიუხედავად, სწორედ ინტერნაციონალურ პრინციპებზე დამყარებულ საბჭოთა კავშირში ეყრება საფუძველი ქართულ ეთნიკურ ნაციონალიზმს (Zedania, 2009). ამავე აზრს იზიარებენ სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული ექსპერტებიც. მათი აზრით, საბჭოთა პერიოდში საწყის ეტაპზე მყოფი ქართული ნაციონალიზმის ხელოვნურ, არადემოკრატიულ სივრცეში მოხვედრამ განაპირობა ილიას პერიოდში აქტუალიზებული საერთო ისტორიის უკანა პლანზე მოქცევა და ეთნიკურ წარმომავლობაზე დამყარებული ნაციონალიზმისთვის საფუძვლის ჩაყრა. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, სწორედ სისხლისმიერ კონცეფციაზე დაფუძნებული ნაციონალიზმის ასახვას ვხედავთ საბჭოთა პერიოდის ქართველი მწერლების შემოქმედებაში:

> *„ქართველები სულ ლაპარაკობენ სისხლი, ჯიში, ჯილაგი, გენი, გენეტიკა და რაღაცები, ეს უკვე არის საბჭოთა პერიოდის მწერლებში. მაგალითად, მურმან ლებანიძესთან, მუხრან მაჭავარიანთან „ვიღაც არ მოვიდეს, აქ არ დაესახლოს“, „ვიღაცამ არ გადაგვჯეგოს“, „დემოგრაფიულად არ გვაჯობოს“ და ეს იდეები, ნაციონალიზმის სისხლისმიერი კონცეფცია არის სწორედ საბჭოთა პერიოდში ფორმირებული.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

1970-80-იანი წლებს უკავშირდება ქართული ერონული იდენტობის ფორმირების მორიგი მძლავრი ტალღა. ამ დროს ქართველ დისიდენტებში განსაკუთრებით გაძლიერდა ანტისაბჭოთა განწყობა, თუმცა ისტორიკოს ოლივერ რაისნერის ნაშრომის თანახმად, დისიდენტების წუხილები ნაკლებად იყო ფოკუსირებული ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო თავისუფლებებზე, მათი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ამასთან ერთად საკუთარი ენის, რელიგიის და ტრადიციების დაბრუნება (Reisner, 2009). ამავე პერიოდს ემთხვევა კათოლიკოსად ამჟამინდელი პატრიარქის, ილია შიოლაშვილის არჩევა (1977 წელი). ილია II-ის მოღვაწეობას უკავშირდება ქართულ ნაციონალურ იდენტობაში რელიგიის მახასიათებლის განსაკუთრებული გაძლიერება, რაც 80-იანი წლების დასაწყისში ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ დახურულ ეკლესია-მონასტრებში საეკლესიო მსახურების აღდგენაში გამოიხატა (Jones,

1989). 1988 წელს გელათში წარმოთქმულ ქადაგებაში ილია II იყენებს ცნებას „ზეციური საქართველო“,[11] რომელიც გულისხმობს საქართველოს იმქვეყნიურ ხატებას, სადაც მორწმუნე ქართველებს აქვთ მოპოვებული სამუდამო სასუფეველი.

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, საბჭოთა პერიოდის მიწურულს, ეროვნული მოძრაობის გაძლიერების ფონზე, ეკლესია, როგორც ინსტიტუტი, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ძლიერ ავტორიტეტს. 1989 წლის 9 აპრილს[12] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დემონსტრანტებს მშვიდობიანად დაშლისკენ მოუწოდებს, მაგრამ მის თხოვნას არ ითვალისწინებენ და დემონსატრანტების პროტესტი გრძელდება. ოლივერ რაისნერის აზრით, ეს ფაქტი კარგად აჩვენებს, რომ ეკლესიას ეროვნული მოძრაობის აქტივისტებისთვის მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა (Reisner, 2009). პატრიარქის 1991 წლის ქადაგებაშიც ჩანს, რომ, ერთი მხრივ, ეკლესია ცდილობს გამაერთიანებლის როლი იკისროს, თუმცა, მეორე მხრივ, ჯერჯერობით არ არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში:

> *„ქართველი ერი თითქოს თავისუფლების გზას ადგას. მაგრამ ორად გახლეჩილი და გაყოფილი, მაშინ როცა ორივე მხარე თავს ქრისტიანებს უწოდებს, მე მოვუწოდე ორივე მხარეს, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ და ერთმანეთთან ესაუბრათ სადავო საკითხებზე. როგორც ხედავთ, ამ მტრობით აღსავსე დროში ეკლესია დარჩა ერთადერთ ძალად, რომელმაც ყველას გაერთიანება უნა შეძლოს, ოღონდ, რა თქმა უნდა, თუ მოუსმინეს“ (ილია II, 1991)*[13]

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული ექსპერტებისა და პოლიტიკოსების უმრავლესობის აზრით, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მმართველობის ხანმოკლე პერიოდს უკავშირდება ნაციონალურ დისკურსში ქრისტიანობის, მართლმადიდებლობის განსაკუთრებული როლის ხაზგასმა. ექსპერტები ამ პერიოდის მთელ

---

11 სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 21 სექტემბერი, 1988, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი (ტომი II). თბილისი, 1997

12 ტრაგიკული თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით რუსთაველის გამზირზე მყოფი დემონსტრანტების დარბევა უკავშირდება. დარბევის შედეგად დაიღუპა 21 ადამიანი.

13 სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, ეკლესია მხოლოდ გაერთიანებისთვის ზრუნავს, (14 სექტემბერი, 1991), „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“ (ტომი II). თბილისი, 1997

პოლიტიკურ სივრცეს ახასიათებენ, როგორც რელიგიური რიტორიკით გაჟღენთილს. მაგალითად, გამსახურდიას ოპოზიციის ნაწილი მოითხოვს „თეოდემოკრატიის“ დამყარებას, მონარქიის აღდგენას და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას საინაუგურაციო სიტყვაც, რომელშიც ის საუბრობს რელიგიის მნიშვნელობის გაძლიერებაზე და მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივითაც გამოდის. 90-იან წლებში რელიგიის წინ წამოწევა ვლინდება საჯარო სივრცეებში კომუნისტური სიმბოლოების მართლმადიდებლური სიმბოლოებით ჩანაცვლების პროცესშიც (Chitanava, 2015). სიღრმისეული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე ირკვევა, რომ იმ პერიოდში რელიგიის როლის მომძლავრებაზე, უმეტესად, პოლიტიკოსები ამახვილებენ ყურადღებას, ხოლო სასულიერო ფიგურებს ჯერჯერობით არ აქვთ დიდი ავტორიტეტი:

> *„ამ დროს პოლიტიკოსებს, ვთქვათ ზვიად გამსახურდიას უფრო მეტი ლეგიტიმურობა ჰქონდა, ვიდრე ეკლესიას, ან პატრიარქს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

1991-1992 წწ. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როცა პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობასთან ერთად გაუქმებულად გამოცხადდა ასევე სხვა ძირითადი არჩევითი სახელმწიფო ინსტიტუტები (პარლამენტი და ადგილობრივი საკრებულოები), გამსახურდიამ ღიად გამოხატა თავისი კრიტიკული განწყობილება გარკვეული საეკლესიო პირების მიმართ, რადგან მათ ანატისახელმწიფოებრივ სუბიექტებად, კერძოდ, რუსული სპეცსამსახურების აგენტებად მიიჩნევდა. უკვე დევნაში მყოფი გამსახურდია წერს:

> *„დღესაც მტერმა პირველ რიგში ჩვენს ეკლესიას დაუმიზნა, შემოგზავნა სამღვდელოების რიგებში მართლმადიდებლობის მტრები, ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რომელთაც დააკნინეს და თითქმის გაანადგურეს მართლმადიდებლური რწმენა. მტრის სადაზვერვო სამსახურების აგენტების ადგილი ეკლესიაში არ არის. ჩვენი ეკლესია უნდა განიწმინდოს მათგან, რათა ერი არ დაიღუპოს. აუცილებელია ახალი რუისურბნისი“[14].*

ექსპერტების აზრით, 90-იან წლებში იწყება თავად ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ ეთნიკური და რელიგიური იდენტობების ერთმანეთთან დაკავშირების ტენდენცია, რის დასადასტურებლადაც

14 https://besarion.wordpress.com/2010/10/23/zg_sarcmunoeba/

ერთ-ერთი ექსპერტის მიერ პატრიარქის, ილია II -ის 1991 წლის ქადაგება სახელდება:

> *„ქართველი ხალხი პირველი საუკუნიდან მოყოლებული ქრისტიანია და ქრისტიანადვე უნდა დარჩეს. ჩვენი ერი არ უნდა მოექცეს სექტებისა და უცხო რელიგიათა გავლენის ქვეშ. საქართველო მართლმადიდებელმა ქრისტიანობამ გადაარჩინა და კიდევაც გადაარჩენს. ჩვენმა ხალხმა ამ გზით უნდა იაროს და ყოველი, რომელიც მართლმადიდებლობას, ჩვენს ეკლესიას, სვეტიცხოველს უღალატებს, მოღალატე იქნება მშობელი ერისაც, ამიტომ ყოველი კაცი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენში სექტანტური მოძღვრებისა და სხვადასხვა რელიგიის გავრცელებას, ქართველი ერის მტრად ცხადდება“*[15].

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ეკლესიის წარმომადგენლის ინტერვიუშიც ჩანს, რომ 1991-93 წლების სამოქალაქო ომის[16] დროს ეკლესია ჯერჯერობით განზე მდგომის პოზიციას ინარჩუნებს:

> *„მაშინ ჩვენ გვიკიჟინებდნენ, რომ გამოსულიყო პატრიარქი, შუაში ჩამდგარიყო და ა.შ., არ შეიძლებოდა მაშინ ამის გაკეთება, ათასი ძალა მართავდა ამ სიტუაციას, გაისროდა ვიღაც, ჩვენს პატრიარქს ესროდნენ და ამას ისეთი პრობლემები მოჰყვებოდა მერე, რომ... ხოცვა-ჟლეტა, ათასი უბედურება, ასე ბრმად და უგუნურად გაკეთება არ შეიძლებოდა, ასე რომ, ნეიტრალური პოზიცია იყო სწორი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

1992 წელს, ახალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების აზრით, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის, სახელმწიფოს სისუსტისა და კორუმპირებულობის გადასაფარად შევარდნაძეს დასჭირდა ეკლესიის მხარდაჭერა, ამიტომ მან ხელი შეუწყო მის გაძლიერებას, რაც, საბოლოოდ, 2002 წელს მიღებული „კონკორდატით“ დაგვირგვინდა.

ედუარდ შევარდნაძე თავის მემუარებში ასე იხსენებს პატრიარქთან ურთიერთობას:

---

15 სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 13 ივლისი, 1991, „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, (ტომი II). თბილისი, 1997

16 საქართველოს სამოქალაქო ომი – შიდა-ეთნიკური და პოლიტიკური სამხედრო კონფლიქტი საქართველოში 1991-1993წლებში

„საქართველოში რომ დავბრუნდი, პირველი რაც იყო, მის უწმინდესობას, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს ვეახლე. მას დიდი ხანია ვიცნობდი და დიდ პატივს ვცემდი. კათალიკოს -პატრიარქთან საუბარმა და შემდეგ მასთან შეხვედრებმა სხვა სიმშვიდე შემოიტანა ჩემს სულში, მოვინათლე კიდეც. ჩემი ნათლია ილია მეორე გახდა – ჩემი ნათლობის სახელი – გიორგი, სახელი, რომელიც ქართველებისთვის ძალზე ბევრს ნიშნავს. (...) 1995 წელს სწორედ ილია მეორისა და ჩემი ინიციატივით დაიწყო სამების დიდებული საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ქართული სულიერებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინებას" (შევარდნაძე 2006).

აღნიშნული ციტატა განსაკუთრებით საინტერესოა იმ კონტექსტში, რომ 1972 წელს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად დანიშნულ ედუარდ შევარდნაძეს უკავშირდება „მავნებლური ტრადიციების" აღმოფხვრისაკენ მიმართული „ანტირელიგიური" კამპანია, რომელიც საეკლესიო ქორწინებებს, ნათლობებსა და საეკლესიო დღესასწაულებს უნდა დაპირისპირებოდა. შევარდნაძემ დაარსა ანტირელიგიური პროპაგანდისათვის განკუთვნილი ორგანიზაციები, რომლებსაც უნდა გაექროთ რელიგიური გავლენები და დაეფუძნებინათ ახალი ტრადიციები (Jones, 1989).

ეროვნული იდენტობის თვალსაზრისით, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდს გამოკითხული ექსპერტები განიხილავენ, როგორც ეთნიკური მარკერის შედარებით შესუსტების ხანას, როდესაც პოლიტიკურად განისაზღვრა, რომ საქართველო მულტიკულტურული ქვეყანაა. ექსპერტთა ინტერვიუების თანახმად, სწორედ ეთნიკური მარკერის უფრო ყოვლისმომცველი სამოქალაქო მარკერით შეცვლის იდეა უდევს საფუძვლად 1999 წელს ახალ პასპორტებში, საბჭოთა პასპორტებისგან განსხვავებით, ეროვნების (ეთნიკური გაგებით) გრაფის ამოღებას.

2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებულ არჩევნებში სახელისუფლებო პარტიების გამარჯვება მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ არჩევნების გაყალბებად იქნა აღქმული. ამ უკმაყოფილებას თან დაერთო ზოგადად შევარდნაძის მთავრობის მიმართ იმ დროს არსებული უარყოფითი განწყობილება, რაც საბოლოოდ ფართომასშტაბიან საპროტესტო გამოსვლებში გადაიზარდა და 22 ნოემბერს შევარდნაძის გადადგომით დასრულდა (ნოდია, 2005). სწორედ ამ გარდატეხას, რომელიც „ვარდების რევოლუციის" სახელით არის ცნობილი, მოს-

დევს ხელისუფლებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლა და პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევა. სააკაშვილის პერიოდი, გამოკითხული ექსპერტების აზრით, სამოქალაქო ნაციონალიზმის წახალისებით გამოირჩევა, რაც ერთი მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებასა და, მეორე მხრივ, ეთნიკური და რელიგიური ფაქტორის უკან დაწევაში გამოვლინდა:

> *„სააკაშვილის პერიოდში ნამდვილად მისწრაფება იყო იქეთკენ, რომ ჩამოყალიბებულიყო ქართველი მრავალეთნიკური ერი, რომ ყველანი ქართველები ვართ მიუხედავად იმისა, ეთნიკურად ვინ ვართ, მაგრამ ამას უკვე ძალიან სერიოზული წინაამღდეგობა შეხვდა იმ ძალების მიერ, რაზეც წეღან ვილაპარაკე – ეკლესიები, ინტელიგენცია“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

მიუხედავად სამოქალაქო ნაციონალიზმის წინსვლის მცდელობისა, სწორედ სააკაშვილის პრეზედენტობის პერიოდს უკავშირდება ეკლესიის დაფინანსების გაზრდა, რასაც ჩვენ მიერ გამოკითხული ექსპერტები მაშინდელი ხელისუფლების მცდარ ნაბიჯად მიიჩნევენ. მათი აზრით, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში ეკლესია უკვე აღქმული იყო სახიფათო ძალად, რომლის ლოიალობის მოსაპოვებლად ხელისუფლება საჭიროდ მიიჩნევდა გარკვეულ დათმობებზე წასვლას. ექსპერტების შეფასებით, ამ დამოკიდებულებამ, შედეგის სახით, ლოიალობის გაზრდის ნაცვლად თავად ეკლესიის შესაძლებლობებისა და რესურსების ზრდა გამოიწვია. ეკლესიის დიდ ავტორიტეტს კარგად ასახავს 2009 წლის 26 მაისს განვითარებული მოვლენები. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს წინ უძღვის ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული აქციები პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. 26 მაისს, ეროვნულ სტადიონზე მისულ ხალხს აქციის ორგანიზატორები ჰპირდებიან, რომ ხელისუფლება იმავე დღეს შეიცვლება. ამ გეგმას კი თავდაყირა აყენებს პატრიარქის იმდღევანდელი ქადაგება, რომელშიც ის აფიქსირებს, რომ არ მიიჩნევს მართებულად ხელისუფლების აქციების შეეგად გადაყენებას:

> *„აი, უკვე თითქმის თვე-ნახევარია, ნაწილი ჩვენი მოსახლეობისა პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს. ეს მეტად რთული საკითხია. და საერთოდ, მინდა აღვნიშნო რომ თითქოს წესად იქცა ჩვენში პრეზიდენტის გადაყენება (...) საკუთარ თავზე ნუ ავიღებთ უფრო მეტ უფლებას, ვიდრე დაშვებულია ღვთისა-*

გან. უნდა ვიყოთ მორჩილნი ღვთის ნებისა! ღვთის მადლი ყველაფერს განაჩენს, ყველაფერს დაალაგებს თავის ადგილზე“ (ილია II, 2009, 26 მაისი)[17]

1989 წლის 9 აპრილისაგან განსხვავებით, დემონსტრაციის ლიდერები ვერ ბედავენ პატრიარქის სიტყვისთვის წინააღმდეგობის გაწევას და აქცია მშვიდობიანად იშლება.

დაფინანსების გაზრდის მიუხედავად, სასულიერო პირებიცა და ოპოზიციური პარტიებიც საკაშვილის ხელისუფლებას[18] მუდმივად აკრიტიკებენ და მას ანტიეროვნულობასა და მართლმადიდებელი ეკლესიის დასუსტების მცდელობაში სდებენ ბრალს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ პერიოდის პრესის ანალიზში (მინდიაშვილი და სხვ., 2006). ანალიტიკოს არიელა შაპიროს შეფასებით, ეკლესიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 2012 წლის არჩევნების შედეგებში (Shapiro, 2013). ამ აზრს იზიარებს ფილოსოფოსი გიგი თევზაძეც:

„ეკლესია ჩაერია არჩევნებში, ანუ, სახარების ცნება რომ გამოვიყენოთ, კეისარის შეცვლაში. ისიც ცხადია, რომ ეკლესია იმიტომ ჩაერია არჩევნებში, რომ მრევლმა ეკლესიის პოლიტიზებას წინააღმდეგობა არ გაუწია. ამით კანონი არ დარღვეულა, რადგან არანაირი წესი არ არსებობს, რომ ეკლესია არ იყოს პოლიტიკაში. ეკლესია რომ პოლიტიზებული უნდა იყოს, ეს ეკლესიის და მრევლის ერთობლივი გადაწყვეტილებაა“ (თევზაძე, 2012)[19]

2012 წლის არჩევნებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობას ცვლის ახალი პოლიტიკური ძალა – „ქართული ოცნება“. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ პოლიტიკას, გამოკითხული ექსპერტების ერთი ნაწილი, ამ კონტექსტში, განსაკუთარებით პრობლემურად მიიჩნევს რელიგიური და ეთნიკური მარკერების, ცნებების – მართლმადიდებლისა და ქართველის ერთმანეთთან გადაჯაჭვას:

„ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად ვაწყდებით ამ

---

17 ილია II (კ/პ) – საკვირაო ქადაგება: „ქადაგება სამშვიდობო პარაკლისზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს“. [ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 26 მაისი 2009 წ.].// საპატრიარქოს უწყებანი, -2009. №18

18 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

19 „ოცნების“ გამარჯვების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ეკლესია: საქართველოში არსებობს სამოქალაქო საზოგადოება და ის ასეთია: ინტერვიუ / გიგი თევზაძე; ესაუბრა მაია ჭალაგანიძე // 24 საათი. – თბილისი, 2012. – 12 ოქტომბერი. – N3134 (227). – გვ.4.6. – ჭეეკენდ. 12-18 ოქტომბერი, 2012წ. N21 (102)[MFN: 140318]

პრობლემას, იქნება ეს პოლიტიკოსების მხრიდან თუ იქნება ეს საპატრიარქოს მხრიდან, ხდება გაიგივება ნაციონალობისა კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან, ქართველებთან, ეთნიკურად ქართველებთან და ეთნიკური ქართველების გაიგივება კონკრეტულ რელიგიურ ჯგუფთან, მართლმადიდებლებთან, მართლმადიდებელ ეკლესიასთან" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ექსპერტთა ნაწილისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, ასეთი პოლიტიკა ნიადაგს ქმნის რელიგიური შეუწყნარებლობისთვის, რომლის აღსაკვეთადაც სახელმწიფო რეალურ ნაბიჯებს არ დგამს. მათი შეფასებით, სახელმწიფოს უმოქმედობა, ძირითადად, არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის გაუბედაობას უკავშირდება:

„როდესაც უმრავლესობის სახელით ხდება ძალადობა და ამ ძალადობაზე პასუხი არ არის გაცემული, ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება მიკერძოებულია კონკრეტულად რელიგიური ნიშნით" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, ამჟამინდელი მთავრობა ხშირ შემთხვევაში რელიგიური ნიშნით მიმდინარე კონფლიქტებში მხარედ გვევლინება, რადგან კანონის უზენაესობაზე მაღლა რელიგიური უმრავლესობის პოზიციებს აყენებს. გამოკითხულ ექსპერტებს შორის დაფიქსირდა განსხვავებული პოზიციაც. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოში ნელ-ნელა ხდება მულტიკულტურული ღირებულებების მიღება და ეს პროცესი დღემდე შეუქცევადი სახით მიმდინარეობს. ამ ცვლილების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებად დასახელდა ევროპისკენ სწრაფვა და საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება.

ფოკუს ჯგუფების ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები ხელისუფლებას არა რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციაში, არამედ პირიქით, დასავლური გავლენებისადმი მორჩილებასა და უმცირესობებისთვის პრივილეგიების მინიჭებაში ადანაშაულებენ. შესაბამისად, იმ ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასება, რომლებიც ხელისუფლებას რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკაში ადანაშაულებენ, არ დასტურდება ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების რესპონდენტთა მიერ.

ეკლესია, როგორც ერის სახის შემქმნელი

ჩვენ მიერ გამოკითხულ ექსპერტთა ინტერვიუების თანახმად, დღესდღეობით, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას ყველაზე წარმატებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ახერხებს. ამ პროცესის პირდაპირი შედეგია ეროვნულ იდენტობაში რელიგიის მახასიათებლის უფრო და უფრო დაწინაურება. ექსპერტთა შეფასებით, მართლმადიდებლობა სცდება რელიგიის ფარგლებს და იგი პოლიტიკური და სოციალური კონცეფციის მთავარი ინსტიტუტი ხდება:

> *„ეკლესია ქმნის პრეცენდენტს, რომ ის არის პირველი ინტერპრეტატორი ერის და გახდა იდეოლოგიის ავტორი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, ეკლესია, რომელიც ერის სახის შემქმნელის როლშია, ითავსებს მორალური მენტორისა და დემოგრაფიის მარეგულირებლის ფუნქციებს:

> *„ის არის მორალური პანოპტიკუმი, საიდანაც ის დაჰყურებს საზოგადოებას და მის მორალს აკონტროლებს, ის ამავდროულად თვალ-ყურს ადევნებს დემოგრაფიას ანუ ბიომასა როგორ იზრდება ქართული და ეს არის პატრიარქის ყოველი მესამე ბავშვის მონათვლასთან დაკავშირებით, ეს არის მორალური ავტორიტეტი, ეს არის ნაციონალურ სხეულზე, ბიომასაზე მზრუნავი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

გამოკითხული არასამთავრობო სფეროს წარმომადგენელების შეფასებით, დემოგრაფიის პრობლემის ეროვნული ინტერესის დონეზე განხილვა უშუალოდ უკავშირდება სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ განსაკუთრებულ მიუღებლობას. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეკლესიის და მასთან ასოცირებული ორგანიზაციების, თუ ცალკეული პირების რიტორიკაში ადამიანები დაყოფილია წარმოსახვით ერთობებად, – თუ ერთ სეგმენტში ჯანმრთელი, გენის გამგრძელებელი ვაჟკაცები არიან წარმოსახული, მეორე ჯგუფი სექსუალური უმცირესობებისგან შედგება, რომლებიც მოკლებული არიან რეპროდუქციის უნარს, შესაბამისად, ერს არ ამრავლებენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, დემოგრაფიული პანიკა ნაციონალიზმის ერთ-ერთი ნაწილია, ხოლო ტრადიციული ოჯახი არის საყრდენი, რაზეც ნაციონალიზმი დგას; ოჯახის სიწმინდის დამცველად კი დღესდღეობით სწორედ ეკლესია გვევლინება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ეკლესიის წარმომადგენლი თავის პოზიციას ასე განმარტავს:

> *„ბაზაზე, რომელსაც ჰქვია მამაკაცობა და დედაკაცობა, რადგან საფუძველი ეყრება მსგავსობას იმიტომ, რომ ღმერთმა ადამიანი არ შექმნა რაღაც 53 გენდერად, კაცად და ქალად შექმნა, ნებისმიერი რაღაც აქედან არის დაზიანება, გადახრა და ავადმყოფობა, ხოლო ამის ტირაჟირება არის ცოდვა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, ეკლესია თავის რესურსებს იდეოლოგიური ინდოქტრინაციისთვის იყენებს. მას აქვს არჩეული მიმართულება და ბიბლიის ინტერპრეტაციაც ამ მიმართულებაზე მორგებას ემსახურება. არასამთავრობო სფეროდან გამოკითხული ერთ-ერთი რესპონდენტი ეკლესიას მრევლისთვის ბიბლიის სელექციურ მიწოდებაში ადანაშაულებს, რომელიც საბოლოოდ ქრისტიანული რელიგიის არსის აღქმას უშლის ხელს:

> *„როდესაც რელიგიის ინტერპრეტაცია შეიძლება ძალიან კარგად და შემწყნარებლობაზე ორიენტირებული კუთხით, რატომღაც ირჩევენ, რომ ეს სხვანაირად გააკეთონ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსის აზრით, ეკლესიასა და მასთან ასოცირებულ ჯგუფებს ჭეშმარიტების ერთადერთი განმსაზღვრელის როლის დაკარგვის შიში აქვთ, რის საპასუხოდაც მაქსიმალურად ცდილობენ შეინარჩუნონ მათ მიერ დანერგილი სტერეოტიპები. გამოკითხული პოლიტიკოსის თანახმად, ეკლესია და მის სახელს ამოფარებული ჯგუფები, თუ ინდივიდები მუდმივად საუბრობენ სექსუალური, თუ გენდერული ქცევის ტიპების ნორმატიულობაზე. ამ ნორმატივებს აცდენილი ადამიანების მიმართ მიმღებლობის ზრდა ეკლესიისთვის იმის მანიშნებელია, რომ მის მიერ შექმნილ სტერეოტიპს საფუძველი ერყევა. პოლიტიკოსის დაკვირვებით, ეს განაპირობებს ეკლესიის და მისი დამცველების მოთხოვნას, რომ სექსუალურმა უმცირესობებმა საჯარო სივრცეში არ წარმოაჩინონ საკუთარი ორიენტაცია, რაც ძალაუფლების შენარჩუნების ლოგიკაზეა აგებული.

ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების თანახმად, ქართველებს მიდრეკილება აქვთ უმრავლესობის აზრის უპირობო აღიარებისკენ, რაც თავის მხრივ მართლმადიდებელი ეკლე-

სიის გაძლიერებას განსაკუთრებით უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში ექსპერტები განმარტავენ, რომ უმრავლესობის პოზიციისადმი ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ მისი დომინანტურობიდან გამომდინარეობს და არა თავად ამ პოზიციის შინაარსიდან. უმრავლესობაში ყოფნა მიიჩნევა ღირებულებად და რაოდენობრივად დომინანტურ ჯგუფს ავტომატურად ეძლევა უმცირესობაში მყოფი ჯგუფის დაჩაგვრის უფლება.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით ნიშანდობლივია კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეკლესიის წარმომადგენლის მსჯელობა, რომელიც ერის სახელით ლაპარაკობს და მსჯელობას სწორედ უმრავლესობის დომინანტურობის ლოგიკაზე აგებს:

> *„სახელმწიფო არის კონკრეტული ეროვნული ერთეულის მართვის მექანიზმი და თუ ეს ეროვნული სული ამას ითხოვს, მექანიზმი რატომ უნდა იყოს მოძალადე? სახელმწიფო რატომ უნდა იყოს ჩემზე მოძალადე? მე ვითხოვ, ერი ითხოვს, რომ ოჯახი არის მამაკაცის და ქალის ერთობა და რატომ უნდა მაიძულებდეს, შეიცვალოს ჩემი სულისკვეთება?“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი)*

ექსპერტთა აზრით, ნაციონალიზმის მარკერების ცვლილება შეგვიძლია დავინახოთ თავად იმ ადამიანებზე დაკვირვებით, რომლებიც ეროვნული იდენტობის დამცველებად მოიაზრებენ საკუთარ თავს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მართლმადიდებლობის წინა პლანზე წამოწევა არა რწმენის გაზრდამ, არამედ დისკურსულ დონეზე მართლმადიდებლობის ეროვნულობასთან, პატრიოტიზმთან გაიგივებამ გამოიწვია.

მართლმადიდებლობა, როგორც ჭეშმარიტი ქართველის აუცილებელი მახასიათებელი

ეროვნულ იდენტობაში რელიგიის მახასიათებლის გაძლიერებას წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა რამდენიმე ექსპერტმა და არასამთავრობო სფეროს წარმომადგენელმა რელიგიური ნაციონალიზმი, ან ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმი უწოდა. ექსპერტთა აზრით, ერთგვარ დევიზად ქცეული ფრაზა „ენა, მამული, სარწმუნოება“ დღესდღეობით მართლმადიდებლობის, როგორც დომინანტური რელიგიის ლეგიტიმაციის ერთ-ერთ წყაროდ არის ქცეული. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული განათლების სფეროს ერთ-ერთი წარმომადგენლის დაკვირვებით, დღესდღეობით ილიასეული ტრიადის მესამე კომპონენტი – რელიგია გაგებულია

არა როგორც ზოგადად რწმენა, არამედ როგორც კონკრეტული აღმსარებლობა – მართლმადიდებლობა.

გამოკითხული პოლიტიკოსების აზრით, ფორმულა „ენა, მამული, სარწმუნოება“, დღესაც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული იდენტობის განსაზღვრისას, თუმცა მისი ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად ხდება, რასაც ნაციონალიზმის ორ სხვადასხვა განშტოებამდე მივყავართ:

> *„სამართალი, ადამიანის უფლებები, ერთის მხრივ, ნაციონალიზმი, თანამედროვე ნაციონალიზმის გაგებით და ამავე დროს, ეთნონაციონალიზმი, რელიგიურობა, ტრადიციებისადმი ლაციცი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

რაც შეეხება ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებს, „ენა, მამული, სარწმუნოება“ რესპონდენტებმა დაასახელეს ქართველი ერის გამაერთიანებელ ღირებულებებად. მართალია აღნიშნული ტრიადა რესპონდენტთა უმრავლესობისგან ერის ღირსების განმსაზღვრელ ფაქტორად დასახელდა, რომელიც, წესით, მთავარი გამაერთიანებელი უნდა იყოს, მაგრამ ეკონომიკური გაჭირვების გამო, მათი აზრით, ამ ტრიადის კომპონენტების მიმართ პატივისცემა დაკარგულია, რაშიც ხშირ შემთხვევაში ხელისუფლებას ადანაშაულებენ. რესპონდენტების ერთი ნაწილისთვის ქართველობით სიამაყე გადაჯაჭვულია მართლმადიდებლობით სიამაყესთან. თუმცა დაფიქსირდა საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, რელიგიური რწმენის ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირება და ქართველისა და ქრისტიანის ერთმანეთთან გაიგივება გაუაზრებელი ფანატიზმით არის გამოწვეული.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსების შეფასებით, ყველაზე დიდი მიმღებლობა ამ საზოგადოებაში არის ეთნიკურად ქართველისა და მართლმადიდებლის მიმართ. ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების მონაცემების თანახმად, ფორმულა: „იყო ქართველი – ნიშნავს იყო მართლმადიდებელი“ ნამდვილად არსებობს და ეკლესიის მიერ აქტიურად ხორციელდება მისი საღი აზრის ნაწილად ქცევა. თუმცა, როგორც ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, ეს არ არის ფორმულა, რომლის მიხედვითაც ყოველდღიურობაში ვმოქმედებთ:

> *„ეს არ არის ფორმულა, რომლის მიხედვითაც ადამიანები ცხოვრობენ, ესაა ფორმულა რომლის მიხედვითაც ადამიანები ლაპარაკობენ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული ფორმულა ექსკლუზიურია, ანუ „სხვებს“ ემიჯნება და ექსკლუზიურ იდენტობას აყალიბებს, რომელიც, თავის მხრივ, აუცილებლად იწვევს კონფლიქტებს. რაც შეეხება მეზოდონეს, ექსპერტების აზრით, ინსტიტუტები ამ ფორმულის მიხედვით არ ფუნქციონირებენ.

2010-2012 წლებში კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში „*მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში*“ ასახული სასულიერო პირების დამოკიდებულება კიდევ უფრო ამყარებს ექსპერტთა ვარაუდს. კითხვაზე „არის თუ არა არამართლმადიდებელი ქართველი სრულფასოვანი ქართველი?“ სასულიერო პირების უმრავლესობა პასუხობს, რომ ეს ორი ცნება ყოველთვის იყო და მომავალშიც დარჩება განუყოფლად. მათი აზრით, ერის მოწყვეტა მისი მასაზრდოებელი სარწმუნოებისგან ყოველთვის პრობლემებს გამოიწვევს, ეთნიკური და რელიგიური მახასიათებლების თანხვედრა კი ერთიანობის საფუძველს ქმნის:

> *„როგორც ადამიანია ჰარმონია სულის და ხორცის, ასევეა ერის მასაზრდოებელი სარწმუნოება და ამის გახლეჩა არ შეიძლება. ერთი მთლიანი უნდა იყოს. როდესაც ადამიანებს ერთი სჯული აქვთ, ერთი აქვთ სასაუბრო თემა და ეროვნული პრინციპიც ერთი აქვთ, მაშინ მეტი შანსია, რომ ერთიანი იყოს“ (მინდიაშვილი და სხვ., 2006).*

ის, რომ ეკლესიის წარმომადგენლებისთვის ქართველის მართლმადიდებელთან გამაიგივებელი ფორმულა მართლაც მნიშვნელოვანია, დასტურდება ჩვენი კვლევის ფარგლებში სასულიერო პირთან ჩატარებულ ინტერვიუშიც, რომელიც ქართველობას და მართლმადიდებლობას იდენტურ ცნებებად მოიაზრებს. სასულიერო პირის აზრით, ქართველობისთვის ღალატი მართლმადიდებლობის ღალატის ტოლფასია, ხოლო მართლმადიდებლობის ღალატი ქართველობის ღალატს ნიშნავს. მიუხედავად ცნებებს შორის იგივეობის ნიშნის დასმისა, ეკლესიის წარმომადგენელი აკონკრეტებს, რომ ამ ცნებებს შორის მაინც არის სუბორდინაცია:

> *„ამ ერთობაში უმაღლესი არის ქრისტიანობა და ეროვნულობა არის დაქვემდებარებული“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერ-

ვიუებში გამოკითხული ექსპერტების აზრით, ზოგადად, „ჭეშმარიტ ქართველში“ გულისხმობენ ეთნიკურად, სისხლით ქართველს, მართლმადიდებელს, ჰეტეროსექსუალს და ტრადიციების დამცველ ადამიანს. ექსპერტების მსგავს დახასიათებას გვთავაზობენ არასამთავრობო სფეროს წარმომადგენლებიც:

> *„ქართველი, მართლმადიდებელი, მამაკაცი, თეთრი, ჰეტეროსექსუალი არის ყველაზე ღირებული სუბიექტი, პოლიტიკური სუბიექტი და ყველა სხვა დანარჩენი არიან რაღაც ტიპის პერიფერიებზე, ან დაბალ საფეხურებზე. ეს არის საქართველოში პოლიტიკური სუბიექტის ძირითადი იდეალიზებული ხატი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, ყველაფერი, რაც ქართველის გავრცელებული „ხატისგან“ განსხვავდება: ეთნიკურად, რელიგიურად, თუ სექსუალურად – განდევნილია „მიმღებლობის ზონიდან“.

ეკლესიის როლი: გამაერთიანებელი/კონფლიქტის გამღვივებელი

მართლმადიდებელი ეკლესია ფოკუს ჯგუფებში გამოკითხული ადამიანების ერთი ნაწილის მიერ აღიქმება ქართველი ერის გამაერთიანებელ ინსტიტუტად, ხოლო მეორე ნაწილი კი მას დამანაწევრებელ და შუღლის გამღვივებელ ინსტანციად მოიაზრებს. რესპონდენტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ რელიგიას ორივე ეს ფუნქცია ახასიათებს, რადგან იგი აერთიანებს რაღაც ჯგუფს და ემიჯნება სხვას, მოქალაქეების რაღაც ნაწილს არ მიიჩნევს ქართველებად მხოლოდ რელიგიური მიკუთვნებულობის გამო. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ახალგაზრდა რესპონდენტები (18-30 წელი) მიიჩნევენ, რომ ამ მხრივ ეკლესია ნაკლებად ასრულებს იმ ფუნქციას, რომელსაც იგი უნდა ასრულებდეს:

> *„ეკლესიის წარმომადგენლები, რომლებიც თავს შემწყნარებელს უწოდებენ, სხვა ადამიანების მიმართ მიუღებლობას ამჟღავნებენ“ (ფუკუს ჯგუფი, ქალი, 24–30)*

ახალგაზრდები გამაერთიანებელ ფაქტორად რელიგიის დასახელებისას იქვე დასძენენ, რომ, მათი აზრით, ეს ღირებულება ხშირად აბსოლუტურად გაუაზრებლად, გაუცნობიერებლად და ინერციით ინარჩუნებს არსებობას.

მომდევნო ასაკობრივ კატეგორიაში (31-45) და უფრო ასაკოვან რესპონდენტებშიც ეკლესია წარმოჩენილია გამაერთიანებელ ღირებულებად ეთნო-კულტურული ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი სხვა ღირებულებების გვერდით, როგორიცაა: ეთნიკურობა, ტრადიციები, ოჯახი. უფროს თაობაში მართლმადიდებლობა წარმოჩინდება, როგორც ინსტიტუტი, რომელზეც ქართველი საზოგადოების ფასეულობები დგას და იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული პატრიოტიზმთან.

ექსპერტებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებშიც ჩანს ეკლესიის, როგორც გამაერთიანებლის პოტენციური ფუნქცია. ამ შემთხვევაში ხაზგასმულია ეკლესიის როლი ხალხის მობილიზების თვალსაზრისით, საგარეო საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში. აღნიშნულ არგუმენტს ექსპერტები ეკლესიისა და მისი წინამძღოლის მიმართ მოსახლეობის დიდ ნდობას უკავშირებენ.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეკლესიის წარმომადგენელი მართლმადიდებლურ ეკლესიას გამაერთიანებლად მოიაზრებს ისეთ ვითარებაშიც კი, როცა პოლიტიკური ნიშნით პოლარიზებულ მხარეებზეა საუბარი. მისი აზრით, ხანდახან ეკლესიას უწევს გარკვეული სიმპათიების დაფიქსირება, რასაც ის მიუღებლად მიიჩნევს:

> *„ეკლესიის ადმინისტრაციული მმართველობა ცდილობდა, რომ დაპირისპირებული მხარეები შეერიგებინა და განეცხადებინა, რომ იგი ყველას დედაა, ამ მხარისაც და იმ მხარისაც, ეს არის სწორი. ეს სწორია ერთი პირობით, ჩემთან მაგალითად ნაციონალებიც მოდიოდნენ და ოცნების ხალხიც მოდიოდა, რძალიც მოდის და დედამთილიც და ვცდილობ შევარიგო, ყველა მხარე მოდის. ეს არის სწორი პოზიცია იმიტომ, რომ ეკლესია ვერ იქნება მარტო ერთი მხარის ეკლესია, თუ არ გამოკვეთავ აშკარად რომელიმე მხარეს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული თითქმის ყველა რესპონდენტის აზრით, ერის გამაერთიანებელი უნდა გახდეს სამოქალაქო ნაციონალიზმი. თუმცა, ეს ნორმატიული მსჯელობაა და ასახავს იმას, რაც უნდა იყოს, მაგრამ ჯერჯერობით არ არის. ექსპერტების უმრავლესობის აზრით, სამოქალაქო ნაციონალიზმის მშენებლობის გზაზე ეკლესია დეზინტეგრაციის მთავარი ფაქტორია. ისინი მიიჩნევენ, რომ ეკლესია არ არის მომართული სამო-

ქალაქო ინტეგრაციისა და კონსოლიდაციისკენ, შესაბამისად, მისი დაფინანსება ამ მიზნების საპირისპირო ინსტიტუტის გაძლიერებას გულისხმობს.

რაც შეეხება გამყოფ ფაქტორებს, ექსპერტებთან სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა მართლმადიდებლობის თანმხლები ექსკლუზიურობა და მესიანისტური განწყობა, რომელსაც საზოგადოების უმრავლესობა იზიარებს:

> *„ამ პრობლემიდან ამოდის ძირითადად ყველა პრობლემა საქართველოში დღესდღეობით ანუ მართლმადიდებლობა, როგორც ექსკლუზიური, გამორჩეული აღმსარებლობა, რომელიც მარტო ქართველებს ახასიათებთ და აქედან გამომდინარე უპირატესობის აღქმა, რომელსაც უნერგავენ ეკლესიის მესვეურები, საეკლესიო ნარატივი, რომელიც გულისხმობს საქართველოს გაბრწყინებას, გამორჩეულობას ანუ მესიანიზმს ამკვიდრებს საქართველოში“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

2013 წლის 17 მაისს ეკლესიის წარმომადგენლების და მათ მიერ მობილიზებული ძალების მიერ ლგბტ პირების და მათი უფლებადამცველების დარბევა საკვანძო საკითხი აღმოჩნდა ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების რესპონდენტებისთვის. როგორც ფოკუს ჯგუფების შედეგები გვიჩვენებს, 17 მაისის შეფასება უშუალოდ ეკლესიის, როგორც გამაერთიანებლის, ან როგორც გამყოფის/კონფლიქტის გამღვივებლის აღქმასთან არის დაკავშირებული. ახალგაზრდა რესპონდენტთა აზრით, ღირებულებათა კონფლიქტი არსებობს ეკლესიასა და საზოგადოებას შორის. ამ კონფლიქტის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ასახვად კი რესპონდენტების მიერ 17 მაისი სახელდება. რაც შეხება საშუალო ასაკის რესპონდენტებს (31-45) და უფროსი თაობის წარმომადგენლებს (46-55, 55+) ისინი სამარცხვინოდ მიიჩნევენ 17 მაისს ლგბტ თემის მიერ აქციის ჩატარების მცდელობას. მათთვის სექსუალური უმცირესობების არსებობა ნაციონალურ საფრთხეს წარმოადგენს, ხოლო ეკლესიაში კი ქართული ღირებულებებისა და ეროვნული ქსოვილის ერთიანობის დამცველს ხედავენ.

როგორც ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეკლესიის წარმომადგენელის ინტერვიუში ჩანს, ეკლესიას გაცნობიერებული აქვს მორალური წესრიგის შემნარჩუნებლის როლი და მისი წარმატებით შესასრულებლად გარკვეულ სტრატეგიასაც მიმართავს. 17 მაისი

ოჯახის სიწმინდის დღედ გამოცხადებაც ასეთი სტრატეგიაა, რასაც ადასტურებს თავად გამოკითხული სასულიერო პირი[20]:

> *„სპეციალურად გაითვალა, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ამ დღეს მთელი ერი უკვე ზეიმობს ოჯახის სიწმინდის დღეს და ყველა შემთხვევაში, იმ ადამიანების ვთქვათ გარეთ გამოსვლა, რომელიც იზეიმებენ, რომც იზეიმონ და გამოვიდნენ, ამ გრანდიოზულობასთან შედარებით, ის ისეთი მცირე გამოჩნდება, რომ... მე სულ ამას ვამბობ, რომ ეს იყო ტროას ცხენი, თუ ეს გაუვიდოდათ, ეს განვითარდებოდა" (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, რელიგიური გრძნობებით მანიპულირება სასულიერო პირებსაც ახასიათებთ და პოლიტიკოსებსაც, რასაც, თავის მხრივ, ნეგატიური შედეგი მოაქვს საზოგადოებისთვის, რადგან თავის თავში შეიცავს გახლეჩის საფრთხეს. ერთ-ერთი გამოკითხული ექსპერტის აზრით, თავისთავად განსხვავებულობა საფრთხეს არ წარმოადგენს, საფრთხის შემცველია იმ გამყოფი მიჯნების შინაარსი, რომლებსაც მხარეები დებენ ამ განსხვავებულობაში. მისი შეფასებით, სწორედ რელიგიური საკითხებით მანიპულირებას მოსდევს განსხვავებების გაძლიერება, რაც მაგალითად *„ტაბურეტებით დევნას იწვევს შედეგად"*[21].

პოსტსაბჭოთა ქართული რელიგიურობა

მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი მიკუთვნებულობის მაღალი პროცენტისა (82 %) (CRRC. „კავკასიის ბარომეტრი, 2015) და ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის მიმართ, დიდი ნდობის მიუხედავად (72%) (CRRC. „კავკასიის ბარომეტრი, 2013). წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებისა და პოლიტიკოსების უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ ეს ფაქტორები რელიგიურობის სიმტკიცის გამოვლინებაა.

ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ქართველებს ახასიათებთ სწრაფი ტრანსფორმაციები, რაც რეალურად იდეების ან ინსტიტუციებისადმი მიკუთვნებულობის ზედაპირულობაზე მეტყველებს. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეს ზედაპირულობა ყველაზე კარგად ჩანს

20 2015 წელს, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა.

21 იგულისმხმება 2013 წლის 17 მაისი

საბჭოთა მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ათეისტური ერიდან ყველაზე მორწმუნე ერად გარდასახვაში, რასაც ათწლეულიც კი არ დასჭირვებია.

ექსპერტების აზრით, მორწმუნეთა შემართება მაშინვე იკლებს, როგორც კი მართლმადიდებლობასთან მიკუთვნებულობის დასადასტურებლად რეალური ძალისხმევის გაღება, თუნდაც წირვაზე რეგულარული დასწრებაა საჭირო. ასეთი ტენდენციის მიზეზი, ექსპერტთა თანახმად, არის ის, რომ ადამიანების ძალიან მცირე რაოდენობაა ჩართული საჯარო პროცესებში, ხოლო დანარჩენი ამორფული მასა იოლად იცვლის შეხედულებებს და მათ მიერ თავიანთი რელიგიურობის წარმოჩენა, რეალურად, სოციალური კონფორმიზმის გამოვლინებაა:

> *„შესაძლოა, ვიღაც ფიქრობს, რომ აქ რომელიმე ინსტიტუტი რაღაც განსაკუთრებული გავლენით სარგებლობს, მაგრამ ის პირველივე წინააღმდეგობის შემთხვევაში შეიძლება დაიშალოს და გაქრეს ისე, რომ მისი კვალი ვეღარასდროს ვეღარ იპოვონ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ, საინტერესოა ანთროპოლოგ ინნა ნალეტოვას ნაშრომის განხილვა – „მართლმადიდებლობა ეკლესიის კედლებს მიღმა: თანამედროვე რუსული საზოგადოების მართლმადიდებლური რელიგიური გამოცდილების სოციოლოგიური კვლევა“ (Naletova, 2007). ნალეტოვას დისერტაციის მიზანია, თანამედროვე მართლმადიდებლობის უფრო დეტალიზებული ხედვა შემოგვთავაზოს, ვიდრე ხშირ შემთხვევაში არის ხოლმე წარმოდგენილი აკადემიურ კვლევებში. ავტორს სურს ახსნას რუსეთში არსებული მართლმადიდებლური გამოცდილებების მრავალფეროვნება. მისი ამოსავალი დებულება არის ის, რომ მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობა არის ეკლესიის მუდმივი მრევლი, მაგრამ დანარჩენი „ფორმალური“ მართლმადიდებლებიც არ არიან ოპოზიციურად, ან ინდიფერენტულად განწყობილები ეკლესიის მიმართ. ეს მონაცემები, ერთი მხრივ, აჩვენებს ეკლესიის მარცხს, მეტად მიიზიდოს და თავის კედლებში მოაქციოს თვითიდენტიფიცირებული მართლმადიდებლები, ხოლო, მეორე მხრივ, – ეკლესიის წარმატებას, იმ მხრივ, რომ რუსული საჯარო ცხოვრება გაჟღენთილია მართლმადიდებლობით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები არ გამხდარან ეკლესიურები.

ნალეტოვა იშველიებს სოციოლოგ ჟოზე კაზანოვას თეორიას „დეპრივატიზებული რელიგიურობის“ შესახებ (Casanova, 1994). კაზანოვას თანახმად, ტრადიციული რელიგიები უარს ამბობენ იმ

მარგინალურ და პრივატულ როლებზე, რომლებსაც მათ მოდერნულობის თეორიები ანიჭებენ. ისინი არ შემოიფარგლებიან „პირადი“ სფეროთი, პირიქით, საჯარო სივრცისკენ მიიწევენ. ნალეტოვას აზრით, ტრადიციული რელიგიების დე-პრივატიზაციის გლობალურმა პროცესებმა რუსეთს ახალი ტიპის პრობლემები შეუქმნა. ეკლესია სულ უფრო და უფრო მეტად ცდილობს საჯარო სივრცეში ჩართვას და განსაკუთრებით აქტიურობს შემდეგი მიმართულებით:

1. ეკონომიკის სფერო (ეკლესიის ქონების რესტიტუცია/ანაზღაურება)
2. განათლების სფერო (რელიგიური განათლება სკოლებში)
3. მედიისა და ხელოვნების სფერო (გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხი).

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პრობლემატიკა გამოიკვეთა ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგებშიც. თითქმის ყველა სიღრმისეულ ინტერვიუში პრობლემურ საკითხად დასახელდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, განსაკუთრებით კი, ეკლესიის მიმართ სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულებების ასპექტი. ასევე საყურადღებო პრობლემად წარმოჩინდა საგანმანათლებლო სფეროში ეკლესიის, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური გავლენის არსებობა და ეკლესიის მიერ „ცენზორის“ როლის შეთავსებაც.

რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი: „კონკორდატი“[22], რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა[23] და ანტიდისკრიმინაციული კანონი.[24]

22 2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

23 2014 წელს ამოქმედდა მთავრობის დადგენილება, რომლის თანახმადაც ზიანის ანაზღაურება მოხდება კიდევ ოთხი რელიგიურ ორგანიზაციისათვის: ისლამური, იუდეური, კათოლიკური და სომხური სამოციქულო ეკლესიებისთვის

24 საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის მაისში მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ყველა ფორმის დისკრიმინაციის წინააღმდეგ არის მიმართული

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის 2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად, სახელმწიფო აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ წვლილს საქართველოს ისტორიაში და მას გარკვეულ ეკონომიკურ პრივილეგიებსაც ანიჭებს. „კონკორდატი“ გამოკითხული ექსპერტებიდან უკლებლივ ყველამ უარყოფითად შეაფასა:

> *„ეს არის ნეგატიური დოკუმენტი, ზოგადად, ასეთი რამ არ უნდა ყოფილიყო, არ უნდა დაგვეშვა. მე ვემხრობი 1921 წლის კონსტიტუციის ჩანაწერს, სადაც სახელმწიფო გამიჯნულია ეკლესიისგან და აღიარებს რწმენის სრულ თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას ყველას კანონის წინაშე“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა „კონკორდატის“ გაფორმების თარიღის პრობლემურობა. ექსპერტთა აზრით, ეს რომ შორეულ წარსულში ხელმოწერილი დოკუმენტი ყოფილიყო, მას უბრალოდ სიმბოლური დანიშნულება ექნებოდა, 2002 წელს გაფორმებული შეთანხმება კი ეკლესიისთვის ძალაუფლების ლეგიტიმაციის წყაროს წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა „კონკორდატის“ ფინანსური ნაწილის ინტერპრეტაციის საკითხი, რადგან იქ გაურკვეველია, თუ დაახლოებით მაინც რა თანხას მოიცავს სახელმწიფოს „ვალი“. ამ შემთხვევაში იგულისხმება „კონკორდატის“ 11-ე მუხლის 1 ქვეპუნტი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში (1990 წ.) მიღებულ სამთავრობო დადგენილებას ეფუძნება:

> *„სახელმწიფო ადასტურებს XIX–XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921–90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტიური მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება №183; 12.04.90).*[25]

კონკორდატის თანახმად, ფინანსური ბუნდოვანების გასაქარწყლებლად უნდა შექმნილიყო პარიტეტული კომისიები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავდნენ ეკლესიისთვის ასანაზღაურებელი ზარა-

25 http://www.orthodoxy.ge/samartali/konstitutsiuri_shetankhmeba.htm

ლის ოდენობას. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო სფეროს წარმომადგენლებისა და ექსპერტებისთვის განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ზარალის ოდენობის, გადახდის წესის და ანაზღაურების ვადების განსაზღვრა. ზიანის დათვლის სანაცვლოდ, სახელმწიფო 2003 წლიდან ეკლესიას პირდაპირ აფინანსებს, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, კონსტიტუციური შეთანხმების მოდელსაც კი არ შეესაბამება და სრულიად არასეკულარულია. მათი აზრით, დაუშვებელია საბიუჯეტო სახსრების რელიგიური მიზნებისთვის დახარჯვა. გარდა ამისა, როგორც ექსპერტების, ასევე პოლიტიკოსების ინტერვიუებში გამოიკვეთა დაფინანსების სარჩულის არალეგიტიმურობა და ზარალის ანაზღაურების შერჩევითობა. უპირველესად, გასათვალისწინებელია, რომ ზარალი არა მხოლოდ ეკლესიას, არამედ სხვა ინსტიტუტებს და ინდივიდებსაც მიადგათ და თუ რომელიმე სუბიექტს ზარალს უნაზღაურებენ, მაშინ გაუგებარია, რატომ არ უნაზღაურდება ზარალი სხვებს? კიდევ უფრო ფუნდამენტური საკითხია სამართალმემკვიდრეობა – ექსპერტებისა და პოლიტიკოსების ინტერვიუებში დაფიქსირდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალის კომპენსაცია არ შეიძლება დაეკისროს იმ სახელმწიფოს, რომელიც არ არის არც რუსეთის იმპერიის და არც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, უფრო მეტიც, ის თავად იყო საბჭოთა ოკუპაციის მსხვერპლი:

> *„არ შეიძლება დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველო იყოს პასუხისმგებელი იმაზე, რაც ჩაიდინა დამპყრობელმა ქვეყანამ – ჯერ ერთმა და მერე მეორემ, აბსოლუტურად იგივემ, მაგრამ გადასხვაფერებულმა და აქ რა შუაშია დამოუკიდებელი საქართველო? რა არის პრინციპი – კომპენსაციას იხდის დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა, რომელიც არის გაჭირვებული და ეს ხალხი იხდის, თავისი გადასახადების ნაწილს, რომელიც საპატრიარქოში მიდის. არ მგონია რომ ეს სამართლიანი და რაციონალური ქმედება იყოს. ამიტომ, ცხადია, რომ ეს არასწორია“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

სახელმწიფოს მიერ რელიგიური აღმსარებლობების დაფინანსების დღევანდელ პოლიტიკას უკლებლივ ყველა ექსპერტი აღიქვამს საფრთხედ სეკულარული სახელმწიფოსთვის. მათი აზრით, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ეკლესიისთვის დიდი თანხების გადარ-

იცხვა ქმნის სამომავლოდ ერთმანეთის საქმეებში ჩარევის უფლებას და ერთმანეთით მანიპულაციის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პრობლემურ საკითხებად რჩება დაფინანსების დისპროპორციულობა და ფინანსების განკარგვის გაუმჭვირვალობა.

> *„მართმადიდებლური ეკლესია სარგებლობს გარკვეული სიკეთეებით განათლების სფეროში, სხვადასხვა სფეროში, საგადასახადო შეღავათებით და ფაქტობრივად ძალიან დიდი ძალაუფლებას აძლევს ეს დოკუმენტი ერთ კონკრეტულ რელიგიურ ჯგუფს. სხვა რელიგიური ჯგუფები კი ყოველგვარი სახელმწიფო მზრუნველობის გარეშე რჩება, რაც ძალიან ნეგატიურ როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკაში. ბალანსის დარღვევა, ერთი კონკრეტული ჯგუფის გაძლიერება“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

გამოკითხული პოლიტიკოსების ნაწილი ექსპერტების მსგავსად მიიჩნევს, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ნებისმიერი სახის ფინანსური კავშირი საფრთხის შემცველია სეკულარული სახელმწიფოსთვის და ამავდროულად პოლიტიკოსების მიერ რელიგიურობით მანიპულირების საშუალებას იძლევა:

> *„ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულზე მთელი პოლიტიკური სპექტრი რომ დალაგდება კანდელებით ხელში, ან ინტერვიუს დროს უკან ფონზე ხატების კუთხე რომ აქვთ მოწყობილი, ჩვენ ვიცნობთ ამ ხალხს და ვიცით რომ ეს არის ფარისევლობის ზეიმი და ჩვენ თვითონ ვართ ასეთი რაღაცეების წინააღმდეგი, მიუხედავად იმისა, რომ პოპულარული ეს ნაბიჯი ცხადია ვერ იქნება და არც იქნება“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეკლესიის წარმომადგენელი დაფინანსების საკითხს სხვა პოზიციიდან უყურებს. მისი აზრით, სახელმწიფოს მიერ გადახდილი ფული მოგვიანებით ისევ სახელმწიფოს უბრუნდება, რადგან მიღებული დაფინანსება ეკლესიის მიერ სასულიერო სასწავლებლებში ნაწილდება, რომლებსაც აქვთ აკრედიტაცია და, შესაბამისად, სახელმწიფო სასწავლებლებს წარმოადგენენ. პოლიტიკურ სპექტრში დაფიქსირდა უშუალოდ ამ მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტი. როგორც ერთ-ერთი გამოკითხული პოლიტიკოსი ამბობს, დაფინანსების ნაწილი მიდის რელიგიურ საგანმანათლებლო ინსტიტუტებზე, მას კი გაუმართლებლად

მიაჩნია რელიგიური სასწავლებლების ერთიანი სისტემის მიღმა არსებობა[26]:

> *„ჩვენი აზრით, საგანმანათლებლო ინსტიტუტები უნდა მოექცეს იმ სისტემაში, რომლითაც ფინანსდება განათლების სისტემა ზოგადად. ისევე უნდა ფინანსდებოდეს და არანაირი პრეფერენცია არ უნდა არსებობდეს ჩვენს სახელმწიფოში“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი)*

ინტერვიუებში ცალკე პრობლემებად გამოიკვეთა დაფინანსების გაუმჭვირვალობა, ეკლესიის საქმიანობის გაუკონტროლებლობა და ეკლესიის მიერ გადასახადების გადაუხდელობა. გამოკითხული პოლიტიკოსებიდან უკლებლივ ყველა ფიქრობს, რომ თუ ეკლესია ფინანსდება, ეს დაფინანსება აუცილებლად უნდა მოწმდებოდეს:

> *„სადაც იხარჯება ფული, კონტროლის პალატა ყველგან უნდა ამოწმებდეს და ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს სირცხვილის გრძნობა (...) მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, ჯობს, გადაუხადო და გარკვეული გაგებით, გააკონტროლო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ჩაერიო მის საქმეებში. მეორეს მხრივ, ეკლესიამაც უნდა იცოდეს, ან არ უნდა აიღოს ეს ფული, ან ჩაერევიან მის საქმეებში. მე რომ ვიყო ეკლესია, არ ავიღებდი, მაგრამ ისინი ასე არ ფიქრობენ, იყოს ფული, იყოს ჯიპი და იყოს ჩარევა, ოღონდ იყოს სანთელი და შემოვიდეს ის ფული, რომელსაც სახელმწიფო არ აკონტროლებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი)*

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სასულიერო პირის აზრით, სრულიად შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ ეკლესიისთვის ჩარიცხული თანხის მონიტორინგი და ეკლესიის დაფინანსების გაუმჭვირვალობაზე ლაპარაკი ხელოვნურად გამოგონილი პრობლემაა. მსგავსი თემების საგანგებოდ აქტუალიზაციაში ის დასავლეთისგან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ადანაშაულებს. გარდა ამისა, მისი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა საუბარი მღვდლების სიმდიდრეზე და ბრალდებები, თითქოს სახელმწიფო დაფინანსება მღვდლების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხმარდება:

> *„მე თვითონ მღვდელი ვარ და ვიცი, რომ არცერთ მღვდელს იქედან 1 თეთრი არ ხვდება (...) მღვდლების აბსოლუტური უმრავლესობა დაუცველია ფინანსურად, მათ არ აქვთ ხელფასი,*

26 საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

მათ არ აქვთ პენსია, მათ არ აქვთ დაზღვევა და ბევრი მათგანი შეიძლება იყოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. მე ვიცნობ სასულიერო პირებს, რომელსაც დიდი ოჯახები აქვს, იმიტომ, რომ იგი არსებობს შემოწირულობებით და რასაც ყუთში ჩააგდებენ, მრევლი, რომელიც ინახავს თავის ეკლესიას (...) მე მაგალითად მდიდარ მღვდელს არ ვიცნობ, იერარქებზე და ზემოთ არ ვამბობ, ჩვეულებრივ მღვდელს მდიდარს არ ვიცნობ, საშუალო ფენას წარმოადგენენ და იქედან არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთაც".(სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი)

„კონკორდატით" გათვალისწინებული ფინანსური შეღავათების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები დაფიქსირდა კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პოლიტიკოსებს შორის. პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი, ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მსგავსად, სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის „კონკორდატით" გათვალისწინებულ საგადასახადო შეღავათებს:

„მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმსახურო პროდუქცია გათავისუფლებულია ყველანაირი გადასახადისგან. ჩემი აზრით ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, ხვრელი არის ერთგვარი საგადასახადო სისტემაში და პრეფერენციულ პირობებში აყენებს სხვადასხვა შ.პ.ს.-ებს თუ ბიზნესებს, რომელიც არის საპატრიარქოს ქვეშ სხვა კომპანიებთან და ბიზნესებთან მიმართებაში და ეს არის არასწორი"[27] (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა სწორედ „კონკორდატში" გაწერილი უფლება-მოვალეობების ზედმიწევნით შესრულება მიიჩნია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჰარმონიული ურთიერთობის გარანტად, ხოლო ბალანსის შემნარჩუნებელი ავტორიტეტი მისთვის არის პატრიარქი:

„მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი და გონიერი პატრიარქი გვყავს, რომელიც ყოველთვის თამაშობდა დადებით, მაქსიმალურად დაბალანსებულ როლს იმიტომ, რომ როცა რეიტინგი დიდი გაქვს და შენს სიტყვას ფასი აქვს, არის ყოველთვის

27 იგულისხმება კონკორდატის მუხლი 6, პუნქტი 5: ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან. (წყარო: http://www.orthodoxy.ge)

რთული და ეს კაცი ახერხებს, რომ თავისი სიტყვა მიაწოდოს საზოგადოებას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

სიღრმისეულ ინტერვიუებში არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა 2014 წელს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებას[28], რომლის თანახმად, მან თავის თავზე აიღო, მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, კიდევ ოთხი რელიგიური ორგანიზაციისთვის ზიანის ანაზღაურება. რელიგიური მრავალფეროვნების მხრივ აღნიშნული დადგენილება კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ პოზიტიურად არის შეფასებული, თუმცა, მეორე მხრივ, მათივე აზრით, კრიტიკას ვერ უძლებს დადგენილების პრაქტიკული განხორციელების მეთოდები. ექსპერტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ დღევანდელი სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიური ჯგუფების ლოიალობის ყიდვისკენ არის მიმართული, სახელმწიფო რელიგიური ჯგუფების ელიტებისთვის იძენს რეზიდენციებს და მანქანებს და ა. შ. შესაბამისად, დაფინანსება ხმარდება არა თემის ინტერესებს, მაგალითად, სალოცავის აშენებას, არამედ რელიგიური ლიდერების კეთილგანწყობის მოპოვებას და სახელმწიფოს წინაშე მათი ანგარიშვალდებულების ზრდას, რაც ბუნებრივია, კორელაციაშია თავისუფლების შეზღუდვასთან:

„ამ დაფინანსების მიზნობრიობას სახელმწიფო განსაზღვრავს, აუდიტის შემოწმებაც შეუძლია ჩაატაროს და ამ თანხის 75% მუსლიმ თემს მისცა უშუალოდ ხელფასებში: ხოჯების, ახუნდების და იმამების ხელფასებში იხარჯება, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ქირაობს ამ ადამიანებს. ეს ნიშნავს პირდაპირ კონტროლს. ეს სხვა რაღაცებშიც გამოიხატება. მუსლიმ სასულიერო პირებს უარი ათქმევინეს ბათუმში მეჩეთის მშენებლობაზე და ეს მუსლიმი თემისთვის ძალიან სერიოზული საკითხია ხომ? მათ უნდათ ახალი მეჩეთი, იმიტომ, რომ ძველ მეჩეთში სივრცე აღარ არის და ქუჩაში ლოცულობენ. ამ დროს მუფტი ამბობს, მე არ მინდა მეჩეთი, ჩემთვის მედრესე მინდა, რეზიდენციის აშენება მინდა. მუსლიმი თემი სხვა რამეს ითხოვს. ეს კონტროლის პოლიტიკა როგორ იწვევს გაუცხოებას თემს და ინსტიტუციას შორის ძალიან კარგად ჩანს ამ

28 დადგენილება „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე, №117 2014 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი, http://gov.ge/files/40370_40370_785819_117270114.pdf

მაგალითში“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა ძალიან აქტუალური თემაა არასამთავრობო სექტორისთვის. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისა (EMC) და ტოლერენტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) ერთობლივი კვლევის[29] თანახმად, 2014-2015 წლებში სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემული თანხა, ჯამურად, 68 292 963 ლარს უტოლდება. რაც შეეხება უშუალოდ მართლმადიდებელ ეკლესიას, 2014-2015 წლებში მას ზემოხსენებული თანხის 92,5%, ანუ 63 173 299 ლარი ერგო. აღნიშნული კვლევის თანახმად, ამ თანხის ყველაზე დიდი ნაწილი მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომელთა ხელფასებს, პრემიებს და მსგავსი სახის მიზნებს მოხმარდა, ხოლო თანხის მეორე ნაწილი უძრავ-მოძრავი ქონების შესყიდვასა და მათ მოვლა-პატრონობას.

სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის ლოიალურობის ფულით მოპოვების თემას ეხმიანება ერთ-ერთი გამოკითხული პოლიტიკოსიც. მისი აზრით, სახელმწიფო, ერთი მხრივ, მოვალეა აანაზღაუროს ზარალი, რომელიც არა მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას, არამედ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებსაც მიადგა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსება დამფინანსებლის დომინანტურობას აჩვენებს და ეკლესიას აიძულებს გაითავისოს, რომ თვითონ არ არის მთავარი იდეოლოგი:

„ვინც იხდის, ისაა მთავარი იდეოლოგი, სახელმწიფოა მთავარი იდეოლოგი. კონსტიტუცია რომ დგას უფრო მაღლა, ამიტომ კონსტიტუციის მცველმა სჯულის კანონის მცველს შეიძლება გადაუხადოს, მე ამაში ვერ ვხედავ პრობლემას (...) ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, ეკლესია დადიოდა და ამბობდა, რომ მიიღებთ ამ კანონს, გადაგცემთ ანათემას, კითხვა: რატომ არ გადაგვცეს ანათემას? იმიტომ, რომ ჩვენ წელიწადში მათ ვაძლევთ 25 მლნ. ანუ ვიზა ლიბერალიზაცია არ იქნებოდა, რომ არ მიგვეცა მათთვის 25 მილიონი, ჩვენ მათ ვყიდულობთ, ეს არის ცინიკური პასუხი ანუ ეს არის მართალი პასუხი. მათ არ აქვთ უნარი, სახელმწიფოს გაუწიონ წინააღმდეგობა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებისა და არასამთავრო-

29 რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა. 2014-2015 წლების პრაქტიკის ანალიზი: https://emcrights.files.wordpress.com/2016/07/broshura_180x250mm_small.pdf

ბო სფეროს წარმომადგენლების შეფასებით კი, პირიქით, ეკლესიის ამგვარი დაფინანსება იწვევს ეკლესიის პოლიტიზებას და ამასთანავე სათუოს ხდის ხელისუფლების დომინანტურობას. მათი აზრით, დაფინანსების მომატებამ, ეკლესიის ლოიალურობის გაზრის ნაცვლად, მის კიდევ უფრო გაძლიერებას შეუწყო ხელი, რამაც ხელისუფლება თავად მოაქცია დაქვემდებარებულ მდგომარეობაში:

> *„ეკლესიაზე დაფუძნებულ ხელისუფლებას მერე ეუბნებიან: აბა ეს კანონი არ მიიღო, აბა ეს რეფორმა არ გაატარო. ეს მიმართებები მომავალშიც პრობლემებს ქმნის. და მეორე საკითხია, რომ ეკლესია დღეს ყველაზე მდიდარი ინსტიტუტია, უფრო მდიდარი და უფრო მობილიზებულიც კი, ვიდრე სახელმწიფო. ეს დაფინანსება ეკლესიას თვითკმარ სუბიექტად აქცევს, რომელიც საერთოდ კარგავს სოციალურ მგრძნობელობას და სოციალურ ცნობიერებას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

ექსპერტები განმარტავენ, რომ, თუ საქართველო ევროპისკენ მიისწრაფის, მაშინ რელიგიური უმცირესობებისთვის შედარებით წარმომადგენლობითი თანადაფინანსება აუცილებელია. ექსპერტთა აზრით, ახლანდელი სისტემა საკმაოდ დისკრიმინაციულია, რადგან მართლმადიდებელი რელიგიის უპირატესობა კონსტიტუციაშიც კი არის ასახული. ისინი, ზოგადად, სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსებას არ მიესალმებიან, მაგრამ მიიჩნევენ, რომ თუ დაფინანსების პოლიტიკა დარჩება, მაშინ საჭიროა მისი დახვწა დისკრიმინაციულობის აღმოფხვრის მიმართულებით.

არსებული დაფინანსების სისტემის კრიტიკისას, კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ექსპერტებმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, უპირატესობა მიანიჭეს ალტერნატიული მოდელის შექმნას, რომელშიც რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსება თავად მრევლის სურვილზე იქნება დამოკიდებული. მათი აზრით, ამ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება შეინარჩუნოს უბრალოდ ადმინისტრატორის როლი, მაგრამ თვითნებურად ველარ გადაწყვეტს, თუ საით უნდა წავიდეს ეს ფული.

ექსპერტთა აზრით, მრევლის მიერ საწევრო შენატანის გადახდაზე დაფუძნებული სისტემა თვითონ მრევლის აღრიცხვიანობის მხრივაც მოსახერხებელია:

> *„ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში როგორ არის იცით, ეკლესიას ჰყავს თავისი მრევლი, მრევლი თუ ხარ, იხდი შენ, როგორც საწე-*

ვროს უხდი ეკლესიას. ვინც უხდის, ის ითვლება მორწმუნედ და ეკლესიის შემოსავლის წყაროც ეს არის მხოლოდ და მრევლი აფინანსებს ეკლესიას. ამიტომ არის, რომ მორწმუნეთა რაოდენობა არის 45%–50%, 25%– ჩეხეთში, 60% ზოგან და არა 94% როგორც საქართველოში" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

აღნიშნულ თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტები დაფიქსირდა რამდენიმე პოლიტიკოსის ინტერვიუში. მათი აზრით, შეუძლებელია ეკლესიამ იარსებოს მრევლის დაფინანსებით, რადგან საწევრო გადასახადზე დაფუძნებული ორგანიზაციები ვერ ინახავენ თავიანთ თავს. გარდა ამისა, გამოკითხულ პოლიტიკოსთა მოსაზრებებში გამოიკვეთა ისტორიაზე დაფუძნებული არგუმენტი:

„სანთლით გამდიდრებული და შენახული ეკლესია–მონასტრები არ არსებობს. ასე იყო სულ, საერო ხელისფლება სულ ეხმარებოდა სასულიერო ხელისუფლებას, ასე იყო თამარისა და დავითის დროს და ასე იქნება მომავალი ხელისუფლებების დროსაც" (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

რაც შეეხება ანტიდისკრიმინაციულ კანონს, ეს საკითხი ძირითადად პოლიტიკოსებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა უფრო ელიტის დონეზე ჩაიარა და არ მიუღწევია საზოგადოების ფართო ფენებამდე. რამდენიმე პოლიტიკოსმა სიამაყე გამოთქვა იმის გამო, რომ პარლამენტმა შეძლო აღნიშნული კანონის მიღება. პოლიტიკოსთა უმრავლესობამ ინტერვიუებში ისაუბრა იმის შესახებ, რომ დღეს-დღეობით პოლიტიკა ძირითადად მასების ინტერესებს ერგება და თავად არ ცდილობს ღირებულებების დანერგვას, სწორედ ამიტომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, მათი აზრით, ერთ-ერთი გაბედული ნაბიჯი გახლდათ. პოლიტიკოსები დარწმუნებული არიან, რომ აღნიშნული კანონი მოწონებას ვერ მიიღებდა რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, რაც ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკური ელიტა ღირებულებების ზემოდან-ქვემოთ დანერგვის მეთოდს მიემხრო. კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსებიდან ერთადერთი რესპონდენტი, რომელიც ანტიდისკრიმინაციულ კანონს აკრიტიკებს, დასავლეთიდან თავსმოხვეულ გავლენაზე და კანონის ნაჩქარევად, ფარულად მიღებაზე საუბრობს:

„როგორ მოხდა ამ ყველაფრის განხორციელება? ჩუმად, ქურდულად ისე, რომ საკომიტეტო მოსმენაც არ ჩატარებულა და

ფიქცია განხორციელდა, ვითომ ჩატარდა და ვითომ ეს ყველაფერი საფუძვლად ედებოდა, რომ 1 კვირის მანძილზე სასწრაფოდ უნდა მიეღოთ ეს. ამან გამოიყვანა 100 ათასი ადამიანი ქუჩაში. რეალურად რა მოხდა? არც არაფერი. რა მოხდა იმითი, რომ მიენიჭათ მათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. არც არაფერი. მაგრამ ისეთი სურათი შეიქმნა, რომ ვიღაცას უნდოდა, რომ ასეთი მოქმედებებით ხელოვნურად გამოეწვია პროვოცირება საზოგადოებაში, რომ შემდგომში სახალხო დამცველის ანგარიშში გაჩენილიყო გარკვეული ჩანაწერები, რომ თურმე საქართველოში არის არმენოფობია" (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

ანალოგიურია ეკლესიის წარმომადგენელის პოზიციაც. მისი აზრით, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას გამოჩენილი სიჩქარე და ცალკეული ნიუანსების გაუთვალისწინებლობა გარკვეულ ეჭვს ბადებს ეკლესიაში.

რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობასთან დაკავშირებით, წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში, ახალგაზრდა რესპონდენტებმა კრიტიკული დამოკიდებულება დააფიქსირეს მართლმადიდებლობისთვის პრიორიტეტის მინიჭებისა და სხვა რელიგიური ჯგუფების დისკრიმინაციის მიმართ:

„თუკი რაღაც პრიორიტეტი ექნება ქართულ მართლმდიდებლურ ეკლესიას და საპატრიარქოს, ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ მეორეს მხრივ, იქ მთავრდება ჩემი პიროვნული ინტერესები, სადაც იწყება სახელმწიფოს ინტერესები და სახელმწიფოს ინტერესებში მე მგონი არ უნდა შედიოდეს, რომ ერთი კონკრეტული ჯგუფი იყოს უკეთეს მდგომარეობაში და მეორე ჯგუფი იჩაგრებოდეს. ეს არასწორი აღქმა, ამ ღირებულებების და ამ ფუნქციების არასწორი აღქმა იწვევს პოლარიზაციას" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 24–30).

როგორც ეკლესიის დაფინანსების პოლიტიკის შეფასებისას გამოიკვეთა, ექსპერტთა, პოლიტიკოსთა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა უმრავლესობა მიზანშეწონილად მიიჩნევს დაფინანსების პოლიტიკის ალტერნატიული მოდელის შემუშავებას. თუმცა, ამავდროულად, ისინი აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკურ ელიტაში არ არის მზაობა და ნება ამ ცვლილებისთვის. მეტიც, ითქვა, რომ ეკლესიისთვის დაფინანსების შეწყვეტა დღესდღეობით არარეალურია და შეიძლება ასეთი ნაბიჯი პოლიტიკური თვითმკვლელობადაც კი შეფასდეს.

რელიგია საგანმანათლებლო სფეროში

ნაციონალიზმის კლასიკური თეორიების თანახმად, საყოველთაო განათლება ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტია ეროვნული იდენტობისთვის აუცილებელი უნიფიცირებული ღირებულებების დასანერგად (ანდერსონი, 2003; Gellner, 2006). წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული განათლების სფეროს წარმომადგენლებისა და ექსპერტების აზრით, ფორმალური სეკულარულობის მიუხედავად, განათლების სფერო არ გათავისუფლებულა მართლმადიდებლური რელიგიის გავლენისგან და დღემდე აშკარაა ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის ძალისხმევა, ჩაერიოს საგანმანათლებლო საკითხებში. განათლების სფეროს წარმომადგენელთა აზრით, საყოველთაო განათლებამ განსაკუთრებით გააძლიერა კულტურული ნორმა, რომლის თანახმადაც, ქართველები ისტორიულად ყოველთვის დიდი სახელმწიფოების მსხვერპლის როლში ექცეოდნენ, იდენტობის დაცვას და საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებას კი მუდმივად მართლმადიდებლობის მეშვეობით ახერხებდნენ. მათი აზრით, ამ ნორმას დღემდე ყველაზე წარმატებით ავრცელებენ ქრესტომათიები და ისტორიის სახელმძღვანელოები. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელთა მოსაზრებას ამყარებს „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ (TDI) მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევა „რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში“ (მინდიაშვილი და სხვ., 2006). აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში ინტერკულტურული ასპექტების შესწავლას. კვლევის მეთოდოლიგიის გათვალისწინებით, შეირჩა IX-XII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო. კვლევის შედეგებში ჩანს, რომ სახელმძღვანელოებში თითქმის არ არის გაშუქებული რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება, რელიგიის თავისუფლება, ხოლო ქრისტიანობის მიმართ შეინიშნება მიკერძოებული/არანეიტრალური დამოკიდებულება.

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, სასკოლო პროგრამებში, სახელმძღვანელოებში და კურიკულუმებში თვალსაჩინოდ არის ასახული ერის კულტურული კონცეფცია, რის გამოც ისინი საგანმანათლებლო სისტემას განიხილავენ

ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის გამავრცელებლად და ეკლესიის მოკავშირედ. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, თუ საგანმანათლებლო სისტემა საბჭოთა პერიოდში საბჭოთა იდეოლოგიის გავრცელებას ემსახურებოდა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართულმა საგანმანათლებლო სისტემამ საბჭოთა იდეოლოგია მართლმადიდებლური იდეოლოგიით ჩაანაცვლა და მისი გავრცელება დაიწყო. სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელის აზრით, ნიშანდობლივია ლეგიტიმურობის საკითხიც: თუ ადრე საგანმანათლებლო ინსტიტუტები ლეგიტიმურობას სახელმწიფოსგან იღებდნენ, ამჟამად მათ ლეგიტიმურობას ეკლესია უზრუნველყოფს. რესპონდენტის აზრით, ეკლესიისთვის ლეგიტიმატორის როლის მინიჭება შეიძლება დავინახოთ ახლადამკვიდრებულ ისეთ ნორმაში, როგორიცაა დირექტორის კაბინეტში დაკიდებული ხატების ან პატრიარქის სურათი.

გამოკითხული ექსპერტების აზრით, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის სახელმძღვანელოებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა. რაც შეეხება სხვა ქრისტიანულ კონფესიებს, ისინი ან საერთოდ არ ჩანს, ან ნეგატიურ კონტექსტშია ნახსენები. ისლამი წარმოჩენილია მტრულ აღმსარებლობად, რადგან საქართველოს დამპყრობელ პოლიტიკურ ძალებთან არის მიბმული. ანალოგიური მიმართება არ არსებობს რუსეთის მიმართ:

> *„ჩვენ არ ვამბობთ, რომ მართლმადიდებლებმა მოახდინეს ჩვენი ოკუპაცია, ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთის იმპერიამ მოახდინა ჩვენი ოკუპაცია. როცა ლაპარაკია თურქეთზე ან ირანზე, იქ ლაპარაკია, რომ მუსლიმური ჯარები შემოვიდნენ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ექსპერტების აზრით, დღესდღეობით ჰაგიოგრაფიულ მასალას გადამეტებული ყურადღება აქვს დათმობილი, რაც თავის მხრივ აქტიურად ახდენს ეთნო-რელიგიური იდენტობის ჩამოყალიბებას და ეკლესიის ინტერესებს ემსახურება:

> *„ფაქტობრივად, მთელი მე-10 კლასის სახელმძღვანელო არის ქრისტიანული ტექსტების სწავლება, ქრისტიანობის სწავლება და ასევე მთელი ისტორიული დისკურსი არის ქრისტიანობის და ეთნიკურობის გადაჯაჭვაზე მიმართული“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

თავად განათლების სფეროს წარმომადგენლებსაც მიაჩნიათ, რომ საგანმანათლებლო დისკურსი ნაციონალისტური და ქსენოფობი-

ურია, ხოლო მასწავლებლებს სწორედ ამ დისკურსის გავრცელება მიაჩნიათ თავიანთ მოვალეობად. განათლების სფეროს წარმომადგენელთა შეფასებით, შესაძლოა ეს არ შეესაბამება ოფიციალურ დირექტივებს, მაგრამ მასწავლებლებს სწორდ ასე ესმით საკუთარი ვალის აღსრულება და ეს ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების მხრივ სერიოზულ პრობლემას ქმნის:

> *„მათ წარმოდგენაში არსებობს, რომ თავიანთი მოსწავლეები უნდა აღზარდონ პატრიოტებად იმ გაგებით, რომ ამ ხალხმა შეინარჩუნოს თავისი იდენტობა ვთქვათ იგივე რელიგიური კუთხით და ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სფეროს წარმომადგენელი).*

საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნევენ ეკლესიის ინიციატივებს, რომლებიც სახელმძღვანელოების შინაარსობრივი ასპექტის განსაზღვრაში ჩარევას უკავშირდება. ერთ-ერთი რესპონდენტის თანახმად, ასეთი ინიციატივები განსაკუთრებით ინტენსიური იყო 2004-2005 წლებში, როდესაც განათლების სამინისტროს რეგულარულად უწევდა იმ პოლემიკაში ჩართვა, რომელსაც ეკლესიასთან ასოცირებული ორგანიზაციები იწყებდნენ (მაგალითად, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, „დავითიანი“ და სხვა). მოგვიანებით, სამინისტრომ არჩია უშუალოდ საპატრიარქოსთან მოეგვარებინა აღნიშნული სადავო საკითხები. საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლის განმარტებით, იმ პერიოდში ეკლესია და სამინისტრო ერთმანეთისგან მუდმივად მოითხოვდნენ კომპრომისს. ეკლესია მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციური შეთანხმება მას აძლევდა არა მხოლოდ რელიგიასთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებში ჩარევის, არამედ ისტორიისა და ქართული ლიტერატურის პროგრამების შინაარსის განსაზღვრის უფლებასაც. საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ სამინისტროსა და ეკლესიის ურთიერთობა ვაჭრობას ჰგავდა, რადგან ეკლესია, სიტუაციის გართულებაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ქონებრივ სარგებელს ითხოვდა.

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული განათლების სფეროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ფორმალური სეკულარულობის მიუხედავად, სკოლაც და უნივერსიტეტებიც განმსჭვალულია რელიგიური გავლენით. მათი შეფასებით, ეს არ არის ცალმხრივი პროცესი: ერთი მხრივ, ეკლესია ყოველნაირად ცდილობს საგანმანათლებლო პროცესში ჩარევას, ხოლო, მეორე მხრივ, მშობლებიც და

მასწავლებლებიც მოითხოვენ ყურადღების გამახვილებას რელიგიის თემაზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია კერძო სკოლების სახელწოდებები, რომლებიც ქართულ-დასავლურ, „ჰიბრიდულ“ ვერსიებს გვთავაზობენ:

> *„წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანული სკოლა“, ან „ქართულ-ამერიკული აკადემია“. უნდათ აჩვენონ ის, რომ აქ არ გაიზრდებიან ურჯულო და უღირსი ქართველები და თან ხარისხი იქნება გარე სტანდარტების, ღირებულებები შიდა. ხარისხი ღირებულება არ არის, ის რაღაც ტექნიკური ნაწილია. შინაარსობრივი სუბსტანცია შიდაა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სფეროს წარმომადგენელი).*

განათლების სფეროს ერთ-ერთი წარმომადგენელის აზრით, პრობლემურია სივრცეების გადანაწილება და სეკულარულ სივრცეში საკრალური ინსტიტუტების შეჭრა. კლასებში აკრძალულია რელიგიური სიმბოლიკის წარმოდგენა, მაგრამ საეკლესიო კალენდრების დარიგებით, თუ სკოლის ეზოში გახსნილი სამლოცველოს მეშვეობით, მაინც ხდება მოსწავლეებისთვის რელიგიის მიწოდება. რესპონდენტის აზრით, ასევე ძალიან გახშირებულია უმაღლესი სასწავლებლების ეზოებში ეკლესიების მშენებლობა.

განათლების სფეროს სხვა წარმომადგენლის შეფასებით, სკოლაში განთავსებული სამლოცველო არ წარმოადგენს პრობლემას:

> *„ამ კაბინეტის გვერდით არის ეკლესია და შემიძლია გითხრა, რომ საერთოდ არ იგრძნობა ამ სკოლაში რელიგიური ინდოქტრინაციის მომენტი, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი ამ ეკლესიის მრევლი არის და ა.შ., 213 მასწავლებლიდან შემიძლია ვთქვა 2 არის მიკერძოებულად რელიგიური (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სფეროს წარმომადგენელი).*

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეკლესიის წარმომადგენლი მიიჩნევს, რომ სწორედ სასულიერო პირების სკოლაში „არშეშვების“ პოლიტიკის შედეგად ვიღებთ მთელ რიგ სოციალურ პრობლემას:

> *„ეკლესიას არ გვიშვებენ სკოლებში (...) სამაგიეროდ, გვყვანან ბავშვები, რომლებიც საკუთარ დედას იგინებიან ქუჩაში და ეს მომრავლებული უზნეობა, პროსტიტუცია, აბორტები ნაადრევი და უბედურებები, რაც ხდება. არ გინდათ პრევენციული ზომები მიიღოთ? კი ბატონო, იღებთ ამას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

ეკლესიის წარმომადგენლის აზრით, ადამიანის გამოსწორება იწყება სულიერი სამყაროს გამოსწორებით, ხოლო ეკლესია კი ერის სულია. თუ ერში რაიმე პრობლემაა, სწორედ ეკლესიიდან უნდა დაიწყოს ამ პრობლემის გამოსწორება. თუმცა, ეკლესიის წარმომადგენელი იქვე აკონკრეტებს, რომ დღესდღეობით ეკლესიას არც აქვს სკოლებში სწავლებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. განათლების სფეროს წარმომადგენელი არ იზიარებს სასულიერო პირის მოსაზრებას ეკლესიის სკოლებში „არშეშვების" შესახებ. მისი შეფასებით, რეგლამენტირებული წესები არ ემთხვევა რეალობას:

> *„სახელმწიფოს კანონში უწერია, რომ არ შეიძლება პროზელიტიზმი, მაგრამ აბსოლუტურად სხვანაირად არის. მაგალითად, სამინისტრომ შეიძლება დადოს ფოტო და მართლა უდევს: მინისტრი მოდის ახალგარემონტებულ სკოლაში, რომელსაც კარებზე ჯვარი აქვს დასმული, რომ ნაკურთხია. ესენი ვერც ხვდებიან, რომ ეს კანონის დარღვევით არის გაკეთებული, ან შეიძლება ხვდებიან, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოს ხშირად აწყობს, რომ ვერ ხვდებოდეს, ან ესეც იყოს ფარული მესიჯი (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სფეროს წარმომადგენელი).*

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო სფეროს წარმომადგენლის დაკვირვებით, საგანმანათლებლო სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საკრალიზებული ისტორიის სწავლება, რომელიც დღემდე არ დაქვემდებარებია კრიტიკულ გადააზრებას. აღნიშნული მიმართება კარგად ჩანს წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული სასულიერო პირის საუბარში, როდესაც ის დავით აღმაშენებლის ფიგურაზე საუბრობს. მისი შეფასებით დავითის, როგორც ქართველის სიდიადე არა მხოლოდ მისი ნიჭიერებით არის გამოწვეული, არამედ იმით, რომ დავითი დიდი ქრისტიანი იყო. ეკლესიის წარმომადგენლის თქმით, ბრძოლის წინ მეომრების მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში დავით აღმაშენებელი საერთოდ არ ახსენებდა საქართველოს, რაც მისი ინტერპრეტაციით, ქრისტიანობის სამშობლოზე უფრო მაღლა დაყენებით არის გამოწვეული.

ისტორიისა და რელიგიის ერთ მთლიანობად აღქმის ტენდენცია ჩანს წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებშიც. ღირებულებების გამოყოფისას საშუალო და უფრო ზედა ასაკის რესპონდენტები ძალიან ხშირად აჯგუფებდნენ ამ ორ კომპონენტს, ხოლო სიამაყის კატეგორიაში მართლმადიდებელი წინაპრების გმირობის მაგალითებში ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის

ორი კატეგორია: ისტორია და რელიგია ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული. როგორც ერთ -ერთი რესპონდენტი იხსენებს:

> *„ძალიან ამაყი ვიყავი, როდესაც სკოლაში გავიგე, რომ მეტეხის ხიდთან 100 ათასმა მოწამემ ხატს ფეხი არ დაადგა და ამის გამო მათ თავები მოჰკვეთეს და მტკვარში გადაყარეს“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31–45).*

ექსპერტ გიგა ზედანიას შეფასებით, სეკულარულობის საკრალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა და მისთვის წმინდა ილია მართლის სახელის მინიჭება. ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი შეიძლება რელიგიური ნაციონალიზმის ფორმირების საწყისადაც კი მივიჩნიოთ, რომელიც თავის თავს მეცხრამეტე საუკუნის ქართული ნაციონალიზმის მემკვიდრედ აცხადებს, მაგრამ რეალურად კონტრასტულად განსხვავდება მისგან (Zedania, 2009).

საგანმანათელებლო სფეროს წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებმა გვიჩვენა, რომ საგანმანათლებლო სფეროსა და რელიგიის ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, იკვეთება რამდენიმე ძირითადი პრობლემა: სახელმძღვანელოებში მართლმადიდებლური დისკურსის დომინანტობა, მასწავლებლების მიერ საკუთარი მისიის, როგორც ეთნო-რელიგიური ღირებულებების გამავრცელებლის აღქმა, ეკლესიის მიერ სასწავლო პროგრამების შედგენაში ჩარევისა და საგანმანათლებლო სივრცეში შეღწევის მცდელობები, რელიგიის ქცევა საგანმანათლებლო სფეროს ლეგიტიმატორად და ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საკრალიზებული სახით სწავლება. სიღრმისეული ინტერვიუებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ეს მზარდი პრობლემაა და საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიის როლის მომძლავრება უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება.

ეკლესია, როგორც „ცენზორი“

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თანახმად, ეკლესია ერევა ისეთ სფეროებში, რომლებიც, სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, რელიგიური ორგანიზაციის გავლენისგან თავისუფალი უნდა იყოს. სიღრმისეული ინტერვიუების ფარგ-

ლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსის აზრით, არაფორმალური ცენზურის დაწესების მცდელობებს ყველაზე ხშირად ეკლესიასთან ასოცირებული ჯგუფები ახორციელებენ, რაც გამოიხატება საჯარო ლექციების ჩაშლაში, ვიღაცის მიმართ ძალადობაში, „ტაბურეტით“ გამოკიდებაში და ა.შ. ასეთი ჯგუფებიდან, მაგალითად, მან დაასახელა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“. მისი აზრით, ამგვარი ქმედებები ძალიან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნაციონალურ იდენტობაზე, რადგან ადამიანები იწყებენ დაჯერებას, რომ სწორედ ამ ტიპის საქციელში გამოიხატება „ქართველობა“.

ეკლესიას ერთგვარ მაკონტროლებელ ინსტიტუტად აღიქვამენ ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული მედიის წარმომადგენლებიც. ერთ-ერთი მათგანი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მისი არხის ჟურნალისტები სურვილის მიუხედავად თავს იკავებენ ეკლესიასთან დაკავშირებული კრიტიკული სიუჟეტების გაკეთებისგან. როგორც ინტერვიუში ჩანს, ხანდახან ეს თავშეკავება უფრო თვითცენზურის ხასიათს ატარებს. ამ დროს ჟურნალისტები ითვალისწინებენ მართლმადიდებლების რაოდენობრივ დომინანტურობას და თავს არიდებენ ამ „წარმოსახვით ძალასთან“ კონფლიქტს:

> *„ქვეყნის 95%, ან 90% მგონია, რომ არის ფანატიკურად მორწმუნე, და ის, რომ ჩვენ ვთქავთ სიმართლე, როდესაც რაღაცეები არ მოგვწონს ეკლესიის მხრიდან, ამას შეიძლება განხეთქილება მოჰყვეს, შეიძლება მივიდეთ ომამდე (...)ზუსტად ვიცი, რომ შეიძლება შემოგვივარდნენ და ძალიან გვცემონ. საეკლესიო წარმომადგენლები მოსახლეობასთან ერთად, იმიტომ რომ ყოფილა ასეთი მაგალითები“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).*

გამოკითხული მედიის წარმომადგენლების ინტერვიუებში, თვითცენზურასთან ერთად, ჩანს უშუალოდ ეკლესიის, როგორც რეალური ინსტიტუტის ჩარევა მათ საქმიანობაში. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს საპატრიარქოსთან დაკავშირებული ფონდის გახსნის ამბავს, რომელიც საეთერო ბადის ქრონომეტრაჟის ფიქსირებულობის გამო ვერ მოხვდა საინფორმაციო გადაცემაში:

> *„დამირეკეს და მკითხეს: „პატრიარქი დაბლოკე?“. ძალიან გავბრაზდი, იმიტომ რომ ძალიან ხშირად არის პატრიარქი ჩვენს არხზე. ნებისმიერ აღდგომას, დღესასწაულს, ან ნათლობას ვაშუქებთ. ეს ძალიან ცუდი ზეწოლაა ჩემი აზრით და ძალიან გავბრაზდი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).*

მიუხედავად ამისა, მედიის წარმომადგენელი ამბობს, რომ მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას „ახალ ამბებში“, ყველაფერს ობიექტურად აჩვენებენ, რის მაგალითადაც ასახელებს 17 მაისის მოვლენების ასახვას. თუმცა, მისივე თქმით, თემატური სიუჟეტების შემთხვევაში გარკვეული თვითშეზღუდვა უწევთ, რადგან ასეთი რამ უშუალოდ არხის ინიციატივად და, შესაბამისად, არხზე პოტენციური თავდასხმის საბაბად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ეკლესიის, როგორც „ცენზორის“ გავლენიანობაზე ისაუბრეს სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხულმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც. მათი განცხადებით, არასამთავრობო სექტორი, ძირითადად, ხელისუფლების მონიტორინგს ახორციელებს და მასზე ზემოქმედებას ცდილობს. თუმცა, მაინც მუდმივად ექმნება პრობლემები ეკლესიის წარმომადგენელთაგან, რომლებსაც ასევე აქვთ გარკვეული ბერკეტები პოლიტიკურ პროცესებზე. ერთ-ერთი არსამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თანახმად, ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია ისეთ პერიოდებში, როდესაც პოლიტიკოსები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ხალხის აზრზე. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება ხელისუფლების აღმასრულებელ შტოშიც:

> *„წინასაარჩევნო პერიოდში ეგრე არის ხოლმე, პოლიტიკოსები ცდილობენ ნაკლებად ანგაჟირებულები იყვნენ რაღაც ისეთ საკითხებში, რომელსაც სკანდალურად მოიაზრებენ, რამაც ეკლესიის რისხვა შეიძლება გამოიწვიოს“ (სიღრმისეული ინ-ტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, საჯარო სივრცეებში გააქტიურებითა და ერთგვარი ნორმების დაწესებით ეკლესია მიზნად ისახავს „ცენზორის“ როლის დაბრუნებას, რომელიც მას წარსულში ჰქონდა. მათი აზრით, ეკლესია, ფაქტობრივად, უკვე აწესებს ცენზურას სხვადასხვა სფეროში, მაგრამ ამასთანავე მას „ცენზორის“ როლის ლეგალიზებაც სურს.

ეკლესიასთან დაპირისპირებული დისკურსი

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების აზრით, ეკლესიის მონოპოლიას ხელს უშლიან ის აქტორები, რომლებიც კრიტიკული სააზროვნო სივრცის შექმნას ცდილობენ. ექსპერტთა ინტერვიუებში შეგვხვდა საინტერესო კლასიფიკაცია, რომელიც სოციალიზაციის ძველი და ახალი აგენტების ჩამონათვალს გვთავაზობს.

ძველი ტალღის აგენტების ჯგუფში გაერთიანებულია: ეკლესია, საჯარო სკოლები და ოჯახები, ხოლო ახალი ტალღის აგენტებს წარმოადგენენ: არასამთავრობო ორგანიზაციები და ცალკეული უმაღლესი სასწავლებლები (გამოიყო თავისუფალი უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ალტერნატიული დისკურსის ჩამომყალიბებელი აგენტების არსებობა, ექსპერტთა აზრით, უპირველესად, „ჭეშმარიტების სახელით" მიწოდებული ინფორმაციისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ექსპერტები განმარტავენ, რომ ყველაზე უფრო ღია კონფრონტაცია ეკლესიასა და არასამთავრობო სექტორს შორის მიმდინარეობს, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციები, ქართული იდენტობისთვის, ეკლესიისგან განსხვავებული საყრდენის მოძიებას ცდილობენ.

თავად არასამთავრობო სფეროს წარმომადგნელებიც ეთანხმებიან ექსპერტთა ასეთ მოსაზრებას. როგორც სიღრმისეულმა ინტერვიუებმა გვიჩვენა, არასამთავრობოები, ერთი მხრივ, განსხვავებული ღირებულებების გამო უპირისპირდებიან ეკლესიის მიერ შემოთავაზებულ ეთნო-რელიგიურ ნაციონალიზმს, მეორე მხრივ კი, კონფლიქტში მათ ჩაბმას ეკლესიის საჯარო სივრცეში ინტერვენცია და სეკულარული პრინციპების რღვევა იწვევს. ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, თუ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეებად მიიჩნეოდა, დღევანდელი ხელისუფლება ეკლესიასთან ჰარმონიულ ურთიერთობაშია და ერთადერთ შემაკავებელ ფაქტორად არასამთავრობო სექტორი გვეველინება:

> *„ახლა მე ვამბობ ხოლმე, რომ პრინციპში ეკლესის და პოლიტიკური ხელისუფლება დაქორწინდნენ, აბსოლუტურად კმაყოფილი ურთიერთობები აქვთ, ბედნიერები არიან, მაგრამ მთავარი ფრონტის ხაზი გახსნილია სამოქალაქო საზოგადოებას და ეკლესიას შორის. შემთხვევითი არ არის, რომ ძირითადი თემატიკები, ეკლესიის მხრიდან რაც არის გაპრობლემებული, ეს არის LGBT საკითხები, ქალთა უფლებები, ანტიდისკრიმინაციული კანონი ხომ? ეს არის ის საკითხი, სადაც ძალიან კარგად ჩანს ღირებულებითი განსვლა ეკლესიას და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, ენჯიოებს შორის" (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

რელიგიურ დისკურსში ალტერნატიული ჭეშმარიტების შემომ-

თავაზებელ მხარედ, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ რელიგიურ უმცირესობებს, რომლებიც თავისი არსებობით წარმოადგენენ იმის მტკიცებულებას, რომ ყველა ქართველი მართლმადიდებელი არ არის. ერთ-ერთმა ექსპერტმა ამის მაგალითად დაასახელა ქართველ მუსლიმთა კავშირი, რომელიც წლების განმავლობაში ცდილობს დაამკვიდროს წარმოდგენა, ერთი მხრივ, ქართველი მუსლიმის არსებობის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, იმის შესახებ, რომ მუსლიმს შეიძლება ჰქონდეს ასევე სამოქალაქო იდენტობაც. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ეკლესიის წარმომადგენელმა საერთაშორისო საფრთხეებში ბათუმის დაკარგვა, კერძოდ, ისლამური ექსპანსია დაასახელა.

რაც შეეხება კვლევის ფარგლებში გამოკითხულ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელს, მისი აზრით, მხოლოდ მართლმადიდებლური რელიგია იძლევა ეროვნულობის თვითგამოხატვის შესაძლებლობას, ხოლო ყველა სხვა რელიგია ეროვნულობას თრგუნავს და ერთგვაროვანს ხდის:

> *„არ არსებობს საკუთრივ ქართული მუსულმანური კულტურა. სხვათაშორის, არა იმიტომ არ არსებობს, რომ ქართველ მუსლიმანებს არ შეეძლოთ რამის შექმნა, საქმე იმაშია, რომ მუსულმანობა არ იძლევა ამის შექმნის შესაძლებლობას (...) ხუროთმოძღვრება სტანდარტია საერთო, სალოცავიანად სტანდარტია საერთო, მხატვრობა აკრძალულია რელიგიურ ცხოვრებაში და ხდება უნივერსალიზაცია, ვერ შექმნი ისლამში საკუთარ ეროვნულ კულტურას, ვერ შექმნი კათოლიციზმში საკუთარ ეროვნულ კულტურას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

აღნიშნული ციტატა ადასტურებს ექსპერტების აზრს იმის თაობაზე, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობს ეთნიკურობისა და აღმსარებლობის ერთმანეთთან დაკავშირებას და ამ ცვლადთა ბმის მეშვეობით მყარი კონსტრუქტის შექმნას.

ეკლესია გლობალურ კონტექსტში/მოდერნიზაციის პერიოდში

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ეკლესიის წარმომადგენლი ხშირად ახსენებს ქართული ტრადიციების, კულტურის უნიკალურობას:

> *„ქართულის სული იდენტიფიცირება და მისი შენარჩუნება, ეს არის ქრისტიანული სული, რომელიც თავის თავში გულისხ-*

მობს, როგორც თავიდან ვთქვი, ქართულ კულტურას, იმ ჭეშ-მარიტ კულტურას, რომელიც არის აბსოლუტურად უნიკალუ-რი სამყაროში. მსგავსი რამ არ არსებობს. ზედაპირულადაც კი ჩანს" (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).

როგორც სოციოლოგი მანუელ კასტელსი წერს, ტრადიციული იდენტობების გააქტიურება განსაკუთრებით დამახასიათებელია ახალი დროისთვის, რომელიც ძველ წესებს არღვევს და ტრადიციულ ნორმებს საფრთხეს უქმნის (Castells, 2009). როგორც წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რესპონდენტებში საკმაოდ თვალსაჩინოდ ჩანს გლობალიზაციისადმი შიში. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ღირებულებების დაკარგვის შიში ნაკლებად გამოვლინდა 18-30 ასაკობრივ კატეგორიაში, 31 + ასაკობრივ ჯგუფში კი მედიიდან მომავალ ინფორმაციას ეროვნული ღირებულებების საწინააღმდეგოდ მიიჩნევენ. ამ საფრთხის შეგრძნებასთან ერთად რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ტრადიციების, თვითმყოფადობის შენარჩუნების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. რესპონდენტები ტრადიციული ღირებულებებისთვის საფრთხის შემცველ სუბიექტებად მიიჩნევენ რელიგიური და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს, ხოლო მათ მიმართ ლიბერალურ დამოკიდებულებას საქართველოს ევროპასთან დაახლოებას უკავშირებენ; ეს კი, ერთი მხრივ, დასავლეთის მიმართ უჩენთ ეჭვებს, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას აძლევთ მთავრობა დაადანაშაულონ დასავლეთისადმი მორჩილებაში.

ექსპერტების აზრით, მსგავსი შიშის მიზეზია განათლებისა და ინფორმირებულობის დაბალი დონე, ურბანიზაციის არასაკმარისი ხარისხი და პრორუსული ძალების მიერ ორგანიზებული ანტიდასავლური პროპაგანდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეთნიკური ნაციონალური იდენტობის რელიგიურ იდენტობასთან მჭიდრო ბმა 1990-იანი წლების ბოლო წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდში ეკლესიამ მოირგო პლურალიზმის შემფერხებლისა და ერთგვაროვნების დამცველის ნიშა, რის მიმართ მოთხოვნაც ყოველთვის არსებობს გარდამავალი პერიოდებისთვის დამახასიათებელი შფოთვის პირობებში (Delanty, 2008).

განათლების დაბალი დონე და სოციალურ-ეკონომიკური პირობები კიდევ უფრო ხელს უწყობს ერთადერთ ხელჩასაჭიდ სიმყარედ ეკლესიის წარმოსახვას:

„ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, ქვეყანაში, რომელიც არც ეკონომიკურად არის ძლიერი, არც განათლების და წიგნიერების ხარისხი არ არის მაღალი, საკამოდ აპათიური მდომარეობა არის ძალიან ბევრ ჯგუფში, ახალგაზრდებში (...) ერთადერთი გამოსავალი რჩება – 'ღმერთო დამეხმარე'. ამ ბექგრაუნდის ადამიანი მიდიხარ დაწესებულებებში და ხშირ შემთხვევაში გეუბნებიან, რომ არ გინდა არაფერზე დაფიქრება, წაკითხვა, იმის წაკითხვაც კი რაზე დაყრდნობითაც მე გელაპარაკები, მხოლოდ მოისმენ იმას, მე როგორ ვთარგმნი და ეს არის შენთვის ბილეთი, იმისათვის რომ იყო უკეთესად ვიდრე ხარ, თუ არადა იქნები უფრო ცუდად" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ფოკუს ჯგუფების შედეგებიდან ირკვევა, რომ რელიგია უკავშირდება რაღაც ისეთს, რაც მუდმივად იყო, რამაც ქართველი ერი გადაარჩინა, ის რაც ეროვნული სიამყის და იდენტობის საფუძველია. ექსპერტები, საპატრიარქოსა და პატრიარქის მიმართ საზოგადოების დიდი ნდობის მიზეზად, მოდერნიზაციისთვის დამახასიათებელ რყევებს ასახელებენ. ყველაზე ხშირად ტურბულენტურ სიტუაციაში სტაბილურობის მოთხოვნილება და შიშის განცდა ადამინებს უბიძგებს ისეთ ინსტიტუტებს მოეჭიდონ, რომლებიც მათთვის ბავშვობიდან სიმყარესთან და უცვლელობასთან ასოცირდება. თუ ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში პრობლემების გადაჭრის უუნარობასთან და ფრუსტრაციასთან არის დაკავშირებული, ეკლესია ტრანსფორმაციების შემფერხებელი და ტრადიციების დამცველი ინსტიტუტის როლშია. ექსპერტთა აზრით, პოსტსაბჭოთა პერიოდში ეკლესიის მორალური ავტორიტეტის განსაკუთრებული გაძლიერება გამოიწვია სხვა ინსტიტუტების თვალსაჩინო უუნარობამ, შეესრულებინათ მათზე დაკისრებული ვალდებულებები. ამ ვითარებაში ეკლესიამ ისეთი მოვალეობები აიღო თავის თავზე, რაც ბევრად სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს. ექსპერტები საეჭვოდ მიიჩნევენ ეკლესიის, როგორც ნამდვილად მტკიცე, მყარი ინსტიტუტის არსებობას და განმარტავენ, რომ ეს უფრო წარმოსახვითი განზომილების ნაყოფია:

„როცა ამბობენ ხოლმე, რომ ეკლესია უცვლელად იყო ამდენი ხანი და ეს ისეთი სიმყარეა, ვიცით, რომ ეს არის ძალიან დიდი ილუზია და ვიცით, რომ მსგავსი არაფერი არ ყოფილა. სინამდვილეში 1990-იანებამდე ეკლესიას მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია საქართველოს ცხოვრებაში. ეს მისი ბრალი არ ყოფილა, მაგრამ ასეა თუ ისეა, აი ეს წარმოსახული სი-

მყარე და წარმოსახული უწყვეტობაა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების აზრით, პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის დეფიციტი და ნიჰილიზმი უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე და კიდევ უფრო მეტ ადამიანს მიმართავს ეკლესიისკენ. ამაზე საუბრობენ თავად გამოკითხული პოლიტიკოსებიც:

„ვფიქრობ ეკლესიის გავლენა მეტწილად განაპირობა ადამიანების შიშმა და რაღაც, ყავლგაუსვლელი ავტორიტეტის პოვნისა და იმაზე თავის მიდების სურვილმა. მუდმივობები არ დარჩა – საბჭოთა წყობა ურღვევი იყო, ცხოვრების პრინციპები დადგენილი იყო და სულ არ ფიქრობდნენ ეკლესიაზე. ახლა კი, როდესაც ის დაიშალა და პოლიტიკა გახდა დინამიური, მერყევი და ხვალინდელი დღის შიში გაათკეცდა, რა? რა და – აი ეკლესია მოგვხედავს. მაგრამ მე არ მგონია რომ ეს იყოს ღრმა რწმენით განპირობებული, ეს გავლენა მაინც ზედაპირულია“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

გამოკითხული ექსპერტების აზრით, საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობად ქართველებს ერგოთ თავისუფლების, განსხვავებულობის შიში, რასაც ეკლესია წარმატებით იყენებს მრევლის მისაზიდად. იგი თავისუფლების ინდივიდუალისტური გაგების ნაცვლად, კოლექტივისტურ კულტურას სთავაზობს ადამიანებს. ექსპერტების შეფასებით, ეკლესიის მიერ კოლექტივიზმის წახალისება იწვევს ყოველგვარი განსხვავებულობის მიუღებლობას და დიდ წინააღმდეგობას უქმნის ინდივიდუალისტური თავისუფლების კულტურას, რაც, ასე თუ ისე, დღევანდელ მართლმადიდებელ ეკლესიას ანტიდასავლურ ძალად აქცევს. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის შეფასებით, ეკლესიის მიერ დასავლეთის საწინააღმდეგო პროპაგანდას ერთვის პრორუსული ძალების მიერ რუსეთის ტრადიციების დამცველ ქვეყნად წარმოჩენა.

მოდერნიზაციის თანმხლები შიშების გააქტიურების ფონზე, განსაკუთრებით აქტუალური ხდება, მართლმადიდებლობის სახით, რუსეთთან საერთო მარკერის არსებობა. თეორეტიკოსთა აზრით, ხშირად ნაციონალიზმია რელიგიის წარმმართველი, და არა პირიქით. თუ, ერთი მხრივ, ტრანსნაციონალური რელიგიური სოლიდარობის შემთხვევები არსებობს, მეორე მხრივ, ზოგჯერ რელიგიურ სოლიდარობას არ შეუძლია შეაჩეროს ერთი სარწმუნოების ხალხებს შორის

კონფლიქტები, ამის მაგალითად სახელდება 2008 წლის ომი საქართველოსა და რუსეთს შორის, როდესაც ამ ორი მართლმადიდებელი ქვეყნის პატრიარქებმა ვერ შეძლეს კონფლიქტის თავიდან აცილება (Loizides, 2009). როგორც ფოკუს ჯგუფებმა გვიჩვენა, მიუხედავად რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციისა, რელიგიური ფაქტორი მაინც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რუსეთის მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებას. ახალგაზრდა რესპონდენტების (18-30) უმრავლესობა ფიქრობს, რომ რუსეთთან სიახლოვეს ბევრი ქართველისთვის რუსეთის ერთმორწმუნეობა განაპირობებს.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპონდენტების უმრავლესობა ერთმორწმუნეობის არგუმენტს იყენებს, როგორც საზოგადოების სხვა ჯგუფებისთვის დამახასიათებელს და თვითონ ამ არგუმენტისგან დისტანცირდება. უფროს თაობაში რამდენიმე რესპონდენტის მიერ გამოითქვა კრიტიკული მოსაზრებები რუსეთთან სარწმუნოებრივ თანხვედრასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი რესპონდეტი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავად რუსების რელიგიურობას:

> *„გარდა მართლმადიდებლობისა არაფერი გვაქვს საერთო და მართლმადიდებელი რუსი მე ჯერ არ მინახავს. წმინდანები და საეკლესიო მოღვაწეები ჰყავთ, იქ რწმენა და ეკლესიური ცხოვრება არ არის მასიური“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55).*

ერთ-ერთი რესპონდენტი რუსეთს აღიქვამს, როგორც საქართველოსთვის ყველაზე ვერაგ და ფარისეველ მტერს, რომელიც მართლმადიდებლობის ნიღაბს არის ამოფარებული. მისი აზრით, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება შეუძლებელია „მეხუთე კოლონის“ გამო, რომელიც სულ სხვა მიმართულებით წარმართავს პროცესებს. ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლობა არ შეიძლება იყოს გამამართლებელი ასეთ სიტუაციაში:

> *„ვამბობთ, რომ მართლმადიდებელი ერია, მაგრამ არც რუსეთი მინდა და არც სხვა მართლმადიდებელი ერი, თუ ჩემი ქვეყნის ღირებულებებს ხელჰყოფს“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).*

რუსეთისადმი სიმპათიის ღიად გამოხატვის მხრივ საინტერესოა ამ კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსის მოსაზრება, რომელიც ქართული „პროდუქტიულობის“ კულმინაციად სწორედ საბჭოთა პერიოდის მიწურულს მიიჩნევს. მისი შეფასებით, გასული საუკუნის 60-70-80-იან წლებში ქართული ლიტერატურის, სპორტისა და მეცნიერების წარმომადგენლებმა განსაკუთრებული სიმაღლეები დაიპყრეს. ამის საწინააღმდეგოდ, იგივე რესპონდენტი

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების შემდგომ პერიოდს დეგრადაციის დაწყების ხანად მოიხსენიებს, რის მიზეზადაც მერკანტილური ინტერესების ეროვნულ ინტერესებზე გაბატონება მიაჩნია. სწორედ იგივე მოსაზრებას იზიარებს კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეკლესიის წარმომადგენლიც:

> *„25 წელია თავისუფლები ვართ, რომელი ქართული კულტურა და მეცნიერება აღორძინდა ამ 25 წლის განმავლობაში, აღორძინდა, რომელსაც ფესვები არ ჰქონდა იქეთ წარსულში. ყველა, რომელიც არსებობს დღეს, ფესვები ჰქონდა წარსულში და მე-19-20 საუკუნეში, მე-19-ში დაიწყო ლიტერატურით და მე-20 საუკუნეში მეცნიერებით, ლიტერატურით, კულტურით, სპორტით, საოცარი აღორძინება ჰქონდა საქართველოს, აბა გავიხსენოთ: ჯერ მარტო რა ფეხბურთის გუნდი გვყავდა, გადავჯიშდით ქართველები თუ სად წავიდა ეს ნიჭიერება, რატომ ვერ შევქმენით ერთი გუნდი მაინც? (...) მე კითხვა მაქვს: კარგი, ის საშინელი, ოკუპანტი, დაგვაქცია, გაგვაუბედურა, იმ პერიოდში ქართველ ერში ამდენი რამე შეიქმნა კულტურის თვალსაზრისით, სპორტის თვალსაზრისით, მეცნიერების თვალსაზრისით, რელიგიური თვალსაზრისით, სულიერი თვალსაზრისით. მე კითხვა მაქვს: 25 წელია ვართ თავისუფლები, რატომ არაფერი გავაკეთეთ?“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი)*

ეკლესიის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ დასავლეთმა უკვე გაფლანგა მის მიმართ არსებული ნდობა, ხოლო რუსეთისადმი აგრესია თანდათან იკლებს:

> *„საქართველოში საბჭოეთის დანგრევის შემდეგ იყო ძალიან მკვეთრი ანტირუსული განწყობები და ძალიან სიმპატიით ვიყავით განწყობილი დასავლეთის მიმართ, მაგრამ მას შემდეგ რაც დაიწყო დასავლეთიდან ამ უზნეობის ტირაჟირება, მე არ ვიცი ამას ვინ აკეთებს, როგორ აკეთებს და რა მიზნით, ამან ნელ-ნელა შეასუსტა რუსეთისადმი სიძულვილი და გააძლიერა შიში დასავლეთისადმი. ადრე თუ რუსოფობია იყო, ახლა დასავლოფობიაა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული პოლიტიკოსები საუბრობენ იმაზე, რომ პოლიტიკის სფეროში ამჟამად მეტ-ნაკლებობაა და არა აბსოლუტიზმი, შესაბამისად ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალის ყველა წევრი 100%-ით ეთნიკურ, ან სამოქალაქო

ნაციონალიზმს იზიარებს. მიუხედავად ამისა, ეთნონაციონალისტური დისკურსის აქტორებს უფრო მეტად მიეწერებათ დასავლეთისადმი ნეგატიური და რუსეთისადმი ლოიალური განწყობილება. ერთ-ერთი პოლიტიკოსის აზრით, რუსეთი სარწმუნოებრივ თანხვედრას სათავისოდ იყენებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის დემონიზებას უკავშირდება. რუსეთისა და პრორუსული ძალებისთვის დასავლეთი მართლმადიდებლობის დაკარგვის საფრთხესთან ასოცირდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ნაციონალიზმის დახასიათებისას ექსპერტები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებენ მის ეთნიკურ მახასიათებლებზე და ამავდროულად საუბრობენ სამოქალაქო ნაციონალიზმის თანამდევი ღირებულებების სიმცირეზე ან არარსებობაზე. ისინი ეკლესიას მიიჩნევენ ფაქტორად, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ნაციონალიზმის არსებულ ტიპს და აფერხებს სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას.

სიღრმისეული ინტერვიუების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთმიმართებას ცვალებადი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ, კონტექსტის მიუხედავად, ხელისუფლება, გარკვეული მიზეზის გამო, ყოველთვის თავს არიდებდა ეკლესიასთან დაპირისპირებას. შედეგად, ეკლესია დღეს უკვე გვევლინება, როგორც სოციალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით, ძლიერ, გავლენიან ინსტიტუტად.

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ჯერჯერობით რთულია ქართული ეროვნული იდენტობის სახის ზუსტი განსაზღვრა, რადგან იგი ფორმირების პროცესში იმყოფება. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ მოცემულ ეტაპზე ნაციონალური იდენტობა მხოლოდ ერთი რომელიმე ინსტიტუტის, თუნდაც ეკლესიის, გავლენას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია, როგორც ნაციონალური იდენტობის მახასიათებელი თანდათან სულ უფრო და უფრო ძლიერდება, პარალელურად იზრდება ალტერნატიული დისკურსების რაოდენობაც, რაც თანამედროვე პროცესების თანამდევი მოვლენაა.

3.2. თანამედროვე ქართველი საზოგადოება

3.2.1. საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა

წინამდებარე კვლევის სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული ექსპერტების მიერ ქართულ ეროვნულ იდენტობაზე გავლენის მომხდენ თანამედროვე საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინსტიტუტებად დასახელდა: პოლიტიკური სისტემა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მედია, საგანმანათლებლო სფერო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ზემოხსენებულ ინსტიტუტებთან დაკავშირებით საინტერესო შედეგები მოგვცა ამავე კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმაც.

კვლევის გარკვეულ ეტაპზე სწორედ ექსპერტებისა და ფოკუს ჯგუფების მონაცემების არსებობამ გადაგვაწყვეტინა სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება იმ ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, რომლებიც მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენენ ეროვნული იდენტობის ამა თუ იმ მახასიათებელზე. ინტერვიუებში აქტორები თავად განსაზღვრავენ მათ გავლენას ნაციონალური იდენტობისა და საზოგადოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესზე, თავად აფასებენ მათდამი საზოგადოების ნდობის ხარისხს და, ამავდროულად, ცდილობენ წარმოაჩინონ მათ წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები.

პოლიტიკური სისტემის შეფასება ექსპერტების მიერ

2015 წელს ჩატარებული კავკასიის ბარომეტრის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში მოსახლეობის ნდობა პოლიტიკური სისტემის მიმართ საკმაოდ დაბალია. ქვეყნის პარლამენტს სრულიად ენდობა მხოლოდ გამოკითხულთა 4 პროცენტი, გარკვეულწილად ენდობა 12%, შუალედური პოზიცია (არც უნდობლობა და არც ნდობა) აქვს 39%-ს, ნაწილობრივ არ ენდობა 19%, ხოლო სრულიად არ ენდობა 18%. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, მათ სრულიად ენდობა გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 2 %, გარკვეულწილად ენდობა 6 %, შუალედურ პოზიციას (არც უნდობლობას, არც ნდობას) აფიქსირებს 40 %, ნაწილობრივ არ ენდობა 21%, ხოლო სრულიად არ ენდობა 20 %. მონაცემებიდან ჩანს, რომ, როგორც პარლამენტის, ასევე პოლიტიკური სპექტრის მიმართ ძალიან მაღალია უნდობლო-

ბის (ნაწილობრივი და სრული) მაჩვენებელი (CRRC. „კავკასიის ბარომეტრი, 2015).

პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის საკითხთან დაკავშირებით, კავკასიის ბარომეტრის აღნიშნულ მონაცემებს ემთხვევა წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებისა და ქართულ ნაციონალურ იდენტობაზე გავლენის მქონე აქტორების შეფასება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა პოლიტიკური აპათიის, ნიჰილიზმის სახეს იღებს, რაც უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს ჩამოყალიბება-წინსვლის პროცესზე. გამოკითხული ექსპერტების აზრით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები, მთლიანად პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განვითარებული, შესაბამისად, ნაციონალური იდენტობის მახასიათებლებზე მათი გავლენა სუსტია. სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლის აზრით, საქართველოს მოსახლეობა სახელმწიფოს უყურებს, როგორც გარკვეულ ფორმალობას და მისდამი ნდობა მინიმალურია. აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსთა ინიციატივებიც ხშირად აღიქმება როგორც საერთაშორისო აქტორების მიერ თავსმოხვეული რამ და მისი აღსრულება ან არ მოხდება, ან მოხდება მხოლოდ ფორმალურ დონეზე.

> *„როდესაც სახელმწიფო ამბობს, ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, ხალხი ფიქრობს: იმათ დაგვავალეს (იგულისხმება ევროპა) და იმიტომ, თორემ ხომ ვიცით, რომ თქვენც არ გინდათ. ეს ცინიკური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირიდან მოდის. როცა იცი, რომ უფროსი გყავს სადღაც გარეთ და იმის დავალებების რაღაც ნაწილს ასრულებ ფორმალურად და ყველანი შეთანხმებულები ხართ. და არსებობს ხალტურის იდეა: მიდი გავაკეთოთ, ოღონდ ცუდად“. (სიღრმისეული ინტერვიუ, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი)*

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებში ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს პრორუსულ პოლიტიკურ ჯგუფებზეც. ექსპერტები ხედავენ ერთგვარ ბმას ულტრანაციონალიზმსა და პრორუსულობას შორის. მათი აზრით, იზოლაციონიზმისკენ მიდრეკილი ნაციონალიზმი რაღაც მომენტში პრორუსულობად ითარგმნა და, მათი შეფასებით, იმ პოლიტიკური ჯგუფებისა და ლიდერების უმრავლესობას, რომლებიც ქვეყნის კარჩაკეტილობისკენ

მიმართულ ნაციონალისტურ იდეებს ქადაგებენ, მართლაც ახასიათებთ პრორუსული პოზიცია ან კომუნისტური ძირები.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები პოლიტიკურ აქტორებს აკრიტიკებენ მოკლევადიან პერსპექტივაზე გათვლილი მათი ნაბიჯების გამო. ექსპერტთა აზრით, დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში არ ჩანს გრძელვადიანი გეგმები, არ არსებობს სახელმწიფოს მშენებლობის გააზრებული ხედვა, რაც ყველაზე მეტად ვნებს ქართულ სახელმწიფოებრიობას. ისინი საუბრობენ ასევე პოლიტიკურ სფეროში საერთო, სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულებელყოფაზე. მათი შეფასებით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს საერთო სიკეთის (common good) გაგება.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დამოკიდებულება პოლიტიკური სისტემისადმი

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა პოლიტიკას აღიქვამს საზოგადოების გამყოფ ფაქტორად და თვალსაჩინოა რესპონდენტების უნდობლობა პოლიტიკოსთა მიმართ. იმედგაცრუებისა და უკმაყოფილების ძირითად მიზეზად სახელდება მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და მასობრივი უმუშევრობა. რესპონდენტების აზრით, არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფონზე მეორეხარისხოვნად აღიქმება ის ღირებულებები, რომლებიც ნაციონალურ იდენტობას უნდა წარმართავდნენ.

ახალგაზრდა რესპონდენტების (18-30) აზრით, პოლიტიკისადმი ადამიანთა დამოკიდებულება საზოგადოების ორად გახლეჩას იწვევს და, მართალია, ზოგ შემთხვევაში ქართველი საზოგადოება პოლიტიკური ღირებულებების გარშემო ერთიანდება, მაგრამ, სოლიდარობის ნაცვლად, ადამიანების შეკავშირებას მოწინააღმდეგე ჯგუფისადმი სიძულვილი უფრო განაპირობებს. ახალგაზრდები ერთმანეთთან აკავშირებენ პოლიტიკურ აქტივობასა და ეკონომიკურ ფაქტორს. მათი შეფასებით, არჩევნებში მონაწილეობას და რომელიმე პოლიტიკური სუბიექტისთვის ხმის მიცემას იმის მოლოდინი განსაზღვრავს, რომ ახალი პოლიტიკური ძალა მატერიალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. 31-45 ასაკის რესპონდენტებიც მიიჩნევენ, რომ ქართველი საზოგადოება, დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, იხლიჩება და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები დაპირისპირებას იწვევს. რესპონდენტები აკრიტიკებენ მთავრობის პო-

ლიტიკას, რომელიც, მათი აზრით, უმუშევრობასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. 31-45 ასაკის რესპონდენტები მთავრობის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავენ ასევე იმის გამო, რომ ის ხელს უწყობს რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებს, რითიც ილახება მართლმადიდებელთა უფლებები. ფოკუს ჯგუფების შედეგების თანახმად, ევროპასთან ინტეგრაცია და დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანების სურვილი ხშირად თავსმოხვეულად აღიქმება. საშუალო ასაკის რესპონდენტები ევროპული ღირებულებების შემოდინებაში საფრთხეს ხედავენ, ამ ღირებულებების შემომტანად კი პოლიტიკურ ელიტას მიიჩნევენ. 46-55 წლის რესპონდენტები წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ საქართველოს არ ჰყავს „ეროვნული მთავრობა“, რომელიც შეძლებდა დასავლეთიდან ასეთ ღირებულებათა ექსპანსიის წინააღმდეგ ქმედითი პოლიტიკის განხორციელებას. ამ ასაკობრივ კატეგორიაშიც პოლიტიკა სახელდება, როგორც გამყოფი ღირებულება და რესპონდენტების აზრით, საზოგადოება დაყოფილია ხელისუფლებისა და ოპოზიციის მომხრეებად. 46-55 ასაკის რესპონდენტთა შეფასებით, ქვეყანა უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია, რაზეც პასუხისმგებლობა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას უნდა დაეკისროს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ „ჭეშმარიტი“, ეთნო-კულტურული ტიპის ღირებულებების გაუფასურებას სწორედ ასეთი მდგომარეობა იწვევს. 56+ ასაკის რესპონდენტებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ პოლიტიკური სიტუაციის გამო. მათი თვალსაზრისით, დღეს არსებული ორპარტიული დაპირისპირება საზოგადოების პოლარიზაციას და ორად გაყოფას იწვევს. ამ ასაკობრივ ჯგუფშიც ერთმანეთს უკავშირებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობას.

პოლიტიკური სისტემის შეფასება პოლიტიკოსთა მიერ

პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების უნდობლობის შესახებ საუბრობენ ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსებიც. მათი აზრით, საზოგადოება დაღლილი და იმედგაცრუებულია პოლიტიკით. ზოგიერთი რესპონდენტის თანახმად, ნდობის დეფიციტი აიხსნება იმით, რომ საზოგადოებამ დღემდე ვერ ნახა პასუხისმგებლობის მქონე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური ძალა, რომელიც რეალურად გამოასწორებდა ვითარებას.
პოლიტიკოსთა განმარტებით, საზოგადოების ღირებულებათა ჩამოყალიბებისა თუ ცვლილების თვალსაზრისით, პოლიტიკური დისკურსი

ზემოქმედებას ახდენს იმ ადამიანთა შეხედულებებზე, რომლებიც აქტიურ მხარდაჭერას გამოხატავენ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ, ხოლო ვინც ნაკლებად არის დაინტერესებული პოლიტიკით, მათზე პოლიტიკური სპექტრის გავლენა თითქმის არ ვრცელდება.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსის დაკვირვებით, პოლიტიკური პარტიების გავლენის განსასაზღვრად კარგი ინდიკატორია ზოგადი წინასაარჩევნო კვლევები და ასევე პარტიათა რეიტინგები. სხვა რესპონდენტი (პოლიტიკოსი), სწორედ წინასაარჩევნო კვლევის მონაცემთა საფუძველზე აცხადებს, რომ იმ ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას მისცემენ ხმას საპარლამენტო არჩევნებში, ადასტურებს მოსახლეობის იმედგაცრუებასა და უიმედობას. ერთ-ერთი გამოკითხული პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ დღევანდელი ქართული პოლიტიკური დისკურსი კონფლიქტურ ტენდენციებს აღვივებს და აუცილებელია მისი შეცვლა:

> *„პოლიტიკური დისკურსი საქართველოში არის იმდენად მე ვიტყოდი, მდაბიო, იმდენად სიძულვილის ენით გამსჭვალული და იმდენად წინააღმდეგობრივი, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებითაც კი ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკურ კონსოლიდირებას, ამიტომ დღევანდელი პოლიტიკური დისკურსი აბსოლუტურად მიუღებელია, მიუხედავად იმისა, რომ მეც ამ დისკურსის ნაწილი ვარ“ (სილრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი)*

გამოკითხული პოლიტიკოსების შეფასებით, პოლიტიკური სპექტრისადმი საზოგადოების მინიმალური ნდობის მიუხედავად, პოლიტიკას მაინც აქვს გარკვეული გავლენა ეროვნულ ღირებულებათა ჩამოყალიბების პროცესზე. თუმცა, აღნიშნულ პოლიტიკოსთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ელიტა, საზოგადოებრივი აზრის შექმნის ნაცვლად, ცდილობს თვითონ მოერგოს და დაეყრდნოს მას. შესაბამისად, პოლიტიკოსთა თვალსაზრისით, მართალია, პოლიტიკური პარტიები გარკვეულ გავლენას ახდენენ საზოგადოების ღირებულებებისა თუ ხედვების ჩამოყალიბებაზე, მაგრამ გაცილებით უფრო ძლიერია უკუპროცესი – მოსახლეობაში არსებული ღირებულებები და ხედვები, მათ შორის, მცდარიც, ხშირად აისახება პოლიტიკური ძალების განცხადებებსა თუ პროგრამებში, რაც, ჩვეულებრივ, არჩევნებში გამარჯვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის სურვილით არის განპირობებული. რესპონდენტთა შეფასებით,

ამგვარი ვითარება, ზოგადად, ქართული პოლიტიკის ჩამორჩენილობაზე მეტყველებს:

> *„პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტიკურ ჯგუფებს ნაკლებად აქვს იმის სურვილი, რომ საკუთარი ღირებულებები, რისიც მათ სჯერათ და თუკი გააჩნიათ მსგავსი საერთოდ, ეს ღირებულებები და ხედვები აუხსნან ელექტორატს და გააგებინონ რას გულისხმობს საერთოდ და რატომ არის ესა თუ ის ხედვა სწორი. საქართველოში და საქართველოს მსგავს ქვეყნებში, პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები, ფოკუსირებულები არიან იმაზე, ხალხში რა განცდები და რა ღირებულებები, რა ხედვები არსებობს, რომ იმას მოერგონ თავადაც რამენაირად“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

ერთ-ერთი გამოკითხული პოლიტიკოსი პრობლემად მიიჩნევს თავად პოლიტიკოსთა პრინციპების შეუთავსებლობას იმ ღირებულებებთან, რომლებსაც ისინი უნდა ამკვიდრებდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითად რესპონდენტს მიაჩნია ანტიდისკრიმინაციული კანონი (მიღებულია 2014 წელს), რომელმაც პარლამენტის უმრავლესობის მიერ ოფიციალური მხარდაჭერის მიუხედავად, საზოგადოებრივი აზრი ვერ შეცვალა, რადგან, რეალურად, თავად მრავალი პარლამენტარი არ იზიარებს ამ კანონის სულისკვეთებას. სხვა პოლიტიკოსი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას ეპოქალურ მოვლენად მიიჩნევს, რადგან, მისი აზრით, ამ კანონის მიღება ვერ მოხდებოდა რეფერენდუმის გზით, ამ შემთხვევაში კი პარლამენტმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, ანუ იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებრივ აზრს მორგებოდა, პირიქით, თავად შექმნა ახალი რეალობა:

> *„შენ იმიტომ ხარ სახელმწიფო მოღვაწე, შენ იმიტომ ხარ საჯარო მოხელე, შენ იმიტომ ხარ გადაწყვეტილებების და კანონების მიმღები, რომ შენ რაღაც მომენტში უნდა გადაწყვიტო ეს და თუნდაც საზოგადოებრივი აზრი განაწყო ამისკენ და არა პირიქით. შენ უნდა აიღო პასუხისმგებლობა ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით, სხვანაირად ქვეყანა არ შენდება“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

ერთ-ერთი გამოკითხული პოლიტიკოსი განმარტავს, რომ ქართულ პოლიტიკაში ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული თემებით გაუკუღმართებულად მანიპულირებენ ისეთი ძალები, რომლებიც სინამდვილეში უპირისპირდებიან ეროვნულ იდენტობასა და თვითმყოფადობას. აღნიშნული პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ რუსეთი ცდილობს

გამოიყენოს მართლმადიდებლობის ფაქტორი და გამოიგონოს ცრუ-საფრთხეები, რომლებიც დასავლეთთთან ინტეგრაციის გზაზე შეიძლება თითქოსდა დაემუქროს საქართველოს მოსახლეობას, მაგალითად, სარწმუნოების ან სექსუალური ორიენტაციის თვალსაზრისით. სწორედ ამ ცრუსაფრთხეებით მანიპულირებენ ის ქართული პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ღიად ასოცირდებიან რუსეთთან. გამოკითხული პოლიტიკოსის დასკვნით, დასავლეთი და დასავლური ცივილიზაცია არის ის ადგილი, სადაც ქართულ თვითმყოფადობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება და ქართულ კულტურასა და ეროვნულ იდენტობას უფრო მეტი დაფასება ექნება, ვიდრე იმ სივრცეში, საითაც პრორუსული ძალები უბიძგებენ საქართველოს. საყურადღებოა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთაგან ის პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც ევროპის მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილი, საარჩევნო დაპირების სახით, ერთგვარ „ჰიბრიდულ ნაზავს“ იყენებენ:

> *„ევროპული ფორმა და ქართული ეროვნული შინაარსი – ეს არის ის მოცემულობა, რომლითაც ჩვენ აუცილებლად მოვიპოვებთ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილის მხარდაჭერას მომავალ პოლტიკურ ბრძოლაში, არჩევნებს ვგულისხმობ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსები, იმ აქტორებიდან, რომლებთანაც პარტნიორობა უწევეთ, გამოყოფენ მედიას და არასამთავრობო სექტორს. პოლიტიკოსთა შეფასებით, მედია მათთან თანამშრომლობს იმდენად, რამდენადაც სატელევიზიო ეთერის დიდი ნაწილი სწორედ მათ მიერ არის ათვისებული, ხოლო არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითად ერთ-ერთი პოლიტიკოსი ასახელებს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის მიერ „ცხოველთა უფლებების“ დაცვის შესახებ კანონპროექტის მომზადებას:

> *„ეს ძალიან ევროპული კანონპროექტი მივიღეთ და ის იქცევა ალბათ კანონად, მაგრამ ეს არის ცალკეული „ენჯიოების“ აქტივისტებისა და პარლამენტარების თანამშრომლობის შედეგი და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ეს იმოქმედებს იმიტომ, რომ ვიღაც მაინც რომ მოაწყობს გარდაბანში მამლების ან ძაღლების ჩხუბს, პოლიცია თვალს დაუხუჭავს, თუმცა კანონი გვექნება, რომ ისინი უკანონოდ იქცევიან. ახლა კანონიც კი არ გვაქვს, რომ ისინი უკანონოდ იქცევიან“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

რაც შეეხება პოლიტიკასთან დაპირისპირებულ საზოგადოებრივ ინსტიტუტს, სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსის მიერ დასახელდა ეკლესია. თუმცა, იგი მიიჩნევს, რომ ეკლესიის გავლენა ზედაპირულია და ეკლესისადმი ნდობის მაღალი ხარისხი მეტწილად განპირობებულია ადამიანების მოთხოვნილებით, იპოვონ რაიმე მყარი საფუძველი დინამიკურ და მერყევ პოლიტიკურ გარემოში. წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსი მიუღებლად მიიჩნევს პოლიტიკოსთა მისწრაფებას, შექმნან საზოგადოებრივი ცნობიერება მორალის სფეროში. რესპონდენტის აზრით, მორალი არ უნდა იყო პოლიტიკოსების საზრუნავი და დაუშვებელია პოლიტიკური და ზნეობრივი საკითხების ერთმანეთში აღრევა:

> *„პოლიტიკოსები ცდილობენ, რომ გახდნენ ზნეობის მოდარაჯენი, ეკლესიის ფუნქციას იღებენ, მაშინ, როცა მათი ამოცანაა, იცავდნენ ადამიანს, ისინი იცავენ ღმერთს ადამიანისგან, ისინი იცავენ ეკლესიას ადამიანისგან“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

რაც შეეხება პოლიტიკური აქტორების წინაშე დღესდღეობით არსებულ გამოწვევებს, გამოკითხული პოლიტიკოსების მიერ უმთავრეს პრიორიტეტად განათლება დასახელდა.

ეკლესია ექსპერტების პერსპექტივიდან

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხულმა თითქმის ყველა ექსპერტმა ნაციონალურ იდენტობაზე გავლენის მომხდენ აქტორთა შორის დღესდღეობით ყველაზე ძლიერ ინსტიტუტად ეკლესია დაასახელა. ეკლესიის სიძლიერე ეფუძნება მის მიმართ საზოგადოების ნდობას. საქართველოს მოსახლეობის 81% თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს (CRRC. „კავკასიის ბარომეტრი, 2013). 2015 წლის კავკასიის ბარომეტრის რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, რელიგიურ ინსტიტუტს, რომელსაც რესპონდენტები მიეკუთვნებიან: სრულიად ენდობა 46%, გარკვეულწილად ენდობა 34%, არც ნდობა აქვს და არც უნდობლობა 14%-ს, გარკვეულწილად არ ენდობა 2% და სრულიად არ ენდობა მხოლოდ 1% (CRRC. „კავკასიის ბარომეტრი, 2015). როგორც რაოდენობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რელიგიური ინსტიტუტის მიმართ ნდობის ჯამური მაჩვენებელი (პასუხები: სრულიად ვენდობი, გარკვეულწილად ვენდობი) 80%-ია, ხოლო უნდობლობის ჯამური მაჩვენებელი (პასუხები: გარკვეულ-

წილად არ ვენდობი, სრულიად არ ვენდობი) – მხოლოდ 3%.

ეკლესის მიმართ არსებული ნდობის შესახებ ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების მოსაზრებები, ძირითადად, ემთხვევა კავკასიის ბარომეტრის რაოდენობრივ მონაცემებს. ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად ყველაზე დიდი საზოგადოებრივი ნდობა ეკლესიას აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე ყველაზე დიდ გავლენას სწორედ ეს ინსტიტუტი ახდენს. გარდა ამისა, ნდობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ფიგურად განიხილება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II:

> *„თანამედროვე საქართველოში, ამ მხრივ ყველაზე მეტად აქტიურია ის, ვისაც მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს, როგორც თავის სულიერ წინამძღოლს, არა მაინცდამაინც ინდივიდის სახით, თუმცა ეს ინდივიდიც დიდ როლს ასრულებს, არამედ ინსტიტუციაც მთლიანობაში“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ჩვენ მიერ გამოკითხული ექსპერტები, საპატრიარქოსა და პატრიარქის მიმართ საზოგადოების დიდი ნდობის მიზეზად, მოდერნიზაციისთვის დამახასიათებელ რყევებს ასახელებენ. მათი აზრით, სწორედ ცვალებადობისადმი და გაურკვევლობისადმი შიში აიძულებს ადამიანებს ისეთი საყრდენის ძიებას, რომლებიც სიმყარესთან და უცვლელობასთან ასოცირდება. ექსპერტთა განმარტებით, ადამიანები, ერთი მხრივ, ხედავენ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ ცვლილებების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, ხოლო, მეორე მხრივ, – ეკლესიას, რომელიც ამ ცვლილებათა შემაფერხებლ და ტრადიციების დამცველ ინსტიტუტს წარმოადგენს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეკლესიის, როგორც ძლიერი ავტორიტეტის ჩამოყალიბება დაიწყო 1990-იან წლებში, იმ ფონზე, როდესაც თითქმის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტის ავტორიტეტი დაეცა მათზე დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობის გამო.

ექსპერტთა თვალსაზრისით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ საზოგადოების ლოიალურობა აიხსნება არა რელიგიური და სულიერი კანონზომიერებებით, არამედ უფრო პოლიტიკური ფაქტორით – დღესდღეობით მართლმადიდებლობა იგივდება ეროვნულობასთან, პატრიოტიზმთან და, უპირველესად, სწორედ ეს განაპირობებს ეკლესიის დაწინაურებას.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების აზრით,

მართლმადიდებელი ეკლესიის ნარატივი, რომელიც საქართველოს გაბრწყინებასა და მესიანიზმს გულისხმობს, მართლმადიდებლობას წარმოაჩენს ექსკლუზიურ, გამორჩეულ აღმსარებლობად, რითაც საფრთხეს უქმნის უფრო ინკლუზიური და საყოველთაო სამოქალაქო ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებას. ექსპერტების შეფასებით, რელიგიურობის ის აღქმა, რომელიც უმრავლესობას აქვს, საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად უნდა ჩაითვალოს, რადგან განსხვავებული ჯგუფების ექსკლუზიას ახდენს.

ეკლესიის სიძლიერის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელდა სახელმწიფოს მიერ ამ ინსტიტუტის დიდი თანხებით დაფინანსება. გამოკითხულთაგან უკლებლივ ყველა ექსპერტი მიიჩნევს, რომ დაფინანსების არსებული ფორმა მცდარია და გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს. თუმცა, ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯების გადადგმისთვის მზადყოფნას დღევანდელ პოლიტიკურ ელიტაში ვერ ხედავენ.

ეკლესია ფოკუს ჯგუფების რესპონდენტთა პერსპექტივიდან

ახალგაზრდა (18-30) რესპონდენტების აზრით, სარწმუნოება არის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება, რომლის გარშემოც საზოგადოება უნდა გაერთიანდეს, მაგრამ დღევანდელ ეტაპზე ზოგჯერ ის ღირებულებათა კონფლიქტთან ასოცირდება, როცა საზოგადოება მორწმუნეებად და ურწმუნოებად იყოფა. ახალგაზრდების აზრით, კონფლიქტის თვალსაჩინო გამოხატულებაა 2013 წლის 17 მაისი, როდესაც გარკვეული სასულიერო პირებისა და მათი მრევლის პროტესტმა აგრესიული ფორმა მიიღო. 17 მაისს განვითარებული მოვლენების შესახებ საუბრისას, 18-30 ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტები ნეგატიურად აფასებენ კონკრეტული სასულიერო პირების ქცევას, რადგან მიუღებლად მიაჩნიათ ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ ძალადობისა და აგრესიის გამოვლენა. უფრო ასაკოვანი თაობის (31-45) რესპონდენტები ეკლესიას მიიჩნევენ ინსტიტუტად, რომელიც საქართველოს ეროვნული სახის შენარჩუნებაზე ზრუნავს და, მათი აზრით, ეკლესია სწორედ ამ ფუნქციას უნდა ასრულებდეს. უფროსი თაობის (46+) რესპონდენტებისთვის მართლმადიდებლობა, ეკლესიაში სიარული და ქართველი წმინდანების მოწამეობრივი ისტორიები სიამაყის საფუძველია.

ეკლესიის წარმომადგენლის პოზიცია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეკლესიის წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც ეკლესიაზე, როგორც ინსტიტუტზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში ეკლესიას არ განვიხილავთ, როგორც ქრისტეს მისტიურ სხეულს, არამედ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც ასრულებს ე.წ. ბუფერის როლს ჭეშმარიტ ეკლესიას (მისტიურ სხეულსა) და გარე სამყაროს შორის. ეკლესიის წარმომადგენლის აზრით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უდიდესი გავლენა აქვს ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე. მისი შეფასებით, მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი ბიძგი მისცა ქართული კულტურის განვითარებას:

> *„ვინმეს შეუძლია დამისახელოს ქართულ კულტურაში ისეთი რამ, რაც ეკლესიის მიერ არ იყოს გამყარებული და მოცემული? და თუ რამეს იპოვით ასეთს, ეს იქნება წარმართული გადმონაშთი, რომელიც ამახინჯებს ჩვენს ყოფას დღესაც (...) მართლმადიდებლობა იყო ერთადერთი რამ საქართველოს ისტორიაში, რომელშიც ვითარდებოდა საკუთრივ ეროვნული კულტურა. ამიტომ ახლა როგორ ვხედავ და ეკლესიის გარეშე მე საქართველოს ვერ ვხედავ, ვერც ევროკავშირი და ვერც სხვა ისევე როგორც კომუნიზმი ვერ შექმნიდა ქართულ კულტურას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სასულიერო პირი არასამთავრობო სექტორის საქმიანობას „უზნეობის ანექსიას“ უწოდებს. იგი არაგონივრულ ნაბიჯად მიიჩნევს დასავლეთის მიერ საქართველოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციათა დაფინანსებას:

> *„მე რომ ვარ დასავლეთის მმართველი, ამ დონეზე არ მედარდება ჩემი მეგობარი საქართველო, რომ მივხვდე იქაურ ხალხს რა აწუხებს? ამ დონეზე არ მედარდება, რომ თუ ჩემი ვიღაც პატარ-პატარა ორგანიზაციები რაღაც არასამთავრობოებს აფინანსებენ და თუ ვხვდები, რომ იმათი აქტიურობა ამ თავისუფლებისმოყვარე ხალხს დასავლურ და ამერიკულ ფობიას უჩენს, იმ დონეზე არ მედარდება, რომ ეს არ ავლაგმო და გავაჩერო?“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი)*

სასულიერო პირთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ეკლესიის წინაშე არსებული უმთავრესი გამოწვევა არის, როგორც მრევლის, ასევე სასულიერო პირების გაუნათლებლობა. ეკლესიის წარმომად-

გენლის აზრით, მრევლს, უპირველესად, სწორედ ეკლესიამ უნდა მისცეს დადებითი მაგალითი.

მედია, ეროვნულ იდენტობაზე გავლენის მქონე აქტორთა და ექსპერტთა შეფასებით

კავკასიის ბარომეტრის რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხული რესპონდენტების 54 % მედიის მიმართ ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს (ანუ არც ენდობა და არც უნდობლობას უცხადებს). მედიას სრულიად ენდობა რესპონდენტთა მხოლოდ 4 %, გარკვეულწილად ენდობა 18 %, ნაწილობრივ არ ენდობა 10%, ხოლო სრულიად არ ენდობა 6 %. როგორც მონაცემებიდან ჩანს, მედიის მიმართ არც ნდობის და არც უნდობლობის მაჩვენებელი არ არის ისეთი მკვეთრი, როგორიც პოლიტიკური პარტიების ან ეკლესიის შემთხვევაში დაფიქსირდა (CRRC. „კავკასიის ბარომეტრი, 2015).

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტთა აზრით, რომ არა მედია, შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი თვითაღქმის სწრაფი შეცვლა. ისინი მიესალმებიან მედიის მრავალფეროვნებას და მიიჩნევენ, რომ მედიაპლურალიზმი ხელს უწყობს განსხვავებული ხედვებისა და ღირებულებების მიღებას:

> *„ჩვენი საზოგადოება იწყებს დაკვირვებას, რომ ადამიანები განსხვავდებიან, რომ ყველას ერთნაირი ცხოვრების წესი შეიძლება არ ჰქონდეს და ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული აზრი და განსხვავებული ღირებულებები და ასევე გენდერულ როლებზე ან ძალადობასთან დაკავშირებული წარმოდგენები ძალიან სწრაფად და დინამიურად იცვლება და ამას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს მედია“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი პოლიტიკურ პარტიებს ცალკეულ მედიასაშუალებებს უკავშირებს და მიიჩნევს, რომ დღის წესრიგებს არსებითად პოლიტიკური პარტიები და მათი მედიები ქმნიან და სოციალური ჯგუფებისთვის, აქტივისტთა ჯგუფებისთვის მედიაზე ზემოქმედება რთულია. იგი აკრიტიკებს მედიას სოციალური საკითხების პოლიტიზების გამო. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მედიას ადანაშაულებს ასევე არაპოპულარული თემების არასათანადოდ, რიგ შემთხვევებში კი, მიკერძოებულად გაშუქების გამო:

„იმის გამო, რომ წინასაარჩევნო პერიოდი იყო (იგულისხმება 2013 წლის 17 მაისი), ყველაზე კრიტიკულმა ოპოზიციურმა ტელევიზიებმაც მეინსტრიმ გადაცემებში არ გაუშვეს 17 მაისის ამბავი, ან გაუშვეს, რომ ეკლესია აღნიშნავდა ოჯახის სიწმინდის დღეს და კონტექსტი რაც ამ ამბავს ჰქონდა, 2013 წლის მაისის ამბები, საერთოდ არ გააშუქეს. ამდენად, ძალიან კარგად ჩანს რამდენად პოლიტიზირებულია მედია და კონკრეტული პარტიული ინტერესების გამტარი რიგ შემთხვევებში" (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი პრობლემად მიიჩნევს იმას, რომ მედიის მეშვეობით უცხოეთის სიახლეები მხოლოდ უარყოფითი თვალსაზრისით შუქდება, ანუ სიუჟეტები კეთდება იმის შესახებ, თუ რა ცუდი ამბები ხდება მსოფლიოში. რესპონდენტის აზრით, ასეთი მიდგომის გამო, მაყურებლებს ექმნებათ შთაბაჭედილება, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დადებით მოვლენებს არც უნდა ელოდონ, რაც მათ იზოლაციონიზმისკენ უბიძგებს.

გამოკითხული ექსპერტების აზრით, მედიამ უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს და უნდა გაზარდოს მათი ჩართულობა თავის გადაცემებში. ექსპერტების თანახმად, აუცილებელია ქართულენოვანი მედიის დაფარვის ზონის გაზრდა, რადგან ჯავახეთში და ქვემო ქართლში მცხოვრები ადამიანები, უმეტესად, რუსულენოვანი, სომხურენოვანი ან აზერბაიჯანულენოვანი მედიასივრცის მომხმარებლები არიან. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, მართალია, ამ საკითხების მოგვარებას დრო სჭირდება, მაგრამ ისინი ამ მიმართულებით ინტენსიურ მუშაობას ვერ ხედავენ.

მედია, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შეფასებით

ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში მედია, ძირითადად, ნაციონალური იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან ასოცირდება. რესპონდენტების აზრით, მედია ხელს უწყობს ასევე საზოგადოების გახლეჩას.

ერთ-ერთი ახალგაზრდა (18-30) რესპონდენტის თქმით, მედია არის აქტორი, რომელიც მცდარი ღირებულებების პროპაგანდას ეწევა. 31-45 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ

გაუკონტროლებელი ინფორმაციის მიწოდება შეიძლება ახალგაზრდა თაობის მრუდე გზით განვითარების საფუძველი გახდეს. ამ ასაკობრივმა ჯგუფმა მედია საზოგადოების გახლეჩის პროცესს დაუკავშირა. 46-55 ასაკის რესპონდენტების შეფასებით კი, ტელევიზია გაჯერებულია იაფფასიანი გადაცემებით, რაც ახალი თაობის ჩამოყალიბებაზე დამღუპველად მოქმედებს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი თაობისთვის მიუღებელია ლგბტ თემი, რომლის „აფიშირებაც" მედიის მუდმივ საქმიანობად იქცა. 46-55 ასაკობრივ კატეგორიაში მედიას მანიპულატორად აღიქვამენ და უარყოფითად აფასებენ ტელევიზიის მეშვეობით გლობალიზაციისადმი დადებითი განწყობის შექმნის მცდელობას. მათი აზრით, მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხშირად ეროვნული ღირებულებების საწინააღმდეგო ხასიათისაა და საფრთხეს უქმნის ახალი თაობის მართებული გზით განვითარებას:

> *„როგორც სახელმწიფოა შეუმდგარი, ასევეა საზოგადოებაც, რაც არ უნდა აქტიური იყო კომუნიკაციები ანტის გიქადაგებენ და მომავალი თაობა კიდევ როგორი იქნება კაცმა არ იცის. ეს ქართველობის მოსპობაა" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).*

56+ ასაკობრივ ჯგუფშიც რესპონდენტები აკრიტიკებენ სატელევიზიო არხებიდან წამოსულ ნეგატივს, „უზნეობასა" და „ანტიქართული ღირებულებების პროპაგანდას". რესპონდენტთა აზრით, მედია ხელს უწყობს ქართული ტრადიციებისა და ღირებულებების დაკარგვას, ასევე ადამიანებში სიძულვილისა და შურის გაღვივებას, რაც საზოგადოების გახლეჩის საწინდარია.

მედია, მედიაწარმომადგენლების შეფასებით

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული მედიაწარმომადგენლების თანახმად, დემოკრატიზაციის პროცესში მედიას საკვანძო როლი ენიჭება. როგორც ერთ-ერთი მედიაწარმომადგენელი განმარტავს, მედიამ, ერთი მხრივ, დაუმახინჯებლად, მიუკეროებლად უნდა წარმოაჩინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და, მეორე მხრივ, გარკვეული თვალსაზრისით, უნდა ახსნას კიდეც ეს პროცესები და, ამასთანავე, ხელი უნდა შეუწყოს პოზიტიური პროცესების განვითარებას. ამისთვის მედიამ უნდა შექმნას საინფორმაციო სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება მსჯელობა საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, რაც, თავის მხრივ, გაამარტივებს სახელმწი-

ფოებრივად მნიშვნელოვანი მიმართულებების განსაზღვრას:

> *„მედიამ უნდა შექმნას პლატფორმა იმისთვის, რომ მსჯელობები გაიმართოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ოღონდ ეს მსჯელობა უნდა იყოს, ბუნებრივია, საგნობრივი, ეს მსჯელობა არ უნდა დაემსგავსოს ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის უსაგნო კინკლაობას და ა.შ. უნდა გაჩნდეს აგორა იმისათვის, რომ ადამიანებმა მოითათბირონ, რა უნდათ. ჩვენ ხომ რეალურად არ გადაგვიწყვეტია რა გვინდა. არ გვითქვამს, რა ტიპის სახელმწიფოს ვაშენებთ, რა ურთიერთობები უნდა იყოს მოქალაქეებს შორის, რა ტიპის ურთიერთობები უნდა იყოს სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედია სფეროს წარმომადგენელი).*

მედიაწარმომადგენლების შეფასებით, ქართულ მედიას რთული გამოცდილება აქვს მიკერძოებულობის და პოლიტიკური დღის წესრიგის თვალსაზრისით. ერთ-ერთი გამოკითხული ჟურნალისტის აზრით, მედიასაშუალებები საქართველოში დღესაც მიკერძოებული არიან პოლიტიკური თუ ეკონომიკური ჯგუფების მიმართ, რაც მათ შესაბამისი ჯგუფების ინტერესთა ფარგლებში აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტი ამ პროცესში ვერ ხედავას ლეგიტიმურობის პრობლემას, მისი აზრით, საქართველოში არსებული პოლარიზაციის დიდი მასშტაბის გათვალისწინებით, სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფების წარმომადგენელი მედიასაშუალებების არსებობა ნეგატიურად აისახება მაყურებლების, პარტიებისა და თავად იმ მედიასაშუალებების ურთიერთობაზე, რომლებიც ამ ურთიერთსაპირისპირო „პოლუსებზე“ აღმოჩნდნენ.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი მედიაწარმომადგენელი ქართულ მედიას აკრიტიკებს იმის გამო, რომ ნეგატივი დღემდე რჩება ახალი ამბების ამოსავალ წერტილად. რესპონდენტის განმარტებით, კონსტრუქტივიზმი საქართველოში პოპულარული არ არის, თუმცა, დასავლურ მედიაში ასეთ მიდგომას დიდი ყურადღება ეთმობა:

> *„კონსტრუქტივიზმი არ გულისხმობს პროპაგანდას რაღაც მოვლენების, კონსტრუქტივიზმი გულისხმობს იმას, რომ შენ არ ერიდები პოზიტიური ტენდენციების გაშუქებას იმიტომ, რომ ისინი პოზიტიურები არიან“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედია სფეროს წარმომადგენელი).*

მედიაწარმომადგენლის შეფასებით, პოლიტიკური, სოციალური

და კულტურული მოვლენების მუდმივად ნეგატიურ კონტექსტში გაშუქებით მედია საზოგადოებას უქმნის სრული ნიჰილიზმის განცდას, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოებრივ პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხზე. რესპონდენტის მიერ მედიაში კონსტრუქტივისტული მიდგომის არარსებობის დაკავშირება საზოგადოების ნიჰილისტურ განწყობილებასთან განსაკუთრებით საყურადღებოა წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაცემთა განხილვის ფონზე, რომელიც ცხადყოფს მოსახლეობის იმედგაცრუებასა და უკმაყოფილებას, როგორც პოლიტიკური სპექტრის, ასევე მედიის მიმართ.

რაც შეეხება მედიისთვის პრიორიტეტულ თემებს, მედიაწარმომადგენელთა მიერ, უპირველესად, დასახელდა პოლიტიკა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ყურადღება გაამახვილა ასევე კულტურაზე, ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. დასახელდა აგრეთვე სპორტიც, როგორც ერის გამაერთიანებელი სფერო:

> *„მაგალითად, ეროვნული ნაკრების გულშემატკივრებს ეთნიკური ნიშანი არ გააჩნიათ, არც რელიგიური, ისინი ყველანი ერთად გულშემატკივრობენ გარკვეულ სპორტულ მოვლენას იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელ ქვეყანასაც ისინი წარმოადგენენ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედია სფეროს წარმომადგენელი).*

რაც შეეხება ახალ ამბებს, კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, საინფორმაციო გადაცემების სტრუქტურა ყოველთვის გულისხმობს სამ ძირითად მიმართულებას: პოლიტიკას, ეკონომიკასა და სოციალურ თემებს. მისი შეფასებით, დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, სოციალური თემები საზოგადოებისთვის ხშირად უფრო საინტერესოა, ვიდრე პოლიტიკური.

მედიის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, ისინი სამაუწყებლო ბადის შედგენისას, ძირითადად, მაყურებლის ინტერესებით ხელმძღვანელობენ:

> *„ის რაც აქტუალურია საზოგადოებაში, საბოლოო ჯამში, იმას აშუქებს მედია, თუმცა განვითარებულ მედიებში ზოგჯერ პირიქით ხდება. მედია ხდის აქტუალურს რაღაც მოვლენებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიაწარმომადგენელი).*

ერთ-ერთი გამოკითხული რესპონდენტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს

მედიის როლს საზოგადოებაში პროდასავლური ღირებულებების გავრცელება-დამკვიდრების თვალსაზრისით. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ მხრივ მისი ტელეარხის მიკერძოებულ პოზიციას:

> *„თუ ვიღაც გვეძახის ჩვენ, რომ ჩვენ ვართ ტენდენციურები, დიახ, ვართ ტენდენციურები იმ მიმართულებით, რომ ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა იმ სუბიექტებისა და იმ ხალხისთვის, ვინც თვლის, რომ საქართველოს მომავალი არის ევროპაში და ნატოში (...) ჩვენი სარედაქციო პოლიტიკა ვითარდება ისე, რომ მაქსიმალურად დავეხმაროთ, სახელმწიფოს, ამ კუთხით ჩვენ ვართ აბსოლუტურად მოკავშირეები თუნდაც მთავრობის და თუნდაც სახელმწიფოსი, რომ ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად გახდეს ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების წევრი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედია წარმომადგენელი).*

როგორც ერთ-ერთი გამოკითხული მედიაწარმომადგენელი განმარტავს, თავად მაყურებელი არის დაინტერესებული ემოციური თემებით, რაც ყურებადობის და რეიტინგის მიხედვით განისაზღვრება:

> *„როდესაც, მაგალითად, რაღაც მიღწევებზე ვსაუბრობთ, თუნდაც ქვეყნის აღმშენებლობა ან ასეთი თემები გვაქვს, მაშინ ეს ნაკლებად ყურებადია. დაკვირვებული ვარ, რომ, ძირითადად, ინტერესი უფრო არის ემოციური თემების მიმართ, რაც ხალხში ემოციას ტოვებს, იგივე კრიმინალი, იგივე სოციალური თემატიკა, ვინაიდან ძალიან ემოციური თემებია, ეს უფრო აქტუალურია და მაყურებლის მხრიდანაც მაღალი ყურებადობით გამოირჩევა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიაწარმომადგენელი).*

ერთ-ერთი გამოკითხული ჟურნალისტი იმედს გამოთქვამს, რომ მედიასაშუალებების ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდასთან ერთად სამომავლოდ გაიზრდება შემეცნებითი გადაცემების რაოდენობაც. სხვა ჟურნალისტი კი აღნიშნავს, რომ არხი, რომელსაც ის წარმოადგენს, უარს ამბობს ისეთი პროდუქციის შექმნაზე, რომელიც მოვლენების მხოლოდ ზედაპირულ გაშუქებას წარმოადგენს. რესპონდენტის თქმით, ყურადღება ექცევა სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარებასა და მაყურებლის ეთიკური და ესთეტიკური მსოფლმხედველობის გაფართოებას:

> *„ტელევიზია ვერასდროს იქნება საგანმანათლებლო ცენტრი, აქ ლექციას ვერ ჩაატარებ, რთული ამოცანაა. ყველაზე მნიშვნელოვანი არის იმდენი ინფორმაციის მიწოდება, რამდენი ინფორმაციაც გამოიწვევს მომხმარებელში, ასე დავარქვათ*

ახლა ამ ადამიანებს, სურვილს, რომ უფრო მეტი გაიგოს იმ მოვლენის შესახებ, რომელიც შენ მას მიაწოდე და უკვე შენს გარეშე, დამოუკიდებლად დაიწყოს ეს ყველაფერი" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიაწარმომადგენელი).

რაც შეეხება მედიის როლს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის თვალსაზრისით, მედიაწარმომადგენლების თანახმად, მათი უპირველესი ამოცანაა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ინფორმაციის დაკავშირება მთლიან საინფორმაციო სურათთან და მისი ჩართვა საერთო საინფორმაციო ველში.

მედიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ასევე სექსუალურ უმცირესობათა თემატიკის გაშუქების შესახებაც. გამოკითხულ ჟურნალისტთა ნაწილის შეფასებით, ასეთ თემებს სატელევიზიო ეთერი აქტუალობის მიხედვით ეთმობა. თუმცა, ზოგადად, ისინი ცდილობენ, გაზარდონ მიმღებლობა ლგბტ პირების მიმართ:

„ყოველთვის ვცდილობთ, დავანახოთ, რომ ეს (იგულისხმება სოციალური მიუღებლობა უმცირესოების მიმართ) არ არის ნორმალური, ეს ჩვენი საზოგადოების ნაწილია და ზუსტად ისეთივე ადამიანია, როგორც მე, როგორც თქვენ და დანარჩენი სხვა და იმ სექსუალური ან რელიგიური ორიენტაციით ადამიანის გარჩევა არ შეიძლება, როდესაც შენ გაქვს პრეტენზია, რომ ხარ ევროპელი და მიგაჩნია, რომ იმ ღირებულებებს იზიარებ, რომელსაც ევროპა და დასავლეთი ზოგადად იზიარებს" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიაწარმომადგენელი).

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მედიაწარმომადგენლები საუბრობენ რესურსების სიმცირეზეც. ერთ-ერთი რესპონდენტი წუხს იმის გამო, რომ საერთაშორისო თემები სათანადოდ არ შუქდება, რადგან საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ ერთ წერტილში ჰყავთ კორესპონდენტი.

მედიაწარმომადგენელთა აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ამჟამად აქტუალურია ტელევიზიისთვის, ინტერნეტის მზარდ კონკურენციას უკავშირდება. მათ მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდა თაობა სულ უფრო ნაკლებად იყენებს ტელევიზიასა და რადიოს. ამიტომ, თუ მათ სურთ, ჰყავდეთ ახალგაზრდა მომხმარებელი, მაშინ აუცილებლად უნდა იზრუნონ ინტერნეტის სივრცეში თავიანთი პროდუქციის უკეთ წარმოჩენაზე.

საგანმანათლებლო სფერო, ექსპერტთა შეფასებით

ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე, ნაციონალიზმის თეორეტიკოსთა აზრით, საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს კულტურის საყოველთაო გაგების შემუშავებისა (გელნერი, 2003) და „წარმოსახვითი საზოგადოების“ ჩამოყალიბებისთვის (ანდერსონი, 2003), ასევე საზიარო ტრადიციების, მითების, ღირებულებებისა და სიმბოლოების გავრცელებისთვის (Smith, 2009). საგანმანათლებლო სისტემა მნიშვნელოვანია ასევე იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს სოციალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს აგენტს, რომლის მიერ დანერგილი ღირებულებები განსაკუთრებით ღრმად რჩება ინდივიდის ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ საგანმანათლებლო სფერო, კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ექსპერტებმაც და ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმაც, ნაციონალური იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად დაასახელეს.
გამოკითხული ექსპერტების აზრით, სკოლა, როგორც კულტურული ნორმების ჩამოყალიბების, ასევე საზიარო წარსულის შექმნისა და გავრცელების მხრივ, ერთ-ერთი უმძლავრესი ინსტრუმენტია. ისინი განმარტავენ, რომ, ნაციონალური იდენტობის გავრცელების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო ქმედითია საყოველთაო განათლების პირობებში შექმნილი ქრესტომათიები და ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც მოსწავლეებს „ჭეშმარიტი“ ქართველის სახეს აწვდიან. ექსპერტთა თანახმად, სწორედ სკოლის მიერ ჩამოყალიბებულ კულტურულ ნორმად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქართველები მუდმივად დიდი სახელმწიფოების მსხვერპლი იყვნენ და ყოველთვის ეკლესიის მეშვეობით იცავდნენ თავიანთ იდენტობას. გამოკითხულ ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო კურიკულუმებში, სასკოლო პროგრამებში და სახელმძღვანელოებში ძალიან ძლიერია ერის კულტურული გაგება.

რაც შეეხება დღევანდელი საგანმანათლებლო სფეროს გავლენას ღირებულებათა ფორმირების პროცესზე, რესპონდენტების აზრით, განათლების სისტემა პასიური მოქალაქის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელის შეფასებით, ერთადერთი, რასაც დღევანდელი განათლების სისტემა აკეთებს, არის მოსწავლეებში ავტორიტეტებისადმი უპირობო სიყვარულისა და მორჩილების დანერგვა, რაც ასევე გულისხმობს ზედმეტი შეკითხვებისგან თავშეკავებას.

ერთ-ერთი გამოკითხული ექსპერტი საგანმანათლებლო სისტემის უპირველეს პრობლებად მიიჩნევს მასწავლებლებსა და სკოლების ადმინისტრაციას. რესპონდენტის აზრით, თუ სამასწავლებლო კორპუსი საბჭოთა პერიოდში პარტიულ იდეოლოგიას ემსახურებოდა, ამჟამად იგი მართლმადიდებლური ღირებულებების დანერგვით არის დაკავებული. ექსპერტთა შეფასებით, ალტერნატიული, არაექსკლუზიური დისკურსის შექმნაზე დღესდღეობით ზრუნავს მხოლოდ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი.

საგანმანათლებლო სფერო, ფოკუს ჯგუფების რესპონდენტთა შეფასებით

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში განათლება თაობების განმასხვავებელ ნიშნად გამოიკვეთა. ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ ისინი, მათი მშობლების თაობისგან განსხვავებით, უფრო მეტად არიან ორიენტირებული განათლებაზე. 46-55 ასაკის რესპონდენტები სწორედ განათლების სისტემას ადანაშაულებენ, რომ ახალგაზრდებს განსხვავებული ღირებულებები აქვთ. 46-55 ასაკის რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ მათ თაობას უფრო ფართო განათლება ჰქონდა, ახალმა თაობამ კი ბევრი ელემენტარული რამ არ იცის. 56+ ასაკის რესპონდენტის აზრით, შეიძლება დღევანდელ ახალგაზრდებს უკეთესი განათლება აქვთ, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ მათთვის მეორეხარისხოვანია ტრადიციული ქართული ღირებულებები. 56+ ასაკის რესპონდენტები კარგ განათლებას მიიჩნევენ ისეთი გამაერთიანებელი ღირებულებების ჩამოყალიბების წინაპირობად, როგორიცაა: ტრადიციულობა, ტოლერანტობა, რელიგია, სამშობლოს სიყვარული და ზნეობა.

საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელთა პოზიცია

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლების შეფასებით, საქართველოს დღევანდელი განათლების სისტემა ძალიან სუსტია, საგანმანათლებლო დისკურსში კი კულტურული ნაციონალიზმის თემები დომინირებს:

> *„მასწავლებლებს აქვთ წარმოდგენა, რომ თავიანთი მოსწავლეები უნდა აღზარდონ პატრიოტებად იმ გაგებით, რომ ამ ხალხმა შეინარჩუნოს თავისი იდენტობა, ვთქვათ, იგივე რელიგიური კუთხით და ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა“ (სიღრ-*

მისეული ინტერვიუ, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი).

ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, მასწავლებლების ნაციონალისტურ დისკურსში ყურადღება მახვილდება დასავლეთიდან მომდინარე გარე საფრთხეებზე, როგორიც შეიძლება იყოს, მაგალითად, ეროვნული ტრადიციების ან ენობრივი კუთვნილების დაკარგვა. საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლის აზრით, სწორედ ასეთი დამოკიდებულება აყალიბებს მოსწავლეებში ქსენოფობიურ განწყობებს:

„ჩვენ გვზრდიან დასაქმების ბაზრისთვის და არა იმისთვის რომ იყო ბედნიერი, შემოქმედებითი, სოციალურად ორიენტირებული, ცვლილებებზე ორიენტირებული. ძირითადად არის შენი სოციალური ფუნქციების კარგად მორგებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა. შენ უნდა იყო ნამდვილი პატრიოტი, კარგად იმუშაო, კარგად დასაქმდე, კარგად ისწავლო, ბევრი შვილი გააჩინო, უნდა იყო მორჩილი დედა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი).

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს ერთ-ერთი წარმომადგენელი განათლების სისტემას აკრიტიკებს იმის გამო, რომ ის მოსწავლეებს არ უნერგავს ინიციატივის უნარს, არ უჩენს სურვილს, რომ მათ რამე ახალი სცადონ და ახალს გაეცნონ. რესპონდენტის აზრით, შინაარსობრივ საკითხებთან ერთად, ჩამორჩენილია ტექნიკური მხარეც და საქართველოს განათლების სისტემა ვერ პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს (მაგალითად, მოსწავლეებს არ ასწავლიან კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდებს, თუნდაც, წერილის დასაწერად მობილური ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებას). გარდა ამისა, პრობლემად დასახელდა ისიც, რომ მასწავლებლები არ იცნობენ იმ მხატვრულ ლიტერატურას, რომელსაც მოსწავლეები კითხულობენ. საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ იდეალურ შემთხვევაში განათლების სისტემა უნდა აყალიბებდეს თავისუფალ და კანონმორჩილ შემოქმედს, მაგრამ ამას, უპირველესად, შესაბამისი „სივრცე“ სჭირდება, რასაც ქართულ რეალობაში სოციუმი ინდივიდს ვერ უქმნის. რაც შეხება რეალობას, რესპონდენტის აზრით, სისტემა ისევ რჩება ორიენტირებულად ინფორმაციის კონსერვირებაზე და არა უნარების ჩამოყალიბებაზე. იგი აკრიტიკებს

ზოგადი უნარების ქართულ მოდელსაც, რომელიც ცალკე საგნად არის მოწოდებული:

> *„ზოგადი უნარები იმიტომაა ზოგადი, რომ ეს უნარი უნდა მოიაზრებოდეს მის ყველა საგნის ცოდნაში და არა კონკრეტულად გატანილ რომელიმე საგანში. საგანი კი არ უნდა იყოს, პროგრამა უნდა იყოს ორიენტირებული სწორედ ასეთი უნარების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, უნდა მოხდეს ორიენტირება პროგრამის ისე, რომ მოსწავლე მართლა იყოს უნარიანი და ეს იქნება მთავარი ღირებულება იმ ბრენდისა, რასაც ერქმევა თანამედროვე მოსწავლე“ (სიღრმისეული ინტერვიუ, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი).*

კვლევის ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ კერძო სკოლებზე, რომლებიც საგანგებოდ იდენტობის ჩამოყალიბებისთვის არის შექმნილი. ამის მაგალითად სახელდება საპატრიარქოს სკოლები, სადაც სწავლა უფასოა ან ძალიან მცირე გადასახადია და ეს იზიდავს მომხმარებელს.

ეროვნული იდენტობის თვალსაზრისით, საყურადღებოა სამოქალაქო განათლების სწავლების საკითხი. რესპონდენტთა აზრით, კვალიფიციური პედაგოგის პრობლემის გამო, სახელმწიფო ცდილობს სამოქალაქო განათლების პარალელური სისტემის შექმნას, მაგრამ რეალურად სამოქალაქო განათლების მასწავლებლები ისევ არსებული კონტინგენტიდან ირჩევა. საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელთა შეფასებით, სამოქალაქო განათლებას, საბოლოოდ, ისეთი ადამიანები ასწავლიან, რომლებიც თავად არ იზიარებენ საგნის ფარგლებში მოსწავლისთვის გადასაცემ ღირებულებებს:

> *„ეს მასწავლებელი ასწავლის იმას, რისიც თვითონაც არ სჯერა იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ღირებულებების სწავლება, იმ ღირებულებების სწავლება, რომელიც გამოყენებადი არ არის ამ საზოგადოებაში, მასწავლებელსაც აყენებს უხერხულ მდგომარეობაში და მოსწავლესაც“ (სიღრმისეული ინტერვიუ, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი).*

რაც შეეხება სხვა აქტორებთან თანამშრომლობას, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ განათლების სისტემას, ძირითადად, ურთიერთობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ასევე ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობენ. საგანმანა-

თლებლო სფეროს ერთ-ერთი წარმომადგენლის შეფასებით, განათლების სისტემას მუდმივი კონკურენცია აქვს ეკლესიასთან, რაც გარკვეულ პროცესებზე უფრო მეტი გავლენის მოპოვების სურვილს უკავშირდება.

გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები პრობლემად მიიჩნევენ გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობას, რაც განათლების სისტემის განვითარებასაც მნიშვნელოვნად აფერხებს, უპირველესად, დროში ორიენტაციის თვალსაზრისით. რესპონდენტები განმარტავენ, რომ გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის გარეშე, რეფორმის პროცესი, საბოლოო შედეგის ნაცვლად, მთლიანად პროცესზე ორიენტირებული ხდება და, აქედან გამომდინარე, რეფორმის მიზნისა და არსის გაგება სულ უფრო რთულდება:

> *„პროცესზე ორიენტირებულობა იწვევს იმას, რომ ნებისმიერი კორექტირება ხდება მხოლოდ პროცესის გათვალისწინებით და ხშირ შემთხვევაში ეს კორექტირება საბოლოო მიზნის არქონის გამო იწვევს მიმართულების გაურკვევლობას, საით მიდის ეს რეფორმა? ხშირ შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ გვგონია, რეფორმა წინ მიდის და ხომალდს ჰგავს, რომელსაც კომპასი არ აქვს. მიზანზე ორიენტირებული არ არის, ეს არის ალბათ ამ რეფორმის ყველაზე სერიოზული პრობლემა. არ შეიძლება სტრატეგია სწორად დაგეგმო, თუ არ გაქვს საბოლოო მიზანი განსაზღვრული“ (სიღრმისეული ინტერვიუ, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი).*

კვლევის ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს ერთ-ერთი წარმომადგენელი მცდარ ნაბიჯად მიიჩნევს 2004 წელს დაწყებული საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებას ძველი სისტემის სრული უარყოფით. თუმცა, რესპონდენტი პოზიტიურად აფასებს იმ ტენდენციას, რომლის შედეგად, 2004 წლიდან მოყოლებული, სასწავლო პროცესის ცენტრში ნელ-ნელა მოსწავლე დგება, ხოლო მასწავლებელთა ცოდნა განათლების თეორიების შესახებ საგრძნობლად გაუმჯობესდა.

განათლების სფეროს სხვა წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს დღევანდელი ახალი თაობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებზე და ამ მხრივ მომხდარ დადებით ცვლილებებზე. მისი შეფასებით, ახალი თაობა ეჩვევა თავისუფალ აზროვნებას, მას აღარ აქვს აზრის გამოთქმის შიში და კარგად იცის თავისი უფლებები. მიუხე-

დავად იმისა, რომ უფროსი თაობა ხშირად საყვედურობს ახალგაზრდებს მოვალეობათა უგულებელყოფის გამო, რესპონდენტის აზრით, უფლებებში გათვითცნობიერება გაცილებით უფრო ბაზისური ეტაპია და ამას მოვალეობათა გაცნობიერებაც მოჰყვება. საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლი მიიჩნევს, რომ დღევანდელ მოსწავლეებს უკვე ჩამოყალიბებული აქვთ ინფორმაციის მოძიების უნარი, თუმცა, ინფორმაციის დიფერენცირება და შერჩევა ნაკლებად ეხერხებათ. პოზიტიურ ტენდენციად გამოიყო ასევე, წინა თაობებთან შედარებით, ახალი თაობის უკეთ ორგანიზებულობა, დროის თვალსაზრისით, და თავისუფლების სიყვარული, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანაში დაბადებული თაობის დამახასიათებელი ნიშანი.

საგანმანათლებლო სფეროს გამოკითხული წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საგანმანათლებლო სისტემა არ არის ავტონომიური და სახელმწიფოს არ სურს ხელიდან გაუშვას სკოლის, როგორც ელექტორატზე გავლენის მქონე ინსტრუმენტის მართვის სადავეები:

> *„სახელმწიფო, ვიდრე სკოლას განიხილავს როგორც ელექტორატს, პოტენციურ ელექტორატს, ვერაფერს ვერ ვიზამთ. სკოლა ზოგადად არის ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც ფარავს მთელს საზოგადოებას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს თავისი ზემოქმედების ეფექტურობის თვალსაზრისით, სკოლა არის მეორე ინსტიტუცია, რომელიც ეფექტურად მოქმედებს ელექტორატზე. შესაბამისად, ამის ხელიდან გაშვება, სახელმწიფოს არ უნდა ისევ იმიტომ, რომ სახელმწიფო არ არის ობიექტურად განვითარების შედეგებზე ორიენტირებული“ (სიღრმისეული ინტერვიუ, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი).*

საგანმანათლებლო სფეროს ერთ-ერთი წარმომადგენელი სკოლის ავტონომიურობის საკითხს ეკლესიის გავლენის კონტექსტში განიხილავს და განმარტავს, რომ დღესდღეობით სკოლაში არ არის დაცული კანონით გათვალისწინებული სეკულარული პრინციპი, მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება სანთელი აანთოს გაკვეთილზე და სკოლის დირექტორი ასეთ ფაქტს უყურადღებოდ დატოვებს. რესპონდენტის აზრით, დირექტორებიც არ არიან მოტივირებული, რომ რამე შეცვალონ სკოლაში დამკვიდრებულ არაფორმალურ პრაქტიკაში, რადგან კანონის დაცვის შემთხვევაში მათ ეკლესიასთან მოუწევთ დაპირისპირება.

არასამთავრობო სექტორი, ექსპერტთა შეფასებით

თეორიის დონეზე, არასამთავრობო ორგანიზაციების დღის წესრიგი სცდება ლოკალურ სივრცეს, რადგან როგორც აიზენშტადი განმარტავს, ისინი „მულტიკულტურულ“ და „პოსტმოდერნულ“ მოძრაობებს განეკუთვნებიან და სახელმწიფოს რეკონსტრუქციის ნაცვლად, გლობალურ პრობლემებზე არიან ორიენტირებული და ავტონომიურ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროს ქმნიან (Eisenstadt, 2000). ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ არასამთავრობო სექტორის ავტონიმიურობასა და მულტიკულტურულ განზომილებას მოსახლეობა საფრთხის შემცველად აღიქვამს. არასამთავრობო სექტორის მიმართ ნდობის ნაკლებობა დასტურდება 2015 წელს ჩატარებული კავკასიის ბარომეტრის ბაზაშიც – გამოკითხულთა ყველაზე დიდი რაოდენობა (42%) შუალედურ პასუხს აფიქსირებს, ანუ არც ენდობა და არც უნდობლობას გამოხატავს, ხოლო რაც შეეხება სრულ ნდობას, ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ 4%-ს აქვს (CRRC. „კავკასიის ბარომეტრი, 2015). ჩვენი კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ არასამთავრობო სექტორისადმი უნდობლობას ხშირად განაპირობებს თვითონ ის თემები, რომლებიც აქცენტირებულია არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში და რომელთა მიმართ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მიუღებლობა აქვს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტთა თვალსაზრისით, ამჟამად საქართველოში არასამთავრობო სექტორი უმთავრესია იმ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ, რითიც თავისთავად უპირისპირდებიან ეთნო-კულტურულ ეროვნულ იდენტობას. ექსპერტები დადებითად აფასებენ არასამთავრობო სექტორში რადიკალურად განსხვავებული მიდგომების არსებობას და ფიქრობენ, რომ ეს პლურალიზმის ძალიან მნიშვნელოვან შტრიხს წარმოადგენს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში.

ექსპერტებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა პოზიცია, რომელიც არასამთავრობო სექტორს განიხილავს შუალედურ რგოლად სხვადასხვა ინსტიტუტებსა და საზოგადოებას შორის. ამ პოზიციის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების რეაქციები ხშირად საზოგადოებას აიძულებს დაფიქრდეს და კარგად გაიაზროს, თუ რამდენად მართებულია ის, რაც სხვა ინსტიტუტების მიერ „ჭეშმარიტების სახელით“ მოეწოდა. სწორედ ამიტომ,

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ არასამთავრობო სექტორი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას იმ ადამიანებშიც კი, რომლებიც მათ მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი:

> *„არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, ამ შემთხვევაში, იმაში გამოიხატება, რომ ისინი, თუ არ ცვლიან, ყოველ შემთხვევაში, უბიძგებენ იფიქრონ დანარჩენებმა, ვინც არ არიან არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები და მოქმედი პირები და ვინც შეიძლება სულაც არ არის მათ მიმართ სიმპათიით განწყობილი, პირიქით, შეიძლება ძალიან აგრესიული დამოკიდებულებაც ჰქონდეს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, არასამთავრობო ორგანიზაციები ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ალტერნატიულ მოდელს გვთავაზობენ და ნაციონალიზმის მათი ხედვა, ძირითადად, ადამიანის სამოქალაქო უფლებებზეა აგებული. ექსპერტთა თანახმად, სწორედ ალტერნატიული ნაციონალური იდენტობის შექმნის ამგვარი მცდელობა განაპირობებს ეკლესიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთდაპირისპირებას:

> *„ახალი იდენტობის ფორმირებაში ეკლესიას ჰყავს მოწინააღმდეგე სწორედ ამ ლიბერალური ჯგუფების სახით. ესენი არიან ფემინისტები, სხვადასხვა უმცირესობის, რელიგიური, სექსუალური, ეთნიკური უმცირესობების დამცველები და ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ხელახლა გაიაზრონ, არა ტრადიციულად, არა ეკლესიიდან გამომდინარე, არამედ სხვა საყრდენები მოუძებნონ ქართულ იდენტობას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას უკავშირდება საზოგადოებაში გარკვეული იდეების დანერგვა და სტერეოტიპულ შეხედულებათა ცვლილებების მიმართულებით ერთგვარი ტენდენციის შექმნა, მაგალითად, ქალებზე ძალადობის მიუღებლობა, გენდერული თანასწორობა და ა.შ. თუმცა, მიუხედავად ამ პოზიტიური შეფასებისა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა არასამთავრობო სექტორის მუშაობის სტრატეგიის გადახედვა, რადგან დიდი რესურსის ხარჯვის მიუხედავად, ღირებულებების თვალსაზრისით, ისინი ვერ ხედავენ ისეთი მასშტაბის ცვლილებებს, როგორიც დაახლოებით ოცწლიან მუშაობას უნდა მოჰყოლოდა. ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, მართალია, არასამთავრებო ორ-

განიზაციები პროგრესული იდეებით გამორჩევიან და საზოგადოების განვითარებას ხელს უწყობენ, მაგრამ საზოგადოება ნაკლებად ენდობა მათ, შესაბამისად, მათი გავლენა საზოგადოებაზე შეზღუდულია და ამიტომ მათი წვლილიც ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში ძალიან მცირეა.

არასამთავრობო სექტორის პოზიცია

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თავიანთ ძალისხმევას დადებითად აფასებენ იმდენად, რამდენადაც მიაჩნით, რომ ბევრი რამ გააკეთეს ქვეყნის პროგრესისთვის – კანონმდებლობის დახვეწისა თუ სხვადასხვა დისკრიმინირებული ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არ ფიქრობენ, რომ სამოქალაქო სექტორმა საზოგადოების ღირებულებებზე დიდი გავლენა იქონია. მათი აზრით, დღესდღეობით საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ღირებულებების დამკვიდრებაზე ნაკლებად მუშაობენ და მათი ძირითადი საქმიანობის სფერო სახელმწიფოს კრიტიკა და მონიტორინგია, რაც, საბოლოოდ, საზოგადოებისგან მათ დაშორებას იწვევს. სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამ ტენდენციის გამო აკრიტიკებს არასამთავრობო სექტორს:

> *„მათ პოლიტიკური განზომილება უფრო აქვთ, ხელისუფლების კრიტიკაზე და მასთან წინააღმდეგობაზეა ორიენტირებული, ვიდრე სოციალური განზომილება, რომელიც სწორედ ასეთი ტიპის საკითხებზე მუშაობს. პრინციპში, სწორედ იმის გამო, რომ „ენჯიოებს“ არ აქვთ ასეთი განზომილება, არ აქვთ კავშირი საზოგადოებასთან, რაც იწვევს მათ და საზოგადოებას შორის ძალიან სერიოზულ განხეთქილებას. მათ შეიძლება ერთმანეთის ენაც კი არ ესმოდეთ და რაც ყველაზე მთავარია, სინამდვილეში რაღაც ტიპის უკმაყოფილება „ენჯიობის“ მიმართ შეიძლება განაპირობოს იმ ღირებულებების მიმართ უკმაყოფილებაც და ფრუსტრირებაც, რომლის თეორიული გამოხატულებები არიან „ენჯიოები“, მაგალითად, ადამიანის უფლებების, ქალთა თანასწორობის და ა.შ.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი)*

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები არასამთავრობო სექტორისადმი საზოგადოების უნდობლობას იმითაც ხსნიან, რომ,

ზოგადად, მათი ორგანიზაციული სტრუქტურა ძალიან ჩაკეტილია და მათი აქტივობა, საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტის მხრივ დაბალ დონეზეა (ბენეფიციარებთან, ინტერესთა ჯგუფებთან მუშაობა, კომუნიკაცია). მათ მიმართ საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უკავშირებენ იმ ფაქტსაც, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საზოგადოების უმრავლესობისთვის მტკივნეულ და აქტუალურ საკითხებს. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ, ერთი მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქცია არ არის უმრავლესობის ინტერესების დაცვა ან მისი პრობლემების მოგვარება, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ხედავენ თავიანთ საქმიანობაში სოციალური საკითხების აქტუალიზაციის საჭიროებას. სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, არასამთავრობოების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას აძლიერებს ის დაპირისპირება, რომელიც ეკლესიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებობს. ისინი მიიჩნევენ, რომ დღეს ეკლესია და ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებენ, ხოლო რეალური ოპონენტი ეკლესიისთვის არასამთავრობო სექტორია.

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თვალსაზრისით, არასამთავრობოებისადმი საზოგადოების ნდობის ნაკლებობას ხელს უწყობს ასევე ამ სექტორის პოლიტიზაციის მცდელობა. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას მართლაც აქვს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური კავშირები, რაც უარყოფითად აღიქმება სხვა პოლიტიკური ჯგუფების მხარდამჭერთა მიერ, ხოლო, როდესაც მსგავსი არასამთავრობოები სამართლიანად გამოთქვამენ კრიტიკას ხელისუფლების მიმართ, ხშირია მაღალჩინოსნების მიერ მათი დადანაშაულება პოლიტიკურ მიკერძოებულობაში. რესპონდენტები დასძენენ, რომ ნეგატიური პროპაგანდის ნაწილია ე.წ. „გრანტიჭამიობის კონცეპტიც“, რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანები სერიოზულად არ აღიქვამენ არასამთავრობოების მუშაობას და მათ საქმიანობას საზოგადოებისთვის არააქტუალური თემების ხელოვნურად გამოგონებასა და თაღლითობასთან აკავშირებენ.

გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, რეალურად, კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე გავლენა ყველა არასამთავრობომ მოახდინა, მაგრამ ღირებულებათა ცვლილების თვალსაზრისით, ისინი ვერ ხედავენ ფართომასშტაბიან

ძვრას, რომელიც მთელს საზოგადოებაზე გავრცელდებოდა. თუმცა, რესპონდენტების შეფასებით, მათდამი დამოკიდებულება ნელ-ნელა პოზიტიურად იცვლება. მაგალითად, ოჯახური ძალადობის პრობლემას სულ უფრო და უფრო მეტი ქალი აღიქვამს სერიოზულად, მაგრამ, ზოგადად, ჯერჯერობით საქართველოში არასამთავრობო სექტორი მაინც შედარებით მარგინალიზებულად რჩება.

რაც შეეხება სხვა აქტორებთან თანამშრომლობას, კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, ისინი, უპირველესად, პარტნიორობას უწევენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათთვის მნიშვნელოვანი პარტნიორებია ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მედიატორის როლს თამაშობენ მათსა და ხელისუფლებას შორის. რაც შეეხება უშუალოდ არასამთავრობო სექტორისა და პოლიტიკური ჯგუფების პარტნიორობას, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებით, ეს საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა მათთვის გარდაუვალია პოლიტიკურ აქტორებთან ურთიერთობა. მათი თქმით, ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე გავლენას ახდენს მმართველი ძალის ცვლილება. ამჟამად მათ პრობლემას უქმნის 2012 წლიდან პარლამენტის უმცირესობაში აღმოჩენილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ღია მხარდაჭერა, მაგალითად, ლგბტ პირების უფლებების დაცვის მხრივ. ამგვარი მხარდაჭერა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელსაყრელია პოლიტიკური ძალის მოკავშირეობის თვალსაზრისით, თუმცა, წამგებიანია კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფთან ასოცირების გამო:

> *„ჩვენი მოძრაობა ყოველთვის არასწორად იყო მიბმული სააკაშვილს, თითქოს სააკაშვილი გაფინანსებთ, ნაცმოძრაობა გაფინანსებთ, რაც ბუნებრივია, არ შეესაბამება სიმართლეს და ის ფაქტი, რომ ძალიან ხმალამოღებულები გვიცავენ ხოლმე ჩვენს რეპუტაციაზე მაინცდამაინც კარგად არ მოქმედებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

რაც შეეხება დღევანდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ მრავალჯერ შეიცვალა სიტუაცია. მათი თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის საწყის ეტაპზე ბიძინა ივანიშვილისგან ჰქონდათ სიტყვიერი მხარდაჭერა, რაც ბევრ რამეს ცვლიდა მათდამი დამოკიდებულების თვალსაზ-

რისით. დღევანდელი ხელისუფლების მხარდაჭერის საილუსტრაციოდ ისინი ასახელებენ 2014 წელს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას. როგორც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, მოგვიანებით პოლიტიკური ამინდი შეიცვალა და ამჟამად მათ გაცილებით უფრო უჭირთ ცვლილებების განხორციელება და ამისათვის ხელისუფლების მხარდაჭერის მოპოვება. გამოკითხული რესპონდენტების თქმით, ისინი ძირითადად აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ, რადგან აღმასრულებელ შტოში დასაქმებულ პირებს, მიუხედავად მათი პარტიული მიკუთვნებულობისა, სამსახურებრივი მოვალეობები აქვთ და არასამთავრობოებიც სწორედ ამ ფორმალური ვალდებულებების ფარგლებში სთხოვენ რეაგირებას. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, აღმასრულებელ შტოსთან თანამშრომლობა უფრო მარტივია, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებთან, თუმცა, ხშირად, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდებში, აღმასრულებელი ხელისუფლებაც ბევრ დაბრკოლებებს უქმნის მათ:

> *„ცდილობენ ნაკლებად ანგაჟირებულები იყვნენ, რაღაც ისეთ საკითხებში, რომელსაც სკანდალურად მოიაზრებენ, მათ შორის ეკლესიის რისხვა შეიძლება გამოიწვიოს, ასევე უცნაურად ხდება ხოლმე იმიტომ, რომ ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სქესის სამართლებრივ აღიარებაზე ვმუშაობდით დიდი ხანი ჩვენ და სამინისტროდან იყო მწვანე შუქი თითქოს იმაზე, რომ პრაქტიკის შეცვლა უნდოდათ, დავიწყეთ ამაზე მუშაობა და მერე ერთ დღეს მინისტრმა უბრალოდ გადაიფიქრა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის ის, რომ, სამინისტროებში მომუშავე მრავალი მოტივირებული ადამიანის მიუხედავად, საბოლოოდ, საკვანძო საკითხები მაინც მინისტრის და მინისტრის მოადგილის დონეზე წყდება და საზოგადოებრივი მასშტაბის თემები ვიწროპარტიულ პოლიტიკამდე დაიყვანება. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, არასამთავრობოების უმრავლესობა არათუ ვერ თანამშრომლობს, არამედ აშკარად დაპირისპირებულია ეკლესიასთან.

გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აზრით, მცირე ცვლილებები საზოგადოების ღირებულებათა სფერ-

ოში, განპირობებულია იმ მწირი რესურსებითა და პრობლემებით, რაც არასამთავრობო სექტორს აქვს. რესპონდენტების თანახმად, მათ ბრძოლა უწევთ რესურსებისათვის იმ ორგანიზაციებთან და ჯგუფებთან, რომლებიც მათი პარტნიორები უნდა იყვნენ. ეს ყველაფერი ერთად შეუძლებელს ხდის იმას, რომ არასამთავრობო სექტორმა საზოგადოების ღირებულებებზე დიდი გავლენა მოახდინოს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, მათთან შედარებით, გაცილებით მნიშვნელოვანი რესურსი აქვთ პოლიტიკოსებს და ეკლესიას, ამიტომ, უმთავრესად, სწორედ ისინი ახდენენ გავლენას საზოგადოებრივ აზრსა და ღირებულებებზე.

ძირითადი მიგნებები:

საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორი არის ნდობა კონკრეტული ინსტიტუტის მიმართ. ეკლესია ამჟამად სწორედ ნდობის მაღალი მაჩვენებლის საფუძველზე იკვეთება ყველაზე გავლენიან ინსტიტუტად, პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის ნაკლებობა კი განსაზღვრავს მოსახლეობის დაბალ აქტივობას პოლიტიკურ და სამოქალაქო სფეროში. პოლიტიკური პარტიებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების შემთხვევაში, ძირითად პრობლემად უნდა ჩაითვალოს გრძელვადიანი ხედვის არარსებობა, რაც პოლიტიკურ პარტიებს აიძულებს ამომრჩევლის ცვალებად განწყობილებებს მოერგონ და პოპულისტურ სუბიექტებად იქცნენ. მედიისა და არასამთავრობო სფეროს წარმომადგენლებმა, მათ წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაასახელეს რესურსების ნაკლებობა, რაც მედიის შემთხვევაში აიძულებს მათ საეთერო ბადე ნაკლებად ხარისხიანი პროდუქციით დააკომპლექტონ.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტები მგრძნობიარედ რეაგირებენ მოდერნიზაციის პროცესისთვის დამახასიათებელ გაურკვევლობასა და რყევებზე და მათ ქართული ეროვნული იდენტობისთვის საფრთხედ აღიქვამენ. ამასთანავე, ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები, მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, გარკვეულწილად, მოიაზრებენ ანტიქართული ღირებულებების შემომტანად და გამავრცელებლად. ფოკუს ჯგუფების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების გაღიზიანებას იწვევს ევროპის მიერ ღირებულებების „თავსმოხვევა“ ქართველი

საზოგადოებისთვის. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აკრიტიკებენ მედიას სექსუალურ უმცირესობათა „პროპაგანდის“, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ პირების ინტერესთა დაცვის გამო. ინსტიტუტი, რომელიც რესპონდენტთა აზრით, ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებისთვის იღვწის, არის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია (ექსპერტთა შეფასებით კი, ამგვარი დამოკიდებულება შეზღუდული, ექსკლუზიური იდენტობის გავრცელებას უწყობს ხელს და აფერხებს სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას).

3.2.2. თანამედროვე მსოფლიო პროცესების მნიშვნელობა ქართული ეროვნული იდენტობისთვის

თანამედროვე საერთაშორისო პროცესებიდან, რომლებიც ქართული ეროვნული იდენტობის სახეცვლილებას იწვევს, ექსპერტთაგან ყველაზე ხშირად გლობალიზაცია დასახელდა. ერთ-ერთი ექსპერტის განმარტებით, „*მსოფლიოს ხალხები ნელ-ნელა ერთმანეთს ვემსგავსებით, ერთნაირად გვაცვია, ერთნაირ საჭმელებს ვჭამთ, ერთნაირ მუსიკას ვუსმენთ და ეს ცვლის ყველაფერს*“. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს ფართო საზოგადოებისთვის რთულია ამ ცვლილებებთან შეგუება, რადგან უმრავლესობისთვის უფრო მარტივია უკვე ნაცნობი წეს-ჩვეულებების შენარჩუნება, თუმცა, ექსპერტის დასკვნით, „ისტორიის ლოგიკის შეჩერება შუძლებელია“. ექსპერტთაგან დადებითად შეფასდა ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების პროცესი. მათი აზრით, ევროპულ სტრუქტურებთან საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე. ევროპასთან ინტეგრაცია მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს საქართველოში და ამ ცვლილებების სხვადასხვა ასპექტი საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვალსაზრისით. ერთ-ერთი ექსპერტი შენიშნავს, რომ ევროპის მიმართ საქართველოს გახსნილობა მოსახლეობისთვის, გარკვეულწილად, შიშის მომგვრელიცაა. მისი განმარტებით, მოსახლეობის დიდ ნაწილს, ერთი მხრივ, გაცნობიერებული აქვს, რომ გლობალიზაცია, ევროპეიზაცია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს თანამედროვე პროცესები ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული იდენტობისთვის:

„(...) საფრთხეს უფრო ამ კუთხით ანუ ტრადიციების დაკარგის კუთხით უფრო ვხედავ. რაც შეეხება ეკონომიკური კუთხით, არა მგონია საზოგადოებას ნეგატიური აღქმა ჰქონდეს ამასთან დაკავშირებით. პირიქით, ამ კუთხით დადებითად ფასდება. ჩემი აზრით, საზოგადოებას აქვს გაცნობიერებული, რომ გლობალიზაცია შედეგს იღებს, სწორედ ეკონომიკური კუთხით, მაგრამ აცნობიერებენ იმასაც, რომ ამას აქვს ცუდი შედეგები პოლიტიკური თვალსაზრისით“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიო პროცესებში ჩართულობა ძირითადად „ურბანული ელიტის პრივილეგიაა“. მისი შეფასებით, მწირი ინფორმირებულობის გამო, ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოთიშულია ამ პროცესებისგან და ეს ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევად უნდა ჩაითვალოს. მეორე გამოწვევად ექსპერტმა საქართველოში გლობალური კულტურის შემოსვლა დაასახელა, რომლის მიმართაც მოსახლეობის ნაწილში გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს. ექსპერტის განმარტებით, თანამედროვე პროცესებში ჩართულობის ხარისხს სწორედ რომ მოსახლეობის ინფორმირებულობა განსაზღვრავს და ამის საფუძველზე საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი – ერთისთვის ხელმისაწვდომია გლობალური კულტურისა და იმ ცვლილებების გააზრება, რომლებიც მსოფლიო პროცესებს მოაქვს, ხოლო საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელსაც ხელი არ მიუწვდება ამ ტიპის ინფორმაციაზე, ეწინააღმდეგება ამ პროცესებს და მათი წინააღმდეგობა გასაგებია. იგივე ექსპერტი აღნიშნავს, რომ თანამედროვე პროცესებში ჩართულობა განაპირობებს ეროვნული იდენტობის ცვალებადობას, იდენტობა აღარ გვევლინება, როგორც „რაღაც გაშეშებული და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული“, არამედ ის მუდმივი ცვლილებების პროცესია. აქედან გამომდინარე, ექსპერტის თვალსაზრისით, თუ

„(...) ეს ჩართულობა არ არსებობს, შენ თითქმის განწირული ხარ იმისთვის, რომ უბრალოდ აკეთო კულტივირება იმისა, რაც მანამდე შექმნილა და მაქსიმალურად შეეცადო შეინახო. შენ უნდა გააქვავო, საზრისისგან დაცალო ეს ყველაფერი. ეს გახსნილობა ასევე გულისხმობს გადააზრებას საკუთარი კულტურისა პოლიტიკურ კონტექსტებში. ასე ვთქვათ, მიხვედრას იმისა, რომ ეს ერთადერთი ჰორიზონტი არ არის, შენ მხოლოდ ხარ ამ კულტურის მატარებელი, მაგრამ გლობალური

კულტურის ჰორიზონტი არის ძალიან დიდი მრავალფეროვნება. მეორე მხრივ, ცხადია, რომ ყველას ამის შანსი არ აქვს. თანასწორობის იდეალი ჩვენს ქვეყანაში არ არის. და შესაბამისად, ძალიან ბევრი ადამიანი ყველაფერი ამის გარეთ რჩება" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ექსპერტთა აზრით, ჩვენს საზოგადოებაში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საზოგადოების მიერ თანამედროვე, გლობალური პროცესები მართებულად შეფასდეს და მათდამი მიმღებლობა გაიზარდოს. მათი თქმით, ამ მიმართულებით აუცილებელია სათანადო რეფორმების განხორციელება და აღნიშნული პროცესების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულ მედიაწარმომადგენლებს ეთხოვათ შეეფასებინათ, თუ რომელი თემებია დღეს ყველაზე მეტად/ნაკლებად აქტუალური ქართველი საზოგადოებისთვის. ერთ-ერთმა მედიაწარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქართველი მაყურებელი ჩაკეტილია თავის სივრცეში, უფრო ლოკალურ ახალ ამბებს ეცნობა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესების შესახებ ნაკლებად ინტერესდება. თუმცა, მისივე განმარტებით:

„მაინც ვცდილობთ (იგულისხმება გამოკითხული რესპონდენტის სატელევიზიო არხი), რომ არ ავცდეთ მსოფლიო მოვლენებს და მაინც გავაშუქოთ ხოლმე იმიტომ, რომ ჩვენც მსოფლიოს ნაწილი ვართ და ვთვლი, რომ რაც ხდება მსოფლიოში, გარკვეულწილად, უნდა ასახო შენ იმისდა მიუხედავად, რამდენად მიიღებს ან არ მიიღებს მაყურებელი ამას" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიაწარმომადგენელი).

სხვა მედიაწარმომდგენლის თანახმად, საქართველოს მიერ ევროპული განვითარების გზის არჩევა ჩვენი ქვეყნის ნაციონალური ინტერესია და ამგვარი არჩევანით ქვეყანას თავისი სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დათმობაც უწევს, იმისთვის, რომ ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანდეს.

საქართველოს ევროპულ განვითარებასა და დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ სწრაფვას, ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქართველი პოლიტიკოსებიც, გარკვეულწილად, ქვეყნის ნაციონალურ ინტერესად განსაზღვრავენ. მათი განმარტებით, საქართველოს ეროვნული ინტერესი ეფუძნება უპირველესად, თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ამასთანავე, როგორც ეს ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა

აღნიშნა, იმისთვის, რომ საქართველომ თავისი ადგილი დაიმკვიდროს წარმატებულ ქვეყნებს შორის და გაუძლოს კონკურენციას, ის უნდა განვითარდეს და ჩამოყალიბდეს თანამედროვე საზოგადოებად, რაც სახელმწიფოს მიერ მოდერნიზაციის პროცესის შემდგომ გაღრმავებას გულისხმობს. ამ კონტექსტში ერთ-ერთი პოლიტიკოსი დასძენს, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების უდიდეს ნაწილში უკვე დიდი ხანია არსებობს კონსესუსი ერთ საკითხთან დაკავშირებით – საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს.

ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგების თანახმად, გამოკითხული რესპონდენტები თანამედროვე პროცესებს დადებითად და, ამავდროულად, კრიტიკულადაც აფასებენ. გლობალიზაციის პროცესს ახალგაზრდა რესპონდენტთა (18-30) ერთი ნაწილი რთულ, კომპლექსურ პროცესად განიხილავს. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, „*დიდი ქვეყნების ხელში პატარა ქვეყნები მორჩილი თიხასავით არიან ხოლმე*“. *შესაბამისად*, საქართველოზე დასავლეთის გავლენას ის პატარა ქვეყანაზე ერთგვარ მანიპულაციად აღიქვამს, ხოლო გლობალიზაცია მისთვის ქაოსურ ცვლილებებთან ასოცირდება, რადგან ამ პროცესში უცხოური ნორმებისა თუ სტანდარტების გადმოღება „გაუაზრებლად“ ხდება. მისი თქმით, აუცილებელია საკუთარი სახის შენარჩუნება, ისე როგორც „ეს საქართველოსთვის არის მისაღები“:

> *„ჩვენ მცირე ქვეყნებს არ გვაქვს იმის უნარი, რომ შევეწინააღმდეგოთ და გვინდა– არგვინდა ვიქცევით ხოლმე მათ ხელში იმად, რაც უნდათ რომ ვიყოთ“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–30).*

ახალგაზრდა რესპონდენტთა დიდი ნაწილის თვალსაზრისით, გლობალიზაციის პროცესის გავლენა და შემოსვლა საქართველოში გარდაუვალი პროცესია, რადგან გლობალიზაცია საყოველთაოა და მასთან დაპირისპირებას აზრი არ აქვს. თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ ღირებულებებთან დაკავშირებით აუცილებელია სიფრთხილე, რაც სიახლეების მართებულად გაგებასა და შეფასებას გულისხმობს. ამგვარი უნარების დაუფლების გზას კი ისინი განათლებაში ხედავენ.

საშუალო ასაკის რესპონდენტები (31-45) საუბრობენ გლობალიზაციის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე. მათი აზრით, გლობალიზაციის შედეგად მიმოსვლა ადვილდება, გზები იხსნება და ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა ქვეყანა დაათვალიერონ, სხვადასხვა ხალხი და მათი კულტურა გაიცნონ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ევროპული ცივილიზაცია უნდა შე-

მოვიდეს საქართველოში, თუმცა, საკუთარი ღირებულებები არ უნდა დავკარგოთ ამ პროცესში:

> *„გლობალიზაცია (...) დადებითს, ევროპული ცივილიზაცია უნდა შემოვიდეს. ქართულ ამბიციაში დევს ევროპისკენ სწრაფვა, თუ გვინდა, რომ ეს მივიღოთ, უნდა მივიღოთ. თუ არ გვინდა ვუთხრათ და ვიყოთ ისე, როგორც ვართ და ნულარ გვაქვს პრეტენზია. იყავი საქართველოში, აფასე მთა-ბარი და სარწმუნოება, ეკლესია. ღირებულებები არ უნდა დავკარგოთ, თორემ ევროპა არ არის ცუდი“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31-45).*

ერთ-ერთი რესპონდენტი ქალის აზრით, ქართველი ერი ის ერია, რომელსაც ეკონომიკურად ძალიან უჭირს და გადარჩენისთვის იბრძვის, მისთვის მისი ეკონომიკური კეთილდღეობა უმთავრესია, ამიტომ ევროპულ ღირებულებებზე საუბარი და დასავლეთში მიმდინარე პროცესების შეფასება ქართველ ერს მეორეხარისხოვნად მიაჩნია:

> *“დამერწმუნეთ საქართველოს მოსახლეობის 1 მილიონს უნდა 4 მილიონიდან. ეს საგარეო პოილიტიკის და საგარეო ეკონომიკის თემაა, იყო საუბარი, რომ მსოფლიო უნდა გაერთიანდეს და კულტურები უნდა დავივიწყოთ. თუ რაღაც სიახლისკენ მივისწრაფით, ჩავატაროთ კვლევა და ვიკითხოთ ვის უნდა და ვის არა. ერი, რომელიც მიიყვანეს იქამდე, რომ კუჭის პრობლემა ყველაზე წინ დგას, რომელ ღირსებებზეა იქ საუბარი? ელემენტარულად ვიაზროვნოთ, როდესაც გშია ტვინი იხშობა და იმის იქით ვერარაფერზე ფიქრობს. ადამიანი, რომელიც გამომუშავებაზე და დღიურ საზრდოზე ფიქრობს, იმას არც ევროპული ღირსებები ადარდებს, არც ამერიკული ცივილიზაცია აინტერესებს, ის უბრალოდ გადარჩენისთვის იბრძვის. ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც ამ სტადიაში ვართ, ვიბრძვით გადარჩენისთვის“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31-45).*

უფროსი თაობის რესპონდენტების (46-55 და 55+) შეფასებით გლობალიზაცია და ახალი ტექნოლოგიების განვითარება უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე. ისინი დასავლეთიდან შემოსულ სიახლეებს კრიტიკულად აღიქვამენ და ამბობენ, რომ ახალგაზრდებმა „კომპიუტერი ისწავლეს და ტრადიციას აღარ უყურებენ“.

თანამედროვე პროცესებისადმი დამოკიდებულების უფრო ნათელ სურათს გვაძლევს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის 2013 წლის ISSP-ის „ეროვნული იდენტობის“ შესახებ კვლევა. გამოკითხვის ერთ-ერთ ნაწილში რესპონდენტებს სკალაზე (1-დან 5-მდე, შესაბამისად, სრულიად ვეთანხმები და საერთოდ არ ვეთანხმები) უნდა განესაზ-

ღვრათ, თუ რამდენად ეთანხმებიან ცხრილში № 10 წარმოდგენილ დებულებებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით გამოხატავენ, როგორც გლობალიზაციის მომწინააღმდეგეთა, ასევე ამ პროცესის მომხრეთა პოზიციას.

ცხრილი № 10: გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები და მომხრეები

გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები	გლობალიზაციის მომხრეები
ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქტების იმპორტი.	საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებაზე ზეწოლის უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგალითად, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებულ საკითხებში.
დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში.	თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში უკეთესი პროდუქტები ხდება ხელმისაწვდომი.
საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ.	ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლის წევრიცაა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება.

ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქციის იმპორტი – ამ საკითხთან დაკავშირებით, გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა რიცხვი (50,6 %) ჭარბობს მომხრეთა რიცხვს (31,8 %). ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება დიდი საერთაშორისო კომპანიებისადმი დამოკიდებულებაშიც: გამოკითხულთა 50,5 პროცენტისთვის დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში და გამოკითხულთა მხოლოდ 18,5 პროცენტი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 31 პროცენტს კი უჭირს პასუხის გაცემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა კეთილგანწყობილია თავისუფალი ვაჭრობის მიმართ. გამოკითხულთა 61,7% მიიჩნევს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში უკეთესი პროდუქტებისადმი ხელმისაწვდომობა იზრდება (იხ. ცხრილი №11 და დიაგრამა №17).

ცხრილი № 11: გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები

	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო
ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქტების იმპორტი.	23,2%	27,4%	12%	25,3%	6,5%	5,5%	*2,92*
დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში	18,3%	32,2%	16,9%	15,8%	2,7%	14,1%	*3,23*
საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ	8,8%	27,6%	22,6%	19,6%	3,8%	17,6%	*3,7*

დიაგრამა: № 17 გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები



გლობალური პოლიტიკის მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულება შეიძლება ამბივალენტურად შეფასდეს: გამოკითხულთა 52,2 პროცენტისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგალითად, გარემოს დაბინძურების პრობლემის გადაწყვეტისას, უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებაზე ზეწოლის უფლება; ამ მოსაზრებას არ ეთანხმება 28,1%. ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლის წევრიცაა,

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება – ასეთ პოზიციას გამოკითხულთა 39,4% არ იზიარებს, განსხვავებით იმ 28,4 პროცენტისგან, რომლისთვისაც ასეთი მიდგომა მისაღებია. გამოკითხულთა 36,4% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ, 23,4 % კი ასე არ ფიქრობს (იხ. ცხრილი №12 და დიაგრამა №18).

ცხრილი №12: გლობალიზაციის მომხრეები

	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო
საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებაზე ზეწოლის უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგალითად, გარემოს დაბინძურების პრობლემა	17,8%	34,4%	10,7%	19,6%	8,5%	9,1%	*3,12*
თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში უკეთესი პროდუქტები ხდება ხელმისაწვდომი	19,2%	42,5%	13,6%	12,4%	3,7%	8,7%	*2,83*
ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლის წევრიცაა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება	6,4%	22%	18,8%	29,8%	9,6%	13,3%	*3,81*

დიაგრამა №18: გლობალიზაციის მომხრეები



გამოკითხულ რესპონდენტთათვის ეროვნული პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა პრიორიტეტულია. ეს მკაფიოდ ჩანს შემდეგი მაჩვენებლებიდან: გამოკითხულთა 44,9 პროცენტი, განსხვავებით 36,5 პროცენტისგან, მიიჩნევს, რომ საქართველომ საკუთარი ინტრესების მიხედვით უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ ეს სხვა ერებთან კონფლიქტს გამოიწვევს. გამოკითხულთა 73,5% აცხადებს, რომ უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება, ხოლო 74,8 პროცენტის აზრით, საქართველოს ტელევიზია უპირატესობას ქართულ ფილმებსა და პროგრამებს უნდა ანიჭებდეს.

ეროვნული პოლიტიკა გლობალიზაციის პროცესში

გამოკითხულ რესპონდენტთა დამოკიდებულება ეროვნული პოლიტიკისადმი, საერთაშორისო კონტექსტში, ერთგვაროვანია, როგორც ასაკის, ასევე სქესის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, საქართველომ, უპირველესად, თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს, თუნდაც ამას სხვა ქვეყნებთან კონფლიქტი მოჰყვეს. განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა უცხოელებზე მიწის გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით და ეს უარყოფითი ტენდენცია იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ასევე რესპონდენტთა უარყოფითი დამოკიდებულება საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი და იმ დებულების მომხრეთა რაოდენობა, რომლის თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაციები

საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ.

ახალგაზრდა რესპონდენტები, უფროსი ასაკის რესპონდენტებთან შედარებით, უფრო მეტად ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგალითად, გარემოს დაბინძურების შემთხვევაში. რესპონდენტთა უმრავლესობა არ ეთანხმება შემდეგ მოსაზრებას: „ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლის წევრიცაა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება“. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი № 13 და ცხრილი №14 გვიჩვენებს დადებითად გაცემულ პასუხთა პროცენტულ მაჩვენებლებს ასაკისა და სქესის მიხედვით:

ცხრილი: №13

კითხვა	ქალი	კაცი
საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებაზე ზეწოლის უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგალითად, გარემოს დაბინძურების პრობლემა	57,6%	55,9%
საქართველომ საკუთარი ინტერესების მიხედვით უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ ეს სხვა ერებთან კონფლიქტს გამოიწვევს	45,7%	53,2%
უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება	77,5%	74,9%
ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლის წევრიცაა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება	33,1%	31,3%
საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ	42,5%	47,4%

ცხრილი: №14

კითხვა	18-30	31-45	46-55	56+
საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებაზე ზეწოლის უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგალითად, გარემოს დაბინძურების პრობლემა	59,3%	63,5%	50%	54,4%
საქართველომ საკუთარი ინტერესების მიხედვით უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ ეს სხვა ერებთან კონფლიქტს გამოიწვევს	46,9%	51,1%	46,6%	50,7%
უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება	65,8%	74,2%	75%	84,6%
ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლის წევრიცაა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება	30,4%	34,9%	33,8%	31,1%
საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ	34,2%	42,4%	48,2%	51,4%

უფროსი ასაკის (46-55, 55-100) რესპონდენტთა უმრავლესობა (57,9%, 62%), ახალგაზრდა (18-30, 31-45) რესპონდენტებთან შედარებით (39%, 51,7%), იზიარებს მოსაზრებას, რომ ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქციის იმპორტი. უფროსი თაობის რესპონდენტები ასევე მიიჩნევენ, რომ დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში. თავისუფალ ვაჭრობას ორივე თაობის უმრავლესობა უჭერს მხარს (63%+), თუმცა, ახალგაზრდა რესპონდენტებში ამ მხარდაჭერის მაჩვენებელი უფრო მაღალია (69,7%, 72,1%) ვიდრე უფროს თაობასთან (იხ. ცხრილი №15). ამ საკითხთან დაკავშირებით, სქესის მიხედვით, განსხვავება არ ფიქსირდება (იხ. ცხრილი № 16).

ცხრილი: №15

კითხვა	18-30	31-45	46-55	56+
ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქტების იმპორტი	39%	51,7%	57,9%	62%
დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში	53,4%	56,4%	60,5%	64,9%
თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში უკეთესი პროდუქტები ხდება ხელმისაწვდომი	69,7%	72,1%	66,4%	63,6%

ცხრილი: №16

კითხვა	ქალი	კაცი
ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქტების იმპორტი	51,2%	56,9%
დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში	57,2%	61,9%
თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში უკეთესი პროდუქტები ხდება ხელმისაწვდომი	67,2%	67,7%

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილენი მკაფიოდ გამოხატავენ თავიანთ დადებით დამოკიდებულებას ქართული ფილმებისა და სატელევიზიო პროგრამებისადმი. გამოკითხულთა უმრავლესობა, როგორც ქალი (76,8%), ასევე კაცი (79,5%) აცხადებს, რომ საქართველოს ტელევიზია უპირატესობას ქართულ

ფილმებსა და ტელეპროგრამებს უნდა ანიჭებდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დამოკიდებულება ასაკის მატებასთან ერთად იზრდება და ძირითადად უფროსი თაობის რესპონდენტებისთვის არის მნიშვნელოვანი ქართული ფილმებისა და პროგრამების პრიორიტეტი ტელეეთერში (იხ. დიაგრამა №19):

დიაგრამა: №**19**



გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა სიფრთხილით და გარკვეული შიშით ეკიდება ეროვნული პოლიტიკისა და ეკონომიკის ჩართულობას საერთაშორისო სივრცეში – ასეთ დასკვნას კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფაქტორული ანალიზიც ადასტურებს. საერთაშორისო საკითხებისადმი დამოკიდებულებაში ეროვნული პოლიტიკის დაცვის ტენდენცია იგრძნობა, რასაც შესაბამისი პარამეტრების ორ ფაქტორად განაწილებაც გვიჩვენებს. პირველს „**შეზღუდვების**“ **ფაქტორი** შეიძლება ეწოდოს, მეორეს კი – „**საგარეო ორიენტირები**“ (იხ. ცხრილი №17).

ცხრილი: №17

	ფაქტორი		საშუალოები
	1	2	1-სრულიად ვეთანხმები; 5 სრულიად არ ვეთანხმები
ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქტების იმპორტი	.593	.334	2.63
საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებაზე ზეწოლის უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგალითად, გარემოს დაბინძურების პრობლემა	-.075	.698	2.65
საქართველომ საკუთარი ინტერესების მიხედვით უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ ეს სხვა ერებთან კონფლიქტს გამოიწვევს	.167	.672	2.82
უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება	.702	.116	1.88
საქართველოს ტელევიზია უპირატესობას ქართულ ფილმებსა და პროგრამებს უნდა ანიჭებდეს	.748	-.236	1.84

„შეზღუდვების“ ფაქტორში სამი ცვლადი ერთიანდება: „ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქტების იმპორტი“, „უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება“ და „საქართველოს ტელევიზია უპირატესობას ქართულ ფილმებსა და პროგრამებს უნდა ანიჭებდეს“.

დემოგრაფიული ცვლადებიდან „შეზღუდვების“ ფაქტორი დამოკიდებულია ისეთ ცვლადებზე, როგორიცაა: ასაკი (p=.000), განათლების დონე (p=.000) და დასაქმების ტიპი (p=.000). „შეზღუდვების“ ფაქტორი უფრო მეტად 55 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტებს ახასიათებს (0.30), უფრო ნაკლებად კი 18-24 წლის რესპონდენტებს (-0.55). ამასთან, „შეზღუდვების“ ფაქტორი უფრო ძლიერია საშუალოზე დაბალი განათლების მქონე ჯგუფებთან (0.28) და სუსტია მაგისტრზე უფრო მაღალი განათლების ხარისხის მქონე პირთათვის (-0.24). „შეზღუდვების“ ფაქტორი უფრო მეტად ახასიათებს ამჟამად უმუშევარ რესპონდენტებს, რომლებსაც ადრე ჰქონდათ ანაზღაურებადი სამუშაო (0.17), ხოლო შედარებით ნაკლებად ახასიათებს მათ, ვისაც არასდროს ჰქონია ანაზღაურებადი სამუშაო (-0.18). ორივე შემთხვევაში ტენდენცია სუსტადაა გამოხატული. შეზღუდ-

ვების ფაქტორი უფრო ძლიერია საჯარო მოხელეებისთვის (0.19), ხოლო სუსტი – კერძო მოხელეებისთვის (-0.12). ტენდენცია აქაც სუსტადაა გამოხატული. „შეზღუდვების“ ფაქტორი ნაკლებად ახასიათებთ მოსწავლე/სტუდენტებს (-0.71), ინტერნეტსა (-0.66) და სამხედრო ან საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში დასაქმებულებს (-0.63).

„საგარეო ორიენტირების“ ფაქტორში ორი ცვლადი ერთიანდება: „საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებაზე ზეწოლის უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგალითად, გარემოს დაბინძურების პრობლემა“ და „საქართველომ საკუთარი ინტერესების მიხედვით უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ ეს სხვა ერებთან კონფლიქტს გამოიწვევს“. დემოგრაფიული ცვლადებიდან „საგარეო ორიენტირების“ ფაქტორისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია მხოლოდ განათლების დონის აღმნიშვნელი ცვლადი (p=.000). „საგარეო ორიენტირების“ ფაქტორი უფრო მეტად ახასიათებს მაგისტრზე მაღალი განათლების მქონე პირებს (0.44). სტატისტიკურად უმნიშვნელოა შემდეგი ცვლადები: სქესი (p=.143), ასაკი (p=.067) და დაქმების ტიპი (p=.06).

საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი პარამეტრები ორ ფაქტორად დაიყო (იხ. ცხრილი №18) და მათ „**ზიანის**“ და „**სარგებლის**“ ფაქტორები შეიძლება ეწოდოს.

„**ზიანის**“ **ფაქტორში** ორი ცვლადი ერთიანდება: „დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში“ და „საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ“. დემოგრაფიული ცვლადებიდან „ზიანის“ ფაქტორისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ისეთი ცვლადები, როგორიცაა: სქესი (p=.000), ასაკი (p=.000) და განათლების დონე (p=.03).

იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც ზიანის მომტანად აღიქვამენ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ასაკის მიხედვით შემდეგი ტენდენცია დაფიქსირდა: 18-25 წლამდე (-.027) და 26-დან 34 წლამდე (-.015) ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ნაკლებად ავლენენ უარყოფით დამოკიდებულებას ამ ინსტიტუტებისადმი, ხოლო 55+ წლის რესპონდენტები, პირიქით, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე უფრო ნეგატიურად

არიან განწყობილი საერთაშორისო ინსტიტუტებისადმი (.012), ანუ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთა მიერ საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობა საქართველოსთვის საზიანოდ აღიქმება.

რაც შეეხება განათლების დონის ცვლადს – საშუალოზე დაბალი განათლების მქონე ჯგუფებში უფრო მეტად ვლინდება სუსტი ტენდენცია, რომ „ზიანის“ მომტანად აღიქვან საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები (.015). რაც უფრო იზრდება განათლების დონე (მაგისტრის ხარისხი და უფრო ზემოთ) (-.020), მით უფრო მცირდება აღნიშნული ტენდენცია.

საყურადღებოა, რომ არც ერთ ფაქტორში არ გაერთიანდა და არც ცალკე ფაქტორად გამოიყო ცვლადი – „საკუთარ თავს მსოფლიო მოქალაქედ უფრო ვთვლი, ვიდრე რომელიმე ქვეყნის“. ამასთან, ამ ცვლადმა მკვეთრად უარყოფითი საშუალო შეფასება მიიღო (4.39).

ცხრილი: №18

Rotated Component Matrix[a]

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?	ფაქტორი		საშუალოები
	1	2	1-სრულიად ვეთანხმები; 5 სრულიად არ ვეთანხმები
დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში	.764	-.088	2.43
თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში უკეთესი პროდუქტები ხდება ხელმისაწვდომი	.020	.697	2.34
ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლის წევრიცაა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება	.024	.775	3.17
საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ	.779	.025	2.77
საკუთარ თავს მსოფლიოს მოქალაქედ უფრო ვთვლი, ვიდრე რომელიმე ქვეყნის	-.228	.340	4.39

„სარგებლის“ ფაქტორში ასევე ორი ცვლადი გაერთიანდა: „თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში უკეთესი პროდუქტები ხდება ხელმისაწვდომი“ და „ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა

იმოქმედოს, რომლის წევრიცაა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება“. დემოგრაფიული ცვლადებიდან „სარგებლის“ ფაქტორისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: ასაკი (p=.001), განათლების დონე (p=.01), დასაქმების ტიპი (p=.01) და უმნიშვნელოა სქესის ცვლადი (p=.991). ასაკის მატებასთან ერთად „სარგებლის“ ფაქტორისადმი დამოკიდებულება მცირდება (იხ. ცხრილი №19):

ცხრილი: №19

1 18-24	2 25-34	3 35-44	4 45-54	5 55-64	6 65 და მეტი
0.07	**0.08**	**0.13**	**0.05**	**-0.06**	**-0.19**

რესპონდენტთა განათლების დონე შესაბამისობაშია თავისუფალი ვაჭრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი კეთილგანწყობასთან – რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო იზრდება კეთილგანწყობა, ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად აღიქვამენ თავისუფალ ვაჭრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოსთვის სარგებლის მომტანად (იხ. ცხრილი №20):

ცხრილი: №20

არ მიმიღია 8 ან 9 წლის სასკოლო ატესტატი	მაქვს 8 ან 9 წლის სკოლის ატესტატი	მაქვს საშუალო სკოლის ატესტატი	მაქვს პროფესიული /ტექნიკური განათლების დიპლომი	მაქვს ბაკალავრის დიპლომი	მაქვს მაგისტრის დიპლომი /მაგისტრთან გათანაბრებული 5-წლიანი დიპლომი	მაქვს დოქტორის ხარისხი
-0.44	**-0.01**	**-0.05**	**0.01**	**0.04**	**0.35**	**0.11**

ფაქტორული ანალიზისა და საშუალოების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში საერთაშორისო ჩარევის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულებაში სიფრთხილე და უნდობლობა ჩანს.

საბოლოოდ, გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებისადმი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სკეპტიკური და უარყოფითი განწყობა წარმოაჩენს გლობალიზაციისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას და ეროვნული პოლიტიკისა და ეკონომიკისადმი ერთგულებას.

ძირითადი მიგნებები

- რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქციის იმპორტი;
- რესპონდენტთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით უფროსი თაობის რესპონდენტები, უარყოფითად არიან განყობილი დიდი საერთაშორისო კომპანიებისადმი, რადგან, მათი აზრით, ეს კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში;
- რესპონდენტთა უმრავლესობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა (18-30) და საშუალო (30-45) ასაკის თაობა, კეთილგანწყობილია თავისუფალი ვაჭრობის მიმართ და მიაჩნია, რომ თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში იზრდება უკეთესი პროდუქტებისადმი ხელმისაწვდომობა;
- გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით, საქართველომ საკუთარი ინტერესების მიხედვით უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ ეს სხვა ერებთან კონფლიქტს გამოიწვევს;
- გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება და ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება იზრდება ასაკის მატებასთან ერთად;
- რესპონდენტთა ნაწილი, განსაკუთრებით უფროსი ასაკის რესპონდენტები, უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ საერთშორისო ორგანიზაციებისადმი და ეთანხმებიან მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას მნიშვნელოვან ძალაუფლებას ართმევენ;
- რესპონდენტთა უმრავლესობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა (18-30) და საშუალო ასაკის (30-45) თაობა, მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ხელისუფლებაზე ზემოქმედების უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგალითად, გარემოს დაბინძურების პრობლემა;
- რესპონდენტთა უმრავლესობა, განსაკუთრებით უფროსი თაობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ტელევიზია უპირატესობას უნდა ანიჭებდეს ქართულ ფილმებსა და პროგრამებს.

3.2.3. საერთაშორისო საფრთხეები ქართველი საზოგადოებისთვის

ქართველი საზოგადოების წინაშე არსებული საერთაშორისო საფრთხეების განსაზღვრისას, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიმართულება. რესპონდენტების უმრავლესობამ ყველაზე უფრო მწვავე საფრთხედ რუსეთი დაასახელა, რომელიც, მათი აზრით, არა მხოლოდ ტერიტორიული თვალსაზრისით უქმნის საშიშროებას საქართველოს, არამედ ანტიდასავლური ღირებულებების აგიტაციისა და გავრცელების მხრივაც. სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ძირითად საფრთხეებს შორის დასახელდა: გეოპოლიტიკური გარემოებები, ტერორიზმი, დემოგრაფიასა და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. გამოკითხული ექსპერტები საუბრობენ საფრთხეების მიმართ საზოგადოების ერთიანი შეთანხმების აუცილებლობაზეც, რომლის გარეშეც რთული იქნება მათი თავიდან აცილება.

რუსეთი, როგორც მთავარი საფრთხე

ყველაზე უფრო თვალსაჩინო საფრთხედ, როგორც კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებისა და ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში ჩართული აქტორების, ასევე ფოკუს ჯგუფების რესპონდენტების მიერ დასახელდა რუსეთი. საქართველოს მეზობელი ქვეყნის საფრთხედ აღქმა რამდენიმე ძირითად განზომილებად იშლება:

- რუსეთი, როგორც საერთაშორისო საფრთხე არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის;
- რუსეთი, როგორც საფრთხე საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის;
- რუსული „რბილი ძალის“ გააქტიურება, რაც ანტიდასავლური ღირებულებების მიზანმიმართულ დანერგვასა და პრორუსულ პროპაგანდაში გამოიხატება.

რუსეთი, როგორც მრავალმხრივი საფრთხე, კარგად ჩანს ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსის ინტერვიუში:

„რუსეთი არამარტო საქართველოს, არამედ საერთოდ საფრთხეს წარმოადგენს, ჩემი აზრით, მისი პოლიტიკა, მისი დღევანდელი ხელისუფლება, მენტალურად, პრაგმატულად, სამხედრო-პოლიტიკურად, პროპაგანდისტულად თუ ეკონომიკურ-ენერგეტიკულად, რომელი ერთი დავასახელო, ყველაფერი თავს იყრის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, რუსეთი და მისი მისწრაფებები ზესახელმწიფოს სტატუსის დაბრუნებისკენ, უპირველესად, იმ სახელმწიფოებს ემუქრება, რომლებსაც იგი საკუთარი გავლენის სფეროში მოიაზრებს:

„ზესახელმწიფო ქვეყანა ვერ იქნება, თუ მისი გავლენა მხოლოდ მის საზღვრებს შიგნითაა, მას აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოები, რომლებიც მისი გავლენის არეალში არიან. ასეთი სახელმწიფოებია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. ბალტიისპირეთი დაკარგა რუსეთმა, მაგრამ დანარჩენების დაკარგვას არ აპირებს. ამიტომ მისი მიზანია, რომ ყველა ქვეყანა რუსეთის ორბიტაში მოაქციოს, როგორც სომხეთი მოაქცია, როგორც ყაზახეთია, როგორც ბელორუსია, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი. ამიტომ, მისთვის წარმოუდგენელია, რომ რომელიმე რესპუბლიკა, ამ შემთხვევაში საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, პირველ რიგში, ამ ორბიტას მოწყდეს და ევროპულ ორბიტაზე გადავიდეს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ქვეყნის მთავარ საფრთხედ რუსეთის „იმპერიალისტურ პოლიტიკას“ მიიჩნევს. ამასთანავე, რუსეთი მუდმივ საფრთხედ რჩება ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან მის ხელში მძლავრი ეკონომიკური ბერკეტებია, რაც თუნდაც ეკონომიკური ემბარგოს დაწესება/არდაწესებაში გამოიხატება.

რუსეთს, რომელსაც დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული, უმთავრეს საფრთხედ აღიქვამს წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების რესპონდენტთა დიდი ნაწილი. მათი აზრით, ყველაზე დიდი საფრთხე ჩრდილოელი მეზობლის საგარეო პოლიტიკაა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას დაშლისკენ არის მიმართული. ფოკუს ჯგუფების რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს საფრთხეს უქმნის ასევე მისივე გეოპოლიტიკური მდებარეობა.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა მედიის წარმომადგენლებმა

ასევე განსაკუთრებით აღნიშნეს რუსეთის, როგორც ოკუპანტი ქვეყნის ფაქტორი, რომელიც მოქმედ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტისთვის.

> *„რუსეთი მთავარი საფრთხეა, რაც ქვეყანას ჰყავს, ფაქტია. როგორც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ გვინდა ურთერთობების დალაგება და გვინდა, რომ რაღაც, ფაქტი ერთია, რომ რაც არ შევთავაზეთ რუსეთს, იქედან მუდმივად მუქარას ვიღებთ. ყველას გვახსოვს 2008 წელს რაც მოხდა ამ ქვეყანაში და მე არ ვიცი, ვერ ვიგებ იმ პოლიტიკოსების ასე ვთქვათ კეთილგანწყობას ამ ქვეყნის მიმართ, როდესაც მართლა 40 კილომეტრში უცხო ქვეყნის ჯარი გვიდგას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედია წარმომადგენელი).*

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, საქართველოსთვის მთავარი საფრთხე არის არა რუსეთი, არამედ მისი დამბალანსებელი ზესახელმწიფოს სისუსტე (*რესპონდენტი აშშ-ს გულისხმობს*), რადგან რუსეთი დარჩა უკონტროლო გარემოში, სადაც არ არის „პოლიციელი“, რომელიც მის უკანონობას აღკვეთს. ექსპერტის აზრით, ამის კარგი მაგალითია 2008 წლის „აგვისტოს ომი“, როდესაც რუსეთმა თანდათან მოსინჯა ნიადაგი და როდესაც მიხვდა, რომ მის მიერ განხორციელებული პროვოკაციები საერთაშორისო ასპარეზზე არ იქნებოდა დასჯილი, კიდევ უფრო მასშტაბური დარტყმა მოგვაყენა:

> *„ზოგადად პატარა ქვეყნები, რომლებსაც გვერდით აგრესიული დიდი მეზობლები ჰყავთ, ან ზოგადად ისეთი ლიბერალური იდეები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ეს შეიძლება გადარჩეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუკი საერთაშორისო სისტემაში არსებობს ისეთი ჰეგემონური ძალა, რომელსაც თვითონ აქვს ეს ფასეულობები: ლიბერალური ფასეულობები, რომლებიც, მათ შორის, გულისხმობს უმცირესობათა უფლებების დაცვას, ადამიანთა უფლებების დაცვას, ერთა გამორკვევის პრინციპის დაცვას, ტერიტორიული მთლიანობის და ა.შ.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული ზოგიერთი რესპონდენტი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამო პასუხისმგებლობას წინა (პრეზიდენტ სააკაშვილის) ხელისუფლებას აკისრებს და ერიდება რუსეთის დადანაშაულებას. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსის აზრით, სააკაშვილის ხელისუფლებას არ ეყო *„ჭკუა და შორსმჭვრეტელობა“* ქვეყნისთვის

აეცილებინა სამხედრო დაპირისპირება. იგი მიიჩვევს, რომ მომავალში ქართველებმა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისათვის ძალა არ უნდა გამოიყენონ. მსგავს აზრს აფიქსირებს ჩვენს კვლევაში გამოკითხული სასულიერო პირიც. მისი განმარტებით, რუსეთი საქართველოსთვის ნამდვილად წარმოადგენს საფრთხეს, თუმცა, ამავდროულად, იგი ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა, რომელთან დავის შემთხვევაში მასთან ფრთხილად უნდა იყო.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლისთვის რუსეთი განსაკუთრებით საშიში გახდა უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ:

> *„უკრაინის მაგალითის მერე საერთოდ არ მაქვს იმის ილუზია, პუტინმა ერთ მშვენიერ დღეს რომ მოინდომოს, კიდევ ორი რეგიონი მიაყოლოს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, რომ ჩვენ არაფერი გამოგვივა, შევეცდებით, მაგრამ მაინც, ეს ძალიან მაშინებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

როგორც სიღრმისეულმა ინტერვიუებმა გვიჩვენა, ექსპერტებიც და ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში ჩართული აქტორებიც საყურადღებოდ მიიჩნევენ საქართველოში რუსეთის მიერ ე.წ. „რბილი ძალის“ გააქტიურებას. მათი შეფასებით, დღესდღეობით რუსეთი საქართველოს სამხედრო დარტყმებს არ აყენებს, მაგრამ ცდილობს წინაღობები შეგვიქმნას სახელმწიფოებრივი განვითარებისა და ევროინტეგრაციის გზაზე და ამისთვის, სხვა ბერკეტებთან ერთად, „რბილ ძალას“ იყენებს.

პოლიტიკოსები და მედიის წარმომადგენლები რუსული „რბილი ძალის“ გააქტიურებას, უპირველეს ყოვლისა, მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებენ[30]. ერთ-ერთი გამოკითხული პოლიტიკოსის აზრით, თუ რუსეთი უკრაინაში ამჟამად „ჰიბრიდული ომის“ ტაქტიკას მიმართავს, საქართველოში „რბილ ძალას“ იყენებს, რაც ყველაზე მკაფიოდ საარჩევნო პროცესში პრორუსული ძალების დაფინანსებაში გამოიხატება. მედიაწარმომადგენლის აზრით, რუსეთის მიერ ფინანსდება არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, არამედ მედიასაშუალებები, რომლებიც მიზანმიმართულ პროპაგანდას ეწევიან:

> *„ეს საფრთხე კიდევ უფრო გააქტიურდება არჩევნების წინ ქვეყანაში იმიტომ, რომ საკმაოდ დიდი ფული შემოდის რუსეთიდან, სრულიად გაუკონტროლებელი, რომელიც სხვადასხვა*

30 იგულისხმება 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები.

მედიასაშუალებებში მიდის, პროპაგანდაში მიდის და ეს ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებს, საბოლოო ჯამში. მე ვფიქრობ, ამ მიმართულებით არის სამუშაო და გასააქტიურებელი ქვეყნის მთავრობის მუშაობა" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების მიერ რუსული „რბილი ძალის" ხელშემწყობ ფაქტორად დასახელდა სარწმუნოებრივი ფაქტორი – მართლმადიდებლობა. ექსპერტების შეფასებით, მართლმადიდებლობისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ერთმანეთთან დასაკავშირებლად გამიზნული პროპაგანდისტული მუშაობა მიმდინარეობს:

„რადგან მართლმადიდებლობა ჩვენთან იდენტიფიკაციის სერიოზული ფაქტორია, რასაც იყენებს რუსეთი „რბილი ძალის" საშუალებით, ამით ბუნებრივი გადაბმა და იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს რუსეთთან და ევრაზიულ კულტურასთან. როგორც რუსეთი ამბობს, რომ ჩვენ არ ვართ ევროპული, არამედ ცალკე იდენტობის მქონე ერი, გვაქვს ევრაზიული იდენტობა, ეს შეიძლება ძალიან ადვილად გასაღდეს საქართველოში. ეს საფრთხე არის რაც იდენტობას უკავშირდება. საგარეო პოლიტიკური შედეგის მქონე, პრორუსული, პრომართლმადიდებლური, ოღონდ რუსეთთან მიბმული იდენტობა. ამასთან დაკავშირებით ვრცელდება მითები, მუშაობს პროპაგანდა" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტებში რუსეთის მიმართ სიახლოვის განცდა, გარკვეულწილად, მართლაც სარწმუნოებრივი თანხვედრით არის განპირობებული. საშუალო (31-45) და უფროსი (55+) ასაკის რესპონდენტების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართველები, ღირებულებებისა და კულტურის მხრივ, ყველაზე ახლოს რუსებთან ვართ და სწორედ ამ კონტექსტში ფიგურირებს ერთმორწმუნეობის საკითხიც.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსის აზრით, რუსეთის ინტერესს ემსახურება საქართველოში ულტრანაციონალისტური იდეების გავრცელებაც, რადგან ამ მიმართულებით სვლა დემოკრატიული კურსიდან გადახვევას ნიშნავს და, საბოლოოდ, ეს პროცესი შესაძლოა რეალური სუვერენიტეტის დაკარგვითაც დამთავრდეს:

„შეიძლება სუვერენიტეტის ილუზია შევინარჩუნოთ და დავკარგოთ დემოკრატია, ადამიანის უფლებები. ამ პრინციპების დაცვა: კანონის უზენაესობა, უკანონობასთან ბრძოლა, კორუფციასთან ბრძოლა, კრიმინალთან ბრძოლა, ასოცირდება დასავლეთთან, მიიღწევა დასავლეთთან ინტეგრაციით. თუ ამას მოვწყდით, ეს დაგვტოვებს ძალიან არადემოკრატიული პრინციპების ამარა, რომელსაც განასახიერებს რუსეთი. მას ეს არ ადარდებს და პირიქით აწყობს კიდეც, რომ საქართველო იყოს არაინტეგრირებული, დაშლილი, გათითოკაცებული საზოგადოება“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ხშირად ხდება რუსეთის, როგორც საფრთხის უგულებელყოფა და ნაკლებად მნიშვნელოვან საფრთხეებზე ყურადღების გადატანა, მაგალითად, საქართველოს სხვა მეზობლებ ქვეყნებზე, მაჰმადიანურ სამყაროზე და ა.შ. ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ რეალური საფრთხის გადაფარვის მცდელობაა.

რაც შეეხება რუსეთის, როგორც საფრთხის წარმოჩენას საზოგადოების წინაშე, ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული მედიაწარმომადგენელი ფიქრობს, რომ მისი ტელეკომპანიის მიერ რუსეთთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის ობიექტურად შუქდება და ამ თემატიკას ისეთი ყურადღება ეთმობა, როგორიც უნდა ეთმობოდეს ქვეყნისთვის ყველაზე დიდი საფრთხის ჩვენებას.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საგარეო საფრთხის განსაზღვრისას რუსეთი თითქმის ყველა ექსპერტმა და აქტორმა დაასახელა, მათი შეფასებით, ზემოხსენებული საფრთხის აშკარა გამოკვეთილობისა და თვალსაჩინოების მიუხედავად, არ არსებობს საბოლოო კონსენსუსი, რომლის საფუძველზეც ვიტყოდით, რომ ქართველ საზოგადოებას რუსეთის მიმართ ერთიანი პოზიცია აქვს. შეუთანხმებლობის მიზეზად, სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების მიერ, ერთი მხრივ, დასახელდა ელიტა, რომელიც დღემდე ვერ ჩამოყალიბდა რუსეთის ფაქტორთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირში სოციალიზებული ადამიანების ნოსტალგია რუსეთის მიმართ.

რაც შეეხება ელიტას, გამოკითხული ექსპერტების განმარტებით, საზოგადოების ზედა ფენებში არ ჩანს ერთიანი პოზიცია, რუსეთის, როგორც საქართველოს წინაშე არსებული მთავარი საფრთხის თაობაზე, შესაბამისად, ფართო მასებშიც ვერ გავრცელდა რუსე-

თის მიმართ ერთგვაროვანი, უარყოფითი დამოკიდებულება. მეტიც, ექსპერტთა შეფასებით, ელიტა ვერ აცნობიერებს, რომ პრორუსული ორიენტაცია მიუღებელია.

რუსეთის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულების ერთ-ერთი მთავარი წყარო, გამოკითხული ექსპერტების აზრით, არის შუახნის ასაკის და უფრო ხანდაზმული რესპონდენტების ნოსტალგია საბჭოთა კავშირის მიმართ:

> *„მისტირიან ამ რუსეთს იმიტომ, რომ მათ ფუნქცია დაკარგეს, ადგილი მათ არ დარჩათ, განათლება მიიღეს სხვა ქვეყნისთვის, ის ქვეყანა აღარ არსებობს, სამსახური არ აქვთ, ევროპაში მაგათ არავინ მიიღებს და აღარც ასაკი აქვთ ისეთი, რა უნდა გააკეთო. ჰგონიათ, რუსეთში რომ დაბრუნდნენ, ისევ ის ცხოვრება იქნება“. (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსულ მოდელს საქართველოში გაცილებით უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს საშუალო ასაკის ადამიანების სახით. მისი განმარტებით, ერთადერთი, რაც ხელს უშლის რუსების უფრო ღრმა ზეგავლენას საქართველოზე, არის მათივე იმპერიალისტური ზრახვები, რომლებიც პრორუსულად განწყობილ ქართველებსაც კი აფრთხობს.

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში დაფიქსირდა უფრო ოპტიმისტური მოსაზრებაც. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, რუსეთის მხრიდან უკრაინაში განხორციელებულმა ღია აგრესიამ სერიოზული ზიანი მიაყენა მის იმიჯს და ამ მხრივ დასავლეთის ქვეყნების კონსოლიდაცია გამოიწვია. საქართველოსთვის კი ამ პროცესმა პოზიტიურად იმოქმედა იმ თვალსაზრისით, რომ დაასუსტა პრორუსული ძალების პოზიცია.

რუსეთის მიმართ ნოსტალგიის თვალსაზრისით, საინტერესოა ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ფოკუს ჯგუფების რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე: „რომელ მათგანთან (ევროპა, რუსეთი, კავკასია) გრძნობთ სიახლოვეს?“ შუახნის და უფროსი ასაკის რესპონდენტებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება დაფიქსირდა და გაირკვა, რომ ისინი სიახლოვის განსაზღვრისას პირად გამოცდილებას ეყრდნობიან. „ახლანდელ“ რუსეთთან საერთოს ვერ პოულობენ, მაგრამ იხსენებენ, რომ კომუნისტურ წარსულში რუსეთთან და რუსებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და, შესაბამისად, სიახლოვეს დღემდე უფრო რუსეთთან გრძნობენ, ვიდრე ევროპასთან. რესპონდენტები, ერთი

მხრივ, აცნობიერებენ, რომ რუსეთი ამჟამად ოკუპანტია, თუმცა, მეორე მხრივ, მისი გადამტერება არაგონივრულად მიაჩნიათ. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ რუსეთთან დამოკიდებულებაში წყალგამყოფი ხაზი მაინც 2008 წლის აგვისტოს ომია – რესპონდენტებს უჭირთ ერთმნიშვნელოვანი სიმპათია გამოხატონ იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია და დღემდე უმთავრეს საფრთხედ რჩება.

დასავლეთი – ლიბერალური ღირებულებები, როგორც საფრთხე ქართული ეროვნული იდენტობისთვის

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები განმარტავენ, რომ საფრთხეების განსაზღვრის საფუძველი არის ის, თუ რა ტიპის ღირებულებებს იზიარებს ადამიანი. მიუხედავად რუსეთის, როგორც რეალური საფრთხის არსებობისა, ექსპერტების აზრით, ანტილიბერალურად განწყობილი ქართველისთვის შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს არა მხოლოდ რუსეთი, არამედ ევროპა და მასთან დაკავშირებული ლიბერალური ღირებულებები. ერთ-ერთი გამოკითხული ექსპერტის დაკვირვებით, ქართველებისთვის ევროპა, უპირველესად, ასოცირდება ცხოვრების კარგ პირობებთან, მაგრამ, ამავდროულად, მათ არ სურთ ევროპული ცხოვრების წესის სრულად მიღება, თავისუფლების ბოლომდე გაზიარება. მათ აქვთ შიში, რომ ეს თავისუფლება ქართულ იდენტობას და ღირებულებებს დაანგრევს.

გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, დღესდღეობით დევიზი: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ევროპელი“[31]- ჯერ კიდევ არ არის ქართული ნაციონალური იდენტობის ნაწილი. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ იცის, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროპასთან დაახლოების შემთხვევაში ძალიან ბევრი პრობლემა მოგვარდება და ექსპერტები, ძირითადად, სწორედ ამ ფაქტორით ხსნიან ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ უმრავლესობის მხარდაჭერას. მათი აზრით, ეს პოზიტიური ფაქტორია, თუმცა არცთუ მყარი, რადგან ქართული ეროვნული იდენტობა ჯერ კიდევ იქმნება, გავლენას ადვილად ექვემდებარება და ასეთ ვითარებაში საერთაშორისო ფაქტორებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

31 „მე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ევროპელი!“ – საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მიერ 1999 წელს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები.

ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებიდან ირკვევა, რომ საფრთხედ აღიქმება თვით საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რაც, რესპონდენტების აზრით, არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროპისა და ამერიკის ინტერესის საფუძველს წარმოადგენს. ამერიკა ახალგაზრდა რესპონდენტების ნაწილის მიერაც დასახელდა საფრთხედ, ხოლო უფროსი თაობის რესპონდენტებისთვის (55+) ძირითად საერთაშორისო საფრთხედ სწორედ ამერიკა მოიაზრება. 55+ ასაკობრივი ჯგუფის მიერ გარე საფრთხედ დასახელდა, ასევე საერთაშორისო კორპორაციები და ორგანიზაციები.

დასავლეთისა და ლიბერალური ღირებულებების მიმართ ქართველ საზოგადოებაში არსებული განწყობილება ძალიან ჰგავს შფოთვას, რომელსაც თეორიულ ნაწილში უკვე ნახსენები ჯერარდ დელანტი ამ საუკუნის დამახასიათებელ შტრიხს უწოდებს (Delanty, 2008). დენალტის განმარტებით, შფოთვა არის ეგზისტენციალური მდგომარეობა, უპირველესად, ფსიქოლოგიური, თუმცა მას აქვს ასევე უფრო ფართო სოციალური და პოლიტიკური გამოყენება თანამედროვე საზოგადოებისთვის. თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი შფოთვა წარმოიშვა დაუცველობის დონის ამაღლების ფონზე, რისკისა და გაურკვევლობის იმ სიჭარბესთან ერთად, რომელსაც გზა გაუხსნა გლობალიზაციამ.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერება – რადიკალური ნაციონალისტების გაძლიერების საფრთხე

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსები, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ქართველი საზოგადოებისთვის აქტუალურ საერთაშორისო საფრთხედ მიიჩნევენ ევროპაში ულტრანაციონალისტური განწყობების გაძლიერებას. აღნიშნულ პრობლემას მიმოიხილავს ჯერარდ დელანტი, რომელიც განმარტავს, რომ ევროპაში მიგრაციასთან დაკავშირებული შფოთვა ებმის შიშს ცივილიზაციათა შეჯახებისა და სოციალური უსაფრთხოების შესახებ. სოციალური უკმაყოფილება, რომელიც კიდევ უფრო ღვივდება სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით, ძირს უთხრის იდენტობის ტრადიციულ საფუძველს და გასაქანს აძლევს ქსენოფობიურ და ნაციონალისტურ დინებებს. ულტრამემერჯვენეების აღზევება მთელ ევროპაში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არის სოციალური შიშების შედეგი. ეს უკავშირდება განზოგადებულ შფოთ-

ვას, რომელიც გამოიხატა „სხვებისადმი“ შიშში. იმიგრანტები არიან დაუფარავი სამიზნეები იმ პარტიებისთვის, რომლებმაც მოახერხეს იმიგრანტების მიმართ შიშის შეთავსება დასაქმებისა და კეთილდღეობის მხრივ არსებულ შფოთვებთან. ასეთი შფოთვები, შერწყმული ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვისა და დასაქმების სფეროში მიმდინარე ცვლილებების არსის შეგრძნებასთან, ნაყოფიერ ნიდაგს ქმნის ქსენოფობიური განწობილებებისთვის (Delanty, 2008).

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის შეფასებით, საქართველოსთვის სამომავლოდ ყველაზე სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს დასავლეთში ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერება, იმ მხრივ, რომ შესაძლოა აქაც დაიწყოს მათი მიმბაძველი ჯგუფების მომძლავრება-გააქტიურება, რომლებიც იყენებენ ევროპული ულტრამემარჯვენე ჯგუფების იდეებსა და სიმბოლიკას. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის შეფასებით, ასეთ ჯგუფებს რუსეთიც მხარს უჭერს, თუმცა მათი საქმიანობის დაკავშირება ევროპულ რადიკალურ იდეოლოგიებთან მათ უფრო მეტ „ლეგიტიმურობას“ სძენს:

> *„დარწმუნებული ვარ, რომ ქსენოფობიის ტალღა ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ გადმოვიდეს საქართველოში, მით უმეტეს, რომ ამის საფუძველი არსებობს“. (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი)*

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აზრით, ქსენოფობიის ექსპორტირებას რუსეთი ძალიან კარგად ახერხებს სხვა ქვეყნებში:

> *„მზა კონცეპტები ჰომოფობიური და ქსენოფობიური, რაც რუსეთიდან გადის, მაგის რეპლიცირება ხდება სხვა ქვეყნებში, მათ შორის ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნების სივრცეში. ეს რეალურად ძალიან საშიში არის, რადგან კონსოლიდირებული პროცესები აქვთ ხოლმე ამ ადამიანებს“. (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი)*

როგორც ამ თემასთან დაკავშირებულმა მონაცემებმა გვიჩვენა, სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტები ულტრამემარჯვენე განწყობილებების გაძლიერებას რუსეთის ინტერესებთან აკავშირებენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით საშიში შეიძლება გახდეს, თუ ევროპაში ეს პროცესი ზრდას გა-

ნაგრძობს. რესპონდენტთა შეფასებით, ქართული ჯგუფები, რომლებიც ულტრანაციონალისტური იდეების გენერატორებად გვევლინებიან, არსებითად, რუსული მოდელის მეშვეობით მოქმედებენ, თუმცა ევროპაში გაძლიერებული ნაციონალისტური განწყობები მათ „ლეგიტიმაციას“ უფრო მეტად უწყობს ხელს.

სხვა გეოპოლიტიკური საფრთხეები

ზოგ შემთხვევაში მოსახლეობის მიერ ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული ღირებულებების გაქრობის საფრთხის აღქმა მჭიდროდ უკავშირდება რელიგიურ ფაქტორს. გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა თურქეთის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთთან თანამშრომლობა მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით, არის განცდა, რომ იგი საშიშია ისლამისა და თურქული „იმპერიული“ გავლენის გავრცელების თვალსაზრისით:

> *„ყველა აღიარებს იმას, რომ თურქეთთან ურთიერთობით საქართველო ბევრს იგებს, განსაკუთრებით ეკონომიკური ურთიერთობით, ამან მაინც ვერ გადაფარა ის ნეგატიური და სტერეოტიპული შეფასებები თურქეთის აღქმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთი კვლავ არის საქართველოსთვის საფრთხე, თურქეთი ავრცელებს ისლამს და ეს აძლიერებს საბოლოო ჯამში თურქოფობიურ განწყობილებას და აღქმას, რომ შეიძლება თურქეთმა საფრთხე შეუქმნას საქართველოს ეროვნულ იდენტობას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, თურქეთს არა მხოლოდ მოსახლეობა, არამედ საჯარო მოხელეებიც საფრთხედ აღიქვამენ, მუჰმადიანურ ძალად, რომელიც დიდ ინვესტიციებს ახორციელებს, მათ შორის, აფინანსებს რელიგიურ, ისლამურ სასწავლებლებს:

> *„ფიქრობენ რომ ქართულ იდენტობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას თურქეთმა, თურქეთიზაცია მოხდეს, თურქები ჩასახლდნენ, ბათუმი და აჭარა გათურქდეს. საზოგადოებაში აშკარად არსებობს ეს შიში. ბათუმში ტაქსიში რომ ჩაჯდები ყველა მძღოლი, ადრე განსაკუთრებით და ახლაც, ამბობენ, რომ ჩამოდიან თურქები, თურქების ხელში ვართ და ა.შ.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

მსგავსი დამოკიდებულება ჩანს ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული სასულიერო პირის ინტერვიუშიც:

„მე მიმაჩნია, რომ საფრთხე არის ტერიტორიების დაკარგვა და ვერდაბრუნება, ბათუმის დაკარგვა, კერძოდ, ეს ისლამური ექსპანსია მიმდინარეობს იქეთ, ვინც იცის მეტ-ნაკლებად ის რეგიონი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი)

ამავე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგებითაც დასტურდება თურქეთის, როგორც გარკვეული საფრთხის აღქმა. ფოკუს ჯგუფის ახალგაზრდა (24-30) რესპონდენტის აზრით, თურქეთს აქვს თავისი ინტერესები აჭარის მიმართ. რესპონდენტის თქმით, დღესდღობით თურქეთში არსებობს ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც აჭარა ფიგურირებს, როგორც თურქეთის ტერიტორია.

ტერორიზმის საფრთხე

ჩვენი კველევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები, პოლიტიკოსები, მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ქართველი საზოგადოებისთვის აქტუალურ საერთაშორისო საფრთხედ მოიაზრებენ ტერორიზმსაც. ეს პრობლემა, გარდა საერთაშორისო კონტექსტისა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მუსლიმი ქართველების გარკვეული ნაწილი მიდის სირიაში. ამ საფრთხეზე განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ჩვენ მიერ გამოკითხულმა მედიის წარმომადგენლებმა:

„ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რაც ხდება ახლო აღმოსავლეთში, რადგან ჩვენგანაც იქ ადამიანები მონაწილეობენ და იღებენ ბრძოლაში მონაწილეობას არალეგალურ ჯგუფებში, ვგულისხმობ ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედია წარმომადგენელი).

ერთ-ერთი გამოკითხული მედიაწარმომადგენელი მიიჩნევს, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ამ ეტაპზე საქართველოს უშუალოდ არ ეხება, თუმცა, საქართველოს მოქალაქეები მიდიან იქ და პანკისის ხეობიდან უკვე ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა. მისი აზრით, ტერორიზმი მსოფლიო საფრთხეა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, რასაც აკეთებს კიდეც სამშვიდობო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობით.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პოლიტიკოსებსაც საყურადღებოდ მიაჩნიათ აღნიშნული საფრთხე. ერთ-ერთი პოლიტიკოსი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას თურქეთზე, როგორც

საქართველოს მეზობელ სახელმწიფოზე, რომელიც მასშტაბური ტერორისტული აქტების ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა.

განათლების სტანდარტიზაცია, როგორც საფრთხე

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლის აზრით, მნიშვნელოვანი საფრთხე არსებობს განათლების სტანდარტიზაციის თვალსაზრისით. რესპონდენტის შეფასებით, დიდი საერთაშორისო ორგანიზაციები, ცდილობენ იმ იდეის გავრცელებას, რომ განათლება სტანდარტული პროცესია და არ აქვს კულტურული საფუძველი ან კულტურული საფუძველი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი:

> *„გაუთავებელი შეფასებები, შედარებები ქვეყნების ერთმანეთთან ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ამგვარი მიდგომები ნერგავს იმას, რომ შენ სულ იძულებული ხდები შენს წარმოსახვაში, რომ შემოიღო რაღაცები რაც აქვს სხვას, ისე, როგორც აქვს სხვას და იმ სახელით, როგორც აქვს სხვას. სინამდვილეში ეს საჭიროებები შეიძლება არც გქონდეს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი).*

აღნიშნული საფრთხე, თეორიული თვალსაზრისით, ახლოს არის ჯონ მეიერის სტატიასთან, რომელშიც მსოფლიო საზოგადოებისა და თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ურთიერთკავშირს მიმოიხილავს (Meyer, et al.,1997). მეიერის თანახმად, თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ბევრი მახასიათებელი წარმოქმნილია გლობალური კულტურული და გამაერთიანებელი პროცესების მიერ აგებული და გავრცელებული მსოფლიო მასშტაბის მოდელებიდან. ეს მოდელები და მიზნები, რომლებსაც ისინი ისახავენ, მაგალითად, თანასწორობა, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, ადამიანის განვითარება (Human development) უაღრესად რაციონალიზებული, არტიკულირებული და გასაოცრად შეთანხმებულია. მსოფლიო მოდელები განსაზღვრავენ ადგილობრივ დონეზე მიმდინარე პროცესების დღის წესრიგსა და ლეგიტიმაციას, ერი-სახელმწიფოებისა და სხვა ნაციონალური აქტორების სტრუქტურებსა და სტრატეგიებს ყველა მიმართულებით, იქნება ეს ბიზნესი, პოლიტიკა, განათლება, მედიცინა, მეცნიერება თუ ოჯახი, რელიგიაც კი. ამ მოდელებს პრეტენზია აქვთ უნივერსალურ მსოფლიო შესაბამისობაზე. მაგალითად, ვარაუდობენ, რომ

განვითარების ეკონომიკური მოდელები შესაფერისი იქნება არა მხოლოდ გარკვეულ რეგიონებში, არამედ ყველგან, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. მეიერის აზრით, როდესაც მსოფლიო მოდელები დედამიწის განსხვავებულ რეგიონებში ინერგება, მათ მიერ მოტანილი შედეგები ვერ ჩაითვლება „ფუნქციურად" ყველა იმ საზოგადოებისთვის, სადაც ისინი გამოიყენეს (Meyer, et al.,1997).

მიგრაცია და მასთან დაკავშირებული საფრთხეები

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, საქართველოსთვის ძალიან სერიოზული პრობლემაა შრომითი მიგრაცია, რადგან ეს პირდაპირ აისახება დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე:

> *„3.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში და მილიონი წავიდა საქართველოდან შრომით მიგრაციაში" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

მიგრაცია, როგორც ქვეყნის წინაშე არსებული საშიშროება გამოიკვეთა ამავე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებშიც. უფროსი თაობის (55+) ზოგიერთი რესპონდენტი საფრთხეს ქართველი მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინებაში ხედავს. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ ქვეყანაში არსებული გაჭირვება ქმნის იმის საფუძველს, რომ ჭკვიანი ხალხი აქედან მიდის და ქვეყანა უცხოეთის დახმარება-ინვესტიციაზე ხდება დამოკიდებული.

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პოლიტიკოსი სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს დემოგრაფიული სურათის მკვეთრ ცვლილებას. მისი შეფასებით, საიკაშვილის ხელისუფლება არ ითვალისწინებდა მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნებს[32] და ძალიან ხშირ შემთხვევაში ქართული სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ ანიჭებდა ქვეყნის მოქალაქეობას სხვადასხვა პიროვნებას:

> *„ეს ადამიანები ორგანული კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, არ ფლობდნენ არც სამართალწარმოების ენას, ქართულ ენას, არ ფლობდნენ ცოდნას ქართული კანონმდებლობის კუთხით, ის რა მოთხოვნებიც არსებობს და მხოლოდ ფორმალური საფუძველი იყო ბიზნესის დაწყება ჩვენი ქვეყნის*

32 იგულისხმება 1993 წლის 25 მარტს მიღებული „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ", რომლშიც ცალკეულ პუნქტებში მოგვიანებით არის შესული ცვლილებები. http://mra.gov.ge/res/docs/2013110412031013274.pdf

ტერიტორიაზე. და ეს ბიზნესის დაწყება აღმოჩნდა მთავარი განმსაზღვრელი პირობა იმისა, რომ ადამიანი საკუთარი ოჯახით შემოგეყვანა, დაგესახლებინა ქვეყნის ტეროტორიაზე (...) ეს არ არის ქსენოფობია, ეს არის ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესი და ეროვნულ ინტერესში ვიწრო ეთნიკურ ინტერესს არ ვდებ. მე უბრალოდ ვაცხადებ, რომ დემოგრაფიული სურათის ხელოვნურად ცვლილება – ეს არის მტრული განწყობის რეალიზაცია საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ კონკრეტული სარგებლის სანაცვლოდ" (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

იმავე რესპონდენტის აზრით, პრობლემას ქმნის იმიგრაციის სფეროში მიმდინარე ქაოტური პროცესებიც. მას მიაჩნია, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის არარსებობამ და მკვიდრი მოსახლეობის მიერ ქვეყნის დატოვების მაღალმა მაჩვენებელმა შეიძლება ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე დააყენოს საქართველო და ქართველები საკუთარ ტერიტორიაზე უმცირესობად აქციოს.

ფოკუს ჯგუფებში გამოკვეთილი სხვა საფრთხეები

ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფთა შედეგებში გამოიკვეთა რამდენიმე ისეთი საფრთხეც, რომლებიც არ ყოფილა ნახსენები სიღრმისეულ ინტერვიუებში. 31-45 ასაკობრივ ჯგუფში საგარეო საფრთხეებს შორის დასახელდა ეროვნული ვალუტის დამოკიდებულება სხვა ვალუტებზე და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა საქართველოზე. იმავე ასაკობრივ ჯგუფში, საერთაშორისო მასშტაბის საშიშროებათა შორის, უმეტესად, აღინიშნა ბირთვული ომი, ეკოლოგიური კატასტროფები და გენმოდიფიცირებული საკვები.

რამდენიმე რესპონდენტის მიერ დაფიქსირდა ასევე მოსაზრება, რომლის თანახმად, საგარეო საფრთხეებს ის შიდა საფრთხეები ქმნის, რომლებიც მრავლად აქვს ქვეყანას. ერთ-ერთი რესპონდენტი ქალის აზრით, ყველაზე დიდ საფრთხეს ქართველ საზოგადოებას თავისივე შიდა პრობლემები უქმნის. იგი ასეთ პრობლემად საკუთარი რესურსების და შესაძლებლობების ვერ ათვისებას, ასევე ინდივიდუალურ და კოლექტიურ უპასუხისმგებლობას ასახელებს:

„(...) ვიღაც შემოვა, ვიღაც დასახლდება, ვიღაც გავა, მაგრამ ქართველი უნდა დარჩე ქართველად. საფრთხე გარედან არ არის, ჩვენს შიგნითაა, ჩვენს ქვეყანაშია საფრთხე, ჩვენ ვერ

ვუფრთხილდებით, ჩვენ ვერ ვიყენებთ ჩვენს პოტენციალს და ნუ დავაბრალებთ ყველაფერს სხვას" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 55 +).

ახალგაზრდა რესპონდენტებმა (18-30) საქართველოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ დაასახელეს განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა.

ძირითადი მიგნებები:

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულთა მოსაზრებები საერთაშორისო საფრთხეებთან დაკავშირებით, ძირითადად, ორად იყოფა: ერთი მხრივ სახელდება რუსეთი, როგორც პოლიტიკური მტერი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევი და, მეორე მხრივ, ევროპა და ამერიკა, საიდანაც გლობალიზაციის პროცესი მოედინება, რომელიც ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ ღირებულებებს ემუქრება.

სიღრმისეული ინტერვიუების შედეგებში რუსეთი გამოიკვეთა, როგორც საქართველოს ძირითადი საერთაშორისო საფრთხე, რომელიც გარდა სამხედრო საშიშროებისა, „რბილი ძალის" მეშვეობით, ანტიდასავლური ღირებულებების ექსპანსიას ახორციელებს საქართველოში. ამ საფრთხესთან გასამკლავებლად, სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტთა აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავად დასავლეთში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და ევროპაში არსებული პრობლემების ანალიზი. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული მედიაწარმომადგენელი განმარტავს, რომ დღესდღეობით ევროპაში მიმდინარე პრობლემების გაშუქება საქართველოში ანტიევროპულ რიტორიკად არის აღქმული, ამიტომ ასეთ თემებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. რესპონდენტის შეფასებით, თუ ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს ნაციონალური პროექტის ნაწილია, აუცილებელია, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს ევროპულ სივრცეში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ცვლილებებს.

რესპონდენტები საყურადღებოდ მიიჩნევენ „ისლამური სახელმწიფოს" გაძლიერებასაც, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოსთვის პანკისის ხეობის მუსლიმი მოსახლეობის წარმომადგენელთა სირიაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობის გათვალისწინებით. კვლევის ფარგლებში გამოკითხ-

ულმა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა საფრთხეების მშვიდობიანი გზებით მოგვარების საჭიროებაზე გაამახვილა ყურადღება, ხოლო ზოგიერთი პოლიტიკოსის შეფასებით, სამხედრო საფრთხეები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების აუცილებლობას ადასტურებს.

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხულ ექსპერტთა მოსაზრებებს შორის დაფიქსირდა პოზიცია, რომლის თანახმადაც, საფრთხეებთან გასამკლავებლად ყველაზე ქმედითი გზა ქვეყნის განათლების სისტემის განვითარებაა. ექსპერტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ასევე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ნიშანდობლივია, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებენ საგარეო საფრთხეებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი კონსენსუსის არარსებობაზე და, შესაბამისად, ამ ეტაპზე სწორედ ასეთი ერთიანი შეთანხმების მიღწევას ასახელებენ ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად.

3.3. დიქოტომია „ჩვენ“ და „სხვა“ – კონფლიქტი და ინტეგრაცია თანამედროვე ქართველ საზოგადოებაში

ეროვნული იდენტობა ერთან იდენტიფიკაციის საფუძველზე ყალიბდება. ერი-სახელმწიფო ჩვენ-ჯგუფს (შიდა ჯგუფს) ქმნის, რომელსაც ინდივიდები თავს მიაკუთვნებენ. მეორე მხრივ, შიდა-ჯგუფის არსებობა თავისთავად მოიაზრებს გარე ჯგუფებსაც, რადგან იმისათვის, რომ არსებობდეს „ჩვენ“, აუცილებლად უნდა არსებობდეს მისი საპირისპირო მახასიათებლების მქონე „სხვაც“, ვისგანაც „ჩვენ“ თავს გამოარჩევს და ამგვარად საკუთარ იდენტობას ჩამოაყალიბებს (Bauman 1998). „ჩვენ“ თავის თავს იმით განსაზღვავს, რომ ემიჯნება „სხვას“ – შიდა წევრების ინკლუზიას და გარე ჯგუფების წევრთა ექსკლუზიას ახდენს. ჯენკინსის მიხედვით, იდენტობის ჩამოყალიბება განსაზღვრის ორ პროცესს მოიცავს – ინტერნალურსა და ექსტერნალურს. პირველ შემთხვევაში, გარკვეული მნიშვნელობებისა და ღირებულებების საფუძველზე, თავისი თავის სახელდება ხდება, მეორე შემთხვევაში კი, “ჩვენ“ ჯგუფს სწორედ გარე ჯგუფების წევრები განსაზღვრავენ ისევე, როგორც თავის მხრივ, „ჩვენ“ განსაზღვრავს „სხვებს“ (Jenkins 1997). ამგვარად, ეროვნულ იდენტობასაც მნიშვნელობა მხოლოდ „სხვებთან“ მიმართებაში ენიჭება – ინტერნალური განსაზღვრება ამ შემთხვევაში ერის, როგორც წარმოსახვითი ერთობის, გამაერთიანებელი კულტურული, პოლიტიკური, ისტორიული და ტერიტორიული მარკერების საფუძველზე ხდება, ექსტერნალურ პროცესს კი, მეორე მხრივ, ჯგუფს გარე წევრებთან, „სხვებთან“ ინტერაქცია წარმოქმნის (Triandafyllidou, 2002).

ნაციონალური იდენტობის კონტექსტში „სხვებს“, ძირითადად, სხვა ერები და ასევე ტრანსნაციონალური ერთეულები წარმოადგენენ, შესაბამისად, იდენტობის ფორმირების პროცესში მათსა და შიდა ჯგუფს შორის განმასხვავებელი ნიშნების ხაზგასმა ხდება. თუმცა, საგულისხმოა, რომ ნაციონალური „ჩვენ“ ჯგუფის განსაზღვრისას, აპელირება „ობიექტურ“ განმასხვავებელ ფაქტორებზე კი არ ხდება, არამედ ძირითადად კულტურულ ელემენტებზე – ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე, ტრადიციებზე, რელიგიაზე, ენაზე და ა.შ. (Smith, 2009). რაც უფრო არამყარია ნაციონალური იდენტობა და რაც უფრო აქტუალურია თავისი კულტურისა და იდენტობის მიმართ საფრთხის განცდა ჯგუფის წევრებს შორის, მით მეტია იდენტობის

განსამტკიცებლად გარე ჯგუფებისგან თავის უფრო ძლიერად გამორჩევის ტენდენცია (Triandafyllidou, 2002).

გარე ჯგუფებს შორის ისეთი „მნიშვნელოვანი სხვები“ გამოიყოფა, ვინც დანარჩენებთან შედარებით საკვანძო როლს ასრულებს „ჩვენ“ ჯგუფის თვითგანსაზღვრაში, მაგალითად, სანიმუშო, პოზიტიურ მოდელს წარმოადგენს ერის განვითარებისათვის, ან პირიქით, მისი არსებობისთვის საფრთხედ აღიქმება. ნებისმიერ შემთხვევაში, ერის წევრების აღქმაში, „მნიშვნელოვან სხვას“ აქვს ყველა ის დადებითი ან უარყოფითი დამახასიათებელი ნიშანი, რაც არ გააჩნია შიდა ჯგუფს, და პირიქით, არ აქვს შიდა ჯგუფის თავისებურებები (Triandafyllidou, 2002).

იმის გამო, რომ ნაციონალურ „ჩვენ“ ჯგუფს გარკვეული თავისებურებები მიეწერება, იგი წევრების მიერ ერთიან, ჰომოგენურ ერთობად აღიქმება. მეორე მხრივ, ვინაიდან ერის „ქოლგის“ ქვეშ სხვადასხვა შეხედულების, ღირებულებისა და იდენტობის მქონე ადამიანები იყრიან თავს, მსგავსი ჰომოგენურობა მხოლოდ პირობითობაა. ნაციონალური იდენტობის თანამედროვე მკვლევარი ტრიანდაფილიდუ მიიჩნევს, რომ „მნიშვნელოვანი სხვა“ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერი-სახელმწიფოს გარეთ კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ თავად მის ფარგლებს შიგნითაც, შესაბამისად ის „სხვებს“ ექსტერნალურ და ინტერნალურ „სხვებად“ ჰყოფს – თუ ექსტერნალურ „სხვებს“ პოლიტიკური ერთობის გარეთ არსებული ერები და ტრანსნაციონალური ერთობები ქმნიან, ინტერნალურ „სხვებს“ ეთნიკური უმცირესობები და იმიგრანტები შეიძლება მივაკუთვნოთ. ისინი სიმბოლურად და გეოგრაფიულად, მართალია, „ჩვენ“ ჯგუფთან ახლოს არიან, მაგრამ განსხვავებული ეთნო-კულტურული მახასიათებლების გამო შიდა ჯგუფის კატეგორიაში უპირობოდ ვერ თავსდებიან, ამიტომაც მათი არსებობა ერთიანი ტერიტორიისა და კულტურისთვის საფრთხედ აღიქმება (Triandafyllidou, 2002).

აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობები და იმიგრანტები, ფაქტობრივად, არც მთლად შიდა ჯგუფის წევრებად აღიქმებიან და არც მთლიანად გარე ჯგუფის წევრებად – მათი ერი-სახელმწიფოს ფარგლებში არსებობის გამო. თუმცა, რადგანაც ერი საკუთარ იდენტობას კულტურული ფაქტორებისა და ღირებულებების საფუძველზე აყალიბებს, სავარაუდოა, რომ მსგავს, მკაფიოდ განუსაზღვრელ კატეგორიას მხოლოდ ზემოხსენებული ჯგუფები კი არ მიეკუთვნებიან, არამედ ყველა, ვინც ერისთვის მიწერილ კულტურულ და ღირებუ-

ლებით სისტემასთან შეუთავსებლად განიხილება. მსგავსი ტიპის „ინ-ტერნალურ სხვებს“ ბაუმანი „უცხოებს“ უწოდებს (Bauman 1991). იმის გამო, რომ ყველა საკვანძო მარკერის გათვალისწინებით, „უცხოს“ მკაფიოდ კატეგორიზაცია, „ჩვენ“ ან „სხვა“ ჯგუფის წარმომადგენ-ლად, პრობლემურია, იგი შფოთვის განცდას იწვევს – განუსაზღვრელი „უცხო“ კიდევ უფრო სახიფათოდ განიხილება, ვიდრე განსაზღვრული „სხვა“, რადგან ის ერთდროულად მტერიცაა და მოყვარეც, „ჩვენც“ და „სხვაც.“ იმისათვის, რომ შფოთვა შემცირდეს, „უცხო“ უნდა გა-ნისაზღვროს – იგი უნდა განიდევნოს „ჩვენ“ ჯგუფიდან და „სხვა“ გახდეს, ან მისი სრული ასიმილაცია უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მარტივად მიეკუთვნოს შიდა ჯგუფს. ამ შემთხვევაში ჰომოგენიზა-ციის გზით „უცხოს“ გაქრობის ფუნქცია ერ-სახელმწიფოს ენიჭება. თუმცა, მეორე მხრივ, ვინაიდან, ზოგადად, დეტრადიციონალიზაციისა და ინდივიდუალისტური ტენდენციის ზრდის კვალდაკვალ ადამიანის ავტონომიურობა უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება, „უცხოს“ აქტი-ვობაც იზრდება და ხისტი კატეგორიზაციის მეშვეობით მისი თავიდან არიდება რთულდება. ერი-სახელმწიფოს ,,ქოლგის“ ქვეშ პოლიტიკურ და სოციალურ არენაზე სხვადასხვა ინტერესებისა და ღირებულებე-ბის მქონე ჯგუფები აქტიურდებიან, რომელთაგან ზოგი მეტად ასა-ხავს უმრავლესობისთვის დამახასიათებელ საერთო ღირებულებით სისტემას, ხოლო ზოგი მასთან წინააღმდეგობრივად განიხილება და „ჩვენ“ ჯგუფის ჰომოგენურობას საფრთხეს უქმნის. ზემოხსენებული ჯგუფები ცდილობენ თავიანთი ინტერესების მიხედვით განსაზღვრონ სახელმწიფოს პოლიტიკა – ეს კი თავის მხრივ საშინაო არენაზე ღი-რებულებით და ინტერესთა კონფლიქტებს წარმოშობს (Eisenstadt, 2000). იმ პირობებში, როდესაც „უცხო“ კიდევ უფრო აშკარად ჩნდე-ბა სოციალურ-პოლიტიკურ არენაზე და ცდილობს მისი ინტერესები გათვალისწინებულ იქნეს, უფრო აქტუალური ხდება ამ უკანასკნელის კატეგორიზაციის მოთხოვნილებაც – თუ „უცხო“ არ ასიმილირდება და ყველა მარკერის საფუძველზე „ჩვენ“ ჯგუფს არ ემსგავსება, მაშინ იგი უნდა განიდევნოს და მთლიანად „სხვად“ იქცეს. ამ შემთხვევაში „უცხო“, ფაქტობრივად, უკვე ისაზღვრება, როგორც „სხვა“, რომლის-განაც ძირითადად საფრთხეა მოსალოდნელი.

ქართული ეროვნული იდენტობის მაგალითი სწორედ მსგავს თა-ვისებურებებს ავლენს – ქართული „ჩვენ“ ჯგუფი ასევე გამოყოფს „უცხოებს“, რომლებიც მოსახლეობის მიერ აღქმულ ერის კონსტრუ-ქტში ნაკლებად თავსდებიან.

ჩვენი კვლევის ფარგლებში მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფები აჩვენებს, რომ ქართველებისთვის ასეთ „უცხოებს“ ძირითადად ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობები და იმიგრანტები წარმოადგენენ. ამასთან, საგულისხმოა, რომ ჩვენ მიერ ფოკუს ჯგუფებისთვის შედგენილი სადისკუსიო გეგმა თავად ითვალისწინებდა „ინტერნალური სხვების“ (იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების) თემას ეთნო-კულტურული განსხვავებების საფუძველზე, თუმცა, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების საკითხი რესპონდენტებმა თავად წამოჭრეს და ჩვენთან საუბარში ისინი „ჩვენ“ ჯგუფიდან გამოაცალკევეს. შესაბამისად, ჩვენი კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით, ქართული ეროვნული იდენტობისთვის „უცხოები“ შესაძლოა ორ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფში ეთნიკური უმცირესობები და იმიგრანტები ერთიანდება, ხოლო მეორე ჯგუფში – რელიგიური და სექსუალური უმცირესობები. პირველ შემთხვევაში აქცენტი ძირითადად ეთნიკურ განსხვავებებზე კეთდება, სადაც ერი (“ჩვენ“ ჯგუფი) უფრო ეთნიკური ტიპის ერთობად განიხილება, ვიდრე სამოქალაქოდ. ამის საპირისპიროდ, მეორე ჯგუფი ერთობისთვის (ერისთვის) მიწერილ ღირებულებით სისტემასთან ავლენს შეუთავსებლობას და არა ეთნიკურობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა კატეგორიები ხშირად ურთიერთგადამფარავია (მაგალითად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანლების უმეტესობა მუსლიმია, ხოლო სომხების – გრიგორიანელი ქრისტიანი), მაინც, ეთნიკური უმცირესობების „ჩვენ“ ჯგუფიდან გარიყვა და „სხვად“ კატეგორიზაცია, უპირველესად, არა რელიგიის, არამედ ეთნიკურობის მარკერის საფუძველზე ხდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდა ჯგუფისთვის „სხვები“ საფრთხედ განსაკუთრებით მაშინ აღიქმება, როდესაც საქმე ამ უკანასკნელთა სოციალურ-პოლიტიკურ არენაზე გამოსვლასა და თვითგამოხატვას ეხება (Eisenstadt, 2000). ექსპერტებთან ინტერვიუებში ვლინდება, რომ საქართველოს შემთხვევაში თვითგამოხატვა თავისთავად ნაკლებად წახალისებულ ღირებულებას წარმოადგენს (Inglehart, Weltzel, 2005; WVS, 2015), რაც „ჩვენ“ ჯგუფისადმი მიწერილი მახასიათებლებისგან განსხვავებული ჯგუფების მიმღებლობას კიდევ უფრო ართულებს.

თვითგამოხატვასთან დაკავშირებულ ღირებულებებს მკვლევარი რონალდ ინგლეჰარტი (Inglehart, Weltzel, 2005) გადარჩენასთან დაკავშირებულ ღირებულებებს უპირისპირებს – საზოგადოებები განსხ-

ვავდება იმის მიხედვით თუ რა ტიპის ღირებულებებია კონკრეტულ მათგანში წამყვანი – თვითგამოხატვის (მაგალითად ტოლერანტობა, ნდობა, სამოქალაქო აქტივიზმი და ა.შ.), თუ მისი საწინააღმდეგო, – გადარჩენის ღირებულებები. თვითგამოხატვის ღირებულებები შედარებით დიდი შემოსავლისა და ცხოვრების მაღალი სტანდარტის მქონე საზოგადოებებშია აქტუალური, სადაც გარემო სტაბილურია, ხოლო გადარჩენა გარანტირებული. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა სახის უმცირესობების პოლიტიკური თვითგამოხატვა და მათთვის თანაბარი უფლებების მინიჭება წახალისებულია, ხოლო კულტურული მრავალფეროვნება პოზიტიურად აღიქმება. ამის საპირისპიროდ, შეზღუდული რესურსების არსებობისა და ეგზისტენციალური საფრთხის აქტუალობის პირობებში უპირატესობა გადარჩენის ღირებულებებს ენიჭება. იმისათვის, რომ განუსაზღვრელი, არასტაბილური გარემოს პროგნოზირებადობა გაიზარდოს, მოსახლეობა მყარ, ტრადიციულ კულტურულ ნორმებს ეჭიდება, მათ აბსოლუტურ მნიშვნელობას მიაწერს და განსხვავებული სოციალური ჯგუფების მიმართ უფრო მეტ უნდობლობას ამჟღავნებს (Inglehart, Weltzel, 2005).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოშიც), აქტუალურია სწორედ გადარჩენის ღირებულებები. ამ კონტექსტში დაუცველობისა და მუდმივი საფრთხის განცდაზე პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ტრავმულ გამოცდილებას მიეწერება – სოციალური და პოლიტიკური სისტემების უეცარი ნგრევის გამო გარემო სრულიად არასტაბილური გახდა, ხოლო ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა. მიჩნეულია, რომ ეს ყოველივე საზოგადოებაში გადარჩენის ღირებულებების აქტუალობას ზრდის, რაც, თავის მხრივ, ამცირებს განსხვავებული ჯგუფებისადმი მიმღებლობას (Inglehart, Weltzel, 2005). ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ ეთნიკურ უმცირესობებსა და იმიგრანტებთან დაკავშირებით, შეზღუდულ რესურსებზე კონკურენციის არგუმენტი ჩვენს ფოკუს ჯგუფებშიც გამოვლინდა (ეს საკითხი ქვემოთ დაწვრილებით არის განხილული).

თვითგამოხატვა-გადარჩენის განზომილების გარდა ინგლეჰარტის მიერ შემოთავაზებული მეორე განზომილება ღირებულებებს ტრადიციულ და სეკულარულ/რაციონალურ კონტექტსში ათავსებს. ისეთ საზოგადოებებში, სადაც ტრადიციული ღირებულებებია დომინანტური, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს, რელიგიას, ერს და, ზოგადად, კოლექტივისტურ ტენდენციებს – ადამიანისთვის უმთავრესი ხდება შიდა ჯგუფი და მასთან მიკუთვნებულობა შეუცვლელ ფაქტად აღიქმება.

თვითგამოხატვა-გადარჩენისა და ტრადიციული-სეკულარული განზომილებების საფუძველზე ინგლეჰარტი ღირებულებათა და კულტურათა რუკას გვთავაზობს, რომელზეც ქვეყნები, ღირებულებათა ტიპის მიხედვით, სხვადასხვა ადგილს იკავებენ, მაგალითად, პროტესტანტულ ევროპას თვითგამოხატვისა და სეკულარული ღირებულებების, მათ შორის, განსხვავებული ჯგუფების მიმღებლობის მაღალი მაჩვენებელი აქვს კათოლიკურ ან მართლმადიდებლურ ევროპასთან შედარებით. საზოგადოებების ღირებულებითი ორიენტაცია კონკრეტული ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ისეთი მახასიათებლებით აიხსნება, როგორიცაა: რელიგიის დომინანტური ტიპი, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, დასაქმების დომინანტური სექტორი და ა.შ. როგორც მსოფლიო მასშტაბით ღირებულებების კვლევის ბოლო, მეექვსე ტალღა გვიჩვენებს (WVS, 2015), აღნიშნული ორი განზომილების მიხედვით, საქართველოში აქტუალური სწორედ ტრადიციული და გადარჩენაზე ორიენტირებული ღირებულებებია. შესაბამისად, ნაკლებია მიმღებლობა განსხვავებული ჯგუფების მიმართაც.

ეგზისტენციალური საფრთხის განცდას, ინგლეჰარტის თანახმად, კონკრეტული ქვეყნები კონკრეტულ თავისებურებათა გამო ამჟღავნებენ, თუმცა, მეორე მხრივ, შფოთვა შეიძლება უფრო გლობალურ მოვლენადაც განვიხილოთ. დელანტის (Delanty, 2008) აზრით, ეს არის 21-ე საუკუნისათვის დამახასიათებელი შტრიხი, რომელიც გლობალიზაციის თანმდევი არასტაბილურობის, გაურკვევლობისა და დაუცველობის განცდის საფუზველზე წარმოიშობა. ნაციონალური საზოგადოებები შფოთავენ, რომ შესაძლოა ნაციონალური იდენტობა სხვადასხვა მიგრანტულ და ეთნიკურ იდენტობებს ვერ გაუმკლავდეს და სოციალური ორიენტირის ფუნქცია დაკარგოს. საპასუხოდ, განსხვავებული ჯგუფების მიმართ ქსენოფობიური განწყობები აქტიურდება, რის მაგალითადაც ევროპაში ულტრამემარჯვენე, პოპულისტურ-ნაციონალისტური პარტიების მომძლავრება და მათ მიმართ ამომრჩევლის მზარდი მხარდაჭერა სახელდება.

იმიგრანტული იდენტობების გამოჩენა გლობალიზაციის კონტექსტში განიხილება საქართველოშიც. თუმცა, მეორე მხრივ, გლობალიზაცია ევროპეიზაციასაც უკავშირდება. დელანტის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც ევროპეიზაციის პროცესი მიმდინარეობს, ევროპეიზაცია და გლობალიზაცია ერთმანეთთან ასოცირდება და მთლიანობაში, გარკვეულწილად, ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხედ აღიქმება, რის გამოც, შესაბამის შფოთვას იწვევს.

საქართველოში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის მიმართ მხარდაჭერის მიუხედავად, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ ევროინტეგრაციის პროცესი ქართულ ტრადიციებს ემუქრება (Knowledge and attitudes toward the EU in Georgia, CRRC, 2015). როგორც ექსპერტული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები გვიჩვენებს, ე.წ. ღირებულებითი სისტემის საფუძველზე გამოყოფილი „სხვა“ (რელიგიური და განსაკუთრებით, სექსუალური უმცირესობები და მათი გააქტიურება) ძირითადად სწორედ ევროპეიზაციის პროდუქტად განიხილება.

ქვემოთ ცალ-ცალკე, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების გათვალისწინებით განხილულია ის თავისებურებები, რომელთა მიხედვითაც ეროვნული იდენტობიდან ეთნო-კულტურულ ან ღირებულებით საფუძველზე „უცხოების“ („სხვების“) გამოყოფა ხდება. განხილვისას, ერთი მხრივ, გამოყენებულია რაოდენობრივ მონაცემთა არსებული ბაზების მეორადი ანალიზი, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერვიუები მოსახლეობასთან, ფოკუს ჯგუფების სახით, და სიღრმისეული ინტერვიუები, როგორც რელევანტურ ექსპერტებთან, ასევე მათ მიერვე იდენტიფიცირებულ საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებთან (პოლიტიკოსებთან, მედიის, ეკლესიის, განათლების სისტემისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან).

3.3.1. ეთნო-კულტურული „სხვა“

ეთნიკური უმცირესობები

რაოდენობრივი მონაცემები:

2013 წლის ISSP-ის (International Social Survey Programme) „ეროვნული იდენტობის“ შესახებ კვლევის ფარგლებში მოქალაქეებს დაუსვეს კითხვა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ (ეროვნულ) უმცირესობებთან დაკავშირებით. პასუხების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებისადმი გამოკითხულთა დამოკიდებულება ტოლერანტულია. რესპონდენტთა დაახლოებით 72,4% ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავრობა უნდა დაეხმაროს ეთნიკურ უმცირესობებს საკუთარი წესჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. მხოლოდ გამოკითხულთა 10,4% არ ეთანხმება სახელმწიფოს მონაწილეობას იმ პროცესში, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა შიდასახელმწიფოებრივ ინტეგრაციას ემსახურება (იხ. დიაგრამა №20).

დიაგრამა №20: მთავრობის ჩართულობა ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში



კვლევის პროცესში რესპონდენტებს ორი წინასწარ განსაზღვრული დებულებიდან (პირველი – საზოგადოებისთვის უმჯობესია, თუკი ეს ჯგუფები განსხვავებულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს შეინარჩუნებენ (ინტეგრაცია) და მეორე – უმჯობესია, თუკი ამ ჯგუფების დანარჩენ საზოგადოებასთან ადაპტაცია მოხდება და მასში გაითქვიფებიან (ასიმილაცია) უნდა აერჩიათ ერთ-ერთი, რომელიც მათ თვალსაზრისს უფრო შეესაბამებოდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 51,6%-ს მიაჩნია, რომ საზოგადოებისთვის უმჯობესია, თუკი ეს ჯგუფები განსხვავებულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს შეინარჩუნებენ, ხოლო 38,1 %-ს აზრით, უმჯობესია თუკი ეს ჯგუფები საზოგადოებასთან ასიმილაციის გზით მასში გაითქვიფებიან; 10,3 %-ს უჭირს პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა №21).

დიაგრამა №21: ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაცია და ასიმილაცია



გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი, კერძოდ, ქალების 41,2% და მამაკაცების 33,4% ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმად, შეუძლებელია იმ ადამიანთა სრულად გაქართველება, რომლებიც საქართველოს წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს არ იზიარებენ. ამ მხრივ მცირედი განსხვავება ფიქსირდება ასაკის მიხედვითაც, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლები (56+) ეთანხმებიან (28%) აღნიშნულ დებულებას (იხ. დიაგრამა №22 და დიაგრამა №23).

დიაგრამა: № 22

დიაგრამა: № 23



გამოკითხულთა უმრავლესობა, ქალებიც (42,5%) და მამაკაცებიც (32,5%) იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ მთავრობა უნდა დაეხმაროს ეთნიკურ უმცირესობებს თავიანთი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. ამ დებულებისადმი მხარდაჭერით განსაკუთრებით უფროსი თაობის (56+) რესპონდენტები გამოირჩევიან (28,3%) (იხ. დიაგრამა № 24და დიაგრამა № 25).

დიაგრამა: №24

დიაგრამა: №25



ფაქტორულ ანალიზში ორივე დებულება ერთ ფაქტორად გაერთიანდა, რომელსაც **„ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის“** ფაქტორი შეიძლება ეწოდოს. მოსახლეობის უმრავლესობისგან ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისადმი მიმღებლობა ფიქსირდება, თანაც იმ ფორმით, რომ ეროვნულმა უმცირესობებმა თავიანთი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები უნდა შეინარჩუნონ, უფრო მეტიც, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მათ ამაში (იხ. ცხრილი №21):

ცხრილი: №21

Component Matrix[a]

	ფაქტორი	საშუალოები
	1	
შეუძლებელია სრულად გაქართველდნენ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს არ იზიარებენ	**.713**	2.05
მთავრობა უნდა დაეხმაროს ეთნიკურ უმცირესობებს, რომ საკუთარი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები შეინარჩუნონ	**.713**	2.01

დემოგრაფიული ცვლადებიდან „ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის“ ფაქტორისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ასაკის ცვლადი (p=.012). სხვა დანარჩენ ცვლადებზე დამოკიდებულება არ იკვეთება. ძირითადად უფროსი თაობის რესპონდენტები ეთანხმებიან აღნიშნულ ფაქტორში გაერთიანებულ დებულებებს და მიესალმებიან ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციას ქართველ საზოგადოებაში (იხ. ცხრილი №22):

ცხრილი: №22

1 18-24	2 25-34	3 35-44	4 45-54	5 55-64	6 65 და მეტი
-0.15	**-0.10**	**-0.05**	**0.13**	**0.11**	**-0.01**

ძირითადი მიგნებები:

- გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა (ორივე სქესის), ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავრობა უნდა დაეხმაროს ეთნიკურ უმცირესობებს თავიანთი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებაში;
- გამოკითხული რესპონდენტებიდან, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლები იზიარებენ იმ პოზიციას, რომ მთავრობა ჩართული უნდა იყოს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში;
- გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მომხრეა, აღემატება იმ რესპონდენტთა რიცხვს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეთნიკური უმცირესობების ადაპტაცია დანარჩენ საზოგადოებასთან უმჯობესია მათი ასიმილაციის გზით განხორციელდეს.

თვისებრივი მონაცემები:

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებმა არაერთხელ გვიჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ერი უფრო ეთნო-კულტურულ ერთობად განიხილება, რომელიც „ჩვენ“ ჯგუფში, ძირითადად, ეთნიკურად ქართველებს მოიაზრებს, ეთნიკური უმცირესობები კი, ფაქტობრივად, მის გარეთ ექცევიან. ეს, ერთი მხრივ, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეროვნების (ეთნიკურობის გაგებით) გრაფის არსებობა/არარსებობის საკითხის თაობაზე საუბრისას გამოვლინდა, ხოლო, მეორე

მხრივ, უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების განხილვის დროსაც დადასტურდა. ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ რესპონდენტების მოსაზრებები შემდეგ ასპექტებს მოიცავს: რამდენად გათვითცნობიერებული და მგრძნობიარე არიან ფოკუს ჯგუფების მონაწილენი ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემებისადმი, როგორ ხედავენ სახელმწიფოს როლს მათ მიმართ და როგორ აღიქვამენ მათ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში.

ეროვნების (ეთნიკური გაგებით) აღნიშვნა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში

ეროვნული იდენტობის ეთნიკური მარკერის საფუძველზე აგების ტენდენცია ნათლად იკვეთება, როცა საუბარი შეეხება ამ კონკრეტული მარკერის აღნიშვნას პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში. საქართველოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან „ეროვნების გრაფა“, რომელიც სწორედ პიროვნების ეთნიკურ კუთვნილებას აფიქსირებდა, 1997 წელს იქნა ამოღებული იმ მოტივით, რომ ეთნიკური უმცირესობების მიმართ პოლიტიკა უფრო ლიბერალური გამხდარიყო და აქცენტი ინტეგრაციაზე გადასულიყო (ჯონსი, 2013). ამ ფაქტმა თავის დროზე საზოგადოებაში გარკვეული შფოთვა გამოიწვია. პოსტსაბჭოთა რეალობაში ეს იყო ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი, როცა, ფაქტობრივად, ოფიციალურ დონეზე, ერი ახლებურად, მოქალაქეობის საფუძველზე განისაზღვრა და მისი სრულუფლებიანი წევრობისთვის ეთნიკურობა ნაკლებმნიშვნელოვანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნების გრაფის“ საკითხთან დაკავშირებით ამჟამად საჯარო სივრცეში დებატები აღარ მიმდინარეობს, მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფები ადასტურებს, რომ ხშირად ეთნიკურობის აღნიშვნა რესპონდენტებისთვის კვლავაც სასურველია.

რესპონდენტთა ნაწილისთვის ეთნიკური კუთვნილების იდენტიფიცირება პირადობის მოწმობებში, ძირითადად, სიამაყის განცდასთან ასოცირდება. ამასთან, მონაწილენი შიშობენ, რომ, ერთ მხრივ, გლობალიზაციის კონტექსტში, როდესაც მათივე თქმით, მცირე ერების შერწყმა/გაქრობა ხდება და, მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით მრავალეროვანი გარემოს პირობებში, ქართველ ერს საფრთხე ემუქრება. ამიტომაც, „ეთნიკური ქართველობის“ დაფიქსირება აუცილებელია. მსგავსი ჩანაწერი, გარკვეულწილად, „ჩვენ“ ჯგუფის „გაქრობისგან“ დაცვის ინსტრუმენტად აღიქმება:

„უნდა არსებობდეს ("ეროვნების გრაფა"), ჩვენ პატარა ერი ვართ, მოქალაქეობაც უნდა ეწეროს და აღნიშნული იყოს ეთნიკურობა და დიდი ასოებით ეწეროს მოქალაქეობა. რადგან პატარა ერი ვართ და რომ არ გადავგვარდეთ" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55)

ეთნიკურობის დაფიქსირება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, დაცულობის განცდასთან ერთად, რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ეთნიკური ქართველების უპირატესობის აღიარებასაც უკავშირდება, რადგან ამ შემთხვევაში ეთნიკური ქართველები – საქართველოს ლეგიტიმურ მაცხოვრებლებად, მასპინძლებად, უმცირესობები კი სტუმრებად აღიქმებიან და შესაბამისად არც „ჩვენ" ჯგუფში მოიაზრებიან; უფრო მეტიც, მათი ქართველთან გათანაბრება ქართველის დაკნინებად განიხილება:

„უნდა ეწეროს აუცილებლად, რაღაცით მეტი რომ ვართ სომხებზე და აზერბაიჯანელებზე ქართველები, რაღაცით მაინც უნდა იყოს აღნიშნული" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–25).

„მათ უნდა იცოდნენ, რომ სტუმრები არიან. ქურთი და სომეხი, თუნდაც 10 საუკუნე იყოს აქ ჩამოსული, ის სტუმარია და სტუმრად უნდა დარჩეს სამუდამოდ. ეს ჩვენი სამშობლოა" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55).

„ეს ღირსების საქმეა, როგორ უნდა წამართვან ეროვნება და მამის სახელი და არარაობა გამხადონ? თათარს, ქურთს და ჩემს შორის სხვაობა არაფერია? ეს ძალიან დიდი შეურაცხყოფაა" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55)

საინტერესოა, რომ რამდენიმე რესპონდენტი ზუსტად ამავე არგუმენტით ეწინააღმდეგება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ეთნიკურობის დაფიქსირებას. მათი აზრით, ეთნიკურობის აღნიშვნა ეთნიკურად ქართველებს პრიორიტეტულ მდგომარეობაში ჩააყენებს და უმცირესობების მარგინალიზებას გამოიწვევს:

„ეროვნებას როცა წერ, იქ უკვე აპრიორი დებ იმას, რომ შენ განსხვავებული ხარ ჩემგან და მე რაღაც პრიორიტეტი მაქვს" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+)

პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ეთნიკურობის ხაზგასმის ოპონენტები, რომლებიც უფრო მეტად 18-30 ასაკობრივ ჯგუფში გვხვდებიან, ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ეთნიკურობის იდენტიფიცირება საზოგადოების დანაწევრებას, ურ-

თიერთგაუცხოებასა და პოტენციურ კონფლიქტებს შეუწყობს ხელს. მონაწილეების აზრით, ეთნიკურობის საგანგებოდ გამოყოფა ამ შემთხვევაში უმცირესობებისთვის ქსენოფობიური გარემოს შექმნას გამოიწვევს და თანაც, საპასუხოდ, მათში ავტონომიური ერთეულის მოთხოვნის სურვილსაც გააღვივებს:

> *„ისედაც ქსენოფობიური საზოგადოება ვართ და მით უმეტეს თუ ეს იქნება საბუთებში, ამას კიდევ უფრო გაამყარებს" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 25–30).*

> *„როდესაც მათ ეწერებათ სომეხი ან აზერბაიჯანელი, ძალიან თავისუფლად შეძლებენ შემდეგ მოითხოვონ ავტონომია"(ფოკუს ჯგუფი, კაცი , 25–30)*

ზემოხსენებული არგუმენტების საწინააღმდეგოდ, რომელთა თანახმად, ეთნიკურობის დოკუმენტებში აღნიშვნა აუცილებელი, ან პირიქით, სახიფათოა, ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ „ეროვნების გრაფას" მხოლოდ ფორმალური და საიდენტიფიკაციო მნიშვნელობა აქვს და მისი არსებობა სინამდვილეში არაფერს შეცვლის:

> *„მე ვფიქრობ, რომ ეს უბრალოდ არის ფორმალური და ჩემთვის მაგალითად ეს არის იდენტიფიკაციის გამომხატველი. თუ მე მინდა რომ ვინმეზე უარყოფითი შთაბეჭდილება შევიქმნა და გახლეჩას რასაც ეძახით, გვარით შემიძლია იგივე გავაკეთო" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–24)*

როგორც ვხედავთ, თუმცა „ეროვნების გრაფის" თემა ამჟამად საზოგადოებაში აქტუალური აღარ არის, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეთნიკური კუთვნილების აღნიშვნის სურვილი არაერთი რესპონდენტის მიერ კვლავაც გამოითქვა. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ქართველების შფოთვა „ეროვნების გრაფის" გაუქმებასთან დაკავშირებით სწორედ ეთნიკური ნიშნის, „სისხლისმიერი ქართველობის" დომინანტურობის გამოძახილია. მისი აზრით, ეს დღესდღეობით ხელისშემშლელია ერის ერთიანობისთვის.

> *„(...) მისთვის ქართველი არის მხოლოდ სისხლით ერთობა, ეთნიკური ერთობა, (...) ამიტომ იყო რომ საზოგადოება წინააღმდეგი წავიდა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეროვნების გრაფის ამოღებისა, როდესაც არცერთ ლოგიკაში არ ჯდება, რომ ტიტულარული ერი იყო წინააღმდეგი ამის. ამას შეიძლება ეთნიკური უმცირესობები შეეწინააღმდეგონ,*

მაგრამ როცა შენ იმის ნაცვლად რომ დაინტერესებული იყო ერთიანი ერი ჩამოყალიბდეს, ამის წინააღმდეგ გამოდიხარ, შენს ქვეყანას ეროვნული ნიშნით ჰყოფ“ (სიღრმისეული ინ-ტერვიუ, ექსპერტი).

ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემების მიმართ მგრძნობელობა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში რესპონდენტებს უნდა განესაზღვრათ ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემებისადმი თავიანთი დამოკიდებულება. ამ საკითხის მიმართ ნაკლები გათვითცნობიერებულობა და მგრძნობელობა ძირითადად 31-65 წლის რესპონდენტებისთვის არის დამახასიათებელი. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ რაიმე განსაკუთრებული ტიპის პრობლემები საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს არ გააჩნიათ. ამასთან, მათ არც თავიანთი კულტურისა თუ რელიგიის შენარჩუნება უჭირთ და არც ქართველებისგან განიცდიან რაიმე შევიწროებას:

> *„არანაირი პრობლემა არ აქვთ. ჩვენზე კარგადაც კი გრძნობენ თავს. არასდროს არ ჰქონიათ პრობლემა იმ თავიდან დღემდე და ასე გაგრძელდება ყოველთვის, რომ მათ პრობლემა არასდროს არ შეექმნებათ. უფრო მეტად არიან დაფასებულები და პატივს სცემენ და ჩვენი ხალხი არ ფასდება სხვა ქვეყანაში, თორემ სხვა ყველა ფასდება.“* (*ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+*)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის არცოდნას ხაზი რამდენჯერმე გაესვა, ამ ფაქტის პრობლემად აღქმა ნაკლებად ხდება. თუმცა, ერთ შემთხვევაში პრობლემად გამოიყო უმცირესობების კომპაქტურად დასახლება, როგორც ინტეგრაციისა და სახელმწიფო ენის შესწავლისათვის ხელშემშლელი ფაქტორი:

> *„კომპაქტურად არ უნდა იყვნენ დასახლებულნი. მე მგონი ამაშია პრობლემა იმიტომ, რომ კომპაქტური დასახლება მაინც თავის დაღს ასვამს, არ ხდება ინტეგრაცია, ენასაც ვერ სწავლობენ, არ სწავლობენ იმიტომ, რომ არ სჭირდებათ“* (*ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+*)

საინტერესოა, რომ თუ, ერთი მხრივ, რესპონდენტების აზრით, ეთნიკური უმცირესობები, ძირითადად, თავს კარგად გრძნობენ საქართველოში, მეორე მხრივ, საუბრისას, მონაწილენი ხშირად თავადვე მიჯნავენ მათ ქართველებისაგან, გულგრილობას გამოხატავენ

ან ნეგატიურად მოიხსენიებენ მათ, ხოლო ეთნიკურად ქართველებს უფრო პრიორიტეტულ ჯგუფად განიხილავენ:

> *„მათზე ნაკლებად ვფიქრობ, მე ჩემი ქართველობა უფრო მაღელვებს“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).*

როგორც ფოკუს ჯგუფები გვიჩვენებს, გარდა იმისა, რომ ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემების იდენტიფიცირება უმეტესად ვერ ხერხდება, გარკვეულ შემთხვევებში ისინი ეთნიკურ ქართველებთან შედარებით პრივილეგირებულებადაც კი აღიქმება. ეთნიკური უმცირესობების უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში ყოფნა რესპონდენტებმა ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური არგუმენტებით ახსნეს: აღინიშნა, რომ რამდენიმე ენის ცოდნის გამო ისინი ეთნიკურ ქართველებზე უკეთ საქმდებიან, უფრო მარტივად გადადიან მეზობელ ქვეყნებში (მაგ. აზერბაიჯანელების შემთხვევაში – თურქეთში), ასევე კარგ მიწებზე სახლობენ და ზოგადად უკეთესი მატერიალური მდგომარეობა აქვთ. ამ შემთხვევაში ჩაგრულ ჯგუფად სწორედ ეთნიკური ქართველებია გამოყვანილი, რომლებსაც, ფაქტობრივად, „სხვები“ ართმევენ რესურსებს:

> *„საქართველოში ყველა კარგად გრძნობს თავს, ქართველის გარდა. ის გადადის და გადმოდის საზღვარზე, მე ქართველს სადმე რომ მომინდეს წასვლა, პრობლემა მაქვს (ფოკუს ჯგუფი ქალი, 46–55).*

> *„სომეხმა იცის სომხურიც, რუსულიც და ქართულიც, ამიტომ ბევრი ენის ცოდნის გამო სამსახურსაც ადვილად იწყებენ“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31–45).*

მონაწილეების აზრით, უმცირესობების „პრივილეგირებულობა“, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ხელშეწყობიდან გამომდინარეობს, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს და მეტ უფლებებსაც აძლევს, ვიდრე ეთნიკურ ქართველებს, მეორე მხრივ კი, თავად ქართველების ბუნებიდან, რომ „სხვას პატივი სცენ“ და „თავისი“ დაივიწყონ:

> *„ყველაფერში პრივილეგირებულები არიან სახელმწიფოსგან. სახელმწიფო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს უფრო მეტ უფლებებს აძლევს, ვიდრე ქართველებს. (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45)*

> *„ქართველები უფრო შევიწროებულები ვართ, ვიდრე ეთნიკური უმცირესობები იმიტომ, რომ ქართველებს აქვთ ბუნება*

ასეთი, სხვას პატივი უნდა სცენ, სხვას თავი უნდა დაუხარონ, სხვა უნდა მიიღონ, გადაყვნენ და თავიანთი ქართველი არ აინტერესებთ" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+)

საინტერესოა, რომ დაპირისპირება „ჩვენ და სხვა" რესპონდენტთა მსჯელობაში ხშირად გვხვდება. ამავდროულად, გარდა იმისა, რომ საქართველოში „სხვა", მატერიალური კეთილდღეობის მხრივ, უფრო შეძლებულად აღიქმება, ვიდრე ეთნიკურად ქართველი, ყურადღება მახვილდება იმაზეც, რომ ეთნიკური უმცირესობები თავიანთი ამ სტატუსით სპეკულირებენ, თავს დაჩაგრულად წარმოაჩენენ და ამითაც გარკვეულ სარგებელს ნახულობენ:

„სამწუხაროდ, ეროვნული უმცირესობები იქცევიან ცოტა დაჩაგრულის როლში, თუმცა პირიქით, უკეთეს პოზიციაში არიან. ზოგიერთი, სარგებლობს ამ პრივილეგიით, რომ ის იჩაგრება ასე და ასე. როდესაც ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანაში არასდროს ყოფილა ასეთი მიზეზი, რომ დაჩაგრულიყვნენ ეროვნული უმცირესობები"(ფოკუს-ჯგუფი, კაცი, 56+)

ეთნიკური უმცირესობების „ჩვენ" ჯგუფიდან ექსკლუზია, ასევე ქართველებთან შედარებით მათი უფრო „პრივილეგირებულად" წარმოდგენა დაკავშირებულია იმასთან, რომ ეთნიკური უმცირესობების არსებობა შიდა ჯგუფისთვის, გარკვეულწილად, საფრთხედ აღიქმება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით 31-65 წლის რესპონდენტებთან იკვეთება. მონაწილეების აზრით, ეთნიკურ უმცირესობებს უფრო მომძლავრება და საქართველოში მეტი ტერიტორიების დასაკუთრება სურთ:

„ეთნიკურ უმცირესობებს უნდათ გაძლიერება საქართველოში. ეს უნდა განიხილოს მთავრობამ და სპეციალურმა ორგანიზაციებმა" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31-45)

„აქეთ გიჩმახებენ. მარნეულის მხარეს ქართული ეკლესიაა და თათრები ძროხებს აძოვებენ, თბილისიდან ჩასულმა ქართველმა ახალგაზრდებმა დაშალეს და გამოვიდა თათარი, ულვაშებიანი და თქვა აქ ჩემი პაპის პაპა ცხოვრობდაო. ის პაპის პაპა აქ ვინ ჩამოასახლა? აქეთ აქვთ პრეტენზია, იმედი აქვს რომ დაიბრუნებს" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46-55).

საყურადღებოა, რომ რადგანაც ეკლესია ქართველებისთვის ნაციონალური იდენტობის ნაწილად აღიქმება, წინამდებარე ციტატა, გარკვეულწილად, კულტურულ საფრთხეზეც მიგვანიშნებს. ამ შემთხვევაში ფოკუს ჯგუფების მონაცემები ეხმიანება ტრიანდაფილიდუს მოსაზრებას, რომ განსხვავებული ეთნო-კულტურული მა-

ხასიათებლების გამო ეთნიკური უმცირესობები შესაძლოა „ჩვენ“ ჯგუფის წევრების მიერ ტერიტორიისა და კულტურის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ აღიქმებოდეს (Triandafyllidou, 2002).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურ უმცირესობებზე საუბრისას რესპონდენტები აფხაზებსა და ოსებსაც ახსენებენ. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ამჟამად ოკუპირებული რეგიონები, ფაქტობრივად, ტერიტორიასთან დაკავშირებულ ტრავმულ გამოცდილებებს ქმნის:

> *„კარგად რომ მოვექეცით, ტერიტორიები მივეცით და კულ-ტურა დავუმკვიდრეთ, იმიტომ მოხდა ეს და მეტის ღირსები ვართ“(ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).*

ეთნიკური უმცირესობების „გაძლიერებასთან“ ერთად პრობლემად აღიქმება მათი კომპაქტურად ჩასახლება და გამრავლება, რასაც ავტომატურად უკავშირდება შიში, რომ დროთა განმავლობაში ეთნიკური ქართველები თავად გადაიქცევიან საქართველოში რიცხობრივ უმცირესობად:

> *„უმცირესობა იქნება 20 წელიწადში ქართველები და მაგათ (ქართველებს) შეექმნებათ ძალიან დიდი პრობლემები, თუ არ მოუვლიან თავს, ეს არის. არავის არავითარი პრობლემა არ აქვს (უმცირესობებს). ხელის შეწყობა მეტი აქვთ“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).*

> *„ასე ხდება ყველა ქვეყანაში, ისინი კომპაქტურად სახლდებიან და მრავლდებიან“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).*

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემების მიმართ გათვითცნობიერებულობა და მგრძნობელობა უფრო მეტად 18-30 წლის რესპონდენტებთან იკვეთება. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ეთნიკური უმცირესობების ქართველებისაგან გაუცხოებაზე – დასახელდა ინტრეგრირებულობის ნაკლებობა და უმცირესობათა გამოთიშულობა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, საქართველოსთან თვითიდენტიფიკაციის არარსებობა და ნეგატიური დამოკიდებულებები ქართველების მიმართ. მონაწილეთა აზრით, გაუცხოებას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის არცოდნა, განათლების ნაკლებობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და დასაქმების პრობლემები, მეორე მხრივ კი, ქართველების ნეგატიური დამოკიდებულება და ტოლერანტობის ნაკლებობა ეთნიკური უმცირესობებისადმი. ასევე აღინიშნა ქართული მედიის მიერ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხთა ნაკლებად გაშუქების პრობლემაც:

„იდენტიფიკაცია არ აქვთ, ის, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან. თავის მხრივ, ეთნიკურად ქართველები ასევე რიყავენ და უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ და სტერეოტიპული დამოკიდებულება აქვთ“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 25–30).

„პრობლემა ექმნებათ, ენობრივი ბარიერი არის, რომელიც თბილისში მცხოვრებს იმდენად არ აქვს, მაგრამ რეგიონებში და კომპაქტურ დასახლებებში ენობრივი ბარიერი არის, რაც იწვევს გაუცხოებას უფრო მეტს. აქედან გამომდინარე, დასაქმების მხრივ იმდენად არ არიან ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ აქვთ აღქმა, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 25–30).

სახელმწიფოს როლი ეთნიკური (ეროვნული) უმცირესობების მიმართ

მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში იკვეთება, რომ 30-65 წლის რესპონდენტების დიდი ნაწილი ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს როლს ნაკლებად ხედავს. ეს, გარკვეულწილად, იმით აიხსნება, რომ რესპონდენტების შეფასებით, აღნიშნულ უმცირესობებს განსაკუთრებული პრობლემები არ გააჩნიათ და, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მოსაგვარებელიც არაფერია. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ ითქვა, რიგ შემთხვევაში რესპონდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ სახელწიფო ეთნიკურ უმცირესობებს, ეთნიკურ ქართველებთან შედარებით, გარკვეულ პრივილეგიებს უწესებს. ამის საწინააღმდეგოდ, რამდენიმე რესპონდენტს აქცენტი გადააქვს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, დაიცვას ეთნიკური უმცირესობების უფლებები, მაგალითად, მათი კულტურის შენარჩუნების თვალსაზრისით. თუმცა, ამავე დროს, საფრთხედ აღიქმება უმცირესობებისთვის რელიგიური სალოცავების მშენებლობა. ფაქტობრივად, თუკი, ერთი მხრივ, შედარებით ტოლერანტული დამოკიდებულება ვლინდება ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის ხელშეწყობის მიმართულებით, როგორც კი საქმე რელიგიას ეხება, დაყოფა „ჩვენ“ და „სხვა“ ისევ აქტიურდება:

„დაცული უნდა იყვნენ, რა თქმა უნდა. თავისი ეროვნებისა და სარწმუნოების შეუხებლობა დაცული უნდა იყოს. ძალიან ბევრი ეკლესიები არ უნდა ააშენებინო ოღონდ. ერთი სამი ცალი და ეყოფა“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობის კატეგორია რელიგიური უმცირესობის კატეგორიასაც გადაფარავს, რაც საფრთხის განცდას ზრდის. ქართველების შემთხვევაში მართლმადიდებლობა ეროვნული იდენტობის განუყოფელი ნაწილია. რელიგიური უმცირესობების აქტიურობა კი მართლმადიდებლობის, შესაბამისად, ქართული იდენტობის დაკარგვის შიშს ქმნის, რასაც ქვემოთ, რელიგიურ უმცირესობათა შესახებ საუბრისას უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

ზოგადად, ის პოზიცია, რომლის თანახმად, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს ფუნქციაა და აუცილებელია მისი ჩარევა, უფრო მეტად 18-30 წლის ასაკის რესპონდენტებთან ფიქსირდება. მათი აზრით, სახელმწიფოს ეკისრება ასევე ეთნიკური უმცირესობისა და უმრავლესობის კულტურათა ურთიერთდაახლოების ხელშეწყობა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყველა ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა, ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის არცოდნას უკავშირდება. ენის ცოდნა-არცოდნის აქცენტირება გულისხმობს, რომ ენობრივ ფაქტორს „ჩვენ“ ჯგუფის თავისებურებებში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს. ენა „ეთნიკურ სხვასთან“ ასოცირებულ ერთ-ერთ კულტურულ ფაქტორს წარმოადგენს და „ეთნო-კულტურულ სხვას“ ქმნის – რადგანაც ეთნიკური უმცირესობები ვერ საუბრობენ შიდა ჯგუფისთვის მშობლიურ ენაზე, შესაბამისად, ისინი შიდა ჯგუფის კულტურული სივრცის მიღმა რჩებიან.

სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემამ თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოიწვია მონაწილეთა მიმართების დაყოფა იმის მიხედვით, ვის აკისრებენ პასუხისმგებლობას ამ პრობლემის მოსაგვარებლად: თავად ეთნიკურ უმცირესობებს თუ სახელმწიფოს. პირველი მოსაზრებით, ქართული ენის არცოდნა და განათლების ნაკლებობა ისევ და ისევ ეთნიკური უმცირესობების არჩევანია და ენის პრობლემის გადაჭრაც თავად უმცირესობების სურვილზეა დამოკიდებული. ამასთანავე აღინიშნა, რომ ქართული ენის ცოდნა გარკვეული ვალდებულება უნდა იყოს საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისთვის:

> *„ეს არ არის სახელმწიფოს პრობლემა, ეს არის მათი პრობლემა, რომ არ აქვთ. [ქართული ენის ცოდნა]“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18–24).*

რესპონდენტთა მეორე ნაწილის აზრით კი, ენის ბარიერის აღმოფხვრაში უმთავრესი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს და,

როგორც ენის სწავლების, ასევე, ზოგადად, ინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით სასურველია მისი აქტიური ჩარევა. აღინიშნება, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია ინტენსიური და დღეს არსებულზე უფრო ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით:

> *„სახელმწიფომ უნდა დაინტერესოს ეთნიკური უმცირესობები, დავუშვათ რაღაც ადგილები მისცეს ინსტიტუტში ოლონდ იმ პირობით, რომ ის ენას ისწავლის. მინდა, რომ ჩამოვიდნენ და გაითქვიფონ იმიტომ, რომ თუ არ გაითქვიფებიან, მაშინ ყოველთვის იქნებიან უცხოები. არავინ არ ეუბნება დაკარგოს თავისი ენა, მაგრამ სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს". (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+).*

> *„სახელმწიფო ალბათ შუამავლის როლს უნდა ასრულებდეს და გარკვეული პროგრამები უნდა განახორციელოს, თუნდაც ის, რომ ქართული ენის შეწავლაზე რომ იყო, ეგ პროგრამა კარგი კი იყო, მაგრამ უბრალოდ ვფიქრობ, რომ არ იყო ხარისხიანი. ხარისხი აკლდა, თორემ იდეაში კარგი პროგრამა იყო" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 25–30).*

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობა

ერის სრულუფლებიანი წევრობა თავისთავად გულისხმობს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლებას, კერძოდ, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მოღვაწეობის შესაძლებლობას. შესაბამისად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს ვკითხეთ, რამდენად მისაღები იქნებოდა მათთვის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ხილვა საქართველოს პირველ პირებად (მაგალითად, პრეზიდენტად/პრემიერ-მინისტრად).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საშუალო და უფროსი ასაკის (30+) რესპონდენტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნევა, ხოლო უმცროსი მონაწილეების (18-30) მოსაზრებები შედარებით ერთგვაროვანია – ისინი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელის პირველ პირებად არჩევას მისაღებად მიიჩნევენ, თუკი ის საქართველოში ცხოვრობს და იცის საქართველოს პრობლემები – მათი მთავარი არგუმენტი ამ შემთხვევაში კონსტიტუციით მინიჭებული უფლებაა. რამდენიმე რესპონდენტის აზრით, თუმცა არაქართველი პრეზიდენტი თავადაც ეხამუშებათ, მაგრამ კონსტიტუცია და უმაღლეს თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის შესაბამისობა ქვეყნის მიზნებთან ნებისმიერ შემთხვევაში უმთავრესია:

„კანონმდებლობა არის იდეალური საზომი, რომ თუ შენ ამ-ბობ კანონით, რომ შეიძლება, ე.ი. მისაღებია ქვეყნისთვის ზოგადად (...)განა მე არ მეხამუშება, მეც მეხამუშება, მაგრამ რაღაცას გრძნობ, რომ ვერ არის კარგად. ეგ შეიძლება მეც მა-ქვს, რომ არაქართველი იყოს პრეზიდენტად, მაგრამ სინამდ-ვილეში საქმე საქმეზე რომ მიდგება და დავდგები საარჩევნო ყუთთან, ჩემს თავს ვაიძულებ, რომ თუ მომწონს ეს კანდიდა-ტურა და ვთვლი, რომ კარგი პრეზიდენტი იქნება და ვთვლი, რომ უკეთესად შეესაბამება ჩემს ინტერესებს და ჩემი ქვეყნის მიზნებს, ავდგები და ჩემს თავს ვაიძულებ, რომ მივცე ამ კაცს ხმა, ამ თვალსაზრისით მისაღებია სრულად. (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 25-30).

30 წლამდე რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს მოსახლეობა საკვანძო პოზიციებზე ეთნიკუ-რად არაქართველ პიროვნებას ნაკლებად მოისურვებს და ამიტომაც არჩევნებზე იგი ხმებს ვერ მიიღებს. მონაწილეები ფიქრობენ, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, თანდათან ასეთი დამოკიდებულება შეიცვლება და ამერიკული საზო-გადოების მაგალითს იმოწმებენ: თუ ერთ დროს ამერიკელებს აშშ-ს პრეზიდენტად შავკანიანი ვერ წამოედგინათ, ახლა ეს უკვე რეალობაა:

„ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ მათ შავკანიანი პრეზიდენ-ტი ეყოლებოდათ, მაგრამ შეიცვალა ყველაფერი, საზოგადოე-ბა უფრო ტოლერანტული გახდა (...).“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 25-30).

30 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების მოსაზრებები ორად გაიყო. ერთი ნაწილისთვის ეთნიკურად არაქართველი პირველი პირი მისაღები იქნება, თუკი ის საქართველოში იქნება დაბადებულ-გაზრ-დილი და სახელმწიფოებრივად იაზროვნებს. ამგვარი პოზიციის სა-სარგებლოდ გამოთქმული ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ ამ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს, ვიდრე ეთნიკურად ქართველები, რაც ნაკლებ კორუმპირებულობასა თუ ნეპოტიზმს გა-ნაპირობებს. საინტერესოა, რომ ზემოხსენებული არგუმენტი, მარ-თალია, ეთნიკურ უმცირესობებს პოზიტიურად წარმოაჩენს, მაგრამ, ამასთანავე, მათ მაინც ეთნიკური ქართველებისაგან ცალკე განიხი-ლავს. ამ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობის წამომადგენელი გა-ნიხილება „სხვად“, რომელმაც ავტომატურად უფრო მეტი პასუხისმ-გებლობა უნდა იგრძნოს, ვიდრე ეთნიკურად ქართველმა:

„რატომ არ უნდა იყვნენ? თუ ის უფრო ჭკვიანია, უფრო მიხედავს საქმეს და არ ჩაიდებს ჯიბეში, როგორც ჩვენები არიან მიჩვეულები. (...) იმას უფრო შეეშინდება მთავრობაში ჯდომა და არასწორი გადაწყვეტილებების მიღება. ქართველს კი სულ ექნება საძმაკაცოს და სანათესაოს იმედი. ყველა კარგ ადგილას თავის ნათესავს დანიშნავს" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).

ალტერნატიული არგუმენტის მიხედვით, აქცენტი მოქალაქეობით მინიჭებულ უფლებებზე კეთდება და პოლიტიკური ექსკლუზიის მიზეზად ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული სტერეოტიპები სახელდება, რომლებიც მათ მხოლოდ მემწვანილეებად და ვაჭრებად ხატავენ:

„იმიტომ, რომ მოქალაქეა, ზუსტად ისეთივე უფლება აქვს, როგორც ჩვენ. თუ მოქალაქეს აქვს უფლება, მაშინ იმის უფლებაც უნდა იყოს დაცული, რაც უნდა ჰქონდეს, რომ პირველი პირი გახდეს. ჩვენთვის სტერეოტიპებიდან გამომდინარე, რატომ არის მიუღებელი პირველი პირი იცით? იმიტომ, რომ აზერბაიჯანელი არის მემწვანილე, სომეხი არის ვაჭარი ან რაღაც სხვა..." (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+).

30 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების მეორე ნაწილისთვის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმაღლეს თანამდებობებზე ყოფნა კატეგორიულად მიუღებელია. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ამ შემთხვევაში „სხვად" განიხილება, რომლისთვისაც ქართველების ტრადიციები და ისტორია უცხოა. ეს ყველაფერი, მართლმადიდებლობასთან ერთად, უმაღლეს თანამდებობაზე მყოფი პირის აუცილებელ ატრიბუტებად განიხილება:

„საქართველო უნდა მართოს ქართველმა. ერთი ჭკვიანი ქართველი კაცი დაილია?" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31–45).

„ქართველი უნდა იყოს, მაინც ქართულ ტრადიციებს და მართლმადიდებლობას გაატარებს." (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).

სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის ყოფნა საქართველოს სათავეში ამ მონაწილეებისთვის ერის თვითმყოფადობის დაკარგვასა და „დეგრადაციასთან" ასოცირდება. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ყურადღება ქართველების მცირერიცხოვნობაზეც მახვილდება. ეს, ფაქტობრივად, ერთ-ერთი არგუმენტია, რომლის გამოც საკვანძო თანამდებობაზე ეთნიკურად არაქართველის ყოფნა მიუღებლად მიიჩნევა. ამ კონტექსტში მცირერიცხოვნობის ხაზგას-

მა გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ უკვე ნახსენებ შიშს – გამოკითხულთა ნაწილისთვის ეთნო-კულტურული „სხვებისგან“ მომდინარე ერთ-ერთი საფრთხე და ამით გამოწვეული შიში სწორედ ქართველების რაოდენობრივ შემცირებასა და საბოლოოდ სრულ გაქრობას უკავშირდება:

> *„შეიძლება არაქართველი იყოს, მაგრამ ძალიან ბევრ ქართველს სჯობდეს, მაგრამ ჩვენ ვართ ძალიან პატარა ერი და ეს დღესდღეობით მაინც ვფიქრობ, რომ მიუღებელია (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+).*

> *„კატეგორიულად მიუღებელია სხვა ერის წარმომადგენელი. პირველ რიგში ერის თვითმყოფადობაზე ძალიან ცუდად იმოქმედებს, სულიერად მოკლავს ტრადიციებს, არ შეიძლება შენს ქვეყანაში, მითუმეტეს ასეთ მცირერიცხოვან ქვეყანაში ასე გაკეთება, მენტალურად გავნადგურდებით. ეს ერის დეგრადაციას, არასრულფასოვნებას, დაბეჩავებას და გაუნათლებლობას ნიშნავს“(ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55).*

საინტერესოა, რომ რამდენიმე რესპონდენტმა საქართველო ოჯახსაც შეადარა, რომელშიც უცხო ადამიანი შემოიჭრება და მის მართვას იწყებს. ამ შემთხვევაში ოჯახის, ე.ი. „ჩვენ“ ჯგუფის წევრებად მხოლოდ ეთნიკური ქართველები მოიაზრებიან, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები კი ისევ „სხვებად“, – „ოჯახსგარე წევრებად“:

> *„როგორ შეიძლება მართოს სხვამ, უცხო ტომის შვილმა. ეს იგივეა, რომ ვინმე შემოვიდეს ჩემს ოჯახში და თქვას, რომ მე ვარ ახლა ოჯახის უფროსი და ჩემი ოჯახი მე უნდა ვმართოო“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).*

იმ შეხედულებას, რომ ქართველების მიერ ერის აღქმაში ძირითადად ეთნიკური, „სისხლისმიერი“ ელემენტი ჭარბობს, ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებიც იზიარებენ. მათი შეფასებით (და ეს ფოკუს ჯგუფებშიც გამოჩნდა), კულტურული ფაქტორები, მაგალითად, ენა, ისტორია, რელიგია, ტრადიციები, სწორედ ეთნიკურობასთან ბმაში განიხილება. თუმცა, სინამდვილეში ეს ფაქტორები თაობიდან თაობას არა „სისხლის“, არამედ სოციალიზაციის გზით გადაეცემა:

> *„კულტურული იდენტობა სწორედ იმ იდენტობად გვევლინება, რომელიც არ გადადის სისხლით, არამედ სოციალიზაციის საკმაოდ რთული მექანიზმების გავლით. მაგრამ, ჩვენთან ამ კულ-*

ტურულ იდენტობას, მართლაც მიეცა ეთნიკურობაზე მიბმული ინტერპრეტაცია. (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობა, რომელსაც თავისი, განსხვავებული კულტურული თავისებურებები გააჩნია, „ჩვენ“ ჯგუფის წევრად ნაკლებად აღიქმება. ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებით, მათი ასოცირება, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით, მათ ისტორიულ სამშობლოსთან უფრო მეტად ხდება, ვიდრე საქართველოსთან:

„ყოველთვის ხდება მათი (ეთნიკური უმცირესობების) იდენტობების მიბმა სხვა სახელმწიფოებთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, ჩეჩნეთთან ან სხვა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ამ კონტექსტში თუ „უცხოს“ ცნებას დავუბრუნდებით (რომელიც შფოთვას წარმოქმნის, რადგან სწორედ „ჩვენ“ და „სხვა“ დიქოტომიას ანგრევს და, ყველა მარკერის მიხედვით, არც შიდა და არც გარე ჯგუფში თავსდება), აღმოჩნდება, რომ ფოკუს ჯგუფებში გამოვლენილი ზემოხსენებული ტენდენცია „უცხოს“ „სხვად“ განსაზღვრის მცდელობაა, „სხვა“ ჯგუფთან მისი ასოცირების გზით (Bauman, 1991). ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ „უცხოს“ განსაზღვრის ალტერნატიული გზა არის მისი ასიმილაცია. ზოგი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში „ჩვენ“ ჯგუფის წევრად შეიძლება ეთნიკურ უმცირესობათა ისეთი წარმომადგენელი აღიქმებოდეს, რომელიც მეტნაკლებად იზიარებს ქართველების მიერ თავიანთი თავისთვის მიწერილ მახასიათებლებს:

„მიმღებლობა, ალბათ ყველა იმ ადამიანის მიმართაა, რომელიც ზედაპირულ დონეზე დააკმაყოფილებს იმ სტერეოტიპულ აზროვნებას, რაც ქართველობას უდრის. ავლაბრელი სომეხიც ჯიგარია და იეზიდი ვალერაც“. (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

საინტერესოა, რომ მსგავსი ტენდენცია ასევე ეხმიანება საქართველოში სომხებთან დაკავშირებული სტერეოტიპების შესახებ ჩატარებული კვლევის მონაცემებს (The Perceptions about Armenia’s and Georgia’s Policy Towards Each Other among two State’s Youth. Myths and reality, 2015). ირკვევა, რომ ქართველი რესპონდენტებისთვის მეტად მისაღებია ეროვნული უმცირესობის (ეთნიკური სომხების) ისეთი წარმომადგენელი, რომელიც ქართველისგან ნაკლებად გამოირჩევა – ქართულ ენაზე ბუნებრივად საუბრობს, საზოგადოებაში ინტეგრი-

რებულია და თავის იდენტიფიკაციას უფრო მეტად ქართველებთან ახდენს, ვიდრე სომხებთან. ამ შემთხვევაში მათ ის სტერეოტიპები კი აღარ მიეწერებათ, რომლებსაც ქართველები, ზოგადად, სომხების დახასიათებისას იყენებენ, არამედ ის სტერეოტიპები, რითაც რესპონდენტები თავიანთ ჯგუფს, ეთნიკურ ქართველებს ახასიათებენ. ეს კი ნიშნავს, რომ „ქართველების მსგავსი“ ეთნიკური სომხების აღქმა „ჩვენ ჯგუფის“ წევრებად უფრო იოლად ხდება, ვიდრე იმ ეთნიკური სომხებისა, რომელთა განსხვავებული ეთნო-კულტურული იდენტობა უფრო „შესამჩნევია“.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების განმარტებით, ეთნიკური უმცირესობების უმეტესობა ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ნაკლებადაა ჩართული. ისინი, ძირითადად, იზოლირებულად ცხოვრობენ, არ აქვთ ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე და ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, თავადაც ნაკლებად აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილი.

> *„ეს უმცირესობების გაგებაშიც არის. (...) აი, უნივერსიტეტში რამდენად აქვთ საქართველოში მცხოვრებ, საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელ ან სომეხ სტუდენტს აქტიური ურთიერთობა მის ქართველ თანატოლებთან. რაც მე შევამჩნიე, ცალკე არიან, შეიძლება არსებობს შემთხვევები, როცა ერთად არიან, მაგრამ უმრავლესობაში ჯერ ცალკე არიან. ასე რომ, არის პარალელური საზოგადოება. ეს წესით არ უნდა ხდებოდეს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

მეორე მხრივ, ექსპერტების მოსაზრებით, თვითონ ეთნიკურად ქართველების მხრიდან ვლინდება ნაკლები ნდობა უმცირესობების მიმართ იმ არგუმენტით, რომ მათ საქართველო ნაკლებად აღელვებთ:

> *„ინტეგრაცია არის პრობლემატური კულტურულ ცხოვრებაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, სოციალურ ცხოვრებაში იმიტომ, რომ ნდობის ფაქტორი არის სერიოზული ხელის შემშლელი ამისთვის, რომ ეთნიკურად ქართველი შეიძლება არ ენდობოდეს ეთნიკურად სომეხს ან ეთნიკურად აზერბაიჯანელს იმაში, რომ ის მართლაც ლოიალური არის საქართველოს სახელმწიფოსადმი და ის სხვა სახელმწიფო ინტერესებს არ ატარებს და ა.შ.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ეთნიკური უმცირესობებისადმი ნდობის ნაკლებობას ერთ-ერთი

რესპონდენტი იმით ხსნის, რომ, ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფო სწორედ სეპარატიზმის შიშთან ერთად წარმოიშვა:

> *„ჩვენი თანამედროვე სახელმწიფო დაიბადა სეპარატიზმის შიშთან ერთად. როდესაც საქართველო დაიბადა, ის გაჩნდა ორ პოლიტიკურ, ეთნიკურ კონფლიქტთან ერთად, აფხაზეთში და ოსეთში. ამიტომაც შიში, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება რაღაცა მოხდეს, ნებისმიერ მთავრობას თან სდევს და ნებისმიერ მომდევნოს გაყვება თან. ამიტომაც, ეს მომენტი ყოველთვის იქნება". (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

ექსპერტები ეროვნული იდენტობის ეთნიკური მარკერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას ისტორიულ ფაქტორებს უკავშირებენ. ექსპერტთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა პერიოდზე და მიიჩნევს, რომ სწორედ იმ წლებში იყო აქტუალური ადამიანის „ჯიშსა და ჯილაგზე" საუბარი. ამასთან, საბჭოთა იდეოლოგია, მართალია, ერთი მხრივ, ნაციონალიზმისგან შორს იდგა, თუმცა, მეორე მხრივ, ახალისებდა მას:

> *„საბჭოთა განათლების სისტემა რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ნაციონალისტური იყო და ქართული ეროვნული ჯგუფის წამახალისებელი იყო. (...) არა მარტო განათლება, ზოგადად ხელოვნება, კინო, მწერლობა, ამ ყველაფერმა განაპირობა საბჭოთა ქართული იდენტობის ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, საბჭოთა იდეოლოგია ნაციონალიზმისგან შორს არის, მაგრამ რეალურად საბოლოო ჯამში ამ საბჭოთა იდეოლოგიამ განაპირობა ნაციონალიზმის გაღვივება. დღესაც, თუ დავაკვირდებით, იმ პოლიტიკური ჯგუფებისა და ლიდერების უმრავლესობას, ვინც პატრიოტიზმს ქადაგებს, უმრავლესობას კომუნისტური ძირები და პრორუსული დამოკიდებულება აქვს." (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

ექსპერტთა ნაწილი აფიქსირებს ტენდენციას, რომელიც პოლიტიკურ დონეზე ერის ეთნიკური ნიშნით განსაზღვრის შესუსტებაში გამოიხატება: თუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი, გამსახურდიას პერიოდი ეთნიკურობის ხაზგასმით ხასიათდებოდა, შევარდნაძის პერიოდში ამ აქცენტმა თანდათან აქტუალობა დაკარგა და სააკაშვილის პერიოდიდან უკვე გადაიდგა აქტიური ნაბიჯები სამოქალაქო ერის ჩამოყალიბებისკენ.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფები და ექსპერტთა ინტერვიუები გვიჩვენებს, რომ, ეთნიკური უმცირესობები ეროვნული იდენტობის საფუძველზე განსაზღვრულ „ჩვენ" ჯგუფში

ნაკლებად მოიაზრებიან. განსხვავებული ეთნო-კულტურული მახასიათებლების გამო, ისინი „სხვებად“ აღიქმებიან და შიდა ჯგუფის წევრებისთვის (რომლებსაც ამ შემთხვევაში ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ) ისეთ საფრთხეებთან ასოცირდებიან, როგორიც არის, მაგალითად, ტერიტორიის ან ეკონომიკური რესურსების მითვისება. უფრო ზოგადად კი, აღნიშნული ტიპის საფრთხეები ქართველების რიცხობრივ შემცირებასა და თავის ქვეყანაში უმცირესობად გადაქცევის ან საერთოდ გაქრობის შიშს უკავშირდება. დაახლოებით მსგავსი ტენდენცია ვლინდება იმიგრანტების მიმართაც. ამ თემას უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

იმიგრანტები

2014 წლის მარტში საქართველოს ხელისუფლების დადგენილებით ძალაში შევიდა კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ [http://info.police.ge/images/pdf/ucxoelta]. ამ კანონის მიღებით შეიცვალა მანამდე არსებული ლიბერალური მიდგომა და პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, 118 ქვეყნის წარმომადგენელ, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე უცხოელს 360 დღის მანძილზე შეეძლო საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ დარჩენა. ახალი დადგენილების მიხედვით კი, უვიზოდ შემოსვლის უფლება 24 ქვეყანას შეეზღუდა, მათ შორის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ინდოეთს, ერაყს და ირანის ისლამურ რესპუბლიკას [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2867361]. საგულისხმოა, რომ საქართველოში იმიგრირებული მოქალაქეებიდან ამ ქვეყნის წარმომადგენელთა ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით [http://geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo], 2015 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკიდან 1766, ერაყიდან 1618, ხოლო ჩინეთიდან 1267 ადამიანი იმიგრირდა საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება საერთო სურათს, როგორც ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს (№ 23), ამ დროისათვის საქართველოში მასობრივ მიგრაციას ადგილი არ აქვს:

ცხრილი №23 იმიგრანტების რიცხოვნობა, 2015 წელი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვეყანა	რაოდენობა
რუსეთის ფედერაცია	10 552
თურქეთი	5 810
სომხეთი	4 143
აზერბაიჯანი	2 839
უკრაინა	2 886
ირანის ისლამურირესპუბლიკა	1 766
ქუვეითი	1 320
ერაყი	1 618
ა.შ.შ.	1 081
ჩინეთი	1 267
სხვა ქვეყნის მოქალაქე	8 206

ჩვენი კვლევის ფარგლებში შევეცადეთ სიღრმისეულად შეგვესწავლა, ერთი მხრივ მოქალაქეების დამოკიდებულება იმიგრაციის პროცესისა და იმიგრანტების მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, გაგვერკვია ამ დამოკიდებულებების გამომწვევი ძირითადი მიზეზები. გაანალიზებულ იქნა: 2013 წლის ISSP-ის (International Social Survey Programme) რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგები, ჩვენ მიერ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაცემები, ასევე სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებსა და ძირითად აქტორებთან, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე. ეს აქტორები არიან: პოლიტიკოსები, მედიის, ეკლესიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რაოდენობრივი მონაცემები:

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია ISSP-ის 2013 წლის რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგები, რომლებიც ასახავს საქართველოს მოქალაქეების დამოკიდებულებას იმიგრანტების მიმართ. თემაზე, იგრძნობა თუ არა საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა შორის იმიგრანტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, მკაფიო ტენდენ-

ციის განსაზღვრა რთულია. ქვემოთ მოცემული ცხრილის თანახმად (იხ. ცხრილი №24), გამოკითხულთა 40,7 პროცენტი, განსხვავებით 32,1 პროცენტისგან, არ იზიარებს შეხედულებას, რომ იმიგრანტები დანაშაულის რიცხვს ზრდიან. ასევე რესპონდენტთა 40,7 პროცენტს, განსხვავებით 34,2 პროცენტისგან, არ მიაჩნია, რომ იმიგრანტები ქართულ კულტურას ძირს უთხრიან. რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, გამოკითხულთა 51,2 პროცენტის აზრით, იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ. ამგვარ პოზიციას არ ეთანხმება 28,9%.

ცხრილი: №24

სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ, საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტებზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს(„იმიგრანტებში“ იგულისხმება ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში საცხოვრებლად ჩამოდიან). რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო
იმიგრანტები დანაშაულის რიცხვს ზრდიან	**8,9%**	**23,2%**	16,3%	**33,2%**	**7,5%**	10,8%	**3,61**
იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ	**19,2%**	**32 %**	11,7%	**24,1%**	**4,8%**	8,1%	**3,04**
იმიგრანტები ქართულ კულტურას ძირს უთხრიან	**11,3%**	**22,9%**	16,3%	**32%**	**8,7%**	8,8%	**3,48**

ქვემოთ მოცემული დიაგრამა №26 იმიგრანტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების საშუალო მაჩვენებლებს წარმოგვიდგენს. დიაგრამის თანახმად, ძირითადი ტენდენცია მოქცეულია ორ პასუხს შორის – „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“ და „ „არ ვეთანხმები“.

დიაგრამა № 26: იმიგრანტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება (საშუალო მაჩვენებლები)



უარყოფითია რესპოდენტთა დამოკიდებულება (58,1%) იმ მოსაზრების მიმართ, რომ იმიგრანტები ახალი იდეებისა და კულტურის შემოტანით ქართველ საზოგადოებას აუმჯობესებენ (დადებითად უპასუხა 16,3%-მა), ხოლო დადებითი და უარყოფითი პასუხები თითქმის თანაბრად განაწილდა იმასთან დაკავშირებით, რომ იმიგრანტების არსებობა საქართველოს ეკონომიკისთვის, ზოგადად, კარგია: 36,6 პროცენტი ეთანხმება ამ დებულებას, 32,5 % კი უარყოფს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა №27 აჩვენებს გაცემულ პასუხთა საშუალო მაჩვენებლებს:

დიაგრამა №27: იმიგრანტებისადმი კეთილგანწყობა



უფლებრივი თანასწორობის თვალსაზრისით, გამოკითხულთა დამოკიდებულება იმიგრანტების მიმართ კრიტიკულია – 60,6 %-ს

მიაჩნია, რომ საქართველოში ლეგალურად მცხოვრები, მაგრამ მოქალაქეობის არმქონე იმიგრანტები არ უნდა სარგებლობდნენ ისეთივე უფლებებით, როგორიც აქვთ საქართველოს მოქალაქეებს. თუმცა, ამავდროულად, რესპონდენტთა უმრავლესობა (71,4%) ფიქრობს, რომ ლეგალური იმიგრანტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო განათლება, მსგავსად საქართველოს მოქალაქეებისა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 38,5 პროცენტი, 6,4 პროცენტისგან განსხვავებით, ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ საქართველომ უფრო მკაცრ ზომებს უნდა მიმართოს, რათა არ დაუშვას არალეგალური იმიგრაცია.

კითხვაზე, უნდა გაიზარდოს თუ შემცირდეს იმიგრანტების რაოდენობა საქართველოში, საქართველოს მოქალაქეთა უმეტესობა პასუხობს, რომ ბევრად უნდა შემცირდეს. გაცემულ პასუხთა საშუალო მაჩვენებელი არის 4,28. ქვემოთ მოცემული დიაგრამა №28 კი გვიჩვენებს გაცემულ პასუხთა პროცენტულ მაჩვენებლებს:

დიაგრამა №28: დამოკიდებულება იმიგრაციის პროცესისადმი



იმიგრანტების ინტეგრაციისადმი საქართველოს მოსახლეობას აშკარად დადებითი დამოკიდებულება აქვს. გამოკითხულთა 77,6 პროცენტი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ იმიგრანტებმა თავიანთი კულტურაც უნდა შეინარჩუნონ და საქართველოს კულტურაც უნდა შეითვისონ. 8,4 პროცენტი ფიქრობს, რომ იმიგრანტებმა თავიანთი კულტურა უნდა შეინარჩუნონ და ნაკლებად იზრუნონ საქართველოს კულტურის შეთვისებაზე. ასევე 8,5 პროცენტი აცხადებს, რომ იმიგრანტებმა უარი უნდა თქვან თავიანთ კულტურაზე და საქართველოს კულტურა უნდა შეითვისონ.

პასუხებში, კითხვაზე: „უნდა ჰქონდეთ თუ არა იმიგრანტებს, ისეთივე უფლებები, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს“, განსხვავებები არ გამოვლინდა არც სქესის და არც ასაკის მიხედვით.

მონაცემების თანახმად, 18-30 წლის რესპონდენტების 68,2%, 31-45 წლის რესპონდენტების 63,8% , 46-55 წლის რესპონდენტების 65,2% და 56+ ასაკის რესპონდენტების 63 % მიიჩნევს, რომ იმიგრანტებს არ უნდა ჰქონდეთ ისეთივე უფლებები, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს აქვთ.

რესპონდენტები, ასაკის მიუხედავად, უფრო არ ეთანხმებიან (37,2%) დებულებას: „იმიგრანტები ზრდიან კრიმინალის რიცხვს“, ვიდრე ეთანხმებიან მას (26, 1%). ამ საკითხთან დაკავშირებით, რესპონდენტების პოზიციები არც სქესის მიხედვით განსხვავდება მნიშვნელოვნად, რადგან ქალების 54 % და მამაკაცების 46 % არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

კითხვაზე: „იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ?“, რესპონდენტების პასუხებიდან ირკვევა, რომ, ასაკობრივი განსხავავების მიუხედავად, მათი უფრო დიდი ნაწილი (55, 6 %) ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმად, იმიგრანტები სამუშაო ადგილებს ართმევენ ადგილობრივებს. ხოლო რაც შეეხება პოზიციას – უთხრიან თუ არა იმიგრანტები ქართულ კულტურას ძირს – ამ შეხედულებას არც ერთი ასაკობრივი ჯგუფის უმრავლესობა არ ეთანხმება.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების დამოკიდებულება იმიგრანტებისა და იმიგრაციის პროცესის მიმართ არაერთგვაროვანია. საზოგადოებას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს იმიგრანტების რაოდენობის ზრდის მიმართ და მომხრეა, რომ ეს მაჩვენებლი მნიშვნელოვნად შემცირდეს. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, იმიგრანტები სამუშაო ადგილებს ართმევენ ადგილობრივებს და ეკონომიკურ სფეროში კონკურენციას უწევენ მათ. უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ იმიგრანტებს ისეთივე უფლებები მიენიჭოთ, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება იმიგრანტებს საფრთხედ აღიქვამს ეკონომიკისა და დემოგრაფიის სფეროში და სწორედ ამ საკითხებში ამჟღავნებს უარყოფით დამოკიდებულებებს მათ მიმართ. მეორე მხრივ, კულტურისა და სოციალური უსაფრთხოების საკითხებში საზოგადოების დიდი ნაწილი არ ავლენს უარყოფით დამოკიდებულებას იმიგრანტებისადმი. კერძოდ, გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ ეთანხმება ისეთ მოსაზრებებს, როგორიც არის: იმიგრანტები ძირს უთხრიან ეროვნულ კულტურას, ან იმიგრანტები ზრდიან კრიმინალის რიცხვს.

ფაქტორული ანალიზის მიხედვით, ქვეყნის უმრავლესობა იმიგრანტების მიმართ, კონკრეტულ ასპექტებში, უნდობლობას ამჟღავნებს. ცვლადები სამ ფაქტორში განაწილდა: პირველს, **„ლეგალური იმიგრანტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების“** ფაქტორი შეიძლება ეწოდოს, მეორეს – **„ლეგალური იმიგრანტებისადმი კეთილგანწყობის“** ფაქტორი და მესამე ფაქტორს – **„არალეგალური იმიგრანტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება“** (იხ. ცხრილი №25):

ცხრილი №25

Rotated Component Matrix[a]				
	ფაქტორი			საშუალოები
	1	2	3	
იმიგრანტები დანაშაულის რიცხვს ზრიან	.417	-.510	-.025	3.08
იმიგრანტების არსებობა საქართველოს ეკონომიკისთვის ზოგადად კარგია	-.673	.024	-.053	2.96
იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ	.650	-.325	.124	2.61
იმიგრანტები ახალი იდეებისა და კულტურის შემოტანით ქართულ საზოგადოებას აუმჯობესებენ	-.717	-.027	-.148	3.62
იმიგრანტები ქართულ კულტურას ძირს უთხრიან	.672	-.287	-.025	3.03
საქართველოში ლეგალურად მცხოვრებ იმიგრანტებს, რომლებსაც არ აქვთ ქვეყნის მოქალაქეობა, ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორც ქართველ მოქალაქეებს	-.138	.646	-.374	3.51
საქართველომ უფრო მკაცრ ზომებს უნდა მიმართოს, რათა არ დაუშვას არალეგალური იმიგრანტები	.118	-.006	.935	1.76
ლეგალური იმიგრანტებისათვის ისევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჯარო განათლება (უფასო საჯარო საშუალო სკოლები), როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის	-.024	.821	.121	2.05

პირველ ფაქტორში (**„ლეგალური იმიგრანტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება“**) გაერთიანდა შემდეგი დებულებები: იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ და იმიგრანტები ქართულ კულტურას ძირს უთხრიან. აღნიშნულ ფაქტორში გაერთიანდა ასევე: იმიგრანტების არსებობა საქართველოს ეკონომიკისთვის ზოგადად კარგია და იმიგრანტები,

ახალი იდეებისა და კულტურის შემოტანით, ქართველ საზოგადოებას აუმჯობესებენ. შინაარსობრივი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, უკანასკნელი ორი დებულება უარყოფითი ნიშნით არის წარმოდგენილი, რაც იმას გამოხატას, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა არ ეთანხმება მათ. პირველ ფაქტორში შემავალი დებულებების საშუალო მაჩვენებლების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიმღებლობა ქვეყანაში მცხოვრები იმიგრანტების მიმართ მკაფიო არ არის.

დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით, პირველი ფაქტორი („ლეგალური იმიგრანტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება“) დამოკიდებულია ასაკზე (p=.000) და დასაქმების ტიპზე (p=.02), მაგრამ არ არის დამოკიდებული სქესსა (p=.08) და განათლების დონეზე (p=.26). რესპონდენტთა ასაკის მატებასთან ერთად დადებითია რესპონდენტთა დამოკიდებულება ორი დებულებისადმი: „იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ“ და „იმიგრანტები ქართულ კულტურას ძირს უთხრიან“ და, ამავდროულად, უარყოფითია დამოკიდებულება შემდეგი დებულებებისადმი: „იმიგრანტების არსებობა საქართველოს ეკონომიკისთვის ზოგადად კარგია“ და „იმიგრანტები, ახალი იდეებისა და კულტურის შემოტანით, ქართველ საზოგადოებას აუმჯობესებენ“ (იხ. ცხრილი №26).

ცხრილი №26

1 18-24	2 25-34	3 35-44	4 45-54	5 55-64	6 65 და მეტი
-0.26	**-0.13**	**-0.10**	**0.00**	**0.14**	**0.20**

მეორე, **„ლეგალური იმიგრანტებისადმი კეთილგანწყობის“** ფაქტორში გაერთიანდა ისეთი დებულებები, როგორიცაა: „იმიგრანტები დანაშაულის რიცხვს ზრდიან“, „საქართველოში ლეგალურად მცხოვრებ იმიგრანტებს, რომლებსაც არ აქვთ ქვეყნის მოქალაქეობა, ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს“ და „ლეგალური იმიგრანტებისთვის ისევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჯარო განათლება (უფასო საჯარო საშუალო სკოლები), როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის“. უარყოფითი შინაარსის გამო, ლოგიკურია, რომ დებულება – „იმიგრანტები დანაშაულის რიცხვს ზრდიან“ უარყოფითი ნიშნით არის წარმოდგენილი დადებითი განწყობის ამსახველ ცვლადებთან შედარებით.

ცალკე, მესამე ფაქტორად გამოიყო **„არალეგალური იმიგრანტე-**

ბისადმი დამოკიდებულება“, რომელიც მხოლოდ ერთი დებულებას მოიცავს: „საქართველომ უფრო მკაცრ ზომებს უნდა მიმართოს, რათა არ დაუშვას არალეგალური იმიგრანტები“. აღნიშნული დებულების საშუალო მაჩვენებელი აშკარად დადებითია.

დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით, მესამე ფაქტორი დამოკიდებულია მხოლოდ განათლების დონეზე (p=.01). დებულებას: „საქართველომ უფრო მკაცრ ზომებს უნდა მიმართოს, რათა არ დაუშვას არალეგალური იმიგრანტები“, ძირითადად, ეთანხმებიან უმაღლესი განათლების მქონე ჯგუფები (იხ. ცხრილი №27):

ცხრილი №27

არ მიმღია 8 ან 9 წლის სასკოლო აფესტატი	მაქვს 8 ან 9 წლის სკოლის აფესტატი	მაქვს საშუალო სკოლის აფესტატი	მაქვს პროფესიული/ ტექნიკური განათლების დიპლომი	მაქვს ბაკალავრის დიპლომი	მაქვს მაგისტრის დიპლომი/მაგისტრთან გათანაბრებული 5-წლიანი დიპლომი	მაქვს დოქტორის ხარისხი
-0.06	**-0.11**	**-0.11**	**-0.01**	**0.12**	**0.02**	**0.36**

ამგვარად, ზემოგანხილული მონაცემები და მათგან გამომდინარე დასკვნები იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას შიშნარევი და ფრთხილი დამოკიდებულება აქვს იმიგრანტებისადმი. აღნიშნული საკითხებისადმი არაერთგვაროვანი მიმართება აჩვენა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზმაც. უფრო დეტალური მაჩვენებლების მისაღებად დამუშავდა ფოკუს ჯგუფის შედეგები. ფოკუს ჯგუფების ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა პასუხების შეჯერების საფუძველზე, ასაკის მიხედვით, ორი ჯგუფი გამოიყო: ახალგაზრდების, ანუ 18-30 წლის რესპონდენტების და უფრო ზედა (31+) ასაკობრივი ჯგუფი.

ძირითადი მიგნებები:

- გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ იმიგრანტები დანაშაულის რიცხვს არ ზრდიან.
- გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ;

- რესპონდენტები არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ იმიგრანტები ახალი იდეებისა და კულტურის შემოტანით ქართველ საზოგადოებას აუმჯობესებენ;
- უფლებრივი თანასწორობის თვალსაზრისით, გამოკითხულ რესპონდენტთა დამოკიდებულება იმიგრანტების მიმართ კრიტიკულია. უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოში ლეგალურად მცხოვრები, მაგრამ მოქალაქეობის არმქონე პირები (იმიგრანტები) არ უნდა სარგებლობდნენ ისეთივე უფლებებით, როგორიც აქვთ საქართველოს მოქალაქეებს;
- რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ იმიგრანტების რაოდენობა საქართველოში უნდა შემცირდეს;
- გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა იზიარებს იმ პოზიციას, რომ იმიგრანტებმა საკუთარი კულტურაც უნდა შეინარჩუნონ და საქართველოს კულტურაც უნდა შეითვისონ;
- გამოკითხული რესპონდენტები იმიგრანტებს საფრთხედ აღიქვამენ ეკონომიკისა და დემოგრაფიის თვალსაზრისით და, უპირველესად, სწორედ ამ საკითხებში ამჟღავნებენ უარყოფით დამოკიდებულებას მათ მიმართ.

თვისებრივი მონაცემები:

იმიგრანტებისადმი დამოკიდებულება

კითხვაზე, „თქვენი აზრით, რა უარყოფითი და დადებითი მხარეები აქვს საქართველოში იმიგრაციას“ (უცხოელების ჩამოსვლა საცხოვრებლად/სამუშაოდ/სასწავლად) ახალგაზრდა რესპონდენტებმა იმიგრაციის პოზიტიურ მხარეებად კულტურული მრავალფეროვნება, ტრადიციების გაზიარება და სავაჭრო ურთიერთობები დაასახელეს. ასევე, დადებით კონტექსტში იქნა ნახსენები ცოდნისა და განათლების გაზიარება და ინვესტიციების შემოდინება:

> *„დადებითი ის იქნება, რომ შესაძლებელია შრომითი რესურსი გაიზარდოს საქართველოში, სტუდენტური პროგრამები რომ არის, მეტი ცოდნის დაგროვება, მეტი ცოდნის გაზირება, ეს შეიძლება იყოს დადებითი და კიდევ საინვესტიციო გარემოს შექმნა „ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 25–30)*

ახალგაზრდა რესპონდენტებმა დაასახლეს ორი უარყოფითი ფა-

ქტორი, რაც შესაძლოა იმიგრაციის პროცესს დავუკავშიროთ: პირველი არის კრიმინალის ზრდა და მეორე – დასაქმების ბაზარზე კონკურენციის საკითხი, რომელიც, მონაწილეების აზრით, იმიგრანტების სასარგებლოდ წყდება. ახალგაზრდების დამოკიდებულება იმიგრანტების მიმართ, ძირითადად, უარყოფითი მაშინ ხდება, როდესაც ისინი თავს უთანასწორო პირობებში აღიქვამენ და მიიჩნევენ, რომ დამსაქმებლები უპირატესობას იმიგრანტებს ანიჭებენ. აქ ისევ შემოდის შეზღუდული რესურსების პირობებში აღმოცენებული „მტრობის“ თემა, რომელიც ხელს უწყობს და აღვივებს შიდა ჯგუფისგან „სხვების“ გამორჩევისა და გარიყვის პროცესს:

> *„მარჯანიშვილის მოედანზე ირანელმა ქალმა ორ ბიჭს ყური მოაჭრაო და ასეთი ამბები ვრცელდება, აიყვანეს ის ირანელი ქალი. ეს არ უნდა ხდებოდეს. კი, ცალკეულ შემთხვევებზე დავდივართ, მაგრამ უსაფრთხოების კუთხით გარკვეულ დისბალანსს ქმნის“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 25–30).*

> *„რადგან უცხოელია, უფრო მეტად პრიორიტეტული შეიძლება გახდეს. ამ მხრივ, კონკურენცია უნდა იყოს ჯანსაღი, მაგრამ უპირატესობა მხოლოდ იმიტომ მიანიჭო, რომ უცხოელია, ეგ უკვე არაჯანსაღია „ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 25–30).*

ახალგაზრდა რესპონდენტებმა ასევე შეაფასეს საზოგადოების დამოკიდებულება იმიგრანტების მიმართ და აღნიშნეს, რომ ის, თუ როგორი დამოკიდებულება ექნებათ ქართველებს ჩამოსული უცხოელების მიმართ, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მაგალითად, მათ წარმომავლობაზე, სტატუსზე, კანის ფერზე, ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და ა.შ.:

> *„გააჩნია სტატუსს, რა სტატუსით არის ჩამოსული, რამდენს ხანს რჩება“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–24).*

> *„ეგ მინდოდა მეთქვა მეც, რომ გააჩნია, რომელი ქვეყნიდან მოდის. ქართველებს გართულება გვაქვს რაზე, შავკანიანზე, სომეხზე, აზერბაიჯანელზე“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18–24).*

რესპონდენტებმა გაიხსენეს სიტუაციები, როდესაც საზოგადოება უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს ჩამოსული უცხოელების მიმართ, მაგალითად, შავკანიანების მიმართ და მათ დისკრიმინაციას ეწევა. ეს შეიძლება იყოს გარიყვა სტუდენტების მხრიდან, უარყოფითი მოლოდინები – რომ დაავადებას გადასდებენ ვინმეს და ა.შ.:

> *„სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ ძალიან*

დიდი პრობლემა. ხშირად ქართველი სტუდენტები იმასაც არ ეუბნებიან, სასემინაროდ რა აქვთ, არ ესაუბრებიან, არ ვიცი რატომ ხდება ეს ყველაფერი" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–24).

თუმცა, როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, თუ უცხოელი კონკრეტულ სარგებელს დაანახებს საზოგადოებას, ის მაშინვე მისაღები გახდება:

„დავამატებ და გავცდები სტუდენტების თემას, თქვენ ახსენეთ, ჩამოვიდა უცხოური კომპანია. როდესაც ჩამოვა უცხოელი და ქართველებს შესთავაზებს რაღაცას, ვთქვათ დასაქმებას, წარმოებას, ამ შემთხვევაში გახდებიან აბსოლუტურად მიმღებლები მათ მიმართ" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–24).

ახალგაზრდა რესპონდენტების პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ საზოგადოებაში იმიგრანტების მიმართ მკაფიოდ უარყოფითი დამოკიდებულება არ იკვეთება, არამედ უარყოფითი დამოკიდებულება შერჩევითია და ძირითადად იმ იმიგრანტებს ეხება, რომლებიც, ან ეკონომიკურად საქართველოზე უფრო დაბალგანვითარებული ქვეყნებიდან არიან ჩამოსულები, ან მკვეთრად განსხვავდებიან ეთნოკულტურული ფაქტორებით (რელიგია, ტრადიციები). სწორედ ისინი ხდებიან უარყოფითი დამოკიდებულებისა და მტრული ქცევის ადრესატები, რადგან არასასურველ „სხვებად" განიხილებიან, რომელთაგანაც სარგებლის მიღება შეუძლებელია. ხოლო, თუ საზოგადოებამ დაინახა, რომ „სხვა" ეკონომიკურ სარგებელს სთავაზობს, ასეთ შემთხვევაში უკანა პლანზე გადადის უარყოფითი წინასწარგანწყობები და მიმღებლები ხდებიან ამ კონკრეტული „სხვა" ჯგუფის წარმომადგენლის მიმართ.

თავად რესპონდენტების აზრით, ამგვარი შერჩევითი დამოკიდებულება გამოწვეულია „სხვა ჯგუფთან" კონტაქტისა და ურთიერთობის გამოუცდელობით, ასევე „სხვების" მკვეთრი განსხვავებით და თავის ჯგუფთან მათი იდენტიფიკაციის შეუძლებლობით (მაგ. შავკანიანების):

„მიმსგავსება არ ხერხდება ამ ადამიანების ჩვენს თავებთან და უფრო მეტი განმასხვავებელი ნიშანი უფრო მეტი ჩანს, რადგან ისინი თუნდაც გარეგნულად განსხვავდებიან ჩვენგან, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა რამითაც განსხვავდებიან და ამიტომ ვერ იღებს საზოგადოება მათ" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–25).

ახალგაზრდებისგან განსხვავებით, უფროსი ასაკის რესპონდენტები მეტ უარყოფით მხარეს ხედავენ და მკვეთრად უარყოფითად

არიან განწყობილი იმ იმიგრანტების მიმართ, რომლებიც საქართველოში დიდი ხნით დარჩენას აპირებენ. ამგვარ დამოკიდებულებას რესპონდენტები იმით ხსნიან, რომ იმიგრანტების ჩამოსვლა დამატებით კონკურენციას ქმნის შრომით ბაზარზე:

> *„სამუშაო ჩვენ თვითონ არ გვაქვს. მე მინდა გულით ვიმუშაო, სამუშაო ადგილებისთვის ჩამოდიან და დასაქმებულები არიან“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56 +)*

უფროსი რესპონდენტების აზრით, კონკურენციის გამო, ადგილობრივები იჩაგრებიან და ვერ ახერხებენ დასაქმებას. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ჩივიან, რომ იმიგრანტები ისეთი პრივილეგიებით სარგებლობენ, როგორიც ქართველებს არ აქვთ, კერძოდ, ისინი საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფალი არიან:

> *„უარყოფითი ის აქვს, რომ იმათ უფრო მეტი პრივილეგია აქვთ, ვიდრე მე. მაგალითად, გლდანში ჩინური მაღაზიებია ძალიან ბევრია გახსნილი, ისინი რომ ხსნიან, არანაირ თანხას არ იხდიან და არ იბეგრებიან, საშემოსავლოდან განთავისუფლებულები არიან. „ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56 +)*

აქვე უნდა ითქვას, რომ რესპონდენტის აღინიშნული მოსაზრება საშემოსავლო გადასახადისგან იმიგრანტების გათავისუფლების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად (კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“), უცხო ქვეყნის მოქალაქეები ისევე იბეგრებიან, როგორც საქართველოს მოქალაქეები. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მონაწილეებს მწირი ინფორმაცია აქვთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

იმიგრაციის ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორად დასახელდა აგრეთვე შემთხვევები, როცა ქართველები უცხოელებზე ქორწინდებიან, რაც რესპონდენტთათვის მიუღებელია:

> *„ზოგჯერ ზანგებს მიყვებიან ცოლად, ეს არ მომწონს, ისედაც რამდენი რამე გამოიარა საქართველომ, ის რაც დამპყრობლებმა ვერ დაგვაკლეს ახლა ომის გარეშე გვისრულდება რაღაცები“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).*

> *„არ უნდა დარჩნენ, გადაჯიშების საფრთხეა. კაცი თუ ცოლად მოიყვანს კიდევ არაუშავს, გვარი თავისი ექნება, მაგრამ ქალები როდესაც თხოვდებიან, ეს ცუდია“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55).*

შეიძლება ითქვას, რომ უფროს ასაკობრივ ჯგუფში მკაფიოდ ჩანს

ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის ფაქტორი, რაც ავ-ტომატურად იწვევს იმიგრანტების მიუღებლობას და „სხვა“ ჯგუფად განხილვას. ეკონომიკურ ფაქტორში ერთიანდება ისეთი ასპექტები, როგორიცაა, მაგალითად, იმიგრანტების მიერ ადგილობრივებისთვის სამუშაო ადგილების წართვევა, იმიგრანტების „პრივილეგირებული“ მდგომარეობა სამეწარმეო-სავაჭრო სფეროში და ა.შ.

ცალკე საკითხია ქართველი ქალის იმიგრანტზე დაქორწინების საკითხი, რაც ქართული ეთნოსის გადაჯიშებასთან ასოცირდე-ბა. ქართულ კულტურაში ქალს მომავალი თაობების გამგრძელე-ბლის და ერის გამრავლების განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. შესაბამისად, დემოგრაფიული თვალსაზრისით, ის უმნიშვნელოვანე-სი აგენტია და ქალი, რომელიც ეთნიკურად ქართველის ნაცვლად „სხვის“ გვარს გააგრძელებს, პრობლემურად განიხილება, რადგან ეს ყოველივე ისევ დემოგრაფიული სურათის გაუარესებასთან, ისევ და ისევ დომინანტური ეთნიკური ჯგუფის შემცირებისა და ფიზიკური გაქრობის შფოთვებთან არის დაკავშირებული.

ზოგადად, უფროსი ასაკის რესპონდენტების მიმართება იმი-გრაციისადმი, ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო უარყოფითია. უფროსი ასაკის რესპონდენტებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში უფრო მეტი ნეგატიური ფაქტორი დასახელდა იმიგრანტებთან, უფრო ზუსტად კი, კონკრეტული ქვეყნების წარმომადგენლებთან დაკავში-რებით. მნიშვნელოვანია, რომ ამ „არასასურველ“ ქვეყნებს რესპონ-დენტები ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს მიაწერენ და თავიანთ ანტიპათიას, უპირველესად, სწორედ ამ ფაქტორით ხსნიან:

> *„აქ ვინ უნდა შემოვიდეს? ის ხომ უფრო დაბალი დონის ქვეყ-ნიდან შემოდის სასწავლებლად? მე აქ მჭირდება მაღალი კულ-ტურის წარმოამდგენელი, აქეთ რომ გვასწავლოს და დაგვეხ-მაროს“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31 –45).*

> *„აქვს, რა თქმა უნდა, ევროპიდან ჩამოსულ ტურისტებს და მასწავლებლებს უფრო... სად განვითარებადი ქვეყნები, აფრო–ამერიკელები და სად ინგლისი, საფრანგეთი და გერ-მანია, აქ შედარებაც არ არის. რაც უფრო ერუდირებული კა-პიტალისტური ქვეყნიდან ჩამოვა, განათლებული და ძლიერი გვირჩევნია“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31–45).*

სავარაუდოა, რომ იმიგრანტებისადმი უარყოფითი დამოკიდებუ-ლება ზოგჯერ შრომის ბაზარზე კონკურენციის შიშით, ზოგჯერ კი ეთნო-კულტურული მიუღებლობით არის გამოწვეული. ორივე შემ-

თხვევაში ასეთი დამოკიდებულებები ეთნიკური ქართველების ფიზიკური გაქრობის შფოთვიდან იღებს სათავეს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს უარყოფითი რეაქცია არ აქვთ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტების მიმართ, მათ არ აღიქვამენ კონკურენტებად და არც მათ „პრივილეგირებულობაზე“ ამახვილებენ ყურადღებას:

> *„ისედაც სულს ვღაფავთ და დაბალ დონედ ვითვლებით და ფრანგი და ინგლისელი არ შემოვა“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31 –45).*

პირიქით, მათ უფრო სასურველ იმიგრანტებად მოიაზრებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ისინი ნაკლებად ჩამოდიან საქართველოში საცხოვრებლად:

> *„ან გააჩნია ვინ ჩამოდის, ერთი ინგლისელი ჩამოსულა?“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).*

შეიძლება ითქვას, რომ ევროპელი „სხვები“, მსოფლიოს სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან შედარებით უფრო ნაკლებად უცხოები არიან ჩვენი საზოგადოებისთვის, რადგან შიდა ჯგუფი, ეთნოკულტურული მარკერების მიხედვით, ნაკლებ განსხვავებას ხედავს თავის თავსა და ევროპელებს შორის. პირიქით, მიმდინარე ევროპეიზაციის კონტექსტში, როცა საქართველო ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას თანდათან აღრმავებს, ბუნებრივია, სიახლოვის განცდა ევროპელებთან გაცილებით მაღალია, ვიდრე აზიელებთან, აფრიკელებთან და ა.შ. ამასთან, ევროპეიზაცია და ევროპასთან დაახლოება ქართველი საზოგადოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის მიღწევის თვალსაზრისით.

მეორე მხრივ, „არასასურველი“ (ძირითადად, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან) იმიგრაციისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ეფუძნება ეთნო-კულტურულ, თვალშისაცემ განსხვავებებს, რასაც ემატება იმის აღქმა, რომ ეს „სხვები“ ეკონომიკურად შიდა ჯგუფზე ნაკლებგანვითარებულები არიან, ანუ ისინი უფრო მოგებულები რჩებიან აქ ჩამოსვლით, ვიდრე შიდა ჯგუფი. რაც შეეხება იმიგრაციის მომხრე უფროსი ასაკის რესპონდენტებს, ისინი იმიგრაციის დადებით მხარეებს შორის იმავე არგუმენტებს ასახელებენ, რასაც ახალგაზრდა რესპონდენტები: კულტურული, სოციალური დაახლოება, ერთმანეთის გაცნობა და ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობათა გაღრმავება.

ორივე ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებმა დაასახელეს იმიგრაციის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. თუმ-

ცა, ახალგაზრდების ჯგუფი, უფროსი თაობისგან განსხვავებით, უფრო მეტი მიმღებლობით გამოირჩევა იმიგრაციის პროცესის მიმართ, რაც ამ ჯგუფის მიერ ეკონომიკური სარგებლიანობისა და კულტურული მიმოცვლის შესაძლებლობებს უკავშირდება. იმიგრაციის უარყოფით ასპექტებად ისინი უსაფრთხოების საკითხს და უთანასწორო პირობებში კონკურენციას ასახლებენ. აქედან გამომდინარე, იმიგრანტებს საფრთხედ მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქვამენ, თუ არაჯანსაღ და უთანასწორო პირობებში მოუწევთ მათთან კონკურენცია.

ახალგაზრდა რესპონდენტებისგან განსხვავებით, უფროსი ასაკის რესპონდენტები უფრო მეტ მიუღებლობას ამჟღავნებენ იმიგრანტების მიმართ, რაც, უმთავრესად, ეკონომიკურ სფეროში კონკურენციასა (დასაქმების/შრომის ბაზარი, ბიზნესი) და დემოგრაფიული სურათის გაუარესებას (ეთნიკურად ქართველების შემცირება) უკავშირდება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ასაკის რესპონდენტებს, ჩვეულებრივ, ეთნიკურ განსხვავებებზე გადააქვთ აქცენტი, მათში მაინც ვლინდება შერჩევითი დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების მიმართ, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ კულტურულად თავს უფრო ახლოს გრძნობენ, ძირითადად, ევროპულ ქვეყნებნთან, ვიდრე დანარჩენებთან (აზია/აფრიკის ქვეყნები). თავის მხრივ, იმის მიზეზი, თუ რატომ გრძნობენ მეტ სიახლოვეს ევროპულ და არა სხვა რეგიონის ქვეყნებთან, კულტურულ ფაქტორთან ერთად, ამ ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაშიც უნდა ვეძებოთ. „არასასურველი“ ქვეყნები, როგორც წესი, ან მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევიან (ჩინელები, ინდოელები) და დემოგრაფიის მხრივ აღიქმებიან საფრთხედ დომინანტი ეთნიკური ჯგუფის მიერ, ან დემოგრაფიასთან დაკავშირებულ შფოთვას თან ერთვის შეზღუდულ მატერიალურ რესურსებზე კონკურენციის ფაქტორი.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კვლევის ფარგლებში ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან და ზემოგანხილული თემების კონტექსტში დაისვა ასეთი კითხვა: „რას დაუკავშირებთ იმიგრაციის და ემიგრაციის პროცესებს საქართველოში? როგორ შეაფასებთ ამ პროცესებს, რა მოაქვთ მათ ჩვენთვის?“.

იმიგრაციისადმი ექსპერტების აზრი არაერთგვაროვანია. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ საქართველოში მიგრაციის დიდი ტალღები არ ყოფილა, შესაბამისად, გადაჭარბებულად მიაჩნიათ იმიგრაციასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საუბარი:

„რაც შეეხება შემოსვლას მოსახლეობისას, დიდი ნაკადები ჩვენს ქვეყანაში არ შემოდის, გარდა სტუდენტობისა, რომელიც ჩვენს საეჭვო უნივერსიტეტებში რაღაც ცოდნას იღებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

„მიგრაციას რაც შეხება, ახლა რომ ვთქვათ, საქართველოს გარე მიგრაციები დიდად არ შეხებია, თუ არ ჩავთვლით პატარ-პატარა ტალღებს, რომელიც იყო, მაგრამ ისეთი მასობრივი, არ ყოფილა ეს. ამ მხრივაც იქნებ შიშები უფრო მეტია, ვიდრე რეალური გავლენები ამ მიგრაციული პროცესების“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ექსპერტების ნაწილი აღნიშნავს, რომ მიგრაციას დადებითი მოვლენები ახლავს თან, რადგან თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში ცხოვრება სურთ, ე.ი. ისინი აქ გარკვეულ შესაძლებლობებს და საშუალებებს ხედავენ:

„საქარველოში მიგრაცია კარგის მეტი არაფრის მაჩვენებელი არ არის, ობიექტურად თუ ვილაპარაკებთ. თუ ადამიანები სხვა ქვეყნებიდან აქ მოდიან და შესაძლებლობას ხედავენ, ე. ი. ეს არის ქვეყან, სადაც შესაძლებლობები არსებობს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ეს არგუმენტაცია ქვეყნის სტაბილურობას და ეკონომიკურ განვითარებულობას უკავშირდება, ანუ მიგრაციის რაც უფრო დიდი ტალღა იქნება, მით უფრო განვითარებულ და მოწესრიგებულ სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს საქართველო, რომელშიც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს სურთ ჩამოსვლა და საქმიანობა.

ექსპერტების აზრით, მიგრაციის უარყოფითი ასპექტი არის უსაფრთხოების, კერძოდ, ტერორიზმის პრობლემა, რადგან ღია და ლიბერალური სავიზო პოლიტიკის პირობებში ქვეყნის საზღვრების ლეგალურად გადმოკვეთა ნებისმიერი პირისთვის საკმაოდ მარტივია:

„როდესაც კანონი ლიბერალურია, არსებობს მისი ბოროტად გამოყენების საფრთხე. შეიძლება ვინმე ტერორისტული მიზნებით შემოვიდეს, მე ვფიქრობ, რომ საქართველოში ძალიან ადვილია ტერორისტული აქტის მოწყობა, რადგან საზღვრები გახსნილია, ეს შეღწევადობა გარკვეულ რისკებს შეიცავს.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)

ექსპერტები მოსახლეობის იმიგრაციისადმი დამოკიდებულების შესახებ საუბრისას აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში ამ თემის განხილვას უარყოფითი ემოციური ასპექტი ახლავს თან და მიუღებ-

ლობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. რაც შეეხება იმას, თუ რა იწვევს ამგვარ მიუღებლობასა და უარყოფით ემოციებს, ექსპერტების აზრით, ეს განპირობებულია „სხვების“ რაოდენობის ზრდით, რაც საფრთხედ აღიქმება ქვეყნის მოსახლეობის მიერ:

> *„ეს ძალიან სერიოზულ პრობლემაა, განსაკუთრებით რაც შეეხება მიგრანტების ჩამოსვლას საქართველოში. ეს ცხადია, რომ ზრდის უმცირესობის რაოდენობას და, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებულ ემოციებს. ძალიან პრობლემურია ჩვენი მიმღებლობის არარსებობა ამის მიმართ და ვხედავთ, რაც მოხდა ჩინელების შემთხვევაში, თურქების შემთხვევაში და ა.შ..“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში გავრცელებული უარყოფითი დამოკიდებულება იმიგრანტებისადმი, გარკვეულწილად, ეთნიკური ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი ღირებულებებითაც არის გამოწვეული. ეთნიკური ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელია ეროვნული უპირატესობისა და დომინანტურობის განცდა (Keil, 2006). იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ეთნიკურად ქართველების საკუთრებად განიხილება, სხვა ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც არ არის ეთნიკურად ქართველი, აპრიორი „სტუმარია“. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ამ ეთნიკურ ნაციონალიზმს კარგად დააბალანსებდა ეროვნული იდენტობის სამოქალაქო გაგება, რომელიც უფრო მეტი ტოლერანტულობით გამოირჩევა „სხვა“ ჯგუფების მიმართ:

> *„ცხადია, რომ სამოქალაქო გაგება ამ ჩვენი საკუთარი იდენტობისა, ძალიან სერიოზულად შეუწყობდა ხელს, უფრო ტოლერანტულ დამოკიდებულებას იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ ამ ქვეყანაში, თუმცა, შეიძლება ისინი წარმოშობით ამ ქვეყნიდან არ იყვნენ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ექსპერტის აზრით, საზოგადოებამ იმიგრანტების მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების გამო ეკონომიკური სარგებელი დაკარგა:

> *„ფაქტია, რომ იგივე რაც მოხდა ვიზებთან დაკავშირებით, ჩვენი ეკონომიკა სასტიკად დაზარალა. მე ვიტყოდი – ფსიქოლოგიურად განპირობებულმა წარმოდგენებმა, რომ ჩვენ გვეშნია, რომ ვიღაცები არ შემოვიდნენ, მოიტანა ის, რომ ეკონომიკა დაზიანდა, ძალიან მარტივი ბმაა ამ ორ რაღაცას შორის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსების მოსაზრება იმიგრაციასთან დაკავშირებით, მეტწილად, დადებითია. იმიგრაცია ისეთ ფაქტორებთან არის დაკავშირებული, როგორიც არის კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ეკონომიკური ინვესტიციების გაზრდა და ცოდნის გაზიარება:

> *„იმიგრაციას რაც შეეხება საქართველოსთვის, მე ზოგადად მომხრე ვარ თავისუფალი ადამიანების თავისუფალი გადაადგლების, თავისუფალი ვაჭრობის და ა.შ.. საქართველოს მხრივ, იმიგრაციაში რაც შეიძლება კარგი იყოს არის ის, რომ დროებითი იმიგრაცია თუ ხდება, მაგალითად, ინვესტორი შემოვიდა, ბიზნესი დაიწყო და ვთქვათ ინჟინრები შემოიყვანა, რომლებისგანაც ქართველ მუშებს შეუძიათ ისწავლონ ბევრი რაღაცეები“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

საზოგადოების დამოკიდებულება უცხოელთათვის მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით

ისევე როგორც იმიგრანტების მიმართ, 2012 წლის შემდეგ, სახელმწიფო პოლიტიკა, გარკვეულწილად, შეიცვალა ასევე უცხოელებისთვის მიწის საკუთრებაში გადაცემის მხრივ. 2013 წლის 17 ივლისს საქართველოს სახელმწიფომ მორატორიუმი დააწესა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გასხვისების თაობაზე. ამ მორატორიუმის თანახმად, 2014 წლის 31 დეკემბრამდე აიკრძალა მიწის გასხვისება უცხოელებზე. ამ ცვლილებებმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოებაში. 2013 წლის სექტემბერში ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მორატორიუმი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა [http://transparency.ge/blog/utskhoelebistvis-mitsis-shedzenis-akrdzalva-konstitutsiis-darghveva-da-sainvestitsio-garemoze-uaryopiti-gavlena], რომელმაც მორატორიუმი არაკონსტიტუციურად ცნო [http://constcourt.ge/ge/news/saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-gancxadeba-1407.page]

რაც შეეხება მოსახლეობის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი, როგორც 2013 წლის ISSP – ის (International Social Survey Programme) რაოდენობრივი კვლევა გვიჩვენებს, გამოკითხულთა 73,5% აცხადებს, რომ უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება. ამასთანავე, ასაკის მატებასთან ერთად ვლინდება უარყოფითი დამოკიდებულების ზრდის ტენდენციაც (იხ. ცხრილი №28):

ცხრილი №28

	18-30 წ.	31-45 წ.	46-55 წ.	56+ წ.
უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება (34)	65,8%	74,2%	75%	84,6%

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული მთლიანობა და მიწა ერთ-ერთ ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებას წარმოადგენს მოსახლეობისთვის და კვლევის ფარგლებში არაერთხელ იქნა დასახელებული რესპონდენტების მიერ უმნიშვნელოვანეს საკითხად.

ახალგაზრდა რესპონდენტებს უცხოელებზე მიწის გასხვისების საკითხის შესახებ მკაფიო პოზიცია არ გააჩნიათ. მიწის გასხვისების მომხრეები თავიანთ მოსაზრებას ისეთი არგუმენტებით იცავენ, როგორიც არის: ინვესტიციების ზრდა, აუთვისებელი მიწების დამუშავება, ბიზნესის განვითარება და ა.შ. მათი განმარტებით, ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას:

> *„მე ვეთანხმები, რომ მიწები უნდა გაიყიდოს. მაგალითად სტატისტიკა არსებობს, რომ მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა არის დაუმუშავებელი და ფუჭდება, მილიონი ჰექტარი რომ გაიყიდოს, მიწის გადასახადით რამხელა თანხა შევა სახელმწიფოში და მერე ეს მიწა რომ დამუშავდეს, ეს ფული ისევ საქართველოში იტრიალებს, შეიძლება მოგება წაიღოს იმან, მაგრამ გადასახადებით საქართველო მაინც არ დაზარალდება“ (კაცი, 25–30)*

რაც შეეხებათ ოპონენტთა პოზიციას – გამოითქვა მოსაზრება, რომ მიწების გასხვისებამ შეიძლება დადებითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ ასეთი ტენდენციით შეიძლება სულ უფრო დიდი ტერიტორია გაიყიდოს უცხოელებზე, რაც მომავალში ამ ტერიტორიის დაკარგვას გამოიწვევს. მიწის გასხვისების მომხრეებისთვის პრიორიტეტი **ეკონომიკური წინსვლაა**, შესაბამისად, ისინი ყურადღებას სწორედ ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებენ, ხოლო მოწინააღმდეგეებისთვის ეკონომკაზე უფრო მნიშვნელოვანია **ტერიტორიის დაკარგის საფრთხე** და ამიტომ ურჩევნიათ, ქვეყანამ იჯარით გასცეს მიწები და ნაკლები ინვესტიცია შემოვიდეს, ვიდრე ტერიტორიის დაკარგვის „შესაძლებლობა“ დაუშვან:

> *„მიყიდვით არა იმიტომ, რომ როდესაც ამ კონკრეტულ მიწაზე მთელი უფლება აქვს უცხოელს და ბევრი ჩამოვა, ერთი პატარა ნაკვეთი რომ გაიყიდოს, ეს შესაძლოა არ იყოს პრობლემა,*

მაგრამ ინტენსიურ სახეს მიიღებს, მერე ქვეყანა დაიკარგება, საქართველო. თბილისი დარჩება მარტო“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–24).

„ამას რომ გავყვეთ, მივდივართ სადამდე, რომ ერთ მშვენიერ დღეს გაყიდული იქნება ქვეყანა. დღევანდელი გადმოსახედიდან ამბობს ძალიან სიმართლეს და მეც ვემხრობი ის, რომ ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. მაგრამ ამას სადამდე მივყვართ?“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 25–30).

ამგვარად, უცხოელთათვის მიწის მიყიდვის საკითხთან დაკავშირებით ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტთა პასუხები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: მიწის გასხვისების მომხრეებად და მოწინაარმდეგეებად. პირველ შემთხვევაში, მონაწილეები მიწის მყიდველ უცხოელებთან თანამშრომლობაზე ამახვილებენ ყურადრებას და ამას ხსნიან პრაგმატული, სახელმწიფოსთვის სასარგებლო, გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული მიდგომით. როგორც უკვე აღინიშნა, ამ კატეგორიის წარმომადგენლებს უფრო მეტი მიმღებლობა აქვთ იმიგრანტების, როგორც უცხო ჯგუფის მიმართ.

უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის მოწინააღმდეგეები კი ამგვარ ქმედებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის წინაპირობად აღიქვამენ. მათთვის მიწის „სხვისთვის“ მიყიდვა ამ „სხვებისთვის“ ტერიტორიისა და შესაბამისი რესურსების დათმობასთან, მათ მომრავლებასა და, საბოლოოდ, ეთნიკურად ქართველების რაოდენობრივ შემცირებასთან ასოცირდება.

უფროსი ასაკის რესპონდენტებში აზრთა მცირე სხვადასხვაობა გამოვლინდა. დაფიქსირდა ზოგადი ტენდენცია, რომლის თანახმად, ამ ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები, ახალგაზრდების ჯგუფთან შედარებით, უფრო უარყოფითად არიან განწყობილი მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით და თავიანთ პოზიციას კატეგორიული განცხადებებით გამოხატავენ:

„მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს უნდა შეეძლოს ყიდვა.“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–55)

„არა, რა თქმა უნდა, არ უნდა გაიყიდოს იმიტომ, რომ რასაც გაყიდი, გინდა ოჯახიდან, გინდა სახელმწიფოდან, დაკარგულია, ვეღარ დაიბრუნებ.“(ფოკუს ჯგუფი, ქალი, 56+)

ამ ასაკობრივ ჯგუფში დასახელებულ იქნა ის კონკრეტული ეროვნული (ეთნო-კულტურული) და რასობრივი ჯგუფებიც, რომელთა

მიმართ რესპონდენტებს ყველაზე ნაკლები მიმღებლობა აქვთ; ესენია: შავკანიანები, ჩინელები, ინდოელები, ირანელები და თურქები. რაც შეეხება უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზს, უპირველესად, აღინიშნა ამ ეთნიკური (ეროვნული) ჯგუფებისთვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვნობა, რაც უშუალო საფრთხედ აღიქმება რესპონდენტების მიერ და ეთნიკურად ქართველების შემცირება/გაქრობასთან ასოცირდება. დასახელდა ასევე ეთნო-კულტურული განსხვავებები და კონკურენცია შრომის ბაზარზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ, როდესაც ქვეყანაში ამდენი სოციალურად შეჭირვებული ქართველი ცხოვრობს, უწინარესად, სწორედ მათ უნდა მიენიჭოთ უპირატესობა და არა „სხვა“ ჯგუფის წარმომადგენლებს:

> *„რატომ უნდა იყიდოს ჩინელმა, როდესაც ამხელა მიწები გვაქვს და ამდენი გაჭირვებული ადამიანი გვყავს? იმ გაჭირვებულ ხალხს მისცენ და ააშენებს იქ სახლს და იქნება.“ (ქალი, 31- 45)*

რესპონდენტების პასუხებში მკაფიოდ იკვეთება ეკონომიკური კონკურენციის საფუძველზე აღმოცენებული შფოთვა, რომელიც მატერიალური რესურსების დაკარგვის შიშით არის გამოწვეული. ამგვარი შფოთვა ვლინდება „სხვების“ მიმართ მიუღებლობასა და ეთნიკური ქართველების მიმართ შიდაჯგუფური სოლიდარობის გაძლიერებაში, რაც, თავის მხრივ, რესურსების „ჩვენ ჯგუფში“ დარჩენასა და შიდა გადანაწილებაზეა ორიენტირებული.

რაც შეეხება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებს, მათ მიმართ მიწის გასხვისების კონტექსტში უარყოფითი მოსაზრებები არ დაფიქსირებულა. სავარაუდოდ, ეს იმით აიხსნება, რომ, როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმაც აღნიშნა, მაგალითად, ევროპის ქვეყნის მოქალაქეები იშვიათად ყიდულობენ საქართველოში მიწებს:

> *„ევროპელები არ ყიდულობენ ეგრე ჰექტრობით მიწებს.“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45)*

ზემოთ მოკლედ უკვე დასახელდა ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებს რესპონდენტების მიუღებლობას კონკრეტული ეროვნული (ეთნო-კულტურული) და რასობრივი ჯგუფების მიმართ. აღინიშნული მიზეზები შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორად გაერთიანდეს:

ა) ტერიტორიის დაკარგვის შიში: ყველა ჩამოთვლილი ჯგუფი, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური თუ კულტურული თვალსაზრისით,

მკვეთრად განსხვავებულ „სხვად“ აღიქმება, რომელიც ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს – ქართულ მიწას ისაკუთრებს. ხოლო მიწის და ტერიტორიის დაცვა ქართველებისთვის, ისტორიულად, უშუალოდ უკავშირდება ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას. ამასთან, სწორედ ეს ჯგუფები ასოცირდებიან ყველაზე ხშირად საქართველოში მიწის მასობრივ და დიდი ფართობით შეძენასთან, რაც მოსახლეობაში ბადებს ეჭვსა და შიშს, რომ ისინი ბოლომდე აითვისებენ ქართულ ტერიტორიას და, საბოლოოდ, ეთნიკურად ქართველებს აღარაფერი დარჩებათ:

> *„საქართველოში ყველა მიწის მტკაველი გაყიდულია, მომავალმა თაობამ რაღა გააკეთოს თუ არაფერი დარჩათ“ (ფოკუს -ჯგუფი, ქალი, 46–55).*

> *„ეს უბედური ქართული მიწა გაპოხილია ჩვენი სისხლით და მოდის ირანელი და ყველა ოხერი და ყიდულობს“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 46–55).*

> *„რისთვის იკლავდნენ ჩვენი წინაპრები თავს? ამ ერთი გოჯი მიწის შესანარჩუნებლად. აქ არის ჩანთხეული სისხლი, ნათქვამიც არის, ქართულ მიწას ხელი რომ მოუჭირო სისხლი გამოვაო“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).*

ბ) ცალმხრივი მოგების აღქმა: რესპონდენტებისთვის უცხოელების მიერ მიწის ყიდვა ცალმხრივ მოგებასთან ასოცირდება, ანუ მოგებული რჩება მხოლოდ „სხვა“, „უცხო“ მხარე და ეს ხდება შიდა ჯგუფის ტერიტორიული რესურსის ხარჯზე. ამგვარი აღქმა, ბუნებრივია, „მტრობისა“ და კონკურენციის განცდას აძლიერებს:

> *„იყიდა ახლა ჩინელმა ტყე და არ გიშვებს შიგნით, ცოცხალი მაგალითებია, არ უშვებენ შიგნით, რომ ფიჩხი გამოიტანოს ზამთარში დაანთოს ცეცხლი, გათბეს და ა.შ. საძოვრებს ველარ იყენებს, საქონელი ვერ მიჰყავს და ე.ი. რა გამოდის. იმ ჩინელმა უნდა გაიხაროს, იმ ჩინელს ხომ აწყობს, როცა იყიდე ეს მიწა, ან ტყე უნდა გაყიდოს, ან მდინარეში ელექტროსადგური ან თევზი, ათასნაირი თევზი. ქართველი უნდა ჩაიწიოს ამ დროს გვერდზე, ამიტომ გეუბნები“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).*

> *„მერე ეს მოყვანილი პროდუქცია გააქვს და თვითონ შოულობს ფულს“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46–55).*

ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ უფროსი ასაკის რესპონდენტებს შორის მიწის გასხვისების ან იჯარით მისი გაცემის მომხრეთა

არგუმენტებიც (ახალგაზრდების ჯგუფის მსგავსად), უპირველესად, ეკონომიკურ სარგებელს, ამ გზით მიღებულ მოგებასა და ქვეყნისთვის სასიკეთო ინვესტიციების ზრდას უკავშირდება:

> *„როცა ხედავ, რომ არ ამუშავებენ, ჯობია სხვამ იყიდოს და გამოიყენოს, ბიუჯეტში ფული შევიდეს“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).*

თუმცა, ახალგაზრდების ჯგუფისგან განსხვავებით, მათი აზრით, მიწის შეძენის მსურველი უცხოელების მიმართ გარკვეული მოთხოვნები და კრიტერიუმები უნდა იყოს დაწესებული. ამ მოთხოვნების ერთი ნაწილი სამოქალაქო-ეკონომიკურ სფეროს მოიცავს, მაგალითად, მოქალაქეობის მიღების, ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას, ხოლო მეორე – ეთნო-კულტურულს, მაგალითად, ეთნიკურად ქართველზე დაქორწინება, ქართული ენის შესწავლა.

საინტერესოა, რომ იმიგრანტების ეთნიკურად ქართველებზე დაქორწინების საკითხისადმი რესპონდენტები ამბივალენტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ; ერთი მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი უარყოფითად აფასებენ, ზოგადად, ქართველი ქალის იმიგრანტზე დაქორწინებას, რადგან ასეთ შემთხვევაში ქალი „სხვის“ შთამომავლობას გააგრძელებს. თუმცა, მეორე მხრივ, მიწის გასხვისების შესახებ საუბრისას, ისინი უცხოელების ასიმილაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად სწორედ ქართველ ქალზე დაქორწინებას განიხილავენ:

> *„იჯარით უნდა გადაეცეს, უნდა მიეჩვიოს ყველა ჩვენს კულტურას და ენას“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).*

> *„ჩემი აზრით, მიწის ყიდვაზე ცენზის დაწესება ცოტა ძნელია, მაგრამ მიწა არის საფუძველი ამ ქვეყანაში დამკვიდრების. სახელმწიფო უნდა აწესებდეს რაღაც წესს, თუნდაც აიძულოს ენის სწავლა, მოქალაქეობის მიღება, ან მოიყვანოს ქართველი ცოლი“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი,31 –45).*

> *„იჯარით გადაცემის შემთხვევაში, წელი უნდა იყოს განსაზღვრული, მინიმუმზე იყო გადასული და რა სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს და ხალხს, ეს არის პირველ რიგში. ეს საკითხი უნდა იყოს დაყენებული, ვინ იშრომებს იქ, ეს საკითხი უნდა იყოს და ამ შემთხვევაში შეიძლება, რომ გაიცეს იჯარით, ოღონდ მოკლე ვადით“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 56+).*

უფროსი ასაკობრივი ჯგუფის იმ რესპონდენტებშიც, რომლებიც უცხოელებისთვის მიწის მიყიდვას ემხრობიან, იგრძნობა ეთნო-

კულტურული (იმიგრანტების განსხვავებული ენა, კულტურა) და ეკონომიკური (შესაძლოა იმიგრანტებმა მეტი მოგება ნახონ, ვიდრე ადგილობრივმა მოსახლეობამ) ფაქტორით გამოწვეული შფოთვა, მაგრამ მიწის გასხვისების მოწინააღმდეგეებისგან განსხვავებით, მიწის გაყიდვის აკრძალვის ნაცვლად შუალედურ გზას ამჯობინებენ – „უცხო“ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ ისეთი წინაპირობების დაწესებას მოითხოვენ, რომ ამ გზით „განეიტრალდეს“ მათგან მომდინარე საფრთხეები, როგორც ეთნო-კულტურული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ასეთი მიდგომით, ერთი მხრივ, მცირდება შფოთვა და, მეორე მხრივ, ასპარეზი თავისუფლდება შიდა ჯგუფის ეკონომიკური მოგებისთვისაც.

ექსპერტები, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით, უფრო მეტ დადებით ასპექტს აფიქსირებენ, ვიდრე უარყოფითს. უმთავრესი არგუმენტი, რომელსაც ისინი ასახელებენ, არის საქართველოს ეკონომიკური ზრდა. მათი განმარტებით, უცხოელების მიერ მიწის შეძენას ებმის: ახალი ინვესტიციების შემოდინება, სამუშაო ადგილების შექმნა, მოგების გადასახადის საქართველოს ბიუჯეტში გადარიცხვა, აუთვისებელი მიწის ნაკვეთების დამუშავება და ა.შ. ეს ყველაფერი კი, საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობასა და კეთილდღეობის მაჩვენებლის ზრდაში ტრანსფორმირდება:

> *„ჩემი დამოკიდებულება საკმაოდ ლიბერალურია, მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, რომ თუ საქართველოს მოქალაქეს აქვს მიწის შეძენის, საწარმოს ან სახლის აშენების უფლება, ასევე უნდა ჰქონდეს უცხოელსაც. მე ამაში საფრთხეს ვერ ვხედავ. პირიქით, ის ხელს შეუწყობს, ეკონომიკის განვითარებას და პირიქით უცხოელების წახალისება უნდა ხდებოდეს ინვესტიციების მოზიდვის მიზნით“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ერთ-ერთი ექსპერტი მიწის გასხვისებაზე მორატორიუმისა და შეზღუდვების დაწესებას წამგებიან ქმედებად აფასებს, რომელიც აზიანებს როგორც თითოეულ მოქალაქეს, ასევე მთლიანად საზოგადოებას და სახელმწიფოს:

> *„არა, მე პირიქით ვამბობდი, რომ ეკონომიკისთვის ეს [მიწის გასხვისების აკრძალვა] არის ცუდი, ადამიანთა 99%-თვის ეს არის ცუდი. უმრავლესობის ინდიფერენტულობიდან, რომელიც არის წამგებიანი, მივიღეთ ასეთი მავნებლური შედეგი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

რაც შეეხება უარყოფით ასპექტებს, რომლებიც უცხოელებისთვის მიწის მიყიდვას უკავშირდება, ექსპერტთა აზრით, არსებობს გარკვეული ალბათობა და საფრთხე იმისა, რომ მიწის მყიდველ უცხოელსა და ადგილობრივი ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა დაიძაბოს და საქმე რეალურ კონფლიქტამდეც კი მივიდეს. ამგვარი დაძაბულობისა თუ კონფლიქტების წარმომქმნელ ფაქტორად ექსპერტები მკვეთრ კულტურულ განსხვავებებს ასახელებენ და პარალელს ავლებენ, მაგალითად, რელიგიური უმცირესობების მიმართ აღმოცენებულ კონფლიქტებთან:

> *„დაუკრეფავში არ უნდა გადავიდეთ და კონფლიქტამდე არ უნდა მივიდეთ, რელიგიურ დაპირისპირებამდე. თუნდაც აჭარაში, ასეთ ინციდენტებს ჰქონდა ადგილი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

რაც შეეხება მიწის გასხვისების საკითხისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასებას ექსპერტთა მიერ, ამ მხრივ მათი აზრი ორად გაიყო. ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საზოგადოების მიმართება, ზოგადად, უარყოფითია და ამას ეთნო-კულტურული და ღირებულებითი განსხვავებებით და მატერიალურ რესურსებზე კონკურენციის შიშით ხსნის. ქართველი საზოგადოებისთვის მიწის შემსყიდველი „სხვა“, საფრთხის შემცველად იმიტომ განიხილება, რომ ჯერ ერთი, ფუნდამენტური მახასიათებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდება შიდა ჯგუფისგან და მეორე – შიდა ჯგუფს არ გააჩნია ამ „სხვასთან“ მშვიდობიანი თანაარსებობის გამოცდილება, არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რაც დააბალანსებდა ამ „უცხო“ ჯგუფის, როგორც საფრთხის აღქმას. შიდა ჯგუფმა არ იცის, რას უნდა ელოდოს მიწის შეძენის მსურველი, მისგან რადიკალურად განსხვავებული უცხოელისგან, რომელიც, ეკონომიკური თვალსაზრისით, მისი მომავალი კონკურენტია. სავარაუდოდ, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს იმის განცდას, რომ შესაძლოა „სხვა“ „მოერიოს“, „უცხომ აჯობოს“ (და ამ ფონზე ისევ აქტუალიზდება ეთნიკურად ქართველების შემცირებისა და ფიზიკური გაქრობის შიში):

> *„ვისაც ეშინია, მან ნაკლები იცის ამის შესახებ იმიტომ, რომ მის გვერდით გამოჩნდა განსხვავებული კანის ფერის, თვალის ფერის, აღმსარებლობის, ეთნიკური მიკუთვნებულობის მქონე ადამიანი, რომელიც მისი კონკურენტია რაღაცაში, მაგალითად, შეიძინა მიწა, დაიწყო მისი დამუშავება“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

„ეშინია მასაც, ვინც თვითონ მიყიდა ეს მიწა, მისი იყო და მიყიდა, ან საწარმო ან რაღაცა და ეშინია გაუცნობიერებლად, გაყიდა და იქვე აქვს ახსნა: იმიტომ გავყიდე, რომ მიჭირდა, მაგრამ ეშინია იმის, რომ გაყიდა ვიღაცაზე, რომელიც სხვა არის, არ არის ამ ჩვენ ჯგუფის წევრი, მერე ამას ვაი თუ რაღაც ცუდი მოჰყვეს" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში, ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოიკვეთა ექსპერტთა უმრავლესობისგან განსხვავებული პოზიციაც, რომლის თანახმად, მიწის გასხვისების მიმართ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება, სინამდვილეში, კონკრეტული ინტერესების მქონე, გარკვეული მცირე ჯგუფების მიერ ლობირებული და მოსახლეობისთვის თავსმოხვეული ხედვაა, რომელიც არ ასახავს მთლიანი საზოგადოების რეალურ განწყობილებას:

„მე არ მგონია, რომ ამას უმრავლესობა ფიქრობს, რომ საფრთხის შემცველია. ხშირად კარგად ორგანიზებულ უმცირესობებს შეუძლიათ საკუთარი პოზიცია მოახვიონ თავს საზოგადოებას, რომელიც ხშირად ინდიფერენტულია საკითხის მიმართ და, საბოლოო ჯამში, ამით აგებს" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ექსპერტების აზრით, სახელმწიფომ, მიუხედავად იმის, როგორი იყო თავად მისი პოზიცია, საზოგადოებისგან მომდინარე „დაკვეთა" შეასრულა და ამიტომ დააწესა მორატორიუმი მიწის გასხვისებაზე, ამიტომ გაამკაცრა სავიზო მიმოსვლა. სახელმწიფოს მიერ გადადგმული ეს ნაბიჯები ექსპერტებმა შეცდომად შეაფასეს, რადგან საზოგადოების ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის შემცველ ინტერესებს უფრო მეტი პრიორიტეტი მიანიჭეს, ვიდრე ეკონომიკურ სარგებელს, რაც მთლიანობაში, ქვეყნისთვის წამგებიანია:

„საერთო ჯამში რომ გროვდება ასეთი უკმაყოფილება ადგილობრივ დონეზე, რასაკვირველია, ამას ითვალისწინებს მთავრობა. შეიძლება მთავრობასაც ჰქონდეს ლიბერალური დამოკიდებულება და მოხდეს ამის [მიწის გასხვისების] წახალისება, მაგრამ წინაარმდეგობას ვერ უწევს საზოგადეობის აზრს" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

მიწის გასხვისების საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები გამოსავალს სახელმწიფოს მიერ მკაფიო რეგულაციების დაწესებასა და „შუალედური მოდელის" ამოქმედებაში ხედავენ. მათი განმარტებით, ამ შემთხვევაში, არც ეთნიკური უმრავლესობის და არც სახელმწი-

ფოს გრძელვადიანი ეკონომიკური ინტერესები არ დაზარალდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში უმთავრესი როლი სწორედ სახელმწიფომ უნდა იკისროს, რომელსაც ერთიანი ხედვა, სტრატეგია და პოლიტიკა უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით:

> *„ამის რეგულაცია შეიძლება, რისი უფლება მივცეთ. ქვეყანაზეა დამოკიდებული ისევ, მაგალითად, გვაქვს 500 ჰექტარი მიწა, რომელსაც ვერავინ ამუშავებს, არავინ ამუშავებს. არის ინვესტორი, მაგალითად, არაბი, რომელიც ყიდულობს ამ მიწას ან იღებს მრავალწლიანი იჯარით. ამას სჭირდება კარგად გააზრებული პოლიტიკა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

3.3.2. „ჩვენ“ ჯგუფის შიგნით, ღირებულებათა სისტემის საფუძველზე განსაზღვრული „სხვა“

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ეთნო-კულტურული „სხვის“ შესახებ, რომელიც „ჩვენ“ ჯგუფისგან ძირითადად სწორედ ეთნიკური ნიშნით გამოიყოფა. ახლა განვიხილავთ სხვა სქემას, როცა დიფერენციაცია თავად ეთნიკური ერთობის შიგნით ხდება ღირებულებითი განსვლის საფუძველზე. ეთნო-კულტურული „სხვისგან“ განსხვავებით, ღირებულებითი სისტემის საფუძველზე განსაზღვრული „სხვა“ „ჩვენ“ ჯგუფისთვის მიწერილ კულტურულ და ღირებულებით სისტემას უპირისპირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ წინა შემთხვევაში ჯგუფის ექსკლუზია სწორედ ეთნიკურობის მარკერისა და მასთან დაკავშირებული ისეთი კულტურული ფაქტორების საფუძველზე ხდება, როგორიც არის, მაგალითად, ენა, ამჯერად საუბარია ეთნიკურ ქართველებზე, რომლებიც, გარკვეული თავისებურებების გამო, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მიერ „ნაკლებად“ ქართველებად აღიქმებიან. ღირებულებათა სისტემის საფუძველზე განსაზღვრულ „სხვებში“, ძირითადად, რელიგიური და სექსუალური უმცირესობები მოიაზრებიან.

რელიგიური უმცირესობები

როგორც უკვე აღინიშნა, ფოკუს ჯგუფების სადისკუსიო გეგმა ითვალისწინებდა საუბარს დიქოტომიის („ჩვენ“ და „სხვა“) შესახებ, ეთნო-კულტურული გაგებით, ხოლო რელიგიური და სექსუალური უმცირესობების თემა და ამ მხრივ განსაზღვრული „სხვა“ დისკუსიის პროცესში მონაწილეებმა თავად გამოაცალკევეს.

ფოკუს ჯგუფებში განხილვისას გამოიკვეთა, რომ ხშირად მონაწილეები ეთნიკურობასა და რელიგიას ერთ კონტექსტში ახსენებენ და ერთმანეთს თავისთავად უკავშირებენ – ქართული ნაციონალური იდენტობა მათთვის, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, მართლმადიდებელ ქრისტიანობასაც გულისხმობს. რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა განსაკუთრებით ცხადად ვლინდება, როდესაც რესპონდენტები ქართველობით, „ჩვენ" ჯგუფისადმი მიკუთვნებულობით გამოწვეულ სიამაყის განცდაზე საუბრობენ:

> *„როდესაც ქართველი ხარ და მართლმადიდებელი ამაყი უნდა იყო" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31–45).*

> *„ძალიან ამაყი ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ მეტეხის ხიდთან 100 ათასმა მოწამემ ხატს ფეხი არ დაადგა და ამის გამო მათ თავები მოჭკვეთეს და მტკვარში გადაყარეს" (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31–45).*

იმის გამო, რომ მართლმადიდებლობა მჭიდროდ უკავშირდება ქართველობის ზოგად სახეს, შესაბამისად, „ჩვენ" ჯგუფის წევრებად ნაკლებად აღიქმებიან ის ადამიანები, რომლებიც ამ მარკერის მიხედვით უმრავლესობას არ მიეკუთვნებიან. ამიტომ, უცხოდ და პრობლემურად განიხილება სხვა სარწმუნოების სალოცავების აშენება:

> *„სარწმუნოებაც გვყოფს. სარწმუნოება ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ, ვიღაც კათოლიკეა, ვიღაც მუსულმანია, ჩემთვის პატივსაცემია, მაგრამ უნდათ მეჩეთების აღმართვა. მაგის წინააღმდეგი ვარ" (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31–45).*

ქართულ რეალობაში ეთნიკური და რელიგიური იდენტობების გადაჯაჭვულობის შესახებ საუბრობენ ექსპერტებიც. მათი მოსაზრებით, მოსახლეობის აღქმაში „ქართველი" და „მართლმადიდებელი" ერთმანეთთან გაიგივებული ცნებებია. ამასთან, მართლმადიდებლობა გარკვეულ უპირატესობად აღიქმება, რომელიც „ჩვენ" ჯგუფს ახასიათებს და გამორჩეულობას ანიჭებს მას:

> *„მთავარი პრობლემა არის რელიგიურობის ის აღქმა, რაც უმრავლესობას აქვს. დღესდღეობით საქართველოში მართლმადიდებლობა აღქმულია, როგორც ექსკლუზიური, გამორჩეული აღმსარებლობა, რომელიც მარტო ქართველებს ახასიათებთ და აქედან გამომდინარე არსებობს უპირატესობის განცდა, რომელიც საქართველოს გაბრწყინებას, გამორჩეულობას გულისხმობს". (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)*

ექსპერტთა განმარტებით, პოზიცია, რომლის თანახმად, ქართველობა სარწმუნოებრივი ფაქტორით განისაზღვრება, განსაკუთრებით აქტუალიზდება სწორედ რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ვინაიდან ქართული ეროვნული იდენტობა მართლმადიდებლობასაც გულისხმობს, აქედან გამომდინარე, განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენელთა აქტიურობა საფრთხედ აღიქმება. ერთ-ერთი ექსპერტის დაკვირვებით, რელიგიური უმცირესობების მარგინალიზება არა მხოლოდ მოსახლეობის, არამედ სახელმწიფოს დონეზეც ხდება, რასაც ადასტურებს ის, რომ საქართველოს რელიგიურ-კულტურული ძეგლებიდან ქართულად აღიქმება მხოლოდ მართლმადიდებლური ძეგლები და სახელმწიფოც სწორედ მათ იცავს:

> *„ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად ვერ არის მიჩნეული საქართველოში არსებული კულტურული ძეგლები, მაგალითად, მეჩეთები. დავუშვათ, აჭარაში არის რამდენიმე ძალიან საინტერესო მეჩეთი, რომელიც აგებულია ეთნიკურად ქართველების მიერ და ეთნიკურად ქართველები ლოცულობენ, მაგრამ ის მიეკუთნება არაქრისტიანულ საკულტო ნაგებობას და სწორედ ამიტომ ისინი ვერ ხვდებიან დაცულ მონუმენტებს შორის. და ის არ აღიქმება ქართულ მონუმენტად. არადა რეალურად ის ქართული ძეგლია“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ზემოთაც აღინიშნა, რომ რელიგიურ უმცირესობას შეიძლება მივაკუთვნოთ ეთნიკურად ქართველი არაქრისტიანები, მაგალითად, აჭარელი მუსლიმები, რომელთა ექსკლუზია „ჩვენ“ ჯგუფიდან სწორედ რელიგიური განსხვავებულობის გამო ხდება. მეორე მხრივ, რელიგიური უმცირესობის კატეგორია ხშირად გადაფარავს ეთნიკური უმცირესობების კატეგორიასაც. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, როდესაც ეთნიკური უმცირესობების ჭრილში რელიგიური განსხვავებულობაც ერთვება, ეთნიკურად არაქართველების მიმართ მიმღებლობა კიდევ უფრო პრობლემურ ხასიათს იძენს:

> *„ერთი მხრივ, მიმაჩნია, რომ წინგადადგმული ნაბიჯი იყო გაცნობიერება იმისა, რომ ესენიც (ეთნიკური უმცირესობები) ისეთივე თანასწორუფლებიანი მოქალაქეები არიან, როგორც სხვები, მაგრამ როგორც კი თამაშში ჩაერთო რელიგია, აღმოჩნდა, რომ ე.ი. მათი რელიგიაც უნდა ვაღიაროთ ხომ თანასწორად, და მათაც უნდა შეძლონ მეჩეთების ან ა.შ. აშენება. აქ კი უკვე გაჩნდა მტკიცე უარი და მიუღებლობა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ექსპერტების შეფასებით, მოსახლეობაში რელიგიური უმცირესობების მიმართ შემწყნარებლობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეთნიკური უმცირესობების მიმართ. ამასთან, ტრადიციული რელიგიები შედარებით უფრო მისაღებად აღიქმება, ვიდრე ახალი, სექტის ტიპის რელიგიები:

> *„რელიგიური საკითხი ყველაზე ცხარე საკითხია. შედარებით უფრო მიღებული არის საზოგადოებაში ე.წ. „ტრადიციული" რელიგური ჯგუფები" (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

ზოგადად, ექსპერტებთან ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგები გვიჩვენებს, რომ რელიგიური ღირებულებები ქართული ეროვნული იდენტობის განუყოფელ ნაწილად აღიქმება, რაც რელიგიურ უმცირესობებს, ფაქტობრივად, შიდა ჯგუფიდან „გარეთ" აძევებს. აქვე უნდა ითქვას, რომ მართლმადიდებლობის ქართულ ეროვნულ იდენტობასთან შერწყმულობა, რელიგიური უმცირესობების გარდა, კიდევ ერთი ჯგუფთან – სექსუალურ უმცირესობებთან ურთიერთობაში წარმოშობს დაძაბულობას, რაც ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული.

საზოგადოების დამოკიდებულება სექსუალურ უმცირესობათა მიმართ

ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობებისადმი მკვეთრად უარყოფითია, რის დამადასტურებლადაც, ჩვეულებრივ, სახელდება 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან, ბიფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს გამართული აქციის დარბევა მოქალაქეების მიერ. 2013 წლის მაისში თბილისის მოსახლეობასთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები აჩვენებს (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, გამოკითხვა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მაისი, 2013), რომ თბილისელებისთვის სექსუალური უმცირესობები, კრიმინალების შემდეგ, რიგით მეორე, ყველაზე არასასურველი ჯგუფია. გამოკითხულთა 29.2 % აცხადებს, რომ არ ისურვებდა, მისი მეზობელი ჰომოსექსუალი ყოფილიყო. სხვა კვლევის თანახმად კი (კავკასიის კვლევითი რესურსები, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით, NDI – გამოკითხვა პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, აპრილი, 2015), მოსახლეობის რეპრეზენტატული გამოკითხვა ადასტურებს, რომ საზოგადოების თითქმის ნახევრისთვის (49 %) სექსუალური უმ-

ცირესობების უფლებების დაცვა არ არის მნიშვნელოვანი საკითხი.

რაც შეეხება ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს, როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი სადისკუსიო გეგმა არ ითვალისწინებდა რელიგიური და სექსუალური უმცირესობების შესახებ კითხვებს, მაგრამ რესპონდენტებმა თავად გამოყვეს სექსუალური უმცირესობები, როგორც ერთ-ერთი „სხვა“ ჯგუფი. ახალგაზრდები, სექსუალურ უმცირესობათა შესახებ საუბრისას, უარყოფით დამოკიდებულებას არ ავლენენ. ისინი უფრო ყურადღებას ამახვილებენ არსებულ დისკრიმინაციულ გარემოზე. მათი აზრით, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები საზოგადოებას ორ ნაწილად ჰყოფს და უმრავლესობისთვის ამგვარი უმცირესობები მიუღებელია. ამ დაპირისპირების მხარედ ახალგაზრდები რელიგიურ ინსტიტუტს – მართლმადიდებელ ეკლესიას და მორწმუნე საზოგადოებას ასახლებენ:

> *„კონფლიქტი, რაც ვთქვით, ლგბტ საზოგადოებასა და მართლმადიდებელ საზოგადოებას შორის“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, 18–30).*

> *„ასევე ლგბტ პირები და ეს ქვეკატეგორიები შეიძლება გამოვყოთ ეკლესიის მხრივ, რომელიც ყოფს საზოგადოებას“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 18–30).*

ახალგაზდებისგან განსხვავებით, უფროსი ასაკის რესპონდენტების დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ მკვეთრად უარყოფითია:

> *„მაგრამ გეი პარადი, გავნადგურდი, სერიოზულად გეუბნები, ხომ ალალად უნდა თქვა ადამიანმა. მაშინ ვიგრძენი, რომ მე კაცად აღარ ვარგივარ–მეთქი, იმიტომ, მინდოდა, რომ იარაღი ამეღო და დამეხოცა ხალხი.“ (ფოკუს– ჯგუფი, კაცი, 31+)*

სექსუალურ უმცირესობებზე საუბრისას, უფროს ასაკობრივ ჯგუფში, შემდეგი საკითხები გამოიყო:

- *სექსუალური უმცირესობები, როგორც ქართულ ტრადიციულ-კულტურულ მოდელთან შეუსაბამო ჯგუფები*: რესპონდენტების აზრით, სექსუალური უმცირესობები ქართულ ტრადიციებსა და მენტალიტეტს ეწინააღმდეგება: „*ბოდიში* და *გეი* პარადები ჩავატაროთ, ეს ცოტა ქართულ მენტალიტეტს ვერ იღებს.“ (ფოკუს-ჯგუფი, ქალი, 31+); *დღეს თავს არ უნდა მოგვახვიონ, რომ ჩაატარონ აღლუმი, ჩვენ სხვა ტრადიციები გვაქვს, ჩვენ ვერ შევეგუებით* (*ფოკუს-ჯგუფი, კაცი, 31+*). აღინიშნა, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ სექსუალური უმ-

ცირესობები ტრადიციულ გენდერულ „როლებს“ ამახინჯებენ: *„კაცი კაცს აღარ ჰგავს და ქალი ქალს, გახლეჩილი არ არის? გაივსო ქალაქი ცისფერებით“*(*ფოკუს ჯგუფი, რესპონდენტი კაცი, 31+*). შეიძლება ითქვას, რომ სექსუალური უმცირესობების შემთხვევაში „ჩვენ“ ჯგუფი მთავარ განმასხვავებელ მარკერად სწორედ კულტურულ ფაქტორებს და ღირებულებებს იშველიებს. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები შესაძლოა ეთნიკურად „ჩვენ“ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ, მათი განდევნა ტრადიციულ-კულტურული მოდელიდან (რომელიც, თავის მხრივ, „ჩვენ“ ჯგუფის იდენტობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს) იმდენად მასშტაბურია, რომ შეუძლებელია ამ უმცირესობის წარმომადგენლების „ჩვენ“ ჯგუფის წევრებად მიჩნევა.

- *სექსუალურ უმცირესობათა აქტიურობის საკითხი*: რესპონდენტების მსჯელობიდან გამომდინარე, ცალკე უნდა გამოიყოს მათთვის მიუღებელი ჯგუფის აქტიურობის საკითხი, რადგან ირკვევა, რომ პრობლემა სწორედ მაშინ ჩნდება, როდესაც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები აღარ იმალებიან, საჯაროდ ჩნდებიან და თავიანთ უფლებებსა და მოთხოვნებზეც იწყებენ საუბარს: „ *გოგო რომ გოგოსთან გაივლის, რამდენი შემთხვევაა. ადრეც იყო, მაგრამ ჩუმად იყო*“ (*ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31+*); „*საერთოდ ეს გეები ჩვენ დროს როგორ გამოყოფდნენ და როგორ აღიარებდნენ და ასეთი რამე არ ხდებოდა, ან დავხოცავდით ან ჩავწიხლავდით, ასეთი რამე არ ხდებოდა და ამას ვერ შევეგუებით ჩვენ. ისინი ცალკე სად და რას აკეთებენ, ჩვენ არც ვიგებდით*“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31+). ამ კონტექსტში აღსანიშნავია აიზენშტადტის (Eisenstadt, 2000) დებულება, იმის შესახებ, რომ მოდერნულ საზოგადოებაში ინტერესთა კონფლიქტი მაშინ აღმოცენდება, როდესაც საზოგადოების უმრავლესობისგან განსხვავებული ინტერესების მქონე ჯგუფები თვითგამორკვევასა და თავიანთი უფლებების დაცვას იწყებენ.

- *სექსუალური უმცირესობების საკითხი, როგორც „გარედან“ (დასავლეთიდან), იძულებით თავსმოხვეული თემა*: რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე, ფიქსირდება ასევე ტენდენცია, რომ სექსუალურ უმცირესობათა საკითხი განხი-

ლულ იქნეს, როგორც „გარედან“ (დასავლეთიდან, ევროპიდან) თავსმოხვეული პრობლემა. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სწორედ ევროპული სტრუქტურები და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი აიძულებს საქართველოს მთავრობას, დაიცვას სექსუალური უმცირესობების უფლებები: *„თუნდაც მთავრობას უნდა კანონის მიღება, რომ გაერთიანდნენ ნატოში უნდა დაწესდეს და კანონად უნდა მივიღოთ, რომ შეძლონ აღლუმის ჩატარება“* (*ქალი, ფოკუს ჯგუფი, 31+*); *„სხვანაირად არ მიგვიღებენ და მთავრობაც ეთანხმება ყველაფერს“* (*კაცი, ფოკუს ჯგუფი, 31+*). სავარაუდოა, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები სექსუალურ უმცირესობებს, როგორც მიუღებელ ჯგუფს, ევროპასთან და დასავლეთთან აკავშირებენ და ამის მეშვეობით ცდილობენ მათ კატეგორიზაციას „სხვა“ ჯგუფად.

ექსპერტების აზრით, საზოგადოებას ყველაზე ნაკლები მიმღებლობა სწორედ სექსუალური უმცირესობების მიმართ აქვს და ამის მიზეზად ისინი შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ: განათლების სისტემის ხარვეზები, სახელმწიფოებრივი გამოცდილების ნაკლებობა, სექსუალურ უმცირესობათა აქტიურობის ზრდა, გავლენიან რელიგიურ ინსტიტუტთან (ეკლესიასთან) და პოლიტიკოსებთან დაპირისპირება, ეთნო-რელიგიური იდენტობა და ნაციონალიზმი:

> *„ასევე ის, რომ ეწინააღმდეგები ეკლესიას და ა.შ. ეგენი არის ძირითადად, რაც მოქმედებს იმიტომ, რომ შენ რეალურად ხარ ძალიან არაპოპულარული ჯგუფის წევრი, რომელსაც ალმაცერად უყურებენ, რომელიც უფლებებს ითხოვ და კიდევ ბედავ და უპირისპირდები ყველაზე გავლენიან ინსტიტუციებს და პოლიტიკოსებს ქვეყანაში“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).*

რაც შეეხება ეთნო-რელიგიურ იდენტობას, ერთ-ერთი ექსპერტის განმარტებით, ამ იდენტობაში მოცემულია „ჩვენ“ ჯგუფის წევრის ნორმატული და სასურველი მახასიათებლები, მაგალითად, ჰეტეროსექსუალობა, მკაფიოდ განსაზღვრული გენდერული როლები და დომინანტი რელიგიის (ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობის) ფუნდამენტური დოგმების გაზიარება:

> *„გასაგებია, რომ თუ ვლაპარაკობთ ეთნიკურ-რელიგიურ იდენტობაზე, აქ ცხადია, რომ იდეალი, რომელიც ცენტრშია არის: სისხლით ქართველი, ჰეტეროსექსუალი, ძირითადად მამაკაცი. ქალი დაქვემდებარებულ პოზიციაშია. ყველაფერი, რაც ამის-*

გან განსხვავდება: ეთნიკურად, რელიგიურად, სექსუალურად, იქნება განდევნილი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

„ნაციონალიზმი დგას მეტწილად უნიფორმულობის იდეაზე, რომ ჩვენ ვართ ერთი ერი, ბევრი საერთო გვაკავშირებს, ტრადიცია იქნება თუ გენეტიკური კოდი თუ რაღაცები და ამასთანავე მოიაზრებს მკაფიო გენდერულ როლებს, განსაკუთრებით კაცებს რაც ეხებათ. შენ თუ გადადიხარ ამ სისტემიდან, მაშინვე აღიქმები, როგორც ეროვნული იდეის წინააღმდეგ მოქმედი ადამიანი ან ადამიანების ჯგუფი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი)

შესაბამისად, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, რაც უფრო განსხვავებულია რომელიმე ჯგუფის წევრების მახასიათებლები ამ მარკერებისგან, მით უფრო მაღალია მათი მარგინალიზებისა და მიუღებლობის ხარისხი. ექსპერტები სექსუალური უმცირესობებისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებაზე საუბრისას ასევე გამოყოფენ დემოგრაფიის საკითხსაც:

„პლიუს ამას, რეპროდუქციის თვალსაზრისითაც, ნაციონალიზმის ერთ-ერთი ნაწილია ეს დემოგრაფიული პანიკა, რომ ჩვენ გადავშენდებით, ამიტომ შენ გჭირდება ის, რომ ვილაცამ მოახერხოს რეპროდუცირება, ამისი ყველაზე მარტივი მექანიზმი არის ბირთვული ოჯახი, რომელზეც დგას ნაციონალიზმი. ბევრი ფაქტორია რეალურად, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ყველაზე მეტად, ალბათ ფემინისტები და ლგბტ ადამიანები ეწინააღმდეგებიან ამ გენდერული როლების სტატუს-კვოს. იმ სისტემას, რომელსაც შენ გთავაზობს ნაციონალისტური იდეოლოგია, მაგას ვარღვევთ, იმიტომ, რომ შენ იწყებ საუბარს არა ერზე, არამედ ინდივიდუალურ თავისუფლებაზე. იწყებ საუბარს იმაზე, რომ ადამიანი არ არის რეპროდუქციის მანქანა და მე არ ვარ ვალდებული, სამშობლოს ბავშვები გავუჩინო, თუ მე მინდა შვილის ყოლა, იმიტომ მინდა, რომ მე მინდა და ბავშვი არ არის სათამაშო, სიტყვაზე ვამბობ რა. მაგიტომაც არის ხოლმე ძალიან მიუღებელი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი).

ზოგადად, ექსპერტებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიყო და იდენტიფიცირებულ იქნა ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოებაში სექსუალური უმცირესობების მიმართ მიუღებლობას. ეს ფაქტორები, უმთავრესად, სტაბილური ინსტიტუტების რღვევასა და ფიზიკური გაქრობის შიშს უკავშირდება.

ინტერვიუები საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებთან

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების მოსაზრებით, მოსახლეობის ღირებულებებზე გარკვეულ გავლენას სხვადასხვა სახის აქტორები ახდენენ: პოლიტიკოსები, მედია, ეკლესია, საგანმანათლებლო სისტემა, არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი გარკვეულ როლს თამაშობენ ისეთ პროცესებში, როგორიცაა, მაგალითად, „ჩვენ“ ჯგუფისთვის გარკვეული თავისებურებების მიწერა და ამის საფუძველზე „სხვების“ გამოყოფა. ზემოხსენებული აქტორების ხედვის წარმოსაჩენად, კვლევის ფარგლებში, მათთან სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა.

პოლიტიკოსები ეთნიკური უმცირესობების შესახებ

გამოკითხული პოლიტიკოსები აქცენტს უფრო ინკლუზიური ტიპის პოლიტიკურ ერზე აკეთებენ, მაგრამ, საგულისხმოა, რომ ეროვნული იდენტობის ჭრილში, ეთნიკური მარკერის წვლილი სხვადასხვა პოლიტიკოსისთვის სხვადასხვაა. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ქართველი მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეთნიკურობა ნაციონალური იდენტობის უმთავრესი მარკერია, თუმცა, თავად ის ამ მახასიათებელს საკვანძოდ არ მიიჩნევს და აქცენტი უფრო სამოქალაქო ტიპის მარკერებზე გადააქვს:

> *„მე და ჩემს ხალხს სხვადასხვანაირად გვგონია როგორც ჩანს რა არის ქართული იდენტობა. (...) ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ 100% ეთნიკური ქართველობა, მათ შორის, სწორი ორიენტაციით და ხუთოსნობით არის. ეს ნიშნავს იმას, რომ არც ერთი უმცირესობა ქართველი არ არის, მათ შორის, სექსუალური უმცირესობაც კი. დადგება დრო, როცა ყველას მშვენივრად ეცოდინება რა არის ნაციონალური იდენტობა. ნაციონალური იდენტობა არის ამ სახელმწიფოს მოქალაქეების ერთად დგომა მომავლის ამოცანების წინაშე, ეს არის მთავარი. ვინც ერთად ხედავს თავის თავს განსაცდელში და მომავლისკენ, ის არის ერთი ნაცია. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ეთნიკურ წარმომავლობას აქვს, რა თქმა უნდა, გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობის იგი არ არის, ნაცია და ეთნოსი სხვადასხვა ტერმინია“. (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი)*

ალტერნატიული პოზიცია, მართალია, ერთი შეხედვით, ეთნიკურ უმცირესობებს ერის შემადგენელ ნაწილად განიხილავს, მაგრამ ერის

შინაარსში, ძირითადად, ქართულ „ეთნიკურ ღირებულებებს“ მოიაზრებს, ეთნიკური უმცირესობების მიმართ კი მხოლოდ ტოლერანტობის მნიშვნელობას აფიქსირებს:

> *(„ქართულ შინაარსში“ იგულისხმება) ის ტრადიციები, რამაც სახელმწიფოებრიობა შემოინახა დღემდე და რაც, ერთი მხრივ, ჩვენი ქართული ეთნიკური ღირებულებების დაცვას და განვრცობას გულისხმობს და, მეორე მხრივ, ამ კონტექსტში ტოლერანტულ დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართ, რამაც უნდა განსაზღვროს ჰარმონიული განვითარება ქართველი ერისა, როგორც პოლიტიკური ერისა (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

საინტერესოა, რომ უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა დეკლარირებული სახით რიგ პოლიტიკოსებთან ქართველი საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ღირებულებად გვევლინება მაშინ, როდესაც თავადვე ახსენებენ უმცირესობებისადმი მიმღებლობის პრობლემას მოსახლეობაში:

> *„ჩემთვის ძალიან კომპლექსურია ეროვნული იდენტობა და მათ შორის არის იგივე ტოლერანტობა, იგივე კაცთმოყვარეობა, იგივე შემწყნარებლობა. (...) უმცირესობები, ძალიან სამწუხაროდ, ჩვენ უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ძალიან სამწუხაროდ, ჯერჯერობით მაინც რთულადაა საქმე, ყველაზე მიუღებელი მაინც ეს არის საზოგადოებაში, მე რასაც ვუყურებ. ძალიან ბევრს დავდივარ, ვხვდები ხალხს, როგორც პოლიტიკოსი, ვალდებული ვარ, ვერ წარმოიდგენთ, რამდენად მიუღებელია, ეს ხალხი კითხვებს როცა გისვამს, თქვენ რომ მოხვალთ, ამას ყველაფერს ხომ გაუმკლავდებით? ძალიან რთულია. (...) შოვინისტური განწყობებიც არსებობს აბსოლუტურად და არ მოშლილა, სამწუხაროდ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

იმის მიუხედავად, რომ ზოგადად, მიმღებლობის პრობლემაზე საუბრობენ, პოლიტიკოსების შეფასებით, როგორც სახელმწიფოს მიდგომა, ასევე საზოგადოებრივი დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ 90-იანი წლების შემდგომ უკეთესობისკენ შეიცვალა. მიუხედავად სახელმწიფო ენის ცოდნის და პოლიტიკური ჩართულობის პრობლემების არსებობისა, ეთნიკურ უმცირესობებში, ოფიციალური პოლიტიკა მათ მიმართ ინკლუზიურია – სახელმწიფოს უფრო გააზრებული აქვს, რომ თავად უნდა შეიტანოს წვლილი ეთ-

ნიკური უმცირესობების ინტეგრაციაში, ამასთან, მაღალი თანამდებობის პირის მიერ პოლიტიკური ოპონენტის ეთნიკურ წარმომავლობაზე აპელირება „უკულტურობად“ ითვლება, ხოლო მოსახლეობის ფართო მასების დონეზე „შერეული სისხლი“ ნაკლებად პრობლემურად აღიქმება:

> *„ჩემი აზრით, უკვე ძალიან დიდ უკულტურობად ითვლება ის, რომ საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი ან მაღალი ჩინის მოქალაქე იყენებს სიძულვილის, დისკრიმინაციულ და ჰომოფობიური ენის ელემენტებს, ან ეთნიკური ენის ელემენტებს, როგორც მოწინააღმედეგის „გაშავებისთვის“. მე ვგრძნობ, რომ ქართველი საზოგადოება, როგორც მაღალი კულტურისა და ევროპული ტრადიციის მატარებელი საზოგადოება ამ მხრივ გაიზარდა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი)*

> *„ქართველი ნაცია ახლა ყალიბდება, კაცმა რომ თქვას და საერთოდ შეიძლება საუბარი იმაზე, რომ მოქალაქეები ქართველები არიან, უკვე აღარავინ არ განიცდის იმას, რომ როგორ შეიძლება ქართველი იყოს ის, თუ ბებიას ერქვა სირანა, ასეთი საკითხები აღარ არის მტკივნეული, (...) მანამდე ითვლებოდა, რომ ეთნიკურ უმცირესობას უნდა უყვარდეს (საქართველო) უანგაროდ, ახლა ითვლება, რომ ჩვენ რაღაც უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეთნიკურმა უმცირესობამ, მაგალითად, ისწავლოს სახელმწიფო ენა. მანამდე ითვლებოდა, რომ ჩვენ გავხდით დამოუკიდებლები და 80 წლის სომეხმა რატომ არ იცის ქართული ენა? ერთ დღეში უნდა ისწავლოს და ჩაგვაბაროს. ახლა მივხვდით, რომ ამისთვის საჭიროა 80 წლის კი არა 5 წლის სომეხთან დავიწყოთ მუშაობა, რომ ისწავლოს სახელმწიფო ენა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

პოლიტიკოსები იმიგრანტების შესახებ

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსები, უცხოელებისთვის მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით, ორ განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ. უმრავლესობა, მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციისა, მიესალმება უცხოელზე მიწის გასხვისებას, რადგან ეს ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან და სასარგებლო ნაბიჯად მიაჩნია. ექსპერტების მსგავსად, პოლიტიკოსებისთვისაც მიწის ამგვარი გასხვისება სამუშაო ადგილების შექმნასთან, ინვესტიციების ჩადებასთან და ქვეყნის სტაბილურობასთან არის დაკავშირებული:

„მე მართალი გითხრათ, მართლა შინაგანად ლიბერალი ვარ და ძალიან დადებითად ვუყურებ ამას. იმ შემთხვევაში თუკი ეკონომიკა განვითარდება, თუკი ინვესტიცია ჩაიდება, თუკი მეტი სამუშაო ადგილის პერსპექტივა გაჩნდება და ა.შ. არავითარი პრობლემა არ არის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

პოლიტიკოსები ამ საკითხს მხოლოდ ეკონომიკური პოზიციიდან არ განიხილავენ და მატერიალური სარგებლის გარდა, უსაფრთხოების თემაზეც საუბრობენ. მათი აზრით, მიწის გასხვისება უსაფრთხოების ერთგვარ გარანტიადაც შეიძლება იქნეს განხილული, რადგან, რაც უფრო მეტი ქვეყნის წარმომადგენელს ექნება საკუთარი მიწის ნაკვეთები საქართველოში, მით უფრო დიდ იქნება მათი დაინტერესება და მოტივაცია, რომ სტაბილურობა და სიმშვიდე შენარჩუნდეს ქვეყანაში:

„ჩვენ ერთადერთი რითიც შეგვიძლია, რომ თავი დავიცვათ, თუ მიწას იყიდის გერმანელი, ბრიტანელი, ჩინელი და ა.შ.. ბევრი მათგანის ინტერესში იქნება, რომ ეს ტერიტორია იყოს სტაბილური და დაცული და თითოეული იმ ქვეყნის ვის წარმომადგენლისაც იქნება ეს მიწა, მათ ინტერესებში იქნება, რომ აქ იყოს სტაბილურობა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

პოლიტიკოსები საზოგადოებაში არსებულ უარყოფით დამოკიდებულებას და შიშს იმის თაობაზე, რომ მიწის ყიდვით „უცხოები“ ტერიტორიებს წაგვართმევენ – ირაციონალურს უწოდებენ. ზოგიერთი მათგანი ასეთი შიშის არსებობას განათლების ნაკლებობას მიაწერს და აღნიშნავს, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც მიწის გასხვისების ეშინიათ, ჰგონიათ, რომ ამით ქართველობას დაკარგავენ:

„ისეთივე შიშია, როგორიცაა მამის სახელთან დაკავშირებით. პასპორტში თუ არ წერია, რომ ქართველი ხარ, უკვე ქართველი აღარ ხარ“ სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

ქართველობის დაკარგვის შიში ან ე.წ. „ირაციონალური შიში“, როგორც პოლიტიკოსები უწოდებენ, სწორედ ზემოთ, ადრე ნახსენებ შიშთან – კულტურული მახასიათებლების გაქრობის, ეთნიკურად ქართველების რაოდენობრივი შემცირებისა და ფიზიკური გაქრობის შიშთან არის დაკავშირებული.

პოლიტიკოსები ასევე აღნიშნავენ, რომ ადგილობრივების მტრული დამოკიდებულება მიწის მფლობელი უცხოელი მოქალაქეების მიმართ ეკონომიკური კონკურენციით არის განპირობებული:

„არის მეორე მომენტი, ჩინელები მოვიდნენ ჩვენს მიწაზე, რომელზეც მოდის ერთი მოსავალი და მოიყვანეს სამი მოსავალი. ქართველებმა მანამდე არ დაიშალეს მათი ცემა-ტყეპა სანამ, იმათაც არ მოიყვანეს ერთი მოსავალი, ანუ შეაშფოთა ჩინელთა შრომისმოყვარეობამ"(სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ შეზღუდული რესურსების პირობებში „უცხო" ჯგუფის მიმართ მტრული მიმართება იზრდება, ხოლო როდესაც რესურსები ასე თუ ისე ბალანსდება და შიდა ჯგუფი ისე აღარ აღიქვამს, რომ „სხვა" მას ართმევს დოვლათს და მისი რესურსების ხარჯზე იღებს სარგებელს, – პრობლემები გვარდება.

უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის მომხრე პოლიტიკოსები ამ საკითხის უარყოფით ასპექტად ასახელებენ საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის მომატებას. მათი აზრით, ეს უკავშირდება იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მიწის გასხვისებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ჩვეულ საარსებო გარემოზეც აისახება. ეს კი, თავის მხრივ, ამ ადამიანების შესაბამის რეაქციას გამოიწვევს აღნიშნული ცვლილებებისადმი:

„მართლაც, როდესაც თაობები მიჩვეულნი არიან სოფელში ცხოვრებას და იციან, რომ სადღაც საძოვარი აქვთ. კი არ არის ეს ნორმალური ეკონომიკური სტრუქტურა, პატარა მიწის ნაკვეთებით რაიმე ეკონომიკური შედეგი ჰქონდეს ვინმეს თავითვის ან ქვეყნისთვის, მაგრამ რაღაცეებს ანგარიშის გაწევა სჭირდება" (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მოსახლეობისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებისა და კარგად გააზრებული რეგულაციების დაწესებით. მათი დასკვნით, სათანადო წინაპირობებისა და შეზღუდვების შემუშავება მოხსნის იმ სოციალურ დაძაბულობას, რომელიც უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის თემას ახლავს თან.

მიწის გასხვისების ოპონენტი პოლიტიკოსის მსჯელობა, ძირითადად, აგებულია იმ წინააღმდეგობაზე, რომ ეკონომიკური მოგების სანაცვლოდ (რაც მიწის გასხვისებას უკავშირდება), იცვლება, უარესდება ეროვნული დემოგრაფიული ვითარება. ამგვარი არგუმენტაცია „ჩვენ" ჯგუფის უმცირესობაში აღმოჩენის საფრთხეზე მიანიშნებს და ამ „ეგზისტენციალურ საფრთხესთან" შედარებით ეკონომიკურ მოგებას მეორეხარისხოვნად მიიჩნევს:

„დემოგრაფიული სურათის ხელოვნურად ცვლილება – ეს არის მტრული განწყობის რეალიზაცია საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ კონკრეტული სარგებლის სანაცვლოდ. სხვა ამას არაფერი არ ეწოდება. ასეთ საფრთხეს მე აღვიქვამ, როგორც ეგზისტენციალურ საფრთხეს, ვინაიდან, თუ ამას კამპანიური პოლიტიკური ხასიათი მიეცა და მკაფიოდ და კარგად დაფინანსებულია, ამავე დროს, ჩვენ ძალიან ცოტა ხანში აღმოვჩნდებით უმცირესობაში" (პოლიტიკოსი, სიღრმისეული ინტერვიუ).

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკოსების მოსაზრებები უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის თაობაზე, ორ ძირითად ნაწილად იყოფა – პირველ შემთხვევაში, მიწის გასხვისების მომხრეები ეკონომიკური ფაქტორებით ამართლებენ ასეთ ნაბიჯს და სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ მიაჩნიათ ამგვარი პრაქტიკა, ხოლო მეორე შემთხვევაში გადამწყვეტ კონტრარგუმენტად გამოიყენება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირებისა და ფიზიკური გაქრობის საფრთხე.

პოლიტიკოსები რელიგიურ უმცირესობათა შესახებ

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსების მოსაზრებები რელიგიური უმცირესობების თაობაზე, ორად გაიყო: ერთნი მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის უმრავლესობაში ამ ტიპის უმცირესობებისადმი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია, მეორენი კი ასე არ ფიქრობენ. რესპონდენტების პირველი ნაწილის თვალსაზრისი ექსპერტთა პოზიციის ანალოგიურია – მოსახლეობა რელიგიურ უმცირესობებს, ძირითადად, „სხვებად" აღიქვამს და მათ მიმართ მიმღებლობა არასაკმარისია. ამის დასადასტურებლად ერთ-ერთი პოლიტიკოსი იმ მღელვარებას იხსენებს, რომელიც რელიგიური ორგანიზაციებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრაციის უფლების მინიჭებას მოჰყვა – ეს საკანონმდებლო ცვლილება ბევრმა „მართლმადიდებლობის დაკარგვის საფრთხედ" მიიჩნია:

„როდესაც სხვა კონფესიებს, გარდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა, მიეცათ უფლება, რომ დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც „საჯარო სამართლის იურიდიული პირი", ამას მოჰყვა დიდი დემონსტრაცია. ერთი ეს მახსოვს, რასაც დიდი ვნებათაღელვები მოყვა და ამის განცდა, აღქმა იყო, რომ წაგვლეკავენ სხვები, დავკარგავთ მართლმადიდე-

ბლობას და ამიტომ არ უნდა ჰქონდეთ მათ ასეთი უფლება“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

პოლიტიკოსების მეორე ნაწილის აზრით კი, საქართველოში რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ შემწყნარებლობა ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული კულტურული ფაქტორია; ამიტომაც, რელიგიური უმცირესობებისადმი მიმღებლობა მაღალია და ამ მხრივ კონფლიქტები არ გაჩაღებულა. ამის ერთ-ერთ მაგალითად დასახელდა ძველი თბილისის ტერიტორიაზე, სხვადასხვა კონფესიის (ტრადიციული რელიგიების: მართლმადიდებლური, გრიგორიანული-სომხური, მაჰმადიანური და იუდეური) სამლოცველოების ლამის გვერდიგვერდ თანაარსებობა:

„ეკლესიური (დაპირისპირება) ნაკლებად არსებობს იმიტომ, რომ საქართველოში ეს მაინც კულტურული მომენტია, მარტო ლესელიძეზე რომ ამოივლი, ყველაფერი ერთად არის აბანოთუბანში“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

პოლიტიკოსები სექსუალურ უმცირესობათა შესახებ

ჩვენ მიერ გამოკითხული პოლიტიკოსების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სექსუალური უმცირესობები ყველაზე მიუღებელ ჯგუფს წარმოადგენს საზოგადოებისთვის. სხვა ტიპის უმცირესობათაგან განსხვავებით, მათ მიმართ უმრავლესობა უარყოფით დამოკიდებულებას ღიად, აგრესიულადაც კი გამოხატავს და ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც დაფიქსირდა:

„მგონია, რომ ეს ჰომოფობიური განწყობილებები გაცილებით მძლავრია. შეიძლება უხეშად ჟღერდეს, მაგრამ განცდა მაქვს, რომ ამ თემის წარმომადგენლები სიცოცხლის განადგურების საფრთხის ქვეშ დგანან, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში, შეიძება რაღაც კონფლიქტი იყოს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).

ერთ-ერთი პოლიტიკოსის აზრით, საზოგადოება არ არის მზად თანასწორობის იდეა გაიზიაროს. მისი აზრით, ანტიდისკრიმინაციული კანონი ევროპასთან ასოცირების გამო იქნა მიღებული, თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება ამ კანონის შინაარსს, განსაკუთრებით სექსუალური უმცირესობების მიმართ.

სხვა პოლიტიკოსის აზრით, უმრავლესობის მიერ სექსუალური უმცირესობების მიმართ ასეთი მძლავრი უარყოფითი დამოკიდებულების

მიზეზი ძალაუფლების დაკარგვის შიშია. თავის მხრივ, ეს შიში მანამდე მარგინალიზებული ჯგუფების აქტიურობის ზრდას უკავშირდება, რადგან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები უკვე ნაკლებად იმალებიან და თავიანთი უფლებების დაცვასაც მოითხოვენ. ეს კი აქამდე არსებული წესრიგისა და ძალაუფლებრივი იერარქიის ცვლილებას მოითხოვს, რაც, უპირველესად, ძალაუფლების მქონე უმრავლესობისთვის არის მიუღებელი და საფრთხის შემცველი:

> *„ისინი ამბობენ, რომ, კი ბატონო, გქონდეთ სხვა ორიენტაცია, მაგრამ ამას ნუ აფიშირებთ. სწორედ ამ ლოგიკაში არის ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი და შიში იმისა, რომ ძალაუფლება არ დავკარგოთო. თუ არ აფიშირებს ე.ი. ჩემს საზოგადოებრივ სტრუქტურას არ ებრძვის, ხოდა თავისთვის იყოს" (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

მეორე მხრივ, პოლიტიკოსებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში, გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც ამ თემაზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ სამოქალაქო ქორწინება მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის არის დასაშვები და ეს დებულება საქართველოს ქრისტიანული კულტურისადმი მიკუთვნებულობას დაუკავშირდა:

> *„ის, რომ სამოქალაქო ქორწინების სუბიექტები უნდა იყვნენ ქალი და მამაკაცი, რაც დადგენილია ღვთისგან და ამას კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე არ აყენებდა ეჭვქვეშ, მე მგონი ჩვენთვისაც, 2000წლოვანი ქრისტიანული კულტურის მატარებელი ქვეყნისთვისაც, უნდა იყოს ყოველგვარი ეჭვის გამომრიცხავი მნიშვნელოვანი მოცემულობა" (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

რესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სექსუალურ უმცირესობათა მიმართ საზოგადოება პროტესტს გამოხატავს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამის დასადასტურებლად პოლიტიკოსი ევროპული ქვეყნების მაგალითებს ასახელებს და აღნიშნავს, რომ სექსუალური უმცირესობებისადმი უარაოფითი პოზიცია გლობალურ მასშტაბებს აღწევს:

> *„მე ძალიან გულისყურით ვადევნებ იმ ფაქტსაც თვალს, რომ იგივე შტუდგარდში, იგივე საფრანგეთში თუ იტალიაში მარვალმილიონიანი მარშები სწორედ იმ გენდერის თეორიისგან თავის არიდებას ეძღვნება, რომელიც სკოლაში ინერგება იქაც. ასე რომ, საქართველო არ არის გამონაკლისი გლობალურ სამყაროში" (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკოსი).*

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკოსებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში, სექსუალურ უმცირესობათა საკითხთან დაკავშირებით, გამოიკვეთა ორი ძირითადი პოზიცია. პოლიტიკოსების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ საზოგადოების უმრავლესობა მიუღებლობით გამოირჩევა სექსუალური უმცირესობების მიმართ და ამის მიზეზად ძალაუფლების დაკარგვის შიში და თანასწორობის იდეისადმი მზაობის ნაკლებობა სახელდება.

მეორე ნაწილის აზრით კი, სექსუალური უმცირესობები ქრისტიანული კულტურისთვის მიუღებელია, ამასთანავე, მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გლობალური ხასიათის მოვლენაა და ეს არ არის მხოლოდ საქართველოს თავისებურება.

მედიაწარმომადგენლები უმცირესობათა შესახებ

მედიაწარმომადგენლების შეფასებით, ქართველ საზოგადოებაში ყველაზე მიუღებლად სექსუალური და რელიგიური უმცირესობები ითვლება, ეთნიკური უმცირესობების მიმართ კი უფრო ტოლერანტული დამოკიდებულებაა.

უმცირესობათა საკითხების გაშუქება, ძირითადად, აქტუალობის მიხედვით, ახალი ამბების ფორმატით ხდება. თუმცა, ასევე დასახელდა თოქ-შოუს ტიპის გადაცემები, სადაც უმცირესობების წარმომადგენლებს სადისკუსიოდ იწვევენ. რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გაშუქებისას ისინი საკმაოდ მგრძნობიარედ რეაგირებენ ზემოხსენებული ჯგუფების პრობლემებზე – აფიქსირებენ, განიხილავენ ჩაგვრის ფაქტებს და ცდილობენ დაამკვიდრონ პოზიცია, რომ ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური განსხვავებულობის გამო ადამიანი საზოგადოებიდან არ უნდა ირიყებოდეს:

> *„ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ დავანახოთ ამ ხალხს გარკვეულწილად, ვინც დაჩაგრულების როლში აღმოჩნდებიან, დავანახოთ, რომ ეს (ჩაგვრა) არ არის ნორმალური, ეს ჩვენი საზოგადოების ნაწილია და ზუსტად ისეთივე ადამიანია, როგორც მე, როგორც თქვენ და დანარჩენი სხვა და იმ სექსუალური ან რელიგიური ორიენტაციით ადამიანის გარჩევა არ შეიძლება, როდესაც შენ გაქვს პრეტენზია, რომ ხარ ევროპელი და მიგაჩნია, რომ იმ ღირებულებებს იზიარებ, რომელსაც ევროპა და დასავლეთი ზოგადად იზიარებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი);*

> *„ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი სიუჟეტი იყო, ჟურნალისტი*

ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ესეც ადამიანია, ჩვენ ყველას ჩვენი უფლება გვაქვს და არავის აქვს უფლება ჩემი სექსუალური, ეთნიკური, რელიგიური განსხვავებულობის გამო ჩემზე უფრო მეტად იგრძნოს თავი. თუ ვინმე იგრძნობს, ეს მხოლოდ მისი და მისი სიბნელის პრობლემაა" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).

აღინიშნა, რომ ტელეარხები ხშირად ხდებიან საზოგადოების კრიტიკის ობიექტები იმის გამო, რომ სექსუალურ და რელიგიურ უმცირესობებს უთმობენ დროს; თუმცა, რესპონდენტების თქმით, კრიტიკის პარალელურად, იმატებს ასეთ ტელეგადაცემათა რეიტინგიც. თოქ-შოუს ტიპის გადაცემებში, უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად, ხშირად მონაწილეობენ ასევე მათთან დაპირისპირებული მხარეებიც, მაგალითად, ეკლესიის წარმომადგენლები, რაც, საბოლოოდ, რიგ შემთხვევაში, კონფრონტაციით მთავრდება:

„მოსულა ყველა მხარე, მათ შორის საპატრიარქოც, რომელიც მე ვიტყოდი, ამ შემთხვევაში მხარეა და, რა თქმა უნდა, ჩხუბით დასრულებულა" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).

„რა თქმა უნდა, ჩვენ ვხდებით საზოგადოების კრიტიკის ობიექტი იმის გამო, რომ ამდენ დროს ვუთმობთ მათ, თუმცა ყოველთვის დავუთმობთ ამ ხალხს ეთერს, ყოველთვის უნდა გამოთქვან თავისი აზრი ზუსტად იმიტომ, რომ ისინი ჩვენი საზოგადოების ნაწილია. (...) რეიტინგი იმატებს, მაგრამ ლანძღვა-გინებაც იმატებს პირდაპირპროპორციულად" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).

ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ უმჯობესია უმცირესობათა შესახებ თემები სხვადასხვა გადაცემაში იყოს განხილული, ვიდრე არსებობდეს ცალკე გადაცემა სპეციალურად ასეთი თემატიკისთვის, რადგან ამგვარი კატეგორიზაცია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ზემოხსენებული ჯგუფების დანარჩენი საზოგადოებისგან გამიჯვნას. ითქვა ისიც, რომ უმცირესობათა შესახებ ინფორმაცია მხოლოდ აქტუალური მოვლენების ჭრილში კი არ უნდა შუქდებოდეს, არამედ გარკვეული პერიოდულობით:

„ცალკე გადაცემა, რომელშიც თხრობა მიდის ერთი კონკრეტული ჯგუფის შესახებ – საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ეს თემა არის გამოყოფილი ყველაფერი სხვისგან, მთელი საინფორმაციო ველიდან, მთელი შემოქმედებითი პროცესისგან

და მას, როგორც წესი, უყურებს ხოლმე ის ჯგუფი, რომელ ჯგუფსაც ეხება ასეთი გადაცემები, როგორც წესი. ჩვენ ვთქვით, რომ ეს არ არის სწორი, რეალურად უმჯობესი იქნება თემები, რომელიც ეხებათ სხვადასხვა ჯგუფებს, სხვადასხვა განსხვავებულობებს, მოხდეს მათი ინტეგრირება ყველა სხვა დანარჩენ პროდუქტში. (...) და იქნება გარკვეული პერიოდულობით. არ დაელოდება იმას, რომ სანამ ვიღაცას არ ცემენ ან ვიღაც არ გამოვა ქუჩაში და რამეს არ იტყვის, მანამდე ამაზე არ ვლაპარაკობთ. ამ თემებზე უნდა ვისაუბროთ" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).

საყურადღებოა, რომ ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში, პრობლემა არის არა მხოლოდ მათთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, არამედ მათი ინფორმირებულობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული ენის არცოდნის გამო, ქართულენოვანი ტელეგადაცემები და, ზოგადად, ქართულენოვანი მედია მათთვის ნაკლებად აქტუალური და ნაკლებად ხელმისაწვდომია. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ენობრივი ბარიერის გამო, ეთნიკურ უმცირესობებს სინქრონული თარგმანის საშუალებით უნდა მიეწოდებოდეთ მთლიანი საინფორმაციო გამოშვება:

„ამოცანა არის ერთი, მათ შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება საერთო საინფორმაციო ველში, ანუ მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება ყველასთვის და არა მხოლოდ მათთვის. მეორე, საერთო საინფორმაციო ნაკადის მიწოდება მათთვის, არა 12 წუთის, არამედ იმდენის, რამდენსაც ვაწვდით ყველა სხვას დანარჩენს. ხვდებით, რამდენად რთული ამოცანაა? თუ ამას არ ვაკეთებთ, ე.ი. არაფერს ვაკეთებთ. თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მათი ინტეგრირება უნდა მოხდეს რაღაცნაირად, მათი ინტეგრირება უნდა მოხდეს, ჯერ ერთი, საერთო საინფორმაციო ველში და მეორე, ის ინფორმაცია, რომელიც გვაქვს განზრახული სხვებისთვის, უნდა მივიდეს იქამდე" (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).

რაც შეეხება იმიგრანტებთან დაკავშირებული თემების გაშუქებას, განხილვის პროცესში გამოიკვეთა, რომ ასეთ საკითხებზე ყურადღება, ჩვეულებრივ, მაშინ მახვილდება, როცა იმიგრანტებთან დაკავშირებით რაიმე ძალადობის ფაქტი მოხდება. მეორე მხრივ, კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა ასევე ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მისამართითაც. მაგალითად, მიწის უცხოელებისთვის მიყიდვასთან, აგრეთვე სავიზო ბარიერების დაწესებასა და იმიგრაციის შეზღუ-

დვასთან დაკავშირებით. რესპონდენტების თანახმად, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული სავიზო ბარიერების გაუქმებაში დიდი წვლილი მიუძღვის სწორედ მედიას და მის აქტიურობას:

> *„ხელოვნური ბარიერების შექმნა არ შეიძლება ხალხისთვის, რომ ქვეყანაში ვერ შემოვიდნენ. პირიქით, რაც შეიძლება შეღავათიანი პირობები უნდა გქონდეს, რომ მეტი სტუდენტი მოიზიდო, ის სტუდენტი ავტომატურად ფულია ამ ქვეყნისთვის, ის სტუდენტი ფულს იხდის თავის სწავლაში და იგივე ბიზნესმენი რომ შემოდის, რაღაცისთვის შემოდის აქ, ამ შემთხვევაში უფრო მეტად გახსნილი უნდა იყოს ქართული მხარე. სხვათა შორის, ამ მედია პოლიტიკამაც თავისი შედეგი გამოიღო იმიტომ, რომ მერე მოუწიათ, სახელმწიფოს მოუწია ამ თავისი გადაწყვეტილების უკან წაღება და სავიზო ბარიერები გააუქმა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, მედიის წარმომადგენელი).*

საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლები უმცირესობათა შესახებ

განათლების სფეროს წარმომადგენლებმაც ქართველ საზოგადოებაში ყველაზე მიუღებულ ჯგუფებად, უწინარესად, სექსუალური და რელიგიური უმცირესობები დაასახელეს და ასევე უცხოელებიც:

> *„ყველაზე ნაკლები მიმღებლობა აქვთ სექსუალური უმცირესობების მიმართ, მერე რელიგიური უმცირესობები, მერე უცხოელები. უცხოელებს შორის: რუსები, მერე ამერიკელები და ისტორიაში რომ ასწავლეს, რომ მტრები არიან: სომხები, თურქები“. (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი)*

ზოგადად, თანამედროვე სახელმწიფოში, განათლების სისტემა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ეროვნული ერთობის წევრთა კულტურული ჰომოგენიზაციის პროცესში. კვლევის ფარგლებში ჩვენ მიერ ჩატარებულ ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სასკოლო-საგანმანათლებლო დისკურსს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს „ჩვენ“ ჯგუფიდან „სხვების“ გამოყოფაში, განსაკუთრებით ეს ეხება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს. აქ გამომჟღავნდა, ერთი მხრივ, სასწავლო გეგმასთან და, მეორე მხრივ, მასწავლებლებთან დაკავშირებული პრობლემები.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ 2007-2008 წლების შემდეგ სასწავლო გეგმა, გარკვეულწილად, შეიცვალა და უფრო ინკლუზიური

გახდა, ვიდრე მანამდე იყო, მაგალითად, თუ ადრე სახელმძღვანელოები აზერბაიჯანელებისა და სომხებისგან, ფაქტობრივად, მტრის ხატს ქმნიდა, ახლა ასეთი რამ ნაკლებად ხდება. გარდა ამისა, შემუშავდა სპეციალური სახელმძღვანელოები, რომლებიც მოსწავლეებს საქართველოში მცხოვრები ხალხების კულტურასა და ტრადიციებს აცნობს. ამის მიუხედავად, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ პრობლემები კვლავაც მრავლად არის:

> *„სახელმძღვანელოებში ეწერა პირდაპირ ასეთი ტექსტით: ჯავახეთში, რუსების წყალობით ჩასახლდნენ სომხები და ეს იყო ნაღმი საქართველოს სახელმწიფოებრიობის წანააღმდეგ და 80-იანი წლების ბოლოს იქ ისევ დაიწყეს ჩასახლება ქართველებმა, ხელახლა გაისმა მხიარული ხმები და ისევ გაცოცხლდა ის მხარე. ასეთი ტექსტები პირდაპირ ეწერა. პირდაპირ ეწერა, რომ ისინი საშინლები არიან, საფრთხეს გვიქმნიან და ჩვენ ამას უნდა ვუშველოთ ასე. ასეთი სახელმძღვანელოები შემდეგ, საბედნიეროდ, აღარ იყო“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).*

> *„ის, რომ აღარ არის განსხვავებულობის მიმართ შიში, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მიმღებლობა არის, იმ ეტაპზე ვართ, რომ დავძლიეთ სერიოზული დაპირისპირებები რეალობასთან ან განსხვავებულობასთან. ესეც ძალიან წარმატებულია იმიტომ, რომ გაქრა ზიზღის ენა, გაქრა მტრის სახის ტირაჟირების მცდელობები, მაგრამ ეს მთლად თავისუფალი მაინც არ არის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).*

რესპონდენტების შეფასებები ეხმიანება სასკოლო სახელმძღვანელოების კვლევათა შედეგებს (ღვინიანიძე, ბარქაია, 2014; მამედოვი, 2016,), რომლებმაც გამოავლინა, რომ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი წიგნები კვლავაც შეიცავს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის ელემენტებს და ხელს უწყობს „ჩვენ“ ჯგუფისგან მათ გამოცალკევებას. მაგალითად, რიგ სახელმძღვანელოებში საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანლები უფრო სომხეთისა და აზერბაიჯანის კონტექსტში განიხილებიან და ნაკლებად წარმოგვიდგებიან ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად. ზემოხსენებული კვლევების თანახმად, ხშირად სამოქალაქო განათლების საგნის ნაცვლად მასწავლებლები ისტორიის გაკვეთილს ატარებენ.

ჩვენ მიერ გამოკითხული რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სა-

ხელმძღვანელოების პრობლემა შედარებით უფრო მარტივი მოსაგვარებელია, ვიდრე მასწავლებლებთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა, რადგან, ხშირად, მიუხედავად იმისა, რა წერია სახელმძღვანელოში, მასწავლებლი მაინც თავისი პირადი დამოკიდებულების მიხედვით ასწავლის საგანს. მასწავლებელი, თავისი გადმოსახედიდან, ცდილობს პატრიოტებად აღზარდოს მოსწავლეები, რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს მართლმადიდებლობის აქცენტირებასა და „სხვებისაგან“ მტრის ხატის შექმნას. რესპონდენტების მოსაზრებები ემთხვევა ერთ-ერთი კვლევის შედეგებს („რელიგია საჯარო სკოლებში“), სადაც აღნიშნულია, რომ ხშირ შემთხვევაში მასწავლებლები თავს მოვალედ მიიჩნევენ მოსწავლეთა მართლმადიდებლური რწმენა განამტკიცონ და სხვა სარწმუნოების მიმდევარი მოსწავლეებიც „მოაქციონ“:

> *„მასწავლებელი ცოტა უფრო მძიმეა, ვიდრე სახელმძღვანელო. მასწავლებელი ვერბალურ დონეზე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას და ეს კარგად ჩანს, როცა პედაგოგებს ხვდები მოსწავლეების გარეშე“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).*

> *„მასწავლებლებს ე.წ. დაფარული კურიკულუმი აქვთ, რაც შეიძლება ოფიციალურად არსად არ წერია, მაგრამ მათ წარმოდგენაში არსებობს, რომ თავიანთი მოსწავლეები უნდა აღზარდონ პატრიოტებად, იმ გაგებით, რომ ამ ხალხმა შეინარჩუნოს თავისი იდენტობა, ვთქვათ, იგივე რელიგიური კუთხით და ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა. ნაციონალისტურია იმ გაგებითაც, რომ ხშირად ეუბნებიან მოსწავლეებს, რომ მათ ემუქრებათ საფრთხეები ქვეყნის გარედან და უნდა შეძლონ ამ საფრთხეებთან გამკლავება, რაც არის არასასურველი გავლენები მათზე. მაგალითად: ტრადიციების დაკარგვა, ან საკუთარი ენობრივი კუთვნილების დაკარგვა“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).*

მასწავლებლების ამგვარი „თვითშემოქმედების“ გარდა, საკმაოდ პრობლემურად განიხილება საგანმანათლებლო პროცესში ეკლესიის ჩართულობაც. ერთ-ერთი რეპონდენტის თქმით, არსებობს პრეცედენტი, როცა ისტორიის სახელმძღვანელოში, სხვა აღმსარებლობის ცნობილი ქართველი მოღვაწეების ჩამოთვლას, ეკლესია პროტესტით გამოეხმაურა:

> *„საპარტიარქო თავის დროზე აპროტესტებდა, რომ მეშვიდე*

კლასის ისტორიის წიგნში წერია სხვა აღმსარებლობის და სხვა რელიგიის ცნობილი ქართველებიო. ამ სიაში სად არიანო მართლმადიდებლებიო, რატომ არ წერიანო“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).

რესპონდენტების თვალსაზრისით, უმცირესობების მიმართ მიმღებლობის გაზრდის მისაღწევად, სახელმძღვანელოების ცვლილებასთან ერთად, საჭიროა საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში უმცირესობების ჯგუფებთან ურთიერთკომუნიკაციის გააქტიურება, რათა სასკოლო გარემო უფრო ინკლუზიური გახდეს:

„სკოლებში უნდა იყოს ბევრი მანიფესტაცია იდენტობის სხვა მხარის. არსებობს პლაკატები, სადაც წერია „გაუმარჯოს რაღაცას“, მაგრამ არ არის, ვთქვათ, ფოტოები „თბილისის ისტორია“, სადაც ეწერებოდა, რომ ეს არის სომეხი გამყიდველი, სომეხი კინტოები, რომ ჰგონიათ, რომ კინტაური ქართული ცეკვაა. მნიშვნელოვანია ექსკურსიების დაგეგმვა, რომელიც სპეციალურად ამაზეა ორიენტირებული, სახელმძღვანელოების განვითარება“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).

რესპონდენტებმა იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზეც ისაუბრეს და ამ შემთხვევაში, ძირითათად, პაკისტანელი, ინდოელი და ინდონეზიელი სტუდენტები იქნა ნახსენები. იმიგრაციის პროცესი პოზიტიურად ფასდება იმის საფუძველზე, რომ ადგილობრივები მათთვის ახალ კულტურასა და ღირებულებებს ეცნობიან:

„მე მგონი, რომ ძალიან დადებითი გავლენა აქვთ ჩვენს სტუდენტებზე. აი, მაგალითად, სამედიცინოში ძალიან ბევრი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთში, ჯერ ისეთი არა, როგორიც უნდა ჰქონდეთ, მაინც ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ თავისთვის, მაგრამ სოციალიზაციას მაინც ახერხებენ ერთმანეთში და ქართველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაინახონ, რომ რაღაც სხვა კულტურაც არსებობს. ძირითადად პაკისტანელი, ინდოელები, ინდონეზიელები არიან, ისინი ახერხებენ, რომ თვითორგანიზება გაუკეთონ რაღაც კულტურულ ღონისძიებებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).

სტუდენტების გარდა, ყურადღება გამახვილდა იმიგრანტ მოსწავლეებზეც და ამ მხრივ გამოიკვეთა ზოგადი პრობლემა – საქართველოს განათლების სისტემის მოუმზადებლობა იმიგრანტ ბავშვებთან სამუშაოდ. აღინიშნა ასევე, კონკრეტულად, დასავლეთის ქვეყნე-

ბიდან ჩამოსული ბავშვების ადაპტაციის სირთულე საქართველოში სასკოლო სწავლების უფრო ავტორიტარულ სტილთან:

> *„(დასავლეთის ქვეყნიდან ჩამოსული ბავშვი) არასასურველი ტიპია კლასში იმიტომ, რომ ზუსტად იმას ამბობს, რასაც ფიქრობს და რასაც ამბობს, იმის დაცვა შეუძლია და მასწავლებლები იძახიან, რომ ყველაფერში ცხვირს ჰყოფს. არ ჰყოფს ყველაფერში ცხვირს, ის გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).*

> *„განათლების სისტემამ ჯერ არ იცის, ამას (იმიგრანტ ბავშვს) როგორ უნდა გაუმკლავდეს. (...) ბავშვებს ვერ რთავენ, არასწორად უდგებიან. მაგალითად, ეუბნებიან: შენ პრეზენტაცია ირანზე გააკეთე, ამას აღარ შეუძლია თავის ირანზე ლაპარაკი, უნდა რომ იყოს ისეთი, როგორც ყველა. ზოგმა ქართული არ იცის და არ იციან ასწავლონ ქართული, როგორც მეორე ენა, ეს პრობლემა არის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, განათლების სისტემის წარმომადგენელი).*

ეკლესიის წარმომადგენელი უმცირესობების შესახებ

ეკლესიის წარმომადგენლის მოსაზრებით, მართლმადიდებლობა და ქართული ეროვნული იდენტობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რადგან სწორედ მართლმადიდებლურ წიაღში მოახერხა ქართველმა ხალხმა ავტონომიურად განევითარებინა მშობლიური ენა და კულტურა, რაც სხვა რელიგიის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, რესპონდენტისთვის მართლმადიდებლობის ღალატი ქართველობის ღალატად აღიქმება, და პირიქით. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში რესპონდენტის მოსაზრებები ეხმიანება ფოკუს ჯგუფების მონაცემებს, სადაც რელიგიური უმცირესობები ასევე „სხვებად,“ „არასრულყოფილ“ ქართველებად განიხილება:

> *„მე თუ ვღალატობ მართლმადიდებლობას, ამით ვღალატობ ქართველობას, მე თუ ვღალატობ ქართველობას, ამით ვღალატობ მართლმადიდებლობას, მაგრამ ამ ერთობაში უმაღლესი არის ქრისტიანობა და ეროვნულობა არის დაქვემდებარებული“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

სწორედ იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობა იძლევა საშუალებას ქვეყანამ უნიკალური კულტურა განავითაროს, ეკლესიის წარმომადგენლის აზრით, შეუძლებელია არ-

სებობდეს ქართულ-მაჰმადიანური ან ქართულ-კათოლიკური კულ-ტურული ძეგლები:

> *„არ არსებობს საკუთრივ ქართულ-მუსულმანური კულტუ-რა. სხვათაშორის, არა იმიტომ არ არსებობს, რომ ქართველ მუსლიმანებს არ შეეძლოთ რამის შექმნა, საქმე იმაშია, რომ მუსულმანობა არ იძლევა ამის შექმნის შესაძლებლობას. (...) ხდება უნივერსალიზაცია, ვერ შექმნი ისლამში საკუთარ ერო-ვნულ კულტურას, ვერ შექმნი კათოლიციზმში საკუთარ ერო-ვნულ კულტურას“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარ-მომადგენელი).*

რესპონდენტი ქართველი საზოგადოებისთვის ყველაზე მიუღე-ბელ ჯგუფად სექსუალურ უმცირესობებს ასახელებს და აღნიშნავს, რომ მისი პირადი პოზიციაც ანალოგიურია. ჰომოსექსუალობას ის აფასებს როგორც დაავადებას და როგორც ცოდვას. აქედან გამომ-დინარე, ეს თემა მისთვის მნიშვნელოვანია და 17 მაისის (რომელიც, საერთაშორისო მასშტაბით, ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღედ ითვლება) ოჯახის სიწმინდის დღედ გამოცხადებას მისთვის საგანგე-ბო დატვირთვა აქვს – როდესაც ქართველი ერი ოჯახის სიწმინდის დღეს იზეიმებს, ლგბტ აქტივისტები უფრო მეტად მარგინალიზებუ-ლები გამოჩნდებიან:

> *„სპეციალურად გაითვალა, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ამ დღეს მთელი ერი უკვე ზეიმობს ოჯახის სიწმინდის დღეს და ყველა შემთხვევაში, იმ ადამიანების ვთქვათ გარეთ გამოსვ-ლა, რომელიც იზეიმებენ, რომც იზეიმონ და გამოვიდნენ, ამ გრანდიოზულობასთან შედარებით, ის ისეთი მცირე გამოჩნ-დება, რომ... „(სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომად-გენელი)*

ლგბტ აქტივისტების საჯარო სივრცეში შემოსვლა რესპონდენტის მიერ მომავალში „ჰომოსექსუალობის დაკანონების“ საფრთხედ აღიქმე-ბა და ამის დასტურად დასავლეთის ქვეყნების მაგალითს ასახელებს:

> *„მე სულ ამას ვამბობ, რომ ეს იყო ტროას ცხენი, თუ ეს გაუვი-დოდათ, ეს განვითარდებოდა. რატომ ფიქრობთ, რომ არ მოხ-დებოდა ისე, როგორც მოხდა ეს ევროპაში“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

აღსანიშნავია, რომ ეკლესიის წარმომადგენლისთვის ლგბტ თემი, ზოგადად, სწორედ დასავლეთთან ასოცირდება. მისი აზრით, „უზ-ნეობა“ დასავლეთიდან მოდის და ამას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან

საფრთხედ მიიჩნევს. მას მიაჩნია, რომ დასავლეთი ნაკლებად სცემს პატივს ქართველების ნებას, რომელიც „ჰომოსექსუალობის დაკანონებას“ ეწინააღმდეგება, ეს კი, თავის მხრივ, ჩვენი მოსახლეობის ანტიდასავლურ განწყობილებებს აძლერებს:

> *„რას უშლის, მაგალითად, ევროპას და ამერიკას ის ფაქტი, რომ საქართველოში პატივს მიაგებენ ოჯახის ინსტიტუტს და არ უნდათ ჰომოსექსუალიზმი დააკანონონ, როგორც ნორმა? რა პრობლემას უქმნის?“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

სექსუალური უმცირესობების გარდა, რესპონდენტი იმიგრაციის თემაზეც საუბრობს და ამ კონტექსტში ყურადღებას ამახვილებს მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხზე და აღნიშნავს, რომ საქართველოში მიწის გასხვისება არ უნდა ხდებოდეს:

> *„ამერიკელებს ხომ ვბაძავთ, ამაში რატომ არ ვბაძავთ. მიწას ვერ იყიდი ამერიკაში, ვერავინ იყიდის ამერიკაში, ყველა მიწა ამერიკის სახელწმიფოს საკუთრება, იყოს აქაც ესე, პრობლემა არ არის“ (სიღრმისეული ინტერვიუ, ეკლესიის წარმომადგენელი).*

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უმცირესობათა შესახებ

ექსპერტთა შეფასებით, არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც წესი, ყველაზე ლიბერალურ და ინკლუზიურ ღირებულებებზე ორიენტირებულ აქტორებად გვევლინებიან და რიგ შემთხვევებში მათი აქტივობების სამიზნე ჯგუფები სწორედ უმცირესობათა წარმომადგენლებისგან შედგება. ვინაიდან რესპონდენტები ჩვენთვის საინტერესო ჯგუფებთან მუშაობენ, უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე მათ მიერ გამოთქმული შეხედულებები, ზემოთ უკვე განვიხილეთ, როგორც ექსპერტთა შეფასებები. ამავე დროს, მათი მოსაზრებები საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ისინი წარმოაჩენენ არასამთავრობო სექტორის როლს საზოგადოებაში „სხვების“ ინკლუზიის მიმართულებით.

ზოგადად, მოსახლეობის მიერ ყველაზე ნაკლებად მისაღებ ჯგუფებად, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, სექსუალურ და რელიგიურ უმცირესობებს და ასევე შავკანიან იმიგრანტებს ასახელებენ. ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ არასამთავრობო სექტორის აქტივობები მოიცავს, ერთი მხრივ, უმცირესობათა ად-

ვოკატირებას, ინფორმირებას მათი უფლებების თაობაზე, უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებულ საკანონმდებლო ცვლილებათა თუ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალური ამოქმედების ხელშეწყობას და, მეორე მხრივ, შესაბამის საკითხებზე საზოგადოების უმრავლესობის ყურადღების გამახვილებას, სამოქალაქო ცნობიერების დონის ასამაღლებლად აქტიურ საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, დანარჩენ ექსპერტთა მსგავსად, მიიჩნევენ, რომ მათი მცდელობებისა და უკვე მიღწეული გარკვეული შედეგების მიუხედავად, არასამთავრობო სექტორის გავლენა მოსახლეობის ფართო ფენებზე ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია:

> *„არასამთავრობო სექტორმა ბევრი გააკეთა ქვეყნის პროგრესისთვის, იგივე კანონმდებლობა, რაც გვაქვს, პრაქტიკაში რაც კეთდება კარგი სხვადასხვა ჩაგრული ჯგუფების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბევრი რამ მოვიდა არასამთავრობო სექტორის ძალისხმევით, მაგრამ რომ ვთქვა, რომ არასამთავრობო სექტორმა მოახერხა და ღირებულებებზე მაინცდამაინც დიდი გავლენა იქონია, მაგასაც ვერ ვიტყვი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).*

ინტერვიუებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა სუსტი გავლენა, გარკვეულწილად, გამოწვეულია მათ მიმართ საზოგადოების უარყოფითი განწყობილებებითა და ნდობის ნაკლებობით. ამ ფაქტორებს კი რესპონდენტები რამდენიმე მიზეზით ხსნიან: უპირველესად დასახელდა ის, რომ, მართალია, არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ უმცირესობებათა მიმართ მეტ მიმღებლობაზე, მაგრამ ხშირად მათი ყურადღების მიღმა რჩება მწვავე სოციალური საკითხები, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობას აწუხებს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ არასამთავრობო სექტორს ხშირად უწევს დაპირისპირება ეკლესიის წარმომადგენლებთან (მაგალითად, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით) და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინსტიტუტთან, ეკლესიასთან კონფრონტაციაში განიხილება:

> *„ენჯიოების დღის წესრიგებში არ ჩანს სოციალური საკითხები და რაღაცნაირად იმ პირობებში, როდესაც საზოგადოების უმრავლესობას სხვა საკითხები აწუხებს (რა თქმა უნდა, ეს იმას*

არ ნიშნავს, რომ ენჯიოები უმრავლესობის ან ღირებულებებს ან სურვილებს უნდა აკმაყოფილებდნენ, ნამდვილად არ არის ასე, მაგრამ), რაღაცა ტიპის ბალანსის და სოციალური საკითხების აქტუალიზების საჭიროებას ვხედავ" (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

„ენჯიოების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას აძლიერებს ის დაპირისპირება, რომელიც ეკლესიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებობს. (...) შემთხვევითი არ არის, რომ ძირითადი თემატიკები, ეკლესიის მხრიდან რაც არის გაპრობლემებული, ეს არის ლგბტ საკითხები, ქალთა უფლებები, ანტიდისკრიმინაციული კანონი, ეს არის ის საკითხი, სადაც ძალიან კარგად ჩანს ღირებულებითი განსხვავება ეკლესიას და სამოქალაქო საზოგადოებას შორის" (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

ზემოხსენებულ მიზეზებთან ერთად, ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ არასამთავრობო სექტორის მიმართ უნდობლობა საზოგადოებაში გავრცელებულ ე.წ. „გრანტიჭამიობის" სტერეოტიპსაც უკავშირდება – ვინაიდან უმცირესობების, ანუ „სხვად" აღქმული ჯგუფების პრობლემები უმრავლესობის მიერ ქვეყნისთვის მნიშვნელოვნად არ აღიქმება, ამ საკითხების აქტუალიზაცია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საზოგადოებაში ფასდება, როგორც ხელოვნური, ყალბი, უცხოური გრანტის მისაღებად ატეხილი აურზაური:

„გრანტიჭამიობის კონცეპტი უკავშირდება არა იმას, რომ ადამიანები, მაგალითად, ამბობენ, რომ ლგბტ უფლებებს ვიცავ, მაგრამ სინამდვილეში არ იცავენ და ჭამენ ფულს (...), არამედ უკავშირდება იმას, რომ ის პრობლემა, რომელზეც შენ ამბობ, რომ მუშაობ, პრობლემა საერთოდ არ არის ქვეყნისთვის და შენ იგონებ ამ პრობლემას ტყუილად და ჭამ ფულს. ამით ცდილობენ იმის გაკეთებას, რომ ლგბტ ადამიანები არ იჩაგრებიან, ქალები არ იჩაგრებიან და თქვენ ახლა ზიხართ, ტყუილებს იგონებთ და ამით იღებთ ფულს" (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

რესპონდენტების აზრით, პრობლემას წარმოადგენს ასევე არასამთავრობო სექტორის პოლიტიზების საკითხიც, ანუ ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მიერ ფინანსდება და, შესაბამისად, ამ პარტიების ან დასავლეთის დაკვეთას ასრულებენ.

„როდესაც ენჯიოები სამართლიანად კრიტიკულები არიან

მთავრობის მიმართ, აპელირება ხდება იმაზე მაღალჩინოსნების მხრიდან, რომ ამათ არ მოუსმინოთ იმიტომ, რომ ეს ნაცმოძრაობას ემსახურება, იქ ვიღაც გამოვა და იტყვის, რომ ამათ დასავლეთიდან ფული აქვთ მიღებული და ყურით მოთრეული პროგრამები აქვთ" (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

არასამთავრობო სექტორის დასავლეთთან ასოცირება უკავშირდება ასევე ღირებულებების თემას, რომელიც ფოკუს ჯგუფების შედეგების ანალიზის დროსაც დაფიქსირდა. გარკვეული ღირებულებების საფუძველზე „ჩვენ" ჯგუფიდან გამოყოფილი რომელიმე „სხვა" ჯგუფი (განსაკუთრებით სექსუალური უმცირესობები), რომელთა უფლებებსაც ხშირად სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები იცავენ, „უცხოდ" და დასავლეთიდან თავსმოხვეულად აღიქმება. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც და ამგვარ ბმას პრორუსული პროპაგანდის ნაწილად მიიჩნევენ:

„ყველაზე სერიოზულად რაც მუშაობს, ეს არის მიზოგენური და ჰომოფობიური დისკურსი: დასავლეთი, ფემინისტი ქალები, „გაპიდარასტება" საქართველოში და ესეც ზრდის ანტიდასავლურ განწყობებს. (...) დასავლეთი – გარყვნილი, პერვერსიულია, ხოლო წმინდა ოჯახებს იცავს რუსეთი. ცალკეული აგენტები საქართველოში ამ დისკურსს ასევე აწარმოებენ" (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

რესპონდენტების აზრით, იმისათვის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობა უფრო ეფექტიანი იყოს, საზოგადოებასთან მუშაობისას მათ, ერთი მხრივ, ნაკლებად ევროცენტრული მიდგომა უნდა გამოიყენონ და აქცენტი უფრო ავთენტურ, ადგილობრივ პრაქტიკაზე უნდა გადმოიტანონ და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების ურთიერთობა იყოს არა სწავლებაზე ორიენტირებული და იერარქიული, არამედ უფრო ეფუძნებოდეს გამოცდილების გაზიარებას. ამასთან, აღინიშნა, რომ კომუნიკაცია განსაკუთრებით ნაყოფიერია, თუკი გამოცდილების გამზიარებელი თავად არის „სხვად" აღქმული ჯგუფის წევრი და საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობს:

„მაქსიმალურად უნდა დაცალო ენა ამ ევროცენტრიზმისგან და რაღაც ტიპის ორიენტალიზმებისგან, რომელიც ჩვენთან არის, რომ რაღაც იქიდან უნდა ვისწავლოთ. ავთენტური ნაციონალუ-

რი პრაქტიკები და ნარატივები უნდა აღმოვაჩინოთ, უბრალოდ ამას მუშაობა უნდა და ამას არავინ არ აკეთებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

„შენ როდესაც მიდიხარ ადამიანებთან იმ განწყობით, რომ შენ იმას რაღაც უნდა ასწავლო, როგორც წესი, ჩემი გამოცდილებიდან, ეს არის ძალიან ცუდი იმიტომ, რომ იერარქიას აწესებ თავიდანვე და აუდიტორიას ეს არასდროს მოსწონს. (...) მე იმისთვის კი არ მოვედი, რომ შენ რაღაც გასწავლო, უბრალოდ გიზიარებ ჩემს გამოცდილებას, შეიძლება კონკრეტულ საკითხზე მეტი ვიცოდე იმიტომ, რომ უშუალოდ ჩემი ცხოვრებაა და პლიუს ამას ჩემი სამუშაო სფეროს ნაწილია და მე ამას გაგიზიარებ, მე არ გასწავლი, მე შენ გიზიარებ. ეგ მოქმედებს ხოლმე კარგად. ასევე ის მოქმედებს, როდესაც პირველ პირში საუბრობს ადამიანი, ძალიან კარგად მოქმედებს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი.)

ძირითადი მიგნებები:

როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები „ინტერნალურ სხვებად“, ან „უცხოებად“ აღიქმებიან, რადგან ისინი ყველა მარკერის მიხედვით კი არ თანხვდებიან „ჩვენ“ ჯგუფისთვის მიწერილ ანთროპოლოგიურ თუ კულტურულ თავისებურებებს, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ, შესაბამისად, მათ შიდა ჯგუფის ნაკლებად სრულფასოვან წევრებად განიხილავენ. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში „უცხოების“ „სხვებად“ განსაზღვრა ხდება მათი მიკუთვნებით საქართველოს გარეთ არსებულ „სხვა“ ჯგუფებთან, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები აღიქმებიან მათი ისტორიული წარმოშობის ქვეყნებთან კავშირში, ხოლო სექსუალური უმცირესობები – დასავლეთთან ასოცირდებიან. ამავე დროს, კვლევის ფარგლებში მოსახლეობასთან ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფებმა და ექსპერტთა ინტერვიუებმაც აჩვენა, რომ როგორც ეთნო-კულტურულ, ასევე ღირებულებითი სისტემის საფუძველზე გამოყოფილ „ინტერნალურ სხვებს“ სწორედ ის აერთიანებთ, რომ თითოეული მათგანი „ჩვენ“ ჯგუფისადმი დაპირისპირებულ ძალად და რეალურ საფრთხედ აღიქმება. ფაქტობრივად, ყველა ეს ჯგუფი ქართული კულტურისა და ღირებულებების გადაგვარების, ეთნო-კულტურული ქართველების რაოდენობრივი შემცირებისა და, საბოლოოდ, მთლიანად ქართველი ერის ფიზიკური გაქრობის შიშთან ასოცირდება.

ეთნიკურ უმცირესობებსა და იმიგრანტებზე საუბრისას ფოკუს ჯგუფის მონაწილეები განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას „უცხოტომელების“ ხარჯზე ქართველების რაოდენობრივი შემცირებისა და კიდევ უფრო მძიმე დემოგრაფიული კრიზისის საშიშროებაზე (უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა, დაახლოებით, 5 მილიონ 400 ათასიდან – 1989 წ., 3 მილიონ 720 ათასამდე – 2014 წ., ანუ თითქმის მესამედით – 30%-ით შემცირდა.http://www.geostat.ge/cms/site–images/–files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi–30.04.2015.pdf). „უცხოტომელის“ ცნება საქართველოში, ფაქტობრივად, რელიგიურ უმცირესობებსაც მოიცავს, რადგან აქ რელიგია (მართლამდიდებლური ქრისტიანობა) გადაჯაჭვულია ეროვნულ იდენტობასთან. დემოგრაფიული საკითხები აქტუალურია ასევე ლგბტ თემისადმი დამოკიდებულებაშიც – თუ „უცხოტომელების“ შემთხვევაში ეთნიკურად ქართველების შემცირების შიში ეთნიკურად არაქართველების რაოდენობის ზრდას უკავშირდება, ამ შემთხვევაში, პირიქით, დემოგრაფიულ კრიზისზე პასუხისმგებლობა იმ ქართველებს ეკისრებათ, რომლებიც შიდა ჯგუფისთვის მიწერილ გენდერულ და სქესობრივ ნორმებს არ იზიარებენ და ერის გამრავლებაში წვლილის შეტანასთან ნაკლებად ასოცირდებიან.

დემოგრაფიულ პრობლემებზე ყურადღება გაამახვილეს ჩვენ მიერ გამოკითხულმა პოლიტიკოსებმაც. თუ, ერთი მხრივ, დემოგრაფიული საფრთხე „სხვა“ ჯგუფებს, მაგალითად, იმიგრანტებს უკავშირდება, მეორე მხრივ, ეს თემა „სხვა“ ჯგუფების მარგინალიზაციის გარეშეც ხდება, რადგან იმის წარმოდგენა, რომ ქართველმა ერმა მეტ-ნაკლებად შორეულ პერსპექტივაში შეიძლება აღარ იარსებოს, შფოთვას იწვევს: *„მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი არის ყველაფერი, მაინც გული დაგწყდება, რომ 100 წლის მერე შენი შთამომავლობა რომ არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ადამიანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მომავალი შთამომავლობა, მაინც, ნაციონალური თვალსაზრისით, ეს გულდაწყვეტის საგანი უნდა იყოს და არის* (*სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი*).

როგორც ზემოთ აღინიშნა, „სხვების“ თვითგამოხატვა და სოციალურ-პოლიტიკურ არენაზე ღიად გამოჩენა შიდა ჯგუფის წევრებს შორის საფრთხის განცდას განსაკუთრებით ამძაფრებს (Eisenstadt, 2000). ჩვენ მიერ გამოკითხული ექსპერტების აზრით, პირადი თუ პოლიტიკური თვითგამოხატვის ღირებულება საქართველოში ნაკლებად წახალისებულია, რაც განსაკუთრებულ პრობლემას სწორედ იმ

ჯგუფების მიმართ ქმნის, რომლებიც „ჩვენ“ ჯგუფისთვის მიწერილ კულტურულ ნორმებს არ იზიარებენ: *„ქართველისთის პრობლემური არის პირადი ცხოვრების საჯარო დემონსტრირება და საკუთარი გრძნობების საჯაროდ გამოხატვა, მით უმეტეს, თუ ეს გრძნობები არ ეწერება დავუშვათ კულტურულ ნორმაში.* (...) *მაგალითად ყველამ შეიძლება იცოდეს, რომ მავანი გეია და ყველა პატიობდეს მას ამას და საძმაკაცო-სამეგობრო ურთიერთობებში მას ისე ექცეოდნენ, თითქოს არც არაფერი ხდება, მაგრამ საკმარისია მან თავისი იდენტობის შესახებ ხმამაღლა დაიწყოს საუბარი და საჯაროდ გამოაცხადოს ვინ არის ის, აქ მოხდება ძალიან დიდი პრობლემა. ეს მაინც დაკავშირებულია პირად ცხოვრებასთან. სამარცხვინო და ა.შ. ქართველი არ შეიძლება ეგეთი, რომ ქართველები ყველანი მაგარი ქალები და კაცები ვართ და არ არიან სხვანაირები* (*სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი*); *„ჩვენ „ვიტანთ“ სხვებს ჩვენს გვერდით – „ვიტანთ“ მანამ, სანამ ეს სხვები არ დაიწყებენ საკუთარ უფლებებზე საუბარს“* (*სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი*).

ეს კავშირშია ინგლეჰარტის მიერ შემოთავაზებულ დიქოტომიასთან, რომლის თანახმად, საზოგადოებები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რაზეა ის ორიენტირებული: თვითგამოხატვაზე თუ გადარჩენაზე (Inglehart, Weltzel, 2005). როგორც ღირებულებათა კვლევის მონაცემები აჩვენებს, საქართველოში წამყვანი სწორედ ტრადიციული და გადარჩენაზე ორიენტირებული ღირებულებებია (WVS, 2015). ქართული კულტურის გადარჩენაზე და შესაბამის ღირებულებებზე ორიენტაციას აფიქსირებენ როგორც ჩვენ მიერ გამოკითხული ექსპერტები, ასევე ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიც. ამის მიზეზად მოსახლეობის მიერ, ძირითადად, ეკონომიკური გაჭირვება სახელდება: *„ადამიანი, რომელიც გამომუშავებაზე და დღიურ საზრდოზე ფიქრობს, იმას არც ევროპული ღირსებები ადარდებს, არც ამერიკული ცივილიზაცია აინტერესებს, ის უბრალოდ გადარჩენისთვის იბრძვის. ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც ამ სტადიაში ვართ, ვიბრძვით გადარჩენისთვის“* (*ფოკუს ჯგუფი, ქალი, 31-45*).

ექსპერტების შეფასებით, საქართველოს შემთხვევაში, ეგზისტენციალური შფოთვისა და გადარჩენაზე ორიენტაციას იწვევს, როგორც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობა და ქვეყნიდან ახალგაზრდების მიგრაციის ტენდენცია, ასევე რუსეთთან დაკავშირებული მუდმივი საფრთხის განცდა, ოკუპირებული რეგიონების არსებობა და არაინტეგრირებული ეთნიკური უმცირესობები. ეს

ყველაფერი ერთად ხელს უწყობს ერის გაქრობასთან დაკავშირებული შფოთვის აქტუალიზაციას, რაც თავის მხრივ, საფუძველს ქმნის განსხვავებული ჯგუფების მიმართ ფრთხილი და უარყოფითი დამოკიდებულებისთვის. „*საერთოდ, ჩვენი კულტურა ძირითადად არის გადარჩენაზე ორიენტირებული კულტურა, ეს არ არის კულტურა, რომელიც განვითარებაზე ფიქრობს, ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი შიშები ჩვენს გადარჩენასთან დაკავშირებით, ეს სრულებით ბუნებრივი არის თუნდაც იმ პირობებში, რა პირობებშიც ახლა ჩვენ ვართ: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, რუსეთის გავლენა, ჩვენ მყიფე სახელმწიფო გვაქვს. ეს არის ასევე ის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში, რომელიც ქართულ ენას არ ფლობს და არ უნდა ინტეგრაცია ქართველ საზოგადოებაში, ან ჩვენ ვერ ვახერხებთ მათ დავეხმაროთ ამ ინტეგრაციულ პროცესში ამ მიმართულებით, ეს მომენტი ქმნის ერთგვარი საფრთხის შეგნებას, ვაიმე არ გადავშენდე ან არ გავნადგურდე, როგორც ერი.*“ (*სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი*); „*შიში ზოგადად არის იმის, რომ გაურკვეველია ხვალინდელი დღე და რა იქნება. პურის ფული გექნება, თუ არ გექნება. ნუ პურის ფული შეიძლება მეტ-ნაკლებად გქონდეს, მაგრამ ვინმე რომ ავად გაგიხდეს, შეძლებ თუ არა, რომ უმკურნალო?*“(*სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი*).

შფოთვის გამომწვევი ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, ექსპერტებთან ინტერვიუებში დასახელდა ასევე ის არასტაბილურობა და გაურკვევლობა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დომინირებს საქართველოში. ექსპერტთა განმარტებით, საბჭოთა სისტემის დანგრევას მოჰყვა სიმყარის განცდის მოშლა და იმ ეპოქის ადამიანებს უჭირთ იმასთან შეგუება, რომ „სიმყარე“ აღარ არსებობს და „თავისუფალი ცურვის“ მდგომარეობაში იმყოფებიან: „*შიში იმის მიმართ კი არ არის რაც მოხდება, არამედ იმის მიმართ არის, რაც უკვე მოხდა. სინამდვილეში დაცული სამყარო 25 წლის წინ უკვე დაინგრა. (...) სინამდვილეში ჩვენ თავისუფალ ცურვაში ვართ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც ურჩევნიათ, რომ ეს არ აღიარონ და თქვან, რომ არა – ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ისე ცხოვრება, როგორც ვცხოვრობდით. როგორ ვცხოვრობდით? ჩვენ ბოლო 25 წელია სრულიად გაშვებულები ვართ, არანაირი ჩამოყალიბებული დამცავი მექანიზმები არ არის*“ (*სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი*).

მეორე მხრივ, შფოთვის წყაროდ გლობალიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესები გვევლინება (Delanty, 2008), რომელზეც ყურად-

ღებას ამახვილებენ, როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, ასევე ჩვენ მიერ გამოკითხული ექსპერტებიც. ზემოთ დაწვრილებით იყო განხილული, როგორ წარმოშობს გლობალიზაციასთან დაკავშირებული იმიგრაციის პროცესები „ჩვენ“ ჯგუფის ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებულ შიშს. ქართული ეროვნული იდენტობისა და ტრადიციების დაკარგვის საფრთხესთან ასოცირდება ევროპეიზაციის პროცესიც: „*საზოგადოება განიცდის, რომ შეიძლება ჩვენ რაღაც დავკარგოთ, რაც საქართველოს იდენტობის ნაწილია. ევროკავშირთან და ევროპასთან დაახლოებას აქვს გავლენა შიგნით საქართველოში იდენტობის საკითხზე*“ (*სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტი*).

ექსპერტთა შეფასებით, ევროპეიზაციის კონტექტსში, ეროვნულ იდენტობასა და ღირებულებებთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე მეტ სიმწვავეს სექსუალური უმცირესობების მიმართ იძენს. მეორე მხრივ, მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებიც გვიჩვენებს, რომ სოციალურ-პოლიტიკურ არენაზე ლგბტ თემის გააქტიურება სწორედ ევროკავშირის მიერ თავსმოხვეულ პროცესად მიიჩნევა, რაც ასევე ხელს უწყობს ამ ჯგუფის ნაციონალური იდენტობიდან მარგინალიზაციასა და „სხვად“ აღქმას. ლგბტ თემის გარდა, ევროპასთან ასოცირდებიან სექტის ტიპის, არატრადიციული რელიგიური ორგანიზაციებიც: „(...) *მიდის ე.წ. ჩამოყალიბება არასამართებლივი, არამართალი ღირებულებების. გვეუბნებიან, რომ ჩვენ ევროპისკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რას ვიღებთ იქედან? კარგი ავიღოთ, ევროპასაც აქვს დადებითი, რა თქმა უნდა, მაგრამ როდესაც ჩვენ გვაიძულებენ, რომ ბოდიში და გეი პარადები ჩავატაროთ, ეს ცოტა ქართულ მენტალიტეტს ვერ იღებს*“ (ფოკუს ჯგუფი, კაცი, 46-55); „*იეღოვა, სექტები ძალით გივარდებიან ოჯახებში. ეს სექტები მოდიან ევროპიდან*“ (*ფოკუს ჯგუფი, კაცი, 31-45*).

ზემოაღნიშნულ შეხედულებებსა და დასკვნებს თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეთნო-კულტურული და ღირებულებითი სისტემის საფუძველზე გამოყოფილი „უცხოების“ მიმართ შიში, ძირითადად, ქართველების კულტურულ და ფიზიკურ გაქრობას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ეგზისტენციალური საფრთხის მძაფრი განცდა და უმცირესობების „ჩვენ“ ჯგუფიდან ექსკლუზია, ერთი მხრივ, შეიძლება უკავშირდებოდეს თვითგადარჩენასთან ასოცირებული, ტრადიციული ღირებულებების დომინანტობას, მეორე მხრივ კი, გლობალიზაციისა და ევროპეიზაციის მიმართ საზოგადოების, როგორც ეროვნული ერთობის, თავდაცვით რეაქციებს.

4. შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის ზემოგანხილული შედეგები გარკვეულ საფუძველს იძლევა ქართული ეროვნული იდენტობისა და ქართველი საზოგადოების ღირებულებითი სისტემის შესახებ ზოგადი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად. კვლევის თეორიულ ნაწილში აღნიშნული იყო ის სირთულე, რომელიც უკავშირდება ისეთი ტერმინების განმარტებას, როგორიცაა: „ერი“, „ეროვნული“, „ეთნიკური“, „სამოქალაქო“. ითქვა ისიც, რომ ნაციონალიზმის დიფერენციაცია „სამოქალაქოდ“ და „ეთნიკურად“ პირობითი და ანალიზისთვის ნაკლებეფექტიანია (БРУБЕЙКЕР, 2012), თუმცა, ალტერნატიული ვარიანტი ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში და ამიტომ კვლევის ფარგლებში, ნაციონალიზმის ორი სახის დიფერენციაციისთვის ვიყენებთ ტერმინებს: „სამოქალაქო-პოლიტიკური“ და „ეთნო-კულტურული“.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტთა და პოლიტიკოსთა მიერ ქართული ეროვნული იდენტობა, ძირითადად, განისაზღვრა არა როგორც უკვე ჩამოყალიბებული კატეგორია, არამედ როგორც პროცესი, რომელიც ექვემდებარება დროის გავლენას, ანუ ცვალებადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული გარემოს ზემოქმედებას. ISSP-ის 2013 წლის „ეროვნული იდენტობის“ შესახებ რაოდენობრივი კვლევის მონაცემების მიხედვით, ქართული ეროვნული იდენტობის მარკერები ორ ფაქტორად დაჯგუფდა: ეთნო-კულტურულ (გყავდეს ქართველი წინაპრები, ქართველად გრძნობდე თავს, შეგეძლოს ქართულად საუბარი, იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი) და სამოქალაქო-პოლიტიკურად (დაბადებული იყო საქართველოში, იყო საქართველოს მოქალაქე და ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში გქონდეს გატარებული). საყურადღებოა, რომ არც ერთ ფაქტორში არ გაერთიანდა და არც ცალკე ფაქტორის სახით გამოიყო „საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კანონების მიმართ პატივისცემის“ ინდიკატორი (ეს შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული სახელმწიფო ინსტიტუტები ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ ასოცირებული არც ეთნო-კულტურულ და არც სამოქალაქო იდენტობასთან). როგორც

ქალების, ასევე კაცების მიერ ყველა ასაკობრივ ჯგუფში „ჭეშმარიტი ქართველის“ განსასაზღვრად გამოიყო სამი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი: თავს გრძნობდე ქართველად, შეგეძლოს ქართულად საუბარი და გყავდეს ქართველი წინაპრები, ანუ როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის, ასაკის მიუხედავად, უფრო მნიშვნელოვანია „ქართველობის“ ეთნო-კულტურული მარკერები, ვიდრე სამოქალაქო-პოლიტიკური. დემოგრაფიული ცვლადებიდან ეროვნული იდენტობის სამოქალაქო-პოლიტიკური მარკერებისადმი დამოკიდებულებაზე გავლენას არ ახდენს სქესი, თუმცა, მცირედი განსხვავება ფიქსირდება ასაკის ნიშნით, კერძოდ, საქართველოს მოქალაქეობა, როგორც „ჭეშმარიტი ქართველის“ მახასიათებელი, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფროსი ასაკის მოქალაქეთათვის; აქვე უნდა ითქვას, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ყველაზე მეტად ამაყობს საქართველოს ისტორიით და მიღწევებით კულტურის სფეროსა და სპორტში, ხოლო საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სისტემით სიამაყის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირეა.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსთა აზრით, ქართული ეროვნული იდენტობის ქვაკუთხედად უნდა ჩაითვალოს ერთმანეთზე მორგებული ეთნო-კულტურული და სამოქალაქო-პოლიტიკური ფაქტორები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილენი ყველაზე ძლიერ ემოციურ სიახლოვეს საქართველოსთან განიცდიან და საქართველოს მოქალაქეობა ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეობას ურჩევნიათ. სამშობლოს შემდეგ რესპონდენტები ყველაზე მეტ სიახლოვეს ევროპასთან გრძნობენ. მათი აზრით, ქართველების დასავლეთისკენ ლტოლვა თავისუფლების სურვილით არის განპირობებული და ევროპასთან თვითიდენტიფიკაციის მიზეზად საერთო ღირებულებები ასახელებენ, კერძოდ, თავისუფლება და ტოლერანტობა. ხაზგასასმელია, რომ ევროპასთან სიახლოვეს, ძირითადად, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, დასაქმებულები და სტუდენტები განიცდიან და ამ მხრივ მნიშვნელოვანია ასევე პოლიტიკის შესახებ ინფორმირებულობის დონე – რაც უფრო ნაკლებია გამოკითხულთა ინფორმირებულობა პოლიტიკის შესახებ, მით უფრო ნაკლებად ახლოს გრძნობენ ისინი თავს ევროპასთან. შედეგებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები, სიახლოვის განსაზღვრისას, ძირითადად, იმ ქვეყნებსა თუ რეგიო-

ნებს ასახელებენ, რომელთანაც აქვთ ან ჰქონიათ პირადი კავშირი. უფროსი ასაკის რესპონდენტები უფრო ხშირად ასახელებენ რუსეთს ან კავკასიას, რადგან ითვალისწინებენ მეგობრულ, ნათესაურ, რელიგიურ თუ ისტორიულ კავშირებს და ურთიერთობის გამოცდილებას. მსჯელობისას შეიმჩნევა მათი ერთგვარი ამბივალენტური დამოკიდებულება – ევროპა მათთვის აქტუალური თვალსაწიერის მიღმაა და მას ხშირად ახასიათებენ, როგორც „შორს“ არსებულ სივრცეს, რომელსაც საქართველო არაფერში სჭირდება. მეორე მხრივ, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია თითქოს არ აძლევთ უფლებას, რომ ოკუპანტ ქვეყანასთან სიახლოვე იგრძნონ და დააფიქსირონ.

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ევროპა გარკვეული ტიპის საფრთხესაც წარმოადგენს საქართველოსთვის. დასავლეთიდან შემოსულ ლიბერალურ ღირებულებებს ისინი ეჭვის თვალით უყურებენ და შიშობენ, რომ ქართველებმა თავიანთი ეროვნული თავისებურებები და კულტურა არ დაკარგონ; გამოიკვეთა ასევე საპირისპირო მოსაზრებაც, რომ სწორედ კულტურული სიახლოვისა და ღირებულებების მსგავსების საფუძველზე ქართველები უფრო ახლოს ევროპელებთან არიან. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტები მგრძნობიარენი არიან მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის პროცესისთვის დამახასიათებელი გაურკვევლობის მიმართ და მას ქართული ეროვნული იდენტობისთვის საფრთხედ აღიქვამენ. დასავლეთისა და მასთან დაკავშირებული ლიბერალური ღირებულებების მიმართ ქართველ საზოგადოებაში არსებული განწყობა ძალიან ჰგავს შფოთვას, რომელსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერარდ დელანტი ამ საუკუნის დამახასიათებელ შტრიხს უწოდებს (Delanty, 2008). თანამედროვე ეპოქაში შფოთვა წარმოიშვა დაუცველობის დონის ამაღლების ფონზე, რისკისა და გაურკვევლობის იმ სიჭარბესთან ერთად, რომელსაც გზა გაუხსნა გლობალიზაციამ. ზოგადად კი, შეიძლება ითქვას, რომ ევროპელი „სხვები“, მსოფლიოს სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან შედარებით უფრო ნაკლებად უცხოები არიან ჩვენი საზოგადოებისთვის, რადგან შიდა ჯგუფი, ეთნო-კულტურული მარკერების მიხედვით, ნაკლებ განსხვავებას ხედავს თავის თავსა და ევროპელებს შორის; სიახლოვის განცდა ევროპელებთან გაცილებით მაღალია, ვიდრე აზიელებთან, აფრიკელებთან და ა.შ.

გამოკითხულ რესპონდენტთა აზრით, მოქალაქეობა გულისხმობს

სახელმწიფოში მიმდინარე სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას. მათი უმრავლესობის დამოკიდებულება სამოქალაქო ვალდებულებებისადმი ასაკისა და სქესის მხრივ ჰომოგენურია. სამოქალაქო ვალდებულებების ნაწილში გამოიყო სამი თემატური ფაქტორი: სოლიდარობა, პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეობა და კანონის უზენაესობა; სოლიდარობის ფაქტორი უფრო მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდა და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებისთვის.

საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორი არის ნდობა კონკრეტული ინსტიტუტის მიმართ. ეკლესია ამჟამად სწორედ ნდობის მაღალი მაჩვენებლის საფუძველზე იკვეთება ყველაზე გავლენიან ინსტიტუტად, პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის ნაკლებობა კი განსაზღვრავს მოსახლეობის დაბალ აქტივობას პოლიტიკურ და სამოქალაქო სფეროში. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები და ფოკუს ჯგუფების მონაწილენი სკეპტიკურად აფასებენ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს. პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში ძირითად პრობლემად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს მშენებლობის გააზრებული კონცეფციის, გრძელვადიანი ხედვის არარსებობა, რაც პოლიტიკურ პარტიებს აიძულებს, ამომრჩევლის ცვალებად განწყობებს მოერგონ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა უნდობლობას გამოხატავს პოლიტიკური პარტიების მიმართ. იმედგაცრუებისა და უკმაყოფილების ძირითად მიზეზად მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და მასობრივი უმუშევრობა სახელდება.

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხულმა თითქმის ყველა ექსპერტმა ეროვნულ იდენტობაზე გავლენის მომხდენ აქტორთა შორის დღესდღეობით ყველაზე ძლიერ ინსტიტუტად ეკლესია დაასახელა. ეკლესიის სიძლიერე ეფუძნება მის მიმართ საზოგადოების ნდობას. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ქართული ეროვნული იდენტობა ფორმირების პროცესშია. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ მოცემულ ეტაპზე ეროვნული იდენტობა მხოლოდ ერთი რომელიმე ინსტიტუტის, თუნდაც ეკლესიის, გავლენას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია, როგორც ეროვნული იდენტობის მახასიათებელი თანდათან სულ უფრო და უფრო ძლიერდება, პარალელურად ალტერნატიული დისკურსების გავლენაც ძლიერდება, რაც თანამედროვე პროცესების თანამდევი მოვლენაა.

სასულიერო პირთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ეკლესიის წინაშე არსებული უმთავრესი გამოწვევა არის როგორც მრევლის, ასევე სასულიერო პირების განათლების პრობლემა. ეკლესიის წარმომადგენლის აზრით, მრევლს, უპირველესად, სწორედ ეკლესიამ უნდა მისცეს დადებითი მაგალითი.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტთა თვალსაზრისით, ამჟამად საქართველოში არასამთავრობო სექტორი უმთავრესია იმ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ, რითიც თავისთავად უპირისპირდებიან ეთნო-კულტურულ იდენტობას. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა არასამთავრობო სექტორის მუშაობის სტრატეგიის გადახედვა, რადგან დიდი რესურსის ხარჯვის მიუხედავად, ღირებულებების თვალსაზრისით, ისინი ვერ ხედავენ ისეთი მასშტაბის ცვლილებებს, როგორიც დაახლოებით ოცდახუთწლიან მუშაობას უნდა მოჰყოლოდა.

გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ დღესდღეობით საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობის სფერო სახელმწიფოს კრიტიკა და მონიტორინგია, რაც, საბოლოოდ, საზოგადოებისგან მათ დაშორებას იწვევს. საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უკავშირებენ იმ ფაქტს, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საზოგადოების უმრავლესობისთვის მტკივნეულ და აქტუალურ საკითხებს. რესპონდენტების აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქცია არ არის უმრავლესობის პრობლემების მოგვარება, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ხედავენ თავიანთ საქმიანობაში სოციალური საკითხების აქტუალიზაციის საჭიროებას. სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თვალსაზრისით, არასამთავრობოებისადმი საზოგადოების ნდობის ნაკლებობას ხელს უწყობს ასევე ამ სექტორის პოლიტიზაციის მცდელობა.

მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფები და ექსპერტთა ინტერვიუები გვიჩვენებს, რომ, ზოგადად, ტოლერანტულ დამოკიდებულებასთან ერთად, ეთნიკური უმცირესობები ეროვნული იდენტობის საფუძველზე განსაზღვრულ „ჩვენ“ ჯგუფში ნაკლებად მოიაზრებიან. განსხვავებული ეთნო-კულტურული მახასიათებლების

გამო, ისინი „სხვებად“ აღიქმებიან და შიდა ჯგუფის წევრებისთვის (რომლებსაც ამ შემთხვევაში ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ) ისეთ საფრთხეებთან ასოცირდებიან, როგორიც არის, მაგალითად, ტერიტორიის ან ეკონომიკური რესურსების მითვისება. უფრო ზოგადად კი, აღნიშნული ტიპის საფრთხეები ქართველების რიცხობრივ შემცირებასა და თავის ქვეყანაში უმცირესობად გადაქცევის ან საერთოდ გაქრობის შიშს უკავშირდება. დაახლოებით მსგავსი ტენდენცია ვლინდება იმიგრანტების მიმართაც. იმიგრანტების მატების ხარჯზე ეთნიკურად ქართველების რაოდენობრივი კლების შიშთან ერთად, გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ და „ჩვენ“ ჯგუფის მატერიალურ რესურსებს ითვისებენ. შესაბამისად, გამოკითხული რესპონდენტების მიერ იმიგრანტებისადმი გამომჟღავნებული უარყოფითი დამოკიდებულება უპირველესად, სწორედ ამ ფაქტორებს ეფუძნება.

იმიგრანტები და ეროვნული უმცირესობები, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური თუ კულტურული თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავებულ „სხვად“ აღიქმება, რომელიც ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს – ქართულ მიწას ისაკუთრებს. ხოლო მიწისა და ტერიტორიის დაცვა ქართველებისთვის, ისტორიულად, უშუალოდ უკავშირდება ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას. ახალგაზრდა რესპონდენტებისგან განსხვავებით, უფროსი ასაკის რესპონდენტები უფრო მეტ მიუღებლობას ამჟღავნებენ იმიგრანტების მიმართ.

კვლევის ფარგლებში მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებისა და ექსპერტთა ინტერვიუებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ, როგორც ეთნო-კულტურული, ასევე ღირებულებითი სისტემის საფუძველზე გამოყოფილ „ინტერნალურ სხვებს“ (იგულისხმება რელიგიური და სექსუალური უმცირესობები) სწორედ ის აერთიანებთ, რომ თითოეული მათგანი „ჩვენ“ ჯგუფისადმი დაპირისპირებულ ძალად და რეალურ საფრთხედ აღიქმება. ფაქტობრივად, ყველა ეს ჯგუფი ქართული კულტურისა და ღირებულებების გადაგვარების, ეთნო-კულტურული ქართველების რაოდენობრივი შემცირებისა და, საბოლოოდ, მთლიანად ქართველი ერის ფიზიკური გაქრობის შიშთან ასოცირდება. ეთნიკურ უმცირესობებსა და იმიგრანტებზე საუბრისას ფოკუს ჯგუფის მონაწილეები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას „უცხოტომელების“ ხარჯზე

ქართველების რაოდენობრივი შემცირებისა და კიდევ უფრო მძიმე დემოგრაფიული კრიზისის საშიშროებაზე.

დასასრულს, იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე კვლევა, მისი შედეგები და მათზე დამყარებული დასკვნები, მეტ-ნაკლებად ასახავს ქართველი საზოგადოების თანამედროვე სახეს და გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული ეროვნული იდენტობისა და ღირებულებებითი სისტემის შესწავლის საქმეში.

6. ბიბლიოგრაფია

Adorno, T. W. /Frenkel-Brunswik E/Levinson D. J. /Sanford N R. (1950): The authoritarian personality. New York.

Anderson, B R. O'G (2006): Imagined communities. Reflections on the origin and spread of nationalism. Rev. ed. London, New York,: Verso.

Bauman, Z. (1991): Modernity and Ambivalence, Ithaca: Cornell University Press

Bauman, Z. (1998): Postmodernity and its Discontents. London, Polity Press

Bauman, Z. (2006): Liquid fear. Cambridge, Malden MA: Polity Press.

Beck, U. (2005): Die kosmopolitische Gesellschaft und ihre Feinde. In Amann, A.; Majce, G.; Rosenmayr, L. (Eds.), Soziologie in interdisziplinären Netzwerken (pp. 77-106). Wien: Böhlau.

Beck, U. (2007): Was ist Globalisierung? Irrtümer des Globalismus – Antworten auf Globalisierung. 1. Aufl. Frankfurt am Main: Suhrkamp

Beck, U.; Grande, E. (2004): Das kosmopolitische Europa. Gesellschaft und Politik in der zweiten Moderne. 1. Aufl., Originalausg. Frankfurt am Main: Suhrkamp (Edition zweite Moderne)

Blank, T./Schmidt P. (2003): National Identity in a United Germany: Nationalism or Patriotism? An Empirical Test with Representative Data. In: Political Psychology, H. 24, S. 289–313.

Bonfadelli, H. (2008): Jugend, Medien und Migration. Empirische Ergebnisse und Perspektiven. Wiesbaden: VS Verlag.

Bornewasser, K. /. Wakenhut R. (1999): Nationale und regionale Identität: Zur Konstruktion und Entwicklung von Nationalbewusstsein und sozialer Identität. In: Bornewasser, Manfred/Wakenhut, Roland (Eds.): Ethnisches und nationales Bewusstsein. Zwischen Globalisierungund Regionalisierung. Frankfurt am Main u.a.: Peter Lang, 41-66.

Breuilly, J. (1993): Nationalism and the state. 2nd ed. Manchester: Manchester University Press.

Brubaker, R. (1999): The Manichean Myth: Rethinking the Distinction Between 'Civic' and 'Ethnic' Nationalism. In: Kriesi, Hanspeter (Ed.): Nation and national identity. The European experience in perspective. Chur: Rüegger, S. 55–73.

Brubaker, R. (2011): „Nationalism, Ethnicity, and Modernity" Soveria Mannelli, Italy Dalla modernità alle modernità multiple. Online: http://works.bepress.com/wrb/34/.

Brubaker, R.; Cooper, Frederick. (2000): Beyond „identity". In: Theory and Society, 29, pp. 1–47. Online: http://www.sscnet.ucla.edu/soc/faculty/brubaker/Publications/18_Beyond_Identity.pdf.

Brubaker, R. (2002): Ethnicity without groups: Cambridge Journals.

Buckingham, D. (2008): Introducing Identity. In: D. Buckingham (Ed.): Youth, Identity, and Digital Media. Cambridge, MA: The MIT Press, 1-24.

Calhoun, C. (1994): Social Theory and the Politics of Identity. Oxford: Blackwell.

Calhoun, C. (1997): Nationalism. Minneapolis.

Castells, M. (2009): The rise of the network society. 2nd ed., with a new pref. Chichester West Sussex, Malden MA: Wiley-Blackwell (The information age : economy, society, and culture, 1).

Cederman, L.E. (2001): Nationalism and Bounded Integration: What it Would Take to Construct a European Demos. In: European Journal of International Relations, (7), 2, pp. 139–174.

Chitanava, E. (2015): The Georgian Orthodox Church: National identity and political influence. (A. Hug, Ed.) Traditional religion and political power: Examining the role of the church in Georgia, Armenia, Ukraine and Moldova.

Cillia, R de; Reisigl, M; Wodak, R. (1999): The Discoursive Construction of National Identities. In: Discourse Society, 10, pp. 149–173.

Cohrs, C. J. (2005): Patriotismus – Sozialpsychologische Aspekte. In: Zeitschrift für Sozialpsychologie, 36 (1), 3-11.

Cohrs, C. J. /. Dimitrova D. /. Kalchevska T. /. Kleinke a /. Tomova I. /. Vasileva M. /. Moschner B. (2004): Ist Patriotismus wünschenswert? Eine differenzierte Analyse seiner psychologischen Bedeutung. In: Zeitschrift für Sozialpsychologie, 35, 4, pp. 201–215.

Center for Social Sciences (2013) ISSP Survey on National Identity in Georgia (dataset)

Caucasus Research Resource Center (2015) Survey on Knowledge and attitudes toward the EU in Georgia (dataset)

Caucasus Research Resource Center (2013), Public opinion in Tbilisi about the events of May 17th, 2013 (dataset)

Caucasus Research Resource Center (2015) NDI: Public Attitudes in Georgia, April (dataset)

Delanty, G.. (1998): Social Theory and European Transformation: Is there a European Society? In: Sociological Research Online 3. Online: https://www.researchgate.net/publication/24131661_Social_Theory_and_European_Transformation_Is_there_a_European_Society.

Delanty, G.. (2008): Fear of Others: Social Exclusion and the European Crisis of Solidarity. In: Social Policy & Administration, 42, 6, pp. 676–690.

Delanty, G. (2012): The historical regions of Europe: Civilizational bachgrounds and multiple routs to modernity. Historicka Sociologie. Online: http://historicalsociology.cz/cele-texty/1-2-2012/delanty.pdf.

Delanty, G. (1995): Inventing Europe. Idea, identity, reality. New York: St. Martin's Press.

Eisenstadt, S.N. (2000): Multiple Modernities. In: American Academy of Arts & Sciences, 129, 1, pp. 1–29. Online: http://www.jstor.org/stable/20027613.

Figueiredo, R. J. P. /Elkins Z, JR. (2003): Are Patriots Bigots? An Inquiry into the Vices of In-Group Pride. In: American Journal of Political Scienence, 47, pp. 171–188.

Gellner, E. (2006): Nations and nationalism. 2nd ed. Oxford u.a.: Blackwell.

Greenfeld, L. (1992): Nationalism: Five Roads to Modernity. Online: https://www.jstor.org/stable/2505653?seq=1№page_scan_tab_contents.

Greenfeld, L. (2003): The spirit of capitalism. Nationalism and economic growth. 1. Harvard Univ. Press paperback ed., 2. print. Cambridge Mass. u.a.: Harvard Univ. Press.

Greenfeld, L. (2004): Nationalism and the Mind. The Tenth Annual Gellner Lecture,London School of Econom ics. Online://www.tamilnation.co/selfdetermination/nation/liah.pdf.

Greenfeld, L. (2005): Greenfeld, Nationalism and the mind; Nations and Nationalism. Online: http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.1354-5078.2005.00207.x/abstract.

Greenfeld, L. (2006): Nationalism and the mind. Essays on modern culture. Oxford: Oneworld

Habermas, J. (1990): Die nachholende Revolution. Frankfurt am Main.

Habermas, J. (1998): The Inclusion of the Other: Studies in Political Theory, Cambridge, MA: MIT Press.

Habermas, J. (2001): The Postnational Constellaition. Cambridge: Polity Press.

Hall J. A. (1998): The state of the nation: Ernest Gellner and the theory of nationalism. New York: Cambridge University Press.

Hanf, T.; Nodia G. (2000): Georgia lurching to democracy: From agnostic tolerance to pious Jacobinism: Societal change and peoples' reactions. Baden-Baden: Nomos.

Heller, M. (1996): Identität und Nationalstolz der Österreicher. Gesellschaftliche Ursachen und Funktionen.

Herausbildung und Transformation seit 1945. Internationaler Vergleich. Wien.

Heyder, A.; Schmidt, P. (2002): Deutscher Stolz. Patriotismus wäre besser. In: Heitmeyer, Wilhelm (Ed.): Deutsche Zustände. Folge 1. Frankfurt am Main: Suhrkamp.

Hobsbawm, E. (2005): Nationen und Nationalismus: Mythen und Realität seit 1780. Aus dem Englischen von Udo Rennert. Frankfurt, New York: Campus Verlag.

Hroch, M. (1998): Real and Constructed. In: J. A. Hall (Ed.): The state of the nation: Ernest Gellner and the theory of nationalism. New York: Cambridge University Press.

Inglehart R., Weltzel, C. (2005): Modernization, Cultural change, and Democracy – The human development Sequence. Cambridge University Press

Jahn, E. (2009): Nationalism in Late and Post-Communist Europe. 1st ed. Baden-Baden: Nomos.

Jaskułowski, K. (2010): Western (civic) versus Eastern (ethnic) Nationalism. The Origins and Critique of the Dichotomy. In: Polisch sociological review, 3

Jenkins, R. (1996): Social Identity. London: Routledge.

Jenkins, R(1997): Rethinking Ethnicity. London – Thousand Oaks – New Delhi, Sage Publications

Jones, S. F. (1989): Soviet Religious Policy and the Georgian Orthodox Apostolic Church: From Khrushchev to Gorbachev. Online: http://georgica.tsu.edu.ge/files/03-Society/Religion/Jones-1989.pdf.

Kłoskowska, A. (1996): Kultury narodowe u korzeni [National Cultures at the Grass-roots]. Warszawa: PWN.

Kymlicka, W. (2001): Politics in the Vernacular. Nationalism, Multiculturalism, and Citizenship. Oxford: Oxford University Press.

Kecmanovic, D. (1996): The Mass Psychology of Ethnonationalism. New York: Plenum Press.

Keil, S. (2006): Staatsangehörigkeit, nationale Identität und Fremdenfeindlichkeit. Deutschland, Frankreich und Großbritannien im empirischen Vergleich. Dissertation zur Erlangung des Doktorgrades. Online: https://www.deutsche-digitale-bibliothek.de/binary/EYQQPPSKJ7KFZJPXXSZSZPSX2EVFCENS/full/1.pdf.

Kelman, H C. (1997): Nationalism, patriotism, and national identity: Social-psychological dimensions, in: Bar-Tal, Daniel/Staub, Ervin (Eds.), Patriotism in the lives of individuals and nations. Chicago.

Kohn, H. (1944): The Idea of Nationalism. A Study in Its Origins and Background. New York: Macmillan Company.

Kohn, H. (1955): Nationalism: Its Meaning and History: Mass Market Paperback.

Kosterman, R./Feshbach S. (1989): Toward a measure of patriotic and nationalistic attitudes. In: Political Psychology, pp. 257–273.

Kriesi, H. (1999): Nation and national identity. The European experience in perspective. Chur: Rüegger.

Loizides G. Neophytos. (2009): Religious Nationalism and Adaptation in Southeast Europe. In: Nationalities Papers: The Journal of Nationalism and Ethnicity, 37, 2, pp. 203–227.

Meyer, J.W./ Boli; J./ Thomas, G.M./ Ramirez, F.O. (1997). World Society and the Nation-State. *American Journal of Sociology* , *103*, 144-181. Stable URL: http://www.jstor.org/stable/10.1086/231174

Mickler, A. (2005): Migrationsdiskurse politischer Eliten: Identitätspolitik durch einen Diskurs der Ungleichheit? Dortmund (Diss).

Margvelashvili, K., Tsuladze L., Osepashvili I. (2015): Georgian Youth's Stereotypes about Armenians" in The Perceptions about Armenia's and Georgia's Policy Towards Each Other among two State's Youth. Myths and reality, Armenian – Georgian Relations: Challenges and Opportunities for the Bilateral Cooperation, Centre for Social Sciences and Political Science Association of Armenia in cooperation with Friedrich Ebert Stiftung, Yerevan

Mummendey, A./Simon ,B. (1997): Nationale Identifikation und die Abwertung von Fremdgruppen, in:

Mummendey, A./Simon ,B. (Eds.), Identität und Verschiedenheit. Bern.

Naletova, I. (2007): Orthodoxy beyond the Walls of the Church: A Sociological Inquiry into Orthodox Religious Experience in Contemporary Russian Society. PhD diss. Boston University.

Nanz P. I. (2010): „In-between Nations: Ambivalence and the Making of a European Identity" in Europe Plurielle – Multiple Europes, Volume 1: Europe and the Other and Europe as the other, Peter Lang AG, p 281

Pieterse, J. (2009): Multipolarity means thinking plural: Modernities. In: Proto Sociology, 29, 19–35. Online: http://philpapers.org/rec/PIEMMT.

Poole, R. (1999): Nation and Identity. London: Routledge.

Reisner, O. (2009): Georgia and its new national movement. In: Jahn, Egbert (Ed.): Nationalism in Late and Post-Communist Europe. 1st ed. Baden-Baden: Nomos.

Reckwitz, A. (2001): Der Identitätsdiskurs. Zum Bedeutungswandel einer sozialwissenschaftlichen Semantik. In:

Rammert, W. (Ed.): Kollektive Identitäten und kulturelle Innovationen. Ethnologische, Soziologische und Historische Studien. Leipzig, 21-38.

Robertson, R. (1992): Globalization. London.

Rosenau, J. (1990): Turbulence in World Politics. Brighton.

Schatz, R. T. /Staub E./Lavine H.: (1999): On the varieties of national attachment: Blind versus constructive patriotism. In: Political Psychology, 20, 151–174.

Scheff, T. (1994): Emotions and Identity: A Theory of Ethnic Nationalism. In: Calhoun, C. (Ed.): Social Theory and the Politics of Identity. Oxford: Blackwell, pp. 277–303.

Seton-Watson, H. (1977): Nations and States: An Enquiry into the Origins of Nations and the Politics of Nationalism. Boulder, Colorado: Westview Press.

Shapiro, A. (2013): Ivanishvili And The Georgian-Orthodox Church: An Alliance Starting To Sour? Online: http://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/12743-ivanishvili-and-the-georgian-orthodox-church-an-alliance-starting-to-sour?html.

Simon, B. /. Mummendey A. (1997): Selbst, Identität und Gruppe: Eine sozialpsychologische Analyse des Verhältnisses von Individuum und Gruppe. In: Mummendey, Amélie / Simon, Bernd: Identität und Verschiedenheit. Zur Sozialpsychologie der Identität in komplexen Gesellschaften. Bern u.a.: Verlag Hans Huber, 11-38.

Smith, A. D. (1987): The Ethnic Origins of Nations. Oxford: B. Blackwell.

Smith, A. D. (Jan., 1992): National Identity and the Idea of European Unity. In: International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-), 68, 1, pp. 55–76.

Smith, A. D. (2009): Ethno-symbolism and nationalism. A cultural approach. London, New York: Routledge.

Staub, E. (1997): Blind versus Constructive Patriotism: Moving from Embeddedness in the Group to Critical Loyalty and Action. In: Bar-Tal, Daniel / Staub, Ervin (Eds.): Patriotism in the lives of individuals and nations. Chicago: Nelson-Hall, 213-228.

Sternberger, D. (1990): Schriften X: Verfassungspatriotismus. Frankfurt am Main.

Tajfel H., Turner J. C. (1986): The social identity theory of intergroup behavior Psychology of intergroup relations. 2nd ed. Chicago: Nelson-Hall,.pp. 7–24.

Triandafyllidou, A. (2002), National Identity Reconsidered. Images of Self and Other in a 'United' Europe, Lampeter: Edwin Mellen Press

Van Dick, R./Wagner U./Stellmacher J./Christ O. (2004): The utility of a broader conceptualisation of organizational identification: Which aspects really matter? In: Journal of Occupational and Organizational Psychology, 77, pp. 171–191.

Viroli, M. (1995): For love of country. An essay on patriotism and nationalism. Oxford.

Wallerstein, I. (1983): Klassenanalyse und Weltsystemanalyse, in: R.Kreckel (Ed.), Soziale Ungleichheiten, Soziale Welt, Sinderband 2. Göttingen.

Westle, B. (1999): Kollektive Identität im vereinten Deutschland. Nation und Demokratie in der Wahrnehmung der Deutschen. Opladen: Leske+Budrich.

World Value Survey (2015) Georgia http://www.worldvaluessurvey.org/WVSNewsShow.jsp?ID=192

Zedania, G. (2009): The Rise of Religious Nationalism in Georgia 'Great Georgians'. Online: http://eprints.iliauni.edu.ge/usr/share/eprints3/data/118/1/Zedania Rise%20of%20Religious%20Nationalism%20in%20Georgia.pdf.

Брубейкер, Р. (2012): этничность БЕЗ ГРУПП. Online: http://socioline.ru/files/5/44/rodzhers_brubeyker_-_etnichnost_bez_grupp_socialnaya_teoriya_-_2012.pdf

Гидденс Э. (1999): Последствия современности / Э. Гидденс // Новая постиндустриальная волна на Западе. Антология / под ред. В. Л. Иноземцева. – М. : Academia,с. 101–122.

ანდერსონი, ბ. (2003): წარმოსახვითი საზოგადოებანი. თბილისი: ენა და კულტურა.

გელნერი, ე. (2003): ერები და ნაციონალიზმი. თბილისი: ნეკერი.

გუგუშვილი, ბ. (2010): ზ.გამსახურდია სარწმუნოების, ეკლესიის, ზეობრიობისა და სულიერების შესახებ. Online://besarion.wordpress.com/2010/10/23/zg_sarcmunoeba/.

დავითაშვილი, ზ. (2003): ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი: მეცნიერება.

დურგლიშვილი, ნ. (2006): სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

ზედანია, გ. (2009): ქართველი ერის დაბადება, ილია ჭავჭავაზისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზედანია, გ. (2010): ნაციონალური იდენტობის საკითხი საქართველოში. სოლიდარობა, 4(37)

თევზაძე, გ. (2009): ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეტალური და სოციეტატური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა. In: ზედანია, გ.: ქართველი ერის დაბადება, ილია ჭავჭავაზისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – CRRC. (2013): „კავკასიის ბარომეტრი". [Caucasus Barometer 2013 Georgia]. Online://www.crrccenters.org/caucasusbarometer/.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – CRRC. (2015): „კავკასიის ბარომეტრი". [Caucasus Barometer 2015 Georgia]. Online://www.crrccenters.org/caucasusbarometer/.

კეკელია, თ.; გავაშელიშვილი, ე.; ლადარია, კ.; სულხანიშვილი, ი. (2013): მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მამედოვი, ქ. (2016): ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების პორტრეტი საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში (ისტორიის და სამოქალაქო განათლების) და მისი ზეგავლენა სამოქალქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაზე. სამაგისტრო ნაშორმი, კავკასიის უნივერსიტეტი

მინდიაშვილი, ბ.; გახელიძე, გ.; თარორიძე, ი. (2006): რელიგიური და ეტნიკური მრავლფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში. ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სამოქალაქო განათლება IX-XII კლასები. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი TDI. Online: http://tdi.ge/sites/default/files/saxelmzgvaneloebis_analizi_tdi_2016.pdf.

ნოდია, გ. (2005): სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

ნოდია, გ. (2009): ქართული ეროვნულიიდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. ზედანია, გ.: ქართველი ერის დაბადება, ილია ჭავჭავაზისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (2013): უცხოელებისთვის მიწის შეძენის აკრძალვა: კონსტიტუციის დარღვევა და საინვესტიციო გა-

რემოზე უარყოფითი გავლენა http://transparency.ge/blog/utskhoelebistvis-mitsis-shedzenis-akrdzalva-konstitutsiis-darghveva-da-sainvestitsio-garemoze-uaryopiti-gavlena

საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (2014) http://info.police.ge/images/pdf/ucxoelta

საქართველოს მთავრობის დადგენილება იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა (2015) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2867361

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge

სმითი, დ. ე. (2004): ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თბილისი: ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 21 სექტემბერი, 1988, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი (ტომი II). (1997). თბილისი.

ფუკუიამა, ფ. (1999): ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიია და განვითარების ინსტიტუტი.

ღვიანიძე, ლ., ბარქაია, მ. (2014): რელიგია საჯარო სკოლებში. EMC, თბილისი

შევარდნაძე, ე. (2006): ფიქრი წარსულსა და მომავალზე. თბილისი: პალიტრა L.

ხოსიტაშვილი, დ. (2011): კათოლიკოს ამბროსი ხალაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი. Online: http://goo.gl/341J6X.

ჰეჩტერი, მ.; მეტრეველი, ე. (2007): ნაციონალიზმის შეჩერება. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია.

7. დანართი

ISSP *2013 ეროვნული იდენტობა*

Q. 1. რამდენად ახლოს გრძნობთ თავს... (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეულ ხაზზე)

	ძალიან ახლოს	ახლოს	არც ისე ახლოს	საერთოდ არ ვგრძნობ სიახლოვეს	მიჭირს პასუხის გაცემა
ა) თქვენს ქალაქთან	☐	☐	☐	☐	☐
ბ) თქვენს რაიონთან	☐	☐	☐	☐	☐
გ) საქართველოსთან	☐	☐	☐	☐	☐
დ) ევროპასთან	☐	☐	☐	☐	☐

Q. 2. ზოგი ადამიანის აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჭეშმარიტი (ნაღდი) ქართველი იყო. სხვები თვლიან, რომ არც ისე მნიშვნელოვანია. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ მოცემული თითოეული საკითხი?თავს... (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეულ ხაზზე)

	ძალიან მნიშვნელოვანია	საკმაოდ მნიშვნელოვანია	არც ისე მნიშვნელოვანია	საერთოდ არაა მნიშვნელოვანია	მიჭირს პასუხის გაცემა
ა. დაბადებული იყო საქართველოში	☐	☐	☐	☐	☐
ბ. გქონდეს საქართველოს მოქალაქეობა	☐	☐	☐	☐	☐
გ. ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში გქონდეს გატარებული	☐	☐	☐	☐	☐
დ. შეგეძლოს ქართულად საუბარი	☐	☐	☐	☐	☐
ე. იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი	☐	☐	☐	☐	☐
ვ. პატივს სცემდე საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და კანონებს	☐	☐	☐	☐	☐
ზ. თავს გრძნობდე ქართველად	☐	☐	☐	☐	☐
თ. გყავდეს ქართველი წინაპრები	☐	☐	☐	☐	☐

Q. 3. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს? (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეულ ხაზზე)

	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
ა. საქართველოს მოქალაქეობა მირჩევნია ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ. დღესდღეობით საქართველოს რეალობაში არსებობს რიგი საკითხები, რომელთა გამოც საქართველოსი მრცხვენია.	☐	☐	☐	☐	☐	☐
გ. მსოფლიო გაცილებით უკეთესი იქნებოდა, სხვა ქვეყნების მოსახლეობა ქართველების მსგავსი რომ იყოს.	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ. მთლიანობაში, საქართველო უკეთესი ქვეყანაა, ვიდრე სხვა ქვეყნების უმრავლობა.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ე. ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს საკუთარ ქვეყანას მაშინაც კი, როდესაც ის არასწორი გზით მიდის.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ვ. მეამაყება ქართველობა, როდესაც ჩემი ქვეყანა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე წარმატებით გამოდის.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ზ. ხშირად ისე ვერ ვამაყობ საქართველოთი, როგორც ვისურვებდი.	☐	☐	☐	☐	☐	☐
თ. მსოფლიო უკეთესი იქნებოდა, ქართველები საქართველოს ნაკლოვანებებს რომ აღიარებდნენ.	☐	☐	☐	☐	☐	☐

Q. 4. რამდენად ამაყობთ საქართველოთი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში? (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეულ ხაზზე)

	ძალიან ვამაყობ	საკმაოდ ვამაყობ	არც ისე ვამაყობ	საერთოდ არ ვამაყობ	მიჭირს პასუხის გაცემა
ა. იმით, თუ როგორ მუშაობს დემოკრატია	☐	☐	☐	☐	☐
ბ. საქართველოს პოლიტიკური გავლენით მსოფლიოში	☐	☐	☐	☐	☐
გ. საქართველოს ეკონომიკური მიღწევებით	☐	☐	☐	☐	☐
დ. მისი სოციალური უსაფრთხოების სისტემით	☐	☐	☐	☐	☐
ე. მისი სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევებით	☐	☐	☐	☐	☐
ვ. მისი სპორტული მიღწევებით	☐	☐	☐	☐	☐
ზ. მისი მიღწევებით ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროებში	☐	☐	☐	☐	☐
თ. საქართველოს შეიარაღებული ძალებით	☐	☐	☐	☐	☐
ი. მისი ისტორიით	☐	☐	☐	☐	☐
კ. მის მიერ საზოგადოებაში არსებული ყველა ჯგუფის სამართლიანი და თანასწორი მოპყრობით	☐	☐	☐	☐	☐

ახლა გვინდა რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ საქართველოს ურთიერთობების შესახებ სხვა ქვეყნებთან.

Q. 5. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს? (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეულ ხაზზე)

	სრულიად ეთანხმები	ეთანხმები	არც ეთანხმები, არც არ ეთანხმები	არ ეთანხმები	სრულიად არ ეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
ა. ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქტების იმპორტი.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ. საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ იძულების უფლება გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა, ვთქვათ, გარემოს დაბინძურება.	☐	☐	☐	☐	☐	☐
გ. საქართველომ საკუთარი ინტერესების მიხედვით უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ ეს სხვა ერებთან კონფლიქტს გამოიწვევს.	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ. უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში მიწის ყიდვის უფლება.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ე. საქართველოს ტელევიზია უპირატესობას ქართულ ფილმებსა და პროგრამებს უნდა ანიჭებდეს.	☐	☐	☐	☐	☐	☐

Q. 6. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს? (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეულ ხაზზე)

	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
ა. დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ. თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველოში უკეთესი პროდუქტები ხდება ხელმისაწვდომი.	☐	☐	☐	☐	☐	☐
გ. ზოგადად, საქართველომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლის წევრიცაა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება მათ არ ეთანხმება.	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ე. საკუთარ თავს მსოფლიოს მოქალაქედ უფრო ვთვლი, ვიდრე რომელიმე ქვეყნის.	☐	☐	☐	☐	☐	☐

ახლა გვინდა რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ საქართველოში მცხოვრებ უმცირესობებთან დაკავშირებით.

Q. 7. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს? (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეულ ხაზზე)

	სრულიად ეთანხმები	ეთანხმები	არც ეთანხმები, არც არ ეთანხმები	არ ეთანხმები	სრულიად არ ეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
ა. შეუძლებელია სრულად გაქართველდნენ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს წეს-ჩეულებებსა და ტრადიციებს არ იზიარებენ.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ. მთავრობა უნდა დაეხმაროს ეთნიკურ უმცირესობებს, რომ საკუთარი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები შეინარჩუნონ.	☐	☐	☐	☐	☐	☐

Q. 8. ზოგს მიაჩნია, რომ ქვეყნისთვის უკეთესია, თუკი სხვადასხვა რასობრივი და ეთნიკური ჯგუფები საკუთარ განსხვავებულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს შეინარჩუნებენ. სხვები ფიქრობენ, რომ უმჯობესია, თუკი ეს ჯგუფები საზოგადოებასთან ადაპტაციას მოახდენენ და მასში გაითქვიფებიან. ამ მოსაზრებებიდან რომელი უფრო ახლოსაა თქვენს თვალსაზრისთან?

ა. საზოგადოებისთვის უმჯობესია, თუკი ეს ჯგუფები განსხვავებულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს შეინარჩუნებენ. ☐

ბ. უმჯობესია, თუკი ეს ჯგუფები საზოგადოებასთან ადაპტაციას მოახდენენ და მასში გაითქვიფებიან. ☐

მიჭირს პასუხის გაცემა ☐

Q. 9. სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ, საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტებზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს („იმიგრანტებში“ იგულისხმება ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში საცხოვრებლად ჩამოდიან). რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს? (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეული ხაზზე)

	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
ა. იმიგრანტები დანაშაულის რიცხვს ზრდიან.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ. იმიგრანტების არსებობა საქართველოს ეკონომიკისთვის ზოგადად კარგია.	☐	☐	☐	☐	☐	☐
გ. იმიგრანტები საქართველოში დაბადებულ ადამიანებს სამუშაო ადგილებს ართმევენ.	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ. იმიგრანტები ახალი იდეებისა და კულტურის შემოტანით ქართულ საზოგადოებას აუმჯობესებენ.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ე. იმიგრანტები ქართულ კულტურას ძირს უთხრიან.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ვ. საქართველოში ლეგალურად მცხოვრებ იმიგრანტებს, რომლებსაც არ აქვთ ქვეყნის მოქალაქეობა, ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორც ქართველ მოქალაქეებს.	☐	☐	☐	☐	☐	☐
ზ. საქართველომ უფრო მკაცრ ზომებს უნდა მიმართოს, რათა არ დაუშვას არალეგალური იმიგრანტები.	☐	☐	☐	☐	☐	☐
თ. ლეგალური იმიგრანტებისათვის ისევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჯარო განათლება (უფასო საჯარო საშუალო სკოლები), როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის.	☐	☐	☐	☐	☐	☐

Q. 10. როგორ ფიქრობთ, დღეს საქართველოში იმიგრანტების რაოდენობა უნდა...

- ბევრად გაიზარდოს ☐
- ცოტათი გაიზარდოს ☐
- იგივე დარჩეს ☐
- ცოტათი შემცირდეს ☐
- ბევრად შემცირდეს ☐
- მიჭირს პასუხის გაცემა ☐

Q.11. იმიგრანტების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელი უფრო ახლოსაა თქვენს თვალსაზრისთან?

იმიგრანტებმა საკუთარი კულტურა უნდა შეინარჩუნონ და არა საქართველოს კულტურა შეითვისონ ☐

იმიგრანტებმა საკუთარი კულტურაც უნდა შეინარჩუნონ და საქართველოს კულტურაც უნდა შეითვისონ ☐

იმიგრანტებმა საკუთარ კულტურაზე უარი უნდა თქვან და საქართველოს კულტურა უნდა შეითვისონ ☐

მიჭირს პასუხის გაცემა ☐

Q. 12. რამდენად ამაყობთ იმით, რომ ქართველი ხართ?

- ძალიან ვამაყობ ☐
- საკმაოდ ვამაყობ ☐
- არც ისე ვამაყობ ☐
- სრულიად არ ვამაყობ ☐
- არ ვარ ქართველი ☐
- მიჭირს პასუხის გაცემა ☐

Q13. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით იმას, რომ პატრიოტული გრძნობები საქართველოში...
(გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა თითოეულ ხაზზე)

	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
ა. აძლიერებს საქართველოს პოზიციას მსოფლიოში	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ. საქართველოში არატოლერანტობას (შეუწყნარებლობას) იწვევს	☐	☐	☐	☐	☐	☐
გ. საჭიროა იმისთვის, რომ საქართველომ ერთიანობა შეინარჩუნოს	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ. იმიგრანტების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებებს იწვევს	☐	☐	☐	☐	☐	☐

Q. 14. ხართ თუ არა საქართველოს მოქალაქე?

დიახ ☐
არა ☐

Q. 15. თქვენი დაბადებისას, ორივე, არც ერთი თუ მხოლოდ ერთი მშობელი იყო საქართველოს მოქალაქე?

ორივე მშობელი საქართველოს მოქალაქე იყო ☐
მხოლოდ მამა იყო საქართველოს მოქალაქე ☐
მხოლოდ დედა იყო საქართველოს მოქალაქე ☐
არც ერთი მშობელი არ იყო საქართველოს მოქალაქე ☐

არასავალდებულო

Q. 16. რამდენად ხშირად გსმენიათ ან წაგიკითხავთ ევროკავშირზე?

ხშირად	☐
საკმაოდ ხშირად	☐
არც ისე ხშირად	☐
საერთოდ არა	☐
მიჭირს პასუხის გაცემა	☐

თუ Q 16-ზე მიიღეთ პასუხი „საერთოდ არა," არასავალდებულო კითხვების დანარჩენი ნაწილი გამოტოვეთ.

Q. 17 ზოგადად, როგორ ფიქრობთ, საქართველო მიიღებს რაიმე სარგებელს ევროკავშირის წევრობით თუ არა?

ძალიან დიდ სარგებელს მიიღებს	☐
დიდ სარგებელს მიიღებს	☐
საკმაო სარგებელს მიიღებს	☐
მხოლოდ მცირე სარგებელს მიიღებს	☐
არანაირ სარგებელს არ მიიღებს	☐
მიჭირს პასუხის გაცემა	☐
არასდროს მსმენია ევროკავშირის შესახებ	☐

Q. 18. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს? (გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა)

	სრულიად ეთანხმები	ეთანხმები	არც ეთანხმები, არც არ ეთანხმები	არ ეთანხმები	სრულიად არ ეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
საქართველომ ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ მათ არ ეთანხმება	☐	☐	☐	☐	☐	☐

Q. 19. ზოგადად, როგორ ფიქრობთ, წევრი ქვეყნების ხელისუფლებებთან შედარებით, ევროკავშირს უნდა ჰქონდეს გაცილებით მეტი, მეტი, იმდენივე, ნაკლები თუ გაცილებით ნაკლები ძალაუფლება?

- გაცილებით მეტი ☐
- მეტი ☐
- იმდენივე ☐
- ნაკლები ☐
- გაცილებით ნაკლები ☐
- მიჭირს პასუხის გაცემა ☐

Q. 20. დღეს რომ რეფერენდუმი ჩატარდეს იმის გადასაწყვეტად, გახდეს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ხმას სასარგებლოდ მისცემდით თუ წინააღმდეგ?

- სასარგებლოდ მივცემდი ხმას ☐
- წინააღმდეგ მივცემდი ხმას ☐
- მიჭირს პასუხის გაცემა ☐

ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა

1. როგორ ფიქრობთ, რა ღირებულებების გარშემო ერთიანდება ქართველი საზოგადოება და რა ღირებულებები ჰყოფს მას?
2. როგორ შეიცვალა ეს ღირებულებები თქვენს თაობასა და თქვენს წინა თაობას შორის?
3. შეგიძლიათ გაიხსენოთ რომელიმე მოვლენა/სიტუაცია, როცა განსაკუთრებული სიამაყე/სირცხვილი იგრძენით იმის გამო, რომ ქართველი ხართ? რატომ?
4. როგორ ფიქრობთ, უნდა არსებობდეს თუ არა ეროვნების/ეთნიკურობის გრაფა პირადობის მოწმობებში? რატომ?/რატომ არა?
5. თქვენი აზრით, გულისხმობს თუ არა მოქალაქეობა გარკვეულ ვალდებულებებს? რას? რატომ?
6. როგორ ფიქრობთ, რამდენად ახლოს გრძნობენ ქართველები თავს კავკასიელებთან, რუსებთან და ევროპელებთან? რატომ? თქვენ ვისთან უფრო ახლოს გრძნობთ თავს? რატომ?
7. როგორ ფიქრობთ, საერთაშორისო მასშტაბით, რა უქმნის ყველაზე დიდ საფრთხეს ქართველ საზოგადოებას?
8. თქვენი აზრით, რა ტიპის პრობლემები აქვთ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს? რა როლს უნდა ასრულებდეს სახელმწიფო ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით?
9. თქვენთვის თუ იქნებოდა მისაღები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ხილვა საქართველოს პირველ პირებად (მაგალითად, პრეზიდენტად/პრემიერ-მინისტრად)? რატომ?/ რატომ არა?
10. როგორ ფიქრობთ, უნდა ჰქონდეთ თუ არა უცხოელებს საქართველოში მიწის ყიდვის უფლება? რატომ?
11. თქვენი აზრით, რა უარყოფითი და დადებითი მხარეები აქვს საქართველოში იმიგრაციას?
12. თქვენი აზრით, რა უარყოფითი და დადებითი მხარეები აქვს საქართველოდან ემიგრაციას?

საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებთან სადისკუსიო გეგმა

არასამთავრობო სექტორი:

1. რომელ ღირებულებებს გამოყოფდით ქართველი ერის დასახასიათებლად? თქვენი აზრით, რა წვლილი შეაქვს არასამთავრობო სექტორს ღირებულებათა ჩამოყალიბებაში? რა წვლილი შეაქვს ამ ღირებულებების ცვლილებაში?
2. რა არის თქვენი ძირითადი აქტივობები და ვიზეა მიმართული?ზოგადად, ვინ არის არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი სამიზნე ჯგუფი: მოსახლეობა თუ ხელისუფლება?
3. როგორია მოსახლეობის ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ? ხშირად იკვეთება აგრესია, როგორც „გარედან შემოტანილი“ ღირებულებების გამავრცელებლების, როგორ პასუხობს ამას არასამთავრობო სექტორი?
4. თქვენი აზრით, დღესდღეობით რომელი თემებია ყველაზე მეტად, და ნაკლებად აქტუალური დღევანდელი საქართველოსთვის?
5. ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებიდან რომლები ახდენენ გავლენას მოსახლეობის ღირებულებების ჩამოყალიბება/ ცვლილებაზე?
6. რომელ რეფორმას ან საკანონმდებლო ცვლილებას დაასახელებდით, რომელმაც საზოგადოებაში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, როგორც ნაციონალური იდენტობისთვის საფრთხის შემცველმა? რით ახსნით ამ წინააღმდეგობას?
7. არსებული საერთაშორისო საფრთხეებიდან, რომელი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე სახიფათოდ?
8. როგორ განსაზღვრავდით საქართველოს ნაციონალურ ინტერესს?
9. რომელ საზოგადოებრივ აქტორებთან თანამშრომლობთ, და რომელ აქტორებთანაა რთული თანამშრომლობა/რომელი აქტორები გიქმნიან გამოწვევას? (მაგალითად დაასახელებდით თუ არა კონკრეტული შემთხვევებს?)
10. რომელ ჯგუფებს გამოყოფდით, რომელთა მიმართაც საზოგადოებას ყველაზე ნაკლები და მეტი მიმღებლობა აქვს? როგორ ახსნით ამას?

11. როგორ შეიცვალა თქვენს მიერ დასახელებული ჯგუფების მიმართ დამოკიდებულება ბოლო 20 წლის განმავლობაში?

12. როგორ შეაფასებდით სახელმწიფო პოლიტიკას უმცირესობების მიმართ?

13. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მიერ, ზოგადად, რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკას, რა უარყოფითი და დადებითი მხარეები შეიძლება ამას ჰქონდეს?

განათლების სფერო:

1. ზოგადად, რომელ ღირებულებებს გამოყოფდით ქართველი ერისა და ქართული ნაციონალური იდენტობის დასახასიათებლად?
2. რომელ არსებულ ღირებულებებს დაასახელებდით ჩვენს საზოგადოებაში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გაერთიანება ან კონფლიქტი?
3. როგორ დაახასიათებთ დღევანდელ საგანმანათლებლო დისკურსს? თქვენი აზრით, რა წვლილი შეაქვს დღევანდელ საგანმანათლებლო დისკურსს საზოგადოების ღირებულებათა ჩამოყალიბებაში?
4. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა ქართული ღირებულებების სისტემა ბოლო 25 წლის განმავლობაში? ამჟამად რომელ თანამედროვე პროცესებს გამოყოფდით ქართულ რეალობაში, რომლებიც ქართული ეროვნული იდენტობის სახეს ცვლის? რაში გამოიხატება ეს ცვლილებები? თქვენი აზრით, როგორ აისახება ეს ცვლილებები დღევანდელ საგანმანათლებლო სფეროში (სისტემაში)?
5. ზოგადად, როგორ შეაფასებთ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას და მის გავლენას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაზე? რას ეფუძნება დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის (ზოგადი და უმაღლესი) არსებული სასწავლო გეგმა? (რა კონცეფცია აქვთ, რა მიზნები აქვთ, რა ღირებულებით სისტემას იზიარებენ და ცდილობენ რომ დანერგონ და როგორ ?)
6. როგორ შეაფასებთ ბოლო 25 წლის განმავლობაში ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებს ? რა შეიცვალა, რა დარჩა? რა სირთულეებს გამოჰყოფდით?
7. რომელ მნიშვნელოვან რეფორმებს გამოყოფდით, რომლებმაც ცვლილება მოიტანა საგანმანათლებლო სისტემაში და ასევე იმოქმედა მოსახლეობის ცნობიერებასა და განათლების დონეზე?
8. როგორ შეაფასებდით დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის ავტონომიურობას? (სასწავლო გეგმის შედგენა დე-

ცენტრალიზაცია (სკოლაში არასამთავრობოების და კვლევითი ცენტრების შეშვებისთვის ნებართვა), უნივერსიტეტის ავტონომიურობა, სხვა საზოგადოებრივ აქტორებთან თანამშრომლობა, რომელი აქტორები ქმნიან გამოწვევებს?) (მაგალითად დაასახელებდით თუ არა კონკრეტული შემთხვევებს?)

9. როგორ ფიგურირებს მართლმადიდებლური რელიგიის ფაქტორი საგანმანათლებლო სისტემაში? განსხვავდება თუ არა ფორმალური მიდგომა და არაფორმალური პრაქტიკები?

10. არსებული საერთაშორისო საფრთხეებიდან, რომელი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე სახიფათოდ?

11. რომელი ჯგუფები გახსენდებათ, რომელთა მიმართაც საზოგადოებას ყველაზე ნაკლები და მეტი მიმღებლობა აქვს? როგორ ახსნით ამას? რა როლს თამაშობს საგანმანათლებლო სისტემა ამ ჯგუფებთან მიმართებაში? მაგალითად, როგორ არიან ისინი წარმოჩენილი სახელმძღვანელოებში? როგორია თავად მასწავლებელთა როლი ამ მხრივ?

12. რა აზრის ხართ სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლებასთან დაკავშირებით? რა მიზანს ისახავს ეს საგანი? რა სირთულეებს აწყდებიან მასწავლებლები ამ საგნის სწავლებისას?

13. რა დადებითი და უარყოფითი შედეგების მომტანია იმიგრაციის და ემიგრაციის პროცესები საქართველოსთვის?

პოლიტიკის სფერო:

1. თქვენი აზრით, რა განსაზღვრავს (ქმნის) ქართულ ნაციონალურ იდენტობას?
2. რომელ ღირებულებებს გამოყოფდით ქართველი ერის დასახასიათებლად? რა წვლილი შეაქვს თქვენი აზრით, დღევანდელ (საშინაო/საგარეო) პოლიტიკურ დისკურსს საზოგადოების ღირებულებათა ჩამოყალიბებაში?
3. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესებიდან, რომლები ახდენენ გავლენას მოსახლეობის ღირებულებების ცვლილებაზე?
4. დღესდღეობით (საქართველოში) რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოლიტიკური აქტორები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, ნაციონალური ღირებულებების შენარჩუნებასა თუ განახლება-ტრანსფორმაციაზე?
5. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განხორციელებულ რომელ რეფორმას ან საკანონმდებლო ცვლილებას გამოყოფდით, რომელმაც საზოგადოებაში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, როგორც ნაციონალური იდენტობისთვის საფრთხის შემცველმა? რით ახსნით ამ წინააღმდეგობას?
6. არსებული საერთაშორისო საფრთხეებიდან, რომელი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე სახიფათოდ?
7. როგორ განსაზღვრავდით საქართველოს ნაციონალურ ინტერესს? არსებობს თუ არა ამასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია ძირითად პოლიტიკურ აქტორებს შორის? გამოყოფდით თუ არა სფეროებს, სადაც ნაციონალური ინტერესი შეიძლება უფრო მაღლა დადგეს, ვიდრე რომელიმე საერთაშორისო გაერთიანების (იგულისხმება გაერო ან ევროკავშირი) ინტერესი?
8. რომელი ჯგუფები გახსენდებათ, რომელთა მიმართაც საზოგადოებას ყველაზე ნაკლები და მეტი მიმღებლობა აქვს? როგორ ახსნით ამას?
9. როგორ შეაფასებდით სახელმწიფო პოლიტიკას უმცირესობების მიმართ?

10. რა დადებითი და უარყოფითი შედეგების მომტანია იმიგრაციის და ემიგრაციის პროცესები საქართველოსთვის?

11. რა დადებით და უარყოფით ფაქტორებს დაასახელებდით, უცხოელებზე მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით?

12. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მიერ, ზოგადად, რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკას, რა უარყოფითი და დადებითი მხარეები შეიძლება ამას ჰქონდეს?

მედიის სფერო:

1. რომელ ღირებულებებს გამოყოფდით ქართველი ერის დასახასიათებლად? თქვენი აზრით, რა წვლილი შეაქვს მედიას ქართველი საზოგადოების ღირებულებების ჩამოყალიბებაში ან მათ ცვლილებაში?

2. ღირებულებების შენარჩუნება/ცვლილების თვალსაზრისით, თუ მიგაჩნიათ, რომ კონკრეტულად თქვენს არხს აქვს გარკვეული წვლილი შეტანილი? (მაგალითები);

3. საზოგადოებრივი სფეროებიდან, რომელ სფეროს გამოყოფდით, რომელსაც ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა მედიასივრცეში?

4. თქვენი აზრით, დღესდღეობით, რომელი თემებია ყველაზე მეტად ან ნაკლებად აქტუალური საზოგადოებისთვის და როგორ აისახება ეს მედიაში? (მაგალითები);

5. თქვენი აზრით, ინტერესთა თვალსაზრისით, არსებობს თუ არა განსხვავება ქართველ მაყურებელს შორის (სოციალური და დემოგრაფიული კატეგორიების გათვალისწინებით). თუ განსხვავება არსებობს, როგორ აღწერდით ამ განსხვავებას? როგორ აისახება მაყურებლის მრავალფეროვნება თქვენს საეთერო ბადეზე? სხვა რა პრიორიტეტების მიხედვით კომპლექტდება თქვენი არხის სატელევიზიო ბადე?

6. დღესდღეობით არსებული საერთაშორისო საფრთხეებიდან, რომლის გაშუქებას უთმობთ ყველაზე მეტ საეთერო დროს? რომელი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე უფრო სახიფათოდ?

7. როგორ განსაზღვრავდით საქართველოს ნაციონალურ ინტერესს? არსებობს თუ არა ამასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია მედიის წარმომადგენლებს შორის? არსებობს თუ არა რაიმე თემა, რომლის გაშუქებისას, ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიზღუდოთ?

8. აქვს თუ არა თქვენს არხს ინტერნეტმაუწყებლობა? ვინ არის მისი ძირითადი მომხმარებელი? როგორც ცვლის ინტერნეტმაუწყებლობა მაყურებელთან კომუნიკაციას?

9. რომელი ჯგუფები გახსენდებათ, რომელთა მიმართაც საზოგადოებას ყველაზე ნაკლები და მეტი მიმღებლობა აქვს? როგორ ახსნით ამას? როგორ ხდება ამ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების გაშუქება? რა სირთულეებს აწყდებით ამ დროს?

10. რომელ ჯგუფს ეთმობა ყველაზე მეტი დრო? რამდენად ხშირად ამზადებთ გადაცემებს/რეპორტაჟებს უმცირესობათა შესახებ? იწვევთ თუ არა უმცირესობათა წარმომადგენლებს თქვენს არხზე და ხდება თუ არა მათთან არსებულ პრობლემებზე მსჯელობა? თუ არა, რატომ?

11. რამდენად აქტუალურია ემიგრაცია/იმიგრაციის საკითხი მედიისთვის? რა თვალსაზრისით და რა კონტექსტში შუქდება ეს საკითხები, რაზე მახვილდება ყურადღება, რა არის ძირითადი შინაარსი?

ეკლესიის სფერო:

1. თქვენი აზრით, რა განსაზღვრავს (ქმნის) ქართულ ეროვნულ იდენტობას?
2. რომელ ღირებულებებს გამოყოფდით ქართველი ერის დასახასიათებლად? როგორ შეაფასებდით ეკლესიის წვლილს საზოგადოების ღირებულებებთან დაკავშირებით (ჩამოყალიბება, შენარჩუნება, განახლება-ტრანსფორმაცია)?
3. ქართველ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებიდან, რომელი ახდენს გავლენას მისი ღირებულებების ცვლილებაზე?
4. საქართველოში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე მრავალჯერ იყო საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური დაპირისპირება. როგორი იყო ეკლესიის როლი ამ პროცესებში? იცვლებოდა თუ არა ის (ეკლესიის როლი)? როგორი უნდა იყოს ეკლესიის როლი?
5. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განხორციელებულ რომელ რეფორმას ან საკანონმდებლო ცვლილებას გამოყოფდით, რომელმაც საზოგადოებაში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, როგორც ეროვნული იდენტობისთვის საფრთხის შემცველმა? რით ახსნით ამ წინააღმდეგობას?
6. არსებული საერთაშორისო საფრთხეებიდან, რომელი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე სახიფათოდ?
7. თქვენი აზრით, ვინ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს მეგობრად საერთაშორისო თვალსაზრისით? ვისგან მოდის ყველაზე დიდი საფრთხე?
8. ინტერვიუებში საფრთხედ ხშირად იკვეთება რუსეთი. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?
9. როგორ განსაზღვრავდით საქართველოს ნაციონალურ ინტერესს? გამოყოფდით თუ არა სფეროებს, სადაც ნაციონალური ინტერესი შეიძლება ერთადერთი ინტერესი იყოს?
10. რომელი ჯგუფები გახსენდებათ, რომელთა მიმართაც საზოგადოებას ყველაზე ნაკლები და მეტი მიმღებლობა აქვს? როგორ ახსნით ამას?

11. რა დადებითი და უარყოფითი შედეგების მომტანია იმიგრაციის და ემიგრაციის პროცესები საქართველოსთვის?

12. არსებობს ეკლესიის დაფინინასების სხვადასხვა მოდელები, როგორ შეაფასებდით საქართველოში არსებული დაფინანსების მოდელს? რა უარყოფითი ან დადებითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს მას?

სადისკუსიო გეგმა ექსპერტებთან:

1. თქვენი აზრით, რა განსაზღვრავს (რა ქმნის) ქართულ ეროვნულ იდენტობას? რომელი აქტორები/ინსტიტუტები მონაწილეობენ ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში (უფრო მეტად)?
2. როგორ ფიქრობთ, რამდენად ძლიერია დღეს ქართველობის განცდა საზოგადოებაში? არსებობს თუ არა ფორმულა, რომელიც განსაზღვრავდა, თუ როგორი უნდა იყოს „კარგი“ ქართველი?
3. რომელ მოვლენას/ფაქტს გამოყოფდით, რომელსაც ქართველები საამაყოდ/სამარცხვინოდ აღიქვამენ?
4. რომელ ღირებულებებს გამოყოფდით ქართული ნაციონალური იდენტობის დასახასიათებლად?
5. რომელ არსებულ ღირებულებებს დაასახელებდით ჩვენს საზოგადოებაში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გაერთიანება ან კონფლიქტი?
6. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა ქართული ღირებულებების სისტემა ბოლო 25 წლის განმავლობაში?
7. რომელ თანამედროვე პროცესებს გამოყოფდით ქართულ რეალობაში, რომლებიც ქართული ეროვნული იდენტობის სახეს ცვლის? რაში გამოიხატება ეს ცვლილებები?
8. თქვენი აზრით, არის თუ არა საზოგადოება მზად იმ ცვლილებისთვის, რომელიც ამ (თანამედროვე) პროცესებს/გლობალიზაციას მოაქვს?
9. როგორ განსაზღვრავთ ქართულ ნაციონალიზმს, ქართულ პატრიოტიზმს?
10. გამოყოფდით თუ არა სფეროებს, სადაც ნაციონალური ინტერესი შეიძლება ერთადერთი ინტერესი იყოს? (თუ კი, რატომ? ან თუ არა, რატომ?)
11. როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მოიტანა ეროვნების (ეთნიკური გაგებით) გრაფის ამოღებამ პირადობის მოწმობიდან საზოგადოებისთვის?

12. რომელ საერთაშორისო საფრთხეს დაასახელებდით, რომელიც ქართულ საზოგადოებას საშიშროებას უქმნის? ან შეუქმნიდა?

13. თქვენი აზრით, რა ტიპის პრობლემები აქვთ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს?

14. როგორ შეაფასებდით სახელმწიფო პოლიტიკას ეთნიკური უმცირესობების მიმართ? ხედავთ თუ არა ამ მხრივ სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობას?

15. რომელი ჯგუფები გახსენდებათ, რომელთა მიმართაც საზოგადოებას ყველაზე ნაკლები და მეტი მიმღებლობა აქვს? როგორ ახსნით ამას?

16. რა დადებით და რა უარყოფით ფაქტორებს დაასახელებდით, უცხოელებზე მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით?

17. რას დაუკავშირებთ იმიგრაციის და ემიგრაციის პროცესებს საქართველოში? როგორ შეაფასებთ ამ პროცესებს? რა მოაქვს ამ პროცესებს ჩვენთვის? (დადებითი და უარყოფითი);

18. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მიერ, ზოგადად, რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკას, რა უარყოფითი და დადებითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს ამას?

19. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას („კონკორდატს“)?